

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ნ. შაჩის სახელობის ენის ინსტიტუტი

35127

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

I



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი--1946

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР — ИНСТИТУТ ЯЗЫКА ИМ. Н. Я. МАРРА
The ACADEMY of SCIENCES of the GEORGIAN SSR — The MARR INSTITUTE of LANGUAGES

ИБЕРИЙСКО-КАВКАЗСКОЕ
ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

I

IBERO-CAUCASICA

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR

Тбилиси

1946

Tbilissi

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ბრეზიდიუმის განვარგულებით.

რედაქტორი ვ. მთფურია

ბელმოწ. დასაბეჭდ. უკ. ფ. 20.11.46
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 26
ანაწყ. ზომა 7×11; ქალ. ხ. 72×105
შეკვეთის 197; ტირაჟი 500 ც.
უფ 11269

საქართვე. სსრ მეცნ. აკადემიის გამომც.
სტამბა, თბილისი, ა. წერეთლის ქ. № 7.

ს ა რ ჩ ე მ ი

გვერდი

1. გიორგი როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში	1— 17
2. შოთა ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში	19— 34.
3. სერგი ჟღენტი, სვანურ ხმოვანთა პალატოგრამები და რენტგენოგრამები	35— 62
4. ვარლამ თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში	63— 90
5. არნოლდ ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში	91—130
6. ქეთევან ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში	131—140
7. ივანე ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში	141—168
8. კარპეზ დონდუა, ადიღეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში	169—194
9. ქეთევან ძოწენიძე, -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში	195—202
10. არამ მარტიროსოვი, თანდებული ქართულში	203—246
11. სერგი ჟღენტი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში	247—258
12. თინათინ ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში	259—288
13. თინათინ შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში	289—328
14. ანტონ კიზირია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან ძველ ქართულში	329—336
15. ქეთევან ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში	337— 345
16. ვუკოლ ბერიძე, ზღუდვ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ შეზღუდვლის მნიშვნელობის ევოლუციისათვის	347—354
17. შოთა ძიძიგური, მეგრული სუფიქსის კვალი ქართულში	355—358
18. ვლადიმერ ფანჩვიძე, მორფოლოგიური შეხვედრებისათვის უდური ენისა ქართულ-ქართველურ ენებთან	359—370
19. სიმონ ყაუხჩიშვილი, ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები	371—383
20. მზია ანდრონიკაშვილი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის	385—391
21. სერგი ჯიქია, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში	393—398
22. მაკარ ხუბუა, ძველი სომხური ტერმინის ჯიჟი შორლობის განმარტებისათვის	399— 400
23. გიორგი ტურჩანინოვი, კლასიკური ხანის მწერალთა <i>Φυσιολογία</i>	401—404

О Г Л А В Л Е Н И Е

	Стр.
1. Г. В. Рогава, К вопросу о рядах фарингальных взрывных в картвельских и адыгейских языках	1—17
2. Ш. В. Дзидзигури, Общность фонетических процессов в комплексах гласных в говорах грузинского и занского языков	19—34
3. С. М. Жгенти, Палатограммы и рентгенограммы гласных сванского языка	35—62
4. В. Т. Топуриа, К вопросу о редукции гласных в картвельских языках	63—90
5. А. С. Чикобава, К принципу обозначения множественного числа в грузинском глаголе	91—130
6. К. В. Ломтатидзе, К вопросу о суффиксе -к в мегрельских глаголах	131—140
7. И. И. Кавтарадзе, Дефективные глаголы в отношении числа в древнегрузинском языке	141—168
8. К. Д. Дондуа, Адыгейского типа эргатив в сванском языке	169—194
9. К. Дзоценидзе, К вопросу о функции творительного падежа с послелогом -გებ -gan в древнегрузинском языке .	195—202
10. А. Г. Мартиросов, Послелог в грузинском языке	203—246
11. С. М. Жгенти, Междометие в новогрузинском литературном языке	247—258
12. Т. С. Каухчишвили, К значению некоторых частиц и союзов в древнегрузинском языке	259—288
13. Т. С. Шарадзенидзе, Отрицательные частицы в сванском языке	289—328
14. А. И. Кизириа, Отношение определяющего слова в родительном к определяемому в древнегрузинском языке . .	329—336
15. К. В. Ломтатидзе, Об одной особенности придаточного предложения в некоторых диалектах грузинского языка	337—345
16. В. М. Беридзе, Эволюция значения слов ზღუდა <i>zγude</i> 'ограда' и производного от него შეზღუდული <i>šezγuduli</i> 'ограниченный'	347—354
17. Ш. В. Дзидзигури, Мегрельский суффикс в грузинском языке	355—358

	Стр.
18. В. Н. Панчвидзе, Морфологические встречи удинского языка с грузинско-картвельскими языками	359—370
19. С. Г. Каухчишвили, Греческо-грузинские семаси-ческие параллели	371—383
20. М. К. Андроникашвили, К этимологии некоторых грузинских слов иранского происхождения	385—391
21. С. С. Джикпа, Грузинский термин коллективного труда в тюркских языках	393—398
22. М. Н. Хубуа, К толкованию древнегрузинского термина <i>ღირნი ღორთი</i> 'черпалка для вина'	399—400
23. Г. Турчанинов, <i>Φειροφάγοι</i> писателей классической древности	401—404

C O N T E N T S

	Page
1. G. Rogava. Concerning a Series of Pharyngeal Plosive Consonants in Kartvelian and Adighean Languages	1—17
2. Sh. Dzidziguri. The Common Basis of the Phonetical Processes of Vowels Complexes in the Dialects of the Georgian and Zanian Languages	19—34
3. S. Zhghenti. Palatograms and Roentgenograms of the Vowels of the Swanian Language	35—62
4. V. Topuria. The Reduction of Vowels in Kartvelian Languages	63—90
5. A. Chikobava. The Principle of the Denotation of the Plural Number in the Georgian Verb	91—130
6. K. Lomtadze. The Suffix <i>k</i> in Megrelian Verbs	131—140
7. I. Kavtaradze. Defective Verbs with Respect to Number in the Old Georgian Language	141—168
8. K. Dondua. The Adighean Type of Ergative Case in the Swanian Language	169—194
9. K. Dzotsenidze. The Function of the Ablative Case with the Postposition <i>-gan</i> in the Old Georgian Language	195—202
10. A. Martirosov. Postpositions in the Georgian Language	203—246
11. S. Zhghenti. Interjections in the Modern Georgian Literary Language	247—258
12. T. Kvakhchishvili. The Significance of Some Particles and Conjunctions in the Old Georgian Language	259—288

- | | |
|--|---------|
| 13. T. Sharadzenidze. Negative Particles in the Swanian Language | 289—328 |
| 14. A. Kiziria. The Relation between the Definitive Derived from the Genitive and the Defined Noun in the Old Georgian Language | 329—336 |
| 15. K. Lomtadze. A Peculiarity of the Subordinate Clause in Some Dialects of the Georgian Language | 337—345 |
| 16. V. Beridze. The Evolution of the Meaning of the Word ზღუდე <i>zyde</i> 'fence' and its derivative შეზღუდული <i>šezjuduli</i> 'limited' | 347—354 |
| 17. Sh. Dzidziguri. A Megrelian Suffix in the Georgian Language | 355—358 |
| 18. V. Panchvidge. Morphological Coincidences in the Udi and Georgian-Kartvelian Languages | 359—370 |
| 19. S. Kaukhchishvili. Greco-Georgian Semasiological Parallels | 371—383 |
| 20. M. Andronikashvili. The Etymology of Some Georgian Words of Persian Origin | 385—391 |
| 21. S. Jikia. The Georgian Term for Collective Work in Turkish Languages | 393—398 |
| 22. M. Khubua. The Interpretation of the Old Armenian Term ჯირომი <i>šorom</i> 'scoop for wine' | 399—400 |
| 23. G. Turchaninov. Φηεροφάγοι of the Writers of Classical Antiquity | 401—404 |

გიორგი როგავა

ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართულსა და აღილეურ ენებში *

ფარინგალურ ხშულთა რიგი, ისე როგორც ფარინგალურ სპირანტთა რიგი, დეფექტურადაა წარმოდგენილი კავკასიურ ენებში.

ქართულს ამ რიგიდან შერჩა მხოლოდ ყ აბრუპტივი. ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულის მთის კილოებს შემონახული აქვთ ყ აბრუპტივთან ერთად ფშვინვიერი ვ. სვანურ ენასაც დაუცავს ორივე სახეობა: ყ და ვ.

ზანურ კილოებში ფარინგალურ ხშულთა რიგიდან ფშვინვიერი სახეობა ვ ყველგან დაკარგული ჩანს. ამავე დროს საერთო ტენდენციაა ამ დიალექტებში ყ აბრუპტივის შეცვლისა ან სახეებით დაკარგვისა.

ყ და ვ ფარინგალურ ხშულთა რეფლექსები ქართულსა და ზანურში

ვ ფარინგალური ხშული ქართულში, როგორც ცნობილია, ისტორიულ-პერიოდში გადავიდა ხ ფშვინვიერ სპირანტში. ძვ. ქართ. ჯარი, ჯელი, ჯმა — ახ. ქართ. ხარი, ხელი, ჭმა და სხვა. ასევეა ზანურში: ძვ. ქართ. ჯარი, სვან. ჯან = ზან. ხოჯი (ხარი), ძვ. ქართ. ჯიდი = ზან. ხინჯი || ხიდე (ხიდი) და სხვა.

ხ სპირანტის პარალელურად ამავე ფარინგალური ხშულის ვ-ს რეფლექსად გვევლინება ფშვინვიერი ხშული ქ. ძვ. ქართ. მცეე = ჯან. ქჟე, ძვ. ქართ. კოც- (აღ-კოცო) = ზან. ქოს (ქოს-უნს-გვის) ¹.

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VI სესიაზე 24 აპრილს 1942 წ.

¹ არნ. ჩიქობავა, ჯანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 235, 240. მეგრულ-ჯანური ფუძე ქოს- უნდა იყოს ქართულიდან შეთვისებული, რამდენადაც მეგრულში გვაქვს ქართული კოც- ფუძის შესატყვისი ხუშ-: ხუშ-უნ-ს 'გვის', აქედან ოხუშალი 'საერთოდ დასაგველი იარაღი, ცოცხი'. ეს კი თავის მხრით ამართლებს ვარაუდს, რომ ქართული კოც- ფუძის წინა სახეობა უნდა ყოფილიყო *კოს (ე. ი. ბოლოკიდური ც-ს; იქვე, გვ. 340), რადგანაც ქართული ხ სპირანტის კანონზომიერი ეკვივალენტია ზანურში შ: ქოს- = მეგრ. ხუშ- — ქუშ-.

ამგვარად, ქართულიდან ნასესხები კოც- ფუძის ფარინგალურ ვ-ს მოუვია ზანურში ქ რეფლექსი, ხოლო საკუთრივ ზანური *ქუშ- ფუძის იგივე კ იძლევა ხ რეფლექსს.

ყ ბგერა შედარებით მტკიცედაა დაცული ქართულსა და სვანურში, მერყევია ზანურ კილოებში. უკანასკნელში ნ. მარის, ი. ყიფშიძისა და არნ. ჩიქობავას¹ შენიშვნით ყ აბრუპტივი სხვადასხვა რეფლექსს წარმოგიდგენს.

ჭანურში „ხმოვნის წინ ან ხმოვანთა შორის ყ ბგერა უცვლელად ინახება ხოტურს კილოკავში, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში კი ყ ბგერის ადგილს ასეთს კომპლექსებში ც იჭერს ანდა. ზოგჯერ ყ ურეფლექსოდ ქრება; მეტწილად ც რეფლექსი ვიწურ-არქაბულს ახასიათებს, ა||0 (ნოლი) კი—ათინურს“... „ვ-ს წინ ყ ვიწურ-არქაბულში (ათინურშიაც) შეიძლება კ-დ იცვალოს“; მაგალითები: ხოფ. ყვარი, ვიწ.-არქ. და ათინ. კვარი ყვაფი, ხოფ. ყვალი, ვიწ.-არქ. და ათინ. კვალი ყველი და სხვა².

ტყ, წყ, ჰყ კომპლექსები ჭანურ კილოკავებში საერთოდ ვერ ძლებს. ხოფურსა და ვიწ.-არქაბულში ყ აბრუპტივი კ-თი იცვლება, ხოლო ათინურში ეს კ-ც იკარგება; მაგალითად, ხოფ. და ვიწ.-არქ. წკარი, ათინ. წარი ყყალი, ხოფ. და ვიწ.-არქ. ტკები, ათინ. ტები ტყაფი და სხვ. ორიოდ შემთხვევაში ხოფურ კილოკავს შემოუნახავს ტყ და ჰყ კომპლექსი: ტყუბი ტყუპი, ჰყინტი³...

ამგვარად, ჭანურის კილოკავებში ხოფურს ყ ბგერა ძირითადად შემოუნახავს, დაუკარგავს მეტწილად ტყ, წყ, ჰყ კომპლექსებში, ხოლო ვიწურ-არქაბულსა და ათინურს ეს ფონემა საერთოდ დაუკარგავთ. ყ-ს ამ კილოკავებში მოუცია კ, ც, ჰ და ნოლი რეფლექსები. ამათში ყ-ს უშუალო რეფლექსებია კ და ც. ჩანს, ჭანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში ფარინგალურ ხშულთა რიგიდან არც ერთი ბგერა არ შემონახულა.

ხოფურ კილოკავში ყ ბგერის შედარებით მტკიცე პოზიცია, როგორც არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, შედეგი უნდა იყოს ქართული დიალექტების ძლიერი გავლენისა.

მეგრულის ორსავე კილოკავში (ზუგდიდურ-სამურზაყანულსა და სენაკურში) ყ ბგერა უცვლელადაა წარმოდგენილი ტყ, წყ, ჰყ კომპლექსებში; მაგალ.: წყარი ყყალი, ტყა ტყე, ჰყოლოფუა ყყალობა და სხვა. მაგრამ იგივე ყ აბრუპტივი ხმოვნებისა და ვ თანხმოვნის წინ მეტწილად გადასულა ც-ში; მაგ.: ქართ. ყინავს=მეგრ. ყინუნს, ქართ. ყიდვა=მეგრ. ყიდირი, ქართ. უყვარს=მეგრ. უყორს და სხვ.

ისეთ ფუძეებში, სადაც ყ ორჯერაა ნახმარი, ყველგან უცვლელად რჩება; მაგ.: ყოყორე: ყოყორე კობეშია (ითქმის რბილ კვახზე), ყაყაბი ქოში, ყორყელი ყელი და სხვა. ყ განსაკუთრებით უცვლელი რჩება ქართულიდან ან ქართულის გზით უცხოურიდან შეთვისებულ სიტყვებში; მაგალ.: ყავარი || ყამბარი, ყამა, ყარული (ყარაული) და სხვა.

¹ ნ. მარი, Грамматика чанского (лазского) языка, გვ. 1; ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. 04; არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 15.

² არნ. ჩიქობავა, Op. cit., 15, 16.

³ არნ. ჩიქობავა, Op. cit., გვ. 17, 18.

არის შემთხვევა მეგრულში ყ ბგერის ურეფლექსოდ დაკარგვისა ხმოვნებს შორის, მაგალითად, ქი ან ა || ქე ან ა და ქე ან ა ჟეჟე ან ა (ქართულიდან შესული).

მეგრულში ყ ბგერის შემონახვას მიაწერენ ქართულის გავლენას¹. მართლაც, ყ-ს გადასვლის ტენდენცია ც-ში რამდენიმედ შენეღდებოდა ქართულიდან ისეთი სიტყვების სესხების შედეგად, სადაც ყ ბგერა იხმარება. მაგრამ უცნაური ჩანს შემდეგი გარემოება: ყ-ს გადასვლა ც-ში უფრო ძლიერია მეგრულის იმ კილოკავში, სადაც უფრო მოსალოდნელია ქართული ენის გავლენა; სახელდობრ: ყ-ს უფრო ინარჩუნებს ზ უგ დიდ უ რ -ს ა მ უ რ ზ ა ყ ა ნ უ ლ ი კილოკავი, ვინემ სენ ა კ უ რ ი, განსაკუთრებით მ ა რ ტ ვ ი ლ უ რ - ბ ა ნ ძ უ რ ი თქმა; მაგ.: ზუგდ.-სამურზ. ყ ე რ წ ი = სენაკ. ყ ე რ წ ი : ყუნწი (ხილისა), ზუგდ.-სამურზ. ყ ვ ა რ ი ლ ი = სენაკ. ყ ვ ა რ ი ლ ი : ყვერული, ზუგდ.-სამურზ. ყ ი რ ტ უ ა = სენაკ. ყ ი რ ტ უ ა : ყლაპვა და სხვა.

იჩვენება, რომ ყ ბგერის პოზიციის მიხედვით რამდენიმედ განსხვავდება ზუგდიდურ-სამურზაყანული დიალექტი სენაკურისაგან. პირველში უფრო მყარია ყ, მეორეში (სენაკურში)—უფრო სუსტი. ზუგდ.-სამურზ. ყ ბგერის შედარებით მეტი გამძლეობა შეიძლებოდა მიგვეწერა აფხაზურის გავლენაზე, სადაც ყ ძირითადად ისევე მყარია, როგორც ქართულსა და სვანურში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა ქართულის სუსტი გავლენა სენაკურ კილოკავზე ყ აბრუბტივის მიმართ.

არაა შეუძლებელი, რომ მეგრულის სენაკურ კილოკავში ყ ბგერის დაკარგვის შედარებით ძლიერი ტენდენცია მივაწეროთ ქანურის გავლენას, რამდენადაც, როგორც ზემოთ ითქვა, ქანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებს ყ ბგერა დაკარგული აქვთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ პროცესი ყ ბგერის დასუსტებისა ზანურ დიალექტებში უნდა დაწყებულიყო იმ ხანებში, როცა მეგრული და ლაზური ერთმანეთთან უშუალო კონტაქტში იყვნენ. ყოველ შემთხვევაში უდავო ფაქტია: ზანურ დიალექტებს ახასიათებთ საერთოდ ფარინგალურ ხშულთა დაკარგვის შინაგანი ტენდენცია; ეს ტენდენცია ყველა კილოკავში ერთგვარი არ იქნებოდა.

მეგრულში ყ ბგერა, გარდა ყ რეფლექსისა, იძლევა კ რეფლექსსაც, როგორც ეს ქანურშია; მაგალითები:

1. მეგრ. კვარია და ქართ. ყვავი, ქან. ყვაოჯი || ყვარი
2. მეგრ. ყებურ სიტყვის ვარიანტი კებური ჟერია. აქაც კ უნდა იყოს მიღებული ყ-საგან.
3. მეგრ. კულე, გეოგრაფიული სახელწოდება, მიღებულია ყულე-საგან (შდრ. ყულევი).
4. მეგრ. კუი-წყარი || ყუი-წყარი || ყულ-წყარი—ყულიში წყარი (მდინარეა ზუგდიდის რაიონში) და სხვა.

ტყ კომპლექსს ერთ შემთხვევაშიც მოუცია ტკ: ტკუბ-ტკუბურო ღორივე ფეხით ერთად, მიღებულია ტყუბ- ფუძის რედუბლიკაციით².

¹ არნ. ჩიქობავა, Op. cit., გვ. 19.

² იქვე, გვ. 20.

ამგვარად, ზანურის დიალექტებში ყ ბგერის რეფლექსებად გვევლინება ც და კ ბგერები: პირველ შემთხვევაში ყ ბგერა დასუსტების შედეგად გადასულა ც-ში და მოუცია სრულებით ახალი ფონემა, ა რ ა ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო ნ ე მ ა, ხოლო მეორე შემთხვევაში ფარინგალურ ყ-ს შენაცვლება სხვა რიგის უკანაენისმიერი ხშული კ, ისეთივე ძირითადი ფონემა, როგორცაა თვითონ ყ აბრუპტივი.

რამდენადაც კ ბგერა უფრო უკანაენისმიერი იქნებოდა დიალექტებში, იმდენად მეტი შესაძლებლობა ექნებოდა მას ყ-სთან შენაცვლებისა.

ქართულში ყ აბრუპტივი, როგორც ზემოთ ითქვა, შედარებით მყარი ჩანს. მისი გადასვლის ტენდენცია ც-ში არ შეიმჩნევა, ყოველ შემთხვევაში ეს ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, მაგრამ საკმაოდ მრავალი შემთხვევა უნდა გვქონდეს ყ-ს შენაცვლებისა კ ბგერით; მაგალითები:

1. ქართ. კურდღელი მიღებულია ქართ. ყურდგელ-ისაგან. „უკანასკნელი უნდა იმლებოდეს ყურ+გრძელ (შდრ. ადილეური თჰაჰკიგმკჰჰა ყურდღელი, შედგენილობით თჰაჰკიგმ ყური და კჰჰა ვგრძელი).

2. ქართ. კოდალი მომდინარეობს ყოდალ-ისაგან. საბას ლექსიკონშია. ყოდალი ოკოდალი. ყოდალ- ფუძის ძირად ჩანს ყოდ-, რაც უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ ფუძეს ცოთ-—ყოთ- ზმნაში ცოთ-ამ-ა „სროლა“ (შდრ. ქართული ზმნა ისროლა ნაწარმოებია სახელისაგან „ისარი“).

3. ქართ., მეგრ. კარ-ი, ქან. ნეკრა || ნეკნა სახელების საერთო კარ-ფუძის შედარება სვანურ ფუძესთან ყორ- კარი გვაფარაუდებინებს, რომ სვანურში უნდა გვქონდეს შემონახული ამ ფუძის ზანური ვარიანტი ყორ-, ხოლო ზანურ კილოებს კი კარ-ფუძე ქართულიდან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული ქართ. კარ- ფუძის წინა სახეობა უნდა იყოს *ყარ- (შდრ. *ყარ- და სვან. ყორ-).

4. ქართ. კლავს ზმნის ფუძე კალ- უნდა იყოს მიღებული *ყალ-ისაგან, რაც დაკუთვლია მეგრულში ცვილ- (+ყვილ-) და ქანურში ყვილ- || ცვილ- სახით¹.

5. ქართ. გა-რეყ-ს ზმნა უნდა მომდინარეობდეს *გა-რეყ-ს სახეობისაგან. სვანურში ამავე ზმნის ფუძეში შემონახულია პირველადი ყ: ლჰა-რაყ ვარეკა („ლექვა ლჰარაყ, ოჲ, სანჯახი“; სვან. პოეზია, გვ. 64). მეგრულში პირვანდელი ყ, როგორც წესი, გადასულა ც-ში: გინო-რაყ-უ (-გინო-რაყ-უ) ვადარეკა. ჩანს, ამ ზმნის ძირში (*რეყ, *რაყ) პირვანდელ ყ-ს ქართულში მოუცია კ რეფლექსი, ხოლო მეგრულში ც და სხვა.

დასკვნა. ქართულსა და ზანურ ენებში ფარინგალური ფშვინვიერი კ იძლევა ხ და ქ რეფლექსებს, ხოლო აბრუპტივი ყ—ც და კ რეფლექსებს.

გ. ახვლედიანი გამოდის ქართველური ენების ხშულთა ბუნებიდან და ყ—კ ფარინგალური ხშულებისთვისაც ვარაუდობს სამეულებრივ სისტემას, ე. ი. ფშვინვიერ და აბრუპტივ (კ და ყ) სახეობასთან ერთად—მჟღერ სახეობასაც. იგი წერს: „ამ ბგერის ისტორიულად არსებობას მოითხოვს ქართ. ხშულთა სამეულებრივი სისტემა: მეექვსე სამეულში მისი ჩასმა მისცემს სამეულს სისრულე“.

¹ არნ. ნიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 353.

ლის სახეს¹. აკუსტიკური შთაბეჭდილება ასეთი ბგერისა მან მიიღო დეფექტური ბავშვის მეტყველებიდან². ამ ფარინგალური მჟღერი სახეობის (ფ-ს) დაკარგვის შესახებ იგივე ავტორი გვაუწყებს: „ისტორიულ ხანაში ეს ფ (ლაპარაკია ფარინგალურ მჟღერზე), როგორც ჩანს, დაიკარგა ქართულ resp. ქართველურ ენებში უკვალოდ; შესაძლოა, რომ იგი შესცვალა ღ-მ ისე, როგორც ახალსალიტერატურო ქართულში ვ შესცვალა ხ-მ, ვინაიდან ფ : ღ = ვ : ხ. საფიქრებელია, სხვათა შორის, რომ იმ ფ-ს ქართველურ ენებში ჰქონდა რაიმე მორფოლოგიური ფუნქცია, რაც მით უფრო საფიქრებელია, რომ მორფოლოგიურ-ფუნქციანი თანხმოვნები უმეტესად პირველი (მჟღერი) წყებისანი არიან (ბ დ ვ)“³.

მართლაცდა, თუ ფშვინვიერი ფარინგალური ხშული ვ შესცვალა ფშვინვიერმა სპირანტმა ხ-მ, ბუნებრივია, რომ მჟღერი ფარინგალური ხშული ფ გადასულიყო მჟღერ სპირანტ ღ-ში, ოღონდ იმ ფ ბგერის დაკარგვის მიზეზი ისევე აუხსნელი რჩება, როგორც აუხსნელია ძველი ქართულის ფშვინვიერი ვ-ს დაკარგვა, ანდა ზანურ დიალექტებში ამავე რიგის ყ აბრუპტივის დაკარგვის ძლიერი ტენდენცია. საგულისხმო ფაქტია, რომ ქართველურსა და მთის კავკასიის ენებში ამ რიგის ხშულებიც, როგორც ფარინგალური სპირანტები, საერთოდ განიცდიან დაკარგვას, უმეტეს შემთხვევაში კი სხვა მიახლოებული ბგერით შენაცვლებას; ამის უდავო ფაქტები მრავალია როგორც აფხაზურ-ადიღურ ენებში, ისე დაღისტნის ენებშიც.

გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ის ზემოაღნიშნულ ვარაუდს ჩვენ დაუშვამტებთ შემდეგს: ამავე მჟღერ ფარინგალურ ხშულს (ფ-ს) შეიძლებოდა შენაცვლებოდა, ღ მჟღერი სპირანტის პარალელურად, მჟღერი ხშული გ; რამდენადაც ამავე ფ ფარინგალურის რიგის აბრუპტივი ყ-ს, როგორც ზემოთ ვნახეთ, შენაცვლებია, ჯ-ს პარალელურად, აბრუპტივი კ (გ-ს რიგისა), ანდა ფშვინვიერ ფარინგალურ ვ-ს, ხ-ს პარალელურად, შენაცვლებია ქ (იმავე გ-ს რიგისა): ფ : გ = ყ : კ ან ვ : ქ.

საბოლოოდ, ფარინგალურ ხშულთა სამეჟლის რეფლექსებად ქართველურ ენებში უნდა მივიჩნიოთ:

ყ — ხ || კ
 ვ — ხ || ქ
 ფ — ღ || გ

ჩვენ გვქონდა შემთხვევა სათანადო მასალებზე დაყრდნობით გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ქართველურ ენებს, განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მსგავსად ადიღური ენებისა, უნდა ჰქონოდა არა სამეჟლებრივი სისტემის ხშულები, არამედ ოთხეჟლებრივი სისტემისა; სახელდობრ, სავარაუდებელია ქართველურ ენათა ხშულებს ჰქონოდათ მჟღერის, ფშვინვიერისა და აბრუპტივის გვერდით ამავე რიგის მეოთხე ბგერა „პრუპტივი“ (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ის მიერ დადგენილი ტერმინი). რომლისთვისაც დამახასიათებელია მინიმალური ფშვინვიერობა.

¹ ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 133.

² ibid., გვ. 133.

³ ibid., გვ. 133—134.

პრერუპტივის ტიპის ხშულები დადასტურებულია ქვემოადილეური ენის შაფსულურსა და ბეედულურ დიალექტებში¹. ქვემოადილეურის სხვა დიალექტებსა და ყაბარდოულის კილოებშიც ხშულთა ეს ტიპი დაკარგული ჩანს. მათ შინაცვლება იმავე რიგის სხვა ხშულები; სახელდობრ: ყაბარდოულის დიალექტებში პრერუპტივებს შენაცვლება ყველგან მჟღერები, ხოლო ქვემოადილეურის დიალექტებში—ფშვინვიერები (ყაბარდ. დჰ, ქვ.-ადიდ. თჰ ჩვენ.—ფჰ). ამჟამად ქვემოადილეურის ფშვინვიერი ხშულთა შესატყვისობა ყაბარდოულის ამავე რიგის მჟღერებთან აიხსნება სწორედ ამ პრერუპტივის რეფლექსებით².

ასეთივე მეოთხე ტიპის ხშული—პრერუპტივი უნდა ჰქონოდა სხვა კავკასიურ ენებსაც. მთის კავკასიის ზოგ ენაში ზოგჯერ გემინატად გაგებული ხშულები შეიძლება ეგვე პრერუპტივები აღმოჩნდნენ. საერთოდ კავკასიურ ენებში პრერუპტივის ტიპის ხშულთა ოდესღაც არსებობის ერთ-ერთ მაჩვენებლად ჩვენ მიგვაჩნია მონათესავე ერთეულებში, როგორც სისტემა, ერთი და იმავე რიგის ხშულთა შესატყვისობა: მჟღერისა—ფშვინვიერთან თუ აბრუპტივთან, ან ფშვინვიერისა—მჟღერთან თუ აბრუპტივთან, ანდა აბრუპტივისა—მჟღერთან თუ ფშვინვიერთან. ასეთი შესატყვისობა უნდა იყოს შედეგი პრერუპტივის ტიპის ხშულის განსხვავებული რეფლექსებისა დიალექტების მიხედვით³.

ქართველურ ენებში ფარინგალური ხშულებიც, როგორც საერთოდ ხშულები, უნდა ყოფილიყო ოთხეულბრივი სისტემისა. ამდენად, სავარაუდებელია მეოთხე ტიპის ხშულის—ფარინგალური პრერუპტივის ოდესღაც არსებობა. ეს ოთხეული იქნებოდა შემდეგი შედგენილობისა: აბრუპტივი ფ, ფშვინვიერი კ, მჟღერი ზ და პრერუპტივი მ.

ამით უნდა აიხსნებოდეს ქვემოთ განხილულ მასალებში არსებული შესატყვისობანი.

ამ ოთხეულის რიგიდან ყველა ქართველურ ენაში დაკარგული ჩანს მჟღერი და პრერუპტივი ტიპები (ზ და მ), ზოგ ქართველურ ენას ამათთან ერთად დაუკარგავს ფშვინვიერი ტიპიც კ, ზოგს კიდევ, მაგალითად, ქანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებს, ოთხივე ტიპი აქვს დაკარგული.

ფარინგალური პრერუპტივის რეფლექსები

ფარინგალურ ხშულთა ოთხეულიდან ქართველურ ენებს პირველად უნდა დაჰკარგოდათ პრერუპტივი მ, ისიც შორეულ წარსულში. არაა შეუძლებელი

¹ N. Jakovlev, Kurze Übersicht über die tscherkessischen (adygheischen) Dialekte und Sprachen: Caucasia, 6, 1930.

² ჩვენი ნაშრომი: ხშულთა ოთხეულბრივი კისტემა ადილეურს ენებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 3.

³ ჩვენი ნაშრომი: ხშულთა ოთხეულბრივი სისტემისათვის კავკასიურ ენებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 8.

ამ ბგერის უკვალოდ გაქრობა ზოგ შემთხვევაში, მაგრამ ძირითადად მოსალოდნელია მას შენაცვლებოდა იმავე რიგის სხვა ტიპი: ან მჟღერი ან ფშვინვიერი ანდა აბრუპტივი. უკანასკნელებმა კი შემდეგში მოგვცეს თავიანთი რეფლექსები. ვფიქრობთ, რომ ამ რეფლექსების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ფუძეებში აღვადგინოთ როგორც მჟღერი ფარინგალური ხშული ზ, ისე პრერუპტივი მ; სახელდობრ:

ა) თუ ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში გვექნება სიტყვათა ფუძეებში მხოლოდ მჟღერ სახეობათა შესატყვისობა, ე. ი. ღ მჟღერი სპირანტისა გ მჟერ ხშულთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ფუძეში უნდა ყოფილიყო პირველადი მჟღერი ფარინგალური ხშული ზ.

ბ) თუ კიერთსა და იმავე ფუძეში გვექნება ყ, კ, ზ ფარინგალურ ხშულთა რეფლექსების შესატყვისობა, ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ფუძეში უნდა ყოფილიყო თავიდანვე პრერუპტივი სახეობა მ.

ამ ხერხით, მაშასადამე, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება მივაგნოთ ზოგიერთ ფუძეს, სადაც იხმარებოდა ფარინგალურ ხშულთა რიგის ამჟამად უკვე დაკარგული ორი ტიპი: მჟღერი და პრერუპტივი.

მჟღერი ფარინგალური ხშული ზ ფუძეებში:

1. მეგრ. გენი || გინი, ქან. გენი || ჯენი «ზო სიტყვის ფუძე გენ || გინ არნ. ჩიქობავას დაკავშირებული აქვს სვანურ ფუძესთან ღუნ «ზო»¹. ზანურ მჟღერ ხშულ გ-ს აქ შეესატყვისება მჟღერი სპირანტი ღ. ორივე უნდა იყოს ფარინგალური მჟღერი ზ-ს რეფლექსი. მაშასადამე, გინ- || ღუნ- ფუძის წინა სახეობა უნდა ყოფილიყო ზუნ-.

2. სვან. გარგლა «ლაპარაკი» ფუძის შესატყვისია ქანური ღარღალი². ამ შესატყვისობაშიც უნდა გვექონდეს ფარინგალური მჟღერი ზ-ს რეფლექსები: სვანურში—გ, ზანურში—ღ.

3. ქართ. გობი=სვან. ღობ || ღუებ «სკა, როფე». ამ ფუძეთა თავკიდური ბგერები გ და ღ აგრეთვე უნდა მომდინარეობდეს ზ ფარინგალური მჟღერისაგან.

ფარინგალური პრერუპტივი მ ფუძეებში:

1. მეგრ. გორდი «ბაყაყი» ი. ყიფშიძეს დაკავშირებული აქვს ქართულ დიალექტებში შემონახულ სიტყვასთან ყვართ-ი «ბაყაყი», ორივე სიტყვის ფუძე კი—ძველი ქართულის მყუარ-თან³.

¹ ქან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 84.

² იქვე, გვ. 346.

³ Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. XX.

მეგრ. გორდ- და ქართ. ყვარტ- ფუძეები შედგენილი უნდა იყოს: გორ+დ(ი), ყვარ+ტ(ი). გორ- და ყვარ- ერთი და იმავე ფუძის ვარიანტი უნდა იყოს, -დ(ი)||-ტ(ი) კი ელემენტია სიტყვისა „დიდი“. თვითონ დიდი რელუპ-ლიცირებული ფორმაა, რამდენადაც ზედსართავი სახელებისთვისაა დამახასიათებელი ასეთი წარმოება (შდრ. დიდ-დიდი-ი, პატარ-პატარა, მაღალ-მაღალ-ი და სხვა). ამგვარად გორ-დ-ი||ყვარ-ტ-ი სიტყვასიტყვით არის ბაყაყი დიდი. გურულ კილოში შემონახული ზანური სიტყვა ყვა-ქიჭა 'ბაყაყი' უნდა იყოს არა ყვა+ქიჭე „შუბლ+პატარა“, არამედ ყვარ+ქიჭე „ბაყაყი პატარა“¹.

ყვარ- და გორ- ფუძეებში თავიკიდური ბგერები ყ და გ უნდა ვივარაუდოთ მ პრერუპტივის რეფლექსებად. პრერუპტივის უშუალო რეფლექსია ყ, ხოლო გ —პრერუპტივის შემცვლელი გ-ს რეფლექსი. ჩანს, ყ ამ ფუძეში შეორეულია, ხოლო გ —მესამეული.

2. ქართ. კვერცხ- ფუძე არნ. ჩიქობავას დაშლილი აქვს კვერ+ცხ-, სადაც ხ ფონეტიკურ დანართად მიიჩნევა². კვერ- ფუძეში კ ფარინგალური ყ-ს უშუალო რეფლექსი უნდა იყოს. ქართული კვერ- ფუძის შესატყვისია მეგრულში ფუძე *გვაჯ სიტყვაში ო-გვაჯ-ე აზუდე, სიტყვასიტყვით ო-კვერცხ-ე საკვერცხე, კვერცხის დასადები (შდრ. მეგრ. ო-ქოთომ-ე საქათმე, ო-ცხენ-ე საცხენე და სხვა). *გვაჯ- და კვერ- ფუძეებში ძირია გვ- და კვ- (მეღერი და აბრუპტივი ვარიანტები). მეგრ. -აჯ- და ქართ. -ერ- შესატყვისი დეტერმინანტებია³.

მეგრ. გვაჯ- ფუძისაგან უნდა იყოს ნაწარმოები მამაკაცის სახელი გვაჯა || გაჯა და გვანჯი და გვარებიც გვაჯა-ია, გვაჯა-ვა. -აჯ- სუფიქსი კი ითვლება -ად-ისაგან მიღებულად: გვაჯ--გვად-. უკანასკნელი დაცულია სამეგრელოში გავრცელებულ მამაკაცის სახელში გვადი, გვადა.

ქართ. კვერ- ფუძის წინა სახეობა უნდა იყოს ყვერ- (კ-ყ). მართლაც, საბაბას ლექსიკონში ჩანამატი: „კვერცხი აგრეთვე კაცის კაკალს ეწოდება“.

კვერცხ- ფუძის -ც- ელემენტი შეიძლება ცალ- ფუძესთან იყოს დაკავშირებული, ე. ი. კვერ-ც(ხ)-ი იყოს სიტყვასიტყვით ყვერ-ც(ალ)-ი.

ქართ. კვერ-, ყვერ- ვარიანტების პარალელურად გვაქვს მეგრ. ფუძე გვაჯ--ყვაჯ-. უკანასკნელი დეტერმინანტიურთ (-აჯ-) ემთხვევა მეგრ. გვაჯ-ფუძეს.

ქართ. კვერ-, ყვერ-, მეგრ. გვაჯ--ყვაჯ-, გვაჯ- ფუძეთა თავიკიდური თანხმოვანი კ, ყ, გ უნდა წარმოადგენდეს მ ფარინგალური ხშულის რეფლექ-

¹ -დ-ი ფუძე („დიდის“ მნიშვნელობით) უნდა გვექონდეს სხვა ფუძეებშიც: ქართ. ცულ-დ-ი (- ცულ+დიდი), წალ-დ-ი (- წალ+დიდი), ქართ. წალ-ის შესატყვისია მეგრულში ჭულ- ფუძე სიტყვაში ბურ-ჭულ-ი 'წალი' (არნ. ჩიქობავა, შედ. ლექსიკონი, გვ. 162); მეგრ. ნოსად-ი 'ბიცოლა' — ნოსა+დიდი 'რძალი დიდი', მეგრ. ჯიმადი 'ბიძა' — ჯიმა+დიდი 'ძმა დიდი' (არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 28).
² კანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, გვ. 109.
³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი ატეხულება ქართველურ ენებში, გვ. 101

სებს: გ მჟღერი—ფარინგალური ფ-ს შუალობით, ხოლო ჯ და კ—ფარინგალური ყ-ს შუალობით. მაშასადამე, გ, კ, ჯ ამ შემთხვევაში მესამეულად უნდა გვევლინებოდეს.

არნ. ჩიქობავა სვამს კითხვას კვერცხ-ის. კვერ- და ზან. მა-რ-ქვალ-ის ქვალ- ფუძეთა საერთო ძირის ქვ- და კვ-ს შესახებ¹. თუ მართლაც ქვ-ალ- და კვ-ერ- ფუძეებში საერთო ძირთან გვაქვს საქმე, მაშინ ჩვენ ერთსა და იმავე ძირში მჟღერ და აბრუპტივ სახეობათა გვერდით გვექნება ფშვინვი-ერი სახეობაც ქ-კ.

ზემოდასახელებულ ავტორს სვანურ ლგ-გრ-ე კვერცხი: სიტყვის ფუძე -გრ- თითქოს მიაჩნია იმავე კვ-ერ- ფუძის შესატყვისად². ასეთ შემთხვევაში ძირისეული თანხმოვანი გ- მჟღერი ვარიანტისაა.

გვ, კვ ძირის (მნიშვნელობით „კვერცხი“) ვარიანტები უნდა გვქონდეს შემდეგს მაგალითებში:

ა) ქართ. კვერ-ი = მეგრ. კვარ-ი ‘კვერი’

ბ) ქართ. კოდ- ზმნაში კოდ-ავ-ს უნდა იყოს მიღებული *ყოლ- სახეობისაგან, უკანასკნელი კი *ყვად-ისაგან, რაც უნდა წარმოადგენდეს მეგრ. გვად-ფუძის აბრუპტივ თავკიდურიან ვარიანტს: კოდ-ავ-ს ← *ყვად-ავ-ს, შდრ. ქართ. ყვერ-ავ-ს ზმნას.

გ) მეგრ. -კალ- ფუძე ‘ცალი, ერთი’ დატულია: სიტყვაში ჟირ-კალ-ი ‘ორი ცალი, ორიოდე; -კალ- ფუძის რედუპლიკაციითაა ნაწარმოები კაკალ-ი (-კალ-კალ-), გავრცელებული ქართულსა და მეგრულში; ამავე კალ- ფუძისავე რედუპლიკაციით უნდა იყოს მეგრული ნაცვალსახელი კან-კალ-ე || კარ-კალ-ე ‘ზოგიერთი’ (შდრ. ქართ. ზოგიერთ ფუძის შედგენილობა: ზოგი+ერთ-ი).

ეგვევ კალ- ფუძე ქართულში გვხვდება ნაწილაკის სახით ორ შემთხვევაში: ერთია მარტო-კა „მარტო ცალი“, „მარტო ერთი“ და მეორეა საშ. ქართ. ყველა-კა (აბრძანა, წადით ყველაკაი, აქა მომხრედ არვინ მინა“: ვეფხისტყაოსანი, ტ. 171), სიტყვასიტყვით: „ყველა ცალი“, „ყველა ერთი“.

კალ- ფუძის ვარიანტი უნდა იყოს სვან. ნაწილაკი გარ ‘შოლოდ, მარტო’ და ქართული -ლა ნაწილაკი, პირვანდელი მნიშვნელობით „ცალი“, „ერთი“.

ქართ. -ლა ნაწილაკის შესატყვისად თვლის ი. ყიფშიძე მეგრ. -გა ნაწილაკს ნაცვალსახელებში მი-დ-გა || მი-გი-და ‘ვი-ლა-ცა’ და სხვაში³.

მეგრ. კალ-, -გა, სვან. გარ, ქართ. -კა, -ლა ნაწილაკები უნდა იყვნენ წარმომდგარი გვ, კვ ძირისაგან დელაბიალიზაციის გზით.

ამგვარად, კვერცხ-ი: სიტყვის კვერ- (-ყვერ-) ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკურ ვარიანტებად შეიძლება მივიჩნიოთ მეგრ. გვაჯ-← გვად-, ქართ. კვერ-, მეგრ. კვარ-, ქართ. კოდ-← *ყვად- (= კოდ-ავ-ს), მეგრ. -კალ- (ჟირ-კალი ‘ორი ცალი’), -გა (მი-დი/ღ-გა ‘ვინ-ცა-ლა’), სვან. გარ (დორი გარ ‘ორი-ლა’), ქართ. -ლა (ორი-ლა). ძირისეული თანხმოვნის ამოსავლად უნდა მივიღოთ ფარინგალური პრერუპტივი მ.

¹ ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 109—110.

² ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 109.

³ Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. 049.

3. მეგრ. ბირგულ, ქან. ბურგულ¹ ის 'მუხლი' ფუძედ არნ. ჩიქობავას გამოყოფილი აქვს -გულ-, რაც სვან. ლულ- ფუძის (ლულა 'მუხლი') შესატყვისად აქვს მიჩნეული და უკავშირებს ინდოევროპულ გულა || კულა ფუძეს²:

ზან. ბურ-გულ-ის შესატყვისია ქართ. ბარკალ-ი; ბარკალ-ის მეგრ.-ქან. ეკვივალენტად ნ. მარს დასახელებული აქვს ბორკ-ი 'ფეხი'; უკანასკნელი ფუძე კი მისი აზრით უკავშირდება ფერკ- ფუძეს³.

ამავე ფუძეების ვარიანტები უნდა იყოს:

ა) ქართ. ბაყვ- ('ბაყვი' მუგლს ზეითი⁴: საბა). ბა- გამოეყოფა აფიქსად, ძირისეული თანხმოვანი აქ აბრუპტივი ვარიანტითაა (ყ) წარმოდგენილი, რაც ბა-რ-კ-ალ-, ბო-რ-კ- ფუძეების კ ძირის წინა სახეობას წარმოადგენს.

ბ) სვან. მარკალ 'ფეხი' ('დიპრს ისგვე მარკლპრ ხეჩდა⁵: სვან. პოეზია, გვ. 158) უნდა მომდინარეობდეს *ბარკალ- სახეობისაგან (შდრ. ბაჯ 'ნაბიჯი'). ეგვევე ფუძე უნდა იყოს ქართ. მარხილ ← მარკილ- ფუძის ვარიანტი.

გ) არაა შეუძლებელი მუკლ- სახელში მუ- გამოეყოთ პრეფიქსად (ბუ-ს ვარიანტად) და ფუძედ მივიჩნიოთ -კლ- (← ქალ). ძირად რჩება კ.

მაშასადამე, მუხლის, ფეხის გამომხატველ ფუძეთა ძირისეული მკლერი, ფშინვიერი და აბრუპტივი ვარიანტები: ქან. ბუ-რ-გ-ულ-, მეგრ. ბი-რ-გ-ულ-, სვან. ღ-ულ-ა, ძვ. ქართ. ფე-რ-კ-, ძვ. ქართ. მუ-კ-ლ-, სვან. ბა-კ-, მა-რ-კ-ალ-, ქართ. ბა-ყ-ვ-, მეგრ. ბო-რ-კ- უნდა მივიჩნიოთ იმავე ფარინგალური პრერუპტივის (მ) რეფლექსებად.

4. სვან. და-გრ-ა 'სიკვდილი? ზმნის ფუძე -გარ- უკავშირდება ზანურ ფუძეს ღურ- (ღურ-ა 'სიკვდილი')⁶. გარ-, ღურ- ფუძეთა თავკიდური ბგერების (გ, ღ) ამოსავლად მივიჩნევდით მკლერ სახეობას ღ-ს, მაგრამ ამავე ფუძეთა ძირისეული აბრუპტივი ვარიანტი უნდა გვექონდეს ქართ. ფუძეში კალ- (მო-კალ ზმნა), მიღებული *ყალ-ისაგან (შდრ. ზან. წვილ- || -ყილ ← ყვილ-)- წარმოდგენილი ფუძე კალ- არნ. ჩიქობავას ქართ. კუ-ედ-ფუძესთან ერთად (მო-კუედ ზმნა) საერთო ძირის მქონედ აქვს მიჩნეული⁷. ამდენადვე, აქაც ძირისეული თანხმოვნის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ფარინგალური პრერუპტივი.

5. მეგრ. წა- 'შტო, ტოტი' მიღებული ჩანს ყალ-ისაგან. ქანურის ხოფურ დიალექტში შემონახულია ყალ- ფუძე. პირვანდელი მნიშვნელობა ამ ფუძისა უნდა ყოფილიყო „ხელი“ (შდრ. სიტყვა ტოტი: ადამიანის ტოტი და ხის ტოტი). ზანური ყალ- ფუძის შესატყვისია ქართ. კელ- ფუძე (ძვ. ქართ. კელი). ეს შესატყვისობაც უნდა იყოს გამოწვეული ფარინგალური პრერუპტივის რეფლექსებით. ასე რომ, კელ- და ყალ- ფუძეთა პირვანდელი სახეობა იქნებოდა მელ- || მალ-.

¹ ქან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 64.

² Из поедлок в Сванию, გვ. 27.

³ არნ. ჩიქობავა, ქან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, გვ. 350.

⁴ სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 122.

მეგრ. ფუძე **წალ-** (← **ყალ**) იხმარება აგრეთვე სხვა მნიშვნელობითაც: „ყელი“. მეგრ. **წალ** და ქართ. **ყელ-**ში¹ ძირისეული **ყ-** ბგერა პირველადია.

ზან. **ყალ-** ფუძეში კი, „ხელის“ მნიშვნელობით, **ყ** მეორეულია. ფარინგალური პრერუპტივის დაკარგვის შედეგად მივიღეთ ომონიმები: **ყალ-** — ‘ხელი’, ‘ტოტი’ — **ყალ-** ი ‘ყელი’.

6. სვან. **ყალ-** ფუძის (მა-ყალ ‘შიში’) შესატყვისი უნდა იყოს მეგრ. **ლალ-** ფუძე (დი-ი-ლალ-უ ‘დაშინდა’: იტყვიან დაშინებულ ჩვილ ბავშვზე: ბალანაქ დიი-ლალ-უ ‘ბავშვი ძლიერ დაშინდა’). შეიძლებოდა ამავთუფუძესთან დაგვეკავშირებინა ქართ. **ლალ-** ფუძე (და-ი-ლალ-ა), მაგრამ სემანტიკური სხვაობა ამას მეტად საეჭვოდ ხდის. **ლალ-** და **ყალ-** ვარიანტები უნდა მომდინარეობდეს **ღალ-** სახეობისაგან.

7. ქართ. **ღვიძლ-** ფუძის **ღვიძ-** ძირის სვანურ შესატყვისად ჩანს **ყვიჟ-ე** ‘ღვიძლი’. აქაც თავკიდურ თანხმოვანთა ამოსავალი ჩანს პრერუპტივი **ჟ**.

სხვა მასალების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ წამოყენებული დებულების შესამოწმებლად ესეც საკმარისია.

ამის შემდეგ საინტერესო იქნება განვიხილოთ თითო-ოროლა ისეთი შემთხვევა, სადაც ფუძე თითქოს საერთო კავკასიური ჩანს. ასეთ მასალებზე მსჯელობა მეტად ძნელია, რამდენადაც კავკასიური ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე არ იძლევა საშუალებას გავერკვეთ იმაში, საერთო წარმოშობისაა ესა, თუ ის ფუძე, თუ სესხების გზით მიღებული ერთი ენიდან მეორეში.

ამისდა მიუხედავად, მაინც წარმოვადგენთ ორიოდ მაგალითს:

1. ქართ. **ბელ-ელ-** და მეგრ. **ბალ-უ**. ‘ბელელი’ სიტყვების ფუძე **ბელ-**, **ბალ-** უკავშირდება ყაბარდოულ **ბაკ-** ფუძეს (აღნიშნავს ‘ფარდულს’ ‘сарапан’). ეს სიტყვა თითქოს ქართველური წარმოშობისა ჩანს, რამდენადაც ქართულსა და მეგრულში გვაქვს კანონზომიერი შესატყვისობა ხმოვნებისა: ქართ. **ბელ-**: მეგრ. **ბალ-**. ამიტომ შეიძლებოდა ყაბარდოულში ყოფილიყო შტოვისებული ქართველური ენებიდან, მაგრამ შეიძლება პირიქითაც, ქართველურ ენებს ადიღურიდან ჰქონდეს შეთვისებული: ყაბარდოულის მოკლე **ა** მეგრულს **ა**-თი გადმოცდოს, ხოლო ქართულს — **ე**-თი. შესაძლებელია აგრეთვე მესამე შემთხვევა: ეს ფუძე იყოს საერთო კავკასიური კუთვნილება. სამივე ვარაუდისათვის ასახსნელია ქართველურ ენათა **ბელ- || ბალ-** ფუძეთა **ღ-**სა და ყაბარდოული **ბაკ-** ფუძის **კ-**ს შესატყვისობა. თუ აქ საერთო წარმოშობის ფუძეა, ხომ არ არის **ღ** და **კ** ბგერები საერთო კუთვნილების ფარინგალური პრერუპტივის რეფლექსები?

2. აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში გვაქვს სიტყვა **ყაფშ** ‘წითელი’. ფუძეა **ყაფ-**, — შ გარკვეული აფიქსია, შესატყვისი ადიღური ენების — **ჟ** აფიქსისა. რომელიც ფერების აღმნიშვნელ სახელებს ერთვის, მაგალითად, ადიღ. **ფლ-ჯ-ჟ** ‘წითელი’, ‘ხიჯ-ჟ ‘თეთრი’ და სხვა.

აფხაზურ-აბაზურ **ყაფ-** ფუძეს საერთო უნდა ჰქონდეს მეგრულ ფუძესთან.

¹ Грамматика мингрельского (ивер.) языка. (ლექსიკონი).

ღაფ- (ღაფ-უა 'ღებვა') და ქართ. **ღებ-** ფუძესთან (ღებ-ვა) [შდრ. რუსული ზედსართავი სახელი крас-ным და ზმნა он крас-ит]. **ყაფ-** ფუძე აფხაზურ-აბაზურს ზანურიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული, რამდენადაც ქართველურ ენებში ამ ფუძეს მოეპოვება ფონეტიკური შესატყვისობა **ღაფ-**: **ღებ-**; შესაძლებელია აქ მორფოლოგიურ შესატყვისობასთანაც გვექონდეს საქმე: **ღაფ-** და **ღებ-** ფუძეებში ზანურის **-აფ-** შესატყვისისა ქართულის **-ებ-** სუფიქსისა (შდრ. მეგრ. ჩხოწ-აფ-ა და ქართ. ცხოწ-ებ-ა).

ქართველური ენებიდან **ღ** ბგერის აფხაზურ-აბაზურში ყ-ს სახით გადასვლა სვამს კითხვას: ხომ არ ჰქონდა ზანურსაც **ღაფ-** ფუძის ვარიანტად **ყაფ?** ასეთ შემთხვევაში **ღ** და **ყ** შეიძლება ფარინგალური პრერუპტივის რეფლექსებად მიგვეჩინა.

თუ აღმოჩნდება ქართველური ფუძე **ღაფ-** || **ღებ-** და აფხაზურ-აბაზური **ყაფ-** საერთო წარმოშობისა, ასეთ ვითარებაში ძირისეული თავკიდური თანხმოვნის ამოსავლად უნდა ვიგულისხმოთ საერთო კუთვნილების ფარინგალური პრერუპტივი.

ფარინგალური ხშულები ადილეურ ენებში

ადილეურ ენებშიც ისე, როგორც ქართველურ ენებში, ფარინგალურ ხშულებს დიდი ცვლილება განუცდიათ. ადილეური ენები განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ; როგორც ზემოთ ითქვა, აქ ზოგს დიალექტში დღემდისაც დაცულია ხშულთა ოთხეული. ამიტომ, ცხადია, ამ ენებში ფარინგალურ ხშულთა რიგის ოთხივე ტიპის—**ყ კ ზ მ** ბგერების ოდესღაც ერთად არსებობის ვარაუდს უფრო მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე რომელსამე სხვა კავკასიურ ენაში. ამ რიგის ხშულებიდან თითო-ოროლა ტიპია გადარჩენილი ადილეურ დიალექტებში, დანარჩენის მხოლოდ რეფლექსებია წარმოდგენილი.

1. ფარინგალური აბრუპტივი **ყ**, როგორც ლაბიალიზებული, ისე არალაბიალიზებული სახისა, ორსავე ენაში დაკარგული ჩანს: იგი გადასულა **ჩ** ბგერაში, როგორც ეს გვაქვს ზანურ დიალექტებში. ადილ. **ჩ** 'ხელი' სიტყვის წინა სახეობა უნდა ყოფილიყო **ყ** (შდრ. უბიხური ყაპა 'ხელი').

შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ შაფსულთა მეტყველებაში თითო-ოროლა შემთხვევაში მოგვეპოვება **ყ** ბგერა, მაგალითად, ტყჷწ 'ორი', ღყჷად 'თქვა', ჰაქუჩელთა მეტყველებაში კი უფრო მეტადაა შემონახული **ყ** აბრუპტივი.

ადილეურის მოძმე ენებიდან აფხაზურსა და უბიხურში **ყ** ბგერა დაცული ჩანს, მაგრამ გადაღმა აფხაზურში, აბაზურში, ძრავალ შემთხვევაში გადასულა იმავე **ჩ** ბგერაში. ეგებების ეს მიეწეროს ადილეური დიალექტების გავლენას.

ყ-ს **კ**-თი შენაცვლების შემთხვევები, როგორც ეს ქართველურ ენათა დიალექტებშია, ადილეურ დიალექტებში არ უნდა გვექონდეს, რაც იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ადილეური დიალექტების **კ ქ გ** რიგის ხშულები პალატალიზებული სახითაა წარმოდგენილი. ეს ეხება განსაკუთრებით არალაბიალიზებულ სახეობას.

მაშასადამე, ყ აბრუპტივი ადიღურ დიალექტებში იძლევა მხოლოდ ერთ რეფლექსს —**ც**-ს.

2. ფშვინვიერი ფარინგალური ვ ადიღურ ენებში შემონახული აქვს ყაბარდოულ. ენას როგორც არალაბიალიზებული, ისე ლაბიალიზებული სახისა; მაგალითები: **კვ**- 'სამარე', **ბვკ**- 'ფარდული', **კჷვ** 'ლორი' და სხვა.

ქვემოადიღურში ვ ბგერას შენაცვლება იმავე რიგის ხშული **ჟ**, რომელსაც გაცილებით ნაკლები ფშვინვიერობა ახასიათებს (უკანასკნელი ბგერის შესახებ ქვემოთ). რომ ქვემოადიღურის დიალექტებსაც გააჩნდა ფარინგალური ფშვინვიერი ვ, მტკიცდება შაფსულური დიალექტით. უკანასკნელში ყაბარდოული ვ-ს შესატყვისია თავისებური სპირანტი **ხ**; მაგალითად, ყაბარ. **კვ**-: შაფს. **ხვ**- 'სამარე', ყაბარ. **კჷვ**-: შაფს. **ხჷვ** 'ლორი', ყაბარ. **კჷჷჷ**-: შაფს. **ხჷჷჷ**- 'მსხალი' და სხვა. შაფსულურში მომხდარა ვ ხშულის სპირანტიზაცია.

ყაბარდოულის ლექსიკაში მეტად განსაზღვრულია ვ ფშვინვიერი ფარინგალური ხშულის ხმარება. აიხსნება ეს იმით, რომ ამ ენაშიც არის ტენდენცია ვ ბგერის დაკარგვისა; მაგალითისათვის: ყაბარდოული მაყვ 'ხმა' სიტყვის წინა სახეობა, ქვემოადიღური ენის შაფსულური დიალექტის მასალის მიხედვით, უნდა ყოფილიყო მაკვ (შაფსულურში ამ ფუძის ვ-ს შესატყვისად გვაქვს სპირანტი **ხ**). მართლაც, ბასლენურ დიალექტში მოხუცების მეტყველებაში შემონახულია მაყვ სახეობის პარალელურად მაკვ სახეობაც.

ადიღურის მოძმე ენებიდან ვ დაუკარგავს გადმოღმა აფხაზურს, გადაღმა დიალექტებს კი შემოუნახავთ, თუმცა ზოგიერთ თქმაში ამ ბგერას უკვე დაუწყია გადაგვარება.

3. მჟღერი ფარინგალური ხშული **ჟ** ადიღურ ენებს უნდა დაჰკარგოდათ შორეულ წარსულში. მასაც, როგორც ქართველურ ენებში, უნდა შენაცვლებოდა მჟღერი სპირანტი **ღ** ან ეგების იმავე რიგის პრერუპტივი (**ჟ**). შესაძლებელია **ჟ**'ს რეფლექსი ყოფილიყო ფარინგალური ხშული სპირანტი **ჟ**, რომელიც ადიღურ ენებს არც ასე დიდი ხანია დაჰკარგვიათ საკუთარ ლექსიკურ მასალაში და რომელიც დღემდე შემონახული არაბული ენიდან შეთვისებულ სიტყვებში¹.

გ ხშულს ვერ ჩავთვლით ფარინგალური **ჟ**-ს რეფლექსად ისევე, როგორც **კ** და **ქ** არ ჩავთვალეთ ფარინგალური **ყ** და **კ** ბგერების რეფლექსებად იმის გამო, რომ ამ რიგის ხშულები (**გ ქ კ**) ადიღურ დიალექტებში პალატალიზებული ჩანან. შესაძლებელი კი არის ამ დიალექტებში **გ ქ კ** ხშულები ისეთივე უკანაენისმიერნი ყოფილიყვნენ, როგორიც გვაქვს ქართველურ ენებში; ასეთ შემთხვევაში კი სავარაუდებელია **ყ ვ ჟ** ხშულებს შენაცვლებოდა **კ ქ გ** ხშულები.

4. ფარინგალურ ხშულთა რიგიდან პრერუპტივი ტიპი უნდა გვეკონდეს შემონახული ქვემოადიღურის დიალექტებში და ისიც შეიძლება რამდენადმე სახეცვლილი, ასეთი ბგერა ამ დიალექტებში ხშირადაა გამო-

¹ ჩვენი ნაშრომი: მჟღერი ფარინგალური სპირანტი **ჟ** ადიღურ ენებში: ენობის მოამბე.

ყენებული; მაგ.: მწ- წინდებული „მო“-ს ფუნქციით (მაკაძე 'მოდი'), მაჰმ 'ხმა', მის 'ლორი' და სხვა. რამდენადაც ფარინგალური რიგის ხშულებიდან ეს ბგერა ერთადერთია ამ ენაში შემონახული, ამდენად მისი ტიპიურობის ზუსტად განსაზღვრა ძნელი ხდება. საერთოდ რომელიმე ბგერის ტიპიურობის დადგენა შესაძლებელია არა იზოლირებულ მდგომარეობაში, არამედ იმავე რიგის სხვა ბგერებთან მიმართებაში. სხვა კავკასიური ენების ფარინგალურ ხშულებთან (ყ-სა და კ-სთან) ქვემოაღილეური ფარინგალური მ-ს შედარება მიგვაჩვენებს ამ უკანასკნელს მართლაც პრერუპტივ სახეობად.

აბრუპტივ ყ-სა და ფშვინვიერ კ-საგან ქვემოაღილეური მ არსებითად განსხვავდება. ქართველური ენების (მით უფრო ყაბარდოულის) კ-საგან ის განსხვავდება საგრძობლად ნაკლები ფშვინვიერობით, ხოლო ყ-საგან განირჩევა იმით, რომ მას ყელსშულობა არ ახასიათებს. მისი შედარება მჟღერ ფარინგალურ ხშულთან ვერ ხერხდება, რადგანაც ეს უკანასკნელი სხვა კავკასიურ ენებშიც არ არის შემონახული. მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ ბგერას (მ-ს) მჟღერ სახეობასთან მეტი აქვს საერთო, ვიდრე დანარჩენ ყ-სა და კ- ხშულებს. გვაქვს ფაქტები ამ ბგერის მჟღერებით შენაცვლებისა ქართველურ ენებში; მაგ., სვან. ჭარგ 'ახნაური', შეთვისებული ადილეურიდან, უდრის ქვემოად. ჭარმს 'ახნაური'¹; ქართ. წალა || წულა ნასესხები უნდა იყოს ადილეური ენებიდან: ქვემოად. ცაჰმ 'წალა'.

ქვემოაღილეურის ამ პრერუპტივს ყაბარდოულში მოეპოვება ორი შესატყვისი: ფშვინვიერი კ და აბრუპტივი ყ. ზემოთ ითქვა, რომ ყაბარდოულის ფშვინვიერი კ-ს ქვემოაღილეურის პრერუპტივთან შესატყვისობა გამოწვეულია მით, რომ უკანასკნელში (ქვემოაღილეურში) ფშვინვიერი კ გადასულა პრერუპტივში.

სულ სხვაა ქვემოაღილეურის პრერუპტივთან ყაბარდოულის ყ აბრუპტივის შესატყვისობა. ამ შემთხვევაში ყაბარდოულში უნდა გვექონდეს მეორეული მოვლენა. საერთო ადილეური პრერუპტივი მ აქ გამკვეთრებულა, მიუღია ყ აბრუპტივის სახე, ოღონდ ყაბარდოული თანამედროვე ყ რამდენადმე განსხვავდება ძირითადი კავკასიური ყ-საგან: მას შესამჩნევად ნაკლები „ხრინწიანობა“ ახასიათებს.

ყაბარდოულის თანამედროვე ყ-ს მეორეულობა მტკიცდება შემდეგით: პირველადი აბრუპტივი ყ ყაბარდოულსაც ისე უნდა ჰქონოდა, როგორც ქვემოადილეურს. ეს ბგერა, როგორც ზემოთ ითქვა, უნდა გადასულიყო ც-ში. ასე რომ, ორი აბრუპტივი ერთი და იმავე რიგისა ერთსა და იმავე დროს ენას, ცხადია, არ შეიძლებოდა ჰქონოდა. ყაბარდოულის თანამედროვე ყ, ქვემოაღილეური მ-ს შესატყვისი, პირველადი რომ ყოფილიყო, უეჭველად ისიც უნდა გადასულიყო ც-ში, როცა ამის ტენდენცია გაუჩნდათ ადილეურ ენებს.

საყურადღებოა, რომ ამჟამად ყაბარდოულის ეს მეორეული ყ-ც ზოგ დიალექტში გადასვლას იწყებს ც-ში; მაგალითისთვის: უარყოფითობის სუფიქსი

¹ ს. ჯანაშია, სვანურ-ადილეური (ხერქეხული) ენობრივი შეხვედრები: ენციკლის მოამბე, XII, გვ. 272.

-ყვმ მოზღოკურ დიალექტში ისმის როგორც -ყვმ: სუთ'ხან-ყვმ ← სუთ'ხან-ყვმ 'არ ვწერ'. ყაბარდოულს სხვა კილოკავებისთვისაც არ უნდა იყოს ეს მოვლენა უცხო¹.

ჩანს, ფარინგალურ ხშულთა რიგიდან ყაბარდოულს შემოუნახავს ფ შ ვ ი ნ - ვ ა ე რ ი სახეობა, ხოლო ქვემოადიღურს—ძირითადად პრერუპტივი.

ანგარიშგასაწევია ადიღური ფარინგალური პრერუპტივის რეფლექსები ქართველურ ენებში, როცა ეს ბგერა ამა თუ იმ სიტყვასთან ერთად გადმოსული ჩანს ამ უკანასკნელში.

ს. ჯანაშიას გამოკვლევათა შედეგად უდავო ფაქტად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომ ქართველურ ენებში დიდი რაოდენობითაა დარჩენილი ადიღური ენებიდან შეთვისებული როგორც ლექსიკური, ისე მორფოლოგიური მონაცემები².

ამავე ავტორის მიერ აღნუსხულია დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები და აგრეთვე ადამიანის გვარები და სახელები ადიღური წარმოშობისა³.

ავტორს ადიღურ, კერძოდ, ყაბარდოულ წარმოშობისად აქვს მიჩნეული გურიაში გავრცელებული გვარები: ინგორო-ყვა, რო-ყვა, ათლა-ყვა, ლელე-ყვა, ჭანუ-ყვა-ძე, აგრეთვე XVII საუკუნის ხელნაწერის არშიაზე მოთავსებული გვარი ბობო-ყვა-ფხე, საისარ-ყვა (?), მოხსენიებული XVI საუკუნის სიგელში, აგრეთვე სახელი ჯა-ყვა || ჯა-კვა.

-ყვა-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სამეგრელოსა და სვანეთში: ბათა-ყვა, ზი-ყვა, გე-ყვა, ჩერე-ყვა, თემ-ყვა, სესჯრ-ყვა, ჯა-ყვა, შერე-ყვა და სხვა. ზოგი მათგანი შედარებით ახალი შეთვისებული ჩანს, მაგალითად, თემ-ყვა—თურქული წარმოშობის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს: თემჯრ (თემჯრ-ყვა), მაგრამ სხვა მრავალი უძველესი პერიოდის შენაძენი უნდა იყოს.

ზემომოყვანილი გვარებისა და სახელების ადიღურ წარმოშობილობას ს. ჯანაშია სრულიად სამართლიანად ასკვნიდა -ყვა დაბოლოების საფუძველზე. ადიღურად -ყვა აღნიშნავს შვილს, ძეს. ამ ელემენტის შემცველი გვარები ჩვეულებრივია ადიღულებში, მაგრამ -ყვა ელემენტი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ძირისეული თანხმომავანი ფარინგალური ხშულების რიგისა: ქვემოადიღურში პრერუპტივია, ხოლო ყაბარდოულში გააბრუპტივებული.

-ყვა-ზე დაბოლოებული ქართული გვარებისა და სახელების ერთი ნაწილი იმ პერიოდის შეთვისებული ჩანს ადიღური ენებიდან, როცა ქართველ და ჩერქეზ ტომებს შორის მჭიდრო კონტაქტი უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს

¹ Г. Турчанинов, М. Чагов, Грамматика кабардинского языка, გვ. 36.

² ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენიშკის მოამბე, XII.

³ ა) ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში: საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 8; ბ) ეგნატე ინგოროყვას ვენეალოგიისათვის: ლიტერატურული შეკვიდრება, 1935.

ის გარემოება, რომ ზოგი ამ სახელთაგანი ქართველური ენების ფუძის მქონეა; მაგალითად, გურული გვარი **ჭანუ-ყვა**-ძე, როგორც ეს ს. ჯანაშიას აქვს აღნიშნული, უნდა იყოს **ჭანი-შვილი**¹.

ასევე, ვფიქრობთ, **ჯა-ყვა** არის გურიაში შემონახული ზანური აგებულების გვარის — **ჯა-ში-ს** ჩერქეზული პარალელი. ასეთი ქართულ-ჩერქეზული პარალელური გვარების არსებობა წარმოდგენილია ორენოვანობის გარეშე.

ადილეური წარმოშობის სახელები იმ დროს უნდა იყოს შეთვისებული ქართველურ ენებში, როცა ფარინგალურ ხშულთა რიგის ბგერები შემონახული ჰქონდათ ადილეურ დიალექტებს და პრერუპტივი სახეობა **მვა** სიტყვაში პირვანდელი სახით იყო წარმოდგენილი. საყარაუდებელია, რომ ქართველურ ენებშიც იმ ხანებში ცოცხალი იყო ასეთი ბგერა. ეგების ამით აიხსნება, — **ყვა** სუფიქსით დაბოლოებული გვარები რომ იძლევა შემდეგს სახეობებს: — **ყვა**, — **ღვა**, — **ხვა**, — **კვა**, — **გვა**, — **ქვა**-ს, ე. ი. ადილეური ფარინგალური პრერუპტივი იძლევა ყველა იმ რეფლექსს ქართველურ ენებში, რასაც თვით ქართველური ენების მკვიდრი ფარინგალური პრერუპტივი.

სხვა ადგილას ჩვენ საგანგებოდ დაგუბრუნდებით დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გვარების აგებულებას, აქ კი მხოლოდ გაკვრით შევჩვენებთ.

-ღვა სუფიქსიანები:

ა) **ბაჭა-ლუა**

ეს გვარი ადილეური წარმოშობისა უნდა იყოს. **ბაჭ** ადილეურად არის „ბუზი“, — **ლუა**, ადილ. **მუა** „შვილი“; ამდენად **ბაძალუა** იქნება „ბუზიშვილი“. ადილ. მ მეგრულში გადასულა მყდერ სახეობად.

ბ) **ტაბალუა** ← **ტაბა + ლუა** — ***ტაბა-მუა**.

გ) **წირღვა-ვა** გვარის თანამედროვე მეგრული ვარიანტი **წირღვა** უნდა შეიტავდეს იმავე — **ღვა** (← **მუა**) სუფიქს-სახელს.

დ) **ფაღვა** (← **ფაღვა-ვა**) გვარშიც ეგევე — **ღვა** (← **მუა**) ჩერქეზული ელემენტი უნდა გვქონდეს. ყაბარდოელებში არის მამაკაცის სახელი **ფაყ** (← **ფაყ**).

-ხუა სუფიქსიანები:

ა) **ბოხუა** უნდა იშლებოდეს: **ბო + ხუა**.

ბ) **ლაბახუა** უნდა იყოს შედგენილი: **ლაბა + ხუა** (შეად. გვარი **ლაბაძე** ← **ლაბას + ძე**).

გ) **ჩუხუა** გვარის ვარიანტები უნდა იყოს **ჩა-ხა-ვა** (*← **ჩა-ხუა-ვა** — **ვა** სუფიქსდართულად), **ჩა-ხვა-შვილი** და **სხვა**.

დ) **რუხა-ძე** ← **რუხუა-ძე**² უნდა გამოიყოფდეს — **ხუა** (← **მუა**) სუფიქსს (შდრ. **რო-ყვა** ← **რო-მუა**).

-კვა სუფიქსიანები:

ა) **თალა-კვა-ძე** უნდა იყოს **ათლა-ყვა-ს** ვარიანტი (— **კვა** ← — **ყვა**).

¹ ვნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის: ლიტ. მემკვიდრეობა, გვ. 67.

² აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარი, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 16.

ბ) ვე-კუა (შესაძლებელია კავშირი ჰქონდეს თანამედროვე ადიღ. გვარ-თან ვაჟ-ჩუა).

გ) რე-კვა-ვა იმავე რო-ყვა-ს სახეობა ჩანს (-კვა ← -ყვა).

-გვა სუფიქსიანები:

ა) ძი-გუა, ძი-გვა-შვილი

ბ) ლო-გუა

გ) სი-გუა

დ) გა-გუა და სხვა.

-ქვა სუფიქსიანები:

ა) ბოლ-ქვა-ძე

ბ) სალუ-ქვა-ძე.

ამ გვარებში ქვა ელემენტი გამოყოფილი აქვს ს. ჯანაშიას და მიჩნეული უბიხურ წარმოშობისად.

გ) სხვადასხვა სუფიქს-სახელებით ერთი და იმავე ფუძისაგან (ჩი-ქვა) უნდა იყოს მიღებული შემდეგი გვარები: ჩი-ქვა-ნ-ი (← *ჩი-ქვა-ან-ი), ჩი-ქვა-ნა-ია, ჩ-ქვა-ნა-ვა, ჩი-ქა-ვა (← *ჩი-ქვა-ვა) და სხვა.

35127



ზოგადი კიბიზური

ზოგადი კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებასა და ზანურში*

ხმოვნები (რიცხვით ხუთი: ა, ო, უ, ე, ი) კომპლექსთა შემდეგს კომბინაციებს გვაძლევენ: ა+ა, ა+ო, ა+უ, ა+ე, ა+ი; ო+ო, ო+ა, ო+უ, ო+ე, ო+ი; უ+უ, უ+ო, უ+ა, უ+ე, უ+ი; ე+ე, ე+უ, ე+ო, ე+ა, ე+ი; ი+ი, ი+ე, ი+უ, ი+ო, ი+ა (სულ 25 კომბინაცია). გამოვარკვით: რა ფონეტიკურ სახეცვალებას განიცდიან ეს კომპლექსები ქართულში დიალექტურად და ზანურ ენაში. დავალაგოთ, კვლევის გაადვილების მიზნით, წარმოდგენილ 25 კომბინაცია ხმოვანთა ლიაობის მიხედვით. ამ მხრივ ძირითადად კომპლექსთა სამ ჯგუფს შივილებთ: ერთია—კომპლექსები, სადაც უფრო ფართო ხმოვანს მოსდევს უფრო ვიწრო (ფართო+ვიწრო), მეორეა—კომპლექსები, რომლებშიც უფრო ვიწროს მოსდევს უფრო ფართო ხმოვანი (ვიწრო+ფართო) და მესამეა—კომპლექსები, სადაც თანაბარი ლიაობის ხმოვნებია; აქვე შემოვა იდენტური ხმოვნებიც. ამგვარად გვექნება A, B და C რიგი:

A	B	C
ა+ი	ო+ა	ო+ე
ა+უ	ე+ა	ე+ო
ა+ე	ი+ე	ი+უ
ა+ო	ი+ო	უ+ი
ო+ი	ი+ა	ა+ა
ო+უ	უ+ე	ო+ო
ე+ი	უ+ო	ე+ე
ე+უ	უ+ა	უ+უ
		ი+ი

ხმოვანთა კომპლექსების ამგვარი დალაგება მხოლოდ ტექნიკური მოსახრებით არ აიხსნება: ეს კლასიფიკაცია გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ამჟღავნებს.

განვიხილოთ ცალ-ცალკე A რიგის, B რიგისა და C რიგის კომპლექსები.

A რიგის კომპლექსები

აქ ასეთი შეხამებაა: ა ო ე—ო ე ი უ'სთან. წინამავალ სამს (ა ო ე) აკლია ი უ, და ეს ბუნებრივია: უკანასკნელი უკიდურესად ვიწრო ხმოვნებია,

* წაკითხულია მოხსენებად ქართულურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 1943 წლის 17 მაისს.

A რიგი კი ჯერ ფართოსა და შემდეგ ვიწრო ხმოვნებს შეიცავს. ცალ-ცალკეა's ეხამება ი უ ე ო, ო's—ი უ და ე's—ი უ.

ქართულ კილოთა მასალების მიხედვით ირკვევა, რომ, როდესაც ფართო ხმოვანს მოსდევს ვიწრო ხმოვანი, ადგილი აქვს, როგორც წესი, რეგრესულ ასიმილაციას: მომდევნო ვიწრო ხმოვანი ავიწროებს წინამავალ უფრო ფართო ხმოვანს. სათანადო ფონეტიკური პროცესი თავს იჩენს უმთავრესად პრევერბისეული ხმოვნების ფუძისეულ ხმოვანთან შეხვედრისას, იშვიათად სუფიქსებში და კიდევ უფრო იშვიათად ძირში.

A რიგის კომპლექსთა ფონეტიკური პროცესები ძირითადად დასავლური კილოებისთვისაა ნიშანდობლივი; ვიწრო ხმოვნების (უ ი) მასიმილაციებელი ძალა უმთავრესად იქ იგრძნობა. ყველა დასავლური კილოს მიხედვით ყალიბდება შემდეგი ფორმულები: ა+უ → ო+უ → უ+უ — უ; ა+ი → ე+ი — ი+ი — ი. მაშასადამე, ა+უ-საგან ვიღებთ უ-ს, ა+ი-საგან—ი-ს საშუალო საფეხურების resp. ნაწილობრივი ასიმილაციის გზით. ამ მხრივ ერთგვარი მდგომარეობა არა გვაქვს დასავლურ კილოებში. გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით ასეთი სურათია: ქედის მიღმა რაც იქით და იქით მივიწევით. (დასავლეთისკენ), მით უფრო საგრძნობია ვიწრო ხმოვნების ძალა ასიმილაციის პროცესებში. ტერიტორიული თვალსაზრისით დასავლური კილოები შემდეგს ზოლზე ექცევიან: ზემოიმერულ-ქვემორაჭული — ქვემოიმერულ-გურულ-აჭარული [+იმერხული].

ავიღოთ ფორმულა: ა+უ → ო+უ → უ+უ — უ. ზემოიმერულ-ქვემორაჭულში ნაწილობრივი ასიმილაციაა: ო+უ (-ა+უ)-ს საფეხურზე დგას: გოუგზანა, წოუყვანია, ჩოუტანია... ქვემოიმერულშიც ნაწილობრივი ასიმილაციაა ძირითადად, მაგრამ იშვიათად სრულიც არის: (ა+უ →) ო+უ → უ+უ: გუუგზანა, წუუყვანია, ჩუუტანია... გურულში სრული ასიმილაციაა ძირითადად, იშვიათად ნაწილობრივიც, აჭარულში სრული ასიმილაციის ნიადაგზე გრძელ ხმოვანს ვიღებთ ძირითადად: უ+უ — უ: გუგზანა, წუყვანია, დუბარა, დუწვა, გუთხარა, უშვა, ჩუწყო, ჩუგორდებო¹, მაგრამ პარალელურად (თუმცა არა ისე სისტემატურად) გვხვდება სრული ასიმილაცია და იშვიათად ნაწილობრივიც.

ავიღოთ მეორე ფორმულა: ა+ი → ე+ი — ი+ი — ი. ზემოიმერულ-ქვემორაჭულში ნაწილობრივი ასიმილაციაა: (ა+ი →) ე+ი: წეილო, გეიქნია... ქვემოიმერულსა და გურულშიც ასევეა, აჭარულში კი სრულია: ი+ი: წიილო, გიიქნია...² და პარალელურად—გრძელი ხმოვანი: ი+ი — ი: გიქნია... აქედან ჩანს, რომ უ ი-ს მასიმილაციებელი ძალა უფრო და უფრო იზრდება დასავლეთის მიმართულებით.

¹ ჯ. ნოლაიდელი, აჭარა დილექტოლოგიურად, 1936, გვ. 14.

² აჭარულში უფრო ხშირია სრული ასიმილაცია, როცა ხმოვნებს შორის თან ხმოვანია დიმიინახვენ, დიგიტირვენ, იმიკიდა, წიმილო. არის გარდამავალი საფეხურებიც: ჩემიდვა — ჩამიდვა, გეგიკეთა — გაგიკეთა, წემილო — წამილო დამისთ. სრული ასიმილაციის მაკალითები, როცა თანხმოვანია გამყოფი, სპორადულად თუშურშიც დასტურდება (გიგიშარჯოს და მისთ.).

ს ქ ე მ ა

ა + უ - ვ + უ - უ + უ - უ
 ამსავალი კომპლექსი
 ზემოიმერულ-ქვემოიმერული (ძირითადად), ქვემოიმერული (ძირითადად)
 გურული (ძირითადად), ქვემოიმერ. (ფაქულტატ.), აჭარული (ფაქულტატ.)
 აჭარული (ძირითადად)

ა + ი - ე + ი - ი + ი - ი
 ამსავალი კომპლექსი
 ზემოიმერ.-ქვემოიმერ. (ძირით.), ქვემოიმერ. (ძირითადად), გურული (ძირითადად), აჭარული (ფაქულტატ.)
 აჭარული (ძირითადად)
 აჭარული (ფაქულტატ.)

საგანგებო აღნიშვნის. ღირსია ამ მხრივ ქვემოიმერულის სამტრედული შეტყველება: აქ ძალაშია ი + ი [- ე + ი - ა + ი]: წიილე, გიიკეთე, ჩიიტანეს, იიკიდოს და მისთ., მაშინ როდესაც ეს ფორმულა არ ახასიათებს არათუ ქვემოიმერულს საერთოდ, არამედ მის გეოგრაფიულ გაგრძელებას—გურულსაც. სამტრედული აჭარულს ენათესაება ამ ნიშნით; გეოგრაფიული უწყვეტობა აქ არაა. რაც შეეხება უ + უ [- ო + უ - ა + უ]-ს, რომელიც ძირითადია სამტრედულისთვის (ქვემოიმერულისთვის კი, საერთოდ, უ + უ არაა ძირითადი), იგი შეიძლება ახსნილიყო გურულის (ზუსტად—ზემოგურულის) გავლენით. გათვალისწინებული ფორმულები აღმოსავლურ კილოთაგან თუშურს, ფერეიდნულსა და მესხურ-ჯავახურს ახასიათებთ; სპორადულად მოხეურშიცაა.

ნიშნების თუშურიდან:

- | | | | |
|--------------|---|----------------------------------|--|
| ი
ა ოსთან | { | ა + ი - ე + ი - ი + ი - ი (- ი): | ეიილებს, წიილე, გეიმაგრებს, ჩეკიდ, წიყყანეჭ, დნიმალენთაჭ, დნივლების, დნიფარ (გიგიმარჯოს, დიგიფიქრავ)... წილჭ, გიკეთ... |
| | | ე + ი - ი + ი - ი (- ი): | შნიარ, შნიტან... შიარ... |
| | | ო + ი - ე + ი - ი + ი - ი (- ი): | მიეიგონ ¹ (მიეიგონ), ჩამნიტან, წამნილ... მიეიგონ... |
| უ
ა ოსთან | { | ა + უ - ო + უ - უ + უ - უ (- უ): | დუუწყყეს (დუუწყყეს), დუუმახ (დუუმახ), წუუუტან (წუუტან), ჩუუკეტავ, ჩუუდევს, წუუკიდევს, დუუკარ, ჩუუსაფრდეს... დუუკარ, გუუვირდ... |
| | | ო + უ - უ + უ - უ (- უ): | მუუკლავს, მუუჟკლეს, გამუუტანეს, გამუუტრიან, ჩამუუხედავ... მუუტანს, მუუკლავს... |

უკანასკნელი საფეხური—მარტივი ი უ-ს მიღება (მიეიგონ, მუუკლავს...) მეტად იშვიათია.

ფერეიდნულში ი-ს გავლენა არა ჩანს, მაგრამ უ კი იწყვეს როგორც ნაწილობრივს, ისე სრულს დამსგავსებას; მაგ.: ჩოუყარონ, დოუწერა.

¹ ამ ნიადაგზე მო-პრევერბი მი-დ იქცევა და ამით ემთხვევა მი-პრევერბს: მიიტანე-მითიტანე და მისთ.

დოურიგე... მუგუკლეს, მუგუთხოვა...¹ (ამ გზის გავლით: მოგვიკლეს — მოგუკლეს — მუგუკლეს...). როგორც ჩანს, აქ თანხმოვანია ხმოვნებს შუა.

მესხურ-ჯავახურიდან: ა+უ — ო+უ: დოუძახეს, გადოუტანია... ო+უ — უ+უ: მუუტანია, მუურბენია... ა+ი — ე+ი: დეიძინა, გეიქცა... აღნიშნულია, რომ ეს დასავლური ნორმა კოროხის ხეობის მეტყველების შენატანია მესხურ-ჯავახურში².

А რიგის სხვა კომპლექსებიდან ა+ო იძლევა ო+ო-ს (დასავლურ კილოებში ვადასტურებთ: მუშოოფ (მუშოობა), გულოოფ, ვბუქნოოფ...; ე+უ — უ+უ — უ (დასავლ.: შუუთანხმე, შუუჟარი, უუბნებოდა, შუუსრულა, შუუდგა... აქარ.: შუუკითხავს, შუუდგა³); ო+ი — ე+ი (დასავლ.: მეიტანა, წამეილო, ჩამეიქცა...), და ეს ფაქტი საყურადღებოა, რამდენადაც აქ ე ხმოვანი ო-ზე უფრო ვიწროდ გვევლინება. ა+ე გადადის ე+ე-დ. ამ ფორმულას თანაბრად იზიარებენ აღმოსავლური და დასავლური კილოები (დეეხსენი, წეელო, ჩეეწყო...).

ზემოთ განვიხილეთ ა+ი და ა+უ კომპლექსების სახეცვალეზანი პრევერბის ხმოვნისა და ზმნის ფუძისეული ხმოვნების შეხვედრის პირობებში. რა მდგომარეობაა სიტყვის ბოლოს? ეს ეხება ა+ი-ს.

— ა ბოლოკიდურიან სახელზე სახელობითის ი-ს დართვის შედეგად მიღებულ აი კომპლექსში ჩვეულებრივ არა აქვს ადგილი მოსალოდნელ რეგრესულ ასიმილაციას, როგორც ეს ხდება პრევერბის ხმოვნისა და ფუძისეული ხმოვნის აი კომპლექსში. მაგრამ, თუ ეს ბოლოკიდური ა (|| ა) კინობითობის სუფიქსია, მაშინ ძალაშია დასავლურ კილოებში ზემოთ გათვალისწინებული წესი: სახელობითის ი იწვევს უმთავრესად ნაწლობრივს ასიმილაციას (ა — ე) და შემდეგ შესაძლოა გამვლენელი ი დაიკარგოს; იგულისხმება: ძამია ა+ი — ძამიეი — ძამიე, ტომარა+ი — ტომარეი — ტომარე-ს* ტიპის ნიმუშები. ამის მაგალითები ბევრია (უცფათე, ურემე, ბაბუე, ბებიე, დაიე, ლობიე...). განსაკუთრებით საგრძნობია ეს წესი საკუთარ სახელებში: ვახტანგე, დათიქ, პავლიე, მელტონე, ლოზგინოზე, ნესტორე, სოლომანე, კოსანტილე... ქვემოიმერულ-ზემოგურულისათვის ეს მოვლენა ჩვეულებრივია. ქვემოგურული და აქარული ამ მხრივ ერთ წრეს ჰქმნიან: იქ შემონახულია არქაული წარმოება: ურემაი, ლობიაი, ბაბუაი, ისი-

¹ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფ. უნივ. მოამბე, VII, გვ. 207—210.

² შოთა ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით: ენიკი-ს მოამბე, X, გვ. 141.

³ ჯ. ნოლაიდელო, იქვე, 14; ფერეიდნულში შოუნახე. შოუტყვევით, შოუტიველო... არ უნდა იქნეს ახსნილი, როგორც ე+უ — ო+უ; აქ შა- პრევერბია (და არა შე-); ამოსავალი და მისი ა განიცდის ასიმილაციას მომდევნო უ-სთან (იხ. ა. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 207).

⁴ III. В. Дзидзигური, К характеристике нижеимерского говора груз. языка: «Памяти акад. Н. Я. Марра», 1939, გვ. 125.

დორაი, ოთარაი¹... ქვემოიმერული გეოგრაფიულად უკავშირდება ზემოგურულს; ქვემოგურული უფრო ახლოს დგას აქარულთან. ეს ტერიტორიული სიახლოვე სრულიად ცხადს დიალექტოლოგიურ შედეგს იძლევა: ზემოგურულს მეტი აქვს საერთო ქვემოიმერულთან, ვიდრე ქვემოგურულთან, რომელიც თავის მხრივ აქარულს ენათესავება მთელი რიგი არსებითი დიალექტური ნიშნებით.

თითო-ორი შემთხვევა გვაქვს ბოლოკიდური ფუძისეული -ა'ს დამსგავსებისა სახელობითის -ი'სთან, ყოველ შემთხვევაში ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე: ბაღანე (-ბაღანაი), ყველე (-ყველაი), ბაბე (-ბაბაი), დანე (-დანაი), კვირე (-კვირაი) და სხვა რამდენიმე.

ამ ფორმათა პარალელურად იმავე კილოურ ერთეულებში დაცულია სახელობითის ი-ჩამოუცლელი ფორმებიც: ტომარეი, ბებიეი, დანეი...

ამგვარად, ქართულ კილოებში A რიგის კომპლექსებში მოქმედი არ უგრესული ასიმილაციის წესი.

როგორია საქმის ვითარება ზანურში?

ქანურისათვის არნ. ჩიქობავას დადგენილი აქვს ფორმულები: ა+უ=უ, ა+ო=ო, ო+უ=უ, ა+ი=ი, ე+ი=ი, ო+ი=ი². ყველა ესენი A რიგის ფორმულებია.

მაგალიტები:

უნდა ყოფილიყო:	არის:
ა+უ=უ	გოწა-ულუ. გოწულუ 'გამთართვა'
	მენდა-ულუ მენდულუ 'წაულო'
ა+ო=ო	ქომეშა-ოხუნენან ქომეშოხუნენან 'ჩაუსვამთ', 'ჩაუმარბავთ'
	მენდა-ოჩქუ მენდოჩქუ 'გაგზავნა'
ო+უ=უ	დო-უწუ დუწუ 'უთხრა'
	ქოდო-უდგუ ქოდუდგუ 'დაუდგა'. „ქე დაუდგა“
ა+ი=ი	გოლა-ილუ გოლილუ 'გაიარა' (გვერდით)
	მენდა-ილუ მენდილუ 'წაილო'
ე+ი=ი	ქოგე-იდგუ ქოგიდგუ 'დაიდვა', „ქე დაიდვა“
	გე-იქთუ გიქთუ 'წაიქცა'
ო+ი=ი	დო-ინჯირა დინჯირა 'დაწვე'
	დო-იძიცუ დიძიცუ 'გაიცინა' ³

ასიმილაციას შეიძლება ადგილი ექნეს თანხმოვნით გაყრილ ხმოვნებს შორისაც (ისევე, როგორც ქართულ კილოებში):

¹ სერ. ქლენტი, გურული კილო, 1936, გვ. 44—45.

² ამავე რიგში ავტორის მოცემული აქვს: ო+ო=ო, ო+ე=ე, ო+ა=ა: ქანურის გრამატიკ. ანალიზი, გვ. 31—35. ამათ ქვევით თავ-თავის ადგილას შევხვებით.

³ არნ. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 31—34.

უნდა ყოფილიყო:

ქოგოწაულუ
დოლოუნქინუ
ეშიტუ

არის:

ქაგუწულუ — ქოგოწულუ 'გამოართვა'
დულუნქინუ — დოლოუნქინუ 'მოუქნია'
იშიტუ — ეშიტუ 'ადიოდა' (შიგ)

თანხმოვნით გაყრილმა ხმოვნებმა შეიძლება მოგვეცენ ნაწილობრივი ასი-
მილაკიაც:

უნდა ყოფილიყო:

დოვიმბონით
დომიბალუნ

არის:

დვეიმბონით 'დავიბანეთ'
დემიბალუნ 'შეყოფა'¹

აღსანიშნავია, რომ ჰანურში შემონახულია ამოსავალი ფორმებიც, სადაც
პრევერბისეული ხმოვანი უცვლელადაა წარმოდგენილი ფუძისეული ხმოვნის
წინ. მაგ.: ვარ დაიჯერუ (არ დაიჯერა)² და მისთ³.

როგორც ვნახეთ, ყველა ეს ფორმულა ამავე დროს დამახასიათებელია
ქართული კილოებისთვისაც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჰანურში ასიმი-
ლაციის პროცესი დახრულებულია, გარდამავალი სახეობები იშვიათია. მეტიც:
აქ სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი ხმოვანი არათუ შერწყმულია
და მიღებულია გრძელი ხმოვანი, როგორც ეს აქარულ-თუშურშია, არამედ ეს
„შერწყმა“ ერთ ხმოვანშია გადაზრდილი. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ერ-
თი ხმოვანი მივიღეთ არა ასიმილაციის გზით, არამედ წინა ხმოვნის დაკარგვის
შედეგადო, მაგრამ ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ: ა) ნაწილო-
ბრივი ასიმილაციის ფაქტები და ბ) ჰანურში ელიზიის წესი (მომდევნო ხმოვნის
დაკარგვა)³.

პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსება ფუძის ხმოვანთან მეგრულშიც
თითქმის ჰანურისებურია. აქ ვადასტურებთ A რიგის კომპლექსების შემდეგს
ფორმულებს: ო+ი — ი+ი || ი, ე+ი — ი+ი, ა+ი — ე+ი, ა+ე — ე+ე, ა+უ
— ო+უ — უ+უ.

უნდა ყოფილიყო:

ო+ი=ი+ი || ი {
ქობთხი
ქოლოიხვი
მოივრქი

არის:

ქიბთხი 'ვითხოვე'
ქილიიხვი 'დავემხვე'
მიივრქი 'მოვიქნიე'

პარალელურად:

ქოლოიხვი
ქომოივლი

ქილიიხვი 'დავემხვე'
ქომივლი 'მოვიტანე'

იოს. ყიფშიძე ამ პარალელურ ფორმათა შესახებ წერს: иногда
гласный предложения совершенно отпадает⁴. ეს არაა მისაღები.

¹ იქვე, გვ. 38.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 31.

⁴ Грамм. мингр. языка, § 115 п. 1.

$g + i = ii$ ქემევიღბ → ქიმივიღი 'მივიტანე'

$a + u = u + u$ გაუთეებუ → გუუთეებუ 'გაუთავებია'

$a + i = e + i$ ვაითმართენა → ვეითმართენა 'არ გამოგვესვლება'

ამავე რიგისაა: დ უ უ ძ ა ხ ი (← დ ო უ ძ ა ხ ი) 'და უ ძ ა ხ ე', მ უ უ ლ ა (← მ ო უ ლ ა) 'მ ო დ ი ა ნ', ვ ო უ ძ ი რ გ (← ე ა უ ძ ი რ გ) 'ა რ უ ნ ა ხ ა ე ს' და მისთ. (შდრ. იმერული რ ე ი ქ ნ ა — რ ა ი ქ ნ ა, რ ო უ ყ ა ვ ი — რ ა უ ყ ა ვ ი¹).

შეიძლება დავასკვნათ. A რიგის კომპლექსებში, სადაც ვიწრო ხმოვანი მოსდევს უფრო ფართო ხმოვანს, ადგილი აქვს რ ე გ რ ე ს უ ლ ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს: ვიწრო ხმოვნები იმსგავსებენ ფართო ხმოვნებს. ეს კანონზომიერება გატარებულია ქართული ენის დასავლურ კილოებში ძირითადად, აღმოსავლურ კილოთაგან — თუშურსა და ფერეიდნულში (მოხეურშიც) და ენათაგან — ზანურში. ქართული კილოებიდან ყველაზე შორს წასულა თუშური და აჭარული და ამით ისინი უახლოვდებიან ზანურს; დანარჩენი დასავლური კილოები გარდამავალ საფეხურზე დგანან.

B რიგის კომპლექსებ:

B რიგის კომპლექსებში ვიწრო ხმოვანს მოსდევს უფრო ფართო (ვიწრო + ფართო); იგი საპირისპიროა A რიგისა. ესენია: $o + a$; $e + a$; $i + e$, $i + o$, $i + a$; $u + e$, $u + o$, $u + a$.

ამ შემთხვევაში — ქართული კილოების მიხედვით — ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროებას. ჩანს, მომდევნო ფართო ხმოვანი ვერ იჩენს საასიმილაციო ძალას; პირიქით, საქმე გვაქვს დისიმილაციასთან, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. უფრო ზუსტი კვალიფიკაცია ამ მოვლენისა იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქ მიდრეკილებაა დიფთონგიზაციისაკენ; ხმოვანთა ჯგუფი, რომლის პირველი ნაწილი ვიწროა და მეორე ნაწილი ფართო, ისწრაფვის დიფთონგად ქცევისაკენ წინამავალი ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროების გზით.

B რიგის კომპლექსების განვითარების გზა ასეთია:

$o + a \rightarrow u + a \rightarrow \text{უ} + a \rightarrow e + a \rightarrow (-a)$

$e + a \rightarrow i + a \rightarrow \text{ე} + a$

$i + e \rightarrow \text{ი} + e$

$i + a \rightarrow \text{ი} + a$

$u + e \rightarrow \text{უ} + e \rightarrow (-e + e)$

$u + a \rightarrow \text{უ} + a \rightarrow (-e + a)$

($i + o$, $u + o$ ჯგუფები პრევერბებში არ არის).

მა კომპლექსის სახეცვალების პირველი საფეხური უა საერთოა აღმოსავლურში და დასავლურ კილოებისათვის, იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლურში უშ-

¹ ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамм. мингр. яз., § 115, და ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მგურულში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, I, გვ. 7.

თავრესად სიტყვის ბოლოში ხდება ეს, დასავლურში—უმთავრესად პრევერბებში. ივარაუდება ამ ტიპის ნიმუშები: მუახერხოს, მუაწია, გამუალვიძა, გამუარდება... გიგუა, ბერუა, სანდრუა, შაქრუა... გოგუები, პალუები (როგორც ვხედავთ, სიტყვის ბოლოს ამ კომპლექსების ცვალება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებში იჩენს თავს).

ოა-ს განვითარების მეორე საფეხურის—ჟა (ოა — უა — ჟა)-ს ნიმუშები ძირითადად დაცულია აჭარულში; მაგ.: მჟაქეს (- მუაქეს — მოაქეს), მჟაყვანია (- მუაყვანია — მოაყვანია). ჩამჟადებიეს (- ჩაჟადებიეს — ჩამოადებიეს), აღმჟაჩენტ (- აღმუაჩენტ — აღმოაჩენტ). აქვე შემოდის: გამჟა, მოგთხჟა...¹ როგორც ჩანს, აჭარულში უკვე მიღებულია დიფთონგი.

გურულსა და ქვემოიმერულში სპორადულადღა გვხვდება ამ ტიპის მაგალითები: გადმჟარდა, მჟაწერა...²

შემდეგი საფეხურია უმარცვლო უ-ს თანხმოვანში გადაზრდა: ჟა — ვა. ეს კარგად ჩანს გვარების მაგალითში: გოგვაძე — გოგუაძე — გოგუაძე — გოგოაძე; ბოცვაძე — ბოცუაძე — ბოცუაძე — ბოცოაძე. დღეს იხმარება გოგვაძე და გოგუაძე³, მეორე მაგალითიდან კი — ბოცვაძე.

ამ კომპლექსიდან საბოლოოდ ა-ს მიღების შემთხვევები ქართულ კილოებში საერთოდ არა გვაქვს, ოღონდ ძლიერ იშვიათად შესაძლებელია იყოს თუშურში: მაგონდ (- მოაგონდა), მაჯერჯ (- მოაჯერჯა).

ვა — ია მეტად გავრცელებულია კილოებში და ამავე დროს საამისო ფაქტები სალიტერატურო ენისთვისაც არაა უცხო. ჩვეულებრივია კილოებში ასეთი ფორმები: შიატყო, შიადარე, შიასრულა და სხვა განსაკუთრებით ფშაურშია ეს წესი მოქმედი, ოღონდ უმთავრესად სიტყვის ბოლოს. აქედან შესულია ვაჟას ნაწერებშიც. მაგალითები ვაჟადან: ვიჯდია, მწარია, აგრია, გადმოვსთელია, შაირცხვინია, შამიბრალა, დავასრულია, ღონია, ღამია, ვაგვაკვირვია, ხვალია, მთვარია, დავგიფარია, შეიწყალა, მოარჩინია, მცირია, დაუჯერია... უნდა ყოფილიყო: ვიჯდეა, მწარეა, აგრეა...⁴ სალიტერატურო ენიდან: შიამა (გიამა, იამა), ვაახელი, ქრისტიანი (- ქრისტეანი)... საერთოდ იან-სუფიქსი, რომელიც აღნიშნავს ყოლა-ქონებას, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს⁵, მიღებული ჩანს ეან-ისაგან. აქაც ძალაშია აღნიშნული წესი.

შემდგომი საფეხური ჟა აჭარულში დასტურდება: შაახტება, შაარიგებენ...⁶

იე — ეე-ს მაგალითები აჭარულსავე დაუცავს: დეეძინა, ჩეეყვანა...⁶ იქვეა ია — ეა-ს ასეთი ფორმები: მიატუა, მიაყარა...

უა და უე კომპლექსები პრევერბებში არ გვხვდება (მხედველობაში არ

¹ ჯ. ნოდარ დელი, დასახელ. შრ., გვ. 10. მაგალითები შემოწმებულია და დადასტურებული ჩემ მიერ.

² ოტ. კახაძე, ოკრიბულის ზოგიერთი თავისებურება.

³ ა. შანიძე, ვაჟას ლექსიკონი. (-ვა): ვაჟა-ფშაველა, III, 1930.

⁴ ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი 1, 1942, § 163.

⁵ ჯ. ნოდარ დელი, დასახელ. შრ., გვ. 8. მაგალითები შემოწმებულია ჩემ მიერ.

⁶ იქვე.

ვილებთ, თუ უ მიღებულია ო-ს დავიწროების გზით). სამაგიეროდ, სხვა პოზი-
ციაში ესენი ჩვეულებრივია. ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ საზოგადო ქართული-
ენის ფაქტები. ძვ. ქართულში რომ უმარცვლო უ იწერება ხმოვნების წინ—
თუალი, სხუა, საყუარელი, ჯუარი, სიტყუა, თქუა, მოკუედ,
შუენიერი, ქუეყანა, ვაჩუენოთ, დაისუენა, შუენის... ამ ნია-
დაგზე აიხსნება. შემდგომი საფეხურია უ-საგან ვ-ს მიღება (თვალის... ვა-
ჩუენოთ...).

მეგრულსა და ჰანურში B რიგის კომპლექსებიდან მოქმედია ე კომპლექ-
სი. იგი იძლევა, როგორც ეს მოსალოდნელია, ია¹ს მეგრულში და აა²ს ჰანურში.

არნ. ჩიქობავა თავის ნაშრომში ე+ა=ა+ა-ს მიიჩნევს ასიმილა-
ციად (გვ. 36). მაგრამ აქ პირუკუ პროცესი ჩანს: მომდევნო ფართო ხმოვნის
(ა-ს) წინამავალი ვიწრო ხმოვანი (ე) კიდევ უფრო ვიწროვდება დიფთონგიზა-
ციის საერთო წესის მიხედვით.

მაგალითები ჰანურიდან:

უნდა ყოფილიყო:

ქოგე-აკნუ
გე-ანჭუშუ
ქოგე-აგერეტუ

არის:

ქოგაკნუ 'ხელში ეცა'
განჭუშუ 'დაწვდა, დაწია'
ქოგაგერეტუ 'დაჩვეოდა'¹

მაგალითები მეგრულიდან:

უნდა ყოფილიყო:

წოხოლე-ანი
ბადე-ამი

არის:

წოხოლიანი 'წინანდელი'
ბადიამი² 'ბადიანი'

როგორც ვხედავთ, სათანადო კომპლექსში მეგრულში ჯერ კიდევ არ არის
მიღებული დიფთონგი (ე+ა→ი+ა), ხოლო ჰანურში უკვე გამომუშავებულია
იგი (ე+ა→ა+ა).

ჰანური კიდევ უფრო შორს მიდის: დიფთონგიზაციის პროცესის გზით სა-
ბოლოოდ მიღებულია ერთი ხმოვანი, ე. ი. დაკარგული ჩანს დიფთონგის სუს-
ტი ნაწილი. ეს შეკადრდება ოა კომპლექსის მაგალითზე. არნ. ჩიქობავას
მოცემული აქვს ო+ა=ა ასიმილაციის ფორმულების მწკრივში. ავტორის აზ-
რით, ამ კომპლექსში ხდება რეგრესული ასიმილაცია (მომდევნო ა იმგავსებს
წინამავალ ო-ს, ვლებულობთ აა-ს, შემდეგ ა-ს და საბოლოოდ ა-ს). იგი ასახე-
ლებს შემდეგს მაგალითებს:

უნდა ყოფილიყო:

მო-ატუდორენ
დო-ასვეს
ქოგო-ანწყუ
ქო-ამაფთი
ქომო-ალუ
მო-ადვეეტუ

არის:

მატუდორენ 'სცემია სუნი'
დასვეს 'წაეცხოთ', 'წაესვათ'
ქოგანწყუ თოლი 'აეხილა თვალი', 'გაეხსნა' თვალი
ქამაფთი 'დავდექი', 'ამოვედი'
ქომალუ თელი 'მოვლო მავთული'
მადვეეტუ 'მოსდებოდა'³

¹ დასახელ. შრ., გვ. 37.

² И. К и п ш и х з е. Грамматика мингрельского (иверского) языка, § 126. d, e.

³ დასახელ. შრ., გვ. 35.

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ასიმილაციას არა აქვს ადგილი. საერთოდ მომდევნო ფართო ხმოვანი არ იმსგავსებს წინამავალ უფრო ვიწრო ხმოვანს. ასეთ შემთხვევაში „დისიმილაცია“, უფრო ზუსტად—დიფთონგიზაციაა, რა გზითაც მივიღეთ, საბოლოო ანგარიშში, ა. ფორმულა ასე წარმოიდგინება: $\alpha + a \rightarrow \psi + a \rightarrow \psi + \alpha \rightarrow \psi + \alpha \rightarrow \alpha$. მაშასადამე, ამ ჯგუფის პროცესი B რიგს მისდევს. რომ ეს ასეა, კარგად ჩანს იმავე ჭანურის არქაული ფაქტებიდან:

უნდა ყოფილიყო:

არის:

დო-აქუ

ქოდოლო-აქიტეს

დო-ალოდუ

დრ-აფისუ

დვაქუ 'დაეწვა'

ქოდოლვაქიტეს 'გადაეხვივნენ, ჩაეხტნენ'

დვოლოდუ 'დაემართა'

დვაფისუ 'დაეფარა'

სწორედ ამ მაგალითებშია შემონახული გარდამავალი საფეხური, და ეს ამტკიცებს, რომ α კომპლექსი დავიდა α -მდის არა ასიმილაციით, არამედ წინამავალი α -ს დავიწროებისა, მისი ψ -დ ქცევისა და საბოლოოდ მისი დაკარგვის გზის გავლით. სხვაგვარად „ვინიანი ფორმების“ (დვაქუ და მისთ.) ახსნა გავიჭირდებოდა. არნ. ჩიქობავა „ვინიანი ფორმების“ შესახებ შენიშნავს: „ α -ს წინ პრევერბისეულმა α -მ შეიძლება ნაწილობრივი ასიმილაცია განიცადოს და ψ -დ იქცეს: $\alpha + \alpha = \psi$ “². ნამდვილად, α -მ რომ α დაიმსგავსოს, იგი უნდა გაათართოს, აქ კი α -ს ψ -დ ქცევა (ჯერ სრული ψ -სა და შემდეგ უმარცვლო ψ -ს მიღება) დავიწროების პროცესის შედეგია.

ამგვარად, α კომპლექსის სახეცვალებს მიხედვით ჩანს, რომ ჭანურში დიფთონგიზაციის პროცესის შედეგად ორი ხმოვნის კომპლექსი დაყვანილია ერთ ხმოვანზე.

C რიგის კომპლექსები

აქ შემოდის თითქმის თანაბარი ღიაობის ხმოვანთა და ამასთანავე იდენტურ ხმოვანთა კომპლექსები:

ოე კომპლექსის ფონეტიკური განვითარება დასავლურ კილოებში A რიგის კომპლექსთა კანონზომიერებას მისდევს: ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას: მეელი, გამეეკიდა, ჩამეეხსნა, შამეეთვალა, პევეტი ('პოეტი': ვ ჩართულია) და სხვ. აღმოსავლურ კილოებში ეს კომპლექსი B რიგის წესს გასდევს: ადგილი აქვს წინამავალი ხმოვნის დავიწროებას (resp. დიფთონგიზაციის პროცესს): მუელით, გამუეკიდა, ჩამუეხსნა, მავიწრუებთ, გოგუებთ, გრუებთ, დაიტუებთ, ინდუეთთ, პუეტი და სხვ. შდრ. პარალელური ფორმები:

დასავლური:

აღმოსავლური:

მეელი

მუელი

გამეეკიდა

გამუეკიდა

პევეტი

პუეტი³

¹ დასახელ. შრ., გვ. 35.

² იქვე.

³ გურულში ზოგჯერ ვხვდებით $\alpha\psi$ → $\psi\psi$ რიგის მაგალითები, რაც შეიძლება აიხსნას

ეტყობა, **ო** და **ე** ხმოვნებს შორის ღიაობის მხრივ დიალექტურად განსხვავება: დასავლურ კილოებში **ე** ვიწროა **ო**-სთან შედარებით, აღმოსავლურში — პირიქით: **ო** უფრო ვიწროა **ე**-ზე. რომ ასე უნდა იყოს, ეს კარგად მჟღავნდება იმ შემთხვევაშიც, როცა ხმოვნების ადგილი შენაცვლებულია კომპლექსში: **ე+ო**. დასავლურში ჭარბობს ასეთი ფორმები: **მიორე**, **მდგომარიობა**, **შდრ. მოორე**, **მდგომარობა** და სხვა. მეგრულ-ჭანური დასავლურ კილოებს უჭერს მხარს: **ე** ვიწროა ჩანს **ო**-ზე; **ეო** კომპლექსი **ხ** რიგისას ეკედლება: **ე+ო** → **ი+ო** || **ე+ო**.

მაგალითები მეგრულიდან:

უნდა ყოფილიყო:

- მე-ოხექ
- მე-ოჯინი
- გე-ორთუ

არის:

- მიოხექ 'ჩანხარ'
- მიოჯინი 'შეხედე'
- გიორთუ 'ახურავს'¹

მაგალითები ჭანურიდან:

უნდა ყოფილიყო:

- გე-ობუნ
- ე-ოფუ
- გე-ოლუ
- გე-აჯინუ
- ქოგე-ოხუნუ

არის:

- გობუნ 'კიდია მას'
- აოფუ 'აავსო'
- გაოლუ 'ჩამოვარდა'
- გააჯინუ 'დააწვა'
- ქოგაოხუნუ 'დასვა' (ურემზე)²

უი კომპლექსის სახეცვალბანი შემდეგ სურათს იძლევა: ა) ვიწროვდება: **უ** და **ვ**-დ იქცევა: **ლელუი** → **ლელუი** → **ლელვი**. ასევეა მიღებული: **თავვი**, **ნესვი**, **მოგვი**, **ბორცი** და მისთ. შესაძლოა ბ) მომდევნო ი და იკარგოს: **საკურველი**, **სიტყუსგება**, **მახული**, **წუმა** და სხვ. აღიშნის ძეგლში ასეთი ფორმები არაიშვიათია. უეჭველია, აქ დიალექტიზმის გამოვლენაა.

სრულიად ბუნებრივია, რომ **იდენტური ხმოვნები ისწრაფვიან შერწყმისაკენ** და ვიღებთ ჯერ გრძელ ხმოვანს, შემდეგ კი ერთ ხმოვანში გადაიზრდებიან. ზანურში ეს პროცესი დასრულებულია, თუმცა გრძელი ხმოვნის ნიმუშებში, მაგ., მეგრულში, დღესაც ბევრია. დასავლურ კილოებში გრძელი ხმოვნები გვაქვს. ამ ტიპის მაგალითები — **სათი**, **სალამობით**, **დინე** — ბევრია.

ორი ერთნაირი ხმოვნის განვითარება მხოლოდ შერწყმის გზით უნდა წავიდეს, — დისიმილაცია დასაშვებია არაა. ასე: შეუძლებელია **იი**, **ოო**, **უუ**, **აა** კომპლექსებმა დისიმილაცია განიცადონ. ეს იმდენად უდავო დებულებაა, რომ **a priori** მიუღებელია ი. ყოფშიძის ვარაუდი, თითქოს მეგრულში იი გვაძლევდეს დისიმილაციით **ეი**-ს და **უუ** — **ოუ**-ს.

ავტორის აზრით, **წყიი** დიალექტურად — დისიმილაციით — გვაძლევს

(ისევე როგორც სხვა „აღმოსავლური ფორმები“) სამხრეთ საქართველოს გზით შესულად. ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

¹ И. Кишидзе, Грамм. мингр. яз., § 115 7 5.

² არნ. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 36.

წყეი-ს წყავია, ჩხუუ—ჩხოუ-ს ძროხა¹. ასევე ივარაუდება ზმნებში: ფთქეი გვაძლევს ფთქეი-ს, იბთხიი—ბთხეი-ს, ჭქუუ—ქოუ-ს, ითხუუ—ითხოუ-ს². უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ პირუქუ ვითარებაა: ამოსავალია ეი, იუ, ხოლო იი, უუ მეორეულია, ასიმილაციით მიღებული. ამდენად: წყეი → წყიი, ფთქეი → ფთქეიი, ჩხოუ → ჩხუუ და ა. შ. და მართლაც: უკანასკნელი მაგალითიდან სხვა მხრივაც ჩანს, რომ ამოსავალია ჩხოუ (შდრ.-ქართ. ცხოვარი).

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ქართულ კილოებში დადასტურებული ეე-ს დისიმილაცია: ეე → იე → აე. აქ მოსალოდნელი იყო ეე → ე → ე, მაგრამ ადგილი აქვს წინა ე-ს დავიწროებას და, ამგვარად, ამ კომპლექსში ძალაშია დიფთონგიზაციის პრინციპი.

ეე-ში წინამავალი ე ვიწროვდება შემდეგს კილოებში: მესხურში, მთარა-ქულში, თუშურში, გურულში, იმერხელში, აჭარულში, ნაწილობრივ ქვემოიმერულში. ეე-ში განმსგავსების პროცესს ადგილი აქვს ა) პრევერბისეულ ე-სა და ტუძის თავიკიდურ ე-ს შეხვედრისას, ბ) შეიძლება პრევერბისეული ე თავისთავად ნაასიმილაციარი იყოს, გ) მრავლობითის -ებ-ისა და ფუძის ბოლოკიდური ე-ს შეხვედრის პირობებში.

აი ტიპური მაგალითები: შიებრალა, შიეყარა, შიექამა, შიეძლოს... გამიეკიდა (← გამეეკიდა ← გამოეკიდა), გამიეწყო (← გამეეწყო ← გამოეწყო), გიეტეხა (← გეეტეხა ← გაეტეხა), დიეძინა (← დეეძინა ← დაეძინა), დიეცა (← დეეცა ← დაეცა)... კლდეები (კლდეები), ღელიები (ღელეები), საქმიები (საქმეები), ტყიები (ტყეები), მთიები (← მთეები ← მთაეები), ვინცხიები (← ვინცხეები ← ვინცხაეები) და მისთ.³ მხოლოდ აჭარულშია მიღებული დიფთონგი აე: დაეძინა, წაეგებუ, მაეწყინა.

მაშასადამე, ეე კომპლექსი ეთიშება იდენტურ ხმოვანთა კომპლექსის წესს — დაყვანილ იქნეს ერთ ხმოვანზე, და დიფთონგიზაციის გზას ადგას. თუ რატომ ხდება ეს, ჯერჯერობით აუხსნელია.

დასასრულ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას.

როგორც დავინახეთ, A რიგის კომპლექსების სახეცვალებას საბოლოოდ მივყავართ ერთხმოვნობამდის: რეგრესული დამსგავსების შემდეგ ორი ერთხმოვანი ხმოვანი ერთ გრძელ ხმოვანში გადაიზრდება და ბოლოს ვიღებთ ერთ ხმოვანს. ამ უკანასკნელ საფეხურს მიაღწია ზანურმა მეტ-ნაკლებად, ხოლო ქართული კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურებს წარმოგვიდგენენ; წინაუკანასკნელ საფეხურზე დგანან აჭარული და თუშური.

არსებითად ამავე გზას ადგას B რიგის კომპლექსები: ხმოვანთა კომპლექსი ერთხმოვნობისკენ მიემართება, ოღონდ დიფთონგიზაციის გზით.

¹ იქვე, § 5 c.

² დასახელ. შრ., § 75 b.

³ ზოგ კილოში (მესხურში, აჭარულში, გურულში) ანალოგიით -ი-ებ თანხმოვანფუძიანებაც დაერთვის: რძლიები, ქათმიები, საქმლიები, ცხვრიები... მ. ხუბუა აქ -ი-ს ინფიქსად მიიჩნევს (ზემო აჭარის ენობრ. მიმოხილვა, გვ. 13). ეს შეცდომაა.

ამგვარად, ხმოვანთა კომპლექსებში ასიმილაციისა და დისიმილაციის (resp. დიფთონგიზაციის) საბოლოო შედეგი, მიუხედავად ამ პროცესების დამეტრალურად სხვაობისა, ერთი და იგივეა: ორივე გზა მიემართება ერთ ხმოვანზე დაყვანისაკენ. პირველი გზა გულისხმობს სრული დამსგავსების საფეხურის გავლით ორი ხმოვნის ერთ ხმოვანში შერწყმას და მასიმილაციებელი ხმოვნის უცვლელად დარჩენას, მეორე გზა კი—ერთი ხმოვნის დაკარგვას დიფთონგის საფეხურის გავლით და მადისიმილაციებელი ხმოვნის უცვლელად დარჩენას. ესაა ხმოვანთა კომპლექსების „გამარტივების“ ორი საშუალება. A რიგის კომპლექსებში რეგრესული ასიმილაციაა კომპლექსის გამარტივების საშუალება, ხოლო B რიგისაში, პირიქით, „დისიმილაციაა“ მოქმედი,—აქ ვიწრონი კიდევ უფრო ვიწროვდებიან და დიფთონგის გზის გავლით გამარტივებას აღწევენ.

თუშური და აჭარული პარალელი ვიწრო ხმოვნების მასიმილაციებელი ძალის მხრივ საყურადღებოა ქართული დიალექტოლოგიისათვის. ირკვევა, რომ ვიწრო ხმოვნების ი უ-ს ძალა არ ყოფილა მარტოდენ დასავლური კილოების ნიშანდობლივი თვისება, იგი აღმოსავლური კილოებისთვისაც არა ჩანს უცხო.

დასავლური კილოების კანონზომიერება—ვიწრო ხმოვნების დიდი ძალა ასიმილაციის პროცესებში—ეგზომ დამახასიათებელი ამავე დროს მეგრულ-ჭანურისათვის, არ შეიძლება ახსნილ იქნეს, როგორც ხანისში. თუშურის (და აგრეთვე მეტ-ნაკლებად სხვა აღმოსავლური კილოების) მონაცემები გვიძლავებენ ეჭვის თვალთ მოვეკიდოთ ამ მხრივ მხოლოდმხოლოდ ხანურის გავლენას.

ასიმილაციის პროცესებში ვიწრო ხმოვნების განსაკუთრებული როლის საკითხთან შინაგან კავშირშია თუშურის (და ზოგჯერ სხვა მთის კილოების) წესი ხმოვანთა დავიწროება-დაკარგვისა არაასიმილაციურ გარემოცვაში.

თუშურში მიდრეკილებაა ბოლოკიდური ხმოვნების α -ს დასუსტება-დაკარგვისაკენ. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი α ჩვეულებრივ ვიწროვდება უმარცვლო უ-დ: იყუ, ყოფილიყუ, სცოდნიყუ, წეაღუ, აამიღუ, ეცნუ, ეთქუ... ვიწროვდება წოდებითი ბრუნვის α : ბიქუ, ვაჟებუ... ძირში: იჩუ, დოჭუ. თუ α -ს ხმოვანი უძღვის (როცა ეს α წოდებითი ბრუნვის ნიშანია, ან სხვათა სიტყვის α არის), მაშინ, ბუნებრივია, ამ პროცესს მით უმეტეს ექნება ადგილი: ღოროუ (წოდ.), ბიქაუ (წოდ.). სხვათა სიტყვის α ჩვეულებრივ უმარცვლო უ-დაა ქცეულა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუშურს ძალიან უყვარს სხვათა სიტყვის $\alpha \rightarrow \psi$ -ს ხშირი გამოყენება. ψ ($\leftarrow \alpha$) ისმის არა მარტო ფრაზის ბოლოს, არამედ თითქმის წინადადების ყოველი წევრის ბოლოს: „უთხარ: მიდიუ, ჩუენაუ მხად ვართაუ; იფიქრ, რო თუშებიუ ისთაჲ ხალხიაუ, ჯერ არაფერს იტყვიანსაუ, თუ თქვიანაოდ' გააცხადებენაუ; მეშუიდე წელსაუ ტყემაუ ფოთოლ აღარ გამიქსაუ, ხალხიუ სუ მთა-წვერთ მეედვაუ, წყლებიცა დაშრაუ,—იმაშინდელიაუ, დიდ მთებშიგ რო ნაფუძრებიუ...“ ხევსურული უფრო შორს მიდის: ψ -ს ვ-დ აქცევს. აქ სხვათა სიტყვის მაწარმოებელია არა ავ, არამედ ვ, რომელიც α -სგან მომდინარეობს, ხოლო წინამავალი ა სხვა წარმოშობისაა: იგი მთის კილოებში გავრცელებული მავრცობი ა არის, რომელსაც ჩვენ „ზმნის მავრცობ ა-ს“ ვუწოდებთ. მაგ.: გვიშველეთა, იღებსა, მოხკლავსა, მიგიღესა, ამბობა, უბოძეთა, ეღირ-

სებოდესა, იღებდენა და მისთ. სხვათა სიტყვის ო-ს დართვა დაკავშირებულია ამ მავრცობის გამოყენებასთან; ამისვე გავლენით ო ვიწროვდება უ-ღ-მიგიღებათ (მიგიღებო), ამბობათ (ამბობო) და მისთ. იგვევ უ-ირიბი მეტყველების კონსტრუქციაში შეიძლება შეხამოს ი ე ო ხმოვნებს სახელებში: შვილით (შვილიო), სიკეთეთ (სიკეთეო), გოგოთ (გოგოო) და მისთ. ხევსურულში იქნებოდა: შვილივ, სიკეთევ...

ა-ზე დაბოლოებული სიტყვებიც ამავე წესს ემორჩილებიან. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი ა ვიწროვდება გ-დ, ან სულ იკარგება: დამიძახე, გააკეთე, ეპირე, გუკვირდე და მისთ. ანალოგიური მდგომარეობაა ზანურში. უფრო ხშირია დაკარგვის შემთხვევები: დამიძახე, გააკეთე... მაშასადამე, ვიღებთ ამ თანამიმდევრობას: ა → გ → 0. სამივე სახეობა დასტურდება; სკარბობს მესამე.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ა უმთავრესად იკარგება, უკეთუ იგი ფორმანტია (მაგ., პირის ნიშანი), ხოლო თუ ფუძისეულია, ხელუხლებელი რჩება (ე. ი. არის დედა, მამა და არა დედ, მამ..., მაგრამ: გააკეთე...).

თუ რა ფონეტიკური ფაქტორია ის ფაქტორი, რომელიც თანაბრად განსაზღვრავს უკიდურეს აღმოსავლურ კილოს—თუშურს და უკიდურეს დასავლურ კილოს—აჭარულს ხმოვანთა ცვლილებების თანაბრობის მხრივ, ამაზე მსჯელობა არ შემოდის ამ წერილის ფარგალში. აქ ვიტყვით, რომ შესაძლებელია გავითვალისწინოთ მეტყველების სწრაფი ტემპი, რომელიც საერთოა ამ ორი დიალექტური ერთეულისათვის ისევე, როგორც მეგრულ-ჭანურისთვისაა იგი ნიშანდობლივი; აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა მახვილს ენიჭება. ამ კითხვის გარკვევას შევეცდებით სხვა დროს.

დასკვნა

1. ქართულში ხუთი ხმოვნის ერთერთთან შეხამებით წარმოიქმნება 25 კომპლექსი. ლიაობის მიხედვით დალაგებისას 3 რიგი მიიღება: A რიგი, რომელშიც ფართოს მოსდევს ვიწრო, B რიგი, რომელშიც ვიწროს მოსდევს ფართო, და C რიგი, რომელშიც თანაბარი ლიაობისა და იდენტური ხმოვნებია.

2. სამივე რიგი ფონეტიკური თვალსაზრისით გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს.

A რიგის კომპლექსებში (ფართო+ვიწრო) ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას. ეს მოვლენა დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის და ზანურისათვის, აღმოსავლურ კილოთაგან კი—თუშურისათვის და ნაწილობრივ მოხეურ-ფერეიდნულისათვის.

B რიგის კომპლექსებში (ვიწრო + ფართო) ადგილი აქვს დისიმილაციას, უკეთ—დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებას: წინამავალი ვიწრო-ხმოვანი ფართოსთან მეზობლობაში კიდევ უფრო ვიწროვდება. ეს დამახასიათებელია მთლიანად ქართული ენისათვის და ამასთანავე ზანურისათვის.

C რიგის კომპლექსები ისწრაფვიან შერწყმისაკენ, თუ იდენტური ხმოვნებია, მაგრამ სალიტერატურო წარმოთქმის თვალსაზრისით თანაბარი ლია-

ობის (ოე) ხმოვნები სხვადასხვა პროცესს განიცდიან: აღმოსავლურ კილოებში ოე B რიგს გასდევს (ოე - უე), მაშასადამე, ო ვიწროა ე-ზე; დასავლურ კილოებსა და ზანურში კი ოე A რიგს გასდევს (ოე - ეე) ძირითადად, — მაშასადამე, ე ვიწროა ო-ზე. ასევე: ეო აღმოსავლურ კილოებში უმთავრესად A რიგის კანონზომიერებას ავლენს (ეო - ოო), ხოლო დასავლურ კილოებსა და ზანურში B რიგის წესს იზიარებს (ეო - იო - აო). ამგვარად: თუ სწორია ე და ო ხმოვნების თანაბარი ღიაობა სალიტერატურო მეტყველების თვალსაზრისით, დიალექტურად ისინი სხვადასხვა ღიაობისა ჩანან.

3. ხმოვანთა სამკუთხედის პრინციპი (ერთ ხაზზეა ა-ე-ი და მეორეზე — ა-ო-უ) გატარებულია ასიმილაციის პროცესებშიც: აი კომპლექსში ასიმილაცია ხდება ეი-ს საფეხურის გავლით (და არა ოი-სა), ხოლო აუ-ში ოუ-ს გზა უნდა განვლოს კომპლექსმა, რათა უუ-ზე დავიდეს (და არა ეი-ს გზით წავიდეს).

4. ყველა რიგის (A, B, C) ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა. საამისო გზა სხვადასხვაგვარია: A რიგის კომპლექსი ამას აღწევს ასიმილაციის გზით (აუ - ოუ - უუ - უ - უ), B რიგის კომპლექსი დიფთონგიზაციის (resp. დისიმილაციის) გზით (უა - უა - ვა - ა), C რიგის კომპლექსი — შერწყმის გზით (აა - ა - ა).

კომპლექსის განვითარების დასრულებულ სახეს მიაღწია ზანურმა (ე. ი. უკვე მივიღეთ ერთი ხმოვანი), ხოლო ქართ. კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ამათში ყველაზე შორს წასულან თუშური და აჭარული, სადაც გრძელი ხმოვანია გამოუმუშავებული უკვე (ერთი ხმოვანი ძალზე იშვიათია).

5. A, B, C რიგის კომპლექსთა ფონეტიკური პროცესების სხვადასხვა საფეხურის გათვალისწინება გამოდგება ქართულ კილოთა კლასიფიკაციის ერთ-ერთ ნიშნად.

ШОТА ДЗИДЗИГУРИ

ОБЩНОСТЬ ФОНЕТИЧЕСКИХ ПРОЦЕССОВ В КОМПЛЕКСАХ ГЛАСНЫХ В ГОВОРАХ ГРУЗИНСКОГО И ЗАНСКОГО ЯЗЫКОВ

Резюме

1. Пять гласных в грузинском и занском языках дают 25 комплексов. Если их расположить с точки зрения открытости гласных, получим 3 ряда: ряд А, в котором за широким гласным следует узкий (ai, ou...), ряд В, в котором, наоборот, за узким гласным следует широкий (oa, ue...), и ряд С, в котором группируются гласные одинаковой открытости, а также идентичные гласные (iu, aa...).

2. Эти 3 ряда с точки зрения фонетических процессов обнаруживают определенную закономерность, а именно: в комплексах ряда А (широ-

кий гласный + узкий) налицо регрессивная ассимиляция. Она характерна для западных говоров груз. языка, а также для занского (ai—ei—ii). В комплексах ряда В (узкий гласный + широкий) имеется диссимиляция, вернее, тенденция к дифтонгизации: предыдущий узкий гласный ещё суживается в соседстве со следующим за ним широким гласным. Она характерна для всех говоров грузинского языка, а также для занского языка. Комплексы ряда С стремятся к слиянию, когда налицо идентичные гласные (aa—a); комплексы, содержащие гласные одинаковой, с точки зрения литературного произношения, открытости (e, o), дают следующую картину: в западных говорах грузинского языка и в занском языке комплекс (oe) модифицируется по принципу ряда А, а в восточных говорах—по принципу ряда В.

3. Как правило, комплекс гласных стремится к упрощению: сводится к одному гласному. Но это достигается разными путями: комплекс ряда А изменяется по регрессивной ассимиляции, комплекс ряда В—по диссимиляции, вернее, дифтонгизации (вследствие утери слабой части дифтонга), комплекс ряда С идет по пути слияния.

Из картвельских языков на последней ступени этого процесса находится занский язык, а грузинские диалекты представляют разные ступени его. Из этих говоров больше всех развились тушский и аджарский, наиболее географически отдаленные от зоны распространения литературного языка: в них уже выработался долгий гласный.

4. Учет разных ступеней развития рядов А, В и С послужит одним из наиболее характерных принципов по вопросу классификации диалектов грузинского языка.

სვანურ ხმოვანთა კალატოზრამები და რენტგენოზრამები

I

კალატოზრამები

სვანური ქართველურ ენათა შორის ხმოვანი ბგერებით ყველაზე უფრო მდიდარია; სვანურის ოთხ დიალექტში კი ამ მხრივ გამოირჩევა ბალსემოური. ამ დიალექტში ხმოვანთა რიცხვი დღეს 20-მდის აღწევს. მას ახასიათებს ჩვეულებრივი (ა ე ი ო უ ჯ), შერეული (ა რ ჭ), გრძელი (ა ე ი ო უ ჯ), შერეული გრძელი (ა რ ჭ) და იოტირებული (ა ე ი ო უ ჯ) ხმოვნები. ბალსემოურსა და ლენტესურს მხოლოდ ჩვეულებრივი (ა ე ი ო უ ჯ) და შერეული (ა რ ჭ) ხმოვნები აქვს, ხოლო ლაშხურს—ჩვეულებრივი (ა ე ი ო უ ჯ) და გრძელი (ა ე ი ო უ ჯ) ხმოვნები. ამიტომ ბუნებრივია, თუ ჩვენ სვანურ ხმოვანთა შედგენილობის გამოსარკვევად უმთავრესად ბალსემოურის დიალექტოლოგიური მასალები გამოვიყენოთ.

სვანურის რთულ ხმოვნებზე უშუალო (არაექსპერიმენტულმა) დაკვირვებამ ბევრი ავტორი შეიყვანა შეცდომაში. ისეთი მკვლევარი, როგორც ნ. მარ ი იუო, გარკვეულ სიძნელეს წააწყდა ამ მხრივ. ის წერს: „მე გვიან შევნიშნე უშუალოდ ხმოვანთა სიგრძე და არა ერთბაშად და სავსებით კარგად შევითვისე შერბილებული ა, რომელსაც პირველ ხანებში ხშირად ვურევდი თითქმის აა¹“.

სვანურ ხმოვნებს ისტორიულად მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია განუცდია. ამდენად, სვანური ვოკალიზმის ზუსტ შესწავლას ამ ენის ბევრ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ მოვლენებში შეუძლია გაგვარკვიოს. ასე მაგ., როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, სვანურში დღესაც ცხოველი მოვლენებია: პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია.

სვანურ ხმოვანთა პროფილების ზუსტად გამოსარკვევად ჩვენ გამოვიყენეთ ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდები².

ხელოვნური სასის საშუალებით, როგორც ცნობილია, შეიძლება ხმოვანთა წარმოთქმისას მაგარ სასაზე ენის გვერდითი კედლების შეხების საზღვრების გამორკვევა; ხოლო ამა თუ იმ ხმოვნის წარმოთქმისას პირის ღრუში ენის ზურგსა და სასის კამარას შორის სარეზონანსო არის განსაზღვრა და საგიტალურად წარმოდგენა რენტგენის გადაღების საშუალებით შეიქნა შესაძლებელი. გარდა ამისა, რენტგენის საშუალებით შესაძლებელი გახდა ბაგეთა აქტიური მონაწილეობის განსაზღვრა ლაბიალიზებული ხმოვნების წარმოთქმისას.

¹ Н. Я. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, гл. VII.

² სვანური ცალკეული ხმოვნის გრაფიკული მეთოდით შესწავლის შედეგების შესახებ ჩვენ მიერ წაკითხული იყო მოხსენება ენიკი-ს ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების სხდომაზე 1940 წ. ნოემბერში.

ქვემოთ მსჯელობაა იმ შედეგების შესახებ, რომლებიც ხელოვნური სასის გამოყენებით მივიღეთ.

ჩვენი მიერ სვანური ხმოვნებისათვის შესრულებული პალატოგრამების ანალიზთან დაკავშირებით შესადარებლად გამოვიყენეთ სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა ენის ბგერებისათვის შესრულებული პალატოგრამები. ასე მაგ., Rousselot-ს შესრულებული პალატოგრამები ქართული; ფრანგული და სხვა ევროპული ენების ბგერებისათვის¹, ე. შ. ო ვ ი ს პალატოგრამები (მოსკოვური) რუსულის ბგერებისათვის², პროფ. ვ. ბოგოროდიცკის პალატოგრამები (ალმოსავლური) რუსულის ბგერებისათვის³, პროფ. ლ. შჩერბას პალატოგრამები რუსულისა და ფრანგულის ბგერებისათვის⁴, გ. შარაფის პალატოგრამები თათრულისა და, კერძოდ, პოვოლჟიის თათრული სალიტერატურო ენისა და რუსულის ბგერებისათვის⁵.

ჩვენი პალატოგრამები⁶ იმავე ტექნიკითაა შესრულებული, როგორცაც მას ლენინგრადის, ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში ასრულებენ ლ. შჩერბას ხელმძღვანელობით⁷.

შემდგომი ჩვენი მსჯელობისას ხელოვნურ სასაზე ორიენტაცია რომ გავვიადვილდეს, შეიძლება იგი კბილების განლაგების მიხედვით ხუთად დავყოთ (ნახ. 1):

პირველი მოიცავს საჭრელი კბილების—მედიალურისა და ლატერალურის (პირველი და მეორე წყვილის) არეს; მეორე—საკბეჩი კბილების, ანუ ეშვების არეს, თითო-თითო ორივე მხარეზე; მესამე მოიცავს მცირე ძირითადი კბილების—პირველი და მეორე წყვილის არეს; მეოთხე—ძირითადი კბილების პირველი და მეორე წყვილის არეს, ხოლო მეხუთე—სიბრძნის კბილების არეს, თითო-თითო ორივე მხარეზე.

სვანურ ხმოვანთა პალატოგრამების ინტერპრეტაცია

პალატოგრამების გაანალიზებისას დიდი მნიშვნელობისაა არა მარტო ის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ენის მაგარ სასასთან შეხების არე, ადგილი და მისი საზღვრები, არამედ ყველა ამასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა,

¹ Principes de Phonétique Expérimentale par L'abbé Rousselot, t. I, II, 1924, გვ. 543—621; 651—686, 867.

² С. И. Ершов, Экспериментальная фонетика (Ученые Записки Казанского Унив., 1902, декабрь, გვ. 104—114).

³ Проф. В. А. Богородицкий, Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, 1930, გვ. 73—83; 123—152; იმავე ავტორისა: Опыт физиологии общерусского произношения в связи с экспериментально-фонетическими данными, 1909 г.

⁴ Л. В. Щерба, Русские гласные в качественном и количественном отношении, 1912 г., გვ. 60, 63, 71; იმავე ავტორისა: Фонетика французского языка, 1939, გვ. 32—35; 57—65.

⁵ Г. Шараф, Папатограммы звуков татарского языка сравнительно с русскими (Вестник Научного Общества Татароведения, 1927, № 7, გვ. 65—102).

⁶ პალატოგრამების გადაღებაში გვეხმარებოდა ირ. ქავთარაძე. ნახაზები შესრულებულია მის მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით.

⁷ Проф. Л. В. Щерба, Фонетика французского языка-ში დაბეჭდილი პალატოგრამები, გვ. 32—35; 57—65.

როგორც ეს Panconcelli-Calzia-მ განსაკუთრებით აღნიშნა, ენის მაგარ სასასთან შეხების მიმართულების განსაზღვრა¹.

როგორც წესი, სვანურ ხმოვანთა პალატოგრაფების გადაღებისას ცდის პირი ბგერებს წარმოთქვამდა საშუალო სიძლიერით². ასევე, როგორც წესი, თითოეული პალატოგრაფის მისაღებად ვაწარმოებდით რამდენიმე გადაღებას, რომ კანონზომიერებისათვის მიგვეღწია და შემთხვევითობა თავიდან აგვეცილებინა.

ა ა ა ა

ამ სვანურ ხმოვანთა წარმოთქმისას ენის შეხებას მაგარ სასასთან არა აქვს ადგილი, რადგანაც ხმოვანთა სიფართოვის გამო ენა ვერ აღწევს მაგარ სასამდის. არც რუსული საშუალო „ა“-სა და ფრანგული „ა“-ს წარმოთქმისას ეხება ენა მაგარ სასას³. მით უფრო მაგარ სასასთან შეხების კვალი არა ჩანს თათრული „ა“-ს წარმოთქმისას; იგი ოდნავ ლაბიალიზებულიცაა და უფრო უკანა არტიკულაცია ახასიათებს მას, ვიდრე რუსულ „ა“-ს⁴.

როგორც რენტგენოგრაფებიდან ირკვევა, სვანური ა ა-ს წარმოთქმისას ენის წვერი ქვედა საჭრელი მედიალური კბილების ძირთან ძვეს, ენის შუა ტანის ზურგი რკალისებურ ფორმას იღებს და ა-ს წარმოთქმისას იგი მცირე ძირითადი და ძირითადი კბილების დონეს არ სცილდება; ა-ს წარმოთქმისას კი ენის შუა ტანის ზურგი, მისი დაჭიმულობის გამო, შედარებით უფრო ზევით იწევს და ოდნავ სცილდება მცირე ძირითადი და ძირითადი კბილების დონეს.

სვანური პალატალიზებული ა-ს წარმოთქმისას, როგორც რენტგენოგრაფით ირკვევა, ენის შუა ტანის ზურგი კიდევ უფრო ზევით იწევს ა-ს წარმოთქმისასთან შედარებით და ამით უფრო მეტ სივიწროვეს ქმნის პირის ღრუს არეში. სვანური ა-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი კიდევ უფრო მეტად ამობურცულია, მისი დაჭიმულობის გამო, ვიდრე ა-ს წარმოთქმისას.

ე ე ე ე

(ნახ. 2, 5, 6)

სვანურ წარმოთქმაში ე ორგვარია: ერთი შედარებით უფრო ფართო ე, როგორც გვეხვდება სიტყვებში: ესღრი ფიდის, ეჯნემ მან და სხვ., და მეორე დახურული, ანუ ე. წ. დიფთონგოიდური ე, რომელსაც ა-სებური დაწვება აქვს სიტყვებში: დევა, დელენე, დელო, დერვჷა ფინც, დეშდათი, დეცერ ფეცროი (თემის სახელია) და სხვ.

¹ G. Panconcelli-Calzia, Über. Palatogrammetrie: Vox, Heft 3/6, 1918, გვ. 181.

² ცდის პირი მ. გუჯავიანი მულახელია, ზემო სვანეთიდან, კარგად წარმოთქვამს სვანურ ხმოვნებს.

³ Проф. Л. В. Щерба, Фонетика французского языка, გვ. 38.

⁴ Г. Шафарь, Палатограммы..., გვ. 95.

პირველი სახის ე-ს წარმოთქმისას ენის წვერი ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან ძვეს, ენის შუა ტანის ზურგი იწვევს ზევით მაგარი სასის ცენტრისაკენ; ენის გვერდითი კიდეები მოიცავს მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითადი მეორე წყვილისა და ძირითადი კბილების არეში (ნახ. 2). სვანური ე-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს ერშოვის შესრულებულ პალატოგრამას ლია რუსული e-სათვის და ლ. შჩერბას პალატოგრამას ოდნავ დახურული ფრანგული e-სათვის (ნახ. 3).

სვანური ე-ს პალატოგრამა უახლოვდება სვანური ე-ს პალატოგრამას (ნახ. 2 და 4), ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მცირდება რამდენადმე. ეს იმას ამტკიცებს, რომ ე-ს წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოთა მეტ დაჭიმულობას აქვს ადგილი ე-სთან შედარებით¹.

სვანური დახურული, ანუ დიფთონგოიდური აე-ს წარმოთქმისას კი სრულიად განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე (ნახ. 5). არტიკულაცია შესამჩნევად იწვევს წინ მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ. სვანური დახურული ე-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს სვანური ა-ს პალატოგრამას. ეს იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დახურულ ე-ს დაწყება აქვს ა-სებური. იგი იოტირებულია, თუ შეიძლება ითქვას, და ამიტომაც თავისი არტიკულაციით უახლოვდება ა-ს. ერშოვის დაკვირვებით რუსულში ყველა იოტირებული ხმოვანი თავისი არტიკულაციით უახლოვდება ე-ს².

ი ო ა
(ნახ. 6, 7, 8)

სვანური ი-ს წარმოთქმისას ენის წვერი, მსგავსად ე-ს წარმოთქმისა; ქვედა საჭრელი მედიალური კბილების ძირთან ძვეს, ხოლო წინა ენის ზურგი და ენის შუა ტანის ზურგი იწვევს კიდევ უფრო მაღლა, ვიდრე ეს ე-ს წარმოთქმისას გვექონდა, და ამით იქმნება ვიწრო სარეზონანსო არე ენის ზურგსა და სასის კამარას შორის; ენის გვერდითი კიდეების შეხებას მაგარი სასის გვერდებთან მიმართულება აქვს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და შეხება აღწევს საკბერ კბილებამდის, ანუ ეშვებამდის. სვანური ი-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს იოტირებული, ანუ დახურული ე-ს პალატოგრამას (იხ. ნახ. 6), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ენის გვერდითი კიდეების შეხების სიფართოვე ი-ს წარმოთქმისას ოდნავ შემცირებულია.

სვანური ი-ს პალატოგრამა (ნახ. 7) თითქმის არ განსხვავდება ი-ს პალატოგრამისაგან. ალბათ, იმიტომ, რომ ი-ს, როგორც ყველაზე ვიწრო ხმოვანს წინა რიგის ხმოვანთა შორის, გაგრძელების შემთხვევაში არ შეუძლია უფრო ფართო იყოს.

სვანური ი-სა და ი-ს პალატოგრამები ძალიან უახლოვდება ერშოვის შესრულებულ რუსული „и“-ს პალატოგრამას (იხ.), მხოლოდ ერთი გან-

¹ შდრ. Eli Fischer Jorgensen, Objektive und subjektive Lautdauer deutscher Vokale: Archiv für Vergleichende Phonetik, 1940, Band 4, Heft I/II, გვ. 6.

² Ершов, op. cit., გვ. 107.

სხვაგვებით: რუსული „И“-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე ეს სვანური ი-ს წარმოთქმისას გვაქვს.

რაც შეეხება სვანურ ჯ-ს (ნახ. 8), მისი წარმოთქმისას არტიკულაცია კიდე უფრო ოდნავ წინ მოიწევს სვანურ ი-სთან შედარებით და ამით კიდე უფრო ვიწროვდება სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილში. ენის გვერდითი კიდეების შეხებას მაგარი სასის გვერდებთან მიმართულება აქვს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და აღწევს ლატერალურ კბილებამდის. ენის გვერდითი კიდეების შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე ეს ი-ს წარმოთქმისას არის.

ო ო

სვანური ო-სა და ო-ს წარმოთქმისას ენის შეხებას მაგარ სასასთან ადგილი არა აქვს. ჩანს, ო-სა და ო-ს არტიკულაცია იმდენად უკან ხდება, რომ ენის უკანა ნაწილი ამ შემთხვევაში ვერ აღწევს მაგარ სასამდის.

როგორც რენტგენოგრაფიით ირკვევა, ენის წვერი ოდნავ სცილდება ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებს, ენის ტანი უკან არის გადაწეული და ენის უკანა ნაწილის ზურგი ოდნავ წამოწეულია რბილი სასის უკანა ნაწილის მიმართულებით. ამგვარად, ენის ზურგი რკალისებურ ფორმას იღებს, მაგრამ მაგარი სასის ბოლომდის ვერ აღწევს. მით უფრო სვანური ო-ს წარმოთქმისას, საარტიკულაციო ორგანოთა დაჭიმულობის გამო, უკანა ენის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარი სასის ბოლომდის.

პროფ. ვ. ბოგოროდიცკი რუსული „О“-ს შესახებ შენიშნავს, რომ მის წარმოთქმაში ზოგჯერ ხდება ენის უკანა ნაწილის შეხება სიბრძნის კბილების არეში და ზოგჯერ არა¹.

ო ო

(ნახ. 9)

სვანურის ვიწრო, ანუ პალატალიზებული ო-ს წარმოთქმისას არტიკულაცია შესამჩნევად წინ მოდის სვანურ ო-სთან შედარებით. როგორც რენტგენოგრაფიიდან ირკვევა, ენის წვერი ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან ძვეს, ენის წინა ნაწილისა და შუა ტანის ზურგი იმდენად ამოიბურცება და იწევს მაგარი სასის ცენტრისაკენ, რომ ენის გვერდითი კიდეების შეხება მოიცავს ძირითადი და მცირე ძირითადი მეორე წყვილი კბილების არეს. სვანური ო-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს სვანური ე-ს პალატოგრამას (ნახ. 4). ეს იმას ამტკიცებს, რომ სვანური ო-ს წარმოთქმისას ენის ზურგსა და სასის კამარას შორის სარეზონანსო არე უფრო მეტია, ვიდრე სვანურ ფართო ე-ს წარმოთქმისას გვაქვს (ნახ. 2).

სვანური ო-ს წარმოთქმისას ენა მაგარ სასასთან შეხების კვალს არ ტოვებს. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ სარეზონანსო არე ო-ს წარმოთქმისას

¹ Проф. В. А. Богородицкий, Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, 83. 76.

კიდევ უფრო ფართოვდება ორგანოთა დაჭიმულობის გამო, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას გვექონდა. ო-ს ეს სიფართოვე მის, სიგრძესთანაა კავშირში.

უ უ უ უ

(ნახ. 10, 12, 14)

სვანური უ-ს პალატოგრამა (ნახ. 10) გვიჩვენებს, რომ ენის გვერდითი კიდები ოდნავ ეხება სიბრძნის კბილებსა და ნაწილობრივ ძირითად მეორე წყვილ კბილებს. ენის უკანა ნაწილის არტიკულაცია კიდევ უფრო ავიწროებს სარეზონანსო არეს, ვიდრე ეს ო-ს წარმოთქმისას გვექონდა. სვანური უ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს პროფ. ვ. ბოგოროდიცკის შესრულებულ პალატოგრამას რუსული ყ-სათვის (ნახ. 11).

სამაგიეროდ სვანური უ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდების შეხება მაგარ სასასთან არ ხდება, იმიტომ რომ უ-ს წარმოთქმისას ორგანოთა დაჭიმულობის გამო სარეზონანსო არე უფრო მეტად ფართოვდება, ვიდრე უ-ს წარმოთქმისას.

რაც შეეხება სვანური უ-ს პალატოგრამას (ნახ. 12), იგი თითქმის ემთხვევა სვანური ო-ს პალატოგრამას (ნახ. 6). თავისებურ სარეზონანსო არეს (ისე, როგორც ო-ს წარმოთქმისას) ქმნის ბაგეების აქტიური მონაწილეობა, რაც რენტგენის სურათებზე ნათლად ჩანს.

სვანური უ-ს პალატოგრამა (ნახ. 13) არ განსხვავდება სვანური უ-ს პალატოგრამისაგან (ნახ. 12), რაც აიხსნება, მსგავსად ო-სა, უ-ს წარმოთქმისას ვიწრო სარეზონანსო არის შექმნილი და ლაბიალიზებულიობით.

ზ ზ ზ

სვანურში ზ-სა და ზ-ს გარდა გვაქვს ამ ხმოვანთა კიდევ უფრო დახურული, იოტირებული სახის ზ, რომელსაც პირობითად ასე გამოვხატავთ: ზჟ. იგი გარკვევით ისმის სიტყვებში: ზჟრჟი «მწვანე», ზჟრთხილ «ციდა», ზჟღი «ღებს», ზჟგემ «აგებს» და სხვ.

სვანური ზ-სა და ზ-ს წარმოთქმისას ენის მაგარ სასასთან შეხებას ადგილი არა აქვს. როგორც რენტგენოგრამებიდან ირკვევა, ენის წვერი სცილდება ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებს ისე, როგორც ო-სა და უ-ს წარმოთქმისას, და ენის შუა ტანის ზურგი იწვევს ზევით, მაგარი სასის ბოლოსაკენ, მაგრამ მაგარ სასამდის ვერ აღწევს. ზ-ს წარმოთქმისას სარეზონანსო არის შექმნაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ო-სა და უ-ს წარმოთქმისას, ბაგეები არ მონაწილეობენ.

სვანური დიფთონგოიდური, ანუ იოტირებული ზჟ-ს წარმოთქმისას ენა მაგარ სასას ეხება (ნახ. 14). მისი პალატოგრამაც მეტად თავისებურია. ზჟ-ს, როგორც იოტირებული ხმოვნის წარმოთქმისას, არტიკულაცია ზ-სთან შედარებით შესამჩნევად იწვევს წინ, მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ; სარეზონანსო არე იმდენად მცირდება პირის ღრუს წინა ნაწილში, რომ ენის გვერდითი კიდების შეხება მაგარი სასის ბოლოდან დაწყებული მოიცავს მაგარი სასის კედლებს ძირითადი და მცირე ძირითადი კბილების არეში და აღწევს

საკებრ კბილებამდის, ანუ ეშვებამდის. მაგარი სასის წინა ნაწილში, ეშვების არეში, ენის შეხება ოდნავ უფრო ფართოა და შეჭრილია შიგ; მიმართულება მას ნუნებისაკენ აქვს. სვანური ჟ-ს ეს პალატოგრაჟა ძალიან მიაგავს ერ შო-ვის შესრულებულ პალატოგრაჟას რუსული ჟ-სათვის (ნახ. 15).

ზემოთ განხილული პალატოგრაჟებიდან ნათლად ირკვევა, რომ სვანურში გვაქვს ხმოვანთა წყვილები: ა—აჲ, ე—ეჲ, ი—იჲ, ო—ოჲ, უ—უჲ, გ—გჲ. მეორე რიგის ხმოვნები ვიწრო და ჯოტირებული ხმოვნებია. ისინი წარმოქმნილია არტიკულაციის წინ წამოწევით შესატყვის ძირითად ხმოვნებთან შედარებით და წარმოადგენენ ძირითადი ხმოვნების პალატალიზებულ ვარიანტებს. ამდენად მათ შეიძლება ვუწოდოთ პალატალიზებული ხმოვნები.

ამის შემდეგ ბუნებრივია დავსვათ კითხვა: პალატალიზებული ხმოვნები ახდენენ თუ არა გავლენას თანხმოვნებზე და სცვლიან თუ არა მათ ბუნებას?

1. სვანური ნ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნაქჷ ანათქვამი ენის წვერი ებჯინება ზედა საჭრელ მედიალურ კბილებს და მისი ზურგი ოდნავ მოიცავს ნუნებს შედიალური კბილების არეში, ხოლო ენის გვერდითი კიდეები მოიცავს ასევე ოდნავ მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითადი და ძირითადი კბილების არეში სიბრძნის კბილებამდის (ნახ. 16); სამაგიეროდ, ენის შეხების არე საგრძნობლად ფართოვდება როგორც მაგარი სასის წინა ნაწილში, ისე მაგარი სასის გვერდებზედაც ნ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნაჲ ჩვენ (ნახ. 17). უკანასკნელ შემთხვევაში უდავოდ პალატალიზებულ ნ-სთან გვაქვს საქმე. სვანური მაგარი და პალატალიზებული ნ-ს პალატოგრაჟა ძალიან მიაგავს ერ შო-ვის შესრულებულ პალატოგრაჟას რუსული მაგარი და პალატალიზებული ნ-სათვის (ნახ. 18). ნ-ს პალატალიზება სიტყვაში ნაჲ აკუსტიკურადაც ადვილად შესამჩნევია (შდრ. ნაბოზსაღამო).

2. სვანური ლ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ლოთ (ლოთი) (ნახ. 19) ენის წვერი ებჯინება ზედა საჭრელ მედიალურ კბილებსა და ნუნებს შუა, ხოლო ენის წინა ნაწილის ზურგი და ენის გვერდითი კიდეები მაგარი სასის წინა ნაწილზე შეხების ოვალურ კვალს ტოვებენ. ენის გვერდითი კიდეების შეხება მცირე ძირითად მეორე წყვილ კბილებამდის აღწევს (მარცხნივ მცირე ძირითად მეორე კბილის არესაც მოიცავს) და იქ იქმნება ჰაერის გვერდებზე გამოსასვლელი ნაპრალი. განსხვავებულია ლ-ს პალატოგრაჟა სიტყვაში ლანჷ იყო (ნახ. 20). ენის წინა ნაწილის ზურგის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში საგრძნობლად გაფართოებულია, ასევე უფრო ფართოა ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარი სასის კედლებზე და აღწევს ძირითად მეორე წყვილ კბილებამდის. სვანური პალატალიზებული ლ-ს პალატოგრაჟა ძალიან მიაგავს ლ. შჩერბას შესრულებულ პალატოგრაჟას რუსული პალატალიზებული ლ-სათვის, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ რუსული ლ-ს წარმოთქმისას მაგარი სასისთან შეუხებელი რჩება მცირე ადგილი საჭრელი კბილების არეში.

3. სვანური რ-ს წარმოთქმისას სიტყვაში რას (რასა) (ნახ. 21) ენის წვერის თრთოლა ხდება ნუნების არეში; საჭრელი მედიალური კბილების არეში

მაგარ სასასთან ადგილი შეუხებელი რჩება, მხოლოდ ენის გვერდითი კიდებები ოდნავ მოიცავენ კბილების არეში მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის.

როგორც რუსული p-სათვის ე რ შ ო ვ ი ს შესრულებული პალატოგრამიდან ირკვევა (იხ.), რუსული p-ს არტიკულაცია ოდნავ უფრო უკან ხდება, ვიდრე სვანური რ-სი: სვანური რ-ს არტიკულაცია წინაა წამოწეული. სვანური რ-ს წარმოთქმისას სიტყვაში რ ა შ რ აში არტიკულაცია კიდევ უფრო წინ იწევს და მოიცავს ენის წვერის შეხება მაგარი სასის წინა ნაწილს მთლიანად (ნახ. 22). გარდა ამისა, ენის გვერდითი კიდებების შეხების არეც მაგარი სასის კედლებთან უფრო ფართოა, ვიდრე არაპალატალიზებული რ-ს წარმოთქმისას გვერდია. სვანური პალატალიზებული რ-ს პალატოგრამა შესამჩნევად განსხვავდება რუსული პალატალიზებული p'-ს პალატოგრამისაგან.

4. სვანური მ-ს წარმოთქმისას სიტყვაში მ ა რ ე აკაცი ენის შეხება მაგარ სასასთან ვერ მივიღეთ. არც რუსულში აქვს ადგილი ენის შეხებას მაგარ სასასთან ბავისმიერების (R II M-ს) მაგარი ვარიანტის წარმოთქმისას.

მ-ს წარმოთქმისას სიტყვაში მ ა შ რ ა (ნახ. 23) ენის გვერდითი კიდები მოიცავენ მაგარი სასის გვერდების არეს ეშვებიდან სიბრძნის კბილებამდის; ენის გვერდითი კიდების შეხებას მიმართულა აქვს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ. სვანური პალატალიზებული მ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს ე რ შ ო ვ ი ს შესრულებულ პალატოგრამას რუსული პალატალიზებული მ'-სათვის (ნახ. 24).

5. სვანური ტ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ტ ა დ ე (საკ. სახელია) ენის მაგარ სასასთან შეხებას ადგილი არა აქვს. არც რუსული მაგარი ხ-ს წარმოთქმისას რჩება ენის შეხების კვალი მაგარ სასაზე.

სვანური ტ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ტ ა ლ ტ რ ევლურია (ნახ. 25) ენის გვერდითი კიდები ეხება მაგარ სასას ძირითადი და მცირე ძირითადი მეორე წყვილი კბილების არეში. ტ-ს პალატოგრამის მ-ს პალატოგრამასთან (ნახ. 23) შედარება გვიჩვენებს, რომ ტ-ს, როგორც ლაბიალური ბგერის, წარმოთქმისას არტიკულაცია უფრო უკან არის გადაწეული, ვიდრე მ-ს წარმოთქმისას. გარდა ამისა, ტ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდების მაგარ სასასთან შეხების არე მცირდება.

6. სვანური ხ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ხ ა მ ძალის დასაბმელი ძოკლე ჯოხი (ნახ. 26) შეუხებელი რჩება მაგარი სასის წინა ნაწილში მხოლოდ საჭრელი მედიალური კბილების არე: ხ-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილში ოდნავ ღარისებრი ჩაღრმავება იქმნება და ენის წვერი ეხება ნაწილობრივ ქვედა მედიალურ კბილებსა და ნაწილობრივ ზედა მედიალურ კბილებს. სვანური ხ-ს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება ე რ შ ო ვ ი ს შესრულებულ პალატოგრამას რუსული მაგარი ხ-სათვის (იხ.) და ლ. შ ჩ ე რ ბ ა ს პალატოგრამას ფრანგული ხ-სათვის (გვ. 65).

საგრძნობლად განსხვავებულია სვანური ხ-ს პალატოგრამა სიტყვაში ს ა ჯ ძ ა რ ხ ი ლ ი ა. (ნახ. 27). მაგარი ხ-ს პალატოგრამისაგან განსხვავებით აქ ენის წინა ნაწილის ზურგი მთლიანად მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს. სვანური პალატალიზებული ხ-ს პალატოგრამა განსხვავდება რუსული პალატალიზებული ხ'-ს პალატოგრამისაგან (იხ. ლ. შ ჩ ე რ ბ ა, ბ ო გ ო რ ო დ ი ც კ ი, ე რ შ ო ვ ი).

7. სვანური ზ-ს პალატოგრამა სიტყვაში ზარა ეკონომია, ზოგვა (ნახ. 28) განსხვავდება სვანური მაგარი ს-ს პალატოგრამისაგან (ნახ. 26): ზ-ს წარმოქმნისას ენის წვერის ზურგის შეხება მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს მედიალური კბილების არეში, ენის გვერდითი კიდეები, მსგავსად მაგარი ს-სა, მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის.

სვანური პალატალიზებული ზ-ს წარმოქმნისას სიტყვაში ზაჲ წელიწადი (ნახ. 29) ენის შეხების სიფართოვე მაგარ სასასთან კიდევ უფრო შესამჩნევად დიდდება და ამ შეხებას მიმართულება მაგარი სასის წინა ნაწილში მაგარი სასის ცენტრისაკენ აქვს.

8. სვანური შ-ს პალატოგრამა სიტყვაში შავ ვაი (ნახ. 30) გვიჩვენებს, რომ ეშვების არეში წინა ენის შეხება შეჭრილია შიგ და მიმართულება აქვს ნუნებისაკენ; მაგარი სასის წინა ნაწილი შეუხებელი რჩება იმიტომ, რომ ენის წვერი ქვედა მედიალურ კბილებთანაა ახლოს. ენის გვერდითი კიდეები მოიცავს მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის. რუსული III-ს პალატოგრამებთან შედარება გვიჩვენებს, რომ სვანური შ-ს არტიკულაცია შედარებით უფრო წინაა წამოწეული. ამით აიხსნება, ალბათ, ის, რომ რუსულში III ყოველთვის მაგარია (იხ. პროფ. ვ. ბოგოროდიცკისა და ერმოვის შესრულებული პალატოგრამები რუსული III-სათვის).

სვანური შ-ს წარმოქმნისას სიტყვაში შაბ შაბი (ნახ. 31) ენის გვერდითი კიდეების შეხების სიფართოვე მაგარი სასის გვერდებზე მატულობს; ეშვების არეში შიგ შეჭრილი შეხების არეც უფრო ფართოა და ნუნების არეს კიდევ უფრო უახლოვდება.

9. სვანური ჟ-ს წარმოქმნისას სიტყვაში ჟაგარ წამალი (ნახ. 32) არტიკულაცია ოდნავ უკანაა გაწეული, ვიდრე არაპალატალიზებული შ-ს წარმოქმნისას (ნახ. 30). სვანური ჟ-ს ეს პალატოგრამა უფრო უახლოვდება ერმოვის შესრულებულ პალატოგრამას რუსული ჯ-სათვის.

სვანური ჟ-ს წარმოქმნისას სიტყვაში ჟაგ თოფისწამალი (ნახ. 33) არტიკულაცია იმდენად წინ იწევა, რომ ენის წინა ნაწილის შეხება მოიცავს მთლიანად მაგარი სასის წინა ნაწილს. ამ მხრივ სვანური პალატალიზებული ჟ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს სვანური პალატალიზებული ზ-სა (ნახ. 29) და პალატალიზებული ს-ს (ნახ. 27) პალატოგრამებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პალატალიზებული ჟ-ს წარმოქმნისას მაგარი სასის წინა ნაწილზე წინა ენის შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე პალატალიზებული ზ-სა და ს-ს წარმოქმნისას.

10. სვანური დ-ს წარმოქმნისას სიტყვაში დაკლ თხა (ნახ. 34) ენის წვერი ეხვინება ზედა მედიალურ კბილებს, ხოლო ენის წინა ნაწილის ზურგის შეხება მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს მთლიანად, ენის გვერდითი კიდეები კი მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის.

სვანური დ-ს წარმოქმნისას სიტყვაში დაბ ყანა (ნახ. 35) ენის წინა ნაწილის ზურგისა და ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარ სასასთან უფრო ფართოა. სვანური პალატალიზებული და არაპალატალიზებული დ-ს პალატოგრამები ძალიან მიაგავს ერმოვის შესრულებულ პალატოგრამებს.

რუსული მაგარი და პალატალიზებული *ჟ*-სათვის, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ სვანურში ენის შეხება მაგარი სასის წინა ნაწილთან უფრო ფართოა, ვიდრე რუსულში.

11. სვანური *თ*-ს პალატოგრამა სიტყვაში *თალ ძოლი* (ნახ. 36) ძალიან უახლოვდება *ზ*-ს პალატოგრამას სიტყვაში *ზარა* (ნახ. 28), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ *თ*-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილში ენის შეხების არე ოდნავ უფრო ფართოა. *თ*-სა და *ზ*-ს პალატოგრამების შეხვედრა აქ არ არის შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ როგორც *ზ* *ს*-ს წარმოთქმისას, ისევე *დ* *თ* *ტ*-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილი უახლოვდება მაგარი სასის წინა ნაწილს. ისინი საარტიკულაციო ორგანოების მიხედვით კი არ განსხვავდებიან, არამედ გვარობის მიხედვით: *ზ*, *ს* ნაპრალოვნებია, *დ* *თ* *ტ* — ხშულები.

სვანური *თ*-ს წარმოთქმისას სიტყვაში *თჷშ ყველი* (ნახ. 37) ენის შეხების სიფართოვე მაგარი სასის წინა ნაწილზე და გვერდებზე უფრო გადიდებულია, ვიდრე არაპალატალიზებული *თ*-ს წარმოთქმისას (ნახ. 36).

12. სვანური *ტ*-ს პალატოგრამა სიტყვაში *ტაბა თლა* (ნახ. 38) ძალიან უახლოვდება *თ*-ს პალატოგრამას სიტყვაში *თალ* (ნახ. 36), განსხვავება ისაა, რომ *ტ*-ს წარმოთქმისას ენის მაგარ სასასთან შეხების სიფართოვე ოდნავ შემცირებულია. სვანური *ტ*-ს პალატოგრამები სიტყვებში *ტანდ* *ტახტი* (ნახ. 39), *ტრტ* *ახელი* (ნახ. 40) გვიჩვენებს, რომ ენის შეხების სიფართოვე მაგარი სასის წინა ნაწილსა და გვერდებზე შესამჩნევად დიდდება.

გ. ახვლედიანის მიერ ქართული *ტა* *თა* და-სათვის შესრულებული პალატოგრამებით ნათლად ირკვევა¹, რომ მაგარ სასასთან ენის შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე სვანურის შესატყვის თანხმოვანთა წარმოთქმისას. განსაკუთრებით ეს ითქმის *ტ*-ს შესახებ, რაც მხოლოდ წარმოთქმის თავისებურებით შეიძლება აიხსნას. გ. ახვლედიანი სამართლიანად დაასკვნის: „რაც შეეხება დაჭიმულობას, ქართულიდან ცხადად ჩანს, რომ *კ* *ტ* *პ*-ს სიმკვეთრეს ეს არ ქმნის“ (იქვე, 123). ასეა სვანურშიც, მაგრამ, როგორც ეს სვანურის პალატოგრამებით ირკვევა, განსხვავებით ქართულისაგან, სვანურში არაპალატალიზებული თანხმოვნები საარტიკულაციო ორგანოთა დაჭიმულობით იწარმოებიან, ხოლო პალატალიზებულ თანხმოვანთა წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოთა დაჭიმულობას ადგილი არა აქვს.

13. სვანური *ძ*-ს პალატოგრამა სიტყვაში *ძაძ ძაძა* (ნახ. 41) ძალიან უახლოვდება *ზ*-სა (ნახ. 28) და *ტ*-ს (ნახ. 38) პალატოგრამებს. ეს მსგავსებაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. *ძ* რთული თანხმოვანია, რომელიც აერთიანებს *დ*-სა და *ზ*-ს. მისი პირველი კომპონენტი მჟღერი ხშულია, მეორე კი — მჟღერი ნაპრალოვანი, ე. ი. *ძ* და საერთოდ ყველა აფრიკატი ხშვით იწყება და ნაპრალოვნობით მთავრდება. არტიკულაცია ერთი და იმავე ორგანოებით ხდება, ოღონდ ეს კია, რომ, როგორც ამას პალატოგრამიდან ვხედავთ, წინა ენის შეხება და ხშვა მაგარი სასის წინა ნაწილში *დ*-სათვის უფრო სწრა-

¹ გ. ახვლედიანი, მკვეთრი ხშულნი ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. II, 1922—23, გვ. 124.

ფად და უფრო ნაკლები ენერგიით¹ ხდება, ვიდრე ზ-სათვის, და ამიტომაც პალატოგრამა უახლოვდება არა დ-ს, არამედ ზ-ს პალატოგრამას².

სვანური ძ-ს პალატოგრამა სიტყვაში ძჷძ ტომარა (ნახ. 42) თითქმის ემთხვევა პალატალიზებული ზ-ს პალატოგრამას (ნახ. 29), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პალატალიზებულ ძ-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილში ენის შეხება ოდნავ უფრო ფართოა, ვიდრე პალატალიზებული ზ-ს წარმოთქმისას.

14. სვანური ც-ს პალატოგრამა სიტყვაში ც ა ბ უ ს ა კ . სახელია (ნახ. 43) ნათლად გვიჩვენებს ამ ბგერის რთულ ბუნებას. ც-ს პალატოგრამა უახლოვდება თ-ს პალატოგრამასაც (ნახ. 36) და პალატალიზებული ს-ს პალატოგრამასაც (ნახ. 27), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში ენის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში უფრო ფართოა, ვიდრე ც-ს წარმოთქმისას.

სვანური ც-ს წარმოთქმისას სიტყვაში ც ა გ ე კ ა ლ ი ა (ნახ. 44) წინა ენის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილზე უფრო ფართოვდება; უფრო ფართოა ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებზე. ც-ს ეს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება პალატალიზებული ს-ს პალატოგრამას (ნახ. 27).

15. სვანური წ-ს პალატოგრამა სიტყვაში წ ა მ ა ლ ო (ნახ. 45) თითქმის ემთხვევა ც-ს პალატოგრამას (ნახ. 43), ხოლო წ-ს წარმოთქმისას სიტყვაში წ ა მ ა ნ თ ე ს ა ვ ი (ნახ. 46) ენის წინა ნაწილის შეხება მაგარი სასის წინა ნაწილთან და ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებთან უფრო ფართოვდება. წ-ს ეს პალატოგრამა ასევე ემთხვევა პალატალიზებული ც-ს პალატოგრამას (ნახ. 44).

16. სვანური ჯ-ს პალატოგრამითაც სიტყვაში ჯ ა თ ვ ი თ (ნახ. 47) ნათლად ჩანს ამ ბგერის რთული ბუნება. ჯ-ს წარმოთქმისას ენის წვერი ებჯინება ქვედა მედიალურ კბილებს, წინა ენის ზურგი კი ხშვას ახდენს ნუნების არეში და ენის შეხება მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს მთლიანად; ენის გვერდითი კიდეები მაგარი სასის გვერდებს ეხებიან. სვანური ჯ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს როგორც პალატალიზებული დ-ს პალატოგრამას (ნახ. 35), ისე პალატალიზებული ძ-ს პალატოგრამასაც (ნახ. 33). ამ უკანასკნელში, ჯ-საგან განსხვავებით, ენის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში უფრო შემცირებულია.

სვანური ჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჯ ა ბ ც ხ ე ნ ის ჩ ლ ი ქ ი ა (ნახ. 48) ენის წინა ნაწილის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში და ენის გვერდითი კიდეების შეხების არეც მაგარი სასის გვერდებზე უფრო ფართოვდება; ვიდრე არაპალატალიზებული ჯ-ს წარმოთქმისას.

17. სვანური ჩ-ს პალატოგრამა სიტყვაში ჩ ა ლ ა ლ ა (ნახ. 49) ძალიან უახლოვდება ჯ-ს პალატოგრამას სიტყვაში ჯ ა (ნახ. 47), ხოლო ჩ-ს პალატოგრამა სიტყვაში ჩ ა მ ა წ ვ ე რ ი მ ო შ ვ ე ბ უ ლ ი (გლოვისას) (ნახ. 50) საგრძნობლად განსხვავებულია ენის წინა (და ნაწილობრივ შუა) ნაწილის ზურგის მაგარი სა-

¹ შდრ. Ершова, op. cit., გვ. 112.

² ს. ელენტი, ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 2, 1945.

სის წინა და შუა ნაწილზე (ნაწილობრივ) შეხების სიფართოვის გამო. ასევე ენის გვერდითი კიდეები უფრო ფართოდ მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს, ვიდრე პალატალიზებული ჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჯ აბ (ნახ. 48).

18. სვანური ჳ-ს პალატოგრამა სიტყვაში ჳა ჳა (ნახ. 51) თითქმის ემთხვევა ჩ-ს პალატოგრამას სიტყვაში ჩალ (ნახ. 49), ხოლო ჳ-ს პალატოგრამა სიტყვაში ჳ ა შ ქმარი (ნახ. 52) ასევე ძალიან მსგავსია პალატალიზებული ჩ-ს პალატოგრამისა სიტყვაში ჩ ა ჩ (ნახ. 50).

19. სვანური გ-ს წარმოთქმისას სიტყვაში გ ა ბ უ დოლა, ურქო თხა, (ნახ. 53) ენის უკანა ნაწილი ახდენს ხშვას რბილ სასასთან და ნაწილობრივ მოიცავს მაგარი სასის ბოლოს. ენის შუა და წინა ნაწილი იღებს კოვზისებურ ფორმას; მისი გვერდითი კიდეები მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს საკბენ კბილებამდის, ანუ ეშვებამდის. ამგვარად, პალატოგრამა სწორკუთხედისებურ ფორმას იღებს. სვანური გ-ს ეს პალატოგრამა ძალიან მიაგავს Rousselot-ს შესრულებულ პალატოგრამას ფრანგული გ-სათვის (ნახ. 54).

სვანური გ-ს პალატოგრამის შედარებამ ფრანგულის, რუსულისა და თათრულის გ-ს პალატოგრამებთან დაგვარწმუნა, რომ სვანური და ფრანგული ენების გ-ს არტიკულაცია უფრო წინაა წამოწყული, ვიდრე რუსული და თათრული რ-სი.

სრულიად განსხვავებულია სვანური გ სიტყვაში გ ა ჩ დანა (ნახ. 55). ამ შემთხვევაში არტიკულაცია კიდევ უფრო საგრძნობლად წინ იწევს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ. შეუხებელი ადგილი რჩება მაგარი სასის წინა ნაწილში, ზედა მედიალური (და ნაწილობრივ ლატერალური) კბილების არეში; შეუხებელი რჩება აგრეთვე მაგარი სასის ცენტრში წრისებური ადგილი, რომელიც შეესატყვისება შუა ენის კოვზისებურ ფორმას გ-ს წარმოთქმისას. სვანური გ-ს ეს პალატოგრამა უახლოვდება ლ. შჩერბას პალატოგრამას ფრანგული „გუ“-სათვის (ნახ. 56), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფრანგულ „გუ“-ს წარმოთქმისას მაგარი სასის ბოლოზე შეუხებელი რჩება სამკუთხედის ფორმის არე.

20. სვანური ქ-ს პალატოგრამა სიტყვაში ქ ა ნ კანათი (ნახ. 57) უახლოვდება გ-ს პალატოგრამას სიტყვაში გ ა ბ უ (ნახ. 53), ოღონდ ის განსხვავებაა, რომ ფშინიერი ქ-ს წარმოთქმისას მაგარ სასასთან ენის შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე გ-ს წარმოთქმისას. ქ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებთან აღწევს საჭრელ ლატერალურ კბილებამდის (უფრო ზუსტად: ლატერალური კბილების შუა წერტილამდის).

სვანური ქ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ქ ა მ ფერფლი (ნახ. 58) ენის მაგარი სასის უკანა ნაწილში შეხების არე საგრძნობლად ფართოვდება, შესამჩნევად ფართოვდება ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარი სასის გვერდებთან და მიმართულება აქვს მას მაგარი სასის ცენტრისაკენ.

21. სვანური კ-ს პალატოგრამა სიტყვაში კ ა ფიქალი (ნახ. 59) ძალიან უახლოვდება სვანური გ-ს პალატოგრამას (ნახ. 53), ოღონდ ერთი განსხვავებით: კ-ს წარმოთქმისას დარღვეულია ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასასთან შეხების სიმეტრიულობა და მარჯვენა კბილების მხარეზე შეხება აღწევს მცირე მეორე ძირითად კბილებამდის. გარდა ამისა, იმ მხარეზე ენის

შეხების სიფართოვეც შემცირებულია. სვანური კ-ს არტიკულაცია უფრო წინაა, მსგავსად გ-ს არტიკულაციისა, ვიდრე რუსული და თათრული ლ-ს არტიკულაცია (იხ. პალატოგრამები).

სვანური პალატალიზებული კ-ს წარმოთქმისას სიტყვაში კან ყანი (ნახ. 60) არტიკულაცია იმდენად მოიწევს წინ, რომ შეუხებელი რჩება მხოლოდ მაგარი სასის წინა ნაწილში. სვანური კ-ს ეს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება Rousselot-ს შესრულებულ პალატოგრამას ირლანდური პალატალიზებული კ'-სათვის (ნახ. 61), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ირლანდური პალატალიზებული კ'-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილში უფრო მეტი ადგილი რჩება შეუხებელი, ვიდრე სვანური პალატალიზებული კ-ს წარმოთქმისას.

22. სვანური ლ-ს არტიკულაცია სიტყვაში ღანავ ფეხმძიმე (ნახ. 62) უფრო უკან ხდება, ვიდრე სვანური არაპალატალიზებული გ-სა (ნახ. 53) და კ-ს (ნახ. 59) არტიკულაცია. სვანური ლ-ს წარმოთქმისას უკანა ენა უახლოვდება რბილ სასას და იქ აჩენს ნაპრალს, ხოლო ენის გვერდითი კიდეები მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითად კბილებამდის. სვანური ლ-ს ეს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება ერ შოვის პალატოგრამას რუსული ლ-სათვის, ერთი განსხვავებით: სვანური ლ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარი სასის გვერდებთან ოდნავ უფრო წინ წამოწეულია.

სვანური ლ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ღარ ღარი (ნახ. 63) არტიკულაცია კიდეც უფრო წინ მოიწევს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებთან მცირე ძირითად პირველ წყვილ კბილებამდის აღწევს. მაგარი სასის უკანა ნაწილში ენის შეხებაც ოდნავ უფრო ფართოა.

23. სვანური ხ-ს პალატოგრამით სიტყვაში ხარ აქვს (ნახ. 64) ირკვევა, რომ ხ-ს წარმოთქმისას არტიკულაცია ოდნავ წინ იწევს ლ-ს არტიკულაციასთან შედარებით (ნახ. 62), ენის გვერდითი კიდეები მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს საკბეკ კბილებამდის, ანუ ეშვებამდის. ამდენად სვანური ხ-ს არტიკულაცია უფრო წინ ხდება, ვიდრე რუსული ხ-ისი (იხ.).

სვანური პალატალიზებული ხ-ს პალატოგრამა სიტყვაში ხამ ღორი (ნახ. 65) ძალიან უახლოვდება პალატალიზებულ ლ-ს პალატოგრამას სიტყვაში ღარ (ნახ. 63).

24. სვანური კ-ს წარმოთქმისას სიტყვაში კან ჭუნი დის (ნახ. 66), ჩვენი დაკვირვებით, აქტიურ ორგანოდ არა მარტო ენის ძირი და ნაწილობრივ უკანა ენა გვევლინება, არამედ ხახის უკანა და გვერდითი კედლებიც ხახის „მომჭერი (ზევითა და შუა) კუნთების“ მეშვეობით (musc. constrictor pharyngis). ხახის „მომჭერი კუნთების“ აქტიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იჭიმებიან და მჭიდროდ ეკვრიან ენის ძირს ხშვის მოსახდენად. ენის გვერდითი კიდეები მაგარ სასასთან შეხებას ახდენენ მხოლოდ ძირითადი და სიბრძნის კბილების არეში.

სვანური პალატალიზებული კ-ს წარმოთქმისას სიტყვაში კან ჭარი (ნახ. 67) ენის შუა ნაწილის მაგარ სასასთან მიახლოების გამო მცირდება სარეზო-

ნანსო არე და ენის გვერდითი კიდევების შეხება აღწევს საჭრელ კბილებამდის. მაგარი სასის ბოლო ნაწილში ენის შეხების არე განსაკუთრებით ფართოა.

25. სვანური ყ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ყაბ ყაცის წვერო (ნახ. 68), მსგავსად კ-ს წარმოთქმისა, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხახის კედლები „მომჭერი კუნთების“ მეშვეობით, ენის ძირი და ნაწილობრივ უკანა ენა, და ხშვა მათი აქტიური მოქმედების შედეგად ხდება. ენის გვერდითი კიდევების შეხება მაგარი სასის გვერდებთან საკბეჩ კბილებამდის, ანუ ეშვებამდის აღწევს. ეს ამტკიცებს იმას, რომ ყრუ ფშვინვიერ კ-სთან შედარებით მკვეთრი ყ-ს წარმოთქმისას სარეზონანსო არე შესამჩნევად მცირდება.

სვანური პალატალიზებული ყ-ს პალატოგრამა სიტყვაში ყაჯ ყაჭი (ნახ. 69) სავსებით ემთხვევა პალატალიზებული კ-ს პალატოგრამის სიტყვაში კან (ნახ. 67). ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ კ და ყ ერთი და იმავე საარტიკულაციო ორგანოებით იწარმოებიან და მათი წარმოების ადგილი საერთოა (განსხვავება ფშვინვიერობასა და ყელხშულობაშია).

E. Selmer-ი თავის ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ქართული ბგერების შესახებ, სხვათა შორის, წერს: „განსაკუთრებით, სამწუხაროდ ჩემდა, უნდა გამოვტყდე, რომ „პოსტველარული ხშულის“ (ყ) ბუნება ჩემთვის ბნელი და გამოუცნობელი დარჩა. სირისკო და დაუსაბუთებელი ჰიპოთეზების წამოყენებას („იმპლოზიური წოვნითი ბგერა“!) ვამჯობინე შემეწყვიტა ჯერჯერობით ყოველგვარი დაწვრილებითი ანალიზი— იმ იმედით, რომ, თუ მე თვითონ არა, ვინმე სხვა მკვლევარი შესძლებს— შესაძლოა, პალატოგრამული გზით— ფარდაახადოს მას“¹. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პალატოგრამებმა გამოარკვეეს არა მარტო ყ-ს ბუნება, არამედ ყრუ ფშვინვიერი კ-საც². გარდა ამისა, პალატოგრამების ანალიზით ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი გამოირკვა: მკვეთრ ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმისას ენის მაგარ სასასთან შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე შესატყვის ფშვინვიერ და მჟღერ ხშულთა წარმოთქმისას. ამ მხრივ სვანური პალატოგრამების შედეგები სავსებით დაემთხვა გ. ახვლედიანის მიერ ქართული ტ თ დ-სათვის შესრულებული პალატოგრამების შედეგებს³. ჩვენი აზრით, მკვეთრების წარმოთქმისას ენის სასასთან რომ უფრო ფართო შეხება გვაქვს, ვიდრე შესატყვის ფშვინვიერ და მჟღერ ხშულთა წარმოთქმისას, ეს აიხსნება ყელხშულობითა და იმ სარეზონანსო არის პირში შემცირებით, რომელიც დამახასიათებელია მკვეთრების წარმოთქმისათვის.

ზემოთ განხილული პალატოგრამების მიხედვით მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: სვანურს აქვს არა მარტო პალატალიზებული ხმოვნები, არამედ პალატალიზებული თანხმოვნებიც. პალატალიზებული ხმოვნები, ახდენენ რა გავლენას თანხმოვნებზე, სცვლიან მათ ბუნებას, ე. ი. თანხმოვნებსაც აპალატალიზებენ. პალატალიზებულ თანხმოვანთა არტიკულაცია

¹ E. Selmer, Georgische Experimentalstudien, Oslo, 1935, გვ. 49, თარგმანი მოგვყავს გ. ახვლედიანის მიხედვით (ზოგადი და ქართული ენის ფონ. საკითხები, გვ. 173).


² ოტო-ლარინგოლოგმა არჩ. ჩარგეიშვილმა სავსებით დადასტურა გ-სა და ყ-ს წარმოთქმაზე ჩვენი დაკვირვების შედეგები.

³ გ. ახვლედიანი, მკვეთრი ხშულნი ქართულში, გვ. 124.


I

სვანურ სმოფანთა ჰალატოკრამები


I




6sb. 1




6sb. 2




6sb. 3




6sb. 4




6sb. 5




6sb. 6




6sb. 7




6sb. 8




6sb. 9



6sb. 10




6sb. 11




6sb. 12

II




6sb. 13




6sb. 14




6sb. 15




6sb. 16




6sb. 17




6sb. 18




6sb. 19




6sb. 20




6sb. 21



6sb. 22




6sb. 28




6sb. 24


III




б.б. 25




б.б. 26




б.б. 27




б.б. 28




б.б. 29




б.б. 30




б.б. 31




б.б. 32




б.б. 33



б.б. 34




б.б. 35




б.б. 36


IV




6sb. 37




6sb. 38




6sb. 39



6sb. 40




6sb. 41




6sb. 42




6sb. 43




6sb. 44



6sb. 45



6sb. 46




6sb. 47




6sb. 48


V




Նսն. 49




Նսն. 50




Նսն. 51




Նսն. 52



Նսն. 53



Նսն. 54



Նսն. 55




Նսն. 56




Նսն. 57



Նսն. 58



Նսն. 59




Նսն. 60


VI



61b. 61




62b. 62




63b. 63




64b. 64




65b. 65



66b. 66



67b. 67



68b. 68




69b. 69

II

სწავნი სმონთა რენტკენკრამები

საგიტალურად კრილი საწარმოთქმო ორგანოები




ნახ. 1

აქტიური ორგანოები: ხ ზედა ბაგე. L ქვედა ბაგე. A ენის წინა ნაწილი. M ენის შუა ნაწილი. p ენის უკანა ნაწილი. v რბილი სასა. U ნაჭი.

პასიური ორგანოები: d ზედა წინა კბილების უკანა ზედაპირი. f ნუნები. g წინა სასა. h სასის შუა ნაწილი. i რბილი სასის წინა ნაწილი. j რბილი სასის უკანა ნაწილი.

ძირითად უკარდინალურ ხმოვანთა პროფილები



ნახ. 2.

ლ. შჩერბას მიხედვით

- წინა ხმოვნები, — — — უკანა ხმოვნები, — · — · წინ წამოწეული უკანა ხმოვნები, · · · · შერეული ხმოვნები.




55b. 3




55b. 4



55b. 5




55b. 6



55b. 7



б.б. 8



б.б. 9




б.б. 10



б.б. 11



Биб. 12



Биб. 13




Биб. 14



Биб. 15



Баб. 16




Баб. 17




Баб. 18



Баб. 19



Баб. 20



Баб. 21



Баб. 22



Баб. 23



Баб. 24




Баб. 25



656. 26




656. 27



656. 28




656. 29




б.б. 30



б.б. 31



б.б. 32



б.б. 33



656. 34



656. 35



656. 36



656. 37

უფრო წინაა წამოწეული, ვიდრე არაპალატალიზებულ თანხმოვანთა არტიკულაცია. გარდა ამისა, სვანურ პალატალიზებულ თანხმოვნებში შესამჩნევია არტიკულაციის ენერგიის შეცვლა, რაც პალატოგრაფებიდან ნათლად ჩანს და აკუსტიკურადაც ადვილად იგრძნობა.

აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით სვანური ენის მკვლევრებს შენიშნული აქვთ სვანურში რამდენიმე თანხმოვნის სილბო. ასე მაგ., ა. შანიძე წერს: „ერთი თვისება აქვს ამ ანის უმლაუტს (ა'ნს): როცა მას წინ უძღვის ერთ-ერთი ამ გუტურალთაგანი: კ გ ქ (კა გა ქა კა გა ქა), მას უსათუოდ იოტაცია უჩნდება: კაა, გაა, ქაა, კაა, გაა, ქაა“¹. იქვე შენიშვნაში წერია: „ოდნავი იოტაცია მოისმის აგრეთვე მაშინაც, როცა კ'ანს და განსაკუთრებით კი გ'ანს ე'ნი მოსდევს ხოლმე (მაგ. ცაგერ"ში). იშვიათად შემიმჩნევია სულ მცირეოდენი იოტაცია შ'ინის შემდეგაც, როცა მას ა'ნის უმლაუტი მოსდევს“. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. მარს სვანურში დადასტურებული აქვს პალატალიზებულდ. მას თავის პატარა ლექსიკონში „Извлечение из сванско-русского словаря“ ლ-ს სილბოს გამოსახატავად სპეციალური ნიშანიც (კბილაკი) აქვს გამოყენებული და ამბობს: „ლ₁-ს შესახებ საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველგან [წიგნში] არაა აღნიშნული ეს შერბილებული ნარნარა (ლ₁): მისი არსებობა და შემდეგ მნიშვნელობა ჩემ მიერ არა ერთბაშად იქნა დაჭერილი“ (გვ. VI). ნ. მარს იმავე ლექსიკონში ერთ ადგილას მსგავსი შენიშვნა რ-ს მიმართაც მოუპოვება სიტყვაში: რი (რ რბილია): ამერი ფიტყვი... (გვ. 5).

როგორც ზემოთ პალატოგრაფებით გამოვარკვეთ, სვანურში ლ-სა, რ-სა და უკანაენისმიერ გ ქ კ-ს ბედს პალატალობის მხრივ გამოუკლებლივ ყველა თანხმოვანი იზიარებს.

როგორც ცნობილია, მაგარ და რბილ თანხმოვანთა ვარიანტები აქვს რუსულსა და ფრანგულ ენებს². ამ ენებშიც, მსგავსად სვანურისა, თანხმოვანთა რბილი ვარიანტები წარმოშობილია ენის შუა ნაწილის მაგარი სასის მიმართ მოქმედების საფუძველზე. მხოლოდ რუსულში თანხმოვანთა სილბოს ელფერი უფრო თავისებურია, ვიდრე ფრანგულსა და სვანურში. რუსულში თანხმოვანთა რბილი ვარიანტები თვისობრივად მეტად შეცვლილნი არიან. ამიტომ თანხმოვანთა სილბო სვანურში უფრო ფრანგულისებურია, ვიდრე რუსულისებური.

სვანურში თანხმოვანთა პალატალიზებული ვარიანტების დადასტურება, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ნათელს ჰფენს სვანურ ხმოვანთა ბუნებას.

¹ ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 174.

² Проф. Л. В. Щербач, Фонетика французского языка, გვ. 90.

II

რ ე ნ ტ ბ ე ნ ო ბ რ ა მ ე ბ ი

უკანასკნელი წლების ფონეტიკური კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, უკვე დადგენილია ის ფაქტი, რომ ხმოვნის წარმოქმნის მექანიზმი, განსხვავებით თანხმოვნისაგან, მდგომარეობს პირის ღრუს, როგორც რეზონატორის, გარკვეული მოცულობისა და ფორმის შექმნაში, მისი კედლების სიმკვრივესა და დაჭიმულობაში. ხმოვნის წარმოქმნაში ყველაზე მეტი მნიშვნელობა პირისა და ხახის ღრუთ ენიჭება. ეს ორი ღრუ ერთმანეთთან გაერთიანებულია. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი ტონი აქვს, ხოლო მათი შეერთება იძლევა ტემბრს, ანუ კვალიტეტს. ამგვარად, ხმოვნის ტემბრალური ხასიათი დამოკიდებულია პირისა და ხახის ღრუთა კონფიგურაციაზე, ხოლო პირისა და ხახის ღრუთა სიდიდეს განსაზღვრავენ ენა, ქვედა ყბა და ბაგეები. ენის არტიკულაცია ყველაზე არსებითია ხმოვნის წარმოქმნაში, რადგანაც ენას თავისი მოქნილობის გამო შეუძლია მიიღოს მრავალგვარი ფორმა და ამით პირის ღრუს, როგორც რეზონატორის, ფორმა და მოცულობა განსაზღვროს (ნახ. 1). ჯერ კიდევ Sievers-მა აღნიშნა, რომ პირის ღრუს ფორმა და მოცულობა მცირდება ან დიდდება ენის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოძრაობის შესაბამისად¹. ენის ზურგის მოძრაობა სასის კამარის მიმართ იქნება ენის ვერტიკალურად მოძრაობა. თუ ენის ზურგი მალა იწევს და სასის კამარას უახლოვდება, წარმოვთქვამთ მალალი. წარმოების ხმოვნებს, ისინი სხვაგვარად ვიწრო, ანუ დახურულ ხმოვნებად იწოდებიან. ასეთებია, მაგ., ი, უ, გ, ჯ და სხვა. თუ ენის ზურგი სასის კამარას საკმაოდ დაშორებულია, მაშინ წარმოვთქვამთ დაბალი წარმოების ხმოვანს, ანუ ფართო ხმოვანს, მაგ., ა; საშუალო წარმოებისანი არიან ფართო ე, ო და შერეული ხმოვნები ო, ა.

ენის ჰორიზონტალურად მოძრაობა შესაძლებელია წინ ან უკან. თუ ენის ძირი ენისქვეშა ძვლითურთ წინ წამოიწევს, მაშინ ენის ტანი პირის ღრუს წინა ნაწილს ამოაესებს და ამით შეამცირებს პირის ღრუს რეზონატორს. ენის ასეთი არტიკულაციით წარმოვთქვამთ ე, ი-ს და სხვა. ამ შემთხვევაში წინა სარეზონანსო არის შემცირების ხარჯზე იქმნება ფართო სარეზონანსო არე ხახის ღრუსთან ერთად პირის ღრუს უკანა ნაწილში. სამაგიეროდ, უ, ო, ა-ს წარმოქმნისას ენის ჰორიზონტალურად უკან მოძრაობის გამო ვიწროვდება ხახის რეზონატორი და დიდდება პირის ღრუში წინა სარეზონანსო არე².

ლ. შ ჩ ე რ ბ ა ს თავის „კარდინალურ ხმოვანთა“ სისტემაში, გარდა ზემოთ მოხსენებული ხმოვნებისა, შეაქვს უკანა რიგის წინ წამოწეული ხმოვნები (ნახ. 2).

ამ ხმოვანთა წარმოქმნისას ენის უკანა ნაწილი ენისქვეშა ძვლითურთ გადაიწევა უკან და ენის უკანა ნაწილი უახლოვდება რბილი სასის უკანა ნაწილს.

¹ Grundzüge der Phonetik von Ed. Sievers, 1893, გვ. 255.

² Röntgenaufnahmen von ungarischen Vokalen von Ludwig Hegedüs, გვ. 74 (Archives Néerlandaises de Phonétique Expérimentale, 1937, XIII).

ამის გამო საგრძნობლად მკირდება ხახის სარეზონანსო არე. სამაგიეროდ, პირის ღრუში სარეზონანსო არე გადიდებულია. ასეთი სარეზონანსო არის ფორმით წარმოიქმნება უკანა ა (მაგ., ფრანგ.), დახურული და ღია ო და უ (მაგ., რუს.).

პირის ღრუს რეზონატორის გარკვეული ფორმის შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ ბაგები. განსაკუთრებით, ლაბიალიზებულ ხმოვანთა წარმოქმნისას ბაგების ენერგიული მონაწილეობით (მომრგვალებითა და წინ წამოშვებით) პირის ღრუს რეზონატორი გრძელდება და გარკვეულ ფორმას იღებს¹.

ასევე პირის ღრუს რეზონატორის გარკვეული ფორმის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვედა ყბა. იმის გამო, რომ ქვედა ყბა მოძრავია, მას ზედა ყბის მიმართ მოძრაობით (გაღებითა და დახურვით) შეუძლია პირის ღრუში სხვადასხვა ფორმის სარეზონანსო არე შექმნას. ნაწილობრივ ხმოვანთა ღიაობა და დახურულობა ამ ფაქტორზეა დამოკიდებული.

გარდა ზესადგამი მილისა ხმოვანთა წარმოქმნელ აპარატს განეკუთვნება გულ-მკერდის ღრუ დიაფრაგმით, ფილტვებითა და სასულე მილით. ზოგი ავტორი ფილტვებს სასულე მილითურთ საბერველს მიამსგავსებს და ასეც უწოდებს მას, ვინაიდან იქიდან ხდება ჰაერნაკადის ამომდინარეობა. სავენტილაციო აპარატის როლში ხორხი გამოდის სარქველითა და სახმო სიმებით. ეს უკანასკნელი მოწოლილი ჰაერნაკადის რიტმულ წყვეტას ახდენენ. ხორხში ჰაერნაკადის გადაშუშავება სახმო სიმების მეშვეობით ხდება. რენტგენისა, ლარინგოსკოპისა და სტრობოსკოპის გამოყენებით გამოჩვენებულია, რომ ხმის წარმოშობისას სახმო სიმების კუნთები მომსხო პატარა ბალიშებივითაა ერთმანეთზე მიკეცილი და ჰაერნაკადის ჯახებით მათი პერიოდული გაღება თუ ხშვა წარმოშობს ტონს, რომელიც ხმოვნის საფუძველია². ზოგიერთი ავტორი სახმო სიმთა მოქმედების სურათს ხმის წარმოშობისას ადარებს ბაგეთა მოქმედების სურათს არტიკულაციისას. ცნობილია, რომ გერმანელები სახმო სიმებს სახმო ბაგეებს (Stimmlippen) უწოდებენ. როგორც ყოველი ინდივიდის ბაგეთა მოძრაობა წარმოთქმისას თავისებურია, ასევე თავისებურია ყოველი ინდივიდის სახმო სიმთა მოქმედების სურათი³. გამოჩვენებულია, რომ სახმო სიმების რხევები ორი მიმართულებით ხდება: ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ჩვეულებრივი სუნთქვის დროს სახმო სიმები ერთმანეთისაგან ისეა დაცილებული, რომ ბგერის წარმოქმნელი არავითარი რხევა არ წარმოიშვება. ამიტომ რხევები არ წარმოიშვება არც ხახისა და პირის ღრუში. მაგრამ საკმარისია, რომ ყიაში შეიქმნეს ოდნავი ან სრული დახშულობა, მოწოლილი ჰაერნაკადის ამოხეთქა რხევებს წარმოშობს, რასაც ხახისა და პი-

¹ J. Forchhammer, Vokal und Konsonant (Archiv für Vergleichende Phonetik, Band 4, Heft I/II, 1940, 58).

² E. W. Scripstone, Die Natur der Vokale, II (Zeitschrift für Experimental-Phonetik, 1932, 83. 123—124); შტრ. Panconcelli-Calzia, Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1924, 83. 61—64.

³ Проф. Е. Н. Малютин, Стробоскопия в фониагрии и вокальной педагогике (Из Лаборатории экспер. фонетики Моск. Гос. Консерватории); Русская клиника, 1930, № 73—74, 83. 684.

რის ღრუში შესატყვისი რხევები გამოეხმაურება. ხმოვნის ტონის სიმალღეს შესატყვისება განმეორებათა იმ პერიოდებს, ყიაში ხშვისას და გაღებისას რომ წარმოიშვება.

პროფ. ფ. ზასედატელევი, განიხილავს რა ვრცლად ზედა და ქვედა რეზონატორების დანიშნულებას, დაასკვნის, რომ ქვედა რეზონატორებს შეგვიძლია ვუწოდოთ ბგერის რენფორსატორები, ხოლო ზედა რეზონატორებს — ბგერის ფორმატორ-რეზონატორიო¹.

ხმოვნის წარმოქმნის საკითხი ზოგადი ფონეტიკის ერთ-ერთი ძირითად საკითხთაგანია. მის შესახებ სხვადასხვა თეორიებიც კი შეიქმნა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს განვიხილოთ ყველა ავტორის შეხედულებანი, რომლებიც არსებობს ხმოვნის წარმოქმნის საკითხში. ჩვენ სანიმუშოდ მხოლოდ E. Scripture-ის შეხედულებას შევეხებით როგორც უახლესსა და ორიგინალურს ამ საკითხზე.

დღეს ფონეტიკოსთა დიდი უმრავლესობის მიერ ობერტონების თეორია ხმოვნის წარმოქმნის საკითხში უარყოფილია და იგი გამოცხადებულია მცდარ თეორიად. ხმოვნის წარმოქმნის საკითხში დღეს გაბატონებული შეხედულება ყველაზე ნათლად ჩამოაყალიბა Graham Bell-მა: „კვალიტეტი, ანუ ტემბრი აღამიანის ხმისა, ვფიქრობთ, ნაკლებ არის დამოკიდებული სახმო სიმებზე და უფრო მეტად დამოკიდებულია კონფიგურაციაზე ზესადგამი მილისა, რომელშიც გაივლის რხევადი ჰაერნაკადის კოლონა“².

ხმოვნის ტემბრის წარმოსაქმნელად ხმის ტონს სარეზონანსო არეში უნდა მიემატოს პირისა და ხახის ღრუთა საკუთარი ტონები, რომლებიც ამ ღრუებში წარმოიშვებიან³.

Scripture თავის ვრცელს გამოკვლევაში „ხმოვნის ბუნება“⁴ დაწვრილებით განიხილავს ობერტონების თეორიის მომხრეთა შეხედულებას ხმოვნის წარმოქმნის საკითხში და იძლევა ამ შეხედულების მკაცრ კრიტიკას. Scripture ფორმანტების თეორიას ემხრობა, მაგრამ მას კიდევ უფრო ავითარებს და მეტად საყურადღებო ორიგინალურ აზრებს გამოთქვამს.

ობერტონების თეორიის მიხედვით ზესადგამი მილის ღრუები მხოლოდ აძლიერებენ იმ ობერტონებს, რომლებიც ტონთან ერთად სახმო სიმებში წარმოიშვებიან. ამ თეორიის მიხედვით სახმო სიმები ირხვეიან როგორც მთლიანი, ნახევარი, მესამედი და ა. შ. ისე, როგორც ჩვეულებრივს სიმზე, ჰაერნაკადში წარმოიშვება ნაწილაკთა რხევების ჰარმონიული ჯამი. ობერტონების თეორიის მიხედვით ვიბრაციები თვით სახმო სიმებში წარმოიშვებიან და ეს

¹ Проф. Ф. Ф. Заседателев, Научные обоснования правильной постановки голоса для пения и речи, 83. 133 (სტატია დართული აქვს წიგნს: Проф. В. К. Сережников, Техника речи, 1924, 83. 119—141).

² Alexander Graham Bell, The Mechanism of Speech, Volta Bureau, Washington, D. C. 1907, 83. 28. ციტატა მოგვყავს H e g e d ü s-ის სტატიის მიხედვით.

³ Проф. Л. В. Щерб а, Фонетика французского языка, 1939, 83. 28.

⁴ Die Natur der Vokale, I, II: Zeitschrift für Experimental-Phonetik, 1930—1932, I, III, 83. 16—33, 115—146.

ვიბრაციები თავის მხრით შესადაგამი მილის ღრუებში წარმოშობენ რხევებს, ე. ი. რეზონატორში ძლიერდება სახმო სიმებში წარმოქმნილი რხევები. ამდენად, ხმოვნის წარმოქმნა ხდება ე. წ. სინუსურ რხევათა ჰარმონიული ჯამისაგან. ამ თეორიის შესახებ Scripture დაასკვნის: „ობერტონების თეორია, რომელსაც უსაფუძვლოდ მიაწერენ ჰელმჰოლცს მაშინ, როდესაც ის იყო საწინააღმდეგო მოსაზრებისა, — უნდა იქნეს (ეს უკვე დამტკიცებულია) გამოცხადებული მცდარად“¹.

Scripture ობერტონების თეორიას უპირისპირებს ექსპერიმენტული გზით ხმოვნის ბუნების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულ თავის შეხედულებას ხმოვნის წარმოქმნის საკითხში. მისი აზრით, ხმოვანი შედგება მთლიან მოძრაობათა პროფილისაგან, ანუ მწკრივისაგან. ხმოვნის გრაფიკული მეთოდით ჩაწერა გვიჩვენებს, რომ მრუდი შედგება უწყვეტი (გაბმული) ნაწილაკების მწკრივისაგან. ნაწილაკებს ერთგვარი მსგავსება აქვთ ერთმანეთთან. ავტორი ამ ნაწილაკებს ხმოვნის პროფილებს უწოდებს. იგი კატეგორიულად უარყოფს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ხმოვანი თითქოს შედგებოდეს ტალღების მოძრაობისაგან. ხმოვნის კიმოგრაფული მრუდი არ გვიჩვენებს სრულებით ტალღისებურ მოძრაობას. მკვლევარი დაასკვნის, რომ „ხმოვნის მრუდის განხილვისას ან გაზომვისას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ჩანს, რომ თითოეული ცალკეული პროფილი მრუდისა მეტად თუ ნაკლებად განსხვავდება წინა და მომდევნო პროფილისაგან როგორც ფორმით, ისე ხანგრძლიობითაც. ფორმა და ხანგრძლიობა თანდათან იცვლება“².

ხმოვნის პროფილის ფორმა და ხანგრძლიობა იცვლება თანდათანობით და მუდმივ. Scripture შენიშნავს, რომ ბევრს ისე წარმოუდგენია, თითქოს, მაგ., ხმოვანი ა იყოს რაღაც მუდმივი და უცვლელი რამ მაშინ, როდესაც ეს არის პროცესი დროში. იგი იწყება ერთგვარად, განუწყვეტლივ იცვლება და თავდება სხვაგვარად. გარდა ამისა, ხმოვანი განუწყვეტლივ იცვლის ხმოვნობას თავიდან ბოლომდე. იგი თავდება სრულიად სხვაგვარად, ვიდრე იწყება. სხვადასხვა ხმოვნის მრუდთა შედარება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ხმოვნის პროფილების ფორმა სხვადასხვაგვარია.

ლარინგო-სტრობოსკოპიული დაკვირვებით გამორკვეულია, რომ ჰაერნაკადის ჯახების გამო სახმო სიმები მყის ერთმანეთს მიეკვრიან და ისევ განშორდებიან. ჰაერნაკადის ჯახებათა განმეორება ვიბრაციებს კი არ წარმოშობს, არამედ ჰაერნაკადის ჯახების მწკრივს. ამ წესით წარმოიშვება ხმის ტონი, ხოლო ხმოვნის პროფილი წარმოიშვება ჰაერნაკადის უცაბედი ჯახების მოქმედებით ხმოვნის წარმომშობ ღრუებზე; ობერტონების თეორიის მიხედვით კი ხმის ტონი სახმო სიმების ვიბრაციისაგან წარმოიშვება და ხმოვნის

¹ Scripture, I, გვ. 30. მსურველს ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა შეუძლია იპოვოს: გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1937, 60—61; С. Н. Ржевкин, Слух и речь, 1936, 270—271; Музыкальная акустика, პროფ. შარბუხოვის რედაქციით, 1940, გვ. 156.

² Scripture, I, გვ. 18.

პროფილი კიდევ წარმოიშვება სახმო სიმების ვიბრაციით გამოწვეული ობერტონების რეზონანსით ხმოვნის ღრუებში.

Scripture უარჰყოფს იმ აზრს, თითქოს ვიბრაციები სახმო სიმებში წარმოიშვებოდეს. ამგვარად, ხმოვნის წარმოქმნა შედგება ჰაერნაკადის ხმოვნის ღრუებში მოძრაობისა.

Scripture მეტყველების ორგანულ ელემენტებად თვლის: ა) ჰაერნაკადის ჯახების განმეორებებს ხორხში, ბ) ჰაერნაკადის ჯახების განმეორებათა ინტერვალს ხორხში, გ) ღრუს ვიბრაციებსა და დ) ღრუს ვიბრაციის პერიოდებს (hi, hj, hk...).

ხმოვნის ტემბრალური ხასიათი დამოკიდებულია ღრუთა მოცულობასა და ფორმაზე, მათს ღიაობაზე. ჰაერნაკადი უცაბედი ჯახებით პირისა და ხახის ღრუებში რხევებს წარმოშობს. ხორხში ჰაერნაკადის უცაბედი ჯახებით შექმნილი ინტერვალები $D_1, D_2, D_3...$ ალაგზნებენ რხევებს პირისა და ხახის ღრუებში და ეს რხევები სწრაფად ქრებიან. პირისა და ხახის ღრუებში საკუთარი პერიოდები hi, hj, hk..., წარმოიშვება. პერიოდებსა და ჯახების ინტერვალებს შორის არაერთად დამოკიდებითი შეფარდება არ არსებობს. ფიზიოლოგიურად ხმოვანი არსებობს, როგორც ღრუთა ვიბრაციები, რომლებიც წარმოიშვებიან ყიაში ჰაერნაკადის ჯახებით. ღრუთა ვიბრაციებს აქვს თავისი საკუთარ ვიბრაციათა სიხშირე და ფორმები და დამოკიდებულია იმ განმეორებულ პერიოდებზე, ყიაში ჰაერნაკადის ჯახებისაგან რომ წარმოიშვება¹.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ პირისა და ხახის ღრუებს ხმოვნის წარმოქმნისა და საბოლოოდ გაფორმების საქმეში. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სარეზონანსო არის განსაზღვრას, რომელიც ენის ზურგსა და სასის კამარას შორის შეიქმნება ამა თუ იმ ხმოვნის წარმოქმნისას. ამ სარეზონანსო არის განსასაზღვრავად ბოლო ხანებში რენტგენოგრაფიის მეთოდს მიმართავენ, რადგან რენტგენის გადაღებით შესაძლებელია ყველაზე უფრო ზუსტი სურათი იქნეს მიღებული ენის ნაწილების სასის მიმართ მოქმედებით: შექმნილი რეზონატორის ფორმისა და მოცულობისა, ვიდრე კვლევის ყველა სხვა საშუალებით².

რენტგენის სხივები გვიჩვენებს, რომ ჩვეულებრივი უტყვი მდგომარეობისას ენა მთლიანად ავსებს პირის ღრუს და ენის ზურგის ზედაპირი სასის კამარის პარალელურად მდებარეობს. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ ენა პირის ღრუში ისე ძევს, როგორც კვერციხი თავის ნაჭუჭშიო. ენის არტიკულაციური მოქმედება წინ და უკან, ზევით ან ქვევით სპეციალური კუნთების საშუალებით ხდება. გარდა ამისა, ხმოვნის წარმოქმნას, თანხმოვნისაგან განსხვავებით, ახასიათებს მთელი სამეტყველო აპარატის დაჭიმულობა. სარეზონანსო კედლებს აქვთ სხვადასხვა ხარისხის სიმკვრივე და დაჭიმულობა. ღრუთა ფორმა და მოცულობა კუნთების მოქმედებით წესრიგდება, ხოლო სიმკვრივე და დაჭიმულობა კუნთების დაჭიმვითა და ჯირკვლების მოქმედებით.

¹ Scripture, II, გვ. 125.

² П. Енько, Опыт применения рентгенографии к изучению артикуляции: ИАН, 1912, გვ. 281.

სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრაამები

სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრაამები შესრულებულია თბილისის ბავშვთა საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტში 1941 წ. რენტგენის სურათების გადაღებაში მონაწილეობდნენ ოტო-ლარინგოლოგი არჩ. ჩარგეიშვილი, რენტგენოლოგი თამარ სანოვი და ტექნიკოსი ცოცხაძე. სვანურ ხმოვნებს წარმოთქვამდნენ სათანადოდ შერჩეული ბალსზემოური, ლენტეხური და ლაშხური დიალექტების წარმომადგენელი პირები.

გადაღების ტექნიკის შესახებ შემდეგი შეიძლება ითქვას: სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა დროს რენტგენით არტიკულაციის გადაღებისას სხვადასხვა ტექნიკას მიმართავდა. ასე მაგ., 1910 წ. ექიმმა Collet-მ ყრუ-მუნჯთა ენის არტიკულაციის რენტგენით გადასაღებად ცდის პირს ენა მთლიანად ბისმუთის ფაფით დაუფარა, სახე, ბაგეები და კისერი კი კალომელის ფხვნილით, რათა კანის გაღიზიანება არ მომხდარიყო. მაგრამ ამ ტექნიკით მიღებული რენტგენოგრაამა გამოვიდა გაურკვეველი: არ ჩანდა ენის ნაწილები არტიკულაციის დროს.

3. ენკომ ბისმუთის ფაფით მთლიანად კი არ დაფარა ენა, არამედ მხოლოდ ენის გამოსაკვლევ ნაწილს წაუსვა იგი, სახეზე კი ფხვნილი არ გამოუყენებია. თავის ქალა და ხერხემლის ზედა ნაწილი ტყვია-რეზინით დაფარა. გუტცმანმა რენტგენით არტიკულაციის გადაღებისას გამოიყენა ოქრო-გადაკრული ტყავი და იოდოპინი, ხოლო რესელმა, პაჰმენტერმა, ჰეგელიუსმა და სხვებმა გამოიყენეს ძალიან წვრილი ოქროს ძეწკვი. ძეწკვის ერთი თავი მიაწებეს ცდის პირს ნიკაპზე, ხოლო მისი თავისუფალი თავი წყლით გადააყლაპვინეს და ამით შესაძლებელი შეიქნა ენის შუა ხაზის მიღება რენტგენოგრაამაზე.

ენის ზურგის კონფიგურაცია რომ ნათლად გამოჩენილიყო არტიკულაციის დროს, ჩვენ გავატარეთ ენის ზურგზე, ღრმად ენის ძირამდის, ბისმუთის ფაფის ხაზი. ცდის პირზე რომ რენტგენის სხივებს არ ემოქმედა და თავიდან აგვეცილებინა ის არასასიამოვნო შედეგები, რომლებსაც რენტგენის სხივები იწვევენ კანის გაღიზიანებით, მაქსიმალურად ვამოკლებდით გადაღების დროს. გარდა ამისა, კვირაში თითო-ორჯერ გადაღებას ვახდენდით, როგორც ცნობილია, ერთბაშად რამდენიმე სურათის გადაღება ერთი და იმავე ცდის პირის არტიკულაციისა იწვევს ცდის პირში უძილობას (სამ დღეს გრძელდება), ხოლო 25 სურათის გადაღების შემდეგ რენტგენის სხივები გამოიწვევს თმის ჩამოცვენას, თუმცა თმა შემდეგ ისევ აღდგება.

ჩვენ მიერ ყველა რენტგენოგრაამა გადაღებულია პროფილში. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით არტიკულაციის დროს ცდის პირის მიერ თავის უმოძრაოდ დაჭერას, წინააღმდეგ შემთხვევაში რენტგენოგრაამა ბუნდოვანი გამოდის.

1. სვანური ა-ს წარმოთქმისას, როგორც ამას რენტგენოგრაამა გვიჩვენებს (ნახ. 3), ენის წვერი ქვედა მედიალურ კბილებთან ძვეს, ენის შუა ტანის ზურგი კი უტყვ მდგომარეობასთან შედარებით ოდნავ ზევით იწვეს და ნახევ-

რად მრგვალ ფორმას იღებს. ქვედა ყბა ზედა ყბას საკმაოდ დაშორებულია. ფართო სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილშია შექმნილი.

2. სვანური ა-ს რენტგენოგრაფიის შედარება სვანური ა-ს რენტგენოგრაფიასთან (ნახ. 4) გვიჩვენებს, რომ სვანური ა-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი თითქოს უფრო ზევითაა აწეული, ვიდრე სვანური ა-ს წარმოთქმისას. ჩვენი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ საერთოდ გრძელი ხმოვნის წარმოთქმისას და კერძოდ ა-ს წარმოთქმისას, სამეტყველო ორგანოების შედარებით მეტი დაჭიმულობა გვაქვს. კერძოდ, ა-ს წარმოთქმისას ენის ზურგის დაჭიმულობა მის უფრო ზევით აწევაში გამოიხატება, ვიდრე ეს ა-ს წარმოთქმისას არის¹.

სვანური ა-ს რენტგენოგრაფიის შედარება ჰეგედიუსის წმესრულებულ უნგრული გრძელი ა-ს რენტგენოგრაფიასთან (ნახ. 5) და რესელის შესრულებულ გერმანული და ესპანური გრძელი ა-ს რენტგენოგრაფებთან (ნახ. 6, 7)² გვიჩვენებს, რომ სვანური ა-ს წარმოთქმისას ენის შუა და უკანა ნაწილის არტიკულაცია უფრო განსხვავებულია, ვიდრე გერმანული და უნგრული გრძელი ა-ს წარმოთქმისას. გერმანული და უნგრული გრძელი ა-ს წარმოთქმისას ენის შუა და უკანა ნაწილის ზურგი უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე სვანური ა-ს წარმოთქმისას. კიდევ უფრო განსხვავებულია ესპანური ა-ს რენტგენოგრაფი (ნახ. 7).

3. სვანური ა-ს წარმოთქმისას, როგორც რენტგენოგრაფიიდან (ნახ. 8) ჩანს, ენის წვერი ძვეს ქვედა მედიალურ კბილებთან ისე, როგორც ა-ს წარმოთქმისას, ხოლო ენის წინა და შუა ტანის არტიკულაცია განსხვავებულია ა-ს წარმოთქმისაგან. ა-ს წარმოთქმისას ენის წინა და შუა ტანის ზურგი შესამჩნევად აწეულია ზევით, მაგარი სასის ცენტრისაკენ. ამის გამო პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე შემცირებულია. გარდა ამისა, ქვედა ყბა უფრო მიახლოებულია ზედა ყბასთან, ვიდრე ა-ს წარმოთქმისას. ა-ს წარმოთქმისას ბაგეებს გასწვრიობა ახასიათებს. ამრიგად, ორგანოთა ასეთი მოწყობილობით ვღებულობთ ა-საგან თვისობრივად განსხვავებულ ხმოვანს ა-ს.

სვანური ა-ს რენტგენოგრაფიის შედარება გუტცმანის წმესრულებულ გერმანული ა-ს რენტგენოგრაფიასთან (ნახ. 9) და ჰეგედიუსის შესრულებულ უნგრული ა-ს რენტგენოგრაფიასთან (ნახ. 10) გვიჩვენებს, რომ განსხვავება მათ შორის შესამჩნევია. გერმანული და უნგრული ა-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი გაცილებით უფრო ზევით არის აწეული მაგარი სასის ცენტრისაკენ და ქმნის უფრო მეტი რადიუსის მქონე რკალს, ვიდრე ეს გვაქვს სვანური ა-ს წარმოთქმისას. ეს იმას ამტკიცებს, რომ გერმანულ, უნგრულ

¹ Eli Fischer Jorgensen, Objektive und subjektive Lautdauer-deutscher Vokale (Archiv für Vergleichende Phonetik, Band 4, Heft I/II, 1940, გვ. 6.

² ვინაიდან Russell-ის შესრულებული რენტგენოგრაფები გერმანული, ინგლისური და ესპანური ხმოვნებისათვის და Gutzmann-ის მიერ შესრულებული რენტგენოგრაფები გერმანული ხმოვნებისათვის თბილისში ვერ აღმოვაჩინეთ, ამიტომ რენტგენოგრაფული ნახაზები მოგვყავს H e g e d ü s-ის სტატიიდან. რენტგენოგრაფულ ნახაზს რომ გვერდზე უხის R=Russell, H=Hegedüs, G=Gutzmann.

ჟ-სა და სვანურ ჯ-ს შორის განსხვავება დიდია და ამდენად მათი გაიგივება შეუძლებელია.

4. სვანური ჰ-ს რენტგენოგრაფიდან (ნახ. 11) ირკვევა, რომ ენის წინა და შუა ტანის ზურგი მისი დაჭიმულობის გამო კიდევ უფრო ამობურცულია, ვიდრე სვანური ჰ-ს წარმოთქმისას (ნახ. 8), და ენის წინა ნაწილის დახრილობა თითქმის უდრის უკანა ნაწილის დახრილობას. პირის ღრუს წინა ნაწილში უფრო ნაკლები სიფართოვის სარეზონანსო არეა შექმნილი, ვიდრე პირის ღრუს უკანა ნაწილში.

5. სვანური ფართო ე-ს წარმოთქმისას ღიაობა უფრო მცირდება, ვიდრე ა-ს წარმოთქმისას. ე-ს წარმოთქმისას ქვედა ყბის ზედა ყბასთან მიახლოების გამო ნახევრად ღიაობა გვაქვს.

სვანური ფართო ე-ს რენტგენოგრაფი (ნახ. 12) გვიჩვენებს, რომ ენის წვერი ძვეს ქვედა მედიალურ კბილებთან მსგავსად ა-ს წარმოთქმისას. ენის შუა ტანის ზურგი ზევით იწევს მაგარი სასის ცენტრისაკენ და ენის გვერდითი კბილებთან მაგარ სასაზე შეხება მოიცავს მეორე წყვილი მცირე ძირითადი კბილებიდან მაგარი სასის ბოლომდის (იხ. გვ. 38). პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე უფრო შემცირებულია, ვიდრე სვანური ჰ-ს წარმოთქმისას (ნახ. 8).

სვანური იოტირებული ე-ს (ჟე-ს) რენტგენოგრაფიდან (ნახ. 13) ჩანს, რომ პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე კიდევ უფრო შემცირებულია, ვიდრე ფართო ე-ს წარმოთქმისას, ვინაიდან ჟე-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილის ზურგი წინაა წამოწეული, მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ. სვანური ჟე-ს რენტგენოგრაფი ძალიან უახლოვდება ჰე გე დიუსის შესრულებულ რენტგენოგრაფის უნგრული ე-სათვის (ნახ. 14).

6. სვანური ე-ს რენტგენოგრაფი (ნახ. 15) გვიჩვენებს, რომ ენის წინა და შუა ტანის ზურგი ოდნავ ამოწეულია ფართო ე-სთან შედარებით, რაც ენის ზურგის დაჭიმულობით უნდა აიხსნას. სვანური ე-ს რენტგენოგრაფის შედარება ჰე გე დიუსის შესრულებულ უნგრული გრძელი ე-ს რენტგენოგრაფისთან (ნახ. 16), გუტცმანის შესრულებულ გერმანული გრძელი, დახურული ე-ს რენტგენოგრაფისთან (ნახ. 17), რესელის შესრულებულ ინგლისური და ესპანური გრძელი ე-ს რენტგენოგრაფებთან (18, 19) გვიჩვენებს, რომ უნგრული და გერმანული გრძელი ე-ს რენტგენოგრაფები განსხვავდება სვანური ე-ს რენტგენოგრაფისაგან. ენის ზურგი უნგრული და გერმანული გრძელი ე-ს წარმოთქმისას უფრო მაღლა, მაგარი სასის ცენტრისაკენ არის აწეული, ვიდრე სვანური ე-ს წარმოთქმისას. ინგლისური და ესპანური გრძელი ე-ს წარმოთქმისას ენის ზურგის მიმართულებას მაგარი სასის ცენტრისაკენ უფრო სოლისებრი ფორმა აქვს, ვიდრე რკალისებრი (ნახ. 18, 19). ამ რენტგენოგრაფების შედარებიდან ცხადია, რომ სვანური ე-ს წარმოთქმისას ენის ზურგსა და სასის კამარას შორის შექმნილი სარეზონანსო არე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე უნგრული, გერმანული, ინგლისური და ესპანური გრძელი ე-ს წარმოთქმისას. მაშასადამე, სვანური ე უნგრული, გერმანული, ინგლისური და ესპანური გრძელი ე-საგან განსხვავებულ ხმოვნად უნდა მივიჩნიოთ.

7. სვანური ი-ს წარმოთქმისას, როგორც ამას რენტგენოგრაფია გვიჩვენებს (ნახ. 20), ღიაობა კიდევ უფრო ვიწროვდება, ვიდრე ზემოაღწერილი ხმოვნების წარმოთქმისას. ენის წვერი ისევ ქვედა მედიალურ კბილებთან ძვეს, როგორც ა ე-ს წარმოთქმისას. ენის წინა და შუა ტანის ზურგი კიდევ უფრო მაღლა იწევს, ვიდრე ე-ს წარმოთქმისას (ნახ. 12), და უფრო უახლოვდება მაგარიასის კამარას. ამით შესამჩნევად ვიწროვდება სარეზონანსო არე პირის ღრუში, სამაგიეროდ ფართოა სარეზონანსო არე ხახის ღრუსა და პირის ღრუს უკანა ნაწილში. სვანური ი-ს წარმოთქმისას შექმნილი სარეზონანსო არე მილძაბრის ფორმას მოგვაგონებს: მაგარიასის არეში იგი ვიწროა და ფართოვდება პირის ღრუს უკანა ნაწილში და ხახის ღრუში.

8. სვანური ნ-ს რენტგენოგრაფიის (ნახ. 21) შედარება სვანური ი-ს რენტგენოგრაფიასთან არ გვიჩვენებს შესამჩნევ განსხვავებას, ისინი ერთმანეთს ემთხვევიან. კიდევ უფრო შემცირებულია სარეზონანსო არე ენის ზურგსა და სასის კამარას შორის სვანური ძ-ს წარმოთქმისას (ნახ. 22).

სვანური ნ-ს რენტგენოგრაფიის შედარება ჰეგელიუსის მძერ უნგრული გრძელი i-სათვის შესრულებულ რენტგენოგრაფიასთან (ნახ. 23) და რესელის მიერ შესრულებულ ინგლისური და გერმანული გრძელი i-ს რენტგენოგრაფებთან გვიჩვენებს, რომ ორგანოების მოწყობილობა, ღიაობა და ენის არტიკულაცია თითქმის მსგავსია.

9. სვანური ო-ს რენტგენოგრაფიიდან (ნახ. 24) ირკვევა, რომ ენის წვერი საკმაოდ მოცილებულია ქვედა მედიალურ კბილებს. ენის ტანი უკან არის გადაწეული და ენის უკანა ნაწილის ზურგი რამდენიმედ წამოწეულია რბილი სასის უკანა ნაწილის მიმართულებით. ამის გამო სარეზონანსო არე გადიდებულია პირის ღრუს წინა ნაწილში და შემცირებულია იგი პირის ღრუს უკანა ნაწილში და ხახის ღრუში. გარდა ამისა, სვანური ო-ს წარმოთქმისას რენტგენოგრაფიაზე ნათლად ჩანს ბაგეთა ნაწილობრივ მომრგვალება და წამოშვება, რაც პირის ღრუს წინა ნაწილში შექმნილ სარეზონანსო არეს გარკვეულ მოცულობასა და ფორმას აძლევს.

10. სვანური ო-ს რენტგენოგრაფია (ნახ. 25) გვიჩვენებს, რომ ო-ს წარმოთქმისას ქვედა ყბის დაცილება ზედა ყბისაგან უფრო მეტია, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. გარდა ამისა, ენის შუა და უკანა ნაწილის ზურგი, მისი დაჭიმულობის გამო, უფრო ზევით არის აწეული, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. ბაგეების მონაწილეობის მხრივ ო-სა და ო-ს რენტგენოგრაფებს შორის განსხვავება არ არის.

სვანური ო-ს რენტგენოგრაფიის შედარება ჰეგელიუსის შესრულებული უნგრული გრძელი o-ს რენტგენოგრაფიასთან (ნახ. 26) და რესელის შესრულებულ გერმანული, ინგლისური და ესპანური გრძელი o-ს რენტგენოგრაფებთან გვიჩვენებს, რომ სვანური ო-ს რენტგენოგრაფია ყველაზე უფრო მიაგავს ინგლისური გრძელი o-ს რენტგენოგრაფს. ინგლისური გრძელი o-ს წარმოთქმისას, მსგავსად სვანური ო-ს წარმოთქმისა, ენის უკანა ნაწილის ზურგი უფრო ზევითაა აწეული, ვიდრე უნგრული, გერმანული და ესპანური გრძელი o-ს წარმოთქმისას.

11. სვანური **ჩ**-ს რენტგენოგრაფის მიხედვით (ნახ. 27) ირკვევა, რომ ენის წვერი ძვეს ქვედა მედიალურ კბილებთან და, მსგავსად სვანური **ე**-ს წარმოთქმისა, ენის შუა ტანის ზურგი ზევით, მაგარი სასის ცენტრისაკენ არის აწეული. ენის ზურგს თანაბარი დახრილობა აქვს როგორც პირის ღრუს წინა ნაწილში, ისე პირის ღრუს უკანა ნაწილშიც. სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილში უფრო შემცირებულია, ვიდრე პირის ღრუს უკანა ნაწილში, მაგრამ პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არეს გარკვეულ მოცულობასა და ფორმას აძლევს ბაგეთა აქტიური მონაწილეობა, რაც რენტგენოგრაფის მიხედვით ნათლად ჩანს. **ჩ**-ს წარმოთქმას ნახევრად ღიაობა ახასიათებს.

12. სვანური **ჩ**-ს რენტგენოგრაფიდან (ნახ. 28) ჩანს, რომ ენის უკანა ტანის ზურგი, მისი დაჭიმულობის გამო, უფრო ზევითაა აწეული, ვიდრე **ჩ**-ს წარმოთქმისას. სხვა მხრივ ორგანოთა მოწყობილობაში განსხვავება არ არის. სვანური **ჩ**-ს რენტგენოგრაფის შედარება ჰეგელი უსის მიერ შესრულებულ უნგრული **მ**-ს რენტგენოგრაფისთან (ნახ. 29) და რესელის მიერ შესრულებულ გერმანული გრძელი **მ**-ს რენტგენოგრაფისთან (ნახ. 30) გვიჩვენებს, რომ განსხვავება მათ შორის შესამჩნევია. სვანური **ჩ**-ს რენტგენოგრაფა არც ერთ მათგანს არ უდგება. გერმანული გრძელი **მ**-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი გაცილებით უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე სვანური **ჩ**-ს წარმოთქმისას. უნგრული გრძელი **მ**-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი უფრო დაბალია, ვიდრე სვანური **ჩ**-ს წარმოთქმისას. ამგვარად ირკვევა, რომ სვანური **ჩ** განსხვავებული ხმოვნებია გერმანული და უნგრული **მ** და გრძელი **მ**-საგან. მათი გაიგივება შეუძლებელია.

13. სვანური **უ**-ს რენტგენოგრაფის მიხედვით (ნახ. 31) ირკვევა, რომ ენის წვერი მოცილებულია ქვედა მედიალურ კბილებს და ენის ტანი უკან არის გადაწეული მსგავსად **ო**-ს წარმოთქმისა. **უ**-ს წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილის ზურგი უფრო მაღლაა აწეული რბილი სასის უკანა ნაწილისაკენ, ვიდრე **ო**-ს წარმოთქმისას. გარდა ამისა, **უ**-ს წარმოთქმისას ბაგეები უფრო ვიწროდაა მომრგვალებული, ვიდრე **ო**-ს წარმოთქმისას (ნახ. 24). ამგვარად ღიაობა **უ**-ს წარმოთქმისას კიდევ უფრო შევიწროებულია, ვიდრე **ო**-ს წარმოთქმისას.

14. სვანური **ჟ**-ს რენტგენოგრაფა (ნახ. 32) გვიჩვენებს, რომ ენის უკანა ნაწილის ზურგი ოდნავ უფრო ზევით არის აწეული, ვიდრე **უ**-ს წარმოთქმისას. ეს იმით აიხსნება, რომ **ჟ**-ს წარმოთქმისას შედარებით მეტი დაჭიმულობა ახასიათებს როგორც ენის ზურგს, ისე სხვა ორგანოებსაც.

15. სვანური **ჟ**-ს რენტგენოგრაფის მიხედვით (ნახ. 33) ირკვევა, რომ **ჟ**-ს წარმოთქმისას ენის არტიკულაცია ძალიან მიაგავს ენის არტიკულაციას **ი**-ს წარმოთქმისას (ნახ. 20). **ჟ**-ს წარმოთქმისას ისე, როგორც **ი**-ს წარმოთქმისას, ენის ზურგსა და სასის კამარას შორის ვიწრო სარეზონანსო არეა შექმნილი, რომელიც ძაბრისებურად ფართოვდება პირის ღრუს უკანა ნაწილში და ხახის ღრუში. **ი**-ს წარმოთქმისაგან განსხვავებით, **ჟ**-ს წარმოთქმას ახასიათებს ბაგეთა ენერგიული მონაწილეობა, მათი მომრგვალება. ბაგეთა აქტიური მოქმედება სარეზონანსო არეს პირის ღრუში უფრო აგრძელებს, ვიდრე **ი**-ს წარმო-

თქმისას. ასეთი ფორმისა და მოცულობის თავისებური სარეზონანსო არე გვაძლევს ი-საგან თვისობრივად განსხვავებულ ხმოვანს ჟ-ს.

16. სვანური ჟ-ს რენტგენოგრამა. (ნახ. 34) თითქმის არ განსხვავდება ჟ-ს რენტგენოგრამისაგან (ნახ. 33), გარდა იმისა, რომ ჟ-ს წარმოთქმის ორგანოთა შედარებით მეტი დაჭიმულობა ახასიათებს, ვიდრე ჟ-ს წარმოთქმას. ორგანოთა მოწყობილობა თითქმის ერთი და იგივეა.

სვანური ჟ-ს რენტგენოგრამის შედარება ჰეგელი უსის შესრულებულ უნგრული გრძელი ი-ს რენტგენოგრამისთან (ნახ. 35) და ვუტცმანისა და რესელის შესრულებულ გერმანული გრძელი ი-ს რენტგენოგრამებთან გვიჩვენებს, რომ მათ შორის ძალიან ახლო მსგავსებაა როგორც ენის ძდგომარეობის, ისე ბაგეთა მოწყობილობის მხრივაც.

17. სვანური ჟ-ს რენტგენოგრამიდან (ნახ. 36) ჩანს, რომ ჟ-ს წარმოთქმისას ენის არტიკულაციის სურათი სავსებით ემთხვევა ენის არტიკულაციის სურათს ჟ-ს წარმოთქმისას (ნახ. 32), მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ ჟ-ს წარმოთქმისას ენერგიულად მონაწილეობენ ბაგეები, ჟ-ს წარმოთქმისას ბაგეთა მონაწილეობას არა აქვს ადგილი. ჟ დელაბიალიზებული ჟ არის, ასევე შესაბამისად ჟ დელაბიალიზებული ჟ არის.

18. სვანური იოტირებული ჟ-ს (ჟჟ-ს) რენტგენოგრამის მიხედვით (ნახ. 37) ირკვევა, რომ ენის არტიკულაცია უფრო წინ არის წამოწეული მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ, ვიდრე ჟ-ს წარმოთქმისას. ამიტომ ჟჟ-ს წარმოთქმისას სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილში კიდევ უფრო შევიწროებულია, ვიდრე ჟ-ს წარმოთქმისას.

დ ა ს კ ვ ნ ა

სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრამების ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ სვანური პალატალიზებული ხმოვნები ან ჰ, ან ზ, ან ჟ, ან ჟჟ წარმოიქმნებიან პირის ღრუში თავისებური სარეზონანსო არის შექმნით. ამ თავისებურ სარეზონანსო არეს ქმნიან ენის ტანის წამოწევა მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და სარეზონანსო არის შემცირება პირის ღრუს წინა ნაწილში, ვიდრე ეს გვაქვს შესატყვის არაპალატალიზებულ ძირითად ხმოვანთა წარმოთქმისას. ანალოგიური დასკვნა მივიღეთ ჩვენ სვანურ ხმოვანთა პალატოგრამების ანალიზის შედეგადაც.


მეორე მხრით, სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრამების შედარებამ უნგრული, გერმანული, ინგლისური და ესპანური ხმოვნების რენტგენოგრამებთან დაგვარწმუნა, რომ სვანური პალატალიზებული ხმოვნები განსხვავდებიან დასახელებულ ენათა შერეული ხმოვნებისაგან ისე, როგორც სვანური გრძელი ხმოვნები განსხვავდებიან ხსენებულ ენათა გრძელი ხმოვნებისაგან.

გარდა ამისა, გამოირკვა, რომ მხოლოდ ბაგეთა ენერგიული მონაწილეობა განასხვავებს ი-ს ე-საგან, ა-ს ე-საგან, ჟ-ს ი-საგან, ჟ-ს ი-საგან, ჟ-ს ე-საგან და ჟ-ს ჟ-საგან.

ენის არტიკულაციის მხრივ ლაბიალიზებულ და მის შესატყვის არალაბიალიზებულ ხმოვნებს შორის სრული მსგავსებაა.

სვანური ხმოვნების გრაფიკული, რენტგენოგრაფიისა და ხელოვნური სასის მეთოდებით შესწავლის საფუძველზე სვანურ ხმოვანთა შემდეგს კლასიფიკაციას ვიძლევი:

სვანურ ხმოვანთა კლასიფიკაცია



შენიშვნა. სამკუთხედის გარეთ გამოტანილია ლაბიალიზებული ხმოვნები; ორ ხაზს შუა არალაბიალური ხმოვნებია, სამკუთხედის შიგნით კი იოტირებული ხმოვნები.

С. М. ЖГЕНТИ

ПАЛАТОГРАММЫ и РЕНТГЕНОГРАММЫ ГЛАСНЫХ СВАНСКОГО
ЯЗЫКА

Резюме

Сванский язык выделяется среди картвельских языков своим богатым вокализмом. В этом отношении особое место занимает верхнебальский диалект, в котором число гласных фонем и их оттенков достигает до 20-ти (ə a, ɟ ə, ə ɟ e, o i, ɰ o, ɟ u, ɟ ə, ə ɟ j ə; ɔ̃ ä, ɔ̃ ö, ɟ̃ ü; ɔ̃ ā, ɟ̃ ē, ɔ̃ ī, ɔ̃ ō, ɟ̃ ū, ɟ̃ ɛ; ɔ̃ ā̄, ɔ̃ ȫ, ɟ̃ ǖ).

Автор методами искусственного неба и рентгенографии выясняет природу и профили сванских гласных и устанавливает процессы их палатализации и лабиализации.

Методом искусственного неба установлено, что в сванском имеется парность по твердости и мягкости гласных: ə a—ɔ̃ ä, ɟ ə—ə ɟ e, o i—ə j, ɰ o—ɔ̃ ö, ɟ u—ɟ̃ ü, ɟ ə—ə ɟ j ə. Мягкие разновидности сванских гласных в артикуляционном отношении более выдвинуты вперед и имеют другой акустический эффект, чем соответствующие твердые гласные. Гласные второго ряда являются палатализованными вариантами гласных первого ряда. Согласные перед этими гласными палатализируются.

Методом рентгенографии автор определяет резонирующие пространства полости рта и зева при образовании сванских гласных.

Анализ рентгенограмм показал, что при образовании палатализованных сванских гласных ɔ̃ ä, ɔ̃ ö, ɟ̃ ü, ə ɟ e и ə ɟ j ə тело языка выдвинуто вперед к твердому небу, в связи с чем резонирующее пространство в передней части рта уменьшается в большей степени, чем при образовании соответствующих твердых.

С другой стороны, сличение рентгенограмм сванских гласных с рентгенограммами гласных венгерского, немецкого, английского и испанского языков показало, что в артикуляционном отношении палатализованные сванские гласные значительно отличаются от гласных mixed указанных языков, точно так же, как и долгие гласные сванского от долгих гласных этих же языков. Кроме того, из рентгеноснимков ясно видно, что только энергичная деятельность губ (округление) отличает ɔ̃ ö от ɟ ə, ɔ̃ ȫ от ɟ̃ ē, ɟ̃ ǖ от o i, ɟ̃ ǖ от ɔ̃ ī, ɟ̃ ū от ɟ ə и ɟ̃ ū̄ от ɟ̃ ɛ. Что же касается положения языка, оно при образовании как лабиализованных, так и соответствующих нелабиализованных гласных остается одним и тем же.

Результаты, полученные методом искусственного неба, подтверждаются данными рентгенографии.

В конце статьи дана классификация гласных сванского языка.

ზაკლამ თოფუკია

ჩედუქციისათვის ქართველურ ენაზე *

1. ორიოდ სიტყვა საკითხის ისტორიისათვის

ქართული გრამატიკული ლიტერატურიდან ჩანს, რომ რედუქციის საკითხი (სახელდობრ, ხმოვნის ამოღება თუ გაუმარცვლოება და მოკვეცა) თავიდანვე ცნობილი იყო ჩვენი გრამატიკოსებისათვის. ანტონ I წერდა: „ცნობა ესე სათანადო არს, რამეთუ სახელსა, რაფვესაცა ეკიდურების წმოვანი ი, ამას, ოდესმე, თუ სადამე აქუს საზოგადოსა სახელსა საშუალ წმოვანი რაფვე[,] მიმღე არს იგი ბრუნჴათა შინა მერყეობისა. მაგალითი: ნათელი, ნათლისა, ნათლისაკან, ნათლითა. აჰა აქა ბრუნჴასა შინა მიილო მერყეობად ჰსპობითი ასომან ამან ე“ (§ 5, გვ. 11). მაშასადამე, ამოღებულია ე ხმოვანი. ან: „გვაქვს უკუჴ სიმკატრეჲ, ამისთვის რომელ ბოლოდ არის წმოვანისა ასოჲსა: ა. ... განკიდურებაჲ სახელთა ბრუნვასა შინა ისპობის, გარნა საზოგადოთა სახელთა და არა სათუთოთა... სახელნი უცხოთა ენათანი საზოგადონი, რომელა: ეკვლესია, აზია, ევროპია, ბარბარია, ამასია, ამათცა განკიდურებულნი იგი ა ესპობიან ბრუნჴათა შინა“... მაგ.: არსება—არსებისა (§ 3, გვ. 9)¹. მაშასადამე, მოკვეცილია ა ხმოვანი.

ანტონის შემუშავებული წესები და მონახული მაგალითები განმეორებულია ს. დოდაშვილისა, პლ. იოსელიანისა და სხვა ავტორთა გრამატიკებში, და არა მარტო ამ ნაწილში.

დ. ჩუბინაშვილი² და განსაკუთრებით დიმ. ყიფიანი შეეცადნენ ერთგვარი ზღვარი დაედოთ ხმოვანამოსალებ შემთხვევათათვის. დ. ყიფიანის სიტყვით, მეოთხე „მერყეობით დაბრუნდება ყოველი ორ-სამ-ოთხ და შემარცვლოვანი სახელი, რომელსაც ბოლოს დაჰყვება:

ალი, ამი, ანი, არი; ელი, ემი, ენი, ერი; ოლი, ომი, ონი, ორი.

და ამ სახელების ბრუნვის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ა, ე და ო აკლდებათ: მხოლოდობითში—ნათესავობითსა და მრავლობითში—ყველა ოთხსავე ბრუნვას“ და ჩამოთვლილია მრავალი მაგალითი: აზჯარი, ატამი, დედანი... საბძელი, ყურძენი და სხვა, და თანაც ნაჩვენებია „ზოგი ისეთი სახელიცა“, რომელიც „ამ კანონს კი არ ემორჩილება“ (გვ. 34-37)³.

* წაკითხულია მოხსენებად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესიაზე 1939 წლის 27 სექტემბერს. იბეჭდება შემდეგ გამოსული ლიტერატურის გათვალისწინებით.

¹ ქართული ღრამატიკა, თბილისი 1885.

² Краткая грузинская грамматика, СПб. 1855.

³ ახალი ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, სანქტ-პეტერბურლი 1882.

ეს წესი შევიდა სასკოლო გრამატიკებში დ. ჩუბინაშვილისა, თ. ჟორდანია-სა, ს. ხუნდაძისა, დ. კარიჭაშვილისა და სხვ.¹

თ. ჟორდანია წინა ავტორებთან შედარებით შორს მიდის. იგი ამჩნევს, რომ ჭრა, კლვა და სხვა სიტყვებში ხმოვანი ჩანს გარკვეულ პირობებში, და ასეთ განმარტებას იძლევა: „სიტყვა ძნელად გამოსათქმელია, თუ მასში ერთად შეიყრება ა) მრავალი უხმო ანუ ბ) მრავალი ხმოვანი. პირველს შემთხვევაში უხმოებში... ხმოვანი ჩაემატება (მაგ. წვრთა=ვწვ-ა-რთე; ჭრა=ვჭ-ე-რ; სჯა=ეს-ა-ჯე; მოწყლვა=მოვწყ-ა-ლ; მოკლვა=მოვკ-ა-ლ; ადგომა=ავდ-ე-გ“ (§ 14, გვ. 27)². ეს მცდარი ახსნა სამაგიეროდ ანაზღაურებულია უმარცვლო უ-ს გენეზისზე სწორი დაკვირვებით (იხ. გვ. 81).

ამგვარად, ხმოვანთა რედუქცია—ეს უაღრესი მნიშვნელობის ფონეტიკური პროცესი ჰქონდათ შენიშნული ძველ გრამატიკოსებს სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით და აღწერილი მარტივად და ცალმხრივად, ხოლო ზმნის ძირებში ხმოვანთა გამოვლინება ახსნილი იყო შემცდარად—ხმოვანთა ჩართვით.

ხმოვანთა რედუქციის მეცნიერული აღწერა, მისი გავრცელების დადგენა და ამ მხრივ ქართველურ ენათა და მათ კილოთა ურთიერთობის გაშუქება ეკუთვნის ა. შანიძეს. მისი სხვა მხრივაც საყურადღებო გამოკვლევა „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“³ შეიცავს შემდეგს დებულებებს:

1. რედუქცია შეეხება ფუძისეულ ხმოვნებს და გამოწვეულია იგი პრეფიქსებისა და სუფიქსების გავლენით;
2. თვით ფუძის შეკუმშვის გამოწვევი პრეფიქსისა და სუფიქსის ხმოვნებიც ექვემდებარება რედუქციის კანონს;
3. „პრეფიქს-სუფიქსების გავლენა ფუძის ხმოვნებზე... განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქამესური ენების⁴ ერთობის ხანაში, ხოლო ერთობის დარღვევის შემდეგ, დაცალკეებისა და დაშორების პროცესში, თვითეულ კილოში თავისებურად განვითარებულა ეს კანონი“;
4. რედუქციის ძველებური ძალა დაცულია სვანურის სამს კილოში (ბალს-ზემოურსა, ბალს-ქვემოურსა და ლაშხურში), საკმაოდ შენელებულია იგი სვანურისავე ერთ კილოში—ლენტეხურში და ქართულ ენაში, ხოლო მეგრულ-ქანურში უკვე უძლურია;
5. ქართულში ფუძის შეკუმშვისას უკვალოდ ამოიღება ა და ე ხმოვნები, ხოლო ო კვალს ტოვებს ვ თანხმოვნის სახით და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში;

6. რედუქციის გამოწვევა ძალუძთ მხოლოდ სუფიქსებს;

7. ზოგი სიტყვა, ძველად რომ რედუქციის კანონს ემორჩილებოდა, ამჟამად გაურბის მას (მაგ., მკერდი—მკრდისა);

¹ ამჟამად დაწვრილებით ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, თბილისი 1942, §§ 29—32, 67—73; ძველი ქართულისათვის ნ. მარი, Грамматика др. лит. груз. языка, §§ 61—64.

² ქართული გრამატიკა, ტფილისი 1889.

³ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I—II, ტფილისი 1923-1924 გვ. 6—11.

⁴ იგულისხმება ქართული, მეგრული და სვანური ენები.

8. ცოცხალი დიალექტებიდან რედუქცია უფრო მოქმედია აღმოსავლურ კილოებში, ვიდრე დასავლურში;

9. სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, პრეფიქსიც ისე მოქმედებს, როგორც სუფიქსი და,

10. ა და ე-ს გარდა, ამოიღება ი ხმოვანიც და კვალს ტოვებს ო-სთან ერთად უ-ც წყვილბაგისმიერი ფ-ს სახით.

5. მარმა სცადა ეს ფონეტიკური პროცესი აეხსნა მახვილის გავლენით და აღნიშნა მეგრულში ფუძის სრულხმოვნობა და ქართულში სრულხმოვანთ ფუძის ტენდენცია შეკუმშვისაკენ¹.

მიუხედავად წარმოდგენილი მყარი დებულებებისა; ჯერ კიდევ ბევრი რამა გასარკვევი და დასადგენი. აქ ცდაა აღდგენილ იქნეს აღრინდელი სურათი ხსენებული ფონეტიკური პროცესისა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩვენ ხელთ არსებული მასალები იძლევა. მაგრამ მანამდე

2. რედუქციის შედეგებისათვის. რედუქცია ქართულისა და სვანურისათვის დამახასიათებელ ყველა ფონეტიკურ მოვლენასთან შედარებით, როგორცაა: ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, დაკარგვა და სხვა, უფრო გავრცელებული და იმდენად ძლიერ მოქმედი ყოფილა, რომ დღევანდელი ვითარება ენისა თვალსაჩინოდ დაშორებული ჩანს აღრინდელისაგან. რედუქციის ძალით ფუძე იკუმშებაო, რომ ამბობენ,—ეს ნიშნავს. რომ: 1. არ ჩანს ხმოვანი; უკანასკნელის აღუდგენლად კი ძირზე სრული წარმოდგენა არ გვექნება; 2. ხმოვნის ამოღების თუ გაუმარცვლობის შედეგად თავს იყრის თანხმოვნები და მოსალოდნელია მათ ერთმანეთზე გავლენა მოახდინონ: დაემსგავსნენ, განემსგავსნენ, ან ერთი მათგანი (შეიძლება მეტიც!) დაიკარგოს, ან უჩვეულო კომპლექსის მიღების გამო გადასხვაფერდეს და ბუნებრივი კომპლექსი მოგვცეს; ეს გარემოება კი ფუძეს თუ ძირს უკარგავს პირვანდელ სახეს; 3. მოხდება ხოლმე, აფიქსი შეერწყმის ძირს და შემდეგ კირს მათი დაცალკევება. ერთი სიტყვით, რედუქციის გაუთვალისწინებლად ქართველურ ენათა შედარებისას ვერ აღვადგენთ პირვანდელ ძირს და ამდენად არც გვეცოდინება ამ ენათა განვითარების ისტორია. თუ რაოდენ რღვევის გამომწვევია რედუქცია, ამის საილუსტრაციოდ ორიოდ ცნობილი მაგალითიც საკმარისია.

ყოფა წარმომდგარია ყავ-ო ფა'საგან: ა ამოღებულია და ვ დაკარგულია ო-ს წინ;

ტყდომა — ტეხ-ე დ-ო მ ა'საგან: ორივე ე ამოღებულია და ტ ხ ქეუ-ლია ბუნებრივ ტყ კომპლექსად;

შრომა — შუ-ერ-ო მ ა'საგან: ე ამოღებულია და თანხმოვანთა შუა მოქცეული წყვილბაგისმიერი უმარცვლო უ დაკარგულია მომდევნო ო-ს გავლენით, ხოლო შენახულია იგი შტრება ზმნაში;

ზმნა — ზამ-ენ-ა'საგან: ამოღებულია ა ე ხმოვნები, ხოლო ა დაცულია ი ზამ ზმნაში...

¹ Op. cit., § 61—63. ამჟამად სრულხმოვნობისა და მახვილის შესახებ არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, თბ. 1942.

ძლისპირი — ძალისპირ-ისაგან (დაკარგულია ა)¹ და არა. ძილისპირ-ისაგან, როგორც ეს კაცს ეგონება.

ასევეა სვანურში:

ლიტკლებე, ლიტ. ლიდაკლებ 'დანანება' — *ლი-დაკლებ-ე'საგან (ნასესხებია ქართ. დაკლება): ამოღებულია ა ე ხმოვნები და თავმოყრილი დკ ასიმილაციის ძალით ქვეულია ტკ კომპლექსად;

ლიტფურე 'ტყაება' — *ლი-ტფურ-ე'საგან (ბქ. ლი-ტმურ-ე: ნაწარმოებია სიტყვისაგან ტფუ 'ტყავი'): გაუმარცვლებულია ძირისეული უ და თანხმოვანთა შორის მოქცეული უ დაკარგულია მომდევნო უ-ს გავლენით: ლი-ტფურ-ე — ლი-ტფურ-ე...²

ერთი ნაწყვეტი ძველი (X საუკ.) ტექსტისა შეძლებისდაგვარად რომ აღვადგინოთ, ასეთ სახეს მიიღებს:

რედუქციის შემდეგ:

და ეძიებდეს... რამეა ზაკუვით
შეიპყრეს იგი და მოკლეს. ხ იტყოდეს:
ნუ დღესასწაულსა ამას. ნუ უკუე
შფოთი იქმნეს ერისაჲ.

და ვა იყო იჯ სახლსა სიმონ
კეთოვანისასა და ინაწით ჯდა იგი.
იყვენეს ვინმე მუნ რნი
ჰრისხვიდეს თსაგან და იტყოდეს:
რამსა თს იქმნა წარწყმედაჲ...

რედუქციამდე იქნებოდა:

და ეძიებდეს... რაჲთამეა ზაკუვით
შეიპყრეს იგი და მოკლეს. ხ იტყოდეს:
ნუ დღესასწაულსა ამას, ნუ უკუე
შფოთი იქამენეს ერისაჲ.

და ვითარცა იყავა იესუ სახელსა სიმონ
კეთოვანისასა და ინაწით ჯდა იგი.
იყავენეს ვინ(ა)მე მუნ რომელნი
ჰრისხვიდეს თუისაგან და იტყოდეს:
რამსა თუის იქამენა წარწყმედაჲ...

(ტბ. მკ XIV₁₋₄)

უფრო თვალსაჩინოა ეს სხვაობა სვანურში:

ბალსხემოურში არის:

ლასტუ³ სემი ლახუბა ი სემი
ლაღურა. ხოშა უდილ ლაშყუდი-
ნლოთ' აჩანდ. ...ყორს ლახანგან,
ეჩქა ლახატულო... ჯუმილს, ერე
— ყორაუ ესერ ოთკარე! — ჯუმილდ
მნდ ოთკარე ყორ...

რედუქციამდე უნდა ყოფილიყო:

ლასტუ³ სემი ლახუბა ი სემი
ლაღაურა. ხოშა უდილა ლაშყუდი-
ნლოთე აჩანდ. ...ყორას ლახანგან,
ეჩქა ლახატულე ...ჯუმილას, ერე
— ყორაუ ესერ ათკარე! — ჯუმილოდ
მნდე ათკარე ყორა...⁴

(სვანური პროზაული ტექსტები, I, გვ. 295)

თარგმანი:

„იყვნენ სამი ძმები და სამი დები. უფროსი და სარეცხავად წავიდა... კარს მიაღდა, მაშინ დუძახა... ძმას, რომ კარიმც გაუღო! (=კარი გამიღო!)—ძმამ არ გაუღო კარი.

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, მე-2 გამოც., თბ. 1941, გვ. 552; Иеру-салимский канонарь, გვ. 340—341.

² ანალოგიური შემთხვევები გათვალისწინებულია ჩვენს წერილებში: ფონეტიკური და-კვირვებანი ქართველურ ენებში. I: მიმოძიილველი, გვ. 206—210, 215—216; II: ტფ. უნივ. მოაზბე, X, გვ. 293—295, 303—304.

³ უფრო სწორია იყოს არ და ხ.

⁴ ზოგი აქ აღდგენილ ფორმათაგანი დაცულია. ლენტეხურში: ათოკარ, დახატულე.

დაახლოებით ასეთსავე ცვლას განიცდიან ის ენები, რომელთაც რედუქცია ახასიათებთ: აფხაზური, სომხური, ნაწილობრივ რუსული და სხვ.

3. რედუქცია სვანურში

რედუქცია სვანურის სამს კილოში—ბალსზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში, როგორც ითქვა, სანიმუშოადაა წარმოდგენილი. რამდენიმე წესი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. რედუქცია მოსდის ექვსივე არაგრძელ ხმოვანს: ა (ა), ე, ი, ო (ო), უ (უ), გ-ს. უკვალოდ ამოიღება ა გ, ლაშხურში ე ი-ც (გამონაკლისს შეადგენენ პრევერბიანი ზმნები); ე ი-ს ამოღება იწვევს წინა ხმოვნის გაუმლაუტებას. ზემოსვანურსა და ლენტეხურში, ხოლო ო უ გაუმარცვლოვდება და უ-დ იქცევა; მაგ.:

ა→0: ქათალ 'ქათამი' — მრ. ზს. ქათლარ — ლნტ. ქათალ-ალ
გეზალ 'შვილი' — ნათ. გეზლამ — " გეზალ-ამ

გ→0: ბგგი 'მაგარი' — ზს. ლიბგე — *ლი-ბგგ-ე.
ლნტ. ლი-მ-ბგგ-ე 'გამაგრება'

ე→0: სოფელ — ნათ. სოფლიმ — ლნტ. სოფელ-იმ 'სოფლისა'
ზს. ხეხუ 'ცოლი' — მრ. ლახხუა — *ლა-ხეხუ-ა 'ცოლები'

ი→0: ცვინ 'არაკი' — მრ. ზს. ცვინარ — *ცვინ-არ
შიხ 'ნახშირი' — შშიხი — *ა-შიხ-ი 'წვავს'

(ლნტ. იმეჩი 'ბერდება' — ლნტ. ადმეჩან, ლშხ. ედმეჩან — *ად-ი-მეჩენ
'დაბერდა')

ო→უ: წორ 'სისხლის ფასი' — ზს. ლშხ. იწური — *ი-წორ-ი (→ ლნტ. ი-წუ-
ერ-ი) 'სისხლს იღებს'
ბზ. ნაბოზ — ნათ. ნაბუჭამ — *ნა-ბოზ-ამ — ლნტ. ნე-
ბოზ-ამ

უ→უ: ხუნ 'საძირკველი' — იხუნი — *ი-ხუნ-ი 'საძირკველს ყრის'
სგურ 'ზის' — ლასგურა — *ლა-სგურ-ა 'საჯდომი' და სხვა.

2. რედუქცია არ მოსდის ერთმარცვლიანებს გაორმარცვლიანების შემთხვევაში, გასამმარცვლიანებისა; კი რედუქცია ჩვეულებრივია და ხმოვნის ამოღების შემდეგ ორი მარცვალი მაინც დარჩება;

მაგ.: ნათ. მრ.

ბზ. ვან 'ხარი' ვან-იმ ვან-არ, მაგრამ ავნი — ლნტ. ა-ვან-ი 'ხნავს'
ნაკ 'ვაკე' ნაკ-ამ ნაკ-არ, " ანკე — " ა-ნაკ-ე 'ავაკებს'

შიხ 'ნახშირი' შიხ-იმ შიხ-არ, " შშიხი, ლშხ. აშხი — *ა-შიხ-ი
'წვავს'

ჟელ 'ძალდი' ჟელ-იმ ჟელ-არ, " ჟელრ-ემ — ლნტ. ჟელ-არ-ემ
'ძალლებისა'

ქორ 'სახლი' ნათ. ქორ-აშ მრ. ქორ-პრ||ქორ-ალ, ნათ. ქორ-ლ-ემ—*ქორ-არ-ემ (ლნტ. ქორჟ-ალ—ქორჟ-ალ-ემ) 'სახლებისა' (შდრ. ბზ.ლშხ. ლუნ 'ხბო', ლუნ-იშ, მრ. ლუნჟ-ა/არ)

და ასე:
 ლშხ. ქუნ, ზს. ქუნ 'სული' —ი-ქუნ-ი 'ყნოსავს'
 ბზ.ლნტ. ჟად 'ნატვრა' ნათ. ჟად-აშ—ი-ჟდ-ი—ლნტ. ი-ვად-ი 'ნატრულობს'
 ბზ.ლნტ. ქაფ 'ტვირთი' „ ქაფ-აშ—ა-ქფ-ი —ლნტ. ა-ქაფ-ი 'ტვირთავს' და სხვა მრავალი

3. რედუქციას იწვევს როგორც პრეფიქსი, ისე სუფიქსი. ორივე ერთნაირად მოქმედებს ცალ-ცალკე; ერთდროულად დართვისას კი ფუძეს კუმშავს პრეფიქსი, უმოქმედოა სუფიქსი; მაგრამ თუ რაიმე მიზეზით თავსართი უძლური აღმოჩნდება ფუძის შეკუმშვაში, მაშინ ძალას იჩენს ბოლოსართი; მაგ.:

რედუქციას იწვევს პრეფიქსი რედუქციას იწვევს სუფიქსი:
 ლნტ. ნა-ხატაჟ — ნა-ხტაჟ 'ნახატი' ლნტ. მალატ-აშ — ლშხ. მალტ-აშ 'სიყვარულისა'
 ლნტ. უ-კალაჟა — უ-კლაჟ-ა 'ულეწავი' ლნტ. გარგალ-ა — ლშხ. გარგლ-ა, „ ნა-მეზრ-უნ — ზს. ნა-მზგრ-უნ 'სალოცავი' ბზ. ვარგლ-ა 'ლაპარაკი'
 ლნტ. უ-მევერა-ა — უ-მვერა 'გაუგებარი'
 *ნა-ფიშირი-ი — ზს.ლნტ. ნა-ფშირი-ი ლნტ. ჯამშა-ა — ჯამშ-ა 'ღონე'
 'სიმრავლე' „ ტებედ-ი — ტებდ-ი 'თბილი'
 ა-რიგ-ებს — ზს.ლნტ. ა-რგაჟ-ი „ ტებ-ენ-ი — ტებ-ნ-ი 'ბრუნ-
 ლშხ. ა-ფუჟაჟ-ი — ბზ. ა-ფჟაჟ-ი 'აფუჟებს' დება'
 ეცრ. ა-წუხჟაჟ-ი — „ ა-წუხაჟ-ი 'აწუხებს' ბზ. ნასგოჯ 'ნაბრძანები'—ნათ. ნასგუჯ-აშ
 ლნტ. წგრანი 'წითელი' — ლი-წრან-ი 'გაწითლება' დომდულ 'მთვარე'—ნათ. დომდულ-აშ (=ლნტ. დომტულ-აშ)

პრეფიქს-სუფიქსის დართვისას მოქმედებს პრეფიქსი:
 ლნტ. ა-ხაზაჟ-ი — ზს. ა-ხაჟ-ი, ლშხ. ა-ხაჟ-ი 'ხაზავს'
 გაცხად(ება): ზს. ა-გცხად-ი 'აცხადებს'
 „ ხო-ტებ-ენ-ი — ხო-ტებ-ენ-ი 'უბრუნდება'
 ლნტ. მე-შებე — ზს.ლშხ. მეშებე 'შავი'—(*ხო-მეშებ-ა —) ზს.ლშხ. ხო-მშებ-ა 'უშავისი'

ნიშან: ბზ. ლი-ნიშან-ი 'ნიშნა' და სხვა (იხ. ზევით).
 ცხადია, ერთმარცვლიანთა შეკუმშვისას გასამმარცვლიანების შემთხვევაში მოქმედებს პრეფიქსი და არა სუფიქსი; მაგ.:
 ლნტ. ი-ნად-ი — ბზ. ი-ნდ-ი 'ნადს იწვევს'
 „ მე-ტებ-ე — მე-ტებ-ე 'დაბრუნებული'
 „ ლგ-ქემ-ე — ლგ-ქემ-ე 'მოთიბული'
 „ ხო-სკიდ-ი — ხო-სგდ-ი 'უყურებს'

ლნტ. ი-თჳერ-ი — ი-თჳრ-ი 'სწავლობს'

ბზ. შურ-ჰა, ლნტ. შურა: ბზ.ქესვ. მუ-შჳრ-ია 'მაწყინარი' და სხვა.

პრეფიქსი ვერ იწვევს რედუქციას (ან იმის გამო, რომ მომდევნო ხმოვანი გრძელია, ან სხვა მიზეზია) და მოქმედებს სუფიქსი; მაგ.:

გათავ(ება): ბზ.ლშხ. ა-გათჳ-ე, ლნტ. ა-გათჳ-ე — *ა-გათაჳ-ე, მაგრამ ბქვ. ა-გთაჳ-ი 'ათავებს'

დაშავ(ება): „ ლი-დაჳშ-ე — *ლი-დაჳშ-ე (რადგანაც I პ. ოთ-დაჳშ-ე 'დავაშავე')

ბზ. ი-მარალ-ჳნი-ი — *ი-მარალ-ჳნი-ი 'ემზადებოდეს იქნება'

ი-ზელალ ჳნი-ი — ი-ზელალ-ჳნი-ი 'ივლის' და სხვა.

4. ფუძეში ჩვეულებრივ ამოიღება ან გაუმარცვლოვდება ერთი ხმოვანი; მაგ.:

ქათალ 'ქათამი' — ზს. ქათლ-ჰშ, მაგრამ ბზ. ლა-ქათლ-ნრ 'საქათმი'
 ლნტ. ხალატ-გნ 'უყვარდა' — ზს. ხა-ლტ-გნ, „ ბზ. ლა-ხ-ლატ-გნ, ლშხ.

ლა-ხ-ლატ-გნ — ლნტ. ლა-ხა-ლატ-გნ-(და) 'შეუყვარდა'
 ლნტ. ჯამაშ-ა 'ლონე' — ზს.ლშხ. ჯამშ-ა, მაგრამ ზს. ლგ-ჯამაშ, ლშხ. ლგ-ჯამაშ 'ლონიერი'

ლნტ. უ-ჯან-ა 'უხნავი' — „ უ-ჯნ-ა, მაგრამ ზს.ლნტ. ნა-ჳ-ჯან-ი, ლშხ. ნა-ჳ-ჯან-ი 'უხენელობა'

ლნტ. ჯედ-ენ-ი 'მოღის' — „ ჯედ-ენ-ი, მაგრამ ზს.ლშხ. ხო-ჯედ-ენ-ი — ლნტ. ხო-ჯედ-ენ-ი 'მოუღის'

ლნტ. კლჰთხი 'მაღალი'; ბზ. კჳლთხ-ი, მაგრამ ბზ. ხო-კლათხ-ა 'უფრო მაღალი, უმაღლესი'

ბზ. მუჳხჳ-ი, ლნტ. მგჳხჳ-ი 'ტკბილი', მაგრამ ხო-მჳუხჳ-ა, ლნტ. ხო-მჳახჳ-ა 'უტკბესი' და სხვა.

ამგვარად, ერთდროულად ორი ხმოვნის ამოღება ჩვეულებრივ არ ხდება, გარდა გარკვეული პირობებისა (იხ. გვ. 85). თუ თავსართი მოქმედებს მომდევნო ხმოვანზე, მაშინ ბოლოსართი გავლენას ვერ ახდენს წინა ხმოვანზე; მაგრამ თუ თავსართავი უმოქმედოა, მაშინ ბოლოსართი იწვევს კუმშვას: ხაზავ: ზს. ა-ხზჳ-ი 'ხაზავს', მაგრამ ად-ხაზჳ-ე 'დახაზა'...

შეცდომა იქნება, თუ ფუძის შეუკუმშველობას ორი ხმოვნით სევანურში თანხმოვანთა უჩვეულო კომპლექსის აცილებით აგხსნიოთ. რედუქცია იმდენად ძალუძია სევანურში, რომ უკანასკნელი თანხმოვანთა თავმოყრასა და არაბუნებრივი კომპლექსის მიღებას სრულებით არ ერიდება. საამისოდ მას მოეპოვება თანხმოვანთგასაყარი ჯ ხმოვანი. ჯ ჩნდება იქ, სადაც რედუქციის შედეგად შეჯგუფდება ერთად ძნელად გამოსათქმელი თანხმოვნები. შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ჯ მონაცვლე იყოს რედუქცირებული ხმოვნისა; მაგრამ ის გარემოება, რომ ჯ ადგილს იჭერს ა ე ი ამოღებული ხმოვნებისას და შეერწყმის გაუმარცვლოებული ო უ-ს ნაშთ ჳ თანხმოვანს და უ ხმოვნად აქცევს მას, გვაფიქ-

რებიანებს, რომ გ მხოლოდ თანხმობანთვასაყარია. ორიოდ მაგალითი: კალმახ 'თევზი'—ზს. ლი-კვლმან-ი, ლშხ. ლი-კვლმან-ი 'თევზაობა'...

შეღლ: ამშეღლ 'ამდენი', ლნტ. ლი-შეღლან-ი — ლშხ. ლი-შეღლან-ი 'თელა', აქედან: ბზ. ხა-შეღლან-ი 'ათვლის'...

სინჯავ: ლნტ. ლი-სინჯატი-ი — ბზ. ლი-სინჯატი-ი 'დახედვა', აქედან: ა-სინჯატი-ი...

და ასე: ბზ. ად-გ-რმე 'დაიჭირა', ოხ-გ-ლხინე (— ლნტ. ახ-ო-ლხინე) 'მო-ულხინა', ბზ. ოხ-უ-მბატი 'უამბო' — *ოხ-უ-მბატი — ლნტ. ახ-ო-ამბატი და სხ.¹

ამგვარად, სვანურში ოთხი ძირითადი დებულება გვაქვს: 1. რედუქცირ-დება ყველა არაგრძელი ხმოვანი, 2. რედუქციას არ ემორჩილება ერთმარცვ-ლიანი გაორმარცვლიანებისას, 3. რედუქციას იწვევს პრეფიქსიც და სუფიქსიც და 4. რედუქცირდება ერთი ხმოვანი.

4. რედუქცია ქართულში

ქართულში არ არის დაცული ის კანონზომიერება, რომელსაც ადგილი აქვს სვანურში. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა ხან ექვემდებარება რედუქციას და ხან არა. და ეს შეინიშნება არა მარტო დღევანდელ ქართულში აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტთა შეპირისპირებისას, არამედ ძველ ქართულში და ისიც ერთსა და იმავე ძველში; კიდევ მეტი: ერთსა და იმავე გვერდზე. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ თანამედროვე ქართულის რედუქციანი ფორმები ურედუქციოა ძველ ქართულში და პირუკუ². რამდენიმე მაგალითი ნათელყოფს ნათქვამს. ოპიზა-ტბეთის X საუკ. ოთხთავის ერთსა და იმავე გვერდზე: „რადსა თჳს იქმნა წარწყმედად ნელსაცხებელისა [ა] ამის“ და „... უსწრო ნელსაცხებლითა ცხებად“ (მკზ XIV₄, 8); „განწმიდეთ... შინაგანი იგი სასუმელისად“ და „რ განწმედთ გარეშესა სასუმლისასა“ (მთ XXIII₂₅, 26) და სხვა: პირველი შეუკუმშავია, მეორე შეკუმშული. ასე ურედუქციოა მთელი რიგი ფორმები ახალ ქართულთან შედარებით:

„სამსა არიან ძუალებითა მკუდართადათა“ (მთ XXIII₂₇);

„და იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისად ... საწამებელად ყლთა წარმართთა“ (იქვე, XXIV₁₄); „განიყარეთ მტუერი... საწამებელად მათა“ (მკზ VI₁₁)...

ასევე საწამებელად არის მკზ I₄, XIII₉; საცხენებელად (მთ XXVI₁₃, მკზ XIV₉), მისატევებელად ცოდვათა (მთ XXVI₂₆, 28, მკზ I₄), თავი იოვანე ნათლისმცემელისად (მკზ VI₁₁), ნაცვალად (იქვე, VIII₃₇) საყოფელად (V₃) და სხვა. აღიშინ ოთხთავშიც უკანასკნელის გამოკლებით (საყოფელად-ის ნაცვლად მყოფ არის) ყველა შეუკუმშავია; ურედუქციოა აგრეთვე ნელსაცხებელისა (მკზ XIV₈) და შესამოსელად, ხოლო შეკუმშულია ორივეგზის სასუმელისად, სასუმლისასა. ამავე დროს ხმოვანამოღებულია ორივე ძველში მიმდევობის ფორმები: „აქუნდა ალაბასტრი

¹ სვანური ენა. I. ზმნა, § 39, გვ. 158.

² ამ თვალსაზრისით გადასინჯულია ძველი ქართულის მთავარი ძველები.

ნელსაცხებლისაჲ მრავლისა სასყიდლისაჲ“ (ტბ. მთ XXVI₇)= „აქუნდა... ნელსაცხებელი დიდისა სასყიდლისაჲ“ (ადიში); შესაკრებლის მთავარი (ტბ. მკვ V_{22, 36}), შესაკრებლის მთავრისა, შესაკრებლის მთავრისასა (V_{35, 38})= შესაკრებელთ მთავარი, მთავრისა, მთავრისასა (ადიში); ალღებად სამოსლისა თვისა (ტბ.=ადიში მკვ XIII₁₆) და სხვა¹. ეგების ეს თითქმის ერთგვარობა ამ ძეგლთა საერთო წყაროთი აიხსნებოდეს, მაგრამ როგორი ახსნა დაეძებნება ანალოგიურ შემთხვევებს მცხეთის ჯვრის წარწერაში, ხანმეტსა და ჰაემეტში, რომლებიც წარმოშობის არც ადგილითა და არც დროით არ ემთხვევიან ზემოხსენებულ ოთხთავეს. ასეთია, მაგ., საცხენებელად სულისა, თავყანისაცემელად დედათა (მცხეთის ჯვრის წარწ.); წარსაწყემედელად (ხანმეტი ოთხთავი); თავი იოვანსი ნათლისმცემლისაჲ (ჰაემეტი კოთხთ.); შუენიერად (შუშანიკის მარტულ. 31)², მოუწყინებელად (გვ. 33), ნაცვალად (35) და სხვ.

ასეთ პირობებში ძნელია მყარი დებულების წამოყენება, ვიდრე დეტალურად არ იქნება შესწავლილი სხვა მხრივაც ეს ძეგლები. სხვადასხვა თუ ერთისა და იმავე ძეგლის რედუქციან და ურედუქციო ფორმათა შეპირისპირებით, როგორცაა, მაგ., გაშოსცდიდეს (ტბ. მკვ X₂) და გამოიცადებოდა (იქვე, I₁₃), იზარდებოდა და ზრდის, საზრდელი და სხვა მრავალი, და ამავე ფუძეთა ეკვივალენტების მონახვით მოძმე ენებში, ალბათ, გაირკვევა, თუ რამდენად დიალექტურია ეს მოვლენა, რა როლი ენიჭება სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას და რა წარმოშობისაა ფუძისეული ხმოვანი.

ამჟამად ქართულში რედუქციის ასეთი წესებია ცნობილი:

1. იკუმშება ა ე ო ხმოვნების შემცველი ფუძე.

ა უთუოდ ამოიღება

ა) ზმნის -ავ და -ამ სუფიქსებში, თუ მათ ხმოვნით დაწყებული ბოლოსართი დაერთვის: ჰბაძავ: ბაძვ-ა, ჰბაძვ-იდა; მოჰკლავ: მოკლვ-ა, მოჰკლვ-იდე; დაჰფარავ: დაფარვ-ა, ჰფარვ-იდა... სუამ: სუმ-ა, სუმ-იდა, სა-სუმ-ელი; [ი-ცუამ]: ა-ცუმ-ეინა...³

ბ) ზმნებში, რომელთა ნამყო წყვეტილს -ე სუფიქსი არ აწარმოებს: უთხარ: უთხრ-ა; მოკვალ: მოკლ-ა, ჰკლ-ავს; დაჰკარ: დაჰკრ-ა, ჰკრ-ავს; შეიპყარ: შეიპყრ-ა, უპყრ-ა, საპყრობილე; დავფალ: დაჰფლ-ა, დაეფლ-ა, საფლ-ავი; სცან: ცნ-ა, სცნ-ობს; აღძვარ: აღძრ-ა, სძრ-ავს; დაჰჰვამ: დაჰჰვ-ა, დაეჰვ-ა|| დაეჰს-ა და სხვა.

გ) I სერიის ზმნებში, რომელთა ფუძე II სერიაში შეუტკუმშავია: აღზარდა, მაგრამ ზრდ-ის; გათალ-ა—თლ-ის; თხარ-ა—თხრ-ა; საჯ-ა—ს/შჯ-ის; განცადა, გაშოცადა—გამოცდა-ის; დაცალ-ა—ცლ-ის, გამოჯადა—გამოჰჯდა-ის...

¹ ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 112: „ხმოვანი არ არის ამოღებული რედუქციის გზით: სასუმელისა, მახლობელად, მაგრამ ამოღებულა: საყოფლისა, კულად, შენდობლ-ა“.

² ილია აბულაძის გამოცემით.

³ მაგალითები ამოკრებილია ძველი ქართულის ტექსტებიდან.

დ) რიგ ფუძეებში, რომელთაც ბოლოში მოუდით -ალ, -არ, -ამ, -ავ, -ან ელემენტები: წყალ-ი: წყალ-ისა, ტაძარ-ი: ტაძარ-ისა, ქათამ-ი: ქათამ-ისა, კარავ-ი: კარავ-ისა, კეთროვან-ი: კეთროვნ-ება და სხვა მრავალი: ეკლ-ისა, უფლ-ისა, მართლ-ისა, ცხედრ-ისა, ძმრ-ითა, საჯსრ-ად, ლერწმ-ითა, ჯეროვნ-ად, კიდობ-ნად... და სხვებიც: ნაბდ-ისა, კაკბისა...

შენიშნულია, რომ ცალკე აღებული ზოგი ფუძე ურედუქციოა, მაგრამ კომპოზიტიში შემავალი იკუმშება: კარ-ი: კარ-ისა, კარ-ები, მაგრამ ცისკრ-ისა, ქიშკრ-ისა¹; ასე ჩანს ძველ ქართულშიც: კრეტსაბმელი (ტბ. მთ XXVII₅₁) = კრეთსაბმელი (მკზ XV₃₈).

ასევე ქალ-ი—ქალ-ისა, მაგრამ პატარქლიშვილი (გვარია).

ე) ქართველურ ენათა შედარებით ირკვევა, რომ ქართულში წარმოდგენილი მთელი რიგი ფუძეები, რომელთაც აქვთ ბოლოკიდური -ა, -ე, -ო, -უ, ნარედუქციოალია და ამის გამოა თავში შეჯგუფებული თანხმონები: ძმა — *ძამ-ან = ჰან. მშ. ჯუმალ-(ეფე)², ტბა — *ტაბ-ან: ტაბახმელა = მეგრ.-ჰან. ტობა (იქვე, გვ. 14), თხა — *დაჯ-ან = მეგრ. თხალ-(ეფი) = სვან. დაჯ-ვლ (გვ. 16), დღე — *ღალ-ენ = მეგრ.-ჰ. დღალ-(ეფი) = სვან. ლა-დღლ (გვ. 17), ჳბო — *ჯაბ-ორ (მშ. ხბორ-ები) = სვან. ხაბნ-ა, ლაბნა — *ლაბ-ენ-ა და ასე: ცხრა — *ცხარ-ა³, ხმა — *ხამ-ა, თმა — *თამ-ა და სხვა.

ე უთუოდ ამოიღება:

ა) III ტიპის ვნებიტებში—ზმნებში, რომელთაც აწმყოში -ებ-ი აქვთ: აღღვგ—ღვ-ების, აღღვგ-ომა, აღღვგ-ა...

დაჯედ—ჯდ-ება, ჯდ-ომ-ა, მჯდ-არი...

დასხედ-ით—დასხედ-ებით, სხდ-ომა, სასხდ-ომელები (ტბ. მკზ XI₁₅) და სხვა.

ე ამოღებულად ივარაუდება ამ ტიპის ყველა ზმნაში, როგორცაა: გახმ-ა, დადნ-ა, გატკბ-ა, დაშრ-ა და სხვა. ზოგი მათგანის ადრინდელი სახე დადასტურებულია ძველ ქართულში⁴.

ბ) ზმნებში, რომელთაც ნამყო წყვეტილში საწარმოებელი -ე ბოლოსართი არა აქვთ: დაღვგ: დაღვ-ა, დაიდვ-ა; აღმოვფხურ: აღმოფხურ-ა; ჰშვე: შვ-ა; შვ-ილი; დასჭერ: დაჭრ-ა, დაჭრ-ილი; ახალი ქართ.: ავხსენ-ი—ახსნ-ა, ახსნ-ილი; ეახელ: ეახლ-ა; გავძლ: გასძლ-ო, გაძლ-ება და სხვა⁵.

გ) -ნ და -დ ბოლოსართებში, როცა ისინი ვნებით ზმნებს აწარმოებენ: დაჰვლახაკენ: დავლახაკენ-ების, დღმენ: დღმენ-ა... ასევე -ედ უნდა ყოფილიყო ნასახელარ ზმნებში: *განჰმრავლედ, *აღჰმალღედ..., რაც ძველ ქართულში არ ჩანს, მაგრამ -ედ-ის არსებობას ამტკიცებენ, ერთი მხრივ, -ენ ფორმანტის გა-

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 25—26; 52—53.

² არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი 1942, გვ. 6, 8.

³ არნ. ჩიქობავა, ჰან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, ტფ. 1938, გვ. 218 და სხვ.

⁴ ჩვენი მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 9, გვ. 966—968.

⁵ შდრ. თ. ქორდანია, გვ. 55.

მოყენება და, მეორე მხრივ, ვნებითები, სადაც -ედ ახლაც ვლინდება: დასხ-ე დ-ით, დაჯ-ედ, ძველი ქართულით: მოჰკუ-ედ, გარდამოგ-ედ და სხვა¹.

დ) პირდაპირი ობიექტის მრავლობითის გამომხატველ -ენ სუფიქსში: მიეც სიტყუა—მისცენ სიტყუანი: მისცნ-ა სიტყუანი; ჯუარს აცუ იგი—ჯუარს აცუენ ვორცნი: ჯუარს აცუნ-ა ვორცნი; შეიპყართ მელი—შეიპყრენით მელნი: შეიპყრნ-ეს მელნი და სხვა² (ენებითისა და მრავლობითობის -ედ, -ენ ბოლოსართთა დადგენა არნ. ჩიქობავას ეკუთვნის).

ე) რიგ ფუძეებში, რომელთაც აქვთ ბოლოკიდური -ელ, -ერ, -ემ, -ენ: სოფელ-ი: სოფლ-ისა, ჭურჭერ-ი: ჭურჭერ-ად, მწყემსი: სამწყს-ოჲ, (სენ-ი): სნ-ეული და სხვა: სანთლ-ისა, სამოსლ-ად, ფსკერი: უფსკრ-ული, ირმ-ისა, ყურძნ-ით... და აგრეთვე ფერჯი: საფრჯ-ე, ბეჭედ-ი: ბეჭედ-ავს და ა.შ. ე-ს ამოღების შემდეგ ფუძისეული უ იკარგვის, თუ მეზობლად წყვილბაგისმიერი ბგერაა: წუთითი, მაგრამ წ თ ო დ ა 'წვეთდა', და წ თ ო ბ ა 'დაწვეთება'... (ს ა ბ ა).

აქაც აღნიშნულია კომპოზიტში შემავალი ფუძის შეკუმშვა მაშინ, როცა ცალკე ხმარებული რედუქციას გაუბრის: ბერ-ი, ბერ-ები, მაგრამ დედაბრ-ისა (საბრალო დედაბრისასა თავენი ყანასა მკიანოა)³.

ო-ს რედუქციისას კვალი რჩება ვ-ს სახით: ნიგოზ-ი: ნიგვზ-ისა, მაწონ-ი: მაწვნ-ისა... მეზობელი ბაგისმიერი ბგერის გავლენით ეს ვ-ც შეიძლება დაიკარგოს: ძველი ქართულით: მ რ ჩ ო ბ ლ -ი, მაგრამ მ ა რ ჩ ბ ი ე, მ ა რ ჩ ბ ი ო ს ა ნ ი... ცხადია, მ ა რ ჩ ბ ი ე —*მარჩბიე —*მარჩობ-იე, ხოლო მ ა რ ჩ ბ ი ო ს ა ნ ი —*მარჩბიოსანი —*მარჩობიოსანი⁴; ზ ო მ -ა, ს ა -ზ ო მ -ი, მაგრამ შეე-ზ მ -ანა, წ ა -ზ მ -ანა (ს ა ბ ა)... ჩანს, ზ ო მ —*ზტმ —*ზმ; ობოლი: ო ბ ლ ა დ (კიმენი, 34₁₉)... შემდგომი ქართულით: საპონ-ი: *საპვნ-ისა—საპნ-ისა, გოდორ-ი: *გოდვრ-ისა—გოდრ-ისა, ხობობ-ი: *ხობვბ-ისა—ხობბ-ისა, ჩახობბ-ილი, კოტორ-ი: კოტრ-ვა (ვ. ბერიძე)⁵ და ასე -ოლ, -ორ და -ონ ელემენტის სახელები იკუმშებიან ჩვეულებრივ: მინდვრ-ისა, დიაკვნ-ები, ქოჩრ-ისა და სხვა⁶.

ი და უ ხმოვნების რედუქცია ნათლად არა ჩანს.

2. იკუმშება ერთმარცვლიანი ფუძეც გაორმაცვლიანების შემთხვევაში: ჰზამ-ს: ზმ-ენ (რასა ჰზამთ: ტბ. მკზ XI₅—რასა ზმ-ენ: იქვე, II₂₄), ჰყავ: ყვ-ეს, მხალ-ი: მხლ-ისა, კუალ-ი: კულ-ად, ძალ-ი: ძლ-ით, სხელ-ით: სხდ-ეს, ჰშევ: შვ-ა და სხვა. შეფერხებას აქ აღვილი არა აქვს. გასამმარცვლიანებისას კუმშვადი ერთმარცვლიანი ფუძე რედუქციას განიცდის გაორმარცვლიანების

¹ ჩვენს ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II: ენიშვის მოამბე, V—VI, გვ. 533—536.

² დაწვრილებით არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, IX, გვ. 107—118.

³ ა. შანიძე, ქართული გრამ. საფუძვლები, გვ. 25—26, 52—53; N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, 1931, გვ. 33—35.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებულება, გვ. 56; ნ. მარი, Грам. др. лит. гряз. яз., Спб. 1925, § 96, გვ. 78.

⁵ სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა: კ ო ტ ო რ ა ი -ის მრგვალი-ნამორი: კ ო ტ რ -ვა, მო-კ ო ტ რ -ვა 'მოჭრა'.

⁶ ა. შანიძე, გვ. 53.

პირობებშიც: ჯედ: და-ჯდ-ა, მაგრამ ჯდ-ა; კერ: და-კრ-ა; მაგრამ კრ-ა; ცან: ი-ცნ-ა, მაგრამ ცნ-ა და ა. შ.

3. რედუქციას იწვევს სუფიქსი, უძლური ჩანს პრეფიქსი; მაგ.: კარ: ჰკრ-ავს, ჰკრ-ა, კრ-ული, მაგრამ ი-კარ, შე-უ-კარ; პყარ: პყრ-ობა, მაგრამ სა-პყარ-ი, შე-ი-პყარ; დეგ: დგ-ას, მაგრამ წარმო-სა-დეგ-ი; ხსენ: ხსნ-ა, და-ხსნ-ილი, მაგრამ ი-ხსენ და სხვა.

4. ერთდროულად რედუცირდება ორი ხმოვანი. მაგ.: *ქამ-ენ-ა — ქმნ-ა: ამოღებულია ა ძირისეული და ე სუფიქსისეული. ქამ შემონახულია მთიულურში, ხევსურულში (იქამს) და უღრის სევანურში ჩომ (იჩომდა "შერებოდა") და მეგ.-ჭანურში ქომ/ქუმ — მეგრ. ქიმ-(ინ-უა) ძირს, -ნ სუფიქსი (—-ენ) საწარმოებელი ელემენტი¹. ასეა წარმოდგარი ზმნა-ც (—*ზამ-ენ-ა—იხ. ზევით). საცნველ-ში (არავინ დასდვის ცელი საცნველსა: აღიში, ლკ IX₆₂) დეკარგულია ორი ა: *სა-ჯან-ავ-ელი; ასევე საკლველი (ხანმეტი) — *სა-კალ-ავ-ელი და სხვა.

სისტემატურად იკუმშება ორი ხმოვნით -ედ ბოლოსართით ნაწარმოები ენებითები და მრავლობითობის -ენ სუფიქსჩართული ზმნები:

-ედ სუფიქსიანიები:

ოჯერ: მო-ოჯრ-და — *მო-ოჯერ-ედ-ა (მოოჯრდის: აღიში, ლკ XI₁₇),

კელ: დაა-კლ-და — *დაა-კელ-ედ-ა,

მკედარ: აღ-მკედრ-და — *აღ-მკედარ-ედ-ა,

ბარკ-ალ: და-პრკ-ოლ-და (დაპრკოლდიან: ტბ. მკზ IV₁₇) — *და-ბარკ-ოლ-ედ-ა და ასე ცნობილი მაგალითები: გან-ტყ-და, გან-სთქ-და (—*გან-ხეთქ-ედ-ა), და-ჰ-ჯსნ-და (—*და-ჰ-ჯსნ-ენ-ედ-ა), და-ზამთრ-და, გან-მდიდრ-და, აღ-მალლ-და და სხვა².

მრ. -ენ სუფიქსიანი ზმნები:

შევ: შე-ა იგი, მაგრამ შენ-ა (—*შევ-ენ-ა) იგინი; შეამკევ: შეამკო — *შეამკე-ა იგი, მაგრამ შეამკენ-ა (—*შეამკევ-ენ-ა) იგინი

ყავ: ყო — *ყავ-ა იგი, მაგრამ ყენ-ა (—*ყავ-ენ-ა) იგინი; მოსარ: მოსრ-ა იგი, მაგრამ მოსრნ-ა (—*მოსარ-ენ-ა) იგინი და ასე: შეიპყარ: შეიპყრ-ნ-ა, მოკალ: მოკლ-ნ-ა, განჰჯსენ: განჯსნ-ნ-ა და ა. შ.³

ამგვარად, ქართულშიც ოთხი ძირითადი დებულება მივიღეთ რედუქციის შესახებ. მაგრამ ქართული და სევანური ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან. ეს სხვაობა შემდეგია:

1. სევანურში ყველა ხმოვანი რედუცირდება, ქართულში კი სამი: ა ე ო; მათასადამე, გვაკლია ი უ-ს რედუქცია.

2. სევანურში ორ-და მეტმარცვლიანი იკუმშება, ქართულში კი ერთმარცვლიანიც; მათასადამე, ქართული უფრო „მოქნილი“ ჩანს რედუქციისათვის.

¹ ჩვენი ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III: თბ. უნივ. შრომები, ტ. XV, გვ. 43—44.

² ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. I, გვ. 89, 95:

³ არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი... მორფოლოგიური ობიექტი, გვ. 112—114.

3. სვანურში ორივე აფიქსი—პრეფიქსი და სუფიქსი—მოქმედებს, ქართულში კი—მხოლოდ სუფიქსი; ჩანს, ქართული პრეფიქსით სუსტია სვანურთან შედარებით.

4. სვანურში ერთი ხმოვანი ამოიღება, ქართულში—ორიც; გამოდის, რედუქცია მეტ ძალას იჩენს ქართულში, ვიდრე სვანურში.

5. რედუქციის ერთგვარობისათვის ქართულსა და სვანურში

მთავარი კითხვაა: ეს სხვაობა თავიდანვე მომდინარეობს, თუ იგი კეთილშენაძენია? თუ თავიდანვე იყო, რამ წარმოშვა ის?

ჩვენ თუ გამოვალთ იმ დებულებიდან, რომ სვანური და ქართული—ორივე განაყარი ენაა, რომ მათ საერთო ფონეტიკური მოვლენები ახასიათებდა დაშორებამდის და დაშორების შემდეგ შეიძლებოდა ეს საერთო ბგერითი მოვლენები ორივეგან ან ერთნაირად განვითარებულყო, ან ერთნაირად შენელებულიყო, ან, პირიქით, ერთ ენაში განვითარებულყო და მეორეში შეფერხებულიყო, და რომ რედუქცია საერთო უნდა ყოფილიყო ქართველურ ენათათვის, კერძოდ, სვანურისა და ქართულისათვის, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ

ქართულშიც რედუქცირდებოდა ი და უ ხმოვნები და მოქმედებდა პრეფიქსი და სვანურშიც იკუმშებოდა ერთმარცვლიანი ფუძე და ერთსა და იმავე დროს ამოიღებოდა ორი ხმოვანი. ერთი სიტყვით, სვანურსა და ქართულს შორის არ იყო ამ მხრივ სხვაობა.

რამდენიმე მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ ეს დებულება მყარად მივიჩნიოთ. მართლაც,

ქართულში რედუქცირდებოდა ი. ამის ორი მაგალითი ცნობილია: ერთია უმცროსი და მეორეა აბჯენს.

მცირე ფუძისაგან მიღებულია მო-მცრ-ო და უფროობითი ხარისხი უ-მცრ-ოსი; ამისგანვე აქვს ნაწარმოები პეტრიწს ზმნა დაგიმცრვია¹.

ბიჯ-ისაგან წარმოქმნილია ზმნა ა-ბჯ-ენს, ნ. მართ ბრჯ-ენა².

ალორძინება-ს ამოსავალი ფუძეა ორძილ-ი (საბა, ჩუბ.)—ორძინ-ი. ესა და მისი მიმღეობა ალორძინებული (ადიში, მკზ IV₈) შეიცავს -ი-ს, ხოლო ვნებითებში იგი არა ჩანს: ალორძნდებოდა (ტბ. მკზ IV₈), ალორძნდის (ტბ. მკზ IV₁₇)=ალორძნდებიწ (ადიში) და სხვა³.

ბატკანი-ი, ივ. ჯავახიშვილის ეტიმოლოგიით, არის ბა-თიკანი-ი. ი-ს ამოღების შემდეგ თკ კომპლექსი იქცა ტკ-დ⁴.

¹ „...რადცა დაპროთ და ჰმატო, და გიმცრვია და დაგიჩინებია დართვითა კეთილობა“ 9₂₂; იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I; გამოსცა სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1940; ვაქას (ტ. I, 113)—დამცრობა.

² Грах. др. рр. яз., § 6 б, გვ. 4.

³ არ ვიმოწმებ ალმო-ჯეჯლ-და (სახისმეტყ.) ზმნას, რადგანაც იგი მიღებული ჩანს ჯეჯლ სიტყვისაგან.

⁴ ქართული და კავკასიური ენების.. ბუნება, ტფ. 1937, გვ. 192; არნ. ჩიქობავა, სახელის ფორმის აგებულება, გვ. 15.

მარგვლა (← მარგლ-ვა), ს. ჯანაშიას აზრით, ნაწარმოებია მარგელ-ისაგან ი-ს რედუქციით. ტერმინი მეტად საინტერესოა, როგორც „პირველყოფილ-თემური ტექნიკის ნაკვალევი ქართულ ენაში შენახული“¹.

ტიტიბ-ი 'ბროწეულის ქერქი' გამოყენებულა ზმნის საწარმოებლად დავტიტიბავ, რომლის მასდარია ქიზიყურში დატიტიბ-ვ-ა, ხოლო ინგილოურში დატიტიბ-ვ-ა (ზმნა დაპტიტიბავ)². უკანასკნელში ი არა გვაქვს.

სვან. შდიხ=თხილ-სა და მეგრ.-ჭან. თხირ-ს. სვანურის მიხედვით ალბათ ი ამოღებულა თხილ/თხირ-ში³.

ასევე შეიძლება ი რედუქციებულად მიგვეჩნია კბილ სიტყვაში, რომლის თითქოს ადრინდელი სახე კბილი აქარულშია დაცული⁴ და რომლის შესატყვისია მეგრ.-ჭან. კიბირი, რომ ანალოგიური შემთხვევები არ გვაფიქრებდეს, სახელდობრ, ი-ს არსებობა აქარულ ფორმებში, როგორცაა: კილდე, წიგინი, ტკიბილი⁵, ხევსურულში ჩირდილი, ჩინდა ('ჩნდა'), ფირჩხილი (=მეგრ.-ჭან. ბირცხა, ბუცხა)⁶, კილდე, გირწყილი⁷, ინგილოურში შიტო და მისთანები, სადაც ი ფონეტიკური წარმოშობისა ჩანს.

თუმცა ქართველურ ენათა შედარებით ხერხდება ნარედუქციალი -ი-ს აღდგენა ქართულში, როგორც მაგ., სვან. ჩუად-ყიმ-ე 'დაახჩო' და ძვ. ქართ. სი-ყმ-ილი, შდიხ და თხ-ილი, მეგრ. ქინდირი 'ქედი, კისერი' და ჩაქინდრვა და სხვა, რომელთაგან ზოგი სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია და ზოგიც მომავალში ელის დადგენას, ჩვენ აქ მოტანილი მასალით დავკმაყოფილებით და დავასკვნით: ქართულს ი-ს რედუქცია ახასიათებდა, მაგრამ მაგალითების ნაკლებობა აიხსნება ი-ხმოვნიანი ძირების სიცოტავითაც.

უ-ს რედუქცია.

უ-ს გაუმარცვლოების შემთხვევები მეტია ქართულში. რედუქციებული უ ისევე იწერებოდა ძველ ტექსტებში, როგორც ხმოვანი უ; მისი უმარცვლობა გასაგები გახდა წარმოთქმითა და წარმოთქმის შესატყვისი შემდგომდროინდელი მართლწერით: შუსუა=შესვა, თქუა=თქვა, ჭურელი=ხვრელი, სიკუდილი=სიკვდილი და სხვა.

ძველი ქართულის მასალების ანალიზითა და ქართველურ ენათა მონაცემების შეპირისპირებით გაირკვა, რომ უმარცვლო უ (უ) წარმოიშვა სამი გზით მაინც (ანგარიშგასაწვეია მეოთხე გზაც).

ერთი გზაა **შენაცვლება** უ უმარცვლო ბგერისა მ-სთან. ამის ორი მაგალითია ცნობილი: ქურივი და ღუთივ. (ღუთაება...). „მოვიდა ქურივი ერთი“ (ტბ. მკვ XII₂). იგი წარმოებულა -ივ სუფიქსით ქმარ-ისაგან:

¹ ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ. 1943, გვ. 6.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართველო, II, გვ. 140 (იხ. ი. ჭყონიას სიტყვისკონა, ა. შანიძის რეცენზია: Зан. Воет. Орд. Р. Аpx. ინი., т. XXII: დატიტიბვა), სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ. 1943.

³ არნ. ჩიქობავა, ჭან-აეგრ.-ქაოთ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 124.

⁴ ჯ. ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი 1936, გვ. 13.

⁵ იქვე.

⁶ ჭან-აეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 61—62.

⁷ ბ. გაბუურის ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით: წელიწადული I—II, 1923—4.

*ქმრივი — ქურივი-ი; ასეა *ლმრთივი — ლუთივი (ა. შანიძე¹). ეგების სხვაც მოინახოს ამათი მსგავსი.

მეორე გზაა ვ თანხმოვნის გადაქცევა უ-დ უკანანისმიერ ზ, ჰ, ყ, ქ ბგერათა მეზობლად.

ა) სუბიექტური პრეფიქსი I პირისა ვ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში III პირის ობიექტურ თავსართებ ხ, ჰ-სთან მეზობლობაში გადაისმის და იქცევა უმარცვლო უ-დ: ხ უ არწმუნოთ (←*ვ-ხ-არწმუნოთ), აღხ უ აგზნე (←*აღ-ვ-ხ-აგზნე), ხ ჯ ტყოდი (←*ვ-ხ-იტყოდი), აღ ჰ უ მართე (←*აღ-ვ-ჰ-მართე) და ასე: ხ უ ესავთ, შე ხ უ აბთ, მი ხ უ ეც, ჰ ჯ ყ ავ და სხვა².

ბ) ვალ, ვედ ზმნის ვ ძირისეული თანხმოვანი II პირის სუბიექტურ პრეფიქს ხ-სთან მეზობლობაში გადადის უ-დ: წარ-ვალს, მაგრამ თანა წარ-ხ უ ალთ (ხანმეტი ტექსტიდან), შევიდოდით, მაგრამ შე ხ ჯ დოდ რთ ბქეთა (იქვე) და სხ.³

გ) ძირისეული ვ ბგერა მეტათეზისის შედეგად უკანანისმიერ თანხმოვანთან მოგვევლინა უ-დ: ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერის თავყანის მცემელი და თავყანისა ცემელად — მოგვიანოდ თავყანის მცემელი, თავყანისა ცემელად: თავყანის სცა (ად. მკვ V₆), თავყანის სცემელ (იქვე: XV₁₉)⁴. გვხვდება სინკრეტული ფორმაც: თავყუანის სცა, თავყუანის სცემელ (ტბ. იქვე), ხანმეტშიც კი: თავყუანის სცა (ივ. ჯავახიშვილის გამოცემით, გვ. 372)⁵.

ამათ წაბადვით კაცი იფიქრებდა, რომ I პირის ობიექტურ პრეფიქს გუსა და ძირებში, როგორცაა: გუელი, გუერდი, უყუარს, კუალი, სხუა, მახული, ქუეშე, ზლუა და სხვა მრავალი, უმარცვლო უ უკანანისმიერ თანხმოვანთა გავლენით არის გაჩენილიო, რომ ორი დაბრკოლება არ იყოს: 1. რიგ ფუძეებში ვ შემონახულია ხელუხლებლად სწორედ გუტურალებთან, მაგ.: ქველის საქმე (ხანმეტი ლექც.), ქვაბ (ხანმეტი), საზღვარი და სხვა და 2. აუხსნელი დარჩებოდა უ-ს გამოყენება წინანისმიერებთან: თუალი, მეზუერე, წუელი, ძუელი, ჯუარი, ტვრთი, შიშუელ და ა. შ. ჩანს, აქ სხვადასხვა მიზეზი.

მესამე გზაა უ-ს რედუქცია.

1. სმა მიღებულია ძვ. ქართ. სუმა-საგან, უკანასკნელი კი *სუ-ამ-ა-საგან (სუამს: ტბ. მთ IX₁₁). ძირია სუ: მიიღეთ და სუთ (ტბ. მთ XXVI₂₇),

¹ წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, გვ. 6.

² მაგალითები ამოღებულია ა. შანიძის ძვ. ქართ. ქრესტომათიიდან, წესი კი „ხანმეტ ლექციონარშია“ მოცემული, გვ. 112.

³ მაგრამ ხ ვალ სიტყვა არ შეცვლილა: „ხვალისა დღე დგა“ (ჰაემეტი).

⁴ ინგილოლოში უფრო კომპლექსი იძლევა რ-ს, უი კი —ს: კურცხი, თქუენ — კრცხ, თქონ... ტუინი, მწუიდობით — ტუნ, შუდობით... მაგრამ თუ ფუძეში ვ ი ხმოვანთა წინან შემდეგ უ (resp. ვ) არის, ჯერ ხდება მეტათეზისი და შემდეგ შენაცვლება: ლელუი — *ლუელ — ლრლ, წურელ — *წრულ — კრრლ, ასევე: ზურკ 'ძირკვი', სუკუდილ და სხვა (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართველო, II, ტექსტები).

⁵ ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 111. საგულისხმოა, რომ ხანმეტში (ი. ჯავახიშვილის გამოც.) ამოკითხულია: ხიყუნეს (გვ. 371), მიიყუანის (გვ. 378 ორჯერ), მიიყუანის (380), აღმოიყუანეს (გვ. 382), მაშინ როდესაც იგი ამავე ძეგლში და სხვაგანაც ვ-თი იხმარება: მიხიყვანის (გვ. 380), მოხიყვა (384); [ხ]იყუნეს (388), აღმოიყვანეს. აქ ისეთივე მდგომარეობა უნდა იყოს, როგორც შკლთა (იქვე, 377) და ხხედავ (გვ. 376) სიტყვებში გვაქვს.

არა შეესაბამება იგი (იქვე¹), მასუთ მე (XXV₃₅), გასუთ შენ (იქვე²). აქ შეუძლებელია უ გამოთქმულიყო უ-დ; არც ის შეიძლება დაეუფებოდნენ, რომ მახვილის გავლენით უ → უ-დ (შდრ. თანამედროვე დიალექტ. რუა, ბეურია...), რადგანაც ნამყო წყვეტილში ზმნები, რომელთაც -ე არ აწარმოებს, ყველა კუ-მ შევადრია (ცან: ცნ-ა და სხვ. გვ. 71, 72ბ) და კავშირებით II-ში მათ -ა ბოლოსართი მოუდით (ცნას და სხვ.). ამათ რიგშია სუ ზმნაც: სუ-ა → სუ-ა, სუ-ა-ს, გარდა ამისა, მეგრულშია შუმა 'სმა', მა შუმალი 'სმელი' და ა. შ.¹ მაწასადამე, „ძალ გიცა შესუმაღ სასუმელი“ (ტბ. მთ. XX₂₂) ნარედუქციალია: ა ამოღებულია და უ გაუმარცვლოებული.

ამავე სუ ძირისგანაა მიღებული სუ-ელი, რასაც ამტკიცებს ტან. ა-შუ-ვუ 'დაუსველდა'. აქაც (სუ-ელ-ში) სუ ხმოვანდაკარგულია².

2. თქმა — თქუმა — *თქუ-ამ-ა (აღუთქუამს) ანალოგიურია სუმა-სი. ძირია თ-ქუ³. თქუ რა დასხდენ (ტბ. მთ XX₂₁); ესრცთ თქუთ (იქვე, XXVIII₁₃), აღგითქუ შენ (XX₁₃)... ამგვარივეა არქუ: გარქუ თქუენ (XXIV₃₅), არქუთ (XXI₃, XXII₄) და სხვა. აქედან თქუ-ა და ჰრქუ-ა ნარედუქციალია, რადგანაც ნამყო წყვეტილში -ე ბოლოსართი არ ჩნდება და კავშირებით II-ს -ა აწარმოებს (თქუ-ა-ს, ჰრქუ-ა-ს). ჩანს, თქუ-მ-ა-სა და თქუმ-ულ-ში უ გაუმარცვლოებულია.

3. ცმა — ცუმა — *ცუ-ამ-ა. ძირია ცუ: ჯუარს აცუ ეგე (ტბ. მკვ XV₁₃). მისი შესატყვისია მეგრ. ქუ-ნა 'ცმა'. აქედან ჯუარს აცუ-ეს (XV₂₄), ჯუარს აცუ-ან (XV₂₀), ჯუარს ცუმულნი (XV₃₃) შეკუმშულია.

4. უ გაუმარცვლოებულია აგრეთვე მოართუა, დაამჭუა, დაასუა, დაწუა ზმნებში, რადგანაც I და II პირში უ ხმოვანი ჩანს: „მოართუ იგი ყოველივე... და მივართუ პიტიახზსა“ (შუშანიკის მარტულ. 25_{36...38}), „შენ ჩემი ხატი დაამჭუ... მემცა დავამჭუ“ (იქვე, 13_{17...31})... მოსალოდნელია გვქონდეს და-სუ, და-წუ ფორმებიც. გვიანდელ ქართულსა და მეგრულ-ქანურში თუ უ → უ I—II პირში, ეგ ძნელი ასახსნელი არ არის: III პირის შეკუმშული ფუძე გადასულია I და II პირში, როგორც ეს სხვა შემთხვევაშიც გვაქვს (მოკუედ, შოკუედ, მოკვდა ახლა: მოკვდ-ი, მოკვდი); მეგრ.-ქანურში კი ამ შემთხვევაში ქართულის გავლენა ივარაუდება, თუმცა რედუქციის ძალა მთლად გამოსარიცხი იქაც არ უნდა იყოს (გვ. 86).

5. კურელი („უადვილეს არს მანქანის[ა] საბელი ჯურელსა ნემსისა[სა] განსლვად“: ტბ. მკვ X₂₃) შედგება კურ ძირისა და -ელ სუფიქსისაგან: ეს ჩანს, ერთი მხრით, ჯურ-ეტა, მეგრ. ხვირ-იტუა 'ხვრეტა', ხვირ-იტე 'ხვრეტილი' და, მეორე მხრით, სვან. კურ-უ (აქედან: ლა-კურ-ა 'სარკმელი') სიტყვათაგან. აშკარაა უ → უ.

6. წუელი 'პურელის ღერო' („...ქყნად ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე თავი და მაშინდა სავსე იფქლი თავსა მას შინა“: ტბ. მკვ

¹ ნამყოში რომ ვეფვი 'სვი' გვაქვს, ეს შეიძლება აიხსნას ან ქართულის გავლენით, ან რედუქციის შედეგად მეგრულში.

² არნ. ჩიქობავა, ჰან-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 362-3.

³ ქუ ძირის შესახებ ჩვენი „დ-თავსართიანი ზმნები ქართულში“: სტალინი სპ. თბ. უნივ. შრომები, XXV, გვ. 147-149.

IV₂₈) ნაწარმოებია -ელ ბოლოსართით, ძირია წუ. იგი დაცულია მეგრულში (ი. ყიფშიძე, მეგრ.-რუს. ლექსიკ.).

7. **ყურიძალი** („რნიმე ყურიძალსა სცემდეს“: ტბ. მთ XXVI₆₇; „... მიიყვანეს იგი ყურიძალის ცემად“: მკვ XIV₆₈) კომპოზიტია: ყურიძალ-ალი — ყურიძალი ‘ყურის გარეშემო’, ხოლო ყურიძალ-ვა ‘ყურიძალის ცემა’ (საბა), ჩუბინაშვილის ლექსიკონით ყურიძალი, მაგრამ ყურიძალის ცემა, ყურიძალ-ვა. ჩანს, უ გაუმარცვლოებულა: ყურის — ყურის. ამავე ყურ-ისგანაა ნაწარმოები ყრ-უ (— ყურუ — მეგრ. ყურუ) უ-ს რედუქციითა და შემდეგ უ-ს დაკარგვით¹.

8. **გულარძნილი** („შ ნათესავი გულარძნილი: ადიში, ლკ IX₁₁; საბას განმარტებით: „არს ვაკონთა შინა სიმრუდე დელოვან-ფოსოხანი, რომელსა მსოფლიონი ოღრო-ჩოტროდ უწოდენ“) კომპოზიტია: გულ + არძნილი; აქედან ზნა: „... ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნიეს“ (აბო ტფილელი, 58₁₅)². ამ სიტყვის შეკუმშულობა აშკარადება ჩუბინაშვილის ლექსიკონით: გულარძნა, გვლარძნა, გვლარძნილი (— გვარძნილი). ეტყობა, გულ ფუძეც რედუქციას დაქვემდებარებია. იგი ამ მხრივ გვერდში უდგას ყურ-ს (იხ. ზევით).

9. **სუფიტი** („ქუფე შეხუდგნა შუღნი სუფიტნი“: ხანმეტი) იშლება სუ-ეტი-, რომლის სუ ძირი სუ-ამს (ა-სუ-ამს, დაა-სუ-ა, ახლა: ჩაასო) ზნაში გვაქვს, ხოლო -ეტი სუფიქსი — სხვაგანაც: ხვრ-ეტი-ს, კვინ-ეტი-ს და სხვა³. ირკვევა, სუფიტი ნარედუქციალია: სუ — სუ.

10. **შიშუდილი** („შიშუდილიბა და მოკუდა“: ტბ. მთ XXVII₃) შეიცავს ძირს შუდ, რომლის უ რედუქციის შემდეგ მეტათეზის განიცდის და ვ-დ იწერება, წყვილბაგისმიერ ბგერებთან მეზობლობაში კი სულ იკარგება ძველ ტექსტებში: შეაშდვეს იგი (ადიში, მკვ IV₇) — შეაშთვეს იგი (ტბ.), მაგრამ შეაშთობდა მას (ტბ. მთ XVIII₂₈). შუდ-ის ძირობას ამტკიცებს მეგრ. შქვილ-ა ‘ხრჩობა’, სვან. ო-შ გუდ ‘დავახრჩვე’, ლშხ. ლუ-შ გუდ ‘დამხრჩვალი’⁴.

11. **თთუე** ნარედუქციალი და ნამეტათეზისარი ფორმა ჩანს *დუთე სიტყვისა. მისი ეკვივალენტია სვან. დოშდ-ულ და მეგრ. თუთა⁵. უ-ს გაუმარცვლოება ეჭვს არ იწვევს⁶.

¹ ჩვენი ქართვ. ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, გვ. 538.

² კ. კეკელიძის გამოცემით: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფ. 1935.

³ განსვ. ასპირანტ ვაბტანა გაჩეჩილადის შენიშვნით აქ I ობიექტური პირის გუთავსართი კი არ უნდა იყოს, არამედ ძირეული გუ (გულარძნა): გარდაგულარძნ-ნეს იგინი, რაც სწორი ჩანს.

⁴ ჩვენი ფუძედრეკად ზნათა სუფიქსაციისათვის: ტფ. უნივ. შრომები, III, გვ. 232.

⁵ ჩვენი ფონეტიკური დაკვირვებანი... I: მიმოძილველი, გვ. 213—214.

⁶ იქვე, გვ. 217—219.

⁷ შეიძლება გაუმარცვლოებული უ იყოს ამოღებული ჩჩკლ-ში. ამის საბუთია i. ჯ-ს შემონახვა ჩჩ თანხმოდანთა შორის: „დაიცუნეს ჩჩკლნი“ (უდაბნოს მრავალთ. 169 r: არნ-ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებულება, გვ. 47) და 2. ჯ-ს შესატყვისია უ ჰან. ჩუჩქუ-ს მიხედვით და ეგვე უ დაცულია ქვემოთმოწოდულ ჩუჩულ ფორმაში. გამოდის ჩუჩუ+ილ — ჩჩკლ — ჩჩკლ (შდრ. და ჩჩუნია: ხანმეტი ლექსი).

12. **შუენიერ**-ში **შუენ** ნაწილია ჰ-შუენ-ის ზმნისა. მისი შეზღირისპირება უ-შუ-ერ-თან **შუ** ძირს გამოაქვს, რაც იხმარებოდა კიდევ: „... მინავს მე და შემამაშუს ცხრბაჲ იგი“ (№ 19, გვ. 323) და შესატყვისის პოულობს მეგრ. ო-ს-ქუ და სვან. ხე-ს-გუ „შენის“ ზმნებში. ივარაუდება **შუ** → **შუ-დ** ჰშუენ-ის და სხვებში.

13. **შუა** (— შოვა: № 1147), **შუვა** (ტბ. მკვ XIII₃₅), რომლის **შუ** ხევსურულში ახლაც ცოცხალია: **შუ-და-შუ**, **შუ** ლამე, **წელ შუ** (მაგრამ **შუა** კაცი **შუამთა**)¹, აქედან **სა-შუ-ალი**² (ხევს. **შე-შუ-ალა**¹ თითო) იქცა **შვა** და **სა-შვალ**, **მა-შვ-ალ**³ ფორმებად. უდავოა, **უ** → **ვ**.

14. **ქუ-ე**, **ქუ-ე-შე** („ქუე შე შეხუდგნა შკდნი სუეტნი“: ხანმეტი 372) ნარედუქციალი ჩანს სვან. **ჩუ** და მეგრ. **ქო** ნაწილაკებთან შედარებისას⁴. ამჟამად **ქვე** — **ქუ-ე**.

15. **თუ არა** იქცა **თვარად**, ასევე **თვარემ** — **თორემ** და შეიცავს **თუ** არ ნაწილაკებს⁵ (შდრ. **უარესი** — გურულში **ვარესი**).

16. **ზაკუვა** (ზაკუვანი: ტბ. მკვ VII₂₂) ფორმამ ალბათ შეკუმშვის შემდეგ **ზაკუა** მოგვცა. ეს უმარცვლო **უ** **ზაკუა**-სა და მისგან ნაწარმოებ **მ-ზაკუ-არ**-ში აშკარაა.

17. **უგუნური** („რჩ არს უგუნურთაგან“: ხანმეტი 372; „ცვალა... სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა“: შუშანიკის მარტულ. 1₁₄) — **უგონ-ური**-ისაგან (წინა თუ) მომდევნო **უ**-სთან ასიმილაციით, მაგრამ ძირისეულ **უ**-ს რედუქცია განუტღია და წყვილბაგისმიერ **უ**-ს მეზობლად დაკარგულა; ამიტომამა ამჟამად: **უგნური**, **უგნურება**⁶.

18. **ტყუბი** ზმნად წარმოებისას იკუმშება და უმარცვლო **უ** იკარგება ბთანხმოვნის მეზობლად: „შეიტყბნეს იგინი და ამბორს უყვეს ურთი-ერთას...“⁷ (კიენი, 34₁₅).

19. **თჯი** კუთვნილებითი ნაცვალსახელი ანალიზდება: **თუ** + **ისი**, ძირია **თუ** ‘თავი’. იგი ნათ. და მოქმ.-ში იკუმშება და **-ი**-სთან შერწყმით იძლევა **ჯ-ს**: **თჯთ**. **თუ** ძირს შეიცავს **სასთუნალი** (‘თავსადები ფიცარი **თუ** რაც’) და **სათუნალი** (‘თავსადები’), ხოლო **თავს** — **სასთაულ** (საბა).

¹ ა. შანიძე, ჯვესურული მასალების ლექსიკონი: შუ.

² სახელის ფუძის აგებ. გვ. 157-8 და სხვ.

³ ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა: მა-შვალი.

⁴ სვანური ენა, გვ. 65.

⁵ **ქკუა** თუ პირვანდელია, მაშინ **ქკვიანი** (საბა), **ქკიმერ**, **ქკვერ**, **ინგილოური** **ქკო** (— **ქკუა**) შეკუმშული ფორმები იქნება, სადაც უ გაუმარცვლოებულია.

⁶ ეგებების **უგონ-ური** თავიდანვე შეიკუმშა და **ო** — **უ** და უკანასკნელი დაიკარგაო (***უგუ-ური** — **უგნური**), იფიქრებდა კაცი, რომ უგუნური-ც არ იხმარებოდეს.

⁷ **სა-ყუდ-ელ-ის ყუდ** ძირი მეგრულ **ყუდ-ე**-შია შემონახული. ნარედუქციალი და უ ამოღებული ყდ ძირი **საყუდარ**-ში დარჩა (სახელის ფუძის აგებ., 84-5), მაგრამ რამ ამოიღო უმარცვლო **უ**, როცა ბილაბიალური ბგერა მეზობლად არ არის? ჩვეულებრივ უ-ს დაკარგვის მიზეზია წყვილბაგისმიერთა მეზობლობა; მაგ.: **მიუ-წუდ-ომელი** — **მიუ-წუდ-ომელი** (ქართვ. ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, 535) და სხვები (იხ. ზევით).

⁸ ჩვენი ფონეტიკ. დაკვირვებანი ქართვ. ენებში. I: მიმოხილველი, გვ. 201.

20. ქუსავს 'ქსოვს', საქუსალი 'ქსელი საქსოვი' (საბა) სვანურში პოეზებს შესატყვისის ლი-ჯიმ 'ქსოვა' საზით¹. ფონეტიკურ ეკვივალენტთა აღდგენით ქართ.ში უნდა გვექონოდა გუს ძირი, რაც.საბას შემოუნახავს: „საქუსალი...“ სადამე საგუსალი აღუწერიათ... საქუსალი უმჯობეს ჰგავს“. ნამდვილად საგუსალი „ჰგავს უმჯობეს“. უ-ს რედუქციის შემდეგ დარჩებოდა საგუსალი. ესეც დაუცავს საბას საგსგალ-ის ფორმით. ამგვარად, ქსოვა-ში ძირისეული უ გაუმარცვლოებულია და -ო-ს გავლენით დაკარგული.

21. ტურფა, რა წარმოშობისაც უნდა იყოს ის, გამოყენებულია ტრფობას-საწარმოებლად (ა. შანიძე). იგულისხმება, რომ ძირეულ უ-ს რედუქცია განუცდია და გაუჩინარებულა ფთუ-ს მეზობლად.

ირკვევა, რომ უმარცვლო ურიგ შემთხვევაში რედუქციის მოქმედების კვალს წარმოადგენს: ძირისეული უ ხმოვანი უ თანხმოვანი გამხდარა. შეიძლება ამის განზოგადება და ასეთი დებულების წამოყენება: თუ ძირში უ არის და მას მოსდევს ხმოვნით დაწყებული ფორმანტი, ის უნარედუქციალია. ასეთებია:

სი-ყუარ-ული, უ-ყუარ-ს, მაგრამ მო-ყუას-ი („შეყუარებად მოყუასი ვა თავი თვის“: ტბ. მკვ XII₃₃)... ძირია ყუ და -არ, -ი ბოლოსართები;

ალი-ხუ-ენ, მოი-ხუ-ნა —ალი-ხუ-ამს... ძირია ხუ, დანარჩენი აფიქსები; დავ-შუ-ერ, და-შუ-რა-ამეგრ. შუ-რდუ 'იღლება', ძირია შუ;

მსგავსადვე: ში-შუ-ელი, შემ-თხუ-ევა, სუ-ენება; მე-ზუ-ერე, კუ-ეთა, მ-წუ-ანვილი, წუ-ევა და სხვა, ოღონდ ანათ დამტკიცება უნდა.

სამართლიანობა მოითხოვს, აქვე საგანგებოდ იქნეს აღნიშნული თ: ქორ-დანიას სწორი მოსაზრებები უ-ს რედუქციის შესახებ. იგი წერს: „ასო უ (აუნი ბრჯგუიანი) ანუ აუნ-ბრჯგუ) გამოითქმის როგორც «ვ»... იგი საშვალო ხმაა «უ» და «ვ» შუა... მის მაგიერ ყოველგან უხმარნათ ასო «უ», რაჟსაგანაც ცხადია, რომ «უ» წინეთ გამოითქმოდა როგორც «უ»-ნი და არა როგორც «ვ» და მხოლოდ შემდეგ ზოგიერთს სიტყვებში «უ»-ნი «ვ»-ნად შეცვლილა; მაგრამ მწერლობაში კი მაინც ძველებურად უწერიათ და მხოლოდ «უ»-ზე „ბრჯგუ“ დაუსვიათ (A) ნიშნად ეგრეთის ამ ასოჟს შეცვლისა. ამ გვარად «უ» შემოღებულ იქმნა იმ სიტყვებში, რომელთა ძველად ძირში ჰქონიათ ასო «უ» და შემდეგ ეს ხმა გარდაქცეულა «ვ»-დ“². თავი რომ ღავეანებოთ რიგ უმართებულო ეტიმოლოგიებსა და არასწორ მართლწერას საკმაო რაოდენობის სიტყვებისას (როგორცაა: ღუმერთი, მღუ-დელი, მარხუა, პირტყლი, ქუა...), წამოყენებული დებულება მისაღებია და მის საილუსტრაციოდ მოცემული ანალიზი სიტყვათა და ზოგი ეტიმოლოგიური ძიება გასაზიარებელი (მაგ.: სუმა, ცუმა, დაწუა, კუმევა, წუელი, ყურიმალი და

¹ იქვე, გვ. 209—210.

² ქუს ძირი პეტრიწს მოეპოვება ფორმებში, როგორცაა: ალიქუსა, ანაქუსი, მქუსველი, ნაქუსი, ქუსავს, ქუსა (სიმ. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის შრომები, I, საძიებლები II ტ.).

³ ქართული გრამმატიკა, გვ. 11—12.

სხვა)¹. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან პირველმა წარმოადგინა უ-ს ამგვარი გენეზისი.

დამტკიცდა, რომ უ რედუქციის ძალით იქცა უ-დ.

მიუხედავად იმისა, რომ უმარცვლო უ-ს წარმოშობის სამი გზაა ნაჩვენები, მაინც რჩება ერთი წყება სიტყვებისა, სადაც უ-ს არსებობა აუხსნელია: ქუა-ბი, გუამი, სხუა, მსხუერპლი, სიტყუა... ძირთა შეპირისპირებიდან ჩანს ერთგვარი რყევა უ-ს ხმარებაში; მაგ.:

მო-კუ-ედ და მო-კ-ალ² (შდრ. მო-ვ-ედ — მო-ვ-ალ): ძირია კ, სუფიქსები განარჩევენ მოქმ. და ვნებითს გვარს, რაღაა უ?

ჩანს || ჩას—ჩენა, ჩუენება („ხუჩუენა მათ“: ხანმეტი ლექც.): საერთო ძირია ჩ, რაღაა უმარცვლო უ?

თუ-ალი (— მეგრ. თოლი)—სვან. თე, სადაა უ? სვანურმა დაკარგა იგი, თუ არ გადაჰყოლია ქართულიდან?

სვან. ლი-წ-ედ ‘ნახვა’—ხო-წ-უ-ა ‘უნახავს’, მეგრ. ორ-წყ-ე ‘ხედავს’: ასახ-სნელია უ;

უკუეთუ („უკუეთუ განუტეოს...“ ტბ. მკვ X₁₁), უკუანადასკნელი („ხ მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანადასკნელ და უკუანადასკნელნი პირველ“: ტბ. მკვ X₃₁)—ახლა უკეთუ, უკანასკნელი, იმერ. უკანასკნელი და სხვა.

გასარკვევია, უ ძირისეულია თუ გაჩენილი?

არის ნაჩვენები მეოთხე გზაც უ-ს გენეზისისა: ესაა თანხმოვანთა ლაბიალიზება. დებულება, წამოყენებული ს. ჟღენტიის მიერ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა არსებობის შესახებ ქართველურ ენებში³, გასაზიარებელია მხოლოდ შეზღუდულად. ყველა უმარცვლო უ ამ გზით არაა მიღებული, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს ავტორი. ლაბიალიზებულად შეიძლება ჩაითვალოს ძირის თუ ფუძის ის თანხმოვანი, რომლის მხლები უ-ს წარმოშობა წინა სამი გზით გამორიცხულია.

მაშასადამე, უ მიღებულია: 1. მ. თანხმოვანთან შენაცვლებით (ქურივი), 2. ვ-ს გაწყვილებაგისმიერებით გუტურალებთან (თაყუანის მცემელი), 3. უ ხმოვნის რედუქციით. (ჭურელი, ყურიმალი...) და 4. თანხმოვანთა ლაბიალიზებით (მოკულა)⁴.

ჩვენთვის მთავარია აქ უ-ს რედუქციის შესაძლებლობა.

ამგვარად მტკიცდება, რომ ქართულშიც ყველა ხმოვანი ექვემდებარება რედუქციას.

პრეფიქსიც რომ მოქმედებდა ქართულში, ეს ჩანს მცირე, მაგრამ უდავო ფაქტებიდან; მაგ.:

¹ იქვე, გვ. 11—17.

² სახელის ფუძის აგებულება, გვ. 122.

³ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, X, თბილისი 1941, გვ. 183—191.

⁴ რაც შეეხება ვ-ს, მისი მართლწერითი დანიშნულება და ბგერითი ეკვივალენტები საგანგებოდ შესასწავლია. იგი მეტწილ შემთხვევაში შეიცავს უი-ს, ზოგჯერ ენაცვლება უ-ს (უმარცვლო უ-ს), იშვიათად ვ-საც, ხოლო ნასესხებ სიტყვებში ცვლის ბერძნულ ს: კატო-სი, ტკროსი და სხვა.

1. ჯამს („ჯამს მოყვარე მოყვრისათვის...“) — ჯმ-ს („ოა ... უჯმს გეგ“: ტბ. მკვ XI₃; „მე შნ გნ მიჯმს“: საბა ასური, 12₂₁);

2. ქამ („პატრონი... იქამს“: ხევს. 137₁₇, ქვემოთმერ. იქუმს) — ი-ქმ („რლითა გელმწიფებითა იქმ“: ტბ. მკვ XI₂₇; ვიქმ იქვე 28; უ-ქმ-ი: „სდგათ... უქმაღ“: ტბ. მთ XX₆);

3. ჩანს || ჩას (ბოლნ. 22₁₇) — უ-ჩნ-ს („მელთა ჯურელი უჩნს“: ტბ. მთ VIII₂₀, აქედან ნაწარმოებია ჩენა, ჩუნება);

4. ძეს („რად ძეს ჩუენი და შენი“: მთ VIII₂₉) — უ-ძ-ს (→ უც: „ძალ-გიც განწმელად ჩემი“: მთ VIII₂);

5. დეგ (→ დგ-ა-ს) — ა-დგ-ს, უ-დგ-ს („გულსა მადგს“: საბა ასური, 15₃₁; „ნუცა შეუდგთ“: ლკ XVII₂₃¹);

6. კელ: დააკელ — მა-კლ-ს; გა-კლ-ს („რადლა მაკლს მე“; „ერთილა გაკლს შენ“: ტბ. მკვ X₂₀; 21);

7. ნეშტი („და აღიღეს ნეშტი ნამუსრევისაჲ“: ტბ. მკვ VI₄₃), როგორც გამოირკვა, შედგება ნე-პრეფიქსისა და შედ-ისაგან: *ნე-შედი — *ნეშედი — ნეშტი².

8. სარცხი (ქიზიურის ლექსიკ.) — სარცხ-ი³.

9. ი-პრიან-ა ზმნა, ცხადია, ნაწარმოებია პირიან-ისაგან, ოღონდ საფიქრებელია, რომ ძირისეული -ი- ამოღებულია თავსართის ზეგავლენით.

ეტყობა, თავსართიც კუმშავდა ფუძეს. ამდენად ქართულში არ განსხვავდებოდა სვანურისაგან რედუქციის წესებში.

ასევე სვანურშიც ძალაში ჩანს ქართულის ძირითადი წესები; სახელდობრ:

I. ერთმარცვლიანი ფორმებიც განიცდიან რედუქციას.
ა) ბალსზემოურში ფუძედრეკად ზმნადა ვნებითი წყვეტილის I და II პირში სისტემებრივად იკუმშება:

ა-ტუბ	← ბქვ.ლშხ.	ო-ტენ	← ლნტ.	ა-ტუბებ	‘დავბრუნდი’
ა-ტბ	←	ა-ტებ		ა-ტებებ	‘დაბრუნდი’
ლა-ტუბ	← ეცრ.	ლო-ტებ	← ლნტ.	ლა-ტუბებ	‘დავიხიე’
ლა-ტბ	←	ლა-ტებ		ლა-ტებებ	‘დაიხიე’

¹ 1911 წლ. გამოცემით.

² ხუთივე მაგალითი ნაჩვენებია აქვს არნ. ჩიქობავას „სახელის ფუძის აგებულება“-ში..., გვ. 109—111, აგრეთვე წერილში „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, გვ. 196; ჯამს და ჩანს კი ნ. მარს Gram. apr. რრვა. №3, გვ. 209, 211.

³ ჩვენი ფონეტ. დაკვირვებანი ქართვ. ენებში, II: ტფ. უნივ. მოამბე, X, გვ. 303—304.

⁴ სახლ-იც ამის მსგავსად უნდა იყოს შეკუმშული ხა-პრეფიქსის წყალობით. აღსადგენია ფუძისეული ხმოვანი. მეგრ.-სვანურთან შედარება -ას გვევარაუდებინებს, რადგანაც მეგრ.-სვან. ო-ხო-რ-ი შეისატყვისებს სა-ხალ- ფუძეს. მაგრამ ვითარებით ბრუნვაში ეს სახელი ყოველთვის იხმალება სახიდ ან სახედ ფორმით („წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა“: შუ-შანიკის მარტულ. 13₂₄). ლ-ს თუ დაკარგულად ვივარაუდებთ (როგორც ესაა სიკვდილი ადგილ-ში), მაშინ იან ე სახსნელი იქნება. მეგრ. -ო-ს ვკვივალენტად ქართულში ე-ც არის (კყორ-ი — მწყერ-ი: ნ. ჩვენი მესამე ტიპის ვნებითი, გვ. 967—8). მაშასადამე, სახელ უნდა ყოფილიყო. ამისი ვითარებითი ფორმა სახედ. ხომ არ არის სახიდ **7** და **7-ს** აღრვევის შედეგი?

და ასე: ა-დგ (←ა-დგ) 'გაქრი', ა-კუმ (←ა-კუმ) 'გატყდი', ა-სდ (←ა-სდ) 'დარჩი' და სხვა.

ამ ზმნათა რელატიურ ფორმებს სხვა კილოებიც შეკუმშულად წარმოგვიდგენენ:

ხტ-ე-წდ ← *ხტე-წედ 'ენახე'
 ხ-ე-წდ ← *ხე-წედ 'ნახე'...¹

მოქმედებითი გვარის უპრევერბო ზმნათა წყვეტილის I და II პირის ფორმებშიც მაქცევარი კუმშავს ფუძის ერთ ხმოვანს:

ხტ-ა-ყრ, ლშხ. ხტ-ა-ყრ (← *ხტ-ა-ყერ) 'ვუყავ'
 ხ-ა-ყრ, ხ-ა-ყრ (← *ხ-ა-ყერ) 'უყავ'
 მაგრამ: ხ-ა-ყერ, ლნტ. ხ-ა-ყერ 'უყო...'²

ბ) არის შემთხვევები ერთმარცვლიან სახელთა რედუქციისა:

კიშხ 'ფეხი'	ბზ. ნათ. ჭგშხ-ემ, მრ. ჭგშხ-არ...	ჭგშხ-აშ 'ფერხული'
ლიც 'წყალი'	ლგც-ემ, ლგც-არ	
მიე 'მზე'	ბქვ. მგე-ემ,	ლა-მგე 'მზვარე'
შდმ 'ყური'	ბზ. შდგმ-ემ,	შდგმ-რ-აშ
შდიქ 'კბილი'	ბქვ. შდგქ-ემ,	შდგქ-არ
შიყ 'ზურგი'	ბზ. შგყ-ემ,	შგყ-არ... ლა-შგყ 'გოდორი'...

გამორკვეულია, რომ აქ გენაცვლება ძირისეულ -უ-ს ნაუმლაუტეგ -ი-ს მეშვეობით (უ → უ → ი → ე) რედუქციის შედეგად³ და არა სხვა გზით (შდრ. უნაფირი → ბზ. ჰუნგირ). ამას უეჭველს ხდის ასეთი მაგალითები:

ქან 'კანაფი'—ბზ. ნათ. ქგნ-აშ 'კანაფის თესლი დანაყილი და მოზელილი შეკამანდალ'. აქედან: ქგნაშ 'კანაფის თესლის გულიანი პური'...

თაშ 'ყველი'—თგშ-ინგ 'ყველის ჩასადები ჭურჭელი' და სხვა.

აშკარაა, აქ (უ →) ი-სა და ა-ს რედუქცია მოუვიდა და თანხმონათვასაყარად გ გაჩნდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ორ და მეტმარცვლიანებში; შდრ.

მერჩილ 'ცელი'	— ბზ. ლა-მერჩილ	'სათიბა'
შელდ: ამშელდ 'ამდენი'	— ლი-შელდ-ანი	'თელა'
ჩანგ 'ჩანგი'	— ლი-ჩანგ-ი	'ჩანგის დაკვრა'
ჰანწუ 'პატივი'	— ლი-ჰანწუ-ი	'გაპატივება'
სინჯვა	— ლი-სინჯაწუ-ი	'დახედვა' და სხვა მრავალი

¹ სვანური ენა. I. ზმნა, გვ. 201—204.

² იქვე, გვ. 148-149.

³ ჩვენი კვლავ უმლაუტისათვის სვანურში: ტფ, უნივ. მთამბე, VIII, გვ. 339—344.

ეს გარემოება სხვა მხრივაც საგულისხმოა: თუ ი — უ რედუქცირდება და კვალს ტოვებს უ-ს სახით, ხომ არ არის ფუძედრეკად ზმნათა მოქმედებითი გვარის ფორმების ი/კ წარმომდგარი უ-საგანო? (მაგ., აწმყო ტიხ-ე, ლშხ. ტუხ-ე 'აბრუნებს'—წყვეტილი: ხსვ.ლშხ. ო-ტუხ დავაბრუნე', ა-ტიხ 'დააბრუნა'...: სვანური ენა, გვ. 155-6).

საკესებით ანალოგიური მოვლენაა აფხაზურში: ქლიბ-ი — ა-ქლგბ, მიზეზ-ი — ა-მგზგზ... აცხა — აცხგ (ბზიფურში) 'თაფლი' და სხვა¹. ასეა სომხურშიც: ხმოვანი რედუქცირდება μ -დ².

II. შეიძლება ო რ გ ზ ის მოხ დ ეს რ ე დ უ ქ ც ი ა. ამოიღება ო რ ი რო-გორც ერთგვარი, ისე სხვადასხვა ხმოვანი. საამისო მაგალითები შედარებით ცოტაა, თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ პრევერიან ზმნებს, სადაც ფუძის თუ ძირის ხმოვანთან ერთად ჩვეულებრივ იკუმშება მაქცევარი ზემოსვანურსა და ლაშხურში; მაგ.: აღხატვე — ლნტ. აღ-ა-ხატჷ-ე 'დახატა' და სხვა (სვან. ენა, გვ. 140-142). ცალკე მაგალითები:

ბ ო გ რ ე შ 'სოფლის სახელია იფარში', წარმოშობით მრ. რ. ნათ. ბრუნ-ვაა ხმოვანამოღებული: *ბოგ[ა]რ-ეშ 'ხიდთა, ბოგათა' (მხ. ბოგ 'ბოგა, ხიდი' — მრ. ბოგარ). აქედან: ბოგრეშალ 'ბოგრეშლები' — ნათ. ბოგრეშლემ. უკანასკნელში არა ჩანს ო რ ი ა: ბოგ[ა]რეშ[ა]ლემ.

დაგარ: დაგ[ა]რ-ა 'სიკვდილი', ლი-დ[ა]გარ-ი 'მოკლა', მაგრამ ბზ. II სე-რიის კონიუნქტივიზია: ა-დგრ-ის — *ა-დაგარ-ის 'მოკლას'. უკვალოდ გაქრა ო რ ი ა. ნიბჷშინ 'ძმისწული, დისწული; ბიძაშვილი; შვილიშვილი' — მრ. ლა-ნბჷშინ-ა (— *ლა-ნ[ი]ბჷშ[ინ]-ა). ამოღებულია ო რ ი ი.

ლნტ. მეკჷმეტე — ზსვ. მეკჷმდე 'მოკლე' — ზსვ. ხო-ნკჷმდე-ა — ლნტ. ხო-ნკჷმეტ-ა — *ხო-მ[ე]კჷ[მ]დე-ა 'უმოკლესი'.

ლნტ. მეშეხე — მეშეხე 'შავი' — ზსვ. ლშხ. ხო-მშხ-ა — ლნტ. ხო-მშეხ-ა — *ხო-მ[ე]შ[ე]ხ-ა 'უშავესი'; (ლი-მშხ-ე — *ლი-მ[ე]შ[ე]ხ-ე, ლნტ. ლი-მეშეხ-ი 'შავება')... ორსავე ზედსართავში არა ჩანს ო რ ი ე.

ბზ. შუალობითი გზის ხაზხუნჷტენ 'აწვევინებს' და მსგავსი ფორმები ორ-გზის შეკუმშული ჩანან: ამოღებულია ძირის ხმოვანი და გაუმარცვლოებულია -უნ- სუფიქსი: ხა-შ[ი]ხ-უნ-ალ-უნ-ე. ასეთია:

ლშხ. ხაგმუნალტენ-ე (— *ხა-გ[ე]მ-უნალ-უნ-ე, შდრ. ლნტ. ხა-გემ-ნ-უნ-ე) 'ამენებინებს'.

ბქგ. ხაკრუნაუნე (— *ხა-კ[ა]რ-უნა-უნ-ე) 'აღებინებს კარს' და სხვა³.

ამგვარად, სვანურსა და ქართულში რედუქციის წესები ძირითადად ერთნაირია; განსხვავებაა მხოლოდ ამა თუ იმ წესის მეტნაკლებ აქტიულობაში.

6. რედუქცია ზანურში

მეგრულ-ქანურში ფუძის კუმშვა უფრო მეტად სუსტია, ვიდრე სვანურის ლენტეხურ კილოში. უკანასკნელში ყველაზე ხშირად რედუქცია მოსდის **ი** და **გ** ხმოვნებს, შედარებით იშვიათად **ე** და **ა**, **ო**, **უ**-ს. ამდენად ფუძის

¹ Н. Я. Марр, Абхазско-русский словарь, Лтвр. 1926; აგრეთვე ქ. ლომთათიძის შერჩეული მაგალითები, რომელთა მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ.

² Н. Марр, Грамматика древнеармянского языка, Птб. 1903; გვ. 39; А. Meillet, Altarmenisches Elementarbuch, 1913, გვ. 14.

³ სვანური ენა, გვ. 240.

განგებ არ მოგვყავს გ-ს შემცველი მაგალითები, როგორცაა ლჯგაშ (— გამაშ 'ლონე') 'ლონიერი' — ხო-ლჯგაშ-ა (— *ხო-ლ[ჯ]გ[ა]შ-ა) 'უფრო ლონიერი' და სხვები, სადაც გ-სთან ერთად მეორე ხმოვანიცაა ამოღებული, რადგანაც გ აქ თანხმოვანთგასაყარია.

სრულხმოვნობა ყოველთვის არაა დაცული ლენტეხურში. თუ მე შეხე-ში ('შა-ვი') ყველა ხმოვანია წარმოდგენილი, ხოლო შეხა-ში ('უშავესი') კი ე ამოღებულა¹... ზანურში შეკუმშული ფორმა თითზე ჩამოსატვლელია. აქ სრულხმოვნობა თითქმის ხელუხლებელია. ამ მხრივ ლენტეხური სვანურის სხვა კილოებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ზანური ქართულთან. მაგრამ რედუქცია აქაც რომ იყო, ამას უჩვენებს შემდეგი:

რეც-ვა, სა-**რეც-ელ-ს** მეგრ.-ქანურში შესატყვისება **რჩ-აფა** 'დაგება', სვანურში **ლი-რშ-ი**. ზანურში უნდა ყოფილიყო რაჩ, რაც დღემდე არაა დადასტურებული და მხოლოდ შეკუმშულად იხმარება, სვანურში კი რაშ ხალხურ ლექსებშია შემონახული².

რეცხ-ვა (მაგრამ სა-რცხ-ი; ძვ. ქართ. „გან-რცხ-იდეს ბადეთა“: ჰამეტი ლკ V, 2) ზანურშია **რჩხ-უალა**: მეგრ. რჩხ-უნს, ქან. ჩხ-იფს 'რეცხავს'. აქაც რაჩხ უნდა გვქონდეს, მაგრამ არაა მოღწეული. ჩანს, *რჩ, რჩხ-ში ა ამოღებულია³.

ციქვა (აქედან: მო-ციქ-ული, სა-ციქ-ელი)=მეგრ. ჩქვ-აფა, ქან. ჩქვ || შქვ. ზანურში -ი-ს შესატყვისი ხმოვანი რედუქცირებულია⁴.

მეგრ. ფური 'ცული'—უ-ფრ-აში — უ-ფურ-აში 'უარესი': უ გაუმარცვლობულია და ფ-ს მეზობლად გამქრალი.

ქართ. **კელ** (გარდამო-ვედ, აღმო-ვედ) დაცულია ქანურში **ხტ, ხთ-ს** სახით: ე-ხ ტ-უ, მე-ხ თ-უ 'ავიდა', მო-ხ თ-უ 'მოვიდა', გე-ხ თ-უ 'დავიდა, დაეშვა'... მეგრულში ხ-ს ადგილას რ არის: მო-რ-თ-უ...⁵

ანალოგიურია **ქეც** (ი-ქეც, მოი-ქეც...) = ქან. ქთ: ო-ქ თ-უ, მეგრ. რ-თ-აფა 'ტრიალი, ქცევა'. ვი-ქ ეც—ქან. ვი-ქ თ-ი, მეგრ. გინივ-რ-თ-ი... აქაც ქ-ს ადგილი რ-ს უჭირავს მეგრულში. ქართული ე-ს ეკვივალენტი ხმოვანი ზანურში ამოღებულია⁵.

უფრო შორს მიდის ქანური. ქართულისა და მეგრულის ხმოვნიანი ფუძე მას უხმოვნოდ აქვს წარმოდგენილი:

ზიდ-ვა, მეგრ. **ზიდ-უა** = ქან. **ზდ**: ე-ზდ-უ 'ადება, ზიდვა', ე-ზდ-ეს = ა-ზიდ-ეს... ქან.ში არაა ი...⁶

ეტყობა, მეგრ.-ქანურში ყველა ხმოვანი შეიძლება დაქვემდებარებოდა რედუქციას, მაგრამ სხვა წესები (პრეფიქსის გავლენა, ერთზე მეტი ხმოვნის ამოღება, ერთმარცვლიანის შეკუმშვა...) თუ რამდენად მოქმედებდა, ამის დადგენა მასალების სიმციროს გამო ქირს. უფრო მეტიც—კითხვა ჩნდება: ახასია-

¹ რედუქცია სვანურის კილოებში საგანგებოდაა განხილული ცალკე ნარკვევში. აქ მას არ შევხვებით, რამდენადაც ამაჟამად საკითხი დგას რედუქციის საერთო წესების შესახებ ქართველურ ენებში.

² სვანური ენა, გვ. 78; ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III: თბ.: უნივ. შრომები, XV, გვ. 48.

³ ნ. მარია, Грам. чанского яв., გვ. 212: 2 ჩხ: რჩხუ; არნ. ჩიქობავა, ქან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკ., 310, 380.

⁴ შედარ. ლექსიკ., 379.

⁵ ნ. მარია ქან. გრამ., გვ. 234, 197; შედარ. ლექსიკ., გვ. 426-7, 334-5.

⁶ ნ. მარია ქან. გრამ., 144; შედარ. ლექსიკ., 275-6.

თებდა თუ არა ზანურს რედუქცია და მოყვანილი მაგალითები ხომ არ არის შეკუმშული სახით ქართულიდან შესული და გაზანურებული, ან სესხებისას ხმოვანამოდებული ისე, როგორც ეს გვაქვს რიგ შემთხვევებში? (მელიტონ — მელტო, კვირიკე — კვირკვე ‘კვირკობისთვე’, საარიკო — საარკო ‘საარაკო’... (მღრ. მართალ — მართლ[მსაჯული]); სვანურში კალაპოტი — კალპეტუ, დედაბერი — დედბერ, მეზობელი — მეზუბელ; ყავარი — ყწრ, დერეფანი — დწფან, კივილი — ლი-კილ-ი...). წარმოდგენილი მასალები უფრო გვაფიქრებინებს, რომ რედუქციას ადგილი ჰქონდა ზანურში, ოღონდ იგი ძალზე სუსტი უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება ზანურის მიერ შენარჩუნებული სრულხმოვნობა.

აქედან სხვა დასკვნაც გამოიტანება. ზანური ენისა და სვანურის ლენტეხური კილოს სრულხმოვნობა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ქართულისა და სვანურის ნარედუქციალი ფუძეები, აღდგენილი როგორც მათ-მათ მასალათა შეპირისპირებით, ისე ქართველურ ენათა მონაცემების შედარებით, ადასტურებს, რომ რედუქცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა; იგი მეტნაკლები ძალისა და გავრცელებისაა ქართველურ ენებსა და მათს კილოებში მათი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე და სრულხმოვნობა ზანურთან ერთად ქართულისა და სვანურის პირვანდელი თვისებაა¹.

რიგი საკითხები—როგორი ძალისა იყო რედუქცია ქართველურ ენათა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე (დიალექტებში, ძველი ქართული ენის ძეგლებში ცალ-ცალკე, რატომღა, რომ ერთი და იგივე ფუძე ერთ ფორმაში „კუმშება და მეორეში—არა (ქარი: ქარ-ის, მაგრამ ქრ-ის, შალ-ა—შლ-ა...), ან ანალოგიური ფუძეები ერთნაირად არ ექვემდებარებიან რედუქციას (ახალი—ახლ-ის, მაგრამ ცალი—ცალ-ის...), როდის მიეცა რედუქციას დასაბამი—ქართველურ ენათა ერთობის ხანაში თუ შემდეგ, საკუთრივ ქართული მოვლენა იგი, თუ სხვა ენათა გავლენას უძვეს წილი მის წარმოშობაში და სხვა—აქ არ განიხილება. ასევე არ ვეხებით რედუქციის გამომწვევ მიზეზს—მახვილს².

დასკვნა

1. რედუქცია ქართველურ ენათა ერთ-ერთი ძირითად ფონეტიკურ მოვლენათაგანია. იგი ფართოდაა გავრცელებული სვანურის სამს დიალექტში (ბალსწემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში), თვალსაჩინოდ შენელებულია სვანურისავე კილოში—ლენტეხურში და თითქმის არ მოქმედებს მეგრულ-ჭანურ-

¹ ზანურის შესაბამისად ქართულ-სვანურის მიმართ ეს დებულება წამოაყენა და უდავო გახდა არნ. ჩიქობავამ თავის ფუძემდებელ მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (თბილისი 1942, გვ. 129, 271).

² რედუქციასთან დაკავშირებით მახვილის შესახებ ა. შანჩქე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის („წელიწადული“, გვ. 7), უმლაუტი სვანურში („არილი“, გვ. 199); ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 153-155; საზოგადოდ მახვილისა და მის მიერ გამოწვეული მოვლენების შესახებ არნ. ჩიქობავა, გრძელ ხმოვნები მთაულურში („ტფ. უნივ. მოაზნე“, IV, 1924), სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში (თბ. 1942, გვ. 128-9) და მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში („საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოაზნე“, ტ. III, №12 2, 3).

ში; ამჟამად ქართულის აღმოსავლურ კილოებში უფრო ძლიერია, ვიდრე დასავლურში (ა. შანიძე); ახალ სალიტერატურო ქართულში ზოგიერთ შემთხვევაში უფროა გატარებული, ვიდრე ძველი ქართულის რიგ ძეგლებში.

2. რედუქციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ძირს თუ ფუძეს დაერთვის ხმოვნით გათავებული პრეფიქსი ან ხმოვნით დაწყებული სუფიქსი. რედუქცირდება როგორც ძირისეული, ისე აფიქსისეული ხმოვანი.

3. რედუქცია მოსდის მეტ-ნაკლებად ყველა ხმოვანს, ოღონდ ამ მხრივ განსხვავებაა როგორც ქართველურ ენათა და კილოთა შორის, ისე ერთი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შორისაც (უძველეს ხანაში რედუქცირდებოდა ქართულში, ი უ ხმოვანი, ამჟამად ეს არ ხდება).

4. სვანურში დაიდგინება რედუქციის შემდეგი წესები:

ა) რედუქციას იწვევს ან პრეფიქსი, ან სუფიქსი, იშვიათ შემთხვევაში ორივე ერთად.

ბ) რედუქცირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი (ა, გ, ი, ო, უ, ე).

შენიშვნა. რედუქციის შედეგად მიღებულ ჭთანხმოვანთა უჩვეულო კომპლექსში ჩნდება თანხმოვანთგასაყარი გ.

გ) რედუქციას ჩვეულებრივ არ ექვემდებარება ერთმარცვლიანი ძირს თუ ფუძე, ვიდრე ის არ გასამარცვლიანდება და შეკუმშვის შემდეგ ორი ხმოვანი არ დარჩება.

ამათგან განსხვავებით არის ერთი წყება სიტყვათა, რომელიც გაორმარცვლიანებისას იკუმშება; ასეთებია: 1) ნაუმალაუტეგ -ი-ნიანი სახელები. ანათ მისდევენ სხვა ხმოვნის შემცველი სახელებიც; 2) ბალსზემოურში ფუძედრეკად ზმნათა ვნებითი აორისტის I და II პირში და 3) უპრევერბო მოქმედებითი გვარის ზმნები აორისტის I და II პირში.

დ) ფუძის შეკუმშვა ხდება ჩვეულებრივ ერთხელ. შედარებით ცოტაა შემთხვევები ორი ხმოვნის ამოღებისა.

5. ქართულში, სვანურისგან განსხვავებით, ა) კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, ბ) რედუქცირდება მარტო სამი ხმოვანი (ა, გ, ო), გ) იკუმშება ერთმარცვლიანებიც გაორმარცვლიანების შემთხვევაში და დ) ერთდროულად ამოიღება ორი ხმოვანი.

6. რედუქციის წესები საერთო უნდა ყოფილიყო თავის დროზე ქართველურ ენათათვის; სახელდობრ, ძველ ქართულში ა) კუმშვას იწვევდა პრეფიქსიც და ბ) რედუქცირდებოდა ი და უ ხმოვნებიც. ამდენად, სვანურსა და ქართულს შორის რედუქციის მხრივ სხვაობა არ იყო.

7. ძველი ქართულის უმარცვლო უ ოთხი გზითაა მიღებული: ა) უ ხმოვანი რედუქციის ძალით უმარცვლო უ გამხდარა; ბ) ვ თანხმოვანი ქცეულა უმარცვლო უ-დ უკანაენისმიერ თანხმოვანთა შემდეგ; გ) წყვილბაგისმიერი მ თანხმოვანთა თავმოყრისას შეცვლილა უ-თი და დ) ზოგ შემთხვევაში უმარცვლო უ თანხმოვანთა ლაბიალიზაციის შედეგი ჩანს. მეტწილად უ ნარედუქციალი უნდა იყოს.

8. რედუქცია ზანურსაც ახასიათებდა, მაგრამ იგი იმთავითვე სუსტი უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება ზანურში შემონახული სრულხმოვნობა.

9. რედუქცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა. იგი ერთნაირი ძალისა და ერთნაირად გავრცელებული არ ყოფილა ქართველურ ენებსა და მათს კილოებში.

В. Т. ТОПУРИА

К ВОПРОСУ О РЕДУКЦИИ ГЛАСНЫХ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

1. Редукция гласных—одно из основных фонетических явлений картвельских языков. Она очень распространена в трех диалектах сванского языка (верхнебальском, нижнебальском и лашкском), слабо развита она в лентехском наречии того же языка и почти отсутствует в мегрело-чанском; в восточных диалектах современного грузинского языка она встречается чаще, нежели в западных (А. Шанидзе); случаи редукции в новолитературном грузинском более часты, чем в языке ряда памятников древнелитературного грузинского языка.

2. Редукция имеет место при присоединении к корню или основе префикса с гласным исходом и суффикса с гласным началом; ей подвергаются как корневой, так и аффиксальный гласный.

3. Редуцируются более или менее все гласные, но в этом отношении обнаруживается разница как между картвельскими языками и диалектами, так и между разными стадиями развития одного и того же языка (напр., в древнегрузинском редуцировались гласные *o i u*, но этого явления нет уже в новогрузинском).

4. В сванском языке установлены следующие правила редукции гласных:

а) Редукция гласных вызывается влиянием префикса или суффикса; случаи их одновременного воздействия редки. Суффикс воздействует только в том случае, если префикс по какой-нибудь причине (как, напр., долгота гласных и т. п.) не может вызвать редукцию (напр.: лент. ლი-ხატჳ-ი *li-xatʷv-i* — св. ლი-ხტჳ-ი *li-xtʷv-i* 'рисовать', но ა-ჯელ[ა]ჳ-ე *a-ǰel[a]v-e* 'подметаёт').

б) Редуцируются все недолгие гласные (*o e o u g a e i o u ə*). Из них бесследно исчезают *o g a ə* (в лашкском диалекте также *o g i e*, за исключением определенных случаев), а другие (*o e o u i e o u*) оставляют какой-нибудь след: *o g i e* умлаутируют предыдущие гласные (*o o u a o u*), а *o u o u*, теряя гласный элемент, превращаются в неслоговой *u* (напр.: ა-ჭ[ა]ნ-ი *a-q[ʰ]n-i* 'пашет', ა-ბ[გ]გ-ე *a-b[ə]ge* 'крепит', აშ[ი]ხ-ი *ā-š[i]x-i* 'жжет', ა-ჭ[ე]მ-ე *ā-ǰ[ə]m-e* 'кбсит', ხა-თურ-ი *xa-tur-i* (— *ხა-თორ-ი *xa-tor-i*) 'учит', ლა-სგურ-ა *la-sgur-a* (— *ლა-სგურ-ა *la-sgur-a*) 'седалище'.

Примечание. В непривычных комплексах согласных, получаемых в результате редукции, появляется слогораздел *g ə* (напр. მანკ *mānk* 'дефект', но ხე-მანკ-ი *xe-mānk-i* 'будет иметь дефект').

в) Редукции не подвергаются обыкновенно односложные корни или основы, если они, в результате наращивания аффикса, дают двусложную

форму (напр., შობ-ის *šix-iš* 'угля' (род. пад.), ლა-შობ *lā-šix* 'место для угля'). Но, в случаях превращения их в трехсложную форму, корневой гласный редуцируется (ა-შ[ო]ბ-ი *ä-š[i]x-i* 'жжет').

Редукция имеет место в некоторых двусложных именах и глаголах действит. залога, и в глаголах с флексией основ страд. залога, но в последнем случае она характерна только для верхнеабхазского наречия, напр.: ჭიშხ *čixš* 'нога', но род. ჭიშხ-აშ *čəšx-aš* 'хоровод', мн. ჭიშხ-არ *čəšx-ar* 'ноги'... ხა-ფხჳ *xā-fxč* 'ты схватил'... ა-ტუბ *ä-tvχ* (— лентех. ა-ტუბ *a-tvex*) 'я вернулся'...

г) Редуцируется обычно один гласный. Сравнительно редки случаи редуцирования двух гласных в одном слове, напр.: ნიბაშინ *nibāšin* 'двоюродный брат', 'двоюродная сестра', мн. ლა-ნიბაშინ-ა *lā-nibāšin-a* (— *ლა-ნიბაშინ-ა *lā-nibāšin-a*).

5. В грузинском, в отличие от сванского: а) редукция вызывается только суффиксом; б) редуцируются лишь три гласных *o* *ɔ* *ə* *e* *o* (из них бесследно исчезают *o* *ɔ* *a* *e*, а *ə* *o* превращается в *ɜ* *v*, который в соседстве с губными согласными тоже исчезает); в) редукции подвергаются и односложные корни и г) нередки случаи одновременного выпадения двух гласных (напр.: ქმნა *kmna* — *ქამენა *kamena* 'делать').

6. Правила редукции должны были быть общими в картвельских языках в древнейшее время; а именно: в древнегрузинском а) редукция имела место и при присоединении префикса с гласным исходом (ი-ქმ *i-km* — *ი-ქამ *i-kam* 'ты делаешь') и б) редуцировались также гласные *o* *ɔ* *i* *u* (напр.: ბიჯი *biži* 'шаг', აბჯენს *abžens* (— *ა-ბ[ო]ჯ-ენს *a-b[i]žens*) 'упирает', თქვა *tkwa* (— *თქუ-ა *tku-a*) 'он сказал'.

7. Неслоговой *ɔ* *u* в древнегрузинском языке четвероякого происхождения: а) гласный *ɔ* *u* в силу редукции дает *ɔ̃* *w* (напр.: სუ : სუ-ა 'он выпил'); б) согласный *ɜ* *v* превращается в неслоговой *ɔ* *u* в соседстве с заднеязычными согласными (напр.: თავყანისცემა *tavqaniscema* → თაყუანისცემა *taqwaniscema* 'поклонение', 'поклоняться'); в) согласный *θ* *m* переходит в неслоговой *ɔ* *u* при стечении согласных (напр.: ქმ[ა]რივი *km[a]rivi* → ქურივი *kwirivi* 'вдова') и г) *ɔ̃* *u* получается, повидимому, в результате лабиализации согласных (напр.: აჩ-ენს *a-č-ens* 'выявляет', но უჩუენებს *u-čw-enebs* 'показывает ему').

8. Редукция была свойственна и мегрело-чанскому языку, что видно по целому ряду случаев, выявленных путем сравнения с сванско-грузинскими (напр.: ჩხ-აფა *čx-ara* = гр. რეც-ვა *rec-va* 'постилать', мегр. ფური *purī* 'плохой, худой' — сравнит. ст. უფრაში *urpaši* — უფურაში *u-pur-aši* 'хуже'), но она была слабо развита. Этим и объясняется полногласие, характерное для занского языка.

9. Редукция—явление более позднего происхождения. Она как по силе, так и по распространению неодинаково была характерна для всех картвельских языков и их диалектов.

არსულ ჩიოხაგა

მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში*

ქართულსა (და სხვა ქართველურ ენებშიც) ზმნის უღვლილება, პირველ ყოვლისა, პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლას გულისხმობს.

პირები აღინიშნება პრეფიქსებით,—პირთა ცვლა პრეფიქსაციის პრინციპზეა დამყარებული; ეს ითქმის ობიექტის სამივე პირის შესახებ (მ-თხოვა მე, გ-თხოვა შენ, ს-თხოვა მას) და სუბიექტის პირველისა და მეორე პირის შესახებ (ვ-არ მე, ხ-არ შენ). ერთად ერთი პირი, რომელიც სუფიქსს აჩენს, ესაა სუბიექტი მესამე პირისა (არი-ს, მოვიდ-ა ის, მ-თხოვ-ა მე მან...). მესამე პირის ფორმა ქართული ზმნის უღვლილების ისტორიაში შედარებით სხვა პირებთან ყველაზე ახალი ფორმაციისაა¹.

პრეფიქსებით აღინიშნება პირი მთის კავკასიურ ენებშიც, როგორცაა: აფხაზური, ადიღური. პრეფიქსაცია აქ მით უფრო მკვეთრადაა გამოხატული, რომ ერთდროულად ორი და სამი პირის პრეფიქსი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ზმნაში.

პრეფიქსებია გამოყენებული კავკასიის მთიანეთის იმ ენებშიც, რომელთა ზმნაც გრამატიკული კლასების მიხედვით იცვლება (მაგალ., ჩაჩნური, ხუნძური...): სახელის კლას-კატეგორიის ჩვენება ასეთ ენებში პირთა მიხედვით ცვლის ადგილს იჭერს.

როგორია ვითარება რიცხვის აღნიშვნის მხრივ? საქმე ეხება მრავლობითს. მთის კავკასიურ ენებში აქაც პრეფიქსაციის პრინციპია ძალაში: სუბიექტის მრავლობითობაც და ობიექტისააც ზმნაში პრეფიქსებითაა ნაჩვენები (აფხაზურში, ადიღურში...); გრამატიკული კლასებიც მრავლობითში ისევ პრეფიქსებს იყენებს (ჩაჩნურში, ხუნძურში...).

ამრიგად, პრეფიქსაციაა სახელთა პირისა (resp. გრამატიკული კლასის) და მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის პრინციპი მთის კავკასიურ ენებში.

ქართულსა და დანარჩენ ქართველურ ენებში პირზე პრეფიქსები მიუთითებენ, რიცხვი კი სუფიქსებით აღინიშნება:

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VI სესიაზე 24.IV.1942 წ.

¹ ავტორის „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“: ენიმუი-ს მთაბე, V—VI.

ახ. ქართ. ჩვენ ვ-არ-თ მეგრ. ჩქი ვ-ორე-თ („ვართ“) სვან. ნაჲ ხვ-პრი-ღ||
 ლ-პრი-ღ („ვართ“, „ვარსებობთ“)
 თქვენ ხ-არ-თ თქვა (ო)რე-თ სვან. ხ-პრი-ღ
 ისინი არ-ი-ან თინეფი რე-ნ-ა(ნ) ეჯაჲრ პრი-ხ

მრავლობითი, როგორც ვხედავთ, იყენებს პირის იმავე პრეფიქსებს, რაც მხოლოობითში გვქონდა, სუფიქსები მარტოოდნე სიმრავლეზე მიუთითებენ; მასთან პირველსა და მეორე პირს ერთი და იგივე სუფიქსი აქვს (ე. ი. ამ ორ პირში მრავლობითის აღნიშვნა ერთი და იმავე ხნოვანებისაა, მესამე პირში კი სათანადო სუფიქსი შედარებით ახალია: ამ მხრივ სვანურის ჩვენებაა საგულისხმო)¹.

ქართველურ ენებში მრავლობითში პირისა და რიცხვის კატეგორია ანალოზურ წესს მისდევს: პირის ნიშანი იგივეა, რაც მხოლოობითში, რიცხვს ცალკე ფორმანტი აქვს. აფხაზურსა და ადიღურში სინთეზური პრინციპია გატარებული: რიცხვიცა და პირიც ერთი და იმავე პრეფიქსითაა გადმოცემული; მხოლოობითის პირის ნიშნები მრავლობითში არ მეორდება:

შდრ. მე ვ-არ აფხაზ. სარა სჷ-ყოუპ („ვარ“, „ვარსებობ“, „ვიმყოფები“)
 შენ ხ-არ უარა უ-ყოუპ... („შენ, მამაკაცი, იმყოფები“)
 ჩვენ ვ-არ-თ ჰარა ჰა-ყოუპ
 თქვენ ხ-არ-თ შიარა შიჷ-ყოუპ

როგორც ვხედავთ, მრავლობითის პირველი და მეორე პირის ფორმა იყენებს „ჩვენ“, „თქვენ“ ნაცვალსახელთა ძირეულ მასალას ფორმანტად; ეს ფორმანტები ბუნებრივად მიუთითებენ სათანადო პირსა და რიცხვზე.

ქართველურ ენებში ასეთი კავშირი ნაცვალსახელებსა და ზმნის ფორმანტებს შორის არ დასტურდება, მაინცადამაინც, მრავლობითში (მხოლოობითში პირველი პირი და მესამე პირის სუბიექტილა მიუთითებენ ხელშესახებად ნაცვალსახელთან ზმნის ფორმანტის მატერიალურ კავშირზე).

სუბიექტის მრავლობითის აღნიშვნა ვნახეთ. ობიექტისა? ამჟამად, ახალ ქართულში ობიექტის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება პირველსა და მეორე პირში, მესამე პირში კი—იმ შემთხვევაში, თუ ზმნა ინვერსიულია და ობიექტი დასმულია მიცემით ბრუნვაში; პირველსა და მეორე პირში, სულ ერთია, სახელი მიცემით ბრუნვაში იქნება დასმული თუ სახელობითში, აღინიშნება, მესამე პირში კი შეიძლება იყოს აღნიშნული მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა, სახელობითისა აღუნიშვნელი რჩება:

¹ ამავე თვალსაზრისით აფხაზურისა და ადიღურის მრავლობ. მესამე პირიც ანალოგიურ დასკვნებს გვიკარნახებს. ამაზე აქ ვერ შეგჩერდებით.

ჩვენ	გვ-თხოვა	გვ-აქო	ჩვენ	გვ-ი-თხოვია	გვ-ყავს
თქვენ	გ-თხოვა-თ	გ-აქო-თ	თქვენ	გ-ი-თხოვია-თ	გ-ყავ-თ
მათ	[ს-თხოვა	აქო...]	მათ	უ-თხოვია-თ	ჰ-ყავ-თ ¹

ძე. ქართულში მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ ჩანდა (პირველი პირის საკითხს აქ განზე ვტოვებთ):

გ-თხოვა შენ, თქუენ—იგი...	გ-ითხოვიეს შენ, თქუენ—იგი...
გ-აქებს შენ, თქუენ...	გ-ყავს შენ, თქუენ—იგი...
	უ-თხოვიეს მას, მათ—იგი...
	ჰ-ყავს მას, მათ—იგი... ¹

მაგრამ თუ ობიექტი სახელობითში იყო და მას -ნ აწარმოებდა, მისი მრავლობითობა ზმნაში ისევე იყო ნაჩვენები, როგორც სუბიექტისა:

ვ-ადიდე იგი	ვ-ადიდე-ენ	ივინი	ჰყავს მას	იგი—ჰყვან-ან	მას	ივინი
ადიდე „	ადიდე-ენ „	„	გყავს შენ	იგი—გ-ყვან-ან	შენ	ივინი ¹
ადიდე-ა „	ადიდე-ნ-ა „	„				

ობიექტის მრავლობითობის ჩვენება, როგორც აქედან ჩანს, სუფიქსებს ეკისრებოდა; ეს იყო:

- ენ--ნ სუფიქსი ძველ ქართულში—ობიექტ. სახელობ.
- თ „ ახალ ქართულში—ობიექტ. მიცემ., სახელობ.

ეს -თ სუფიქსი იგივეა, რაც სუბიექტის მრავლ. პირველსა და მეორე პირში ხმარებული -თ (ვარ-თ, ხ-არ-თ...: ობიექტის მრავლობითობის ჩვენება სუბიექტის მრავლობითის ფორმანტს ეკისრება)... -ენ სუფიქსიც იგივე უნდა იყოს, რასაც სუბიექტის მესამე პირისათვის ვიყენებთ: აკეთებ-ენ...

ზანურსა და სვანურში ობიექტის მრავლობითის აღნიშვნა იმავე საფუძველზე ხდებდა, რაც ახალ ქართულს ახასიათებს: თუ ობიექტი სახელობითშია, მრავლობითი ზმნაში არა ჩანს, თუ—მიცემითშია, აღინიშნება იმავე შემთხვევებში, სადაც ქართულში აღინიშნებოდა (იხ. ზემოთ). განსხვავება ამ მხრივ არა

¹ უფრო დაწვრილებით იხ. ავტორისავე:

„რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის ავებულებას“, V: ჟურნ. „კულტურ. აღმშენებლობა“ 1930, № 7/8.

„მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, 3.

„რით არის წარმოდგენილი მრავლ. სახელ. დასმული MO ძე. ქართულში?“ ტფ. უნივერ. მოამბე, ტ. IX (1928).

„მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში“, I, ტფ. 1928, გვ. 212—25.

გვაქვს; სხვაობა სუფიქსში დასტურდება: სიმრავლეს აღნიშნავს აქ **მესამე** პირის სუბიექტის სუფიქსი (და არა მეორე და პირველი პირისა): **-ან, -ეს—ზანურში, ხ—სვანურში**:

შდრ. აბ. ქართ. გ-აქვ-თ ქან.-მეგრ. გ-ი-ლუნ-ან სვან. ჯ-ულვა-ხ
 აქვ-თ უ-ლუნ-ან ხ-ულვა-ხ

ამგვარად, ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად ხმარებული სუფიქსის მხრივ ქართველურ ენებს ორგვარი ნორმა აქვთ: **ქართული** (S_{ა,1-თ}) და **ზანური** (S_{ა — -ან, -ეს}); უკანასკნელს სვანურიც მისდევს (S_{ა—ხ}).

ეგვევ ზანური ნორმაა, გურულსა და ქვემოიმერულში რომ მკლავნდება: **გაქვ-ენ** (=გაქვ-თ), **აქვ-ენ** (აქვ-თ)... **გქონდ-ენ** (გქონდა-თ), **ქონდ-ენ** (ქონდა-თ)...

აქამდის განხილული მასალა მოწმობს, რომ **ზმნის უღვლილებაში რიცხვზე სუფიქსი მიუთითებს**: ეს თანაბრად ეხება სუბიექტის მრავლობითსაც და ობიექტის მრავლობითსაც, სახელობითი ბრუნვის აღნიშვნასაც და მიცემითის ხმარების შემთხვევასაც, ძველი ქართულის ფაქტებსაც და ახალი ქართულის ვითარებასაც, ქანურ-მეგრულსაც და სვანურსაც. ამგვარად, **მრავლობითის აღნიშვნა ქართველურ ენათა ზმნის უღვლილებაში სუფიქსაციის პრინციპს იძლევა ისევე, როგორც პირის აღნიშვნა პრეფიქსაციაზე** დამყარებული.

ერთად ერთი **გამონაკლისია პირველი პირის მრავლობითი**: აქ სუფიქსი საპირო არაა, პრეფიქსი გამოდის პირისა და რიცხვის ნიშნად:

თქვენ **გ-ყავ-თ**, მათ **ჰ-ყავ-თ** —მაგრამ: ჩვენ **გვ-ყავს**
 „ **გ-ითხოვია-თ**, „ **უთხოვია-თ** —მაგრამ: ჩვენ **გვ-ითხოვია...**

უკვე ძველ ქართულშიც შევხვდებით ასეთ პრეფიქსს, თუმცა ძველი ქართულისათვის ეს არაა ერთად ერთი წარმოება: პარალელურად **მ-** პრეფიქსიც იხმარება: **გუ-ყავს ჩუენ || მ-ყავს ჩუენ...**

საილუსტრაციო მაგალითები ძველი ქართულისა:

გუ- პრეფიქსი მიცემითი ბრუნვის მრავლობითის შესაბამისად:

მოგუცტემისო: ...იტყოდეს მზე და წვიმა... მისგან მოგუცტემისო...
 ათონ. 306₁

გუწადის... გუსურის: ჩნცა გუწადის და გუსურის ხილვაჲ მისი...
 ბოლნ. 82₉

დაგუშჯიან: ...ჩუენ დაგუშჯიან კუერთხნი ესე ჩნნი... კიმ. 138₂₀

განგკყოფს: ...რომელსა მალლით განგკყოფს ყოველთა მორწმუნეთა...
 სასულ. 205₁

გუაქუს: ...არაჲ გუაქუს სიტყუაჲ ღირსი ქებისაჲ... სასულ. 97₅
 ...მოგუძიენ ორო: წარმართნი ესე რლთა არა გუაქუს მწყემსი...
 ბოლნ. 7₂₆

გუასწავებს: ...და ესრეთ გუასწავებს თვთ იგი თავადი ორი... ბოლნ. 19⁵.

დაგუემორჩილებიან: ...იტყოდეს ოო ეშმაკნიცა და გუემორჩილებიან
სახელითა შენითა... აღ. 125^b.

შეგუყვანებ: ...და ნუ შეგუყვანებ ჩნ განსაცდელსა ოო... აღ. 13^a.

დაგუემორჩილნეთ: ...რათა თქუენ ჩუენ და გუემორჩილნეთ... ათონ. 315³⁴.

გუევნო... მოგვგო... გურქა: ...ჩნ განვერენით და არაჲ გუევნო და ვრ
მოვიქციეთ ბერისა მოგვგო და გურქა... კიმ. 24⁵.

მოგვკადეს... გვთხრეს: ...მოგვკადეს ჩნ ორნი კაცი... და გვთხრეს...
კიმ. 35¹⁷.

მიგუავლენ: ...გევედრები წო ღთისაო ნუ მიგუავლენ ჩნ სიღრმესა მას
უფსკრულთასა... კიმ. 191¹⁰.

განგვლე: ...ჟ კაცო განგვლე ჩუენ ჯურღმული ესე... წარტყ. 11

მეოხ გუეყავ: ღირსო მამაო ევთჳმი... მეოხ გუეყავ ჩუენ... სასულ. 38¹⁵.

მოგუანიჭე: აწცა მოგუანიჭე მადლი... სასულ. 106¹⁰.

გუ- პრეფიქსიანი ფორმები განასხვავებენ თითქოს მხოლოობითისაგან.
მრავლობითს: მომანიჭე მე... მასწავე მე... მწადის მე...

მოგუანიჭე ჩუენ... გუასწავე ჩუენ... გუწადის ჩუენ...

შეფარდება აქ ისეთივეა, როგორც ახალ ქართულში.

ახალი ქართულისაგან განსხვავებით ძვ. ქართულში მ- პრეფიქსი მაშინაც
გაქვს, როცა ჩუენ სახელი მიცემითის ფუნქციითაა:

წარმიძღვს ჩუენ ...წარმიძღვს ჩუენ ზეცად... სასულ. 60²

მაიძულებენ „ : ...ჩუენცა მორწმუნეთა მაიძულებენ ყოფად საქმისა მა-
თისა... წარტყ. 61⁴

განმიღებს... მაგებს ჩუენ: ...განმიღებს ...სამოთხესა და კულად მაგებს
ჩუენ მუნვე... სასულ. 56⁵

დამშჯი... მომაგებ ჩუენ: ...ნუ დამშჯი მონათა შენთა და ნუ მომაგებ
ცოდვათა ჩუენთაებრ... წარტყ. 61¹¹.

მაქუს ჩუენ: იტყოდა უფალო არა მაქუს ჩუენ კადნიერებაჲ... წარტყ. 63²³

...ოო გორცი მისი მაქუს ჩუენ საქმლად და სისხლი მისი
მაქუს ჩუენ სასუმლად... წარტყ. 11²³

შემახუედრებენ... მერჩიან ჩუენ: ...სხუასა რასმე შრომასა შემახუედ-
რებენ რლნი არა მერჩიან ჩნ... კიმ. 46¹⁶

მსწავლის : იგი ვითარცა ღმერთი და მამაჲ მსწავლის ჩუენ... წარტყ. 11²³

მაგინებ : მოძღვარ მაგას რაჲ იტყუ ჩნცა მაგინებ... აღ. 129^a

განმეშორა ჩუენ: ...განვეშორენით ჩუენ ღმერთსა და განმეშორა ჩუენ ღმერ-
თი... წარტყ. 13²³

- მარქუ ჩუენ: ...აწ მარქუ ჩნ ვრ ჯერ გიჩს... ად. 47 b₂
- დამიწერა „ : ...მოდლუარ მოსე ესე დამიწერა ჩნ... ად. 147 b₁
- მომხედა „ : წყალობით მომხედა ჩუენ... სასულ. 65₂₈
- წარმიძლუა „ : ...და წარმიძლუა ჩუენ... სასულ. 66₁₁
- გამომეცხადა „ : ...გამომეცხადა ჩნ და მომიხუნა მოწყალებითა თვისითა...
კიმ. 45₁₅
- მომცა „ : ...მომცა ჩნ მოციქულმან... ჰაბო, 23₁₈
- აღმიშენა „ : ...შესაკრებელი ესე მან აღმიშენა ჩნ... ად. 116 a₂
- მიყვებ... მიყო ჩუენ: ...და მიყვეს ჩუენ ყოველივე ნებისაებრ მათისა...
წარტყ. 03
...სამართლათ ესე ყოველი მიყო ჩუენ... წარტყ. ლ₂₄
- შემემთხვა ჩუენ: ...სამართლად ესე ყოველი შემემთხვა ჩუენ... წარტყ. კბ₁₈
- მომიგო „ : ...მომიგო ჩნ აბუკურა... კიმ. 166₄
- მომეც „ : ...ოო მომეც ჩნ იგი... არიმათ. 37₂₅
- მეძინა „ : ...წარიპარეს იგი ვე ჩნ მეძინა... ად. 64 b₂
- მითხარ „ : ...იოსეფ რჩეულო მითხარ ჩნ ვინ არს ესე... სასულ. 174₈
- მეწიოს „ : მსწრაფელ მეწიოს ჩუენ წყალობად მისი... წარტყ. 307₂₆
- მომცებ „ : მიმცნა ჩუენ მონებასა რადთა მომცეს თავისუფლებად...
იქვე, ლბ₃₂

მრქუას „ : ...მრქუას ჩნ რადსათჳს არა გრწმენა მისი... ად. 146 b₁
 მ-აქუ-ს ჩუენ და გუ-აქუ-ს ჩუენ ძველი ქართულისათვის პარალელური
 წარმოებაა: **მაქუს** იგივეა, რაც მხოლოდობითში გვქონდა:

მაქუს მე—მაქუს ჩუენ (შრდ. გაქუს შენ—გაქუს თქუენ)

რაც შეეხება მეორე ვარიანტს (გუ-აქუ-ს ჩუენ), მას მრავლობითის პრე-
 ფიქსად თვლიან სპეციალურ ლიტერატურაში.

ნ. მარისათვის **გუ-** არის „მრავლობითის სპეციალური ნაცვალსახელუ-
 რი ფუძე“: **გუ — გევ**¹

გ. დეეტერსი აღნიშნავს: პირველი პირის ობიექტის მრავლობითი
 ორგვარად გადმოიცემაო: გამრავლობითებული O₁-ითა და **გუ-** პრეფიქსით;
 პირველი საშუალება უფრო ძველი ჩანსო².

ა. შანიძე **გუ-** პრეფიქსს მრავლობითისად მიიჩნევს. „ადრინდელ ძეგ-
 ლებში **გუ-** პრეფიქსიან ფორმებს იშვიათად ვხვდებით. იქ უფრო ერთი ფორ-
 მა გვხვდება, მანიანი“³.

რა საფუძველი გვაქვს ხსენებული **გუ-** პრეფიქსი მრავლობითის ნიშნად
 დავსაზოთ?

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩანს, ახალი ქართულის ჩვენე-
 ბას. აქ **გვ-** პრეფიქსი უპირისპირდება მ- პრეფიქსს:

¹ М а р р Н., Грам. древнелит. г р у з . я з ., 1925, § 113 а, გვ. 92.
² Deeters G., Das kharthw. Verbun, 1930, § 56, გვ. 34: ...„das pluralisierte S“...
 ლაფსუსი უნდა იყოს: O₁ იგულისხმება.
³ ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა—ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე: ძვ.
 ქართ. ენა და ლიტერატ. 1939 (მეექვსე გამოცემა), § 40, გვ. 297-8.

მ-აქვს მე—გვ-აქვს ჩვენ... მ-ითხრა მე—გვ-ითხრა ჩვენ...

ახალი ქართული ზმნის უღვლილებების სისტემა ცხადყოფს, რომ გვ- პრეფიქსი მრავლობითის ფორმანტია: -თ სუფიქსი გვ- პრეფიქსიან ფორმებს არ დაერთვის:

აქვს მას — აქვ-თ ზათ
გ-აქვს შენ — გ-აქვ-თ თქვენ

მ-აქვს მე—გვ-აქვს ჩვენ: „გვაქვთ ჩვენ“ შეუქლებელია; ესაა მორფოლოგიური სისტემის **ობიექტური** ლოგიკა.

ამიტომ, როდესაც ძველ ქართულში მაქუს ჩუენ-ის გვერდით გუაქუს ჩუენ შეგვხვდება, მასში იგივე გაგება შეგვაქვს, რაც ახალი ქართულის „გვაქვს ჩვენ“-ს შეეფერება. ფსიქოლოგიურად ეს სავსებით გასაგებია. მაგრამ საკითხავია: შეეფერება თუ არა გუ- პრეფიქსის ასეთი გაგება ძველი ქართულის **მორფოლოგიური სისტემის ობიექტურ ლოგიკას?**

ამის გასარკვევად **საკონტრალო საშუალებად** გამოგვადგება ის შემთხვევები, სადაც ზმნაში აღნიშნულია **მრავლობითის სახელობითში** დასმული **ობიექტი**.

მრავლობითობას ასეთ შემთხვევაში გადმოგვცემს სუფიქსი¹: -ენ- (სრული სახით) და -ნ (ხმოვანდაკარგული): ენ — ნ².

სანიმუშოდ ორიოდ მაგალითი:

ა. ჩ უ ე ნ სახელობ. — მ — (-)ენ:

განმაახლნა ჩუენ:

...გ ა ნ მ ა ა ხ ლ ნ ა ჩუენ. პირველსავე სახესა უბრწუნელსა მოწყალებით...
სასულ. 59 ა

აღმადგინნა... დამსხნა... მაღიდნა ჩუენ:

...აღღვა და თანა აღმადგინნა თანა დამსხნა და თანა მაღიდ
ნა ღიდებითა მით სამარადისოჲთა... სასულ. 299 ა

აღმადგინნა... მაცხოვნნა... აღმიყვანნა ჩუენ:

...მის მიერ დაცემულნი აღმადგინნა და მაცხოვნნა სიმდაბლით
მოსღვითა. აღმიყვანნა ჩუენ მაღალთა შინა... სასულ. 110 ა

აღმირჩინა... მყვნა ჩუენ:

...ღმერთმან ზეცით გარდამოგადლო შენ და ჩუენ აღმირჩინა და უმ-
ჯობეს შენსა მყვნა მან მხოლომან... წარტყ. ლმ₃

განმაშიშულნა ჩუენ:

გ ა ნ მ ა შ ი შ უ ლ ნ ა ჩუენ აქა სამოსელთაგან და საფასეთა... წარტყ. ლზ₆

¹ ეს ეხება -ნ-იან სახელობითს; -ებ-იან სახელობითს ზმნა არ ეთანხმება რიცხვში, სულ ერთია, სუბიექტი იქნება სათანადო სახელი თუ ობიექტი (იხ. ავტორის „მარტივ წინადადების პრობლემა ძვ. ქართულში“, გვ. 251—256).

² იხ. ავტორის წერილი: „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული MO ძვ. ქართულში?“ ტფ. უნივერ. მოამბე, IX (1928), გვ. 107—119.

მიმცნა ჩუენ:

და ნაცვლად პატივისა მიმცნა ჩუენ შეურაცხებასა... წარტყ. კბ₂₅

შემკრიბენ... განმარინენ ჩუენ:

და ვითარცა რად მენავეთ-მოდლუარმან კვლოვანმან შემკრიბენ ჩუენ ყოველნი მყუდროსა მას ნავთსაყუდელსა და განმარინენ დანთქმისაგან...
სასულ. 134₁

ღირს მყვენ ჩუენ:

მხოლოდ ნათელი წარუვალო ღირს მყვენ ჩუენ ნათელსა შენსა გან-
წმედლინი... სასულ. 409₂₄

აღმომიყვანენ ჩუენ:

ქუესკნელთაგან ქუეყანისათა აღმომიყვანენ ჩუენ... წარტყ. ლა₂₀

განმაახლენ ჩუენ:

და განმაახლენ ჩუენ წყალობით წყლითა... სასულ. 222₅

შემიწყალენ ჩუენ:

სახიერებითა შენითა შემიწყალენ ჩუენ... წარტყ. კმ₁₃

განმაძლიერენ ჩუენ:

განმაძლიერენ მოსაენი შენნი... სასულ. 295₃

მიკსნენ ჩუენ:

და ეტყოდეს ორ მიკსნენ ჩუენ რ წარვწყმდებით... მთ VIII₂₅ ბენეშ.

განმამდიდრენ ჩუენ:

რადათა განმამდიდრენ დაგლახაკებულნი ურჩებითა... სასულ. 84₁

შემიწყალნეს... გამომიყვანნეს ჩუენ:

რადათა... შემიწყალნეს ჩუენ... და გამომიყვანნეს სატანჯველისა
ამისგან... წარტყ. მ₁₁

მყვენს... განმანათლნეს ჩუენ:

რადათა წმიდა მყვენს და განმანათლნეს წყლითა... სასულ. 219₂₇

ბ. ჩუენ- სახელობითი — გუ — -(ე)ნ-ი**აღგუამაღლნა... დაგუამდაბლნა ჩუენ:**

...რადმეთუ უფალმან აღგუამაღლნა ჩუენ... და ნაცვლად ამალლები-
სა დაგუამდაბლნა ჩუენ... წარტყ. კბ_{23, 24}

შეგვწყნარანა... გვსტუმრანა ჩუენ:

...მღელთ-მოდლუარმან მის ადგილისამან კეთილად შეგვწყნარანა და
გვსტუმრანა... ათონ. 318—319

შეგვყუარანა ჩუენ:

და ონ ჩნმნ იჯ ქნ შეგვყუარანა ჩნ... სახისმეტყ. 11₂

მიგუცნა ჩუენ:

და მიგუცნა ჩუენ კელსა მტერთა ჩუენთასა... წარტყ. ვ₆

გვხილნა ჩუენ:

ხოლო მან... გვხილნა რამ მახლობელად ჩუენდა მოვიდა... ათონ. 335 6

დაგუზადენ ჩუენ:

რწლნი შენ უკუდავო ხატად შენდა დაგუზადენ... სასულ. 169 8

განგუანათლენ ჩუენ:

და განგუანათლენ ნათლის ღებითა შენითა მვსნელო... სასულ. 237 20

დაგვფარენ ჩუენ:

მისითა მეოხებითა დაგვფარენ მალობელნი შენნი... ჰაბო 51 8

გუყვენ ჩუენ:

...შეისმინე ოხად მისი და მკვდრ გუყვენ სასუფეველსა... ჰაბო 51 8

...თქუენ მონაწილე გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა... ხანძთ. 102 14

დაგვცვენ ჩუენ:

დაგვცვენ ორო მოწყალეობითა კელისა შენისადათა... კიმ. 52 35

მოგვძიენ ჩუენ:

ორი ივნე და მოგვძიენ ჩრ ცხოვარნი ესე შეცტომილნი... ბოლნ. 7 21

...შეგუეწიენ, გუაცხოვნენ, შეგვწყალენ და დაგვცუენ ჩუენ ღმერთო შენითა მადლითა... ჰაბო 46

ორი ივნე და გუაცხოვნენ ჩუენ... ბოლნ. 7 28

განგუწმიდენ... განგუათავისუფლენ ჩუენ:

...გუასხურე ჩუენ წყალი ცხოველი... მხოლოდ შობილო და განგუწმიდენ ჩუენ ცოდვათაგან... და განგუათავისუფლენ კელმწიფებისაგან ბნელისა... სასულ. 108 18

გუყვენეს... განგუაშორნეს ჩუენ:

...რადათა... კეთილად განაგოს ჩუენიცა ესე ცხოვრება და არა ჭუებულ გუყვენეს, არცა განგუაშორნეს სანატრელთა მათ მამათა... ათონ. 5 15

...რადათა არა უგულებელს გუყვენე მონანი შენნი... ხანძთ. 102 20

გვხილნეს ჩუენ:

ბრძანებამა გამოსრულ იყო რადათ გარე ფილოპატსა გვხილნეს... ათონ. 334 27

შევადაროთ ერთმანეთს: გან-მ-აახლ-ნ-ა ჩუენ და გან-გუ-აახლ-ნ-ა ჩუენ; ჩუენ ობიექტი მრავლობითშია; ობიექტის მრავლობითობა ზმნაში -ნ- (-ენ-) სუფიქსითაა წარმოდგენილი: გან-მ-აახლ-ა მე — გან-მ-აახლ-ნ-ა ჩუენ. რომ ობიექტი პირველ პირშია, იმაზე მ- მიუთითებს; რომ ის მრავლობითშია, —ნ სუფიქსი. პირსაც და რიცხვსაც თავ-თავისი ფორმანტი მოეპოვება. ასევეა მაში-ნაც, როცა ობიექტად თქუენ (მეორე პირი), გინა იგინი (მესამე პირი) გვექნება:

- მან გან-მ-აახლ-ა მე — მან გან-მ-აახლ-ნ-ა ჩუენ
- „ გან-გ-აახლ-ა შენ — „ გან-გ-აახლ-ნ-ა თქუენ
- „ გან-აახლ-ა იგი — „ გან-აახლ-ნ-ა იგინი

განვიხილოთ ახლა მეორე ვარიანტი: მან გან-გუ-აახლ-ნ-ა ჩუენ; -ა სუფიქსი სუბიექტისაა (მან); ობიექტითაა გამოწვეული გუ- და -ნ-; მრავლობითობას აქ ისევ -ნ- გადმოგვცემს; რის ნიშანია გუ? პირველი პირისა ისევე, როგორც მ: სხვა არაფერია აქ გამოსახატავი, რაკი მრავლობითობის სუფიქსი -ნ- ცალკე მოგვეპოვება. გუ- რომ მრავლობითის ფორმანტი იყოს, სრულიად გაუგებარი იქნებოდა გან-გუ-აახლ-ნ-ა ტიპის წარმოებაში -ნ- (||-ენ-) სუფიქსის გამოყენება (ისევ ობიექტის მრავლობითის საჩვენებლად).

დასკვნა ერთია: ძველ ქართულში გუ- პრეფიქსი არაა მრავლობითის პირველი პირის პრეფიქსი, როცა ეს პირველი პირი სახელობითშია.

მაგრამ თუ გუ- პრეფიქსი არაა სახელობითში დასმულ ობიექტთან (ჩუენ) მრავლობითის პრეფიქსი, არც მიცემით ში დასმულ ობიექტთან (ჩუენ) იქნება იგი ამ ფუნქციის მქონე.

ამრიგად: გუ- პრეფიქსი ძველ ქართულში ობიექტის მრავლობათობას არც ისეთ მაგალითებში აღნიშნავს, როგორცაა გან-გუ-აახლ-ნ-ა მან ჩუენ და არც ისეთ მაგალითებში, რომლის ნიმუშიცაა მო-გუ-ანიჭა მან ჩუენ...¹

კი, მაგრამ იქნებ ჩუენ ნაცვალსახელის ერთ-ერთი სემასიოლოგიური ვარიანტია გუ-სთან დაკავშირებული (მაგალითად ინკლუზიური): -ნ- სუფიქსმა სიმრავლე გამოხატა, გუ- პრეფიქსმა მისი ნაირსახეობა: გან-გუ-აახლ-ნ-ა ჩუენ— მე და შენ (თქუნენ)... ეგრეთ წოდებული ინკლუზივი. შესაბამისად გან-მ-აახლ-ნ-ა ექსკლუზივი იქნებოდა: განმაახლნა მე და ის (ისინი)².

ასეთი რამ არაა მოსალოდნელი: ინკლუზივის ფორმანტი მრავლობითობის ნიშანიც არის, მრავლობითობის სხვა სუფიქსი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და უადგილო. მაშასადამე: თუ გუ- პრეფიქსი ინკლუზიური (ანდა: ექსკლუზიური—პრინციპში ეს სულ ერთია) შინაარსისაა, მრავლობითობის -ნ- სუფიქსისათვის ადგილი არა რჩება; მაგრამ რაკი -ნ-ს საკითხი (სხვა ფაქტების მიხედვითაც) ექვემდებარება წყდება, გუ- პრეფიქსის მრავლობითობა გამოორციხულია: არც ინკლუზიური და არც ექსკლუზიური შინაარსი მას არ შეიძლება და ჰქონოდა ძველ ქართულში.

ინკლუზივ-ექსკლუზივის შესახებ ზემოთ წამოყენებული დებულება სვანურის ჩვენებას ემყარება: ობიექტის ინკლუზივი და ექსკლუზივი სვანურში მარტოოდენ პრეფიქსებს იყენებს: გუ-ღვე („გვაქვს მე და შენ“), ნ-ულვე („გვაქვს მე და მას“); არავითარი დამატებითი ნიშანი მრავლობითისა ზმნის ფორმაში არა ჩანს (და არცაა მოსალოდნელი). სხვა მდგომარეობაა სუბიექტის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ ფორმათა წარმოებისას: ლ-პრი-ღ („ვარსებობთ მე და შენ“), ხვ-პრი-ღ („ვარსებობთ მე და ის“). აქ პრეფიქსებიც გარჩეულია (ლ-— ხვ-) და მრავლობითის -ღ სუფიქსიცაა წარმოდგენილი. მაგრამ ქართულში „ჩვენ“ ობიექტის საკითხს ვიხილავთ და ამ მხრივ ობიექტის ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების წარმოების პრინციპს (სვანურში) უნდა გაეწიოს, ცხადია, მეტი ანგარიში, ვინემ სუბიექტის ანალოგიურ ფორმათა აგების წესს.

¹ გავკრით ეს დებულება წამოყენებულია ავტორის წერილში „მარტივი წინადადების ეგოლოგიის ძირითადი ტენდენციები ქართულში“: მეცნ. აკად. მოაზებ, II, № 1—2 (1941).

² ასეთი ვარაუდი, მართლაც, იყო წამოყენებული, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

და, რაც მთავარია, სწორედ ეს **სუბიექტის** ინკლუზივ-ექსკლუზივ ფორ-
მათა წარმოება აუხსნელი სვანურში: მათ (კერძოდ, ინკლუზივის) წარმოებას,
სახელდობრ, მრავლობითის -დ სუფიქსის დართვას ახლავს გადაულახავი და-
ბრკოლებები (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ერთი სიტყვით, ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები მრავლობითის
შინაარსს იძლევა საგანგებო სუფიქსის გარეშე, თვით **პრეფიქსებით**. ასეა ეს
სვანურში, სადაც ინკლუზივისა და ექსკლუზივის გარჩევის უდავო ფაქტი გვაქვს.
ასე უნდა ყოფილიყო ეს ძველ ქართულშიც, თუ ხსენებულ მორფოლოგიურ
კატეგორიათა ნაშთებს ვივარაუდებდით **გუ- || მ-** პრეფიქსიან ფორმებში (მით
უფრო, რომ სვანურშიცა და ქართულშიც ინკლუზიურობის საკითხი ერთსა და
იმავე აფიქსთან—**გუ-**სთან არის დაკავშირებული).

ამგვარად, ძვ. ქართ. **გან-გუ-ახლ-ნ-ა** ტიპის წარმოების ანალიზი **ამთა-**
ვითვე გამოირიცხავს იმასაც, რომ **გუ-** მრავლობითის აღმნიშვნელად დავსახოთ,
და იმასაც, რომ მას მრავლ. პირველი პირის **ინკლუზიური** გაგება დავაკისროთ.
გუ- ისევე არაა მრავლობითის პრეფიქსი, როგორც **მ-**.

ამაში ზედმეტად გვარწმუნებს **გუ- || მ-** პრეფიქსთა ხმარება ერთი და იმავე
ჩუენ ნაცვალსახელის გადმოსაცემად:

ა. ჩუენ მიცემითის ფუნქციითაა:

მოგუანიქე—აღმისრულე (ვის?) ჩუენ:

...რაჟამს... მოგუანიქე მორწმუნეთა წინდი მკჯდრობისა ჩუენისაჲ.
მქსნელო. რაჟამს აღმისრულე უჟამოდ ქადებული მტერისა მოშურნისაჲ და
ლმერთ ჰყავ ბუნებაჲ კაცობრივი... სასულ. 367

დაგვწერა—აღმძრავს (ვის?) ჩუენ:

...რომელმანცა ღმრთის მეტყუელითა ენითა დაგვწერა მოქალაქობაჲ
ანტონი ნეტარისაჲ და აღმძრავს ყოველთა გალობად ღმრთისა... სასულ.

241₂₆₋₂₈

მიამაგეთ—მოგუეციოთ—მომიზღეთ თქუენ (ვის?) ჩუენ:

...აწ უკუშ მომაგეთ ჩუენ ბოროტი ესე ნაცვალი, სიხარული მოხა-
რულთა თანა მოგუეციოთ ჩუენ, ტირილი მტირალთა თანა მომიზღეთ
ჩუენ... ათონ. 340₅

შთაგუბერა—მრქუა (ვის?) ჩუენ:

...მაშინ შთაგუბერა ჩნ ონ ჩნმნ იჯ ქნ და მრქუა ჩნ... არი-
მათ. 37₂₆

გუამხილებ—მიყოფ—მიამაგებ (ვის?) ჩუენ:

...უფალო ნუ გულის წყრომითა შენითა გუამხილებ ჩუენ არამედ წყა-
ლობითა შენითა განმარინენ¹ ჩუენ უფალო ნუ ცოდვათა ჩუენთაებრ მიყოფ
ჩუენ ნუცა უშჯულოებათა ჩუენთაებრ მომაგებ ჩუენ, არამედ სხიერებითა
შენითა შემიწყალენ¹ ჩუენ... წარტყ. 15₁₂

¹ სახელობითში დასრულ ჩუენ ნაცვალსახელის მაგალითებს ქვემოთ დავუბრუნდებით.

მოგუაწონო—მითხარ (ვის?) ჩუენ:

...მ მონაზონო. რაჲ უკუე მოიგონო რ ხარ შენ პასუხთაგან ულონო. აწ რაჲ სიტყუაჲ მოგუაწონო მითხარ ჩნ უკუეთუ იწონო... კიმ. 167₃₇

გუესმა—დამეცა (ვის?) ჩუენ:

...ხოლო ჩნ ვრ გუესმა ვდ მათი დამეცა ჩნ ზა შიში დიდი...
კიმ. 36₃₂

მეტყოდა—გამოგვთარგმანებდა (ვის?) ჩუენ:

ვრ იგი მეტყოდა ჩნ გზასა ზედა და ვრ იგი გამოგვთარგმანებდა ჩნ წიგნთა... ხანმეტი ლექციონარი: უნივერ. მოამბე, IX, გვ. 335
(ლქ XXIV₃₂)

ბ. ჩუენ სახელობითის ფუნქციითაჲ:

დაგუბადენ—მომიყვანენ—(ვინ?) ჩუენ:

რომელმანცა კელითა მაგით საღმრთოჲთა და გუბადენ მიწისაგან ხატად შენდა და არარადსაგან მომიყვანენ არსებად და შემოსე...სამოსელი...
სასულ. 144¹⁹

დაგუბადნა—მიკსნეს—(ვინ?) ჩუენ:

ვითარმედ უფალი მოწყალე არს და არა დაგუბადნა ჩუენ სატანჯველად არამედ მან მიკსნეს ჩუენ... წარტყ. 50₂₄

შემკრიბენ—აღგუზარდენ—დაგვტევენ—დაგუფანჩენ—(ვინ?) ჩუენ:

რაჲ ესე შემამთხუე ჩუმნ ვითარმედ სადაჲ შემკრიბენ და აღგუზარდენ ანუ აწ სადა დაგვტევენ და დაგუფანჩენ... ათონ. 337₃₅

გუტანჯნეს—განმარინეს—(ვინ?) ჩუენ:

გუტანჯნეს ჩუენ სიცივითა და ყინელითა აჲა რაქსა მუნ განმარინეს ჩუენ ღრკენისაგან კბილთაჲსა... წარტყ. ლბა

დაგუბადენ—მიზიარენ—(ვინ?) ჩუენ:

რლნი შენ უკუდავო ხატად შენდა დაგუბადენ და მიზიარენ უხრწნელსა დბსა... სასულ. 169⁶

ბ. ჩუენ ერთ შემთხვევაში სახელობითია, მეორეში—მიცემითი: გუ. || მ-:

დამივიწყებ (ვის?)... მოგვკსენენ (ვინ?) ჩუენ:

ნუ დამივიწყებ ჩუენ მადიდებელთა შენთა მამაო მოგვკსენენა წინაშე ღმრთისა... სასულ. 163²⁰

გუამხილებ (ვის?)... განმარინენ (ვინ?)... მომაგებ (ვის?)... შემიწყალენ (ვინ?) ჩუენ:

უფალო ნუ გულისწყრომითა შენითა გუამხილებ ჩუენ არამედ წყალობითა შენითა განმარინენ ჩუენ უფალო ნუ ცოდვათა ჩუენთაებრ... მომაგებ ჩუენ, არამედ სახიერებითა შენითა შემიწყალენ ჩუენ... წარტყ. 45₁₂

დამდეა (ვის?)... აღმადგინა (ვინ?)... გუეტყოდა (ვის?)—ჩუენ:

მაშინ დამდეა კელი თუსი ყლთა ზა თითოვეულად ჩნგანთა და აღმადგინა ჩნ და გუეტყოდა ესრეთ... არიმათ. 35

მყვენ (ვინ?)... მოგუანიკე (ვის?)—ჩუენ:

გმადლობთ შენ ოო რნ ღირს მყვენ ჩნ ცოდვილნი ესე და მოგუანიკე ჩნ ცხოვრებად... კიმ. 148₉

მომიკსენე (ვინ?)... მეოხ გუეყავ (ვის?)—ჩუენ:

მომიკსენე (?) მქსნელო სასუფეველსა აწ მეოხ გუეყავ მადიდებელთა შენთა... ჰაბო, 51₁₂

მომეც (ვის?)... მოგკტევენ (ვის?)... შეგუყვანებ (ვის?)... მიკსენე (ვინ?)—ჩუენ:

პური ჩუენი სამარადისოჲ მომეც ჩუენ ღღემს და მოგკტევენ ჩნ თანანადებნი ჩუენნი... ნუ შეგუყვანებ ჩნ განსაცდელსა ოო ად მიკსენენ ჩნ ბოროტისაგან... ად. 13₂₁

მიხილნა (ვინ?)... მოგუეგება (ვის?)... მოგკითხნა (ვინ?)... შეგკწყნარა (ვინ?)... შემიყვანა... აღმიყვანა... დაგუსხნა (ვინ?)—ჩუენ:

ხ მინ მიხილნა ჩნ მიმავალნი მოწრათედ მოგუეგება და მოწლედ მოგკკითხნა და სიხარულით შეგკწყნარნა და თქუა: ღთმან კეთილად მოგიყვანა: და შემიყვანნა და სენაკად აღმიყვანნა და ვყავთ ლოცვაჲ და დაგუსხნა... კიმ. 165₃₁

დამშჯი (ვის?)... დაგუზადენ (ვის?)... მოგუაქციენ (ვის?)—ჩუენ:

ნუ დამშჯი სახიერო მონათა შენთა... რომელნი დაგუზადენ მიწისგან და კუალად მოგუაქციენ მიწად... სასულ. 274₂₀

წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაში ჩუენ ნაცვალსახელს ხან მიცემიერს ტუნქცია აქვს, ხან—სახელობითისა (ზოგჯერ კიდევ ერთსა და იმავე ფრაზაში ერთ ზმნასთან სახელობითის როლს ასრულებს, მეორესთან—მოცემითსას), მაგრამ ამ სიტყვას (ჩუენ) მნიშვნელობა ერთი და იგივე აქვს:

შეშკრიბენ და აღგუზარდენ ჩუენ...

შთაგუბერა და მრქუა ჩუენ...

ნუ დამივიწყებ და... მოგკტსენენ ჩუენ...

ვინაა ეს „ჩუენ“? მე და შენ, თუ მე და ის? პირველსა და შესამე მაგალითში ჩუენ-ში „მე და ის“ (ისინი) უნდა იგულისხმებოდეს: მეორე პირს მიმართავს მთქმელი: მე და ის შეშკრიბე და აღგუზარდე-ო... ნუ დამივიწყებ და მოგკტსენენი-ო...

მაგალითში—შთაგუბერა და მრქუა ჩუენ—„ჩუენ“ ნაცვალსახელის შინაასი ისე ნათელი არაა: ვის შთაბერა და ვის უთხრა მან? მე და შენ (თქუენ) თუ მე და მას? უფრო პირველი უნდა იგულისხმებოდეს სათანადო კონტექსტში ვინემ მეორე...

მაგრამ ასე იქნება განმარტებული „ჩუენ“ თუ ისე, გარკვეული იქნება მისი მნიშვნელობა თუ ბუნდოვანი, ეს არ წყვეტს საკითხს, საკითხს წყვეტს.

სხვა რამ: ზმნათა წყვილულებთან ერთი და იგივე ჩუნ გვაქვს; დხ ეს ერთი და იგივე ჩუნ ერთ ზმნაში მ პრეფიქსით გადმოიცემა, მეორეში—გუ- პრეფიქსით (სუფიქსების მხრივ სხვაობა არაა): შემკრიბენ და აღგუზარდენ... შთაგუბერა და მრქუა...

რას მოწმობენ ხსენებული ფაქტები? მხოლოდ იმას, რომ არ შეიძლებაო-და მ- და გუ- პრეფიქსები სხვადასხვა (ანდა განსხვავებული) მნიშვნელობისა ყოფილიყო იმისათვის, ვის კალამსაც სათანადო ფრაზები ეკუთვნის (ე. ი. შეუძლებელია ჩუნ სიტყვის მნიშვნელობის ნაირსახეობაზე ვიფიქროთ და ამ ნიადაგზე აეხსნათ მ- და გუ- პრეფიქსთა ხმარება).

მაშ, რატომ იხმარებოდა პარალელურად ორივე ვარიანტი (გუაქუს || მაქუს ჩუნ), თუ მნიშვნელობის მხრივ სხვაობას აღვილი არა ჰქონდა?

იმიტომ, რატომაც ერთსა და იმავე ძეგლში, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ერთი მეორის გვერდით გვხვდება ისი და იგი,—ერთი მნიშვნელობისა, მაგრამ სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის ერთეულები. ამ ნაცვალსახელებს ახალ სალიტერატურო ქართულშიც ვიპოვიოთ, მაგრამ სრულ სინონიმებად მათ ვერ მივიჩნევთ: ის მსაზღვრელადაც გამოდგება, სუბიექტად და ობიექტადაც გამოიყენება, იგი-ს მსაზღვრელად ვერ ვიხმართ: შდრ. ის მოვიდა—იგი მოვიდა; ის კაცი—„იგი კაცი“: ეს უკანასკნელი ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით დიალექტურ ფაქტადაა გააზრებული (ძველი ქართულისათვის „კაცი იგი“-ა ნორმა!).

„ვეფხისტყაოსანში“ ისი—იგი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით სრული სინონიმები ჩანს (თუ კი, საერთოდ, შესაძლებელია სრული სინონიმი გვექონდეს მეტყველებაში).

აი ორიოდე ნიმუში იგი || ისი-ს მსაზღვრელად ხმარებისა:

იგი: ...იგი ველი გაირბინა, ლაშქართავან გაეკიდა... ტ. 172₁, კომისიის ტექსტი, უნივერ. გამოც. 1937 წლ.¹

...უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუცა ჯმდა სისხლისა დენით... ტ. 557₁;

...აეთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით ვარდაიარა... ტ. 178₁

...იგი ჳირი არ უნახავს არ ჩამინს და არცა ვისსა... ტ. 183₃

ისი: ...რომე ცუდად არ ზოდორდე, ისი კაცნი გლალატობენ... ტ. 434₁

...უფერო ქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი... ტ. 233₂

...ისი დიაცი აქა ჳის, მნახავი კაცთა მრავალთა... ტ. 1092₁

...რას გექადა ისი კაცი? მესწრაფების მეტის მეტად... ტ. 1119₂

როგორც ცნობილია, ის ნაცვალსახელი ძველი ქართულისთვის უცხო იყო, მხოლოდ იგი იხმარებოდა (მაგრამ გვექონდა ესე: ესე—ევე—იგი)... ახალმა ქართულმა ის გააბატონა, იგი-ც იხმარება, მაგრამ მისი გამოყენება შეზღუდულია. წარმომომბის მიხედვით ესე—ისი და ევე—იგი ორი სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებაა. ს-იანი ვარიანტი თანდათანობით ძლიერდება, გ-იანი

¹ ორთოგრაფია აღდგენილია (ჳ, უმარცვლად უ).

სუსტდება; მაგრამ ორივე გვაქვს ახალ ქართულში, ძვ. ქართულშიც „აქ მყოფის“ აღსანიშნავად უკვე გვქონდა ესე...

ანალოგიური ვითარება ჩანს გუ- II მ- პრეფიქსთა შემთხვევაშიც: ეს პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისა უნდა იყოს; მათი ბელიც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ცვალებადია: თვალსაჩინო ცვლილებაა მომხდარი მათს გამოყენებაშიც (რასაკვირველია, ანალოგია ზოგადს მომენტებს ხება).

გუ- და მ- ძველ ქართულში იყო; ახალმა ქართულმა მხოლოდ გუ- იცის; მ- ვარიანტი მრავლობითისა ახალი ქართულისთვის ისევე უცხოა, როგორც ისი ნაცვალსახელი ძველი ქართული ძეგლებისათვის (V—X სს.).

ამ მხრივ ერთი ფაქტია საყურადღებო: „ვეფხისტყაოსნის“ ენამ არ იცის „მაქუს ჩუენ“ ტიპის წარმოება. ერთად ერთი ფორმაა გუ- პრეფიქსიანი ვარიანტი. ეს ნიშნავს: მეთორმეტე საუკუნიდან სალიტერატურო ქართული წყვეტს კავშირს იმ დიალექტურ სამყაროსთან, რომელსაც შემოჰქონდა „მაქუს ჩუენ“ ვარიანტი. ჩვენ საშუალება გვქონდა სხვაგან აღგვენიშნა, რომ ერთგვარი გარდატეხა სალიტერატურო ქართულის ისტორიაში შემთხვევით არ მოდის მეთორმეტე საუკუნეზე. თბილისიდან არაბები განდევნილი ჰრიან (1122 წ.), თბილისში გადმონაცვლა კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა და უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან აღმოსავლეთ საქართველოს ცოცხალი დიალექტური მეტყველება საორიენტაციო: მთელი რიგი ახალი ენობრივი ფაქტი თავს იჩენს სალიტერატურო ქართულში—დასაბამი ეძლევა ახალ სალიტერატურო ქართულს. „ვეფხისტყაოსანში“. ამ ახალი სალიტერატურო ქართულის ნიმუშია წარმოდგენილი¹.

„მაქუს ჩუენ“-ის რიგის წარმოება არ იცის აღმოსავლეთ საქართველოს მთის იმ დიალექტებშიც კი, რომელთა არქაიზმებიც ძველი ქართულის ზოგი ნორმის დაცვამდისაც კი მიდის (ასეთია, მაგ., ხევსურული).

„მაქუს ჩუენ“ ტიპი აღიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის სინამდვილიდან. მას შემდეგ, რაც გაწყდა კავშირი სამხრულ და დასავლურ ქართულ კილოებთან.

ამ ტიპის წარმოება ამ კილოებიდან (ანდა, ყოველ შემთხვევაში, ამ კილოთა მეშვეობით) უნდა შესულიყო სალიტერატურო ძველ ქართულში. ამჟამად იგი დაუცავს ზანურს: ჭანურსა და მეგრულშიც ახლაც მრავლობითის პირველ პირში მ- პრეფიქსი გვაქვს ობიექტის აღსანიშნავად, ოღონდ ახალი ქართულის მსგავსად მრავლობითობა სუფიქსით აღინიშნება: ჭან. მა მილუნ—ჩქუნ მილუნ-ან

¹ იმ მოვლენათა შესახებ, რომლებიც ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმებად უნდა ვცნოთ „ვეფხისტყაოსანში“, იხ. ავტორის წერილი „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“—ენიმიკი-ს მოამბე, III (1938), გვ. 209—227.

იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „ძვ. ქართული ლექსიკისა და მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის შეგუება ამ ახალ დიალექტურ სინამდვილესთან, სალიტერატურო ქართულის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე—ესაა პროცესი ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისა... ეს პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობს, ქუთაისიდან პავლიტიკური ცენტრის ტფილისში გადმოსვლას გულისხმობს და მას მოსდევს“ (გვ. 227). ჩამოთვლილია ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში (გვ. 224—226).

„ჩვენ «მ-აქე-ენ»—შდრ. თქვენ გაქვთ (გაქე-ენ), მათ აქვთ (აქე-ენ)... რიცხვში მათ, თქვენ, ჩვენ ნაცვალსახელებთან ზმნის შეთანხმება შედარებით ახალი მოვლენაა; ასევე მეორეულია ჩქუნ მილუნ-ან: ძველად აქაც უნდა ყოფილიყო ჩქუნ მ-ილუნ-ნ=„ჩუნ მაქუს“, ესე იგი: ჩუნ მაქუს ზანური ნორმაა, ზუსტად რომ ეთქვათ, ის ნორმაა, რომელიც ზანურმა შემოგვინახა, მაგრამ ზანურთან ახლო მდგომი ქართული კილოებისთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო...

გუ- სხვა ქართული კილოს კუთვნილებაა. რა კილოა ეს? ამჟამად მხოლოდ ის შეგვიძლია ეთქვათ, რომ: 1. ეს კილო ქართული სალიტერატურო ენის აღნაგობაში ერთი უძველესი ინგრედიენტია, 2. მისი ფაქტები სვანურის მორფოლოგიაშიც მთელს შრეს ქმნის, — საზიაროა ქართულისა და სვანურისათვის (მაგრამ უცხოა ზანურისათვის).

აქ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ გუ- ელემენტი, ზემოთქმულის შესაბამისად, ძველი კუთვნილებაა სალიტერატურო ქართულისა, გაცილებით ჯუფრო ძველი, ვინემ «მაქუს ჩუნ» ტიპი... რა საბუთი გვაქვს ამისათვის? ყველაზე ძველ ძეგლებში გუ- უფრო ხშირია, შემდეგ მ- ტიპი იკაფავს გზას, მეთორმეტე საუკუნეში კი ეს მოცილვ „ერთბაზად“ ქრება.

„ხანმეტი მრავალთავის“ გამომცემელს, აკ. შანიძეს, სამართლიანად აქვს შენიშნული, რომ ამ ძეგლში „პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსად მრავლ. რიცხვში ერთხელაც არ არის ნახმარი მ, არამედ ყველგან გუ-“¹.

საჭიროდ ვთვლი მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

...უკუეთუ... გუნებავენ ქუეყანისა ამის საწუთროჲსა სარგებელი... ხანმეტი მრავალთავი: უნივ. მოამბე, VII, გვ. 125

...რაოდენისა ბევრეულისა ვედრებისა გვლირს რლსა ჟამსა... შეიწირვის...
იქვე.

...მივეახლებით რიმცა გუაწრაფებდა მიახლებად სასუფეველსა...
იქვე, გვ. 126

...რომელ ესე დიდებაჲ მოგუაქუს... იქვე.

...ეა... პავლე მოციქულმან გუასწავა... იქვე, გვ. 131.

...გამოგზნდა ჩნ დაშვილთა მაცხოვრად... იქვე, გვ. 132.

...გამოგზნდა ღი... და კულად მონებად გუეწოდა... იქვე.

...რლნი... სიგლახაკესა შევერდომილ ვიყვენით მეფობადვე მოგვყვანნა...
იქვე.

გამოგვბრწყინდა და ჩჩულთა მიხმადლა ესევერი... იქვე, გვ. 133.

...წინაწარმეტყუელო ღთ გვთხარ ჩნ ვინ არს ესე ღღეს მომავალი...
გვ. 133.

...აწ ყრმანო გვთხართლა ჩნცა ვინაჲ თქნ... გვ. 134.

...ხრცხუენიან და გვთხრობენ... გვ. 137.

...ხაყენებთ და (ხეტყუთ)... ნუ გუამხილებ ჩნსა მას უშჯულოებასა... გვ. 139

...ჩნცა ზა გუაც სიტყუს მიგებ(აჲ)... გვ. 150.

¹ ა. შანიძე, „ხანმეტი მრავალთავი“: უნივ. მოამბე, VII (1926), გვ. 117. შდრ იმავე ავტორის ზოგადი დებულება: „ადრინდელ ძეგლებში გუ- პრეფიქსიან ფორმებს იშვიათად ვხვდებით, იქ უფრო ერთი ფორმა გვხვდება, მანინი“ („ძველი ქართ. ენა“, § 40).

ვთქვათ, ამ ტექსტს ქადაგების ხასიათი აქვს, მოქმელი „ჩვენო“ რომ ამ-
ბობს, მსმენელსაც გულისხმობს: გუასწრაფებდა მიახლებად—ვის? მე და თქვენ...
...ხრცხუენიან და გუთხრობენ—ვის? მე და თქვენ... შეიძლება. თუ არა ამის მი-
ხედვით დავასკვნათ: გუ- პრეფიქსი ყველგან იმიტომ გვაქვს, რომ ყველგან
ჩუენ ნაცვალსახელი ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, სახელდობრ, ინკლუზი-
ურისააო (ჩუენ=მე და თქვენ)... ეს რომ ასე იყოს, გუ- პრეფიქსის სიძველე
კი არ დამტკიცდებოდა, არამედ მისი ინკლუზიური შინაარსი ცხადი და ხელ-
შესახები გახდებოდა... სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი:

სხვა მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, სამი შემთხვევაა, სადაც ჩუენ
შეუძლებელია გავიგოთ, როგორც „მე და თქვენ“.

...წინასწარმეტყუელო დთ გვთხარ ჩნ... (ვის? მე და მათ)

...აწ ყრმანო გვთხართლა ჩნცა... (ვის? მე და მათ)

...(ხეტყუთ)... ნუ გუამხილებ... (ვის? მე და მათ)

მეორე პირი, თქუენ (||შენ), ვერ შემოვა ჩუენ სიტყვის მნიშვნელობაში,
ეს გამორიცხულია: ამ მეორე პირსაა, რომ მიმართავენ...

მაშასადამე, სამსავე შემთხვევაში ჩუენ უცილობლად ექსკლუზიური შინა-
არსისაა, ზმნაში კი გუ- პრეფიქსი გვაქვს: თხუთმეტი მაგალითიდან—სამში! გუ-
პრეფიქსი დანარჩენ თორმეტ მაგალითშიც ისევეა ინკლუზიური პირველი პი-
რის პრეფიქსი, როგორც ამ სამში.

ერთფეროვნების მიზეზი სიძველეა: რაც უნდა იყოს, VIII საუკუნის აქეთ
ამ ძეგლის დათარიღება არ გადმოიწევს...

ასევე დამახასიათებელია გუ- პრეფიქსი ივ. ჯავახიშვილის მიერ
გამოცემულ ხანმეტ ტექსტებში:

...ხიტყოდეს ვაჲ ჩუენდა რ... მოგვყუანენს ჩუენ აქა იხილეთ ძლით ესე
სიკუდილი ვრ ესე შეგუამთხუევენ ჩუენ: გევედრებით თქუენ გვჩუენე ჩუენ
გზაჲ რა ხტყოდეთ... უნივ. მოამბე, II (1923), გვ. 390.

«ჩუენ» უკანასკნელ მაგალითში არსებითად განსხვავდება თავისი მნიშვნე-
ლობით პირველი ორი შემთხვევისაგან (გვჩუენე ვის? მე და მათ, «შენ» გამო-
რიცხულია); გუ- პრეფიქსი კი ამ ზმნაშიც ისევეა გამოყენებული, როგორც და-
ნარჩენ ორში.

ანალოგიური ვითარებაა ჰაემეტ ტექსტში:

მიუგო სიმონ პეტრე და ჰქა ოლო... ჩნ გურწმენა და გვცნობიეს რ შენ
ხარ ქქ... ა. შანიძე, „ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები“: უნივ. მოამბე, III, გვ. 388.

ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში ორი შემთხვევაა დასტურდება მ- პრე-
ფიქსისა მრავლობითში.

...დღდათაცა ვიეთმე ჩნგანთა დამაკვრვეს¹ ჩნ... (ლკ XXIV₂₂): „ხანმეტი
ლექციონარი“: უნივ. მოამბე, IX (1929), გვ. 334.

...და იგინი ხიტყოდეს ურთიერთას. ანუ არა გული ჩუენი განწურვებულ
ხიყო ჩუენ შოვრის. ვრ იგი მეტყოდა ჩნ გზასა ზედა: და ვრ იგი
გამოგვთარგმანებდა ჩნ წიგნთა (ლკ XXIV₃₂): იქვე, გვ. 335.

¹ ასეა ეს ნაბეჭდ ოთხთავშიცა და აღნიშნის ოთხთავშიც.

უკანასკნელი შემთხვევა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ერთი და იგივე ჩუენ (შერთული წინადადების ორ ზმნასთან) სხვადასხვა პრეფიქსებითაა გადმოცემული, ესე იგი მ- და გუ- თანაბარ ფუნქციისადაა მიჩნეული. ეს ფუნქცია, რა თქმა უნდა, არც ინკლუზივის ჩვენებაა და არც ექსკლუზივისა: «ჩუენ» აქ უდრის—კონტექსტის მიხედვით—«მე და თქუენ»-ს (მოწაფეები „ხიტყოდეს ურთიერთას“). ამდენად აქ მ- პრეფიქსი სრულებით უადგილო უნდა ყოფილიყო, ადიშის ოთხთავში სათანადო ადგილი (ლკ XXIV₃₃) ასე იკითხება:

...არა გულნი ჩნნი განჯურებულ იყვნეს ვე იგი გუეცყოლა ჩნ და ვრ განგვმარტებლა ჩნ წიგნებსა...

ნაბეჭდ ოთხთავში (რომელიც ხშირად ოპიზა-ტბეთის ტექსტს მისდევს) გვაქვს:

...ვითარ იგი მეცყოლა ჩუენ გზასა ზედა და ვითარ იგი გამომითარგმანებლა ჩუენ წიგნთა (ლკ XXIV₃₃).

რომ შევეუბირისპიროთ ეს სამი ჩვენება ერზმანეთს, ასეთ სურათს მივიღებთ:

ადიშით: გუეცყოლა... და განგვმარტებლა ჩუენ...

ხანმეტი ლექციონარი: მეცყოლა... და გამოგვთარგმანებლა ჩუენ...

ნაბეჭდი ოთხთავით: მეცყოლა... და გამომითარგმანებლა ჩუენ...

I. ორივეგან გუ-, II. მ- || გუ-, III. ორივეგან მ-. ჩენი ვარაუდით ესაა: მშვენიერი ილუსტრაცია ამ პრეფიქსთა გამოვლენის დინამიკისა ძველი სალიტერატურო ქართულის ისტორიულს განვითარებაში, ოღონდ იმ შენიშვნით, რომ მარტოოდენ გუ- პრეფიქსი შეიძლებოდა გვექონოდა, მაგრამ მარტოოდენ მ- პრეფიქსის ხმარებაჲდის საქმე არ მისულა: X—XI საუკუნეთა მანძილზე—მ- პრეფიქსის მოხშირებისა და მიუხედავად—გუ- პრეფიქსი მაინც ძალაშია.

მ- პრეფიქსის ხმარების დინამიკა შეიძლება გავითვალისწინოთ ოთხთავის მიხედვით; შესაღარებლად ვიღებთ ადიშისა და ოპიზა-ტბეთის (ბენეშევიჩის გამოც.) ტექსტს; გადაწერის თარიღის მიხედვით მათ მცირე მანძილი აშორებს (ადიშ. 897 წ.—ოპიზ. 915 წ.—ტბეთი 995 წ., გადათარგმნილიჲ კი ეს ძეგლები გაცილებით უფრო ადრე; ადიშის ტექსტი მაინც დიდი სიძველისა ჩანს).

1. ადიშ.: მოუქდეს მას მოწაფწნი მისნი და ჰრქუეს გვთხარ ჩნ იგი ლუარძლისაჲ და აგარაკისაჲ... მთ. XIII₃₆, ტაბ. 29 a₂

ოპიზა-ტბეთ.: მითხარ... ჩუენ... მთ. XIII₃₆; ბენეშევი.

2. ადიშ.: ჰრქუა მათ რასა აქა სდეგით დლე ყოელ ცუდად. ჰრქუეს მას რ არავინ დაგვდგინა ჩუენ... მთ. XX₇, ტაბ. 42 b₁

ოპიზა-ტბეთ.: ...არავინ დამიდგინა ჩუენ... ბენეშევი.

3. ადიშ.: ხ სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ გუეცით ჩნცა ზეთი... რ სანთელნი ჩნნი დაგუშრტებიან მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს ხუ უკვე ვერ გუეყოს ჩნ და თქნ... მთ. XXV₈₋₉, ტაბ. 54 a₁₋₂

ოპიზა-ტბეთ.: ...მეცით ჩნ ზეთისა... სანთელნი დაშრტებიან... ვერ გუეყოს ჩუენ და თქნ... მთ. XXV₈₋₉; ბენეშევი.

საქიროა შევჩერდეთ ამ უკანასკნელ მაგალითზე. ოპიზ.-ტბეთის «მეცით ჩნ» ექსკლუზიური გაგებისა და ფორმაც (მ-) თითქოს შესაბამისია; «ვერ გუე-ყოს ჩნ და თქნ» ინკლუზიური მნიშვნელობისა და გუ-ც, ერთი შეხედვით, თავის ადგილასაა. ამგვარად, ოპიზა-ტბეთის ეს ადგილი იმის სარწმუნო მაგალითი ჩანს, რომ მ- და გუ- განსხვავებული ფუნქციისაა: ერთი—ექსკლუზიურისაა, მეორე—ინკლუზიურისა.

მაგრამ საკმარისია ამას შევეუბირისპიროთ სათანადო ადგილი აღიშნის ოთხთავიდან, რომ ხსენებულ ფაქტებს სხვაგვარი გაშუქება მიეცეს: აღიშნის ტექსტში აქ ყველგან გუ- პრეფიქსია: გუეცით... გუეყოს... დაგუშრტებიან უკანასკნელი ზმნა ოპ.-ტბეთის ტექსტში ერთპირიანია: სანთელნი და შრტებიანი), ე. ი. არავითარი ექსკლუზივი და ინკლუზივი, არავითარი სხვაობა ფორმაში, თუმცა «ჩუენ» ნაცვალსახელის მნიშვნელობა გუეცით... დაგუშრტებიან ზმნებთან სხვაა (ექსკლუზიურია: თქუენ მოგუეცით მე და მათ), გუეყოს ზმნასთან სხვა (ინკლუზიურია: გუეყოს ჩუენ და თქუენ)...

ჩუენ ნაცვალსახელის მნიშვნელობის სხვაობას, როგორც ვხედავთ, ზმნა არავითარ ანგარიშს არ უწევდა, ყველგან გუ- იხმარებოდა. შემდეგ ერთ-ერთ ზმნაში გუ-ს ადგილი მ- პრეფიქსმა დაიჭირა (სხვა დიალექტური ნორმა შემოიჭრა!) და ამ შემთხვევის გამო შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, თითქოს ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა ჰქონოდა ოპიზა-ტბეთის ტექსტს მხედველობაში!

წარმოვიდგინოთ, რომ ესა თუ ის მწერალი ამჟამად ხმარობს ფორმებს: ს-ჩანხარ, ს-დვახარ, ს-ტირი... და ამასთან: ს-ჩანს, ს-დვას, ს-ტირის... შეიძლება თუ არა აქედან დავასკვნათ: მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად ეს მწერალი ს- პრეფიქსს ხმარობსო (ამ ზმნებში)... ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნებოდა: ს-ჩანხარ ფორმაში ს ისევე არაა პირის ნიშანი, როგორც ს-ჩანს ფორმაში პრეფიქსი ს პირის ნიშნად არ მიიჩნევა... არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში ს- პრეფიქსი სუბიექტის ნიშანი არაა იმ პირისთვის, ვინც ს-ჩანხარ, ს-ჩანს ფორმებს ხმარობს. ს- პრეფიქსის ნამდვილ ღირებულებას მეორე პირთან (ს-ჩანხარ) შუქსა ფენს მესამე პირის ფორმა (ს-ჩანს); და ეს სავსებით კანონზომიერია: პირთა ფორმები სისტემას ქმნიან, სისტემის მონაწილე ყოველი წევრის ადგილი კი სხვა წევრთან მიმართებას გულისხმობს,—ესაა ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი!) ძირითადი თვისებათაგანი სისტემაში შემაჯავლი ფაქტებისა.

რაც ს- პრეფიქსის შესახებ ითქვა, სავსებით ვრცელდება გუ- და მ- პრეფიქსებზედაც.

კიდევ ორიოდ მაგალითი:

4. აღიშ.: პრქუეს მას მოგუეც ჩნ რა დავსხდეთ მარჯულ შენსა...

მკზ X₃₇, ტაბ. 87 a₂-b₁.

ოპიზა-ტბეთი.: ...მომეც ჩუენ რა დავსხდეთ...: ბენეშევ.

აქაც «უმართებულო» გუ- (მოგუეც: უნდა ყოფილიყო მე და მათ—მომეც) უფრო ახალ ძეგლში «მართებული» ფორმითაა შეცვლილი მო-მეც ჩუენ (მე და მათ). გამოდის, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა მეცხრე საუკუნეში არ უნდა ყოფილიყო და მეთე საუკუნეში უფრო მკვეთრი გამხდარა! ნამდვილად

კი ამაში სხვა ტენდენცია ისახება; გუ- პრეფიქსის ადგილს იჭერს მ-, —სხვა დიალექტური წრის ნორმა.

ან კიდევ:

5. ადიშ.: და ევედრებოდეს მას და ჰრქუეს მიგუავლინენ ჩნ ლორებსა იმას... მკზ V₁₃, ტაბ. 73 a₁

ოპიზა-ტბეთ.: ...მიმავლინენ ჩუენ ლორებსა იმას... ბენეშეც.

6. ადიშ.: გიძლავს თუ რადმე შეგვავწიე ჩნ და წყალობა ყავ ჩნ ზედა... მკზ IX₂₂, 83 b₂

ოპიზა-ტბეთ.: შემეწიენ ჩუენ და წყალობა ყავ ჩუენ თვს...

7. ადიშ.: მოძღუარ მოსე დაგვწერა ჩნ... მკზ XII₁₉, ტაბ. 91 a₁

ოპიზა-ტბეთ.: მოძღუარ მოსე ესრე დამიწერა ჩუენ...

8. ადიშ.: ...მან გიჩუენოს თქნ ქორი დიდი... და მუნ დაგუმზადეთ ჩნ... მკზ XIV₁₅, 95 b₁

ოპიზა-ტბეთ.: ...და მუნ მზა მიყავთ ჩუენ...

9. ადიშ.: ...ლაღატ ყვეს და თქუეს მიწყალენ ჩვენ იჯ ძეო ღთისო ბერმან მან შეჰრისხნა მათ რა დაღუმნეს მათ უფროას ღაღატ ყვეს და თქს გვწყალენ ჩნ ძეო ღთისო და დაღვა იჯ ვმა უყო მათ და ჰრქუა რად გნებაეს და გიყო თქნ ჰრქუეს მას ოლო რა აღმეხუნენ ჩნ თვალნი... მთ XX₃₀₋₃₃, 43 b₂

აქ «ექსკლუზიური ჩუენ» მიწყალენ, აღმეხუნენ ფორმებს კარგად შეეწყობოდა, იქვე რომ არ გვექონდეს გვწყალენ იმავე ჩუენ ნაცვალსახელისათვის: მიწყალენ || გვწყალენ ჩუენ...

ოპიზა-ტბეთ.: ...შემიწყალენ ჩნ... უფრს ღაღადებდეს შემიწყალენ ჩნ ოლო ...აღგუეხილენ თვალნი ჩუენნი...

აქ პირველი ზმნა მ- პრეფიქსით მეორდება, მაგრამ გუ- პრეფიქსი აღმოაჩნდა მესამე ზმნას (აღგუეხილენ), რომელიც ადიშში მ- პრეფიქსიანი იყო (აღმეხუნენ)... გუ- პრეფიქსი ინკლუზიურ ჩუენ ნაცვალსახელისა კონტექსტს არ ეფარდება: ბრმები ყვირიან—ჩვენ თვალი აგვიხილეთ! ვისაც მიმართავენ, ვინც უნდა აუხილოს თვალი, ის ამ ჩვენ-ში ვერ შემოვა, თვალხილულია...

10. ადიშ.: პური ჩუენი სამარადისოჲ მომეც ჩუენ ღღეშს და მოგვტყვენ ჩნ თანანადებნი ჩუენნი... და ნუ შეგუყვანებ ჩნ განსაცდელსა ოლო ად მიკსნენ ჩნ ბოროტისაგან... მთ VI₁₁₋₁₃, ტაბ. 13 a, (იხ. გვ. 103).

ორი გუ- პრეფიქსი მიინც გამოერია, თუმცა შესაბამისი ჩუენ არაფრით არ გამოირჩევა იმ ორი სხვა ჩუენ-ისაგან, ზმნაში რომ მ- პრეფიქსს აჩენს...

ოპიზა-ტბეთისაში ოთხსავე შემთხვევაში მ- პრეფიქსი გვაქვს:

...პური «ესე» ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ ღღეს და მომიტყვენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი... და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა ად მიკსნენ ჩუენ ბოროტისაგან...

ადიშის ოთხთავის გუ- პრეფიქსი არა ერთგან ოპიზა-ტბეთის ოთხთავ-
შიც ამავე სახითაა დატული. მასთან დიდ წილ შემთხვევაშიც ჩუენ ნაცვალსა-
ხელის გარკვეულ (ინკლუზიურ) გაგებასთან რაიმე კავშირზე ლაპარაკი შეუძლე-
ბელი ხდება: მხედველობაში გვაქვს ის შემთხვევები, სადაც მეორე პირისადმრ
მიმართვაა გადმოცემული და, მაშასადამე, ეს მეორე პირი გამორიცხულია
(ჩუენ=მე და მათ... და არა: მე და თქუენ)...

გუ- პრეფიქსი თითქოს არ გამორიცხავს ინკლუზიურ გაგებას:

ადიშ.: ...და ურთიერთას იტყოდეს რ პური არა გუაქუს... და ჰრქუა
მათ რაფსათჳს განჰზრახავთ. რ პური არა გუაქუს... მკზ VIII₁₆,
ტაბ. 81 a₂

ოპ.-ტბ.: ...არა გუაქუს...

ადიშ.: ეტყოდეს მას და ჰრქუეს განუტევე ესე. რ შეგუდღს ჩნ და ლა-
ლადღს... მთ XV₂₃, ტაბ. 33 b₁

ოპ.-ტბ.: ...შეგუდღს ჩუენ...

ადიშ.: ჰრქუეს მას ნათლისღებად გკღღავს... მთ XX₂₂, ტაბ. 43 b₁

ოპ.-ტბ.: ...მათ ჰრქუეს ძალ გვც...

ადიშ.: ...ვთქუათ თუ ზეცით იყო: გურქუას რად არა გრწმენა მისი
უკვეთუ ვთქუათ კაცთაგან იყო გვეშინის ერისაგან... მთ XXI₂₀,
45 b₁₋₂

ოპ.-ტბ.: გურქუას ჩუენ... გუეშინის ერისა ამის...

ადიშ.: და თქუა ბასრობს რაფსალა გუკმს მოწამე... მთ XXVI₆, ტაბ. 60a₁

ოპ.-ტბ.: რაფსა'ლა' გკვმან მოწამენი...

გუ- პრეფიქსთან გამორიცხულია ინკლუზიური გაგება [ჩუენ=მე და იგი
|| იგინი (მე და მას || მათ)]:

ადიშ.: ...და ჰრქუეს მოძღუარ გუნებავს რა რაფცა გთხოოთ: მიყო
ჩნ... მკზ X₃₅, ტაბ. 87 a₂

ოპ.-ტბ.: ...მოძღუარ გუნებავს რა რაფცა გთხოვოთ მიყო ჩუენ...
ბენეშევე.

ადიშ.: მოვიდეს სხუანი იგი ქალწულნი და იტყოდეს ოო ოო განგულე
ჩნ... მთ XXV₁₁, ტაბ. 54 a₂

ოპიზა-ტბეთ.: ...განგვლე ჩნცა... ბენეშევე.

ადიშ.: მიუგო პეტრე და ჰრქუა მას გამოგუთარგმანე ჩნ იგავი ეგე...
მთ XV₁₅, ტაბ. 33 a₂

ოპიზა-ტბეთ.: ...გამოგუთარგმანე ჩუენ იგავი იგი... იქვე: ბენეშევე.

ადიშ.: და ჰრქუეს მოძღუარ გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაფ...
მთ XII₃₈, ტაბ. 26 a₂

ოპიზა-ტბეთ.: ...გუნებავს შენგან... იქვე, ბენეშევე.

ადიშ.: ...ევედრებოდეს მას და იტყოდეს განთუგუასხამ ჩნ გვბრძანე
ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორებისასა... მთ VIII₃₁, ტაბ. 17 a₂—b₁

ოპიზა-ტბეთ.: ...უკუეთუ განგუასხამ... გვბრძანე ჩუენ... იქვე, ბენეშევი.

ადიშ.: ხ მათ ჰქს მას არა გუაქუნს აქა გარნა ხუთი პური და ორი
თევი... მთ XIV₁₇, ტაბ. 31 b₁

ოპიზა-ტბეთ.: ...არა გუაქუს აქა...

ადიშ.: ჰრეკედ მას და ეტყვედ. გვწინწარმეტყუელებდ ჩნ ქშ... მკბ.
XIV₆₅, ტაბ. 98 a₂

ოპიზა-ტბეთ.: გვწინწყლებდ ჩუენ...

ადიშის ოთხთავიდან შესადარებლად აღებული გვექონდა მათე და მარ
კოზი: მხოლოდ ეს ნაწილია ოპიზა-ტბეთის ოთხთავიდან გამოცემული (ბენეშევი-
ჩის მიერ). სათანადო მასალის შედარებითი ანალიზი ზევითაა მოცემული¹.

ამის შემდეგ ინტერესს მოკლებული არ იქნება ზოგი ციფრობლივი მაჩვე-
ნებელიც დაეუროთო.

О₁ მრ. ადიშისაში გვაქვს: მ—13, გუ—39

ოპიზა-ტბეთისაში „ : მ—21, გუ—25

შენიშვნა. ექვს შემთხვევაში ზმნას მრავლობითის პირველი პირის ობიექ-
ტის ფორმა არა აქვს:

ადიშ.: სულგრძელ მექმენ ჩუენ ზა (მთ XVIII₂₉)— ოპიზა-ტბეთ.: სულ-
გრძელ იქმენ ჩემ ზა...

„ პური არა გუაქუნს (მთ XVI₇)— ოპიზა-ტბეთ.: პური არა მოვიღეთ...

„ დამსწორენ ჩნ იგი (მთ XX₁₂)— „ „ : სწორ ჩუენდა ჰყვენ
იგინი... და ასე შემდეგ.

ამრიგად, მ-|| გუ- პრეფიქსიან ფორმათა რიცხვი ოპიზა-ტბეთისაში ადიშის
მაგალითებთან შედარებით ექვსით ნაკლებია. ამისდა მიუხედავად გარკვეული
დინამიკა ჩანს მ-|| გუ-ს სიხშირის შეფარდებაში:

ადიშის 13 : 39, ოპიზა-ტბეთ.: 21 : 25

გუ- ისე ჰარბადაა გამოყენებული ადიშის ძეგლში, რომ კაცი იფიქრებ-
და: ესაა შემზადება XII—XIII საუკუნის საერო ლიტერატურის ნორმისა, რო-
ცა მ-, როგორც О₁ მრავლ., სრულიად გამქრალია... ადიშის ძეგლი, როგორც
ეს ექვმიუტანლად გაარკვია კო რნ. კეკელიძემ, 897 წელსაა გადაწერილი
(და არა მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, როგორც წინათ ზოგი მკვლევარი
ფიქრობდა)...

ამგვარად, გუ-ს სიჰარბე მეცხრე საუკუნეში გადაწერილ ძეგლში დასტუ-
რდება. მერე: ხანმეტსა და ჰამეტს ძეგლებშიც გუ- ან ერთად ერთი ფორმან-
ტია О₁ მრავლ. ანდა თითქმის ერთად ერთი: შა—О₁ მრავლ. აქ გაცილებით

¹ ჩვენ განზრახული გვექონდა ოშქის დაბადების (X ს.) ტექსტიც განგვეხილა (შედარე-
ბით), მაგრამ არც ამ ძეგლის ფოტოპირი, არც ხელნაწერი, გადაღებული აქედან, ჩემთვის
ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა.

უფრო იშვიათია, ვინემ X—XI საუკუნის ძეგლებში. ეს ნიშნავს: XII საუკუნის საერო ლიტერატურის ნორმის შემზადებად ვერ მივიჩნევთ გუ- პრეფიქსის სიზმირეს აღნიშნის ოთხთავში: აქ ეს არქაიზმია.

ამ კონტექსტში შეიძლება მოვიგონოთ სხვაგვარი არქაიზმებით მდიდარი ისეთი ძეგლის ჩვენება, როგორცაა «უდაბნოს მრავალთავი» (საქართველოს მუზეუმის ხელნაწ. № 1139):

ამ ძეგლში მ- || გუ- პრეფიქსთა შეფარდება ასეთია: 25 : 114. სამწუხაროდ, ტექსტის შინაარსი იმგვარი შედარების შესაძლებლობას არ იძლევა, როგორც ოთხთავის მასალის მიმართ გამოვიყენეთ. შეუძლიათ გვითხრონ: იქნებ, ინკლუზიური შინაარსით ნახმარი ჩუენ-აა ტექსტში გამოყენებულია. რა თქმა უნდა, არა (უადგილობის გამო აქ საილუსტაციო მასალა არ მოგვყავს).

«იაკობ ხუცესის ჟამის წირვაში» (ხელნაწ. № 86, გამოცემულია კორნ. კეკელიძის მიერ) პირველი პირის ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად ნახმარია:

მ- — 18 ჯერ, გუ- — 35 ჯერ.

აღსანიშნავი ისაა, რომ ამ 35 შემთხვევიდან 31-ში გუ- მოუღის ისეთ ზმნას, რომლის სუბიექტიც მეორე პირია და, მაშასადამე, ჩუენ ობიექტი ინკლუზიური შინაარსით შეუძლებელია იყოს ნახმარი:

შეგვწყაღენ ჩუენ 12₈, 41₃, 41₆

მოგვკსენენ ჩუენცა 57₈

დაგვცვენ ჩუენ 80₅, 83₁₅

დაგუაწყნარენ ჩუენ 85₅

გუაკურთხენ 83₂

განგუანათლენ 104₁

გუასმინენ 17₇

მოგუხედენ 25₃

მოგუმადლე 25₅, 122₉

მოგუანიჭე 5₁₇, 40₁₂ და სხვ.

ძველი ქართულის პარალელური ფორმებიდან შეგვწყაღენ || შემწყაღენ ჩუენ... გუაქვს || მაქუს ჩუენ გუ- პრეფიქსიანი ფორმებია სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უფრო ძველი.

ამრიგად, ძველი ქართული ძეგლების მონაცემთა ანალიზმა იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ:

1. გუ- პრეფიქსი მრავლობითის ნიშანი ისევე არ ყოფილა ძვ. ქართულში, როგორც მ: თუ ჩუენ სახელობითის ფუნქციით იყო ნახმარი, მისი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნებოდა, მაგრამ სუფიქსით (გან-გუ-აახლ-ნ-ა მან ჩუენ): სულ ერთი იყო მ- პრეფიქსს ვიხმარდით, თუ გუ- პრეფიქსს...

თუ ჩუენ მიცემითის ფუნქციით იყო აღჭურვილი, მისი მრავლობითობა აღუნიშნველი რჩებოდა ისევე, როგორც თქუენ, მათ ნაცვალსახელთა (მიცემ.: აქუს მათ, გ-აქუს თქუენ, მ-აქუს || გუ-აქუს ჩუენ).

მრავლობითის პრეფიქსად გუ- ძველ ქართულში იმიტომ გვეჩვენება, რომ ახალ ქართულში აქვს ამ ფორმანტს ასეთი მნიშვნელობა: გუაქუს ჩუენ-ში

გ. სიტყვა.

გუ-ს მიჩნევა მრავლობითის ნიშნად—ესაა ახალი ქართულისეული გაგების გადატანა ძველ ქართულში, ე. ი. ისტორიული პერსპექტივის დაუცველობა.

როგორ იქცა გუ- მრავლობითის პრეფიქსად? იმავე გზით, როგორადაც -ან, -ენ, -ეს სუფიქსები იქცა მესამე პირის მრავლობითის ფორმანტებად, თუმცა თავდაპირველად ესენი მარტოოდენ სიმრავლის მაჩვენებელნი იყვნენ.

2. გუ- და მ- სხვადასხვა დიალექტური წრის მიერაა შემოტანილი სალიტერატურო ქართულში. ამ უკანასკნელში გუ- პრეფიქსი უძველესია, მ- პრეფიქსი მინარევია; მ- პრეფიქსის მოხშირება X—XI საუკუნეებზე მოდის; XII საუკუნის საერო ლიტერატურის ენაში მ- პრეფიქსი (მაქუს ჩუენ ტიპი) ქრება; მაქუს ჩუენ წარმოება ზანურია, უფრო ზუსტად: ზანურისებურია.

3. გუაქუს || მაქუს ფორმათა სხვაობას ინკლუზიური და ექსკლუზიური გაგება საფუძვლად ძველ ქართულში არ უდევს.

ცალკეული ფაქტები, სადაც მ- ექსკლუზიურსა და გუ- ინკლუზიურ გაგებას იგუებ, შემთხვევითია; ის მიღებულია მარტივი ალბათობის ნიადაგზე: გვაქვს ორი აფიქსი, ვვარაუდობთ ორ ფუნქციას: შეუძლებელია ზოგან დამთხვევა არ მივიღოთ (ზევით, ადიშისა და ოპიზა-ტბეთის მაგალითთა შედარებისას, ვნახეთ, თუ როგორა ხდება ეს—იხ. გვ. 108-9).

ასეთია საქმის ვითარება, თუ ძვ. ქართულის ფაქტებს, ქართული ენის მონაცემთა მიხედვით, ქართული ენის ისტორიული განვითარების პერსპექტივაში დავაფასებთ.

მაგრამ სხვაგვარი შთაბეჭდილება შეიძლება მივიღოთ, თუ სვანურის ჩვენებას დავემყარებთ: სვანურში პირველი პირის მრავლობითში გარჩეულია ინკლუზივი და ექსკლუზივი,—ეს ეხება სუბიექტის პირველ პირსაც და ობიექტისასაც. მერე, რაც ხაზგასასმელია, ობიექტის ინკლუზიური ფორმა გვ- პრეფიქსითაა გადმოცემული.

სწორედ სვანურზე დაყრდნობით იძლეოდნენ ძვ. ქართულის ფორმის თავისებურ განმარტებას: გუ- || მ- პრეფიქსთა გამოყენება ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოვლენააო.

„ვინაიდან ძვ. ქართულს O_1 მრავლ. ორი ფორმა აქვს, რომლებიც, მართალია, მნიშვნელობის მიხედვით უკვე აღარ განსხვავდება, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ინკლუზიურ და ექსკლუზიურ პრეფიქსთა სხვაობა ძველია და მხოლოდ სვანურსა აქვს შემორჩენილიო“—წერს გ. დეეტერსი¹.

„გუ- და მ- ფორმანტებთან დაკავშირებით ძველი ქართულის გუ- და მ- გვაგონდება. უკანასკნელთა შორის, ალბათ, ისე იყო როლი განაწილებული, როგორც დღეს არის სვანურში. გვგონია, რომ გუ- შეესაბამებოდა გუ-ს, ხოლო მ- — მ-ს. მეგრულში გუ არა ჩანს, ალბათ, დაიკარგა“—ვკითხულობთ ვ. თოფურიას მონოგრაფიაში სვანური ზმნის შესახებ².

ამავე საკითხს სპეციალური წერილი უძღვნა კარპ. დონდუამ³. ავტორის დასკვნა ასეთია:

¹ Das kharthwelische Verbum (1930), § 45, 83. 27.

² სვანური ენა. I. ზმნა (1931), § 6 B₁, 83. 26. სვანური უმარცვლო უ ხან უ-თია ქვემოთ გადმოცემული, ხან ვ-თი (წყაროს მიხედვით).

³ Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском: კრებული «Памяти акад. Н. Я Марра» (1938), გვ. 135—151.

ძველი ქართულის ძეგლებში დარჩენილია ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალი. ინკლუზივის ნიშანია გუ- პრეფიქსი, ექსკლუზივისა—მ. გუ- პრეფიქსი „მეტად ძველი პრეფიქსია სვანურსა და ძველ ქართულში“.

ძვ. ქართულში გუ-ს „უკვე აღებული აქვს თავის თავზე ოდესღაც ექსკლუზიური მ- პრეფიქსის ფუნქცია. გუ-ს შეუფერებელი გამოყენების მაგალითები ხშირია, მ- ექსკლუზივისთვის უფრო თანამიმდევრულადაა გამოყენებული...“

ავტორს აღნიშნული აქვს, რომ არის შემთხვევები, სადაც გუ- || მ- პრეფიქსები ერთა და იმავე ჩუენ-ზე მიუთითებენ, მაგრამ შეუმჩნეველი რჩება მი-გუავლინენ, გვწყალენ რიგის ფორმები, სადაც ობიექტის მრავლობითობა სუფიქსით არის გადმოცემული და გუ-ს საამისო ფუნქცია არა აქვს. არც სათანადო დასკვნებია გაკეთებული.

კარბ. დონდუასთვის ისევე, როგორც ვ. თოფურიასთვის ამოსავალია სვანურის ვითარება, სვანურში ინკლუზივისა და ექსკლუზივის კატეგორიათა არსებობა.

ეს ბუნებრივიცაა: ქართველურ ენათა შორის სვანურს რიგს შემთხვევაში ძველისძველი მოვლენები აქვს შემორჩენილი. მაგრამ ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმათა წარმოებას სვანურში იმდენი სირთულე ახლავს, რომ, სანამ მას არ მოველემა, სვანურის ეს კატეგორიები ქართულის ძველს ვითარებას ვერ გავიკვებენ. პირველ რიგში, პასუხი უნდა გავცეთ კითხვაზე: **პირველადი, ძველი მოვლენაა სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიათა გარჩევა თუ მეორეული?** ამჟამად, ვფიქრობთ, მეტი საბუთი არსებობს იმისათვის, რომ სვანურში ამ კატეგორიათა მეორეულობა ვამტკიცოთ, ვინემ—პირუკუ.

სვანურიო, რომ ვამბობთ, ამას დაზუსტება ესაჭიროება. სვანური რთული შედგენილობისაა; მასში შეინიშნება: ერთი ტენა, რომელიც მას ქართულთან აკავშირებს; მეორე ფენა, რომელიც ზანურიდან (ჰანურ-მეგრულდან) მოდის; მესამე ფენა, რომელიც გარკვევით ადილურ მასალას წარმოგვიდგენს; და კიდევ ერთი, რომელიც კანონზომიერ შეფარდებაშია ქართულთან (და მით ზანურთანაც). **ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით სწორედ ეს უკანასკნელი ფენაა, რომელსაც უფლება აქვს „სვანურის“ სახელი ატაროს და ქართულისა და ზანურის გვერდით ახალ, ცალკე ერთეულად იყოს მიჩნეული ქართველურ ენათა წრეში.**

სანამ სვანური ინკლუზივ-ექსკლუზივის ჩვენებათა შედარებითი ანალიზი და კვალიფიკაცია იქნებოდეს მოცემული, საჭიროა ფაქტობრივი ვითარება სქემატურად გავითვალისწინოთ.

ეს ვითარება ვრცლად არის განხილული ვ. თოფურიას გამოკვლევაში სვანური ზმნის შესახებ (იქვეა გადმოცემული, სხვა ავტორთა შეხედულებანიც). წარმოვადგენთ ძირითად დებულებებს:

ა. ექსკლუზივი და ინკლუზივი სუბიექტის ფორმებშიც გაირჩევა და ობიექტისაშიც:

ექსკლ.: ნამ ხუ-არი-დ „ვართ“ ტ-ჟი-იხე-დ „ვაბრუნებთ“

ნ-აყა „გვყავს“ (მე და ის) (მე და მას)

ინკლუზ.: ნამ ლ-არი-დ

„ ლუ-ტხე-დ „ვაბრუნებთ“

გუ-აყა „გვყავს“ (მე და შენ) (მე და შენ)

ხვ = S₁ ექსკლ. ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან
 ვ = " " თანხმოვნით " "
 ლ = S₁ ინკლ.

ნ — O₁ ექსკლ.

გჟ — O₁ ინკლუზ.

ბ. სუბიექტურ ფორმათა ინკლუზივი და ექსკლუზივი ყველა სვანურმა კილომ იცის, ობიექტის ფორმებში კი ეს კატეგორიები მხოლოდ ზემოსვანურმა (ინგურის ხეობა ბალს ზემოთ და ბალს ქვემოთ!) იცის, ქვემოსვანურში—ლაზხურ-ლენტეხურში ეს ფორმები გარჩეული არაა, O₁ მრ. ერთი ფორმითაა ცნობილი და სათანადო ფორმანტი არის გვ: გვ-აყა „გვყავს“.

გვ- პრეფიქსი, ამრიგად, სვანური კილოებისათვის საერთოა, ოღონდ ზოგან მას ქართულის მსგავსად ზოგადი მნიშვნელობა აქვს, ზოგან კი ინკლუზიური გაგება ახლავს.

ც. ობიექტისა და სუბიექტის ექსკლუზიურ და ინკლუზიურ ფორმანტთა აღნაგობაში არავითარი კანონზომიერი შეფარდება არა ჩანს: ფუნქციურად ერთმანეთთან ახლოს მყოფი ნ—ლ, ხვ—გვ ფუნქციით ძირითადად განსხვავდებიან:

ნ—ობიექტის ექსკლუზივისაა, ლ—სუბიექტის ინკლუზივისა,

გვ- ობიექტის ინკლუზივისაა, ხვ—სუბიექტის ექსკლუზივისა

მერე: ამ პრეფიქსთა შეფარდება მხოლოდობითის პირველი პირის პრეფიქსებთან არაა ერთგვარი: „ვერ ვიტყვი, ლ- S ინკლ. ისეთსავე მიმართებაში იყოს ხვ S₁ მხოლ., როგორშიც გვ- O₁ ინკლ.—მ- O₁ მხოლოდობითში“¹.

დ. O₁ ინკლ. გჟ- ვ. თოფურიას რთული შედგენილობის პრეფიქსად აქვს ნაგულგები და ასე შლის: გ- O₂, ჟ — მ O₁...²

ეს, ერთი შეხედვით, სავსებით ბუნებრივი ვარაუდი მეტად რაციონალური გამოდის და, მერე, რაც მთავარია, მას ხჟ- პრეფიქსის ჩვენება ელოდება: ხჟ პრეფიქსი არ იშლება ამ წესით; უკეთ რომ ვთქვათ, იშლება, მაგრამ ინკლუზიური შინაარსისა გამოდის და არა ექსკლუზიურისა: ხ—S₂, ჟ—S₁. ეს გარემოება, ვ. თოფურიას თქმით, გარდაულახავი დაბრკოლებაა ხჟ-ს დაშლისათვის (იმ წესით, რა წესითაც გჟ- იქნა დაშლილი)³.

ექსკლუზიური ნ-ს „შედგენილობაც“ ფუნქციის შესაბამისად ვერ იხსნება...⁴

სუბიექტის ინკლუზივი და ექსკლუზივი სვანურის ყველა კილოში გვაქვს, ობიექტისა—არა: გჟ- || ნ- მხოლოდ ზემოსვანურში იხმარება. როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? ყველგან იყო გარჩეული და ახლა მიმდინარეობს ამ კატეგორიათა მოშლა თუ პირუკუ: ამჟამადაც არაა დასრულებული პროცესი გჟ- || ნ- პრეფიქსთა გამოყენებისა ინკლუზიური და ექსკლუზიური O₁ ფორმანტებად? ჩვენ უკანასკნელი შესაძლებლობა მიგვაჩნია უფრო სარწმუნოდ.

¹ კ. დონდუა, Катег.: явкл.-эксკ.: კრებული, გვ. 143;

² სვან. ენა, § 6, Ba, გვ. 26.

³ იქვე, § 6, C₁, გვ. 29.

⁴ იქვე, გვ. 28

რატომ? იმიტომ, რომ ზემოსვანურშიც გჳ-|| ნ- პრეფიქსთა ხმარებაში გვაქვს ერთგვარი რყევა. სათანადო ფაქტები დადასტურებულია ვ. თოფურიას მიერ, ის წერს:

„უშგულურში, რომელსაც ლაშხურის გავლენა ეტყობა, გჳ-სა და ნ-ს ხმარების წესი საკმაოდ არეულია, რაც ინკლუზივ-ექსკლუზივის შორის არსებული სხვაობის წაშლასა და ნ-ს დაკარგვის დასაბამს მოასწავებსო“¹.

ავტორის მიერ მოყვანილი უშგულური მაგალითები — მანა ჯეკუეს, ეჯა გუჳყრ („რაც გასურდეს, ის გვიყავ“)... დედი ქოგუხუტ „ანდა ამოგეწყვიტე“² იმდენად აღრევას არ მოწმობს, რამდენადაც გჳ- პრეფიქსის ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებას; ეს სავეებით იმ რიგის მაგალითებია, ძველი ქართული ტექსტებიდან რომ მოვიყვანეთ ზემოთ: გამოგვთარგმანე ჩუენ... განგვლე ჩუენ... გვბრძანე ჩუენ... გჳ- იქ ზის, სადაც სვანურში ნ-ს მოველოდით (და ძვ. ქართულში მ-ს, თუ კი ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები გამიჯნული აღმოჩნდებოდა).

მსგავსი ფაქტები შენიშნული აქვს იმავე ავტორს იფარელთან და ეცერელთან; იფარში მსმენიაო: შუიდებლუ ლოგუტყედა (ნაცვლად—შუიდებლუ ლანტყედასი—„მწვიდლობითამც მოგვიხველ“)... „სი ოლ გუირო შუიდებლ“ („შენმცა გვყავხარ მწვიდობითა“)—ეცერელმა ასე დაველოცა აქ თბილისშიო“ და დასძენს: „ამათ მსგავსი მაგალითები სულ რამდენიმელა მოიძებნება შეკრებილს მასალებში. საჩკვევია, თუ რატომაა ეს. უნდა ითქვას, რომ: 1. ნ- ნიშნის ნაცვლად გჳ-ს ხმარების შემთხვევა იმდენად მცირეა ჩვენს მასალებში და 2. ნ- და გჳ- იმდენად ცოცხალი ფორმანტებია ზემოსვანურში, რომ არა გვეგონია, ეს ამ უკანასკნელთა აღრევით იყოს გამოწვეული. ჩვენი მასწავლებლები მათ არასოდეს არ რევედენ ერთმანეთში. მათი არევა არც დაბეჭდილ პროზაულს ტექსტებში შეინიშნებაო“³.

აღრევა აქ, მართლაც, არა გვაქვს; აღრევა იქნებოდა, გჳ- გვეპოვა იქ, სადაც ნ-ს მოველოდით და, პირუკუ, ნ- პრეფიქსი მჯდარიყო იქ, სადაც გჳ-ს ადგილია. აქ კი ნორმის ცალმხრივ დარღვევას ვხედავთ: ნ- უნდა იყოს და გჳ- არის, ე. ი. ნ- პრეფიქსის გამოყენების არეა შეზღუდული და გჳ- პრეფიქსისა, პირიქით, გაფართოებული. ზევით უკვე ვთქვით, რომ ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ძველ ქართულშიც.

ლაშხურის გავლენით უშგულურში ნორმითა შერყევა ერთგვარად მოულოდნელია.

თუ ლაშხურსა და ლენტეხურში გჳ-|| ნ- გარჩეული იყო და სხვაობა მერეა მოშლილი და ამგზით მივიღეთ მართო გჳ- პრეფიქსი, საკვირველია, რატომ არსად შემოგერჩია ნ- პრეფიქსის ხმარების ნაშთი.

თუნდაც სალოცაეების გამოთქმებში, როგორიცაა ჯგზრანგ[უ] ლოგე-შედა... ჯგზრანგ, სი ლოგეშმ!—ჯგირაგიმც (ვიორგიმც) შეგვეწვივა... ჯგი-

¹ იქვე, გვ. 25.

² იქვე, გვ. 26.

³ იქვე, შენიშვნა.

რაგ, შენ შეგვეწიე!¹ (ეგვევ გამოთქმა ლატალელთან ასეთ სახეს იღებს: „ჯგგ-რავი სი ლანეშდ!“² ეს ექსკლუზიური ფორმა კანონზომიერია).

ლაშხურ-ლენტესურში ნ- არსად ჩანს. სამაგიეროდ, გჷ- არა მხოლოდ უშგულურში გვევლინება ნ-ს ადგილას, ლექსებში ასეთი რამ სხვაგანაც გვაქვს. მულახში ჩაწერილია ლექსი «მურზაბეგ», სადაც ვკითხულობთ:

აშ გვიბინა ლიზ-ლიჩედი,	ასე დაგვიწყია სვლა-წასვლა,
წყაყვიმი ქარვან სვა ლოგზვიდდა:	მწყრის ქარავანი შემოგვხვდა:
მესამე ლანშან ალა გვერა ³	მესამე ნიშანი ეს გვექნება.

გჷ- აქ უადგილო ჩანს... ამავე ლექსში რიგი სხვა მსგავსი ფორმა მოგვეპოვება.

ვერც უშგულის და ვერც მით უფრო ლაშხურის გავლენას ამას ვერ მივაწერთ. მართალია, ლექსებს ჩვეულებრივად ფართო გავრცელება აქვთ, თემის ფარგლები მათთვის არ არსებობს, პოეზია „საერთო სვანურია“, თუ შეიძლება ითქვას (და არა დიალექტური), მაგრამ სწორედ ამიტომ ლექსის ენის ჩვენება განსაკუთრებით ფასეულია. ლექსების ენაში, ვიმეორებთ, გჷ- არა ერთგან აღმოჩნდება ხოლმე ნ-ს ადგილას, „უშგულიზმები“ მართო უშგულურს, ეტყობა, არ ახასიათებდა...

მესტიანია ჩაწერილი „გიერგ დაღვან“; აქაც იკითხება:

აშ გვიბინა ლიზ-ლიჩედი (—ასე დაგვიწყია სვლა-წასვლა—), თუმცა ინკლუზიური შინაარსი აქ შეუფერებელია: გიერგ დაღვანი ჩეგემლებმა დაატყვევეს, ჩრდილოეთ კავკასიაში მიჰყავთ, და დატყვევებული გვიყვება თავის ამბავს: დავიწყეთ სვლაო—ვინ? ტყვედ წაყვანილმა მომთხრობმა და დამტყვევებლებმა („მე და მათ“)...

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მულახში ჩაწერილი ლექსი „ვიც-ბილ-მაცბილ“:

ხვილზიგალედ ლატლარ ჰოკერ,
ლალზიგალეს დარ გვაჩოდა.
ქა ლლქენნიდ ლატლარხანქა
ნაზუარეს ჩუ ელცივირედ.
ემდერუ ზამ ქავ გვაჩედა,

ესახლობთ ლატალელების ბოლოს,
სახლობას არავინ გვაცლიდა.
გადავსახლდებით ლატალელებისგან,
(ჩვენს) კვალს („ნავალს“) დაეტოვებთ.
თორმეტი წელი გაგვხდომია
(„გავგესვლია“),

ტებლი დინარ დესა გვიმა;
ემდერუ ზამ ქავ გვაჩედა,
ქორ ი ლირდედ მად გვიზნანა;
ემდერუ ზამ ქავ გვაჩედა,
მუქხვი ლირდედ დესა გვარა.

თბილი პური არ გვიქამია;
თორმეტი წელი გაგვხდომია,
სახლ-კარისთვის არ მოგვივლია;
თორმეტი წელი გაგვხდომია,
ტბილი ცხოვრება არა გვქონია.

¹ სვანური პოეზია, გვ. 312. ჩაწერილია ა. შანიძის მიერ. „სვანები, იყვნენ [ჩამოსული] თბილისში და იმღერეს მუშათა სასახლის ერთ-ერთ ოთახშიო...“ არაა ნაჩვენები, სადაურები იყვნენ. ჩაწერის თარიღი 8.XII.1932.
² იქვე, გვ. 312.
³ იქვე, გვ. 16.

ცოცხალი გუშგვეა ნოვ ხაშდებახ,
 მამ ხაშონდახ ხეხვარ გუშგვეად?...
 სემი ზაილდ ქავ გვაჩედა,
 ეცერ-ცხუმარ უქნა-ულაშვინდუვ
 გვიცვირა...

ცოცხალი ჩვენი არ გამოლოდეთ („ნუმც
 გამოლოვიათ“),
 რად ენანებოდათ ცოლები ჩვენთვის?..
 სამი წელი გაგვხდომია,
 ეცერ-ცხუმარი უხნავ-უთესად
 დაგვიტოვებია...
 (სვან. პოეზ. 78—81)

გვაჩოდა („გეცლიდა“)... გვაჩედა („გაგვსვლია“)... გვიმა („გევიქამია“)... გვარა
 („გექონია“)... გვიცვირა („დაგვიტოვებია“)... გუშგვეა („ჩვენი“)... გუშგვეად
 („ჩვენთვის“, „ჩვენდა“)—ყველა ინკლუზიური ფორმაა, მაგრამ ინკლუზიური ში-
 ნაარსი არც ერთს ამათავანს არა აქვს და არც შეიძლება ამ კონტექსტში ჰქონ-
 დეს: ვიცბილ-მაცბილ თავიანთ თავგადასავალს ჰყვებიან: აქ ვესახლეთ, ასე მო-
 გვივიდა და ასეო... ვის? მე და თქვენ? მსმენელს ან მკითხველს? რა თქმა უნდა,
 არა: „მე და ჩემს ძმასო“... (ე. ი.: მე და მას): გვ- პრეფიქსი ინკლუზივის
 შინაარსისა აქ არ შეიძლება იყოს...

ლექსი იწყება სიტყვით: „ხვილზიგალედ“ „ესახლობთ“, მის გვერდითაა
 გვაჩოდა: უკანასკნელს ისევე არ ახლავს ინკლუზიური გაგება, როგორც ხვილზი-
 გალედ ფორმას (ინკლუზივი იქნებოდა „ლილზიგალედ“).

**ხვილზიგალედ ლატლარ ჰოკერ,
 ლალზიგალედ დარ გვაჩოდა...**

ხვილზიგალედ არა მხოლოდ იმითაა ფასეული, რომ ხაზგასმით გვაჩვენა—გვა-
 ჩოდა ინკლუზივი არააო, არამედ სხვა მხრივაც; გვაჩოდა ისევე ზოგადი ფორ-
 მათა ობიექტის პირველი პირისათვის, როგორც ხვილზიგალედ უნდა ყოფი-
 ლიყო ზოგადი ფორმა სუბიექტის პირველი პირისათვის მრავლობითში: სვა-
 ნურის ისტორიულად უპირატესი ფორმები მრავლობითისა ესენია ხუ—გუ (ნ-
 O₁ და ლ- S₁ მეორეული მონაცემებია).

ლექსის მესამე და მეოთხე ტაეპში S₁ ინკლუზიური ფორმებია ამოტივტი-
 ვებული ლლქქხნიდ, ელცვირედ: ეს მომხდარია ლექსის მოდერნიზაციის პრო-
 ცესში... ეგვეე ითქმის ნეგნი, ნულვა, ნაკუ, ნიშგვეა ფორმათა შესახებ (ესენი
 ისევე იმ ჩვენ-ზე მიუთითებენ, რამაც გვაჩედა, გვიცვირა, გუშგვეა ფორმები
 მოგვცა):

ნამ ფაყვარე თხუმეი ნეგნი, ჩვენ ქულები თავზე გვეხურება,
 ნებგვაეი ნამ სვინდის ნულვა, შუბლზე ჩვენ სინდისი გვაქვს,
 ხეხვარ ნიშგვეა ნიშგვეად ნაკუ! ცოლები ჩვენი ჩვენთვის გვინდა!..¹

საკვირველი ის კია არაა, რომ ასეთი ფორმები, თანამედროვე ზემოსვანუ-
 რი ნორმების შესაბამისი, ლექსში გაჩნდა; საკვირველი ისაა, რომ რივ შემთხ-
 ვევაში ძველი ნორმები დაცული აღმოჩნდა. ფორმების მძრავ ლექსის გადაძუ-
 შავების დამახასიათებელი ფაქტია „ვიცბილ-მაცბილში“ მოცემული. ამგვარი

¹ სვან. პოეზია, გვ. 80.

გადამუშავების შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა გვექონდეს, როცა სვანური ლექსების ტექსტის ისტორიული სახის აღდგენას დავისახავთ მიზნად...

ამჯერად გუ- პრეფიქსის შესახებ მოყვანილი მასალით დავკმაყოფილდებით (იმავე „სვანურ პოეზიაში“ მსგავსი სხვა ფაქტებიც დასტურდება, მაგრამ მათზე აქ ვერ შევჩერდებით). აქამდე თქმული გასაგებს ხდის, რატომ ვვარაუდობდით, რომ გუ- || ნ- პრეფიქსთა გარჩევით გამოყენება მეორეულია; სადაც მათი გამოიყენა არ ხერხდება („უშგულიზმები“), იქ სწორედ ძველი ვითარებაა დაცული.

გუ- პრეფიქსი ძველ ქართულში არ აღმოჩნდა O_1 მრავლობითობის ნიშანი. ეს პრეფიქსი მთელ სვანურ მეტყველებაში ჩანს: ესაა ერთი იმ მორფოლოგიურ ფაქტთაგანი, რომელიც ქართულს (უკეთ, მის ერთ ფენას) და სვანურს მჭიდროდ აკავშირებს, როგორც საერთო ინგრედიენტის, ორივე ენობრივი ერთეულის მონაწილე დიალექტის, კუთვნილება.

გუ- პრეფიქსი ძვ. ქართულში არც მრავლობითობის ნიშანი იყო და არც მისი ინკლუზიური ვარიანტის მაჩვენებელი.

ბუნებრივია, რომ ამასვე მოველოდეთ სვანურში: გუ- სვანურშიც არ უნდა ყოფილიყო მრავლობითობის ფორმანტი და, მაშასადამე, ის ვერ იქნებოდა ამ მრავლობითობის ერთ-ერთი ვარიანტი, ინკლუზიური: ის შეიძლებოდა მხოლოდ შემდეგში ქვეუღიყო ასეთ ფორმანტად, აღჭურვილიყო ამ ფუნქციით ისევე, როგორც ახალ ქართულში მოგვევლინა ობიექტის პირველი პირის მრავლობითის ნიშნად. ამ ფუნქციით აღჭურვა უნდა დაწყებულიყო იმასთან დაკავშირებით, რომ სვანურში (ე. ი. იმ ენაში, რომელსაც ახლა სვანური ეწოდება)—დიალექტთა თუ ენათა შერევის შედეგად—ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა გუ- და ნ- პრეფიქსები. სვანურის გარკვეულ ფენაში ჩვენ ნაცვალსახელად ნაჟ მოგვეპოვებოდა და ზმნაშიც გვექონდა შესაბამისი პრეფიქსი ნ- პირველი პირისა მრავლობითში (ეს პრეფიქსი ისეთსავე დამოკიდებულებაშია ნაჟ ნაცვალსახელთან, როგორშიც აფხაზური ჰარა „ჩვენ“ ჰა პრეფიქსთან: ჰარა ჰა-ყოუპ „ჩვენ ვართ“—შრდ. ნაჟ ნ-აყა „ჩვენ გვყავს“: მრავლობითის ჩვენება ნ- პრეფიქსს იმთავითვე შეეძლებოდა, თუ მას ნაჟ ნაცვალსახელთან აქვს გენეტური კავშირი). მეორე ფენამ გუ- პრეფიქსი მოიტანა. მათი სიმბიოზის პროცესში გუ- || ნ-ს ფუნქციათა გამოიყენა მივიღეთ. ხვედრი წონა? გუ- კილოსი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვინემ ნ-სი. მასთან ნ- ფენის გამგრძელებლები ზემო სვანეთის თემებში არიან წარმოდგენილი. ასეთია ვარაუდი.

ამ ვარაუდში ყველაზე დაუჯერებელია გუ-ს ფუნქცია. როგორ შეიძლება ბოდა გუ- არ ყოფილიყო მრავლობითის ნიშანი?

ქართულში გუ-ს ფუნქციის საკითხი გადაწყვიტა გან-გუ-ახლ-ნ-ა ტიპის წარმოებამ. სვანურს ასეთი რამ ამჟამად არა აქვს. მაგრამ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუ ექნებოდა, სუფიქსით აღნიშნავდა სათანადო ობიექტის (სახელაბ.) სიმრავლეს. რაც შეეხება მაქვს, მყავს ტიპის ზმნებს, მიცემითის მრავლობითობა არც ქანურ-მეგრულსა და არც სვანურში ისევე არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული, როგორც არ გვექონდა ძვ. ქართულში. ამგვარად: თუ მრავლობითის აღნიშვნის ის პრინციპი, რაც ქართულსა და სვანურში დასტურდებ-

ბა, სვანურის მიმართაც ძალაშია, გუ- პრეფიქსის კვალიფიკაცია არ შეიძლება იყოს სსვანაირი, ვინემ ქართულში.

ერთად ერთი შემთხვევაა, როდესაც სხვაგვარი გზაც რჩება: ეს მაშინ, თუ გუ- პრეფიქსს აღმოაჩნდებოდა შესაბამისი ნაცვალსახელი მრავლობითისა „ჩვენ“, ე. ი. თუ აფხაზურიდან ცნობილი ვითარება დადასტურდებოდა: მაშინ გუ- პრეფიქსი ისეთსავე მიმართებაში იქნებოდა სათანადო ნაცვალსახელთან, როგორშიც ნ- პრეფიქსია ნჷა-სთან ან აფხ. ჰა- პრეფიქსია ჰარა-სთან. ასეთი ნაცვალსახელი არა ჩანს: არის კუთვნილებითი ნიშგუჷა—გუიშგუჷა „ჩვენი“, მაგრამ „ჩვენ“ არის მარტოოდენ ნჷა. გუიშგუჷა-სათვის იგივე ოდენობაა ამოსავალი, რაც გუ-სთვის, და ეს ამოსავალი ოდენობა არ უნდა ყოფილიყო ჩვენ ნაცვალსახელის მნიშვნელობისა (ამაზე ქვემოთ).

ნ- პრეფიქსიანი დიალექტი რომ არაა, ზემოსვანურში გვექნებოდა ისეთი ვითარება, როგორიც ქვემოსვანურს (ლაშხურსა და ლენტეხურს) ახასიათებს: მან მხოლოდ გუ- პრეფიქსი იცის (სწორედ იმგვარადვე, როგორც ესაა ახალ ქართულში). ამგვარად, ქვემოსვანურში (ლაშხურ-ლენტეხურში) უფრო ძველი მდგომარეობაა დაცული, ვინემ ზემოსვანურში.

ვთქვათ, ყველაფერი ეს ასეა; გუ- ზემოსვანურში ინკლუზივის ფუნქციით მერე აღიჭურვა. თავდაპირველად არც ინკლუზივს, არც მრავლობითს გუ- არ აღნიშნავდა. ეს მოსაზრებები საბოლოო ანგარიშში ემყარება ძვ. ქართულის მოწმობას: გუ- მრავლობითის ნიშანი იქ არ აღმოჩნდა. თვით სვანურში თუ გვაქვს იმის მაგალითი, რომ ინკლუზივში (ან ექსკლუზივში—პრინციპულად ეს სულ ერთია!) არა მრავლობითის, მხოლოდობითის სუფიქსი იყოს გამოყენებული? მხოლოდობითი რიცხვის ცნობილი და უდავო პრეფიქსიაა, სუბიექტის ექსკლუზივისათვის რომაა გამოყენებული: ხჷ არიდ „ვართ“, „ვარსებობთ“ (მე და ის || ისინი), ტჷ იხედ „ვაბრუნებთ“ (მე და ის || ისინი)... შდრ. მხოლ. ხჷ არი, ტჷ იხე...

ხჷ-არი—ხჷ-არი-დ ერთმანეთთან სავსებით ისეთსავე მიმართებაშია, როგორიც ჰან. ვ-ორე—ვ-ორე-თ, ქართ. ვ-არ—ვ-არ-თ ფორმებს შორის არსებობს: მრავლობითის პირველი პირი უდრის მხოლოდობითის პირველ პირს პლუს მრავლობითობის -დ სუფიქსი (ჰანურსა და ქართულში თ—დ). მრავლობითობის ეს სუფიქსი აქ აუცილებელია, რადგანაც სუბიექტის მრავლობითობა უნდა იქნეს აღნიშნული (ობიექტის მრავლობითობაზე ეს არ ითქმის: მიცემითში დასმული ობიექტი ზმნას მრავლობითში არ შეითანხმებდა).

ხჷ-არიდ ორდინარული მრავლობითია, ხჷ არ ი'საგან ნაწარმოები. ხჷ-არი ისევე შეუძლებელია იყოს ექსკლუზივი (თუ ინკლუზივი), როგორც ქართ. ვ არ (ან ჰან. ვორე) ასეთი მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება.

სვანური ექსკლუზიური ფორმისათვის გამოყენებულია მხოლოდობითის პრეფიქსი; ეს ფაქტია, მასთან ისეთი ფაქტი, რომელიც ამა თუ იმ სვანურ კილოსკი არ ახასიათებს, არამედ სვანურის ყველა კილოსთვის ნორმას წარმოადგენს. ამ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს: ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმანტები აუცილებელი არაა თავის შედგენილობაში შეიცავდეს სხვადასხვა პირის პრეფიქსთა კომბინაციას (პირველისა და მესამის, პირველისა და მეორის...),

საჭირო არაა ვეძიოთ ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმანტთა შედგენილობაში ორი პირის პრეფიქსი¹: ჩვეულებრივი მრავლობითი² შეიძლება განუკუთვნონ ინკლუზივის ან ექსკლუზივის, როცა სუბიექტის პირველი პირის მრავლობითს ეხება საქმე, და ჩვეულებრივი მხოლოობითის ფორმაც შეიძლება ამავე როლში გამოვიდეს, თუ ობიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივია გადმოსაცემი (ობიექტის მრავლობითობა შეიძლება არ იყოს აღნიშნული).

საკმარისია ხტპრიდ ფორმის ექსკლუზიური შინაარსი დავსახოთ ამოსავლად და ხტ- პრეფიქსში ორი პირის ნიშნის კომბინაცია მივიჩნიოთ, რომ გადაულახავმა დაბრკოლებებმა იჩინონ თავი.

ასე, მაგალითად, შუხარდტი ხტ პრეფიქსში გამოყოფდა ხ—O₃ და ტ—S₁... მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხტპრიდ სუბიექტური ფორმა აღარ გამოვიდოდა.

ვ. თოფური ა ექსკლუზივის ხტ-ს შესახებ. ამბობს: „ხტ-ს გარეგნობა გვატუნებს, რომ მასში S₂ ხ- და S₁ ტ დავინახოთ“, მაგრამ მაშინ ხტპრიდ ინკლუზივი იქნებოდა („ვართ მე და შენ“), არის კი ექსკლუზივიო...

მერე: თუ ხტ-ს შედგენილობაში ორ პირზე მითითება უკვე გვაქვს, რაღას მაქნისა -დ სუფიქსი? მეორე პირის—ხარი-დ „ხართ“—ანალოგიით მისი ახსნა³ დამაჯერებელი, რასაკვირველია, არაა.

და კიდევ: თუ მრავლობითის ხტ-პრი-დ ფორმიდან ამოვალთ და ხტ- პრეფიქსში ექსკლუზივობის შინაარსს ჩავდებთ, როგორ მოვევლება ხტ- პრეფიქსს მხოლოობითში: ხტ-პრი „ვარ“: აქ ხომ პირველი პირის გარდა სხვა არაფერია გადმოსაცემი? მრავლობითის ანალოგიით გაჩნდა მხოლოობითში ხ-ანიო, არ ითქმის. მით უფრო ხელოვნურია ახსნა: „მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი პირველ სუბიექტურ პირშია გადასული ანალოგიის წყალობითო“⁴.

კარპ. დონდუა წერს: ხტ პრეფიქსი ანალოგიის მიხედვით შექმნილი ვერ იქნება; მისი ორივე შემადგენელი ნაწილი —ხ-, ტ—უცილობლად პირველადია და თითოეულ მათგანს გარკვეული ფორმანტის მნიშვნელობა აქვსო. მაგრამ რადგანაც ხტ- პრეფიქსი ერთ პირზე მიუთითებს, როგორც მხოლოობითში (ხტპრი), ისე მრავლობითშიც (ხტპრიდ), საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხ- აქ არაა პირის ნიშანი (მეორისა ვინდა მესამისა), არამედ „რაც განსაკუთრებული მორფოლოგიური დანიშნულება აქვს; რომელიც სვანურისა და მის მონათესავე ენათა მასალაზე უნდა გაირკვესო. ეს ხ- საერთომ პირველი და მეორე პირისათვისო⁵. წარმოდგენილი მსჯელობის ნეგატიური ნაწილი საქმის შესაბამისი უნდა იყოს.

დეეტერსის მიხედვით ხტ- პრეფიქსი პირველადი არაა: რაკი ძველ ქართულში მხოლოდ ვ გვაქვს, ხტ- ახალი უნდა იყოსო⁶.

¹ ამაზე სამართლიანად მიუთითებს კარპ. დონდუა: Катег. инкл.-экскл.—კრებ., გვ. 143.

² S₁ ექსკლუზივის ასეთი ხოვადი, ჩვეულებრივი მრავლობითის გაგება აღმოაჩნდა ზნანუი ზვიღ ზიგალედ „ესაზლობთ“ ლექსში „ვიცბილ-მაცბილ“.

³ სვანური ენა, § 6, C₁, გვ. 29.

⁴ ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: „არილი“, გვ. 182, შენიშვნა.

⁵ კ. დონდუა, ხენ. წერილი: კრებ., გვ. 140.

⁶ Das kharthw. Verbum, გვ. 26.

ამჟამად, ერთი რამ ცხადია: **ხჟ**- მხოლოდობითში (**ხჟპრი**) შეუძლებელია მრავლობითის მიხედვით გაშუქდეს; პირუკუ: **მრავლობითი უნდა დაემყაროს მხოლოდობითს**: ამას მოითხოვს ქართველურ ენათა ზმნის უღვლილების პრინციპი.

მრავლობითიდან ამოსვლა კიდევ, როგორც ვიცით, ექსკლუზივისათვის საჭირო პრეფიქსების ძიებამ გამოიწვია.

აქამდის თქმული შეიძლება ასე შევაჯამოთ:

არც O_1 ინკლუზივის **გჟ**- და არც S_1 ექსკლუზივის **ხჟ** მრავლობითის პრეფიქსები არაა: ქართულისა და სვანურის ჩვენება ამას მოწმობს.

სვანური ინკლუზივი და ექსკლუზივი ვერ გამოდგება დასაყრდენად ძვ. ქართულის **გუ**- || მ- პრეფიქსთა ინტერპრეტაციისათვის; თვით სვანურში ეს კატეგორიები მოითხოვენ გარკვევას. მათი შედგენილობა-წარმოქმნის ისტორიის დადგენისას ძველი ქართულის **გუ**-ს ფუნქცია სახელმძღვანელო მითითებას იძლევა.

გუ- არაა იმთავითვე მრავლობითის ნიშანი, ესე იგი **პრეფიქსით მრავლობითობა ქართული ზმნის უღვლილებაში არ გადმოიცემოდა: ქართულ ზმნაში მრავლობითზე სუფიქსი მიუთითებდა**. მესამე და მეორე პირის მრავლობითში ეს პრინციპი დღემდის დაცულია შეუბღალავად; პირველ პირში ცვლილება მეორეულია.

ამგვარად, ქართული ენის ისტორიისათვის შეუზღუდავად შეიძლება დავტოვოთ ძალაში დებულება: **რიცხვის კატეგორია ზმნაში სუფიქსებით აღინიშნებოდა ისევე, როგორც პირის კატეგორია პრეფიქსებით**.

მესამე პირის სუბიექტი და პირველი პირის ობიექტის **მრავლობითი** იყო, ამას რომ არღვევდა: ორივე მეორეული, გვიანდელი მოვლენაა.

ამით შეიძლებოდა ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვა დაგვემთავრებინა: როგორია მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპი ქართული ზმნის უღვლილებაში... მაგრამ ბუნებრივია ვიკითხოთ: თუ **გჟ**- (და **ხჟ**-ც!) არაა იმთავითვე მრავლობითის ნიშანი, რადაა ეს პრეფიქსები? როგორია მათი წარმომავლობა? ამაზე დაწვრილებით მოგვიწევს საუბარი ზმნის პირთა ანალიზთან დაკავშირებით—სხვაგან.

აქ მოკლედ წარმოვადგენთ ერთგვარ ვარაუდს.

გჟ- და **ხჟ**- პრეფიქსებში უნდა შედიოდეს **ჟ**- პრეფიქსი პირველი პირისა. სუბიექტისა თუ ობიექტის? იგი ორივესთვის საზიარო უნდა ყოფილიყო¹; მაგრამ აქ ეს არაა მთავარი; არსებითი აქ ისაა, რომ **ჟ** ფორმანტია პირველი პირისა. რადაა **გ**- და **ხ**-? მორფოლოგიური ოდენობა არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე; ორივე ფონეტიკური დანართი ჩანს.

გ. ჟ ← ჟ

ხ. ჟ ← ჟ

ამგვარი ვარაუდი რომ მსჯელობის საგანი გახდეს, საჭიროა გარკვეული წინაპირობა: ანალოგიური ფაქტები სხვა შემთხვევებშიც უნდა დადასტურდეს, ამას მოითხოვს თვით ცნება ფონეტიკური ხასიათის ცვლილებისა. გვაქვს კი **გ**, **ხ** თანხმოვანთა **გ**-სთან ფონეტიკურად განვითარების სხვა შემთხვევები? პა-

¹ დაწვრილებით ამაზე—სხვაგან

სუხი დადებითი იქნება: პაგისმიერ ვ (ჟ)-ს წინ ფონეტიკური დანართის სახით გვხვდება **გ, ლ, ქ** უკანაენისმიერი თანხმოვნებზე. სათანადო მაგალითები ქართულშიც გვაქვს, სვანურშიც და ზანურშიც.

ამ ფონეტიკურ დანართ თანხმოვნებს იხილავს ვ. თოფურია სპეციალურ წერილში: „ვ სონანტის გადასვლა **ღვ, გვ, ქვ**-დ“¹.

ჩვენ დაკვირვებით ამ წერილში ნაჩვენები ფაქტების აღნუსხვით და, ჩვენი მხრით, ზოგ ახალ ფაქტზედაც შეიძლება მივუთითოთ.

ღვ — ვ:

სვან. ღვინ-ჲლ... მეგრ. ღვინ-ი, ჭან. ღვინ-ი, ღინ-ი, ქართ. ღვინო...

იგივე ფუძე უღანოდ: ლათ. vinum, ბერძ. *Vinos*...

სვან. ღვაჟ, ქართ. ვაჟ-ი

სვან. (ლახამ.) ღვჳ, ლაშხ. ვჳ, ქართ. ვაჳ-ი

სვან. ღვაჭ, ქართ. მაჭო, მანჭო, სომხ. *მან*

სვან. ღვაჭარ, ქართ. ვაჭარ-ი, სომხ. *վաճար*

სვან. ბალსხემ. ღვეშგდ || ვეშგდ, ლაშხ. ღოშდ უკან

„ ღვეშგინ || ვეშგინ, ლშხ. ღოშგინ... „

სვან. ღვაშ „მინალი ჯიხვი“, ქართ. ვაც-ი

სვან. ღოღაქ ცხვარი, ლაშხ. ღაღღაქ... ბალსხემ. ღაღღაქარ || ღა-ღულაქარ ფარეხი («საცხვრე»)

სვან. ღვარკლჳ, ლშხ. ღვარკლაჳ წვივშიშველი, ქართ. ბარკალ-...

უკანასკნელი სამი მაგალითი ვ. თოფურიას ეკუთვნის; მათში ღ-ს შემორჩელობა დამაჯერებელია; კერძოდ, ღოღაქ-ის შესახებ ამჟამად ს. ჯანაშიასა² და გ. როგავას მიერ გარკვეულია, რომ მისი ფუძე აღიდებულია: ღ-დართვია სვანურში (აღიდ. მწლგ—სვ.* ვალ-აქ —* ვოლ-აქ — დვოლ-აქ — ღოლ-აქ... გ. როგავას ვარაუდით).

გვ — ვ:

გვეს-ი—სომხ. *վես* მზაკვარი.

გუასპურაგანი.—ვასპურაგანი: და ქართლი მისსა ხარკსა შეუდგა: და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი... მოქც. ქართლ.: შატბ. მრავალთავი, გვ. 442.

სპარსნი უფლებდეს ქართლს: და სომხითს და სივნიეთს და გუასპურაგანს... იქვე, გვ. 445,

ჭან. გურუნი, ჭან. და მეგრ. ვირინ-ი, ქართ. ვირ-ი,

ძვ. ქართ. გუალე იარე — შდრ. ვალ... წარ-ვალ-ს...³

¹ ესაა მეხუთე წერილი სერიიდან: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“: ენიშკის მოამბე, X (1911), გვ. 231—236. წერილში თავმოყრილია ლიტერატურაში (კერძოდ, ნ. მარის) დასახელებული მაგალითები და შევსებულია ავტორის დაკვირვებათა საფუძველზე. ავტორი მოვლენის ფონეტიკურ საფუძველსაც წარმოგიდგენს.

² სვანურ-აღიდური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენიშკის მოამბე, XII, 1942. გვ. 272.

³ გუალე ზმნა სხვა მხრივაც იწვევს ინტერესს. ამაზე აქ ვერ შევიჩვენებთ.

სვან. გვუშ ი, ლაშხ. გოშ-ი (სავსე), ლი-გვშ-ილ-ე (გავსება), ქან. ო-ფშ-ა, ქართ. სა-ვს-ე...

სვან. გულმაშ-არ, ქართ. უღვაშები

სვან. გვიდამ-ი, ქართ. მიდამო... ზემოსვან. გვიდამ, ლაშხ. მიდამ „მიდამო“

სვან. გინდვერ „მინდორი“.

მაგალითები, — პირველი სამის გარდა — ყველა ვ. თოფურისია. არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს: გვიდამ-ში ვ- ვ-ს დაერთო თუ მ-ს და მერე გმ- გვ? ამ საკითხს არაფერ შეხება.

ქვ — ვ:

ქართ. ქვიშნა, სიტყვა ცნობილია ინდ.-ევრო. ენებშიც (მაგ., რუს. вишня, ძვ. ფრანგ. guisne), თურქულშიც vişne.

ლიტერ. ნივთ-ი, სომხ. *հիւսի*, რაჭ.-იმერ.-კახ. ნიქვთ-ი¹

ქართ. ექვათმე, ბერძ. *Εἰμαμια*.

გიორგი წერეთელი მა დაადასტურა: ზემოიმერულში ნიქვთი გვხვდებაო. მანვე მიგვითითა შემდეგ მაგალითებზე:

აქტო — ავტო, იხმარება ზემოიმერულში

ქართ. მუქთი, არაბ. *مفتي* უფასო

ზემოხსენებულთა გარდა შეიძლება დაგვესახელებინა:

ჩვენი: *O₁ გვ — ვ:* გუაქუს, გუყავს...

გ- უნდა იყოს განვითარებული მეგრ. გვერშაპ-ში ვეშაპ-ი... 'მ-ს წინ რ დართულია გააზრიანების ნიადაგზე გ-ს განვითარების შემდეგ...

ქართ. გვალვა, შდრ. მეგრ. დო-ვალ-უ (დაწვა), დააზრო ახლად გაფუ-რჩქვნილი ყვავილი, ფოთოლი...

ფონეტიკური გზით უნდა იყოს წარმოშობილი -გუ სვანურის ბეჩოურ კი-ლოკავში:

ხუთრ-ასგუ „ვევამდი“, ხუთრ-ასგუ „სვამდი“, ჯორ-ა „სვამდა“

ტუიხ-ასგუ „ვებრუნებდი“, ტიხ-ასგუ „აბრუნებდი“, ტიხ-ა „აბრუნებდა“

ქუიცი-ასგუ „ვეჭრიდი“, ქუიცი-ასგუ „ჭრიდი“, ქუიცი-ა „ჭრიდა“

ხუაკლწთხი-დასგუ „ვემალლებდი“, ხაკლწთხი-დასგუ „ამალლებდი“, აკლწთ-ხიდა „ამალლებდა“

ხუაწნი-დასგუ „ვენავდი“, ხაწნი-დასგუ „ხნავდი“, აწნი-და „ხნავდა“

ხუირდი-დასგუ „ვეზრდიდი“, ხირდი-დასგუ „ზრდიდი“, ირდი-და

„ზრდიდა“...²

ვ. თოფურია წერს: „I და II პირის ნიშნად -ასგუ, -დასგუ კი არ არის მართლ, არამედ: 1. -სგუ, -დსგუ, 2. -სგ'უ, დსგ'უ-ც, 3. -ასუ, -დასუ, 4. -სსუ, -დსსუ და, უკანასკნელ, 5. -სს, -დსს.“

¹ იმერულისათვის იხ. ბ. წერეთელი: ზემოიმერული ლექსიკონი — შრომაში: „გურულ-ლი, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონი“, თბილისი 1938.

² სვანური ენა, I, ზნა, § 25 B, გვ. 94—95.

ყველანი რომ **-ასგუ**. **-დასგუ** სუფიქსების ვარიანტს წარმოადგენენ, ეს ერთი შეხედვითაც ცხადია, ოღონდ ესენი ერთნაირად გავრცელებულნი არ არიან: ხანში შესულები ნამყო უსრულის საწარმოებლად ჩვეულებრივ **-ასგუ**, **-დასგუ** ფორმანტებს მიმართავენ, მათთან შედარებით ახალგაზრდები (შუახნისანი) კი—**-ასგუ**, **-დსგუ**-ს, ხოლო ახალი თაობა **-ასტუ**, **-დსტუ** ბოლოსართებს აბატონებს. უკანასკნელთაგანვე გაიგონებთ აგრეთვე **-ასტუ**, **-დასტუ**-სა და იშვიათად **-ასგგ**, **-დსგგ**-საც¹.

აქ ზოგი რამ არაა ნათელი, კერძოდ ის, თუ რატომ აღმოაჩნდა შუახნისებს უძველესი ვარიანტები, როცა ხანში შესულები წმინდა ანიან ვარიანტებს წარმოთქვამენ: **-ასგუ**, **-დასგუ**... ე. ი. მთქმელთა ასაკი და ვარიანტის სიძველე-სიახლე შეიძლება დამატებით ძიებას მოითხოვდეს; მაგრამ თუნდაც რომ დადასტურდეს **-ასტუ**, **-დსტუ**-ს სიახლე, მაინც ფაქტი საგულისხმოა: ის ცხადყოფს **სსგუ** || **ასტუ** სუფიქსთა პარალელურ გამოყენებას და მოგვაგონებს ქართულიდან და ზანურიდან ცნობილ პროცესს, როცა კომპლექსის ფონეტიკურად გამარტივებისას ამოსავალ მდგომარეობას ეუბრუნდებით: წყალ-ი, ჭან. არქ. წყარ-ი, ათინ. წ-არ-: ამოსავალი იყო წალ-, მეგრ- ჭორ-ოფ-ა—გვალვის საწინააღმდეგო ცნება“.

-ასტუ ვარიანტის სიახლე მაინც არაა დამარწმუნებელი: ძალაუნებურად გვაგონდება მეშველი ზმნის ნამყო **სტუ-სსტუ**, **ხ-სსტუ**, **ლ-სსტუ**, რომელიც ახალი ფორმაციის მოვლენა არ უნდა იყოს!

ჩვენთვის **გ**-ს განვითარება იყო საინტერესო; **ლ** და **ქ**-ს განვითარება საგულისხმოა იმ მხრივ, რომ **გ**-ს განვითარება განმარტოებით არა დგას; ესაა ერთ-ერთი სახის უკანაენისმიერის დართვა **გ-ზე**...

ვ. თოფურიას წერილში არაა დასახელებული **ხ**-ს განვითარების შემთხვევები. მაგრამ ამ ბგერის განვითარება მოსალოდნელია, რაკი **ლ**-ს განვითარების მაგალითები გვაქვს.

ერთი უდავო მაგალითი იქნებოდა: **ხვალე**, ძვ. სომხ. **ქაღჩ**²:

...თივაჲ ველისაჲ რლ დღეს არს და **ხვალისაგან** თორნესა შთააგდინან მთ VI₃₀, აღიშ. 14 ა₂

...**ღჩით** **ჩ ქაქჩ** **იჩ აქაი** **ქ ხ ქაღჩ** **ჩ ჩიი** **არქანჩ**...

ასეთივე **ხვ** — **ვ** გვაქვს სვანურ S₁: **ხტუ-არ-ი**, შდრ. ძვ. ქართ. **ვ-არ-ი**...

აღნიშნულია, რომ **ვ**-ს გადასვლა **ღვ**, **გვ**, **ქვ**-დ აიხსნება მისი არტიკულაციით: ენის უფრო მეტი მიახლოებით სასასთანო (ანალოგიური ფონეტიკური მოვლენები დასახელებულია სხვა ენებიდანაც).

ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ **ლ**, **გ**, **ქ** ბგერათა განვითარება **ვ**-ს წარმოების თავისებურებასთანაა შეპირობებული.

ლ, **გ**, **ქ**-ს გარდა **ხ**-ს განვითარების საკითხიც დადებითად უნდა გადაწყვიდეს (თუმცა საამისო ფაქტები უფრო იშვიათია).

¹ სვანური ენა, I, ზმნა, § 25 Bc, გვ. 95—96.

² ამ სიტყვათა კავშირი ნაჩვენებია აქვს ნ. მარს (Тексты и разыск., VI, § 12, გვ. XXXIII), ოღონდ ამოსავლად მიჩნეულია **ხვალ** და **ხ**-იგარაუღება დაკარგულად სომხურში.

აფხაზურისა¹ და ხუნძურის² ჩვენება მოწმობს, რომ გ-ფონემის თავისებურების საკითხს ქართველურ ენათა წრის იქით გავეყავართ: გ-ბგერის საკითხი კავკასიურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხია. მაგრამ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

გჟ-, ხჟ- პრეფიქსებში ფორმანტია ჟ (||გ), პირველი პირის პრეფიქსი. სუბიექტისა თუ ობიექტისა? ორივესთვის გამოყენებული, გაუდიფერენცირებული თავდაპირველად; გ- და ხ- ფონეტიკური დანართია; მას თავიდან არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნდა.

დასასრულ, ერთი შენიშვნაც.

როდესაც სვან. ხჟ ჟ-საგან მიღებულად დავსახეთ, გჟ-ს ანალოგიის გარდა ერთი გარემოებაც იყო: ხჟ პრეფიქსი სვანურში ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს დაერთვის, თანხმოვნით დაწყებულთ მარტოდენ ჟ აქვთ, ისიც ინფიქსირებული:

ხჟ-პრ-ი „ვარ“, მაგრამ ღ-ჟ-ივე „ვაქრობ“, ტ-ჟ-იხე „ვაბრუნებ“...

ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი: ხ- ვითარდებოდა ხმოვნის წინამავალ გ-სთან (ამავე პირობებშია ღ- განვითარებული თითქმის ყველგან, —იხ. ზემოთ).

ამ პირობას გჟ- პრეფიქსი ამაჟამად სვანურში არ საჭიროებს: სი გუტხე „შენ ვაბრუნებ“ (ინკლუზ.).

უ ასეთ შემთხვევაში მარცვალს ქმნის, სრული ხმოვანი ხდება. ხომ არაა ეს იმის მაჩვენებელი, რომ გჟ- პრეფიქსის წარმოშობი დიალექტი, სვანურის მორფოლოგიურ აღნაგობაში ღრმად ჩაფენილი, მაინც არ იყო „სვანური“ ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით? მართლაც, იგი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი იმ ფენისათვის, რომელიც საერთოა ძველი ქართულისა და სვანურისათვის.

АНН. ЧИКОБАВА

К ПРИНЦИПУ ОБОЗНАЧЕНИЯ МНОЖЕСТВЕННОГО ЧИСЛА В ГРУЗИНСКОМ ГЛАГОЛЕ

Резюме

1. Грузинский глагол, как известно, полиперсонален: в процессе спряжения изменяются лица и субъекта, и объекта.

Личными формантами являются префиксы:

0: მ-თხოვ-ს m-txov-s	меня просит он, она, оно	S: ვ-არ v-ar	я есмь
გ-თხოვ-ს g-txov-s	тебя просит он, она, оно	ხ-არ x-ar	ты еси
ს-თხოვ-ს s-txov-s	его (ее...) просит он, она, оно		

¹ ქ. ლომთათიძე, ზ ბგერისათვის აფხაზურში: წაკითხული იყო მოხსენებად თბილ. უნივერ. კავკასიურ ენათა კათედრის სხდომაზე 1937 წელს.

² არნ. ჩიქობავა, ლექსიკური შეხვედრები ხუნძურისა ქართველურ ენებთან: მოხსენება წაკითხული იყო ვნიშვის კავკას. ენათა განყოფ. სხდომაზე 1937 წელს.

Единственное исключение—третье лицо субъекта: соответствующий формант—суффикс:

აბო-ბ აბი-ს есть он (она, оно)... მოვიდა movid-a пришел он... (см. также -ბ -ს მ-თხოვ-ბ m-txov-s...).

Эта спорадическая суффиксация на фоне префиксации, как ведущего начала, находит объяснение в истории возникновения личных форм: форма третьего лица субъекта в глаголе, как то выяснено нами в другой работе, морфологический факт относительно новой формации.

Таким образом, принцип префиксации при обозначении лиц должен быть признан исторически специфическим для спряжения грузинского глагола.

В этом отношении глагол в грузинском и других картвельских языках сходится с глаголом абхазским, адыгейским, (аварским)...: всюду префиксация—основной принцип.

2. Множественное число в глаголе грузинского языка обозначается при помощи лишь суффиксов:

S pl: ვ-არ-თ v-ar-t мы есми ო pl: აქვ-თ akv-t имеется то у них
 ბ-არ-თ x-ar-t вы есте გ-აქვ-თ g-akv-t имеется то у вас
 არ-ი-ანბ ar-i-anoni (оне) суть მ-გ-ცა-თ mo-g-ca-t дал он вам то...

Лишь первое лицо объекта выражается во множ. числе посредством префикса:

მ-გვ-ცა mo-gv-s-a дал он нам то
 გვ-ითხრ-ა gv-itxr-a сказал нам то
 გვ-აქვ-ს gv-akv-s имеется то у нас

Иной возможности выражения O_1 pl ни новогрузинский литературный язык, ни современные диалекты груз. языка не знают.

Из других картвельских языков в чанском и мегрельском диалектах занского языка суффиксация характерна для O_1 pl так же, как и для $O_2, 3$ pl:

მ-იღუნ-ან m-iyun-an имеется то у нас
 გ-იღუნ-ან g-iyun-an " " " вас
 უღუნ-ან u-yun-an " " " них

მ- m- префикс единственного числа O_1 повторяется и во множественном числе (ср. новогруз. გვ- gv-).

3. В древнегрузинском литературном языке O_1 pl находил двойное выражение:

გვ- gv-: გუ-აქუ-ს ჩუენб gw-akw-s čwen имеется то у нас
 მ- m- მ-აქუ-ს ჩუენб m-akw-s čwen " " " "
 მ-გუ-ცა ჩუენб mo-gw-s-a čwen дал нам он то
 მ-მ-ცა ჩუენб mo-m-s-a čwen " " " "

Таким образом, в древнегрузинском литературном языке, судя по первому впечатлению, совмещены нормы и новогрузинского, и занского языков.

4. При ближайшем ознакомлении с фактами древнегрузинского литературного языка твердо устанавливается, что с префиксом *გვ-* *gv-* (*გუ-* *gu-*) не связывалось представление о множественном числе:

когда объектом является именительный падеж множественного числа (с суфф. *-ბ-* *-b-*), в глаголе неизменно выступает соответствующий суффикс *-ებ-* *-eb-* (*-ბ-* *-b-*). независимо от того, использован в качестве префикса *მ-* *m-* или *გუ-* *gw-*:

შე-მ-იწყალ-ებ ზუებ	še-m-ičqal-en čwen	} помилуй нас
შე-გვწყალ-ებ	„ še-gv-cqal-en „	

მომ-ც-ბ-ბ ზუებ წიგნბი მბ *mo-m-c-b-b čwen čignbi mab* дал нам книги он
 მო-გუ-ც-ბ-ბ „ „ „ „ „ „ „ „ „ „ „ „

Суффикс *-ებ-* *-eb-* (*-ბ* *b*) был бы совершенно неуместен при наличии префикса *გუ-* *gw-*, если бы последний мыслился, как показатель множественности объекта.

Следовательно, и при объекте в дательном пад. мн. числа—*გუ-აქუ-ს ზუებ* *gw-akw-s čwen*—считать *გუ-* *gw-* показателем множественного числа объекта I л. значило бы приписывать данному префиксу в* древнегрузинском литературном языке функцию, которая у него развилась лишь в новогрузинском литературном языке, когда образование типа *გვაქვს* *gvakvs* стало единственной формой *O₁ pl.*

5. Параллельные формы *O₁ pl.—მ-აქუ-ს ზუებ* *m-akw-s čwen*, *გუ-აქუ-ს ზუებ* *gw-akw-s čwen*—восходят к двум различным диалектическим (resp. лингвистическим) слоям, причем вариант *მ-* *m-* тяготеет к занской лингвистической среде (или к диалектам, близким к занскому яз.), вариант же *გუ-* *gw-* общ у древнегрузинского языка с современным сванским языком.

Литературно последний вариант (*გუ-* *gw-*) и есть древнейший: чем древнее памятник, тем чаще используется в нем данный вариант (*გუ-* *gw-*).

Даже на протяжении IX—X веков в языке четвероглава прослеживается явная тенденция вытеснения вариантом *მ-* *m-* варианта *გუ-* *gw-*.

В языке Руставели (XII в.), а также в памятниках светской литературы последующих эпох налицо только вариант *გუ-* *gw-*; вариант *მ-* *m-* исчезает: новогрузинский литературный язык, ведущий начало от Руставели (и одоисцев), для *O₁ pl* использует один лишь префикс *გუ-* *gw-*.

Вышеозначенный факт демонстративно выявляет диалектный характер происхождения вариантов $\text{з}^{\text{ж}}$ - gw - и з - m :- новогрузинский литературный язык ориентируется на диалекты Восточной Грузии начиная с XII в. (с 1122 г. столица Грузии опять Тбилиси),

6. Попытка истолкования вариантов з -|| $\text{з}^{\text{ж}}$ - m -|| gw -, как эксклюзивной и инклюзивной форм первого лица множ. числа, не находит подтверждения в показаниях древнегрузинских памятников.

Более того, даже в сванском языке, показания которого и служат основой для постановки вопроса об инклюзиве-эксклюзиве в древнегруз. языке, означенные категории приходится рассматривать, как явление вторичного порядка, возникшее в результате симбиоза нескольких диалектных (resp. лингвистических) единиц.

При таком предположении новое освещение получают все «аномалии», связанные с категориями инклюзива и эксклюзива в диалектах сванского языка (нижнесванский не различает категорий инкл.-экскл. в объективных формах при наличии данной категории в субъект. формах; колебание в использовании соответствующих формантов O_1 r^1 имеет место в ушгульском диалекте, известном своими архаизмами; колебание замечается в сванских народных песнях, также богатых древними формами...); означенные аномалии естественный результат того, что процесс становления категорий экскл.-инклюзива и переосмысления функции соответствующих формантов в сванском языке еще не закончен.

7. Префикс $\text{з}^{\text{ж}}$ - gw - (так же, как $\text{б}^{\text{ж}}$ - xw - в сван. яз.), по всей видимости, тот же з v (S_1) с наращенным з g ; аналогичные факты (з v → $\text{б}^{\text{ж}}$ xw) не чужды исторической фонетике картвельских языков.

8. Анализ функции и происхождения префикса $\text{з}^{\text{ж}}$ - gw -, таким образом, показывает, что для грузинского яз. (и других картвельских языков) для обозначения множественного числа исторически характерна суффиксация¹ в той же мере, в какой префиксация характерна для обозначения лиц.

¹ В абхазском и адыгейском языках принцип префиксации и здесь остается в силе.

ქმთევან ლომთათიძე

-ქ სუფიქსისათვის მგერულ ზმნეაში *

ცნობილია, რომ მგერულ ზმნებს აწმყო დროის მხოლოდობითი რიცხვის I-სა და II პირში ახასიათებს სუფიქსი -ქ, რითაც თითქოს არსებითად განსხვავდება მგერული აწმყოს წარმოება ქართულისაგან.

მაგ.:

ვორე-ქ	ვარ	ბჯანუ-ქ	ვწევარ	ვპარუნ-ქ	ვწერ
ორე-ქ	ხარ	ჯანუ-ქ	წევხარ	პარუნ-ქ	წერ
ორე-(ნ)	არის	ჯანუ-(ნ)	წევს	პარუნ-ს	წერს
ვორე-თ	ვართ	ბჯანუ-თ	ვწევართ	ვპარუნ-თ	ვწერთ
ორე-თ	ხართ	ჯანუ-თ	წევხართ	პარუნ-თ	წერთ
ორე-ნ-ა(ნ)	არიან	ჯანუ-ნ-ა(ნ)	წვანან	პარუნ-ა(ნ)	წერენ

და სხვა

ჯერ კიდევ ა. ცაგარელმა¹ და შემდეგ ი. ყიფშიძემ² -ქ სუფიქსი მიიჩნიეს ქართ. ხ- || ჰ-ს შესატყვის II პირის სუბიექტურ ნიშნად და ანალოგიით გაჩენილად ჩათვალეს I პირში.

გ. დეეტერსმა ეს -ქ პირის ნიშანთა დაბოლოებებში განიხილა და, ვინაიდან მონათესავე ქანური მას არ იცნობსო, მეორეულ აფიქსად მიიჩნია. აღნიშნა, რომ მისი წარმოშობა ისეთივე წყვდიადით არის მოცული, როგორც ერგატივის სუფიქსისაო მგერულში³. შემდეგ ვ. თოფურიამ ეჭვის ქვეშ დააყენა მისი პირის ნიშნობა⁴; არნ. ჩიქობავამ⁵ -ქს პირის ნიშნად მიჩნევის შესაძლებლობა გამოიკვლია.

-ქ სუფიქსის პირის ნიშნობის საკითხი მოიხსნა, მაგრამ მისი ფუნქცია მაინც გაურკვეველი დარჩა. არნ. ჩიქობავამ გამოთქვა მოსაზრება: „ეს -ქ

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების III სესიაზე 18 ოქტომბერს 1941 წ.

¹ Сравнительный обзор морфологии Иберийской группы кавказских языков, 1872, 33. 16.

² Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914. გვ. 056.

³ „In Mingrelisch du hat die 1./2. Person Sing. des Präsens eine Erdung -K: vibir k' ich singe, ჯ'arunk' du schreibst... Da das nah verwandte Lasische dieses -K' nicht kennt, handelt es sich wohl um eine sekundär angetretene Partikel. Ihr Ursprung bleibt aber ebenso dunkel wie der des Ergativsuffixes, das—vielleicht nicht zufällig—auch -K' lautet.“ (Das kharthwelische Verbum, Leipzig 1930, § 97).

⁴ სვანური ენა. I. ხმნა, გვ. 8, 258. 1.

⁵ ქანურის გრამატიკული ანალიზი, § 27, გვ. 96.

იგივე ოდენობა უნდა იყოს, რაც სვანურში **ხ-** (**ხ-ჟ-არ-ი, ხ-ა-რ-ი**)¹—**ო**¹, მაგრამ, ვინაიდან ჯერ თვით სვანური **ხ-**ს ფუნქცია სარკვევი იყო, **-ქ-**ს რაობის შესახებაც ავტორს გადაჭრით არათფერი უთქვამს.

როგორც ზემომოყვანილი პარადიგმებიდან დავრწმუნდით, მეგრულში აწმყო დროში ეს **-ქ** სუფიქსი მოუღის ყველა ზმნას, როგორც გარდაუვალს (საშუალს, ვნებითს), ისე გარდამავალს. მაგრამ იგივე იოს. ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ „Суффикс первых двух лиц вместе с предшествующим согласным спрягаемой темы **б** может опускаться в действительном залоге...² ასე, რომ ვორე-ქ, ბჯანუ-ქ მხოლოდ ამ ფორმით შეიძლება, ვჭარუნ-ქ-ს კი პარალელური ფორმაც ვჭარუ მოეპოვება. შეიძლებოდა ამ ფაქტიდან კაცს **-ქ** სუფიქსის ისტორიისათვის ზოგი დასკვნა გამოეტანა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი ფონეტიკურ ნიადაგზე არ აიხსნებოდეს და ვჭარუ ფორმა მეორეული არ იყოს. აქ ჩვენ **-ქ-**ს დაკარგვასთან ან **-ქ-**ს არღართვისთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მთლიანად **-ქ-**ს დაკარგვასთან: **-ნ-**სთან ერთად დაიკარგა **-ქ-**ც. ბოლოკიდური **-ნ-**ს დაკარგვის შემთხვევები ხომ მეგრულისთვის ასე დამახასიათებელია (შდრ. ორე ← ორე-ნ 'არის'). **-ქ** კომპლექსის შესაქლებლობა კი ძირითადად სწორედ გარდამავალ ზმნებთან იქმნებოდა. საყურადღებოა, რომ, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, კითხვითი ფორმების წარმოებისას, როგორც **-ნ**, ისე **-ქ** უთუოდ დაიცვება და გვექნება მხოლოდდამხოლოდ ფორმა ვჭარუნქო? 'ვწერ?'

მეგრულ **-ქ** სუფიქსთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი ზმნის აწმყოს წარმოება ჭანურში.

არნ. ჩიქობავა ჭანურის შესახებ წერს: „ვნებითი გვარის ერთპირიან ზმნებს (და, ხშირად, საშუალო გვარისასაც) აწმყო დროის პირველსა და მეორე პირში მხოლოდობითს რიცხვში დაერთვის **-რ** სუფიქსი: პტუბ-უ-რ ვთბებ. ტუბ-უ-რ თბები... ბლურ-უ-რ ვკვდები, ღურ-უ-რ კვდები... ვულ-უ-რ „ვვალ“, ულუ-რ „ხვალ“... ფხე-რ ვზივარ, ხე-რ ზიხარ... ვ-ი-ქვ-ე-რ ვიწვი, ი-ქვ-ე-რ იწვი“³. შემდეგ გვერდებზე იგივე ავტორი ასკვნის: „თვალსაჩინო სხვაობას ქმნის მეგრულში **-ქ** სუფიქსი და ჭანურში **-რ** სუფიქსი. მთელ რიგ შემთხვევაში ეს ორი სუფიქსი ერთი. მეორის მორფოლოგიური კორელატი ჩანს; შდრ. ჭან. ბლურ-უ-რ, მეგრ. ბლურ-უ-ქ ვკვდები... მაგრამ ჭანურში **-რ** მხოლოდ ვნებითისა და საშუალო გვარის ზოგ ზმნას დაერთვის, მეგრულში კი **-ქ** ყველა ზმნას მოეპოვება აწმყო დროის პირველსა და მეორე პირში მხოლოდობითს რიცხვში... ამისდა მიუხედავად მაინც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს **-რ** და **-ქ** ერთი და იმავე ღირებულების მორფოლოგიური ოდენობაა. ამის დაშვება უკვე შეუძლებელს გახდიდა **-ქ** სუბიექტურ სუფიქსად (**S₂**) გამოგვეცხადებინა; ამასთან დაკავშირებით სვანური თავკიდურ

¹ ხსენებ. ნაშრომი, § 27, გვ. 96—97.

² ხსენებ. ნაშრომი, გვ. 556.

³ ჭანურის გრამატიკული ანალიზი, § 33, გვ. 112.

ზ-ს საკითხიც დაისმოდა და, დასასრულ, ქართული S_2 ზ- (ზ-არ, ზ-ვალ) კითხვის ქვეშ დადგებოდა, რამდენადაც ამათი გენეტური მნიშვნელობის გათვალისწინება მოგვიზღვებოდა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ აქ მსჯელობა უადგილო იქნებოდა; ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ: ა) არსებობს შესაძლებლობა ჭანური -რ სუფიქსი და მეგრული -ქ სუფიქსი ერთმანეთს დაუკავშირდეს მორფოლოგიური ფუნქციის მიხედვით; ბ) არც ერთი და არც მეორე S_2 -დ ვერ მიიჩნევა და. გ) ამ სუფიქსების გამოყენება აწმყოს მხოლოდობითს რიცხვში ერთად ერთი მოვლენაა, რომელიც არსებითად განასხვავებს ქართულისაგან ზანურის კილოებს— ჭანურსა და მეგრულს¹.

არნ. ჩიქობავას მიერ ნავარაუდევი მორფოლოგიური კავშირი ჭანურ -რ-სა და მეგრულ -ქ-ს შორის მართლაც უნდა მტკიცდებოდეს. ოღონდ ამ მოვლენის ჩვენ მიერ წარმოდგენილი ახსნის მიხედვით, პირიქით, ეჭვის ქვეშ დადგება მეგრული -ქ-სა და სვანური ზ-ს ურთიერთდაკავშირების საკითხი, ერთი მხრივ, და პრინციპში მოიხსნება აწმყოს წარმოების მიხედვით გათიშულობა ქართულსა და ზანურის კილოებს შორის, მეორე მხრივ.

ჭანურში განვითარების გარკვეულ საფეხურზე (არა იმთავითვე!) ეს -რ სუფიქსი განსაზღვრულ ზმნათა აწმყო დროის მხოლოდ I-სა და II პირის მხოლოდობითს რიცხვში უნდა გვექონოდა. ამის შემთხვევებს ადგილი აქვს ნ. მარის მიერ მოყვანილ პარადიგმებშიც.

მაგ. ვიყოფუ-რ 'ვიყოფები'
 იყოფუ-რ
 იყოფუნ
 ვიყოფუთ
 იყოფუთ
 იყოფუნან²

ხოლო აქედან ჯერ გავრცელებულა მრავლობითში,
 მაგ., ვიყვე-რ делаюсь, становлюсь, бываю
 იყვე-რ
 იყვენ
 ვიყვე-რ-თ
 იყვე-რ-თ
 იყვენან³...

და შემდეგ გადასულა აწმყოს ჯგუფის სხვა დრო-კილოშიც (ნამყო უსრ., კონიუნქტ. I);

მაგ.:
 ნამყ. უსრ.
 ბ-ხე-რ-ტი ვიჯექი
 ხე-რ-ტი იჯექი
 ხე-ტუ იჯდა

¹ იქვე, § 40, გვ. 134—135.

² Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, СПб. 1910, გვ. 67.

³ იქვე, გვ. 65.

ბ-ხე-რ-ტიით	ვისხედით
ხე-რ-ტი-თ	ისხედით.
ხე-ტეს	ისხდნენ ¹

როგორც -რ, ისე -ქ ერთი და იმავე მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვას ემსახურებიან, მაგრამ არც ერთ მათგანს თავდაპირველი ფუნქციამთლიანად უცვლელად არ დაუცავს. ჭანურში -რ სუფიქსის შეზღუდულად, მხოლოდ საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებთან გამოყენება შედარებით მეტსიახლოვეს უნდა აჩენდეს მის პირვანდელ ფუნქციასთან. ჭანურშივე მისი პირვანდელი მნიშვნელობა მაინც შერყეულა, მეგრულში კი იგი ადრინდანვე ისე დაზარდულა, რომ ანალოგიით ყველა ზმნას გასჩენია.

ხსენებულ სუფიქსებს (-ქ, -რ) იგივე ფუნქცია უნდა შეესრულებინა, რასაც მეშველი ზმნა ასრულებს სტატიკურ ზმნებთან (resp. სტატიკურ ფორმებთან) აფხაზურსა და ყაბარდოულში.

აფხაზურში, და ყაბარდოულშიც, ე. წ. მდგომარეობის, ანუ სტატიკურობის გამომხატველ ზმნებს ერთვით სუფიქსები, რომლებიც თავისთავად მეშველი ზმნებისაგან მომდინარეობენ. მაგ., რომელიმე „არსებობა“ ზმნას აფხაზურში, რომელიც -ყა- ძირით გამოიხატება, აწმყოში ერთვის იგივე -უბ, რაც დამახასიათებელია პირის აფიქსის შემცველი მეშველი ზმნისათვის: სოუბ ← სა-უბ 'ვარ', ბოუბ ← ბა-უბ 'ხარ'... და სხვ. და ამ ნიადაგზე გვაქვს ფორმები:

სგ-ყა-უბ (→ სგ-ყო-უბ) 'ვარ' (უკეთ: „მე-ვარ- არს“)²

სგ-ყო-უბ „მე კაცი-ვარ“ (უკეთ: „მე- კაცი-არს“)²

სგ-გღა-უბ „მე ვღა-ვარ“ (უკეთ: „მე- ვღა-არს“)² და სხვა.

ასევე ყაბარდოულში სათანადო ფორმებს ერთვის სუფიქსი -ს, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს „დგომა“ ზმნისგან („ს, ჯ თ“ დგას) „არსებობის“ მნიშვნელობით და გვაქვს:

სგ-წჭჭ-ს, მე კაცი- ვარ (მე- კაცი-არს)

სგ-სგ-თ-ს, მე ვღა-ვარ (ვღა-არს) და ასე ყველა სხვა პირში.

ამ ფორმებთან ანალოგიის ნიადაგზე სრულიად ნათელი ხდება, რატომ უნდა ახასიათებდეს -ქ მეგრულში და -რ სუფიქსი ჭანურში მხოლოდ აწმყო დროს. მათ ისე, როგორც მეშველ ზმნებს აფხაზურსა და ყაბარდოულში, ეკისრებოდათ სტატიკურობის, „მდგომარეობის“, არსებობის აღნიშვნა, რისთვისაც შესაფერი სწორედ აწმყო დრო იყო.

ერთი შეხედვით თითქოს ჭირს სათანადო აფხაზურ და ყაბარდოულ ფორმებთან ანალოგია მეგრულსა და ჭანურში წარმოდგენილი ვითარებისა იმ მხრივ,

¹ ხსენებ. ნაშრომი, გვ. 58.

ზოგჯერ III პირშიც შეიძლება გამოვლინდეს -რ ჭანურში, მაგრამ მისი დაკავშირება ხსენებულ რ-სთან ჭირს. მას სხვა რიგის პარალელები გააჩნია ჭანურში, როგორცაა, მაგ. მილურან ← მილუნან, და სხვა ახსნას უნდა მოითხოვდეს.

² მაგრამ მეშველი ზმნა პირის გარეშე!

რომ იქ მეშველი ზმნა ყველა პირში გაჰყვება, მეგრულში, და ჭანურშიც, ეს სუფიქსები მხოლოდ I-სა და II პირში და ისიც მხოლოდობითში გვხვდება¹. მაგრამ ეს შემდეგით აიხსნება: აფხაზურსა და ყაბარდოულს პირის ნიშანთა პრეფიქსაცია ახასიათებს, მეგრულსა და ჭანურში პრეფიქსით მხოლოდ I და II პირია წარმოდგენილი. მესამე პირში იმიტომ არ დაერთო მეგრულსა და ჭანურში ეს სუფიქსები, რომ მესამე პირის ნიშანი სუფიქსად მოუღიო ზმნებს. მრავლობითის ნიშნის სუფიქსობამვე შეუშალა ხელი -ქს დართვას მრავლობითს რიცხვში მეგრულში.

განხილული მოვლენა სრულს ანალოგიას პოულობს ქართულშიც. მეგრულ-ჭანურთან შესადარობის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ახალ ქართულში მეშველი ზმნა გაუჩნდა სწორედ საშუალი გვარის ზმნებს და სწორედ I-სა და II პირში. ძველმა ქართულმა ეს არ იცოდა; იქ გვქონდა ვზი, ვდგა და სხვა, ახალი ქართულისათვის კი ეს ფორმები სრულიად უცხოა. ახ, ქართულშიც ხსენებულ ფორმებზე მეშველი ზმნის დართვისას ამოსავალი უნდა ყოფილიყო აგრეთვე სტატიკურობა. მაშასადამე, პირველად ის უნდა დართოდა მდგომარეობის გამომხატველ ზმნებს: ვზივარ, ვდგავარ, ვწევარ, ვგდივარ, ხოლო მის შემდეგ მოქმედების გამომხატველ საშუალი გვარის ზმნებს: მივდი-ვარ, ვხტი-ვარ და სხვ. ძალზე საყურადღებოა, რომ ერთადერთ გამონაკლისს „მივდივარ“ ზმნას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, უმეშველზმნოდ ახალ ქართულში მხოლოდ მდგომარეობის გამომხატველი საშუალი გვარის ზმნებია წარმოდგენილი და აქაც ეს მოვლენა ძველი არა ჩანს. ძველ ქართულში მივდივარის ნაცვლად ვალ სახეობა გამოიყენებოდა, რომელზედაც მეშველი ზმნის დართვა ახლაც კი შეუძლებელია: მივალ, მიხვალ... საინტერესოა, რომ ერთადერთი ზმნაა ეს მეგრულში, რომელიც -ქს არ დაირთავს —მეულუ. იგი ქართულიდანაა ნასესხები (მდრ. პარალელური—უკვე მეგრული შესატყვისი მეურ-ქ). აღსანიშნავია, რომ მეულუ ზმნას აქვს მხოლოდ I და II პ. მხოლოდობითი რიცხვისა, ე. ი. -ულ- სახეობა გამოიყენებულა იმ პირებში, რომლებშიც მოსალოდნელი იყო -ქ ჰქონოდა მეგრულს, თორემ დანარჩენი პირები მეშველი ზმნის გარეშეც იხმარებიან. უკეთ: მოქმედების გამომხატველ საშუალი გვარის ზმნებში ჩვეულებრივად სწორედ ასეთი ფორმებია: ვხტი, ვტირი, ვყვირი და არა ვხტივარ, ვტირივარ, ვყვირივარ. ყოველ შემთხვევაში ეს უკანასკნელები სალიტერატურო ქართულში გავრცელებულ ფორმებად ვერ ჩაითვლება.

სალიტერატურო ქართული თუმცა ზღუდავს მის გავრცელებას, მაგრამ მრუხედავად ამისა დიალექტებში თანდათან ფართოვდება მეშველი ზმნის გამოყენების არე და გვხვდება: ვფიქრა-ვარ (← ვფიქრავ-ვარ), ვჩივი-ვარ (გურ.) და სხვ. ეს უდავო მითითებაა იმ გზაზე, რომელიც ჭანურსა და მეგრულში გაუვლია ამ მოვლენას.

ახლა თვალს გადავავლოთ სევანურს. ბალსზემოური სევანური ხსენებულ შემთხვევებში არავითარ მეშველ ზმნას არ იცნობს და არც რაიმე სხვა სუფიქსს.

¹ შემდეგდროინდელია -რს დართვა ჭანურში იმავე პირთა მრავლობითს რიცხვში და აწმყოსგან ნაწარმოებ სხვა დროში.

იგი ამ მხრივ იმ წორმებს უჭერს მხარს, რაც დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. იგივე მდგომარეობა არ არის ქვემოსვანურში. აქ მეშველი ზმნა გაუჩენია ჯერ საშუალი გვარის ზმნებს: სკუთ-ხუთი ვზი-ვარ (მძრ. ზემოსვან. სგურ „ვზი“)... და აქედან თავს იჩენს იგი ყველა ზმნასთან, მაგ., ტუიხე-ხუთი „ვაბრუნებ-ვარ“ და სხვ., მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ უქანასკნელ შემთხვევებში დიდ მერყეობას აქვს ადგილი: ამბობენ, როგორც ტუიხე-ს, ისე ტუიხე-ხუთი-ს, ხოლო წერის დროს წერენ მხოლოდ ტუიხე-ს¹. ქვემოსვანურის ეს ვითარება ზუსტად ემთხვევა აწ უკვე მეგრულში დამკვიდრებულ ვითარებას, ყველა ზმნას რომ -ქ ერთვის აწმყოში (ოლონდ სვანურში მეშველი ზმნა სხვა დროებშიც ვრცელდება).

როგორც დავინახეთ, მეშველი ზმნა საშუალი გვარის ზმნებთან გაიჩინა ქართულმა; იგი გაიჩინა სვანურმაც კი. კანონზომიერად მოსალოდნელი იყო ასეთივე ვითარება მეგრულშიც. მაგრამ არც მეგრულმა და არც ჭანურმა ხსენებულ ზმნებს „მეშველი ზმნა“ არ დაუერთეს სწორედ იმიტომ, რომ ამ ფუნქციით იქ ერთ შემთხვევაში იყო უკვე -ქ, მეორეში —-რ.

ქართველურ ენათა მიხედვით ეს პროცესი ასე იშლება: ძველ მდგომარეობას მეშველი ზმნის გამოყენების თვალსაზრისით გვიჩვენებს ძველი ქართული და ზემოსვანური. ყველაზე უფრო შეურყენელად პირვანდელი ფუნქცია მეშველი ზმნის გამოყენებაში შემოუნახავს მაინც ახალ ქართულს, შემდეგ — ჭანურს, მეტისმეტად გაუფრცხვლებია მისი გამოყენება მეგრულს; მეგრულის გზას ადგას ქვემოსვანური.

უდავოა, რომ ყველა ქართველურ ენაში მეორეული მოვლენაა ხსენებული მეშველი ზმნის დართვა. ამას მოწმობს ძველი ქართულის ისტორია და სვანურთან შედარება. ქართველურ ენებში ამ მოვლენის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა საყურადღებოა აფხაზურ-ადიღეურ ენებში სათანადო მოვლენის ისტორიისათვისაც.

ახლა რაც შეეხება თვით ამ აფიქსებს — ქ-სა და -რ-ს. როგორც ფუნქციათა იგივეობამ გვიჩვენა, მოსალოდნელი იყო მეგრულშიც და ჭანურშიც ამ სუფიქსებში მეშველი ზმნები გვექნოდა წარმოდგენილი. საფიქრებელია, რომ ჭანური -რ მეშველ ო რ ე (ნ) || რ ე (ნ) 'არის' ზმნის ნაშთი იყოს². იგი ისევე უნდა იყოს დართული, როგორც ყაბარდოულში მეშველი ზმნა, სავარაუდოა მესამე პირის ფორმით. შემდეგში ეს ფორმა უნდა გაცვეთილიყო. ამას ხელს შეუწყობდა მისი ფუნქციის თანდათან დაბნელება. ამ ნიადაგზე შეგვრჩა მხოლოდ -რ (← რენ).

¹ სვანური ენა, I, გვ. 183-4.

² საგულისხმოა, რომ ჭანურში -რ არ დაერთო „არს“ ზმნას ისე, როგორც ეს მოხდა ქართულში. ქართულში სტატიკურობის გამომხატველ ყველა საშუალი გვარის ზმნას აქვს დართული მეშველი ზმნა გარდა „არს“ ზმნისა და ეს სწორედ იმიტომ, რომ იგი თვით იყო ამ ფუნქციით გამოყენებული. ამითვე აიხსნება, რომ ჭანურში არა გვაქვს „ვ ო რ ე რ“ 'ვარ' ფორმა. ეს კი მითითება უნდა იყოს იმაზე, რომ -რ სუფიქსში სწორედ ეს „ორე(ნ)“ ზმნა ვივარაუდოთ. „მეგრულში რომ გვაქვს ამ ზმნასთანაც -ქ-ო, გვკითხავენ, მაგრამ გვაქვს უკვე მის შემდეგ, რაც -ქ ყველა ზმნასთან გავრცელდა მეგრულში და მისი მნიშვნელობა დაიწიდა.

ამავე მეშველი ზმნის გამოყენების სხვა შემთხვევებსაც უნდა ვვხედებოდეთ ქანურში. იგი თავს უნდა იჩინდეს მყოფადის წარმოებაში.

მყოფადი ასე იწარმოება ქანურში:

მა	ბ-ზუმა-რე	ჰეა	‘მე ვაგზომავ, მას’
სი	ზუმა-რე	”	
ჰემუქ	ზუმა-ს-ე	ზუმა-ს-ერე	ჰეა
ჩქუნ	ბ-ზუმა-თ-ე	ბ-ზუმა-თ-ერე	ჰეა
თქვან	ზუმა-თ-ე	ზუმა-თ-ერე	ჰეა
ჰემთეფექ	ზუმ-ან-ე-ნ		ჰეა

არქაბულს დიალექტში მის ნაცვლად გვხვდება **ორენ**: **ზუმასორენ**¹. ნ. მარმა ეს -რე მყოფადის წარმოშობაში მეშველ -ორენ ზმნის შეკვეცილ სახეობად მიიჩნია² და სათანადო ფორმები ასე თარგმნა: „არის რომ ვზომო“, უკეთ: „რომ ვზომო არის“. თუ აფხაზურიდან პარალელურ წარმოებას მოვიგონებთ, ასეთი მისი ახსნა დამაჯერებელი ჩანს. აფხაზურში სათანადო შინაარსი გამოიხატება ასე: ის შიპროო უპ, რაც ისევე, როგორც ქანურში, სხვა არაფერია, თუ არ გარკვეული ზმნის პირობითი კილო პლუს მეშველი ზმნა. მისი ზუსტი თარგმანი იქნებოდა „რომ ვზომო-ა“, რაც უდრის „უნდა (გა)ვზომო“-ს (შდრ. იმავე მყოფადის სხვა ვარიანტი ქანურშივე: ბზიმ-ა-მინონ, ბზიმ-ა-უნონ³...).

ასე რომ, ჩვენს შემთხვევებშიც ბ-ხე-რ და სხვაში ადგილი წარმოსადგენია გვექონდეს იგივე -რე ელემენტი მეშველი ზმნისა **ორე-ნ**, რომელსაც ბოლოს მოქცეული ხმოვანიც ჩამოშორდა დროთა ვითარებაში.

მეგრულში კი სხვა მდგომარეობაა. აქ -ქ ელემენტი ჩვენ დადასტურებით ნაწილაკად მიგვაჩნია. დადასტურებითს ნაწილაკს მეშველი ზმნის ფუნქციის ტვირთვა გარკვეული მნიშვნელობით უნდა შეეძლოს საერთოდ⁴.

აქაც შეიძლებოდა იგი მეშველი ზმნის ფუნქციით გამოსულიყო, მაგრამ მაინც გვგონია, რომ მეგრულში ეს დადასტურებითი ნაწილაკი მეშველ ზმნას ახლდა, ე. ი. მეგრულში აწმყოს სათანადო ფორმებს იგივე **ორე(ნ) || რე(ნ)** მეშველი ზმნა ერთოდა, ოღონდ დადასტურებითი ნაწილაკითურთ — **ქორე(ნ)**, რომელიც შემდეგ თანდათან გაცვთა. რომ ამ დადასტურებითი ნაწილაკითურთ მეგრულში უფრო მოსალოდნელი იყო იგივე მეშველი ზმნა, იმითაც მტკიცდება, რომ მეგრულში შეუდარებლივ უფრო ფართო გამოყენება აქვს წინდებულ ქო-ს, ვიდრე ქანურში, როგორც ამას სპეციალისტები ვარაუდობენ (არნ. ჩიქობავა).

ხსენებულ აფიქსთა ფუნქციისა და თვით მათი გენეზისის აქ წარმოდგენილი ახსნის სისწორე მტკიცდება დროთა მესამე ჯგუფის წარმოებით ქართვე-

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, § 42, გვ. 148—149.
² Грамматика чанск. языка, § 87, გვ. 52—53.
³ არნ. ჩიქობავა, ხსენებ. ნაშრომი, გვ. 148.
⁴ ყაბარდოულ ენაში და აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტშიც, აგრეთვე სვანურში, მეშველი ზმნისა და დადასტურებითი ნაწილაკის მონაცვლეობის შემთხვევები გვაქვს კიდევ.

ლურ ენებში. ქართული ენა თურმეობითის წარმოებისას იყენებს მეშველ ზმნას; მაგ.:

მომკვდარ-ვარ	ჩაუწერი-ვარ	ვგონები-ვარ
მომკვდარ-ხარ	ჩაუწერი-ხარ	ვგონები-ხარ
მომკვდარ-ა (=არს)	ჩაუწერი-ა (=არს)	ვგონები-ა (=არს)
მომკვდარ-ვართ	ჩაუწერი-ვართ	ვგონები-ვართ
მომკვდარ-ხართ	ჩაუწერი-ხართ	ვგონები ხართ
მომკვდარ-ან (=არიან)	ჩაუწერი-ან (=არიან)	ვგონები-ან (=არიან).

სათანადო ადგილას მეგრულში გვაქვს იგივე -ქ სუთიქსი:

დობლურელე-ქ		დობლურე-ქ	ქენუქარუ-ქ	ნობჩქვე-ქ
დოლურელე-ქ		დოლურე-ქ	ქენუქარუ-ქ	ნოჩქვე-ქ
დოლურელე(ნ)		დოლურე(ნ)	ქენუქარუ(ნ)	ნოჩქვე(ნ)
დობლურელეთ		დობლურეთ	ქენუქარუთ	ნობჩქვეთ
დოლურელეთ		დოლურეთ	ქენუქარუთ	ნოჩქვეთ
დოლურელენა(ნ)		დოლურენა(ნ)	ქენუქარუნა(ნ)	ნოჩქვენა(ნ)

ქანურში ამ მხრივ მეტად საყურადღებო მდგომარეობაა. ჯერ ერთი, განსაკუთრებული სიმდიდრე გვაქვს თურმეობითებისა (აქ საამისო ადგილი არ არის, თორემ მათი განხილვა დაგვანახვებდა აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას აფხაზურთან):

მეორე, თუ ქართულში თურმეობითის წარმოებას ახასიათებს როგორც აღწერითი ფორმები—მეშველზმნიანი, ისე ორგანულიც, ქანურში მთლიანად ერთი სისტემაა—აღწერითი—გატარებული ყველა ზმნაში. საყურადღებო სწორედ ის არის, რომ თურმეობითის ფორმებში, სადაც, ვთქვათ, ქართულში მოსალოდნელია მეშველი ზმნა, ვიწურ-არქაბულში გვევლინება—**დორენ** მეშველი ზმნა, ხოლო ხოფურში—**ერე**¹.

მაგ.	ვიწ-არქ.	ხოფური	
	დობლური-დორენ	დობლურელერენ	‘მომკვდარვარ’
	ვიწურ-არქაბული	ხოფური	
მა	გობოქკონდი დორენ	მა გოვოქკონდ-ერე	‘დავეციყებივარ’
სი	გოოქკონდი დორენ	სი გოოქკონდ-ერე	
ჰეა	გოოქკონდუ დორენ	ია გოოქკონდ-ერენ... ²	

ორსავე შემთხვევაში მეშველი ზმნა არს უნდა გვქონდეს, ოღონდ ხოფურში იგი წარმოდგენილია წინდებულის გარეშე—**ერე**, ხოლო ვიწურ-არქაბულში—წინდებულის **დო-რენ**. სწორედ ხოფური წარმოების ვარიანტი უნდა დასდებოდეს საფუძვლად ქანურში აწმყო დროში მეშველი ზმნის გამოყენებას,—უშუალოდ მისგან მივიღეთ **-რ**, სამაგიეროდ.

¹ არს. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკური ანალიზი, § 42, გვ. 142—144.
² მაგილითები მომწოდია არს. ჩიქობავამ.

ვიწურ-არქაბულ სისტემას მისდევს მეგრულში აწმყო დრო-ში -ქ-ს გამოყენება. ვიწურ-არქაბულში იგივე მეშველი ზმნა წარმოდგენილია დო- წინდებულდართული: დო-რენ. ამის შესატყვისად უნდა ყოფილიყო მეგრულში ქორენ. საყურადღებოა, რომ, როგორც პატ. არნ. ზიქობაევი დაგვიმოწმა, მეგრულ ქო დადასტურებითი ნაწილაკის¹ ადგილას ქანურში ხშირად სწორედ დო- წინდებული გამოდის.

მაგ.,	ქან.	მეგრ.	
	აუწუ	ქუწუ	უთხრა
	დოთქუ	ქოთქუ	თქვა
	დოყუ	ქოყუ	„ქმნა“

მაშასადამე, როგორც ქართულსა და სვანურში თურმეობითისა და გარკვეულ ზმნებთან აწმყოს წარმოებაში მონაწილეობს მეშველი ზმნა, ასევე ქანურსა და მეგრულშიც სათანადო შემთხვევებში გამოყენებული ყოფილა მეშველი ზმნა, მეგრულში—დადასტურებითი ქო ნაწილაკითურთ, ქანურში—აწმყოში უწინდებულად, თურმეობითში კი—ვიწურ-არქაბულში დო- წინდებულით (სადაც მეშველი ზმნა მთელი ფორმით გადარჩენილა), ხოლო ხოფურში—უწინდებულად.

გავრცელების არის განხილვას რომ აღარ მოვუბრუნდეთ, მეშველი ზმნის გამოყენებაში ამ ენათა მიხედვით ის სხვაობაა, რომ ქართული და სვანური მეშველ ზმნას იყენებს I და II პირის ფორმათა მიხედვით, მეგრული და ქანური კი იღებს მხოლოდ III პირის ფორმას და ურთავს მას „ყველა“ პირს (ტექნიკური პირობების გამოა, რომ III პირში მხოლოდობითსა და მრავლობითში არ ჩანს ხოლმე მეგრულში ეს მეშველი ზმნა), როგორც ეს გვაქვს ყაბარდოულში.

თუ ეს ახსნა სწორია, მაშინ საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს მეგრულ -ქ-ს სვანურ ხ-სთან (ხ-არი; ხ-ჟარი). სხვა არგუმენტაციისაც რომ არ გამოვუდგეთ (მაგ., ხ ყველა დროშია), მათ გასათიშად ისიც კმარა, რომ აქ ჩვენ არსებითად განსხვავებული ხნოვანების მოვლენებთან გვაქვს საქმე: ერთი, (ხ-), ქართულის ისტორიული პერიოდის დასაწყისში უკვე გადაშენების გზაზე დამდგარ მოვლენად ჩანს, როცა მეორე სწორედ ამ პერიოდიდან იკვლევს გზას.

К. ДОМТИДИЗЕ

К ВОПРОСУ О СУФФИКСЕ -К В МЕГРЕЛЬСКИХ ГЛАГОЛАХ

Резюме

1. В отличие от грузинского языка мегрельский характеризуется наличием суффикса -ქ -к в формах I и II л. глаголов настоящего времени: ვორე-ქ ვორე-к „я емь“, ვქარუნ-ქ ვქარუნ-к „пишу“ и т. д.

2. Функциональным соответствием данного суффикса -ქ -к в чанском диалекте является суффикс -რ -г, но последний встречается лишь в неко-

¹ თვით დადასტურებითი ნაწილაკი ქართველურ ენებში სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

торых глаголах среднего и страдательного залогов: $\delta\text{b}\eta\text{-}\acute{\text{r}}$ $\text{b}\text{x}\text{e-}\text{r}$ „сизжу“, $\delta\text{r}\eta\text{r}\eta\text{-}\acute{\text{r}}$ $\text{b}\eta\text{i}\eta\text{-}\text{r}$ „умираю“ и т. д.

3. Как в мегрельском $-\text{f}-\text{k}$, так и в чанском $-\acute{\text{r}}$ $-\text{r}$ не выявляют своей первоначальной функции. Но они выполняли, видимо, ту же функцию, что и вспомогательный глагол в статических формах глаголов в абхазском и кабардинском языках. Напр.:

абх. $\text{s}\acute{\text{e}}\text{-w}\text{o}\text{w}\acute{\text{e}}\text{-u}\text{r}$	}	„я человек-есмь (есть)“
каб. $\text{s}\acute{\text{e}}\text{-}\acute{\text{c}}\text{a}\text{h}\text{w-}\text{s}_1$		
абх. $\text{s}\acute{\text{e}}\text{-g}\acute{\text{e}}\text{l}\text{a-}\text{u}\text{r}$	}	„я сизжу-есмь (есть)“
каб. $\text{s}\acute{\text{e}}\text{-}\text{s}_1\text{-}\acute{\text{e}}\text{t-}\text{s}_1$		

Исходя из такого понимания, становится ясным, почему именно означенные суффиксы в мегрельском и чанском выступают только в настоящем времени: они выражали „статичность“, „существование“ подлежащего.

4. В новогрузинском это явление находит свою аналогию: вспомогательный глагол „быть“ встречается в формах глаголов среднего залога, но в первую очередь он был использован в глаголах, выражающих состояние, „статичность“ (как напр., $\text{v}\text{z}\text{i-}\text{v}\text{a}\text{g}$ $\text{vzi-}\text{v}\text{a}\text{g}$ „сизжу-есмь“, $\text{v}\text{c}\acute{\text{e}}\text{-}\text{v}\text{a}\text{g}$ „лежу-есмь“, $\text{v}\text{d}\text{g}\text{a-}\text{v}\text{a}\text{g}$ $\text{vdga-}\text{v}\text{a}\text{g}$ „стою-есмь“), а впоследствии — в остальных глаголах (как напр., $\text{m}\text{i}\text{v}\text{d}\text{i-}\text{v}\text{a}\text{g}$ $\text{mivdi-}\text{v}\text{a}\text{g}$ „иду-есмь“ и т. д.).

Подобно мегрельскому диалекту, и грузинский язык постепенно расширяет пределы его употребления: в диалектах встречаются такие формы, как $\text{v}\text{r}\text{i}\text{k}\text{t}\text{a-}\text{v}\text{a}\text{g}$ $\text{vrakta-}\text{v}\text{a}\text{g}$ „думаю-есмь“, $\text{v}\text{c}\text{i}\text{v}\text{i-}\text{v}\text{a}\text{g}$ $\text{vcivi-}\text{v}\text{a}\text{g}$ „говорю-есмь“ (грузинский диал.) и т. п.

5. В верхнеабхазском диалекте сванского языка сохранилось положение, свойственное древнегрузинскому языку, а в нижнесванском вспомогательный глагол используется не только в глаголах среднего залога ($\text{s}\text{k}\text{i}\text{g-}\text{x}\text{w}\text{i}$ skig-xwi „сизжу-есмь...“), но и в глаголах действительного залога (с колебаниями: $\text{t}\text{w}\text{i}\text{x}\text{e-}\text{x}\text{w}\text{i}$ twixe-xwi „поворачиваю-есмь...“).

6. Но ни в мегрельском, ни в чанском к глаголам среднего залога вспомогательный глагол не добавляется именно потому, что с аналогичной функцией в одном случае выступает $-\text{f}-\text{k}$, в другом — $-\acute{\text{r}}$ $-\text{r}$.

7. Что же касается генезиса этих суффиксов, можно полагать, что чанский суффикс является остатком вспомогательного глагола $\text{r}\acute{\text{e}}\text{g}(\text{b})$ $\text{ore}(\text{n})$ || $\text{r}\acute{\text{e}}\text{g}(\text{b})$ $\text{re}(\text{n})$ «он есть» ($\delta\text{-}\text{b}\eta + \text{r}\acute{\text{e}}\text{g}(\text{b}) \rightarrow \text{f}\delta\text{-}\text{b}\eta\text{-}\acute{\text{r}}$ $\text{b-xe} + \text{ore}(\text{n}) \rightarrow \text{b-xe-r}$ „сизжу-есмь“), а мегрельский — $-\text{f}-\text{k}$ — результатом изношения того же вспомогательного глагола с утвердительной частицей $-\text{f}-\text{k}$ ($\text{v}\text{o-}\text{b}\eta + \text{f}\text{r}\acute{\text{e}}\text{g}(\text{b}) \text{vo-xe} + \text{ko-re}(\text{n}) \rightarrow \text{v}\text{o-}\text{b}\eta\text{-}\text{f}$ vo-xe-k).

რიცხვანაკლი ზმნები ძველ ქართულში

რიცხვი ქართული ზმნის უღვლილების ერთ-ერთი ძირითად კატეგორია-თავანია. ზმნაში რიცხვის აღნიშვნის ამ უძველესი და მნიშვნელოვანი ნორმით თითქოს მარტო ქართულის ნიადაგზედაც მარბლდება ფრანგი ენათმეცნიერის ე. ვანდრიესის დებულება, რომ დროის კატეგორიასთან ერთად რიცხვის კატეგორიას სინამდვილესთან უფრო მეტი მჭიდრო კავშირი აქვს, ვიდრე სქესს, და თანამედროვე მსოფლგაგებაში რაციონალურად მართლდება¹.

ზმნაში რიცხვის აღნიშვნის მხრით ძველი ქართულის სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი არსებითად ერთნაირი ძალის მქონეა, ორივე თანაბარი უფლებით სარგებლობს: სუბიექტი და ობიექტი (გარდამავალ ზმნაში) ყოველთვის თავისი ნიშნებით გამოიხატება².

სუბიექტის მრავლობითობა ზმნაში სათანადო აფიქსებითაა წარმოდგენილი: -თ, -ნ, -ენ, -ან, -ედ, -ეს (ე-ხედავ-თ, იხილო-ნ, სუმ-ენ, იქმ-ან, გალობ-ედ, მოსრ-ეს). ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტური პირიც, როცა იგი მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაშია დასმული და -ნ სუფიქსიანია. რომელი პირიც უნდა იყოს, ზმნაში ყოველთვის გამოიხატება -ენ (-ნ) ბოლოსართით (შენ დაგუწერენ ჩუენ, მე დაგწერენ თქუენ, მე დავწერენ იგინი-მან დაწერ-ნ-ა იგინი).

მაგრამ სისტემა ირლვევა და გამონაკლისები ჩნდება ზოგიერთი ზმნის უღვლილებაში რიცხვის წარმოების მხრით. გამონაკლისობა ზმნური ფუძის შეცვლაში მდგომარეობს: მხოლოდობითის ფუძეზე დართული აფიქსები მრავლობითის გადმოსაცემად საკმარისი არაა, მრავლობითში როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირისათვის სხვა ფუძე გამოყენებული. ამგვარად ვვაქვს, ერთი მხრით, ვ-ზი, და-ვ-სუ... მეორე მხრით, ვ-სხედ-თ, და-ვ-სხ-ენ...

რიცხვში მონაცვლეი ზმნები აღნიშობისა და წარმოშობის მიხედვით ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ერთია—მარტივი შედგენილობის რიცხვანაკლი ზმნები, როგორიცაა ჰყრის და მისთანანი—მრავლობითის ფუძე—და აგდება და მისთანანი—მხოლოდობითისა. უდავოა, რომ მათი სახით ქართულში მოგვეპოვება სუბლექტური წარმოების გადმონაშთი, როცა ძველი სემანტიკური პარალელიზმის შედეგად „ენის ჩვენთვის ცნობილ ყველაზე ძველ მდგომარეობაში ფორმათა სემანტიკურად გაერთიანებული ჯგუფები შეიძლებოდა წარმოდგენილიყო ყოველიყენ სხვადასხვა ძირის წარმონაქმებით“³.

¹ Язык, 1937, გვ. 97.

² არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, I: საქ. სსრ მეცნ. აკად. შთაბეჭ. ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 197.

³ Л. Булаховский, Исторический комментарий к литературному русскому языку, Киев 1938, გვ. 174.

მაშასადამე, ძირითადად ტოლი მნიშვნელობის ორი ზმნა ენამ სემანტიკურად განასხვავა: ერთი ოდენმრავლობითის დანიშნულებით გამოიყენა, მეორე — ოდენმხოლოობითისა¹.

მეორე ჯგუფის რიცხვნაკლი ზმნები (მაგ. დასხნა; განახუნა და სხვ.) ფუძის შედგენლობით ჰგვანან ერთმანეთს. ამ ზმნებზე დაკვირვებამ და მათმა ანალიზმა თითქოს შესაძლებელი გახდა ფუძეში საერთო ელემენტად — სუფიქსი გამოგვეყო.

როგორც ცნობილია, მრავლობითის მესამე პირის ნიშნად სვანურში — სუფიქსი იხმარება და სათანადო ვითარებაში გამოხატავს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას: არი-ხ ‘არიან’, იკედ-ხ ‘იღებენ’, ჯალატ-ხ ‘გიყვარ-თ’, ხულვა-ხ ‘აქვ-თ’ და ა. შ. მრავლობითის ამ სუფიქსის შესახებ თავის დროზე გარკვეული მოსაზრება გამოითქვა: „...ზ განხილულ უნდა იქნას — ყე ნაწილაკთან და კავკასიურ ენებში (ჩერქეზულში, აფხაზურში...) ანალოგიური ფუნქციით აღჭურვილ მსგავს ფორმანტებთან დაკავშირებით“².

სვანურის გარდა ამ სუფიქსს იყენებენ ადიღური ენები მრავლობითის ნიშნად სახელშიც და ზმნაშიც: იგი გამოხატავს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას და ზმნაში თანაბრადაა წარმოდგენილი აწმყოშიც და ნამყოშიც; მაგალითები:

აწმყო: გარდაუვალი ზმნა: არ მათ'ხა—ის წერს (ობიექტი აღნიშნული არ არის)
ა'ხა მათ'ხა—ისინი წერენ (ობიექტი აღნიშნული არ არის)

გარდამ. ზმნა: აშ ათ'ხე —ის სწერს რაღაცას
ა'ხაშ ათ'ხე —ისინი სწერენ რაღაცას
აშ ათ'ხე'ხ —ის სწერს ბევრს რასმე
ა'ხაშ ათ'ხე'ხ —ისინი სწერენ ბევრს რასმე³.

¹ ამ ჯგუფის რიცხვნაკლი ზმნები ყველაზე ტიპურია: მათმა გამოყენებამ გამონაკლისი თითქმის არ იცის. ამავე ხასიათისა ჩანს, თუმცა მათ აქ არ ვხვებით, ძველ ქართულში ნახმარი ზმნები—მხოლოობითის მნიშვნელობით: განტეხს, მრავლობითისა: წყუედს, მუსრავს.. მათ ხმარებაში არ იგრძნობა ის მკაცრი თანამიმდევრობა, რაც სხვა, აქ წარმოდგენილ, რიცხვნაკლ ზმნებში გვაქვს; ამიტომ შესაძლებელია:

მრავლობითი: მან/მათ იგინი მოწყუდ- მხოლოობითი: მან/მათ იგი მო-
ნეს: რაღამცა ყრმანი იგი მოწყუდნეს: წყუედეს: მოწყუდეს ჰაბოღ. მახვლითა:
სპეეს. 334₇₆. სასულ. თ. 68.

შთაუმუსრნეს: შთაუმუსრნეს კბილნი დამუსრა: დამუსრა პური იგი: მკზ
მისნი: კიმ. 190₂₀. 6, 41.

განტეხნა: განტეხნა პური: ევსტ. 89_ა

უფრო მიზანშეწონილია ასეთი ზმნები ისტორიული სტილისტიკის თვალსაზრისით იქნენ განხილულნი და დაუასებულნი.

² ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 9.

³ სიმ. ჯანაშია, სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები (ქართველურ-ადიღური პარალელები), I: ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 265.

ნამყო: გარდამ, ზმნა: წყჳ-ხ-ჩ-რ სლ'წლიჳ-ხ-კაც-ნი ვნახე-წ'¹.

„სარწმუნოა, რომ მრავლობითობის ეს აღიღებული ნიშანი ენათესავება იმავე ფუნქციის აფხაზურ ფორმანტს—ქჳ და სომხურ—ქს“². მრავლობითის ამ სუფიქსის ანალოგიური გამოყენება დასტურდება აფხაზურ ზმნაშიც: ი-ზ-ბლუ-ეიტ 'მე ვწვავ'; ი-ზ-ბლ-ქუ-ეიტ 'მე ვწვავ ბევრ საგნებს'³.

ამით მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული და-ს-ხ-ა ზმნა ობიექტის მრავლობითის გამომხატველ ხ სუფიქსს შეიცავს და ზემოაღნიშნულ ენათა მაგალითების მსგავსია. ამგვარად, ობიექტის მრავლობითობის სუფიქსის მხოლოდობითის ფუძეში შეხორცებამ წარმოშვა ახალი ფუძე, რომელიც ენამ მხოლოდმხოლოდ მრავლობითის შინაარსით გამოიყენა. ამით ქართული ზმნების მიმართ მოხდა დაახლოებით ის, რაც უღურ სახელებში (მაგ., ელმუხ 'სული', ულუხ 'კბილი'...), სადაც მრავლობითის სუფიქსი -უხ ფუძეში გაქვავდა და სახელი ოდენმრავლობით (pluralia tantum) იქცა⁴.

(სვანურ-აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში მრავლობითის ხ (resp. 'ხ || 'ხჳ) სუფიქსი აღნიშნავს როგორც ობიექტის, ისე სუბიექტის მრავლობითობას. ამავე დროს იგი გვევლინება ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ნიშნად ჩერქეზულში⁵. მსგავსი ვითარება მოსალოდნელი იყო გვქონოდა ქართულშიც, თუ კი ხ დადასტურდებოდა ზმნაშიც სუბიექტის პლურალობის მაჩვენებლად და სახელებშიც მრავლობითობის აფიქსად, როგორც ეს გვაქვს კლასიკურ ქართულში, სადაც სახელის მრავლობითის სუფიქსი -ნ ორგანულად უკავშირდება ზმნის მრავლობითობის მესამე პირის ნიშანს -ენ || -ან⁶, ანდა სვანურში, სადაც სახელის მრავლობითობის გამომხატველი ზმნის ფორმაშიც ჩანს წარმოდგენილი ერთისა და იმავე სუფიქსით: დ ინ ა ტ ჳ რ ე 'გოგონა ანთებს', დ ინ წ ლ ა ტ ჳ რ წ ლ ი ხ ე ჯ ა წ რ ს — 'გოგონები ანთებენ მათ'⁷.

ზმნაში სუბიექტის გამოხატვა ხ სუფიქსით მოსალოდნელი იქნება, თუ კალ-ხ, კარღ-ხ და მისთანა სახელებში -ხ-ს მრავლობითობის resp. კრებითობის სუფიქსად ვაღიარებთ, როგორც ეს აღნიშნული აქვს ნიკო მარს სამცხ-ე და მე-სხ-ის მიმართ: „თვით ძირი მსც=მსოც მეორეულია, მასში ძირითადი ბგერებია მს || მსრ, რაც შეეხება ც-ს, ეს, როგორც ცნობილია, მორფოლოგიური ელემენტია, რომელიც ხან მრ. რიცხვს აღნიშნავს და ხან, ამასთან დაკავშირებით, გამოყენებულია ხალხის სახელის საწარმოებლად“⁸. ამავე გაგებას

¹ გ. როგავა, პოლიგერსონალიზმი ქვემო-აღიღებული ენის ზმნებში: იქვე, გვ. 126.

² ს. ჯანაშია, *op. cit.*, გვ. 265.

³ მაგალითები დამოწმებული აქვს ვლ. თანჩვიძეს: მრავლობითი რიცხვის მესამე პირის აფიქსები -ყუნ || -ყო უღურ ენაში: ენიმკის მოამბე, XII, გვ. 79.

⁴ ვლ. თანჩვიძე, სახელთა ბრუნებისათვის უღურ ენაში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 135; მღრ. გვ. 133.

⁵ ს. ჯანაშია, *op. cit.*, გვ. 265.

⁶ არნ. ჩიქობავა, *op. cit.*, გვ. 198.

⁷ სვანურში საზოგადოდ ამ მხრივ სხვა მაგალითებიც საგულისხმოა: კ ჳ ი შ ე 'ტებს ერთ რასმე', ა კ ჳ შ-ჳ რ-ე 'ამტვრევს'... (ვ. თოფური, სვანური ენა, გვ. 156).

⁸ Из предок в Сванию, ЖВ, III, 1913, გვ. 33.

გვაძლევს სიმ. ჯანაშია: „მრავლობითის ეს სუფიქსივე (ხ, 'ხ) უნდა გვევლინებოდეს ქავკასიური ეთნიკის ერთი კატეგორიის მაწარმოებლის როლში (ჩესხი, ტაოხი, ჯავახი და სხვა)“¹.

რიცხვნაკლ ზმნებში -ხ ბოლოსართის მრავლობითობის ელემენტად გაგებას ქართული ენის ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ფაქტია, რომ კლასიკური ქართულის დასაწყის პერიოდში -ხ მოქმედ მორფოლოგიურ სუფიქსს აღარ წარმოადგენს. აქ უკვე -ნ (--ენ) ბოლოსართია გამოსული მის შემცვლელად. ხ შემოგვრჩა სამიოდე ზმნურ ფუძეში. მაგრამ აქაც იგი ფუძის ინტეგრალურ ნაწილად იქცა, მისი მრავლობითის სუფიქსად გაგება თანდათან მიიღია და მრავლობითობის გადმოცემა აქაც საერთო წესს დაექვემდებარა, — -ენ — ნ სუფიქსს დაეკისრა: ნაცვლად უძველესი და საკმარისი ფორმისა: მან იგინი და-ს-ხ-ა, გვაქვს: მან იგინი და-ს'ხ-ნ-ა. მიუხედავად ამისა, ამ ზმნებმა მანაც შეინარჩუნეს მხოლოდობითან დაპირისპირების თვისება და აქედან წარმოდგა მათი რიცხვნაკლობა.

არ უნდა იყოს, სხვათა შორის, უგულვებელსაყოფი, რომ რიცხვნაკლ ზმნებში -ხ სუფიქსის შეხორცებისათვის ხელი შეეწყო ამ ფუძეთა ერთმარცვლიანობას:

ქვემოთ აღწერილია რიცხვნაკლ ზმნათა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში მოქცეულია მხოლოდობითის ფუძეები, რომელთაც ხ სუფიქსი შეეხორცა და მრავლობითის დანოუქიდებელ ფუძედ და ახალ ლექსიკურ ერთეულად იქცნენ (ტიპი: სუ ა—ს-ხ-ა...); მეორე ჯგუფს შეადგენენ სხვადასხვა ფუძის მონაცვლე რიცხვნაკლი ზმნები (ტიპი: ა-გ დებს მას—ჰ-ყ რი-ს მათ...).

I

1. სუ-ამ-ს (0 მხოლოდობითშია)

მნიშვნელობით განსხვავებული ორი ზმნიდან (და-ს-უ-ა იგი და შე-ს-უ-ა ღჯნოდ) აქ განხილულია პირველი. ძველ ქართულში იგი რიცხვნაკლი ზმნაა და იხმარება მაშინ, როცა ობიექტი მხოლოდობითშია², მრავლობითში კი მას სხ-ამ ფუძე ენაცვლება. თვალსაჩინოებისათვის ორივეს წარმოვადგენთ პარალელურად:

0 მხოლოდობითშია	აწმყო	0 მრავლობითშია
ვ-სუ-ამ:		ვ-სხ-ამ
ჰ-სუ-ამ: ნუ ქურივ-ლ უ ა მ ცოლსა შენსა:	ვესტ. 92 ₃₂	ჰ-სხ-ამ
სუ-ამ-ს, სუ-მ-ენ		სხ-ამ-ს, სხ-მ-ენ
უწყვეტილი		
ვ-სუ-ემ-დ		ვ-სხ-ემ-დ
ჰ-სუ-ემ-დ		ჰ-სხ-ემ-დ
სუ-მ-ი-და: და თვესა გელსა უ ხ უ მი და:	კიმ. 117 ₅	სხ-მ-ი-და: წმიდათა გელთა მისთა გ არემოა სხ მი და: ბოლნ. 37 ₂₂

¹ სვანურ-ადილ. (ჩერქეზ.) ენობრივი შეხვედრები, გვ. 265.
² ა. შანიძე, S₂ და O₂, გვ. 34, შნშ. 2.

II ხერაი

0 მხვალღობითშია

და-ე-სუ
და-ჰ-სუ
შე-სუ-ა, შე-სუ-ეს: და შესუა იგი სა-
პყრობილესა: აღიშ. მთ 18, 30

აღსუა იგი თუსსა კარაულსა: ლკ 10, 34
დღდაკაცსა დედისა თუსისასა ქმარი უსუა:
ხანძთ. კთ⁹⁹

და კელი მოისუა ადგილსა მას: ხანძთ.
მა¹⁵

მერმე ჰალაბით შემსუეს მე ვეფრატსა
ნავითა: ანტ. რავა⁹. 45₁
ეპისკოპოსმან საყდარსა იგი დასუს:
ხანძთ. კვ¹²

0 მრავლობითშია

და-ე-სხ-ენ
და-ჰ-სხ-ენ
შე-სხ-ნ-ა, შე-სხ-ნ-ეს: წინამძღუარნი... შე-
იპყრნეს და შესხნეს სა-
პყრობილესა: კიმ. 6₁₀

მრავალნი მზირნი და უსხნეს:
კიმ. 195⁹⁶

და თანა დამსხნა უზეშთავს ყოველთა.
მთაფრობათა: სასულ. სოთ¹⁸⁷
ქჷმან ლომან ლეკუნი მკუდარნი სხნის:
სახისმეტყ. ჰ⁶⁰

ვნებითი

წიართა შინა აბრაჰამისთა შთაისუა
(იგი): წარტყ. კვ¹

დაისხნეს მტერნი იგი შენნი ქუეშე
ფეოქთა შენთა: სასულ. რწ¹⁹⁵...

2. სხ-ამ-ს (0 მრავლობითშია)

მარტოოდენ მაშინ იხმარება, როცა ობიექტი მრავლობითშია მორფოლო-
გიურად, ან მრავლობითობის გაგებას, კრებითობას გამონათავს¹. რამდენადაც
ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა ძველ ქართულში, როგორც წესი,
II სერიაშია სავალდებულო, ამდენად ესა და მსგავსი ფუძეები აწმყოში არც
კი იყო მოსალოდნელი. მაგრამ მის წარმოშობას ისე დიდი ხნის ისტორია აქვს,
რომ იგი დამოუკიდებელ ფუძედ, ახალ ლექსიკურ ოდენობად გვევლინება და
ობიექტის მრავლობითობის გარეშეც მიმართავს მას ენა. ამისდა მიხედვით ამ
ზმნის გამოყენების შემდეგი შემთხვევებია აღსანიშნავი:

1. სხამ- ფუძე შე-პრევერბით სპეციფიკურ გაგებას იძლევა: შეასხამს
'აქებს'. ამ შემთხვევაში მას მხოლოდობითში საპირისპირო ფუძე არ მოეპოვება.

აწმყო

რომელნი შენ გალობას შეგასხამთ: სასულ. ლბ¹²
აწ შეასხამს სული იგი, რომელ ეკლესიათა შინა განწესებულ არს.
იპოლ. 1¹⁸⁵

უწყვეტელი

შეასხმიდა შესხმასა ახალსა: იპოლ. 1⁹⁶
რომელნი შეასხმიდეს ქრისტესა და იტყოდეს: კურთხეულ არს მო-
მავალი: წარტყ. კვ¹²
ზეცისა ერთა ბანაკსა გალობით შევასხმიდეთ: სასულ. სმშ¹⁷, ასე:
მშ¹⁹; რკტ¹ და სხვ.

¹ შდრ. ა. შანიძე, S₂ და C₃, გვ. 10.

2. ობიექტი მორფოლოგიურად არაა მრავლობითში, მაგრამ შინაარსით იგი ასეთის გაგებას შეიცავს—დაუთვლელია, ან ნივთიერებას აღნიშნავს: მიწა, ნაცარი, ნახშირი, საკმეველი, სითხენი, მარცვლეული, მწერები, ერი და სხვა. მის საპირისპიროდ მხოლოდობითის ფუძე, მართალია, არც ამ შემთხვევაში ჩანს, მაგრამ იგი უნდა იგულისხმებოდეს.

ამდენად ძველ ქართულში ჩვეულებრივია: შთაასხა წყალი, ღვინო... მაგრამ მრავლობითის ფუძე როდია ნახმარი სხვა შემთხვევაში, მაგალითად: ვინაჲ მოიღონ წყალი: კიმ. 257₂₀... გვაქვს მოიღო და არა მოიხუა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო თითქოს.

უწყვეტი

გარდაპრიე. ღვინთა და ასხემდი ვითარცა თხიერსა: ბოლნ. 84₅₋₆.
 ვბოვე იგი, რამეთუ შთაასხმი და ნაცარსა საცეცხურთასა: კიმ. 24₁₄
 დათუნი იგი მრისხანედ უკუ მოასხმი დეს მიწასა მას: იქვე, 156₁₂
 ზოგნი წყალსა ამსახურებდეს, ზოგნი ლოდათა არცხიებდეს და თავსა
 გარდაასხმი დეს: იქვე, 163₁₇

ვნებითი

ერი დაესხმო და მას სმენად: ლკ 5,1

II ხერია

ქარსა მონასტრისასა დაასხა ნავშირი: ათონ. 79₁₄₃
 დამასხ წამალი სინანულისაჲ: ტიმ. ანტ. 127₁₀
 საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ: შუშ. 13₁₇
 აღიღო საცეცხური და დაასხა საკუმეველი: კიმ. 217₁₆, და ასე: იერუს.
 განჩინ. 88₁₅
 გარდაასხა ტბორები იგი წყალთაჲ: კიმ. 115₂₁, და ასე: 235₁₀; იაკობი
 რლოთ₁₀; ჰაბო 74₃₈

არავინ შთაასხის ღვინო ახალი თხიერთა ძუელთა... არამედ ღვინო
 ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან: მკზ 2, 22 და სხვა.

ვნებითი

ამისა შემდგომად მატლი დაესხა: საბა 6₁₁

3. სხამ ფუძეს აშკარად უპირისპირდება სუამ, დევ, აგდებ ფუძეე-
 ბი (შდრ. ამ ფუძეებთან), როცა ობიექტი მხოლოდობით რიცხვშია წარმოდგე-
 ნილი; სხამთან კი ობიექტი მრავლობითშია:

აწმყო

ეშმაკთა განვასხამთ კაცთაგან: დამასკ. 261₂₂

უწყვიტელი

დიდი ეპიფანე... სულთა უკეთურთა განასხმიდა: ხანძთ. მდგ

II ხვრია

განასხა სულები იგი უკეთური სიტყვათა: პარხ., ტბ. ნთ 8, 16
რომელმან ცასა აღჯრ ასხნა: სასულ. რადგ, და ასე: ტიმ. ანტ. 54¹².
ჰმსახურეთ მაგათ, ანუ წარვასხნე იგინი: კიმ. 191¹³ და სხვა.

უნდა შეინიშნოს, რომ ძველ ქართულში ეს ზმნა ძალიან ფართოდაა გამოყენებული და ფართო მნიშვნელობაც აქვს. ამის გამო იგი თითქმის აძვეებს ხმარებიდან მრავლობითობის სხვა ფუძეებს და მათ ადგილს იჭერს.

სხ-ამ ფუძის მნიშვნელობაზე დაკვირვება და მისი შედარება მხოლოობითის სუ-ამ-თან თითქოს შესაძლებელს ხდის, რომ მასში იგივე მხოლოობითის სუ- ძირი გამოვეყნოთ და მრავლობითობის გამომხატველად -ს სუფიქსი მივიჩნიოთ¹. მაშასადამე, სხ-ამ -- სუ-ხ-ამ: და-ს-უ-ა კაცი—და-ს-ხ-ა კაცები. ძირისეული უ ძველ ქართულში უკვალოდაა დაკარგული: ნაცვლად *და-ს უ ხ - ა ფორმისა და -ს ხ - ა იხმარება.

უმარტვლო უ-ს უჩინარობა ძველ ქართულში სხვა შემთხვევებშიც შენიშნულია: შდრ. კ-ლ-ავ და კუ-ედ; ჩ-ანს და უ-ჩუ-ენებს... იხმარება და ჩ ჩ ა ნ და და ჩ ჩ ი ა ნ (DE და C მთ 24, 32). ასევე არ ჩანს ალბათ იგი დასხა ზმნაშიც. საყურადღებოა, რომ ზემოთხსენებულში უ აქ შემონახულია: და-ს ხ ვ - ი (წიწილა, კრავი... ბავშვი დასხვი ძირს!), ოლონდ ვ-ს მეტათეზისი განუცდია: *და-ს უ ხ - ი -- და-ს ხ ხ - ი².

¹ ეს -ს ახლო ურთიერთობაშია მრავლობითის -ყ ნაწილაკთან, მოხდენილია მ. ჯანაშვილის მაგალითი: ინგ. აბამე=სვან. ხაბემხ (ქართ. გრამატიკა, 1906, გვ. 97).

² სხ-ამ ფუძესთან დაკავშირებით შეიძლება ძველ ქართულში ნახვარი ტერმინის უსხ-ის ეტიმოლოგიაც გავითვალისწინოთ. ცნობილია, რომ ბირუტყვის 'შობის, დაბადების, მოგებას' აღსანიშნავი გამოთქმები დასვა || და:ა ჯ ი ნ ა || დასხა ძველ ქართულში სხ ძირითაა წარმოდგენილი:

რაქამს შენის ძუმან ლომმან ლეკუნი, მკუდარნი ხხნის: სახისმეტყ. ბეი;

შდრ. *მირქამ ბნანხ მათასკ თინდჷნ ფიქრქანს, მინსაჟ ბნანხ* (გვ. 473).

ჩანს, სომხურის მიხედვით „შვა“ და „სხა“ ერთი და იგივეა. ვგვევითქმის „შვილთ-სხმის“ შესახებ:

ლეღსა ფურცლითა შვილთ-ს ხ მ ი ს ა მიხეზნი იგი გონიერად დაიფარნა: მრავალთ. 311¹⁴,
სასოებაჲ შვილთ-ს ხ მ ი ს ა ჲ იქვე, 310¹⁵.

უ-ს ხ - ი უარყოფითი მიმღობაა სხ-ამ ზმნისა და ნიშნავს 'უშობელს'. ასევე ნაწარმოები ვ-ს მ - ის : უ-ს მ - ი; ი-ტყვს : უ-ტყვ; ვ-რჩ-ის : უ-რჩ-ი; ი-ზე-ებს : უ-ზე-ი 'ბერწი' (შდრ. მეე-ზევე 'მშობელი': ს ა ბ ა). მაგრამ უსხის 'უშობლად' გაგებას თითქოს აბრკოლებს შემდეგი: ს ა ბ ა ს განმარტებით უსხი არის 'ზროზა საკლავი მსუქანი'. საკითხავია: რამდელი ზროზა? ს ა ბ ა ს ახსნა ისევე ორაზროვანია, როგორც ამ სახელწოდების ბერძნული შესატყვისი: *μῦθος* — უშობელი, მოხვერი:

მოიბთ ვარი იგი უსხი და. დაკალთ: აღიშ. ლკ 15, 23; შდრ. 15, 27

ἐνέχωντες τὸν μύθον τὸν οὐκ ἔστιν ἰσχυρὸν.

აღიშური რედაქციის ჩვენება ან ბერძნულის ორაზროვანი გაგებიდან გამომდინარეობს,

3. მ-ი-ვ-ი-ს

ოდენმხოლოობითში დასმულ სუბიექტთან გამოიყენება, მრავლობითში ისევე სხამ ენაცვლება. რიცხვნაკლია აგრეთვე მისი აორისტში შემცვლელი ფუძე, რომელიც სტატიკურ, ზმნათა მსგავსად იწარმოება. აწმყოში მხოლოდ საშუალი გვარის სასხვისო ქცევის ფორმები გვაქვს. ამ ზმნის ეტიმოლოგია უცნობია. დამაჯერებელი ვერაა მისი გაიგივება „სვა“ (მესვა) ზმნის ძირთან¹. საერთოდ არ გვხვდება აქედან არც მასდარი და არც მიმღეობა². საგულისხმოა, რომ ქართულმა ეს ზმნა, რომელიც უპირატესად ან თითქმის მხოლოდ სულიერი არსების ყოლას გამოხატავდა, შემდეგში დაკარგა.

აწმყო.

S მხოლოდობითშია

S მრავლობითშია

მ-ი-ვ-ი-ს:

მ-ი-სხ-ენ:

მავის მე მამა: კიმ. 218₃₆
მამა გვვის ჩუენ აბრაჰამი: მთ 3, 9,
და ასე: იოვ 19, 15

მისხენ ხუთნი ძმანი: ლკ 16, 28

II ხეცია

მ-ე-ს-უ-ა:

მ-ე-სხ-ნ-ეს:

მესუა მე მამა კეთილის მოყუარმ:
მრავალთ. 122₆

წარვედ ეგვბტედ მოხილვად თვსთა ჩემ-
თა, რომელნი მესხნენს მე
მუნ: ანტ. რაეახ. 90₃₈.

თქუნდა, რათა მესუას შვილი:
ათონ. 140₃₈

თუმცა არა გუესხნენს კელოვანი,
არამცა ღმერთნი გუესხნენს:
კიმ. 135₂

გ-ე-ს-უ-ა:

გ-ე-სხ-ნ-ეს:

არა ჯერ-არს შენდა, ვითარცა გესუა
შენ იგი ცოლად: მთ 14, 4; მკზ 6, 18

და რომელ აწ ძენი გესხნენ, იგუემ-
ნენ: ხანძთ. ნკ₁₄; ობ₁₃.

ან, რაც უფრო შესაძლებელია, უსხი ზედსართულადაა გაგებული ('უხბორო', გადატ. 'მსუქანი'), რასაც ადასტურებენ სხვა რედაქციები:

მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანი და დაკალთ: პარხ., ხანმეტი, გვ. 384₂₂ (იგივე ადგილი)
მოიბთ ზუარაკი იგი ჭამებული და დაკალთ: გიორგის რედაქ. 1879 წ. (იგივე ად-
გილი) ან: ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არს: მთ 22, 4

ინ რანაჲნი მთა ჯი რე თსო ა ჯეჩუქსა

ამგვარად, უსხი = უშობელი; გადატ. მსუქანი, ჭამებული:

საინტერესოა ქართულიდან სვანურში შესული უსხვაე (ზემოსვ. უისხვ) "შეწირული პირუტყვი" ვ-ს შენახვით.

¹ Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, СПб. 1855, გვ. 36.

² საცილობელი ჩანს ნ. მარის ახსნაც, თითქოს მივიღო სპირანტული სახე გვიხვენებ-
დეს ორ სახესხვაობას: ვ-ჭვ || *ვ (— —) — *ვდ--ნ და უკანასკნელთაგან იყო ნაწარმოები სვან-
ურში მეწველი ზმნა: ხტ-ი, ხ-ი და ლ-ი (Н. Я. Марр, Ирам., გვ. 177, § 212). ნ. მარის ეს
გარაუდი საეჭვოდ მიიჩნია არნ. ჩიქობავამ თავის რეცენზიაში („იმომზილველი“, 1926, I
გვ. 303).

სვანურ მეშველ ზმნას მივიღო კი არ უკავშირდება, არამედ, ჩვენი რწმენით, აორისტის
მ-ე-ს-უ-ა, რომელიც იქ ერთგვარი სემანტიკური გადაწვევით გვაქვს: ხტ-ა-სუ, ხ-ა-სუ, ლ-ა-სუ
ვიყავ, იყავ, იყო.

S მსოვლობითშია

(ხ)ე-სუ-ა:
 ეს უა მას ცოლი: ხანძთ. ნღ₆, და ასე: პე₃;
 რომელსა ეს უა ქმარი: სახსმეტყ. იბ₂₃
 არა. ეს უა მას შვილი: კომ. 269₁₂
 ეს უა მას მეუღლე შჯულიერი: ტომ. ანტ.
 80₃₇; 85₁₈
 კაცად-კაცადსა თჳსი ცოლი ეს უნ: კო-
 რინთ. 7, 2

S მწავლობითშია

(ხ)ე-სხნ-ეს:
 და ეს ხნეს შვილი: იქვე, ნღ₆, და
 ასე: ნვ₁₀.
 მრავალ შვილ ეს ხნეს ბერწსა მას: სა-
 ხისმეტყ. იბ₂₁
 იაკობს ეს ხნეს ათორმეტნი ძენი:
 ვესტ. 8₇
 ნეტარ იყვნენ რომელთა ეს ხნეს ცოლ:
 თუჳ. 93₇₂
 კაცსა თუ ეს ხნიან ორნი შვილი:
 წარტყ. ლ₂₃

4. ზ-ი-ს, ჯ-ედ

რიცხვნაკლია. ორივე იხმარება მარტოოდენ მხოლოდობითის სამსავე პირში, პირველი—აწმყოში, მეორე—II სერიის დრო-კილოებში. ზ-ი-ს ზანური უ ძირის კანონზომიერ შესატყვისადაა მიჩნეული. უკანასკნელი დღესაც იხმარება გურულში როგორც საშუალი გვარის, ისე კაუზატივის ფორმებში: უ-ი-ს, ა-უ-ენ-ს; მეორე სერიაში კი უ ძირი, რომელსაც ვნებითის -ედ აქვს დართული, ქცეულა ჯ-დ: ჯ-ედ¹. ეს ზმნა გამოყენებულია ქართულში ვნებითისათვის ყველა სერიის მხოლოდობითში; მრავლობითში მას ენაცვლება იგივე სხ ძირი, რომელსაც აქ უ-ენ || -ედ სუფიქსი აწარმოებს: სხ-ენ/ედ.

S მსოვლობითშია

ზამუალი, აწმყო
 ვ-ზ-ი: აწ ესერა ვ ზ ი და ვილოცავ: ჰაგ.
 მას. 28
 ჰ-ზ-ი: რომელი ჰ ზ ი ზედა ქერობინთა: სა-
 სულ. ტ₂₈₀ და ასე: იაკობი ჯგ₂
 ზ-ი-ნ/ს:
 ზე ზ ის იგი ვირსა: მთ 21, 5
 რომელი-იგი ზ ი ნ და ითხოვნ: იოვ 9, 8
 ზ ი ნ იგი თანაწარსავალსა გზათსა: ტომ.
 ანტ. 62₁

S მწავლობითშია

ვ-სხ-ენ-თ
 ჰ-სხ-ენ-თ
 სხ-ენ-ან/ედ:
 ვითარცა ხატნი მეტყუელნი წინა სხ ე-
 ნან: ათონ. 2₆
 რომელნი ბნელსა და ჩრდილსა სიკუდი-
 ლისასა სხ ენან: ლკ 1, 79
 რომელნი სხ ენ ედ უბანთა ზედა და მო-
 უწოდედ მოყუასთა: ტბ. მთ 11, 16

II ხგნია

გ-ჯ-ედ:
 გ ჯ ედ და ვიკითხედ: კომ. 207₂₇
 გ ჯ ედ რად საზღსა შინა ჩემსა: არიმათ.
 33, 19

გ-სხ-ედ-ი-თ:
 ეს ხ ე დ ი თ ყოველნივე წინაშე მისსა:
 ათონ. 329₇
 ეს ხ ე დ • თ და ვზრახვედით და ვისწგნ-
 დით: კომ. 166₂, და ასე: 37₁₂, 21₂

¹ ე. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა, ქართვ. ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიმკის მოამბე, V—VI, გვ. 534.

S მხოლოდობითშია

ს-ჯ-ედ: ოდეს იგი ს-ჯ ედ ვესას: კიმ. 72₂₁
ჯ-დ-ა: ჯ და მეწ კაცი ერთი დაქსნილი:
საბა 18₃₀
იხილა ლევი აღფსი, ჯ და რამ იგი სა-
ბურესა ზედა: ტბ. მკზ 2, 14,
და ასე: მთ 26, 69; იოვ 9, 8

S მრავლობითშია

ჰ-სხ-ედ-ი-თ
სხ-დ-ეს: რომელნი იგი სხ დ ე ს მუნ: იხოლ.
24₅₂₁
ორნი ბრმანი სხ დ ე ს ვხასა ზედა: ტბ.
მთ 20, 30

ვნებითი, აწმყო

მხოლოდობითი

ვ-ჯ-დ-ებ-ი
ს-ჯ-დ-ებ-ი
ჯ-დ-ებ-ი-ს

მრავლობითი

ვ-სხ-დ-ებ-ი-თ
ჰ-სხ-დ-ებ-ი-თ
სხ-დ-ებ-ი-ან

უწყვეტელი

ვ-ჯ-დ-ებ-ოდ-ი და სხვ.

ვ-სხ-დ-ებ-ოდ-ი-თ და სხვ.

II სერია

ლა-ვ-ჯ-ედ: და ვ-ჯ-ედ მე ვითარცა ყორანი
მარტო: სახისმეტყ. ლა₂
და-ს-ჯ-ედ: და და შ-ჯ-ედ მალალთა შინა სუფე-
ვასა: სასულ. ტი₇₂, და ასე: ტკბ VI;
ქრესტ. 53₂₀₁; კიმ. 138₂₈
და-ჯ-დ-ა: და და ჯ და მის წილ ძმ მისი მაჰდი:
ჰაბო 63₁₃, და ასე: საბა 8₃₀; თეკ. 112₂;
101₂₆; ხანძთ. თ₃₄, კლ₃₈
იოვანშ გა ჯ და სავედარსა თქსა: ურჰ.
321₂₂
მერმე გარდამოჯ და ნომერიანოს
ტაძრად: კიმ. 44₁₈

და-ვ-სხ-ედ-ი-თ: მუნ და ვ ს ხ ე დ ი თ და
ვტიროდეთ: წარტყ. მ₃
და-ჰ-სხ-დ-ე-თ: და ს ხ დ ე თ თქუენცა:
მთ 19, 28
და-სხ-დ-ეს: წართქუნეს... ფსალმუნნი... და
და ს ხ დ ე ს სერობად: ზარზმ.
169₅
ა ს ხ დ ე ს ცხენთა და დეგნა უყვეს: ჰაგ.
მას. 35
გარდამოვდეს მოწაფენი მისნი ზღვსკიდე-
სა მას და შე ს ხ დ ე ს ნავსა: იოვ 6, 16-17

სხედ აგრეთვე კრებითობის თუ მნიშვნელობით მრავლობითობის გამომ-
ხატველ სუბიექტთან გამოიყენება:

ერი სხდა: ერი რომელი სხდა ბნელსა: მთ 4, 16
დედები სხდა: დედები იგი, რომელ სხდა თეატრონსა: თეკ. 120₁₅
ამგვარად, ზ-ი (აწმყოში) და ჯ-ედ (მეორე სერიაში) მხოლოდობითის ფუ-
ჭეებია, მრავლობითში სხ-ენ/ედ ენაცვლება. ძველმა სალიტერატურო ქართულ-
მა ამ მხრით გამონაკლისი არ იცის. ამდენად, ნ. მარის მიერ აწმყოში წარ-
მოდგენილი მრავლობითის ფორმები ვ-ზი-თ, ჰ-ზი-თ, ზი-ან¹ მხოლოდ დიალექ-
ტური მოვლენის ამსახველი და ნაწილობრივ ახალი ქართულის დამახასიათებ-
ელი იქნებოდა და არა ძველი სალიტერატურო ქართულისა.

ა. ი-ევ-ს — დ-ევ-ს

ვ-დ-ებ ზმნის მედიალური ფორმა ძე. ქართულის აწმყოში მხოლოდ ძეს-
სახითაა ცნობილი. თავდაპირველი დ გაათრიკატლა -ე- ხმოვნის წინ². გარდა-

¹ Грам., § 244, გვ. 208.
² და არა პირიქით, ძ იყოს პირველადი და აქედან ძე→დვ, როგორც ამას ნ. მარის
აღნიშნავდა (Грамм., § 188 с, გვ. 155).

მავალი საფეხური გვაქვს სვანურში: ზი, ზესდანდა¹ 'ძვეს, იღვა'. აწმყოში თემატური სუფიქსის თანხმომავანი -ვ- თითქმის ყოველთვის იკარგვის: ძ-ევ-ს-ძ-ე-ს.

ძვე მხოლოობითის ფუძეა, მრავლობითში სხ-ენ ენაცვლება. სტატიკურ ზინათა დარად, ესეც არ იგუებს პრეფერს. (ძვეს --) ძეს ძველ ქართულში უფრო ხშირად არაცოცხალი საგნის, მაშასადამე, მესამე პირის მიმართ იხმარება, თუმცა იშვიათად პირველ პირშიც გვხვდება და გაგებაც რამდენადმე თავისებური აქვს.

მხოლოობითი

მრავლობითი

აწმყო

ვ-ძ-ე: გუამი ჩემი შეძრწუნებულ იქმნა და ამის გამო ვძე მე შიშუელი: იადგ. 111

ვ-სხ-ენ-თ

ს-ძ-ე

ჰ-სხ-ენ-თ

ძ-ე-ნ/ს: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ? აღიშ. მკზ 5, 7, და ასე: მთ 8, 6; ტბ. მთ 27, 19; 3, 10

სხ-ენ-ან: სადა იგი პატიოსანნი ნაწილნი მისნი სხენან: სვან. 54, სვ. I; 40, სვ. I

ძეს ორგან განკუთვლილი მეფე: კიმ. 154_ა

რომელსა შინა არა ფიცარნი სხენან მისეს მიერ გამოქანდაკებოლნი: სინას ხელნაწ. 177_ა

პოვის ტბურე თიჯოვანი ანუ თუ სადა ბზშ ძენ ინგორის: სახისმეტყ. იმ₅

აორისტო

გ-ი-დ-ევ

ვ-ი-სხ-ენ-ი-თ: დაგრდომილნი ვისხენით: სვან. 94, სვ. I

ი-დ-ევ

ი-სხ-ენ-ი-თ

ი-დ-ვ-ა:

ი-სხ-ენ-ეს:

სიდედრი სიმონისი ი დ ვ ა სიციხთა: აღიშ. მკზ 1, 30, ასე: მთ 9, 2

სადა იგი ისხენეს ვორცნი წმიდისა სტეფანოსნი: იქვე, 133, სვ. II

ქუე ი დ ვ ა იგ სიკუდად მაახლებული: საბა 10₁₀

რომელთანი უძღურნი ისხენეს სარეცელთა მათთა ზედა: საბა 19₁₀

ლაზარშ მომკუდარიყო... და ი დ ვ ა იგი სამარესა შინა: ევსტ. 89₂₀

შევიდა საზლსა მას, სადა ისხენეს მკუდარნი: კიმ. 147₂₈, და ასე: 192₂₁; იოვ 5, 28

მრავლობითში ფუძის მონაცვლეობა ეხება აწმყოსაც და აორისტსაც: იგი ძეს—იგინი სხენან, იგი იღვა—იგინი ისხენეს. აწმყოში მრავლობითის მნიშვნელობით უნდა გვქონდეს დევ ფუძის გამოყენების შემთხვევაც:

იგინი ს-დვ-ი-ან: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელ ს დ ვ ი ა ნ ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის: მთ 13, 47; შდრ. $\delta\mu\sigma\iota\alpha \dot{\epsilon}\tau\epsilon\upsilon\varsigma \eta \dot{\gamma} \beta\alpha\sigma\iota\lambda\epsilon\iota\alpha \tau\omega\upsilon \delta\upsilon\rho\alpha\upsilon\alpha\upsilon \alpha\alpha\gamma\eta\upsilon\eta \beta\lambda\eta\theta\epsilon\iota\sigma\tau\eta \epsilon\iota\zeta \tau\eta\upsilon \dot{\eta}\acute{\alpha}\lambda\lambda\alpha\sigma\tau\alpha\upsilon$ etc.

6. (ა-ძ-ევ-ს --) ა-ძ-ს -- ა-ც

(უ-ძ-ევ-ს --) უ-ძ-ს -- უ-ც

სასხვისო ქცევისა და საზედაოს პრეფიქსები თემისეული სუფიქსის ხმოვნის რედუქციას იწვევს: (ა-ძ-ევ-ს --) ა-ძ-ე-ს -- ა-ძ-ს; (უ-ძ-ევ-ს --) უ-ძ-ე-ს -- უ-ძ-ს.

შემდეგ ძს კომპლექსი ც-დ იქცა: აძს - ა-ც, უ-ძ-ს - უ-ც. დღესდღეობით ძველი ვითარება შემონახული ჩანს ქიზიყურში, სადაც იხმარება ა-ძე: ქვა და ხვინჯა ზედა აძე¹.

I და II სუბიექტური პირის ფორმები დადასტურებული არაა. ვიღრე ორივე რიცხვის ფორმებს წარმოვადგენდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი: საშუალი გვარის საზედაოს სპეციფიკური გაგება აქვს: აც (← ა-დ-ეე-ს) ნიშნავს უპრევერბოდ: 'აძევს, მართებს, ევალება'... ამის გამო მრავლობითი რიცხვი თითქმის არ გვხვდება, ყოველ შემთხვევაში იგი ძალიან იშვიათია. აქ წარმოდგენილი რამდენიმე ზმნა მრავლობითისა მხოლოდ მაშინაა მხოლოდობითის ფარდი, როდესაც მათ აქვს, აცვია, აბია, ადგას, ასხიას მნიშვნელობა აქვთ:

S მსოფლიოპითშია

S მრავლობითშია

აწმყო

მ-ა-ც, გუ-ა-ც:

მეცა თანამაც, რაათა განუქდე ბრძოლად: ჰაბო 71₃₆
თანამაც სიყუარული და პატივი მამობისა შენისა: ხანძო. კდ₃₃, თ₆₆
რომელთა თანა-გ-უ-ა-ც მითხრობად მათ: იპოლ. 1₁₈₈

გ-ა-ც:

თქუენცა თანა-გ-ა-ც ურთიერთს დაბანა ფერჯთა: აღიშ. იოვ 13, 14
მომეც მე, რაეცა თანა-გ-ა-ც: პარხ. მთ 18, 28

(ბ)ა-ც

სწუა სამარადისოა სახშ აც (ვაპანაკრა-სა): სახისმეტყ. კ₂₄
თანა ხ-ა-ც კორციელითაცა მსახურებად მათა: ქრესტ. 15₂₈
ოქროს ფერად მო-ა-ც გარშმო, ვითარცა სარტყელი: თუალთ. 44

მ-ა-სხ-ენ, გუ-ა-სხ-ენ

გ-ა-სხ-ენ 'გაბია, გასხია, გაცვია':
გუენის მანიაკი ეგე და რომელნი ეგე ფერჯთა გასხენ: კიმ₄ 46₂₆
გასხენ შენ შებილწებულნი ველნი: იქ-3ე, 44₁₄
სანდალნიმცა გასხენ, და ნუ შეიმოსო მრჩობლსა კუართსა: მკზ 6, 9

(ბ)-ა-სხ-ენ:

იგინივე ვორცნი ასხენ: სვან. 92, სე. II; ასე: 127, სვ. II
რომელსა ასხენ ყურნი სმენად: მთ 11, 15

II ზედია

მ-ე-დვ-ა, გუ-ე-დვ-ა:

რომელი თანა-გ-უ-ე-დვ-ა ყოფად, ვჰავთ: ლკ 17, 10
ზედა მჰართა გუ-ე-დვ-ა სიმძიმე ცოდვათა: იპოლ. 27₁₇

გ-ე-დვ-ა

(ბ)-ე-დვ-ა:

ჯაქუ იგი, რომელ ედვ-ა ქედსა მისსა, ზედა ეგრეთვე ედვ-ა: შუშ. 29₂₈

მ-ე-სხ-ნ-ენ, გუ-ე-სხ-ნ-ენ

გ-ე-სხ-ნ-ენ

(ბ)-ე-სხ-ნ-ენ:

ზაქარია... დადგრომილ ხიყო და ურწმუნოებისათჳს აღურნი ხესხენ: ს: ქრესტ. 24₆

¹ ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, გვ. 294.

S მსხველმძებრობითშია

რომელსა თანა-ედვა მისი ასი დრაჰ-
კანი: მთ 18, 28; ასე: 13, 46;
ბოლნ. 14₁₃₋₁₁
ყრმასა მას ზედა მეწამულის ფერი ნიში
ედვა: იპოლ. 2₁₁₁

მ-ი-ც, გ-ვ-ც:
ვერ ძალ-მ-ი-ც გემოას ხილვად: შუშ. 22₁₃,
და ასე: ხანძთ. ლ₁₆; ა₁₆
გულის ხმა ყავთ, რაჲ ესე წინა გ-ვ-ც:
იპოლ. 15₁₁
რომელსა ზედა აწცა და მ-ი-ც მე კუერთ-
ხი: ჰაგ. მას. 40

გ-ი-ც:
ძალ-გ-ი-ც-ა შესუმაღ სასუმელი? პარხ.
მთ 20, 22, და ასე: 16, 3; მკვ 9, 22
ყოვლაღვე ძალ-გ-ი-ც შეწყენაჲ ყოველთაჲ:
ხანძთ. ომ₁₇
აჰა... დირე. გ-ი-ც თუალსა შენსა:
მთ 7, 4

(ბ) უ-ც:
მამასახლისსა უ-ც-ნ (sic!) მცირედ პური
უცხოთათჳს: კიმ. 29₁₁
არა რაჲ სასჯელი უ-ც პირუტყულთა და
მფრინველთა თანა: სახისმეტყ.
ი₁₉

ვერ ძალ-უ-ც განკურნებაჲ მისი: საბა 18₁₈,
და ასე: ხანძთ. ოზ₃₆, მშ₃₆
ამას ვანი და უ-ც-ს: მოციქ. 10, 32

მ-ე-დვ-ა
გ-ე-დვ-ა
(ბ)-ე-დვ-ა

აღწიხტი

S მრავლობითშია

და ჯამლად ესხენ ეს მას ნაკუფრცხალნი
ცეცხლისანი: კიმ. 55,

რაჲთა ესხენ სანდალნი: მკვ 6, 9
მ-ი-სხ-ენ, გ-ვ-სხ-ენ:
ნაშენებნი არა მისხენ მე: სვან. 14

გ-ი-სხ-ენ:
ქასწაულნი ჯამთანი ვერ ძალ-გ-ი-სხ-ენ
გულისწმის ყოფად: ადიშ. მთ 16, 3

(ბ) უ-სხ-ენ:
ღმრთივ წერილნი იგი ფიღარნი ჳელთა
უსხენ: ტიმ. ანტ. 94₁₇
მოელღდა მას, რომელსა იგი საფუძველ
უსხენ ქალაქსა: ებრ. 11, 10

7. ვ-დ-ებ

ეს ზმნა მარტოოდენ მხოლოობითის ობიექტურ პირთან იხმარება, მრავ-
ლობითში მას ენაცვლება სხ-ამ, თხ-ევ და იშვიათად წყ-ომ. რიცხვნაკლობა
თავდაპირველად აორისტის ფუძესთანაა დაკავშირებული, ამიტომ აწმყოს ფუ-
ძეს ბოლოს შევებებით. მხოლოობითის დებ ფუძეს უკავშირდება ეტიმოლო-
გიურად ძევ და ძებ (გან-ძ-ებ-ა-ე) (იხ. გვ. 157).

დადვა-დახხა

Gr S მსხველმძებრობითშია

Gr S მრავლობითშია

მოკმ., I თურმ.

მ-ი-დებ-ი-ვ-ს
გ-ი-დებ-ი-ვ-ს

შ-ი-სხმ-ან: რომელსა ესოდენნი ჳირნი
თავს მისხმან: ტიმ. ანტ. 132,
გ-ი-სხმ-ან

(ბ)-უ-დებ-ი-ე-ს: სულკრძელებასა ღმრთი-
სასა თავს უ დ ე ბ ი ე ს დათმენად:
ხანძთ. 817

(ბ)-უ-სხმ-ან

II თურმ.

და-(ბ)-ე-დ-ე-ა:
და ე დ ე ა პირი თუხი მიწასა ზედა და
ითხოვდა წყალობასა: ტიმ. ანტ. 129₂₃

და-(ბ)-ე-ს-ხ-ნ-ე-ს:
დაედრიკენს თავნი მათნი ქუეყანად და
და ე ს ხ ნ ე ს შუბლნი მათნი მიწა-
სა ზედა: ტიმ. ანტ. 84₂₅

II ხერია

და-ს-დ-ე-ე: რომელმან დასდევ სული
შენი: კიმ. 121₁₁
ჯაკუ დასდევით ქედსა მაგათსა:
ვესტ. 82₂₁
წრომად თავს იდევ ღმრთისათვის:
ხარზმ. 160₁₁
ს დ ე ვ ი თ -და მარჯულ კერძო ნავისა
მაგის სათრომელი: ადიშ. იოვ 21, 6

და-ს-ხ-ენ: დასხენ საზღვარნი თესლე-
ბისანი: სასულ. უმ₁₇₁
და ბორკილნი შეუსხენით ფერჯთა:
ვესტ. 82₂₁
ცხოველსმყოფელნი. იგი ვნებანი თავს
ისხენ: ტიმ. ანტ. 53₂₃
პირთა მგელთასა აღჯრ ასხენით: სპევს.
334₁₅

და-დ-ე-ა:
და მ დ ე ა კელი თავსა და მაკურთხა მე:
კიმ. 212₁₁

და-ს-ხ-ნ-ა, და-ს-ხ-ნ-ე-ს:
და მ ა ს ხ ე ნ, წმიდაო მამაო, კელნი
შენნი: კიმ. 265₁

დასდევა მას კელი: ტბ. მკბ 8, 23
და დ ე ვ ს საფუძველი ადგილსა მას:
ხარზმ. 167₂

და ა ს ხ ნ ა კ ე ლ ნ ი მ ი ს ნ ი: ადიშ. მკბ 8, 23
და დასხნეს საფუძველნი: ხანძთ. ლ₅₅

ჩოილეს პატროსანი იგი გუამი მისი და
და დ ე ვ ს ი გ ი წ მ ი დ ა თ ა პ ა ტ რ ი ა ქ თ ა
თანა: წარტყ. 43₂₃

წარმოახუნეს ნაწილნი... მოწამეთანი და
დასხნეს ადგილსა წმიდასა:
კიმ. 59₂₈

რამათ თავს იდევთ ყოველი სიტყუად
ბოროტი მისთვის: სასულ. რლ₃₁₈
შოელი, რომელი არა და დ ე ვ ი: ლკ
19, 22

ვითარ თავს ვისხნე ყუედრებანი: ტიმ.
ანტ. 126₃₀
რომელსამე... ნაწლევნი გამოუს-
ბი ან გარე: კიმ. 39₂₃

ენგბითა

და-ი-დ-ე-ა: დაიდვა იგი საფლავსა: კიმ.
234₃₃
და-ე-დ-ე-ა: ძილი საკრეველი და ე დ ე ა
მას ზედა და ე უ ე ნ ა და ე თ უ ს ი:
კიმ. 156₂₅

და-ი-ს-ნ-ე-ს: და ისხნეს მტერნი იგი
შენნი: სასულ. რნ₁₀₃
და-ე-ს-ნ-ე-ს: აჰ: ავაზაკნი და ე ს ხ -
ნ ე ს მ ა ს: ბოლნ. 60₂₄

და დ ე ა -და თ ხ ი ა

და-დ-ე-ა: აღჯრი მოწკალებისა მისისად
ა ლ უ ჯ ე ა პ ი რ ს ა მ ი ს ს ა: სომხ.-
ქართ. ლიტ. 181₁₇

და-თ-ი-ა: ხოლო დოქსმან მან შეუთ-
ხინა წმიდასა ბაბილას ბორკილ-
ნი: კიმ. 46₁₈

საყნოსელთა მისთა სცა მაგრიად: მსწრაფლ
სისხლი წარმოუდვა მას:
თეკ. 109, ქე. 10

რომელმან დასთხენა სისხლნი წინა-
წარმეტყუელთანი: ურპ. 318₂₄

ყოველივე მოილო და წინაშე ძისა მის.
კელმწიფისადასა და დ ე ა: ტიმ.
ანტ. 107₁₆

მოიხუნა შარავანდნი თჳსნი და დას-
თ ხ ი ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე დ ა: კიმ. 155₂₀

აღიღეს... პატროსანი იგი გუამი მისი და
შ თ ა დ ე ვ ს ი გ ი გ უ ა ლ ა ვ ს ა მ ა ს: ჰაბო 74₂₆

შეკრნა ეშპაკნი იგი მრჩობლითა ჯაკუთა.
და შ თ ა ს თ ხ ი ნ ა ი გ ი ნ ი ქ უ ე ს კ ე ლ -
სა: კიმ. 255₂₀

არის რამდენიმე შემთხვევა, როცა მოსალოდნელი მრავლობითის ფუძის ნაცვლად მხოლოდითია ნახმარი:

გამოილიან იგი [ბადშ] ზღვს კიდედ და დადვიან: აღიშ. მთ 13, 48
(შდრ. დაასხიან: ტბ., პარხ.).

მოქმედებითი გვარის ზმნა მხოლოდითისა აწმყოში -ებ სუფიქსიანია, აორისტში კი თავს იჩენს -ევ სუფიქსი (მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს):

აწმყო ვ-ს-დ-ებ: რომელსა ესე მიმოდავსდებ და გახარებ: თეკ. 100₃₈
ჟნყვერ. ჰ-დებ-დ-ა: იგინი უფროდს მიმოჰდებდეს: ქრესტ. 31₂₆

წყვერ. და-ვ-დ-ევ: დავდევ თავა ჩემი აღგილსა მას ჯუარისასა: წარტყ.
ილ₁₀

და-ს-დ-ევ: დასდევ იგი საფლავსა შინა შენსა: არიმათ. 30, 12

ჰ-დ-ევ-თ: შეავლინე ღრმად და ჰდევთ ბადშ: ჰაემ. ლკ 5, 4

და-დ-ვ-ა: თუსი თავი ზედა კელთა მის წმიდისათა დადვა:
ხანძთ. ნთ₁₃

ბზძან. და-ს-დ-ევ-ი-ნ: ოდეს ჰამდეს, დასდევინ საცოჲ პირსა თუსსა: კიპ.
230₈

ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნდა დ-ევ, დ-ებ ფორმებში დაენახა სუსტი თანხმოვნის ვ || მ-ს გადასვლა ბ-ში¹. გ. დეეტერსის აზრით, დევ/დებ შეიძლება იყოს ძირისეული -ევ-ის მოდიფიკაცია ჩვენთვის უცნობი ფონეტიკური ფაქტით².

-ევ რიგ გარდამავალ ზმნათა თემატური სუფიქსია აწმყოში და ამდენად საფიქრებელი იყო ამ ზმნასთანაც გვექონოდა იგი: *დევ-ს იგი მას. აორისტ-ში ამ სუფიქსის მქონე ზმნათა დამახასიათებელია რედუქცია. -ებ სუფიქსი თავიდან საჭირო არ უნდა ყოფილიყო. ძველ ქართულში გვაქვს ფორმა, სადაც ნამყო უწყვეტლის ოდ ფორმანტის წინ დაცულია ვ: დასდვ-ოდ-ი-ს 'დასდებდა ხოლმე'ს მნიშვნელობით:

ოდეს დასდვოდის კელი სნეულთა ზედა, იქმნებოდის ნიშები: იაკობი,
რლ₁₃

ეს -ვ- შემონახულია მეგრულში: დვალა 'დება': დვანს 'დებს', ბდვი 'დავდევი'³, და გურულ-მესხურში: დობს — დეებს. დაბრკოლება ისაა, რომ აქ -ევ საშუალო გვარის ზმნათა აწმყოთა თემატური სუფიქსია, მოქმედებითს კი -ებ მოუდის ყოველგვარი გართულების გარეშე. ძველ ქართულში ცნობილია მხოლოდ დ-ვზ. აქედანვეა მიმდებები: წარმდები ('თახედი'), უდები || უდები ('ხარმაცი, მცონარე'), თანამდები ('მოვალე').

¹ Грам., § 188, გვ. 155.

² Das kharthwelische Verbum, გვ. 109—110.

³ მაალითები იბ. ი. ყიფშიძის გამოკვლევაში: Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб. 1914. მეგრული „დვალა“ უნდა მეორედბოდეს იმერულ ზმნაში გადავალ-ავს 'გასდებს, გააშვერს', რომელიც შემდეგ კონტექსტებში გვხვდება: ავადმყოფმა თავი გადავალა; გადავალული წევს... პირუტყვს რომ დაუყვავებენ და დაოკვება, იტყვიან: თავი გადავალაო.

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ დ-ევ-ის სახით საქმე გვაქვს აორისტში თქ-
მატური სუფიქსით ნაწარმოებ ფუძესთან: აწმყოში ვ-დ-ე-ბ, აორისტში ვ-დ-ევ¹.
აორისტის ფუძის სავრცობად -ევ სუფიქსი გამოყენებულია დიალექტებში
(ქართულში, ზემოიმერულში...) ზმნებთან:

აწმყო: მკ-ი-ს, რგ-ავ-ს...

აღრისტი: მო-ვ-მკ-ევ-ი, მო-მკ-ევ-ი, მო-მკ-ო/ა

და-ვ-რგ-ევ-ი, და-რგ-ევ-ი, და-რგ-ო/ა...

დ-ძირის ის მნიშვნელობა, რომელიც მას ზანურსა და სვანურში აქვს
(ჩექმა მიბ დ ვი 'ჩექმა ჩაიცივი'², ად-დ-ე 'დაიდვა, ჩაიცვა, მოიხურა'³), არ უნდა
ყოფილიყო უცხო ქართულისთვისაც. ამ მნიშვნელობით გამოყენებული მრავ-
ლობითის ფუძეები საპირისპირო მხლოლობითის ხმარებასაც ვარაუდობდა:

და წამლად ეს ხნეს მას ნაკუერცხალნი ცეცხლისანი: კიმ. 55^გ.

ფერვთ -შე სასხმელნი რკინანი შეუსხმან უკეთურსა მას: იქვე, 225^ა

და მართლაც ამ გაგებას იძლევა მხლოლობითის ფუძე შემდეგს კონტექსტში:
აღმოეცა ჯორცი... და მოედვა მას ზედა ტყავი: კიმ. 318^ა

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მსგავსება, რომელიც ქართულ დ ძირსა
და აბავე მნიშვნელობის ინდო-ევროპულ ძირს შორის არსებობს: სომხური *դհի*,
აორ. *dh*; სანსკრ. *dhāt*, ძირია *dhā*; ბერძნ. *τμήγαι*, ძირია *θη*⁴, თუმცა ზოგი
მკვლევარი ამას შემთხვევითად მიიჩნევს⁵.

8. გან-ა-ძ-ებ-ს

ძველ ქართულში ობიექტური პირის მრავლობითობა ამ ფუძით არ ვად-
მოიცემა: მრავლობითში სხ-ამ და თხ-ევ-ის ფორმებია მონაცვლებული. ეს მო-
ნაცვლეობა, რა თქმა უნდა, აწმყოსაც და მასდარსაც ეხება:

უკუეთუ მტერთა ამათ მე განმადეს და თქუნენ, იგინიცა განსხმად
არიაან სოფლისა ამისგან: წარტყ. ლა^გ.

0 მხოლოდობითშია

0 მრავლობითშია

აწმყო

გან-მ-ა-ძ-ებ: ნოცა ეხოჟსა შენისაგან გა-
მაძებ, შეუფეო: ბოლნ. 39^{ა-ბ}

გან-გუ-ა-სხ-ამ: ჩუენ მრავალნი ვართ კა-
ცისა ამის თანა, ვიდრე განგუა-
სხამ: ურბ. 332^ა

უწმვეტ.

გან-ა-ძებ-დ

გან-ა-სხემ-დ: ნელსაცხებელითა გან-ა-
სხემდ ეშმაკთა: კიმ. 224^გ

¹ შემთხვევითი ჩანს ვს გაუჩინარება შემდეგს მაგალითებში: და დ=დადვის: არა მიი-
ლის გესლი იგი მისი მის თანა, არამედ მუნ ქუაბსა ანუ ჭურელსა და დ: საზისმეტყ. იდ^გ; და ი-
და=დაიდვა: საფლავსა და ი და: სინას ხელნაწ. 41^ა.

² არნ. ჩი ქობავა, ქან-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 270.

³ ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 77, შნშ. 3.

⁴ A. Meillet, Esquisse d'une grammaire comparée de l'arménien classique, ენა
1936, გვ. 132; შდრ. გვ. 27.

⁵ Ա ճ ա ի հ ա ն, Հ Ա Ք, ტ. II, 1928:

0 მხოლოდობითშია

გან-ა-ძებ-და

0 მრავლობითშია

გან-ა-სხმ-ი-და: ეკლესიათაგან განასხ-
მი და ყოველთა მღვდელთა: საბა 14₁₆

II სეზონია

გამო-ა-ძ-ო: შეპრისნა მას და მუნქუესვე
გამოაძო იგი: მკზ 1, 43

და განასხნა სულეები (sic) იგი ხატ-
ყუთ: აღიშ. მთ 8, 16

აღდგეს და განაძეს იგი გარეშე ქალა-
ქისა მისგან: ლკ 4, 29

ვნებ: გან-ი-თხ-ი-ნ-ეს: ბილწნი მწვალებელ-
ნი... განითხინეს დიდებისაგან
ღმრთისა: სასულ. 3₂₁

გან-ვ-ა-ძ-ო: რომელი მოვიდეს ჩემდა, არა
განვადო გარე: იოვ 6, 37;
ასე: ტიმ. ანტ. 57₃₃

გან-ვ-ა-სხ-ნ-ე

განგაძონ შენ და შვილნი გარემოს
შენსა დაეცნენ: აღიშ. ლკ 19, 44

კრებულისაგან განგასხნენ თქვენ
პარხ. იოვ 16, 2

მხოლოდობითსა და მრავლობითში შეპირისპარებულ ფუძეთა მიხედვით და ამ ზმნის ანალიზით ცხადი ხდება, რომ ძებ გააფრიკატებული დ-ებ უნდა იყოს: დებ — ძებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნულში „განაძო“ ზმნა თითქმის ყოველთვის წაწა ზმნით გადმოიცემა. უკანასკნელს სხვა კონტექსტებში 'დე-ბა, გდება, ყრა, სხმა, თხევა' შეესატყვისება:

არა განვადო გარე—ჟი ჳაქაღა: იოვ 6, 37

გამოაძო იგი—ჭჯაღაღაღა: მკზ 1, 43

ამგვარად, განაძო=განდვა, გარეთ გასვა; გააძევა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ამ ზმნის მასდარი და პირიელი ფორმები ახალ ქართულში: გა-ძეგ-ება, ა-ძეგ-ებ-ს, გა-ა-ძეგ-ა. საშუალო გვარის ძ-ევ — ღ-ევ ფუძე უნდა იყოს გამოსავალი მოქმედებითისათვის, როგორც ეს სხვა შემთხვევებშიც ვეაქვს: ბრწყინ-ავ-ს: ა-ბრწყინ-ვ-ებს...

9. თხ-ევ-ს

თხევ ოდენმრავლობითის ფუძეა. იგი იმავე წესს ექვემდებარება, რასაც საერთოდ ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი ფუძეები ძველ ქართულში: მორფოლოგიურად ან შინაარსით მრავლობით ობიექტს გადმოსცემს. ჩვეულებრივია მისი ხმარება სიტხის აღმნიშვნელ ობიექტებთან, როგორიცაა: სისხლი, ცრემლი, ღვინო და სხვ.

მოქმედ. აწმყო და-ს-თხ-ევ-ედ: და მრავალსა სისხლსა დასთხევედ:
კიმ. 105₂₆

უწყავბ. და-ს-თხ-ევ-დ-ეს: დასთხევედეს ცრემლთა მათთა:
შუშ. 28₁₃; ასე: წარტყ. კე₂₈

წყავბ.: და-ს-თხ-ი-ე: შენცა დასთხიე სისხლი თჳსი: ჰაბო 79₃
დასთხიენ სისხლნი შენნი: ანტ. რაფახ. 99₉, და ასე: სასულ. სნ₆ 1₁₃

და-ს-თხ-ი-ნ-ა, და-ს-თხ-ი-ნ-ეს: ცრემლნი გარდამოსთხინა:
კიმ. 221₂₃

ერთბამად ცრემლნი გარდამოსთხინეს: სპევს. 330^ა
ზარგანჯლილმან წარმოსთხინა, რომელნიცა პირველითგან შთაენთქნეს:
სასულ. ხმთ³²⁷

ვნებ. აწმყო და-ი-თხ-ევ-ი-ს: სისხლი... რომელი ქუეყანისათვს... და ით-
ხევის: იაკობი, ლმ¹⁸

II სერია

და-ი-თხ-ი-ა: განსთქდენ თხიერნი და ღვინო და ითხიო-ს: ტბ. მთ-9, 17,
და ასე: შუშ. 19^ა

გან-ი-თხ-ი-ნ-ეს: განითხინეს [ჭურიანი] ღმრთისაგან: ევსტ. 88^ა

მნიშვნელობით თხევ ძალიან ახლოს დგას სხამ-თან და ბერძნულში თით-
ქმის ყოველთვის წაღა ზმნა შეესატყვისება, რომელიც, როგორც ზევით ითქვა,
'დება' და მისთ. ნიშნავს. ზედმეტი არ იქნება პარალელები წარმოვადგინოთ:

ვლებ—ვსხამ:

და დავახხნე თითნი ჩემნი აღვილსა მას სამშქუალთასა და დავხდვა კელი
ჩემი გუერდსა მისსა: იოვ 20, 25=βάλα τὸν δάχτυλόν μου εἰς τὸν σπιν τῆν
ἤλαν, καὶ βάλα τῆν χεῖρά μου εἰς τῆν πλευράν αὐτοῦ.

მაგრამ ვლებ—ვთხევ:

არამედ გარე განღვან იგი (მარილი): ლკ 14, 35=ξῆν βάλλοισσιν αὐτοῦ.

ხოლო ჯერკული იგი გარე განსთხიან: DE მთ 13, 48 (შდრ. 47)=τὰ δὲ
σαπρὰ ξῆν βάλλοι.

და შესთხინეს იგინი შორის საკუმოლსა მას ცეცხლისასა: DE მთ 13, 42
(შდრ. 50)=καὶ βάλλοισσιν αὐτοῦ εἰς τῆν ἀμυῖον τὸν παρῶν

შდრ. განითხინეს—განისხნეს: ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხი-
ნენ ბნელსა მას გარესკნელსა: მთ 8, 12=οὐ δὲ σὺν τῆς βασιλείας ἐκβλεψή-
σονται εἰς τὸ σκότος etc.

ყოველნი მართლმადიდებელნი, რომელნი იყვნეს ქალაქსა შინა დიდსა ან-
ტიოქიასა, განისხნეს არიოზეანთაგან: საბა 14^ა.

ჩანს, დევ და თხევ ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც სუამ და
სხამ. ორივე ეს ზმნა ძველ ქართულში თანაბარი მნიშვნელობისაა და მათი
ერთიმეორის აღვილზე ხმარებით თითქოს სტილისტური უხერხულობა არ
იგრძნობა. ოღონდ ეს კია, რომ მრავლობითში დევ ფუძის მონაცვლედ უფ-
რო ხმსრად, გამოყენებულია სხამ, რის გამოც თხევ ფუძის გავრცელება
შეკვეცილი ჩანს (შდრ. და დვა კელი—დასხნა კელნი, აქედან: კელთდასხმა
'კურთხევა').

თხევ/დევ ფუძეთა შეპირისპირება და მათი შედარება სუამ/სხამ-ის აგე-
ბულებასთან გვარწმუნებს, რომ თხ-ევ ისეთივე შედგენილობისაა, როგორისაც
ს-ხ-ამ: აქაც მრავლობითის ხ სუფიქსი უნდა იყოს, ხოლო თ ნასიმინალაციარი
მხოლოდობითის დ ძირია ხ-სთან მეზობლობაში. მაშასადამე, დ-ევ (მხ.)—*დ-ხ-ევ¹

¹ ამ ეტიმოლოგიას ხელს არ უნდა უშლიდეს თხ-ევ ზმნისა და სი-თხ-ე სახელის გე-
ნეტური კავშირი.

(მრ.) → თხ-ევ. თემატური -ევ იგივეა, რაც დ-ევ-ში გვაქვს, თუმცა ამ გაგებას ერთი დაბრკოლება ახლავს: მრავლობითის თემას დრეკადობა ახასიათებს: თხევ—თხივ-ა¹, მაგრამ: დევ—ლა-დვ-ა.

10. ა-ლ-ებ-ს

მარტო ობიექტის მხოლოდობითობისას იყო გამოყენებული²; თუ ობიექტი მრავლობითში იყო, მონაცვლედ გამოდიოდა ზ უ-ამ. პრეფერბისა და მაქცევ-რების დართვით ამ ფუძეს ნაირგვარი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს.

0 მსოფლოვითშია

0 მრავლობითშია

II სენია

გან-ა-ლ-ე: კარი იგი სამოთხისად გან-ა-
ლ ე ჯუართთა: ჰაბო 79_ა

გან გ ვ ლ ე ჩუენ ჯურღმული ესე:
წარტყ. 11₁₁

გან-ა-ლ-ო კარი

აღვალე პირი

აღაღე პირი ჩემი: სასულ. სმა₃₅

აღაღო პირი თჳსი თჳლა: თეჳ. 107₁
და მოიღო შჳდი იგი ბურთი: ტბ. მკზ
8, 6

მან გამოიღო ეკალი: იბოლ. 5₃₀

განმტკიცნა და აღიღო ქვაჲ: საბა 8₂₆

წარიღო წულმან მან კუართი იგი:
თეჳ. 106₇

მყის წარმოიღო ნატყუენავი: სასულ.
აღ XLVIII

უფალმან მომცა და უფალმანვე მიმი-
ღო: ტიმ. ანტ. 62₉

აღიღეს სარეცლითურთ და მოიღეს
აღგილსა მას: არიმათ. 56, 68, და
ასე: სახისმეტყ. ე₁₂; ცხ. სიმეო-
ნისი 194; ლკ 3, 21

გან-ა-ზ-უნ-ენ: გან აზუნენ გარდამოსაქა-
ნელნი ცათანი: ტიმ. ანტ. 88₉

გან მიზუნა ჩუენ სახიერებით ღმრთ-
სა სიტყუამან (კარნი): სასულ.
სნ_{81:9}

ბაგენი ჩემნი აღვაზუნენ: იაკობი, კლ 9
აღაზუნენით ბჭენი თქუენნი: სასულ.
სა_{27:9}

აღაზუნა ბაგენი
მოიზუნა შჳდნი იგი ბურნი. ადრშ.
მკზ 8, 6

სათნოვებისა ტევენნი გამოიზუნენ, მა-
მაო: სასულ. რბ₈₇

წმიდამან შუშანიკ... ველთა აღიზუნა
დავითნი: შუშ. 35₂

წარიზუნენით ვორცნი მისნი ქალაქ-
სა გარე: ევსტ. 93₆

წარმოიზუნიან სიტყუანი იგი ცხო-
რებისანი: ჰაბო 59₁₆

საცეცხურნი მან ველისა ჩემისაგან არა-
ოდეს მიმიზუნაო: ხანძთ. ლზ₃₇

აღვიზუნენით პატროსანი ძუალნი და
გამოვიზუნენით წმიდასა მას
ეკლესიასა: შუშ. 45₉, და ასე:
სასულ. ხოა_{89:6}; კიმ. 59₂₈; სა-
ხისმეტყ. იე₁₂

ვნებითი

აღ-ე-ლ-ო: მყის აღელო თუალი მისი:
კიმ. 304₁₁

აღ-ე-ზ-უნ-ენ-ს: აღეზუნეს თუალნი
ბრმასა მას: უესტ. 88₉

¹ ძველ ქართულში ძალიან იშვიათად ამ ფუძესთან ანლაუტში ნ ჩნდება: ნ-თხევ ა: მკედრები და ჰუნები შთანთხია ზლუსა (იერუს. განჩინ. 91₁₁), რაც განვითარებული უნდა იყოს (შდრ. ძვ. ქართ. ძრავს, იძრვისი და ახალი ქართ. ა-ნ-ძრ-ევ-ს).

² ა. შანიძე, S, და O, გვ. 36, შნშ. 2.

S მხოლოდობითშია

გ ა ნ ე ლ ო სამოთხე პირველ-დაჯშული
სასულ. ტ3880
მ ო ე ლ ო მას ძალი: ბოლნ. 84¹¹, და ასე:
სასულ. ტ38¹⁵; ლქ 1, 64

S მრავლობითშია

ედემისა ბჭენი პირველ დაჯშულნი... გა ნ -
მ ე ხ უ ნ ე ს: სასულ. ხიგ²⁵
და მ ო ე ხ უ ნ ე ს მას კელნიცა და ფერკ-
ნიცა: ბოლნ. 84¹¹⁻¹², და ასე: აღიშ.
მთ 20, 33; სასულ. რმთ¹⁷².

11. ი-ხუ-ამ-ს

გამოყენებულია მორფოლოგიურად მრავლობითში დასმულ ობიექტს გარდა-
შინაარსით მრავლობით ობიექტთანაც.

I სერია

აღ-ი-ხუ-ამ-ს: რომელი ა ღ ი ხ უ ა მ ს ცოდ-
ვათა სოფლისათა: სვან. 105, სვ. 16
მ-ი-ი-ხუ-ამ-ს: და უჟამოა დღეს მი ი -
ხ უ ა მ ს კორცთა: სასულ. ოგ¹¹⁶
ა-ხუ-მ-ი-დ-ა: და არავის თუაღ-ა ხ უ მ ი -
და: კიმ. 292¹⁵
გამო-მ-ი-ხუ-მ-ან: შკდნი ხოლო გამო მ ი -
ხ უ მ ა ნ: ჭრესტ. 67²⁰

აღ-ი-ღ-ებ-ს
მი ი ღ ე ბ ს სახრდელსა: შუშ. 30⁸
არავის თუაღ-ა ღ ე ბ; არამედ ქეწმარი-
ტად... ასწავებ: ლქ 20, 21
ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მომიღე-
ბ ი ე ს: ვესტ. 80¹⁷

მრავლობითის გაგებას ემყარება შემდეგი კონტექსტი: აღ ა ხ უ ნ ე ს სა-
უნჯეთა მათთა და მოართუეს ძღუენი: აღიშ. მთ 2,11 (შდრ. აღაღეს სა-
უნჯეთა მათთა და მოართუეს მას ძღუენი: ტბ. იქვე).

ხ თითქოს აქაც გამოიყოფა, როგორც ობიექტის მრავლობითობის ნიშა-
ნი. გამოდის, რომ ხუ-ს თავდაპირველი ფუძე უნდა ყოფილიყო ლ-ხუ. მაგრამ
სამი მთავარი დაბრკოლება ჩნდება ამ გაგებისას:

1. და-ს-უ-ა და და-ს-ს-ა ფუძეთა კავშირით ნათელია, რომ მხოლო-
ობითის ძირი ს- მრავლობითშიც შენარჩუნებულია და მრავლობითობა ხ სუფიქ-
სითაა გამოხატული; ი-ღ-ო და ი-ხუნ-ა ზმნებში კი, პირიქით, მხოლოობითის
ძირი ლ არა ჩანს. მართალია, ძველ ქართულში ლ და ხ ერთიმეორის მეზობ-
ლად ძლებენ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ზმნაში მათ პრევერბისა და პრე-
ფიქსის ფუნქციები აქვთ და ადვილად გამოიყოფიან:

აღ-ხ-ი-ღ-ო-თ: რაათა არა აღ ხ ი ღ ო თ ტურბი: ჭრესტ. 2⁹
აღ-ხ-უ-ხუ-ნ-ეს: აღ ხ უ ხ უ ნ ე ს პირნი მათ ყრმათანი: ჭრესტ. 24²¹
მაგრამ როცა ძირეულ ლ-ს პლურალობის ხ დაემატა, არტიკულაციის გა-
მარტივების გამო ლ დაიკარგა: *აღ-ა-ღ-ხუ-ნ-ა -- აღ-ა-ხუ-ნ-ა და სხვ.¹
ამგვარად ლ-ს დაკარგვა დასაშვებია.

¹ ლ-სა და ხ-ს არტიკულაციის სიახლოვეს უნდა მივაწეროთ ლ-ს და ლ/ხ სუბსტიტუ-
ციის შემთხვევები ძველ ქართულსა და თანამედროვე დიალექტებში:
აღ-ვსება -- ახუსება: დღეს[სა] ა ხ უ ს ე ბ ა ს ა მწუხრი „ნათელი მხიარული“-ლა წარ-
თქუან: ხანმ. ლექც. გვ. 162.
ერთი მაგალითიც აღიშის ოთხთავიდან: ესერა ა ხ ჯ ა ლ თ იერუსალმდ (მთ 20, 18-
==აპა ესერა აღ ვ ა ლ თ იერუსალმდ: ტბ).
შდრ. ხ ო კ ი (ს ა ბ ა)—ღ ო კ ი (ს. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი) და სხვ.

2. მხოლოობითის ძირია **ღ**, მრავლობითისა—**(ღ)ხუ**; ძირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლაბიალიზაციით. ჩანს, ან მრავლობითის ძირმა შეიძინა იგი, ან მხოლოობითისამ დაკარგა; უფრო კი ეს უკანასკნელი გასაზიარებელი. მრავლობითის ფუძის წარმოშობა უძველესი ფაქტია, იმ ეპოქისა, როცა ლაბიალიზებული **ღ-ც** უნდა გვექონოდა. ზანურსა და აქედან სვანურში **ღ** ძირის შემცველი საშუალო გვარის ზმნა სწორედ უ-ნიანია: მ-ი-ღუ, მ-უ-ღჟ-ა 'მაქეს'. მსგავსი ვითარების გამონაკრთომი იყოს ეგების ძველი ქართულის შემდეგი ფორმა ა'-უ-ღუ (ძმასა ჩუენსა გიორგი დეკანოზსაცა აუღუ (sic) ღმერთმაჲ პირი: ჰაგ. მას. 45). ერთეული მაგალითები მრავლობითის არალაბიალური ძირის ხმარებისაც დასტურდება აქა-იქ:

აღ-ვ-ი-ხ-ენ: შენდამი, უფილო, აღვიხენ სული (sic) ჩემი: იერუს. განჩინ. 73₁₀

რომელმან აიხნა ცოდვანი სოფლისანი: იადგ. 25

ყოველ შემთხვევაში ერთი უდავოა: ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული **ღ** და **ხუ**-ს ქონა ამ ორი ზმნის (-ღ- და *(ღ)-ხუ-) გაიგივებაში ხელს არ უნდა გვიშლიდეს.

3. თუ ეს ასეა, თენატური სუფიქსი ორივეს ერთი და იგივე უნდა ჰქონოდა, აქ კი სხვადასხვაა: -ებ (ა-ღ-ებ-ა) და -ამ (აღ-ი-ხუ-ამ). საყურადღებოა, რომ მრავლობითის ფუძე ოშვიათად -ებ სუფიქსიანიცაა: განხუება: გულდებულ იყენით, რამეთუ განხუება სულისა არცა ერთისა იყოს თქუენგან: მოციქ. 27, 22.

მაგრამ დაბრკოლებად არც ეს—სხვადასხვა თენატური ბოლოსართის ქონა ჩაითვლება, რადგანაც თენატურ ნიშანთა მონაცვლეობა სხვაგანაც გვაქვს.

ამგვარად, მო-ი-ხუ-ნ-ა და მისთანა ფორმებში თავდაპირველი მხოლოობითის ძირია **ღ**, რომელიც მრავლობითობის ხ სუფიქსის მეზობლად გაუჩინარებულა. ამდენად, „მოტანა-წაღების“ აღმნიშვნელი ძირები **ღვ**—**ღბ** და **ხვ** (**ხვ**), როგორც ეს ნ. მარს აქვს წარმოდგენილი, ვერ იქნება ერთისა და იმავე **ღვ** ძირის მქლერი და საშუალო აფრიკატული სახესხვაობა¹.

ლექსიკოგრაფი საბა თავისი დროის გაგებიდან გამოდის, როცა ახმ-ს განმარტავს როგორც „უსულოთა ზე აღება“-ს. ძველმა ქართულმა სულიერ და უსულო საგანთათვის სხვადასხვა ზმნების ხმარება ისე მკაცრად ჯერ კიდევ არ იცის... ამიტომ ორივეს მიმართ ითქმის:

წმიდამან შუშანიკ... ჯელთა აღიხუნა დავითნი: შუშ. 35, და
აღიხუნა საღან სკვთთა მთავარმან რჩეულნი მკეღარნი: თხრობა 28.

მაშასადამე, არც საბასეული გაგება გვიშლის ხელს, რომ **ღ-ებ** და **ხუ-ამ** ერთმანეთს დავეუკავშიროთ გენეტურად.

ხუმა და ღება-ს პირიელი ფორმები იხმარება აღწერითს კონსტრუქციებში, სადაც სახელადი ნაწილი მიმართულებით ბრუნვაშია:

¹ H. Mapp, Граж., § 219, № 182.

მხოლოდობითი

მრავლობითი

მუცლად იღო:

მუცლად გილო შენ უმეცრებით:
სასულ. ტია¹¹³, და ასე: ტოგ XXIII, 50 XVIII

ყურად იღე:

ყურად იღე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისა: იერუს. განჩინ. 75², ასე: სასულ. ოშ⁴⁵

ქელად იღო:

ქელად იღო გოდორი და ნიჩაბი და იწყო განწმედად: იოვ. დამასკ. 164¹⁰

გულად იღო:

უმეტესად-ღა გულად იღო შიში ღმრთისაჲ: კიმ. 63²⁷

მუცლად იხუნა

ყურად იხუნამს:

განბოროტებული გული ვერსადა ყურად იხუნამს თქუმულთა მათთარგმ. ეკლესიასტ. 4²⁶

ქელად იხუნა

გულად იხუნა

ეს აღწერითი ფორმები შემდეგ მთლიან ერთეულად (კომპოზიტად) იქნა გაგებული და წარმოებული, მაგ. იგულ-ხუმიე¹: რაჲ გესმენ, ორ სახედ იგულხუმიე: პეტრიწი II, 138³¹ და სხვ.

II

1. აგდებ-ს

აგდებ—რიცხვნაკლია, რამდენადაც მარტოოდენ მხოლოდობითის ობიექტურ პირთან გამოიყენება, ობიექტის მრავლობითობისას კი სხ-ამ, თხ-ევ, ყარ-ენაცვლება², შესაფერისად კონტექსტისა.

0 მხოლოდობითშია

0 მრავლობითშია

აწმკლ

ნუ დამაგდებ მე ქუფყანასა ზედა: იბოლ. 25¹²

ჩუენ მრავალნი ვართ კაცისა ამის თანა ვიდრე განგუასხამ: ურბ. 332¹¹

II სგრთა

მწიგნობართა შემაგდეს მე სახლსა შინა საპყრობილისასა: არიმათ. 27, 5 მოიკუეთე იგი და მიუხედე ემმაცას: სანისმეტყ. კვ³⁵

წინამძღუარნი... შეიპყრნენ და შესხნენ საპყრობილესა: კიმ. 6¹⁰

განაგდე მწიკულევანი იგი ცთომილება: ანტ. რაეზ. 99²³

განსთხენ ჩემგან ურჩულეობანი ჩემნი: იაკობი, 3¹¹

გარდამთაგდეს იგი ხცსა მისგან: კიმ. 255¹²

გარდამოსთხინა ძლიერნი საყდართაგან: ლკ 1, 52

თაქუმიან მან მოიკუეთნის სამურველნი იგი და მიუთხინის მონადირესა: სახისმტყ. კვ³

¹ ამასთან დაკავშირებით გვაჯონდება ძველი ქართული „გულისხქმა-ყო“: ხომ არაა გულის-ხუმა, როგორც ზოგნი ფიქრობდნენ.

² ერთეული შემთხვევები, როცა ობიექტის მრავლობითობას ანგარიში არ ეწევა, არსებითი მნიშვნელობისა არაა: რომელნიმე მკვცთა მისცნეს და რღმელნი იმე მღვმესა შთააგდეს: ევსტ. 87²²

O მსოფლღობითშია

ძღ თუი და აგ დო წინაშე ფერკთა მის
წმიდისათა: ხანძთ. ნბ₆
შე აგ დეს იგი ცეცხლსა მას: წარტყ.
მა₁₇
შთა აგ დეს იგი საპყრობილესა: ჰაბო
70₂
და აგ დის ტყავი იგი მისი ძეგლი: სა-
ხისმეტყ. ილ₁₅

O მრავლღობითშია

და ყ არ ნეს ჩჩლნი მათნი წინაშე წმი-
დისა მის: ტიმ. ანტ. 87₁₃
და იყვნეს იგინი... და საპყრობილეს შე-
ყ არ ნეს: ევსტ. 83₁
შთა ყ არ ნეს ყრმანი ვნარცუსა შინა:
კოლ. წამ. 60₁₆₉
მიიტაცნის იგინი და დაჰყარის ნაწ-
ლევი მფრინველთა: სახისმეტყ. იმ₁₅

2. ჰ-ყრ-ი-ს

ქართულში დამკვიდრდა ამ ზმნის გამოყენება, როცა პირდაპირი ობიექტური პირი მრავლობით რიცხვშია¹, ან კრებითობის გაგებას შეიცავს საზოგადოდ. მაშასადამე, ყარ ძირი გდ-ებ ფუძის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მონაცვლეა მრავლობითში²:

წყყვეტ: ა-ჰ-ყრ-ი-დ-ა: ველითა თუსითა აჰყრიდა კორძსა მას: კიმ. 317₉
ჰგმობდეს მას და ყრიდეს თავთა მათთა: ტბ.
მთ 27, 39

II ხერია

გან-ვი-ყარ-ე: მხიარულ ვიყავ და განვიყარე ურვად: იოვ. და-
მასკ. 147₂₄
და-ჰ-ყარ-ე: დაჰყარე მტერსა კრავი, კბენილი უწყალოდ: სა-
სულ. შგ₉₁
და იყარეთ მტერი, რომელ იყოს ქუეშე ფერკთა თქუენთა:
მგზ 6, 11; მთ 10, 14
და-უყარ-ი-ს: და გარემოდს მისა და უყარის მარცუალი: საბა 6₁₂

ჰ. ვარდ-ებ-ი-ს

ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნაა. იგი მხოლოდითი რიცხვის სუბიექტურ პირთან იხმარება, მრავლობითში კი მას ჩვეულებრივ ცვც ფუძე ენაცვლება.

S მსოფლღობითშია

აწმყლ

იგი ვარდ-ებ-ი-ს:
ნუ ყოველი გუბამი შენი შთავარდებ-
ბი ინ გეჰენიასა: ადიშ. მთ 5, 29

S მრავლღობითშია

იგინი ცვც-ი-ან:
და ორნივე მთხრებლსა შთაცვვიან:
მთ 15, 14
რომელთა ჰნებაეს სიმდიდრე, შეცვ-
ვიან განსაცდელსა: კიმ. 243₁

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკა, 1930, § 170, გვ. 176-8.

² როცა განუყარა ≠ ძვ. ქართ. 'განუცუა'ს, მაშინ იგი მრავლობითის გაგებას მოკლებულია და სხვა სემანტიკური ერთეულია: ნეტარმან ზაქარია... განუყარა მათ წელი: წარტყ. 30₂₁.

S მხოლოდობითშია

S მრავლობითშია

უწყვეტ.

იგი ვარდებ-ოდ-ა:
არა გამოჭვარდებოდა პირსა ნის-
სა სახელი მისი: ტიმ. ანტ. 122₁

იგინი ცკვ-ოდ-ეს:
ქორცი მიხნი... ქუეყანასა ზედა და-
სცკვოდეს: კიმ. 196₁₃
და სირცხლეულნი და ცკვოდინ პირ-
სა ზედა თქსა: წარტყ. ლგ₂

II სერია

იგი და-ვარდ-ა:
დავარდა წინაშე წმიდისა: საბა 16,
წარჭვარდა ფერჯი მისი: კიმ. 149,
შთავარდეს იგი... ჯურღმულსა: მთ
12, 11

იგინი და-ცკვ-ეს:
ძმანი იგი და ცკვეს ქუეყანასა ზედა:
ტიმ. ანტ. 84₂
ასოცა მას თესლმცენარესა წარსცკ-
ვეს ორნი ქვანი: ზარზმ. 177₂
ვარსკულაენი გარდაცკვენ ზე-
ცით: მთ 24. 29

მაგრამ ამის გვერდით არა ერთი და ორი მაგალითია, როცა ცკვ- ფუ-
ძის ნაცვლად ვარდ- იხმარება მრავლობითში:

დავვარდით და თაყუანის ვსციით: სჯულის კანონი 119, და ასე: არიმათ.
34, 21
ვითარ ესმა მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა მათსა: მთ 17, 6.

4. ცკვ-ი-ან

ცკვ ფუძის ხმარებამ გამონაკლისი არ იცის: მხოლოდ მრავლობითში
დასმულ სუბიექტთან გვხვდება¹. იგი საშუალო გვარის ერთპირიანი ზმნაა, რო-
მელსაც შეიძლება ირიბდამატებიანი ფორმებიც ჰქონდეს: მ-ცკვ-ი-ს, გ-ცკვ-
ი-ს, ს-ცკვ-ი-ს. ძველ ქართულში აწმყოში ეს ზმნა -ი სუფიქსიანია და ამ
ტიპის ზმნებიდან თავის უღვლილებით ყველაზე სანიშნოა: თავდაპირველი პერ-
მანსივის ფუძიდან აწარმოებს პირველი სერიის ყველა დრო-კილოს და თავისი-
ვე ფუძით გამოხატავს მეორე სერიასაც. ძველ ქართულში ვნებითსა და მოქმე-
დებითს ეს ზმნა თითქმის არ აწარმოებს (შდრ. ახ. ქართ. ა-ცვ-ენ-ს, ჩამო-
ცვივ-და-ა...) და უძველესი ქართულისათვის პირობით medium tantum შეიძლე-
ბოდა გვეწოდებინა.

აქვე წარმოვადგენთ ისეთ მაგალითებსაც, რომელთა სუბიექტი შინაარსი-
თა მრავლობითი.

აწმყო: ვ-ცკვ-ით
ს-ცკვ-ით

ცკვ-ი-ს, ცკვ-ი-ან: ძალნიცა ქამელ ნაბიჭევისაგან, რომელ
გარდამოცკვინ ტაბლისაგან: მთ 15, 27

გულის-წყრომაა შენი მსგავს არს ფურცლისა... რომელ და
მოცკვინ ხეთა-გან: კიმ. 139₂₃

¹ ა. შანიძე, S₂ და O₂, გვ. 67, შნშ. 1.

უწყვიტ: ვ-ცვ-ოდ-ი-თ

ს-ცვ-ოდ-ი-თ

ცვ-ოდ-ა, ცვ-ოდ-ეს: ოფლი ს ც ვ ო დ ა პ ი რ თ ა მ ა თ თ ა: ს ბ ე ვ ს. 334⁷,
მაშინ ყოველი იგი ერი წარმოდგა მის წინაშე, და ც ვ ო დ ე ს პ ი რ ს ა ზ ე-
და მისსა: წარტყ. კ⁸

აღრიხტი

და-ვ-ცვ-ე-თ

და-ს-ცვ-ე-თ

და-ცვ-ა/ეს, და-ს-ცვ-ა/ეს: განაწმო თივაჲ და ყუაგილი მისი დას ც ვ ა:
ე ბ ის ტ. ი ა კ ო ბ მ ო ც ი ქ. 1, 11

ადგილსა, რომელსა შეახო, მოს ც ვ ა თ ჰ ა მ ი ე რ: კ ი მ. 277¹⁰
კეთრი იგი, ვითარ(კ)ა ფურცელი ხისაგან, ესრეთ დას ც ვ ა:
ტ ი მ. ა ნ ტ. 128¹¹

ამ ზმნის მასდარია ამჟამად ცვ-ენ-ა, დიალექტებში (ზემოიმერულ-
ში...) სხვათა ანალოგიით გაიგონებთ აგრეთვე ფორმას ცვივ-ი-ლი (იტყვიან,
აბრეშუმის ქია რომ ჩელტიდან გადმოფარდნას დაიწყებს). ამ ზმნის მიმღეობა-
საც მრავლობითის შინაარსი აქვს: იყვნეს იგინი დამაშურალ და და ც ვ ე ნ-
ტ უ ლ: მ თ 9, 36.

ა. ა-წყ-ობ-ს

ძველ ქართულში ძალიან იშვიათად იხმარება, ახალ ქართულში განსაკუთ-
რებით ფართოდაა გამოყენებული მრავლობითის შინაარსით (შდრ. და დ ვ ა
და დაალაგა || და ა წ ყ ო...). უდავოა, იგიც რიცხვნაკლია, ოდენმრავლობითის
ფუძე, და მხოლოდობითში მას დ ე ბ - ფუძე ენაცვლება.

0 მხოლოდობითშია

0 მრავლობითშია

აწმყო

იგი მას დას დ ე ბ ს:

ნუცა და უ დ ე ბ თ მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა თ ქ ე უ ნ ს ა
წინაშე ღორთა: მ თ 7, 6
დას დ ე ბ ს ი ფ ქ ლ ს ა მ ა ს ს ა უ ნ ჯ ე ს ა ს ი-
ხარულისასა: კ ი მ. 12⁷

იგი მათ და ა წ ყ ო ბ ს!

და-ვ-ა-წყობ
და-ა-წყობ

უწყვიტ

იგი მას დას დ ე ბ დ ა

იგი მათ და ა წ ყ ო ბ დ ა

¹ რომ არაა ეს ფუძეც იმგვარივე შედგენილობისა, როგორისაც ს-ბ-ამ, ბ-უ-ამ, სადაც
მრავლობითობის ხ ს უ ფ ი ქ ს ი ა ფ უ ძ ე ს თ ა ნ შე ხ ო რ ც ე ბ უ ლ ი ე ძველ ქართულში გვაქვს წ ყ ო ბ -ისა-
ჯან სემანტიკურად განსხვავებული ზნა წ-ე-ბ-ა.

ეგების მხოლოდობითის ამ ძირს შეერწყა ობიექტის მრავლობითობის ხ ს უ ფ ი ქ ს ი და ქარ-
ათული ბუნებრივი კომპლექსის დაცვის გამო წ-ბ → წ-ყ: და-ა-წ-ო იგი, *და-ა-წ-ბ-ო ივინო
→ და-ა-წყ-ო.

0 მხოლოლობითშია

0 მრავლობითშია

II ხეონია

მან იგი და-ს-დვ-ა:

ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ შუმ. 38₁₇

დასდვა მას ჯელი: ტბ. მკზ 8, 23

მან იგინი და-ა-წყყ-ნ-ა.

განირთხა თავით თუსით აღმოსავალია კერძო და დაიწყვნა ჯელი და ფერჯნი თუსნი: კიმ. 34₂₈

დასკვნა

1. ძველ ქართულში როგორც სუბიექტური, ისე პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვი თანაბრად აღინიშნება ზმნაში სათანადო სუფიქსებით. მაგრამ რამდენიმე ზმნა პირთა მრავლობითობის გადმოცემისას სუფიქსით არ კმაყოფილდება და ფუძეს ინაცვლებს. ამგვარად, ვიღებთ რიცხვნაკლ ზმნებს: ოდენმხოლოლობითისას ან ოდენმრავლობითისას (მაგ.: იგი ზის—იგინი სხედან; ავდებს მას—ჰყრის მათ).

2. რიცხვნაკლი ზმნები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს შეადგენენ მარტივი ფუძეები: მხოლოლობითში ა-გდ-ებ-ს, ვარდ-ებ-ი-ს—მრავლობითში ჰ-ყრ-ი-ს, ცკვ-ი-ს; ა-წყ-ობ-ს. ესენი წარმოადგენენ ძველი სუბლექტიური წარმოების გადმონაშთებს.

მეორე ჯგუფის რიცხვნაკლი ზმნები შედგენილი ჩანან, რამდენადაც მხოლოლობითის ფუძეებს გან-ა-ლ-ო, და-დვ-ა, და-სუ-ა-ს ობიექტის მრავლობითობის -ს სუფიქსი დაპრთვია: გან-ა-ხ-უ-ნ-ა — *გან-ა-ლ-+ხ-უ-ნ-ა, და-თხ-ი-ა — *და-დ+ხ-ია, და-ს+ხ-ა — *და-სუ+ხ-ა. უკანასკნელი ზმნა მხოლოლობითის რამდენიმე სხვადასხვა ფუძეს ენაცვლება მრავლობითში:

მხოლოლობითი	მრავლობითი
აორისტი: ჯდ-ა	სხ-დ-ეს
ი-დვ-ა	ი-სხ-ნ-ეს
ე-სუ-ა	ე-სხ-ნ-ეს
აწყყო: ზი-ს	სხ-ენ-ან, სხ-ენ-ედ
ძე-ს	
უ-ე-ი-ს	
განა-ძ-ებ-ს	უ-სხ-ენ
	განა-სხ-ამ-ს

3. მრავლობითის -ხ ბოლოსართს დღეს იყენებენ სვანური და ადიღეური ჯგუფის ენები. მრავლობითობის ეგვეე -ხ სუფიქსი ქართულში ამჟამად ფუძესაა შეხორცებული (მაგ.: და-ს-ხ-ა და სხვა).

შეძველებათა განმარტება

(ტექსტები)

1. ადიშ.=ადიშის ოთხთავი (6. პარხალი).
2. ათონ.=ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბილისი 1901.
3. ანტ. რავხ.=ცხოვრება და წამება წმიდისა ანტონი რავახისი, ი. ყიფ შიძის გამ.: *XB*, II, *СПб.* 1913.
4. არიმათ.=არიმათიელი, თხოვრება აღშწნებისათვის ეკლესიისა, მარის გამ.: *TP*, II, *СПб.* 1900.
5. ბოლნ.=იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მ. ჯანაშვილის გამ., ტფილისი 1911.
6. გამოცხ. იოვ.=გამოცხადება იოვანე ღმრთის-მეტყუელისა, 1879.
7. დამასკ.=წამება წმიდისა ალათანგელისი დამასკელ კათალიკოსისა, კ. კეკელიძის გამ.: *XB*, IV, *СПб.* 1906.
8. ებისტ. იაკობ მოციქ.=კათოლიკე ებისტოლე იაკობ მოციქულისა, 1879.
9. ებრ.=პავლე მოციქულის წიგნი ებრაელთა მიმართ, თბილისი 1879.
10. ეესტ.=ეესტათე მცხეთელის ცხოვრება, ს. კაკაბაძის გამ.: „სასიტორიო კრებული“, II, თბილისი 1928.
11. ზარზმ.=ცხოვრება და მოქალაქობა სერაპიონ ზარზმელისა, კ. კეკელიძის გამ.: „ადრინდელი ფეოდ. ქართული ლიტერატურა“, ტფ. 1935.
12. თარგმ. ეკლესიასტ.=თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზმურნელ მიტროპოლიტისა, კ. კეკელიძის გამ., ტფ. 1920.
13. თეკ.=მარტკლობა თეკლასი, ილ. აბულაძის გამ.: ენიშის მოამბე, ტ. VIII, თბ. 1941.
14. თხოვრება=თხოვრება კონსტანტინეპოლის ვარემოვეისა, მ. ჯანაშვილის გამ.: *СМОПК*, XXVII, თბ. 1900.
15. იადგ.=ჰილ-ეტრატის იადგარი, ხელნაწ. № 1212.
16. იაკობი=ჟამის-წირვა წმიდისა იაკობ მოციქულისა, კ. კეკელიძის გამ. (*Древне-грузинский архиератикон*), თბ. 1912.
17. იერუს. განჩინ.=განჩინება და განწესება მოძღვართა მიერ მართლ-მორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალმს, კ. კეკელიძის გამ. (*Иерусалимский канонарь*), 1912.
18. იოვ. დამასკ.=Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, კ. კეკელიძის გამ.: *XB*, III, *СПб.* 1914.
19. იპოლ.=იპოლიტე, თარგმანება ქება ქებათა, მარის გამ. *TP*, III, *СПб.* 1901.
20. კიმ.=კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I, კ. კეკელიძის გამ., ტფ. 1918.
21. კოლ. წამ.=წამება ყრბათა წმიდათა, რიცხვთ ცხაათა, მარის გამ.: *TP*, V, *СПб.* 1903.
22. კორინთ.=ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თბ. 1879.
23. მოციქ.=საჟმე მოციქულთა, 1879.
24. მრავალთ.=მრავალთავი, ილ. აბულაძის გამ.: ენიშის მოამბე, ტ. XIV, თბ. 1945.
25. პარხ.=პარხლისა და ჯრუჰის რედაქცია, ა. შანიძის გამ.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ. 1945.
26. პეტრიწი=იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამ., ტფ. 1937.
27. საბა=ცხოვრება საბა ასურისა, სიმ. ჯანაშვილის გამ.: „არილი“, ტფ. 1925.
28. სასულ.=ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამ., 1913.
29. საბისმეტყ.=მკვეთათვის საბისა სიტყუა, მარის გამ.: *TP*, VI, *СПб.* 1904.
30. სვან.=სვანური მანუსკრიპტი, ხელნაწ. № 19 (ყოფ. საეკლ. ჰუბ. ფონდიდან).
31. სინას ხელნაწ.=H. M. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Липр. 1940.
32. სპეეს.=წამება... სპეესიძისი, ელასიძისი და მელსიძისი, მარის გამ.: *ЗВОРАО*, XVII, *СПб.* 1906.

33. სჯულის კანონი=წესი და განგებამ და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა... აღ. შახანაშვილის გამ.: Древности Восточные, Москва 1906.
34. ტბ.=ტბეთის ოთხთავი, ელ. ბენეშევიჩის გამ., СПб. 1909—1911.
35. ტიმ. ანტ.=ტიმოთე ანტიოქიელი, კ. კეკელიძის გამ.: ენიშის მოამბე, VII, 1942.
36. ურჩ.=ცხორება და განგებამ წმიდისა იოვანე ურჩაელისა კათალიკოსისა კ. კეკელიძის გამ.: XB, II, СПб. 1914.
37. ქრესტ.=ძველი ქართულის ქრესტომათია ა. შანიძისა, ტფ. 1935.
38. შუშ.=მარტვლობა წმ. შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამ., 1938.
39. ცხ. სიმეონისი=ცხორება და განგებამ წმიდისა და ნეტარისა... სუმეონისი, საკრველდომოქმედისა... კ. კეკელიძის გამ.: XB, II, СПб. 1913.
40. წარტყ.=წარტყუნვა იერუსალშმისა, მარის გამ.: TP, IX, СПб. 1909.
41. ხანძთ.=შრომა და მოღვაწეობა... გრიგოლისი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა, მარის გამ.: TP, VII, СПб. 1911.
42. ჰაბო=წამება... ჰაბოისი, კ. კეკელიძის გამ.: „ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა“, ტფ. 1935.
43. ჰაგ. მას.=Агиографические материалы по груз. рукописям Иверы, გამ. ნ. მარისა: ЗВОРА, XIII, СПб. 1901.

ადილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში

(მორფოლოგიური სესხების პრობლემისათვის)

1. ქართველურ და არაქართველურ კავკასიურ ენათა ურთიერთობის შეცნირულად დადგენა რიგ სპეციალურ საკითხთა გამოწვლილვით შესწავლას გულისხმობს. წინამდებარე წერილის ამოცანა ერთ-ერთ ასეთ სპეციალურ საკითხთანაა დაკავშირებული.

რა წარმოშობისაა ადილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში და რა მიმართებაშია სვანური ადილეურთან ამ ბრუნვის მიხედვით?

არსებობს გარკვეული პრეზუმპცია ქართველურისა და არაქართველური კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ. სათანადო კონკრეტული გრამატიკული ფაქტები ჯერ კიდევ შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ უხვად მოგვეპოვება ტიპოლოგიური ხასიათის პარალელები. ტიპოლოგიური პარალელების ფონზე საკმაოდ რელიეფურად მოჩანს ის მნიშვნელოვანი სინტაქსური მოვლენა, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია, რაც „ერვანტიული კონსტრუქციის“ სახელითაა ცნობილი. იგულისხმება, რომ ტიპოლოგია, თუნდაც მკვეთრად გამომჟღავნებული, თავისთავად ვერ გადასწყვეტს ენათა ნათესაობრივი ურთიერთობის საკითხს. ჩვენ არაკავკასიური ენებშიც ხშირად ვპოულობთ ქართველურისა და, საერთოდ, კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს: ფონეტიკურს, მორფოლოგიურს, სინტაქსურს, სემასიოლოგიურსა და სხვ. მაგრამ ჩვენი ენებისათვის მნიშვნელოვანია, ტიპოლოგიურ შეხვედრათა ერთობლივი სისტემა და არა კერძობითი ხასიათის პარალელები, — და ეს ფაქტი გასათვალისწინებელია მით უფრო მაშინ, როცა ენათა ნათესაობის კონკრეტულ საკითხებს ვიხილავთ და ამ ნათესაობის ხარისხობრივად დაზუსტებას ვცდილობთ სათანადო ენობრივი მონაცემების მიხედვით. ტიპოლოგიური პარალელების ერთობლივი და მეტრ-ნაკლებად მთლიანი სისტემა შეცნირულ დამაჯერებლობას ანიჭებს ჯერ კიდევ მცირერიცხოვან გრამატიკულ ფაქტებზე დამყარებულ დებულებას ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ.

2. უკვე დიდი ხანია ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ სვანურს ქართველურ ენათა ჯგუფში თავისებური ადგილი უჭირავს. იყო დრო, როცა, მეთოდოლოგიური მოსაზრებებით, ზოგიერთი სპეციალისტი ერიდებოდა კიდევც გარკვეული აზრი გამოეთქვა სვანური ენის ქართველურობის შესახებ. სვანურის

მკვეთრ თავისებურებას ბოლო წლებში Deeters-იც შეეხო და სქემის სახით წარმოადგინა სვანურისა და ქართულ-მეგრულ-ჭანურის ისტორიულად დამაშორებელი მანძილები¹.

ფაქტი სწორადაა აღნიშნული: სვანური ენის სპეციფიკური მოვლენები ზერელე დაკვირვებითაც დასტურდება. მაგრამ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სვანურის სათანადო მასალები ზედმიწევნით არ იყო შესწავლილი, და, მეორეც, იმიტომ, რომ სხვა ქართველურ ენებს მათი განვითარების თანამედროვე საფეხურზე მრავალ შემთხვევაში მოწმის როლი ვერ დაეკისრებოდა, დაიბადა აზრი სვანური ენის, თუ შეიძლება ითქვას, დანაწევრების შესახებ. საგულისხმოა, რომ ეს აზრი ყველაზე უფრო მკვეთრად ნ. მარსა აქვს გამოთქმული. ნ. მარსა თითქმის ერთდროულად ამტკიცებდა სვანურის ნარეობასაც² და სვანურის ზოგი მორფოლოგიური მოვლენის ნასესხობასაც³. ცხადია, ენის განვითარების ისტორიის მართებულად გათვალისწინებისას ეს ორი ფაქტორი ერთ სიბრტყეზე ვერ მოთავსდება. სესხება (ლექსიკურიცა და მორფოლოგიურიც) არსებითად ენათა ზედაპირულ ურთიერთობას გულისხმობს; შერევა ან შეჯვარდინება კი — მეტ-ნაკლებად მჭიდრო ორგანულ კავშირს. სწორედ ასეთი ორგანული კავშირია იმის მიზეზი, რომ ხშირად ვერ ვარჩევთ — რომელია შერევის პროცესში მონაწილე ენათაგან ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის გადამცემი და რომელია ამ მოვლენის აღმქმელი. ჩვენ ვიცით, რომ თავის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში ნ. მარსი კატეგორიულად უარყოფდა სესხების თეორიას საზოგადოდ. მაგრამ საკითხის ისტორიისათვის მაინც საჭიროა გვახსოვდეს, რომ პირველი მკვლევარი, რომელმაც კატეგორიულად (და ამდენადვე უმართებულად) უარყო სვანურის მორფოლოგიური დამოუკიდებლობა და მრავალმხრივ მართებულად გამოყო ამ ენის ნასესხები ფენები, ეს თვითონ ნ. მარსი იყო. ერთი

¹ G. Deeters, Das kharthwelische Verbum, 1930, გვ. 2—3.

² Протоколы заседаний Вост. Отд. Русск. Арх. Общ. (ЗВО, XXI, стр. LXVII — Заседание 27 сентября 1912 г.): „Н. Я. Марр прочитал доклад: „О поездке в Сванию“... Охарактеризовав литературу предмета и изложив в общих чертах лингвистические результаты двукратной поездки в Сванию, Н. Я. Марр остановился на 3-х общих вопросах и их вероятных решениях в освещении данных сванского языка. Один из этих вопросов по теории лингвистики: качества заимствованных слов и выясняющиеся сложные взаимоотношения яфетических языков выдвигают, как важнейшую очередную проблему, вопрос о типах мешаного языка“ (ხაზი ჩვენია.—ჯ. დ.). ცხადია, ნ. მარსს საკითხის მართლ ლექსიკური მხარე არ აინტერესებდა. რამდენიმე წლის შემდეგ სვანურის ნარეობის საკითხს ის უფრო ფართოდ განიხილავს: „Уже установлено, например, что сванский язык представляет тип мешаный между яфетическими ветвями“ და სხვ. (ხაზი ჩვენია.—ჯ. დ.); Н. Марр, Кавказоведение и абхазский язык: ЖМНП, LXIII (1916, № 5, отд. 4), стр. 15.

³ „... в сванском наличное теперь склонение представляет подбор заимствованных падежей...“ (Н. Марр, Где сохранилось сванское склонение? Известия Академии Наук, 1911, № 17; стр. 1199); შდრ. ფორმათა სესხების გაგება და დასაბუთება. 1928 წ. შრომაში: „...формы также заимствуются... Ведь само родство языков объясняется именно тем, что, вследствие общения, у различных племен в звуковой речи появились общие черты...“ (Н. Марр, Яфет. теория, Баку 1928, стр. 63).

პრინციპული ხასიათის მოსაზრებაც თან ახლავს ნ. მარის იმდროინდელ სესხების თეორიას. ნ. მარმა მთლიანად უარყო სვანურში ამაჟამად წარმოდგენილი ბრუნების სვანურობა, უარყო იმიტომ, რომ ეს ბრუნება არ ეთანხმება, მისი აზრით, სვანური ენის ფონეტიკურ მოვლენებს. ისტორიულად სვანურს, ნ. მარის შეხედულებით, საკუთარი ბრუნება მოეპოვებოდა. დროთა განმავლობაში ის ნასესხებმა ბრუნებმა გააძევეს¹. მაშასადამე, სესხება მოხდა არა მორფოლოგიური სიღარიბის ნიადაგზე, არამედ ენათა შერევის პროცესში. ჩვენთვის სწორედ ეს პრინციპული მხარეა საინტერესო და არა ის, თუ რამდენად სწორია და დამაჯერებელი ნ. მარის მიერ აღდგენილი სვანურის ძირეულ ბრუნვათა ფორმები.

3. ქართველურისა და არაქართველური კავკასიური ენების სტრუქტურული ურთიერთობის დასადგენად განსაკუთრებით სვანური ენის მონაცემებია გასათვალისწინებელი. სვანურში ცოცხლად წარმოდგენილია ქართველურ ენათათვის დამახასიათებელი ძირითადი და ტიპური ინვენტარი. ეს აზრი წინათაც გამოთქმულა სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ კონკრეტულად არსად არ ყოფილა ის დასაბუთებული. ვ. თოფურიამ შეისწავლა სვანური ზმნა და ზმნასთან დაკავშირებული სხვა მორფოლოგიური მოვლენები და საბოლოოდ დაადგინა ის ფაქტი, რომ სვანური ზმნის ბუნება არსებითად არ განირჩევა („მცირედ განსხვავდება“) სხვა ქართველურ ენათა ზმნის ბუნებისაგან². მაგრამ ქართველურ ენათათვის საერთო მოვლენებთან ერთად სვანურში ისეთი გრამატიკული ფორმებიც გვხვდება, რომლებიც საგრძნობლად განსხვავებენ მას ქართულისა და მეგრულ-ჭანურისაგან და, წინააღმდეგ, ახლოს აყენებენ მას დალისტურსა, ჩაჩურ-ინგუშურსა და, უმთავრესად, აბხაზურ-ადილურ ენებთან. ასეთია: 1. სუბიექტის მე-3 პირისა და ობიექტის მე-2 და მე-3 პირის პლურალური აფიქსი -ხ³; 2. ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები ზმნასა და ნაცვალსახელებში⁴; 3. უარყოფითი ნაწილაკების სიმდიდრე და მათი სინტაქსური როლი წინადადებაში; 4. ნაწილობრივი სუბლექტიურობა ბრუნებაში და სხვ.

ამ მონაცემთა გათვალისწინებით უალრეს ინტერესს წარმოადგენს ორგვარი ტიპის მოთხრობითი ბრუნვის თანამყოფობა სვანურში, რომელთაგან ერთი მსუფიქსიანი⁵, მეორე — სუფიქსიანი. პირველი (ნახალური ბგერით წარმოდ-

¹ „В сванском наличие теперь склонение представляет подбор заимствованных падежей, полностью или почти полностью вытеснивших коренное сванское склонение“ (Н. Марр, Где сохранилось сванское склонение? ИАН, 1911, стр. 1199).

² სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი 1931, გვ. 35.

³ ვ. თოფურია, იქვე, გვ. 15—16; ს. ჯანაშია, სვანურ-ადილური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენოქის მონაბე, ტ. XII, გვ. 265.

⁴ ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრ. რიცხვის პირველი პირისა: სვანურში: ქართ. სენათმეცნ. საზოგადოების წელიწდეული, I—II, გვ. 373—4; ვ. თოფურია, სვან., გვ. 1—2, 25—26 და სხვ.; К. Донуа, Категория инклюдива-экскლудива в сванском и ее следы в древнегрузинском: Памяти академика Н. Я. Марра, 1938, стр. 134—144.

⁵ ვიზიარებთ ვ. თოფურიას მიერ მოცემულ -ემ-ის ანალიზს: „მოთხ. და ნათ. ორთავენი -ემ ბოლოსართს, რომლის -ე- ბრუნვის ნიშანია...“ (ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მონაბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 345).

გენილი) სუფიქსი დღესაც ცოცხალი და პროდუქციულია ადიღეურში. ამიტომ შეიძლება სვანურ მ აფიქსიან მოთხრობითს პირობით ადიღეური ტიპის მოთხრობითი ვუწოდოთ. მეორე (დ სუფიქსი) გამოყენებულია აგრეთვე ქართულისა და თვით სვანურის „ვითარებითში“, რომელიც, ადვერბიალობის გარდა, აღნიშნავს აგრეთვე გარდაქცევითობასაც, მიმართულებითობასაც (ნაწილობრივ სვანურშიც) და დესტინატივობასაც (სვანურში, ნაწილობრივ ქართულში). დ სუფიქსიან მოთხრობითს აგრეთვე მხოლოდ პირობით შეიძლება ქართველური ტიპის მოთხრობითი ვუწოდოთ.

1941 წელს ლენინგრადში ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის კავკასიურ ენათა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე ჩვენ სპეციალური მოხსენება წავიკითხეთ სვანური მოთხრობითის ადიღეური ტიპის შესახებ. აქ ყურადღება მივაქციეთ, სხვათა შორის, იმ გარემოებასაც, რომ თავის დროზე ნ. მარი სვანურის ერთ ფენას აფხაზურ-ადიღეურ სამყაროს უკავშირებდა. სახელდობრ, ჩვენ გავითვალისწინეთ ნ. მარის შემდეგი სიტყვები: „Уже установлено, например, что сванский язык представляет тип мешанный между яфетическими ветвями: один слой в нем есть вклад яфетического языка спирантной ветви, по всей вероятности, именно того языка месхского, с которым особенно приходится считаться при определении места абхазского языка среди яфетических...“ (Н. Марр, Кавказоведение и архазский язык, стр. 15) და უფრო გარკვეული რედაქციით თქმული მის მიერვე სვანურის შესახებ, სახელდობრ, რომ ამ ენის ძირითადი ფენა ენათესავება აფხაზურს: „один слой, коренной, роднится с абхазским языком“ (Из поездок в Сваннию: Христ. Восток, II, в. I, стр. 16).

აღნიშნულ მოხსენებაში (რომელიც არსებითად მორფოლოგიური სესხების პრობლემას განეკუთვნებოდა) უმთავრესად ორი საკითხი გვაინტერესებდა: პირველი—ადიღეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის როლი სვანურის ირიბ ბრუნვებში (ნათ. ხეცვ-მ-იმ და სხვ.) და ამ მოვლენის ანალოგიები ჩრდილოკავკასიურ ენებში; მეორე—დ-იანი და მ-იანი მოთხრობითი ბრუნვების ურთიერთობა სვანურში.

სვანურის მოთხრობითი ბრუნვის ადიღეური ტიპის შესახებ ამჟამად ახალი ლიტერატურაც არსებობს. ენიშკის მოამბის XII ტომში (გვ. 254—264) მოთაესებულია ს. ჯანაშიას წერილი სათაურით: „სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“, სადაც ავტორი დაწვრილებით ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს და მიდის შემდეგ დასკვნამდე: „თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ფორმანტის (იგულისხმება (ე)მ ფორმანტი.—კ. დ.) როგორც მატერიალურ მხარეს, ისე მის ფუნქციასაც, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ იგი სავესებით ემსახვევა ჩერქეზული (ადიღეური) ენების სათანადო მექანიზმის ფორმანტს“¹. ავტორი სვანურში სამი ტიპის ბრუნებას გამოჰყოფს: I. წმინდა ქართველურს (ორგანულს), II. წმინდა (ან: თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნებას და III. შერეულ ბრუნებას,

¹ ს. ჯანაშია, დასახელებული შრომა, გვ. 262.

წმინდა ქართველურად ავტორს შეზღვევი ტიპის ბრუნვა მიაჩნია:

სახ. ნათი წაჭილი
 მოთხრ. ნათიღ
 ნათ. ნათიიშ
 მიც. ნათის
 მოქმ. ნათიშვ.

წმინდა „უცხო“ ბრუნების ტიპია:

სახ. ხაღა რამელი
 მოთხრ. ხაღემ
 ნათ. ხაღემი
 მიც. ხაღამ
 მოქმ. ხაღამშუ.

შერეული ბრუნების ტიპია:

სახ. აღ ეს
 მოთხრ. ამნემღ
 ნათ. ამიშ
 მიც. აღას
 მოქმ. ამნოშ.

ავტორი ყურადღებას აქცევს ხედა („რომელი“) ნაცვალსახელის ბრუნვას ბალსნემოურში:

სახ. ხედა „რომელი“
 მოთხრ. ხედწმნემ
 ნათ. ხედწშიშ
 მიც. ხედწშ
 მოქმ. ხედწშვ.

„აქ თავისებურება და ინტერესი მდგომარეობს, ჯერ ერთი—ორმაგ სუფიქსაციაში მხოლოდ ქართველური ფორმანტების მეშვეობით (ხედწშიშ), ხოლო შემდეგ—შერეული ორმაგი სუფიქსაციის ქართველური და „უცხო“ ფორმანტების შებრუნებული რიგით: ქართველური წინ უსწრებს „უცხოს“ და არა პირუტყუ, როგორც ეს გვაქვს ყველა დანარჩენ მაგალითში: ხედწმნემ“. ეს ფორმა, ავტორის აზრით, „იმიტაკაა მნიშვნელოვანი, რომ აშკარად მოწმობს: ფორმანტების რიგი არ გამოდგება საკმაო საბუთად „უცხო“ წარმოების სიძველისა და უპირატესობის დასამტკიცებლად სვანურ ბრუნებაში“. აქვე ვკითხულობთ: „უცხო“ წარმოების სიძველე ვერ დამტკიცდებოდა, თუნდაც ეს ფაქტი არ გვეჩინოდაო¹.

ავტორი, მაშასადამე, ფიქრობს, რომ მ-იანი მოთხრობითი ბრუნვა სვანურისათვის მერმინდელი მოვლენაა. ასეთი შეხედულება ლოგიკურად გამოძლი-

¹ ს. ჯანაშია, სვანურ-ადილეფური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, გვ. 257.

ნარეობს ავტორის იმ დებულებიდან, რომლის მიხედვითაც მ-იანი ფორმა სვანურმა შეითვისა ადიღეური (ჩერქეზული) ენიდან, ხოლო „ორგანული“ მოთხრობითი სვანურში თავიდანვე დასუფიქსით იყო წარმოდგენილი.

ფორმანტების რიგის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: სვანური მასალების მიხედვით მაინც ნათელი ხდება, რომ მოთხრობითის ორმაგ სუფიქსაციაში მ-იანი ფორმანტი ჩვეულებრივ წინ უსწრებს ქართველურ ფორმანტებს, მაგრამ „ჩვეულებრივ“ იმიტომ, რომ მეტად განსაზღვრულია თვით სფერო ანალოგიური ორმაგი სუფიქსაციისა (იხ. ქვემოთ). და თუ ფორმანტების რიგი თავის თავად, მართლაც, ვერ გამოდგება საკმაო საბუთად „უცხო“ წარმოების სიძველისა და უპირატესობის დასამტკიცებლად, აღნიშნული მოვლენის გათვალისწინება უთუოდ საჭირო იქნება სათანადო ფორმანტების სადაურობის განხილვისა და დადგენის შემთხვევაში.

ბრუნების გარდა ავტორი განიხილავს სვანურ-ადიღეურ შეხვედრებს უღვილებამიც, კავშირების ხმარებამიც¹ და ლექსიკამიც². საგულისხმოა ავტორის ზოგადი დებულება სვანურში გამოვლენილი ჩერქეზული ელემენტის შესახებ: „სვანური ქართველურ ენად რჩება და ეს დებულება ურყევეია“. „ჩერქეზული ელემენტი სვანურში—ამბობს ავტორი—მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ამ ქართველურს და, ზოგად-ქართველურის თვალსაზრისით, უადრესად საყურადღებო ენას რომელიღაც ისტორიულ პერიოდში (შეიძლება ეხლავე დავაზუსტოთ: რიგს ისტორიულ პერიოდებში) მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულს ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან. ურთიერთობის ინტენსიურობისათვის ყოველის უწინარეს სწორედ მორფოლოგიური ფაქტებია ნიშანდობლივი“³.

ავტორის ზოგადი პრინციპული მოსაზრება, მისივე მასალების მიხედვით, ჩვენ სწორად მიგვაჩნია: „ჩერქეზული ელემენტი“ სვანურში გაგებულია არა როგორც მექანიკურად ნასესხები, არამედ როგორც შედეგი სვანურისა და ჩერქეზულის „მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტისა“. მანამ, სანამ ამ კონტაქტის მოწმედ სხვა ენა, ჩერქეზულის გარდა, დაძებნილი არაა, მკვლევარს უფლება აქვს სვანურში მწირად მყოფი „უცხო“ ენობრივი ელემენტი ჩერქეზულად იყარაუდოს.

მაგრამ რა სტრუქტურულ გარემოცვაში გაფორმდა სვანური მოთხრობითის ჩერქეზულ-ადიღეური ტიპი? როგორ და რა პირობებში შეითავსა სვანურ-

¹ კავშირთა ხმარების მხრივ დახუსტებაა საჭირო: აფხაზურისა, ადიღეურისა და ზოგი სხვა ენის მსგავსად სვანურიც ერთსა და იმავე კავშირებითს ნაწილაკს ხმარობს როგორც ჩვეულებრივი კავშირის (=ქართ. „და“), ისე „-ცა“ ნაწილაკის მნიშვნელობითაც. ასეთია სვანური „ი“ კავშირი. მაგრამ არაა სწორი მ. ზაგაღსკის მაგალითი, თითქოს ეს კავშირებითი ნაწილაკი ჩვეულებრივი კავშირის მნიშვნელობითაც ისევე ბოლოში მოუდიოდეს „თითოეულ დასაკავშირებელ სიტყვას, როგორც ზემოაღნიშნულ ენებში: მ ი ს ი სვანურში ნიშნავს არა „მე და შენ“, არამედ „მე და შენც“ (შდრ. მ ი [- მი ი] ს ი „მე და შენ“). ამ მხრივ სვანური სხვა ქართველური ენებისაგან არ განსხვავდება.

² ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 264—274.

³ იქვე, გვ. 253.

რის ერგატიულმა კონსტრუქციამ ერთისა და იმავე მორფოლოგიური მოვლენის ორი სხვადასხვა ტიპი? ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს თემისათვის, — და მას ცოტა ქვემოთ დავუბრუნდებით.

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემას და ამ პრობლემასთან დაკავშირებულ რიგ სინტაქსურსა და მორფოლოგიურ საკითხებს რამდენიმე წერილი უძღვნა არნ. ჩიქობავამ. აქედან ჩვენთვის ამაყად ორი წერილი წარმოქნდგენს უშუალო ინტერესს: ერთი — „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ და მეორე — „სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში“. პირველ შრომაში სვანური მოთხრობითი ბრუნვის შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ „... სვანურში მოთხრობითი და გარდაქცევითი ერთმანეთს ხვდება: მოთხრობითი არაა მხოლოდ ერთი, სუბიექტისათვის განკუთვნილი ბრუნვა. ამით სვანური მოგვარებებს მთელ რიგ კავკასიურ ენებს (ჩაჩნური თუ დაღისტნური ჯგუფებიდან), რომელთაც მოთხრობითი სხვა ბრუნვის მოზიარედ გამოჰყავთ“¹. ავტორს სამართლიანად მიაჩნია ს. ჯანაშიას მოსაზრება სვანურის პირველი ფლექსიის შესახებ, სახელდობრ, რომ ის „ადილეური ენიდან მომდინარეობს“. „მეორე ფლექსია — დ გაბატონებულია მრავლობითში“ (1941 წ. ავტორი სწორ რედაქციას იძლევა: „მრავლობითში მხოლოდ -დ იხმარება“)² და ხშირია მხოლოლობითშიც“³; „სვანურისათვის ეს -დ უნდა იყოს დამახასიათებელი. ეს -დ უნდა დავსვათ ქართული -ნ-ს (მა-ნ.—კ. დ.) ფონეტიკურ კორელატად“⁴.

მეორე წერილში ავტორი აზუსტებს თავის მოსაზრებას სვანურა მოთხრობითის ორი ვარიანტის შესახებ: „ისტორიულად -მ აფიქსი უსწრებს -დ აფიქსს სვანურში, სვანურისათვის, — უფრო ზუსტად, სვანურის ვარკვეული ფენებისათვის, — პირველი უფრო ძველია“⁵. ავტორი იმორწმუნებულად იმ შემთხვევებს, „სადაც მოთხრობითში ორივე აფიქსია ერთად გამოყენებული, მ-ც და დ-ც: ხო ს ვ რ ე მ დ ეს ტ ვ ი ხ — უმცროსმა უპასუხა“⁶, მაგრამ ორმაგი სუფიქსაციის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

აი, ძირითადად ასეა საქმის ვითარება წარმოდგენილი სპეციალურ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

‡. უდავოა, რომ მიმართება ადილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვისა იმავე ბრუნვის ქართველურ ტიპთან ჯერ კიდევ დაზუსტებას საჭიროებს. სვა-

¹ არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, თბილისი 1939, გვ. 172.

² არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVIII, თბილისი 1941, გვ. 49.

³ მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის და სხვ. იქვე.

⁴ იქვე.

⁵ სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სხვ., გვ. 49.

⁶ იქვე.

ნური მ-იანი მოთხრობითი ბრუნვის გენეზისის საკითხი რომ მართებულად გადაწყდეს, საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარკვეული კანონზომიერება, რომელიც სვანურის ორივე ტიპის მოთხრობითი ბრუნვის განსხვავებული ხმარებისას შეიმჩნევა, სახელდობრ: ა) ადილეური ტიპი მოთხრობითი ბრუნვისა (მ ფორმანტიანი) წარმოდგენილია მარტოოდენ მხოლოდნით რიცხვში და მარტოოდენ ზოგად სახელებში; ბ) ის მოთხრობითის ერთადერთი ფორმაა ჩვენებითსა და ნაწილობრივ ზოგიერთ სხვა ნაცვალსახელშიც; გ) ქართველური ტიპი მოთხრობითი ბრუნვისა ერთადერთი ფორმაა მრავლობითში, ერთადერთი ფორმაა ადამიანთა საკუთარ სახელებში; დ) ის ნეიტრალურად მოჩანს ზოგადი სახელების მხოლოდობით რიცხვში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სვანურში წარმოდგენილია თავისებური (ვიწრო ფარგლებით შემოზღუდული, მაგრამ არსებითად სრულიად გარკვეული) ორნიშნაიანი კლასიფიკაციური სისტემა: ერთი ნიშანი ადილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის ფლექსიითაა გადმოცემული, მეორე—ქართველური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის ფლექსიით.

დავიწყოთ უგამონაკლისო შემთხვევებით:

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელები. აქ სვანურის ყველა დიალექტში ერთი და იგივე მდგომარეობა გვაქვს, სახელდობრ, მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდობით რიცხვში ყველგან ადილეური ტიპისაა¹. ორმაგი სუფიქსაციის შემთხვევაში პირველი ადგილი ყოველთვის -მ-ს უჭირავს, მეორე—დ-ს. ამგვარად, გვაქვს: ამნემ (ლენტ. ამემ) „ამან“, ორმაგი სუფიქსით—ამნემ-მ-დ (სვან. პროზ. ტექსტები, I, 1939, გვ. 97; და სხვაგან); ეჯნემ (ლენტ. ეჯემ) —ლატალ. ეჩნემ „ჩან“, „იჩან“ (იქვე, 440; ეჩნემ ლახტიხ „იჩან მიუგო“); მიჯნემ — მიჩნემ (სახ. ჯემ „თვით, თვით ის“, „თვითონ“ და სხვ.); ირიბ მეტყველებაში იხმარება აგრეთვე პირველი პირის აღსანიშნავადაც: „celui-ci“, „თავად“, „თვითონ მან“ და სხვ. (იქვე, 253; —: მაშენე დონა ყურუმ-შავხანდ მაშენამ მუხება ლახვენ, მანესგირე—მაშენესგირამ ი მაჰვრენე მიჩნემ ვდყედანე „უფროსი ქალიშვილი ყირამ-შავხანმა უფროს ძმას მისცა, შუათანა—შუათანას, უმცროსი კი თვითონ ითხოვა“); ორმაგი სუფიქსით—მიჯნემ-მ-დ (იქვე, 94; მიჯნემ დ დჟესნაფხეჟ სგა „თვითონ დევს სტაცა ხელი“). იგივე მდგომარეობა გვაქვს მართებითსა და განსაზღვრებითს ნაცვალსახელებში: იმნემ „რამ“, ჩიემ (მარტო ამ სახით!) „ყველამ“.

¹ ბრუნვის ფლექსიას ჩვეულებრივად (კილოთა უმეტეს ნაწილში) წინ -ნ ფორმანტი უძღვის, რაც წარმოშობით, ალბათ, რომელიდაც სხვა ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს. საერთოდ, -ნ ფორმანტი სვანურში გამოყენებულია ნათესაობითისა და მიცემითის ნიშნად, სახელდობრ, ნათესაობითისათვის ინ- -- -ნ (H. Я. Марр, Где сохранилось сванское склонение? გვ. 1203—1205; ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 190—191, ხოლო მიცემითისათვის—ნ (ვ. თოფურია, იქვე; შდრ. H. Я. Марр, დასახელებული შრომა, გვ. 1203—1205) [ამჟამად ვ. თოფურია: ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურენათა ბრუნებასთან შედარებით; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 3, გვ. 346].

ნაზალური (მ-იანი) ფორმა ჩვენებითი ნაცვალსახელისა იმდენად ორგანული და ღვიძლია სვანურისათვის, რომ ის არავითარ ცვლილებებს არ განიცდის. მეტად ხელსაყრელ პირობებშიც კი. ვგულისხმობთ, კერძოდ, ჩვენებითი ნაცვალსახელის ე. წ. მიმატებასთან (აპოზიციასთან) ერთად ხმარების შემთხვევებს, სადაც მოსალოდნელი იყო მერყეობა, ტორტმანი, სახელდობრ ისეთ შემთხვევებს, როცა აპოზიცია დ-იანი ფორმითაა წარმოდგენილი: ამნ-მ, ჭაბუგ-დ, ვარ ხჭკე (იქვე, 115ი) „ამან, ჭაბუკმა, უარი უთხრა“; ამნ-მ-ა, ჭყინტ-დ, მიჩა დი ჩვაცვირ (იქვე, 243ა—ი) „ამან, ა, ბიჭმა, თავისი დედა დატოვა“; ეჯნ-მ-მ-ე, ჭაბუგ-დ, ხჭკე (მულახური მასალებიდან) „იმან, ე, ჭაბუკმა, უთხრა“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ რიცხვითი სახელისთვისაც ადილეური ტიპის მოთხრობითია დამახასიათებელი; აქ ადილეური არაა ერთაფერთი ფორმა მოთხრობითისა, მაგრამ ის გაბატონებულია სვანურის ყველა დიალექტში: 1) აშხვემ ხჭკე „ერთმა უთხრა“; მსაზღვრელის ფუნქციის შესრულებისას კი გვაქვს აშხვ: აშხვ მუხვბემ „ერთმა (ნამდვილი შესატყვისი იქნებოდა: „ერთ“) ძმამ“; ლაშხურში მოთხრობითსა და გარდაქცევაში იხმარება ეშხვდ, ზმნისართის მნიშვნელობით—ეშხუდ „ერთად“; ეშხუდ არიხ (61ი)¹ „ერთად არიან“; მაგრამ ადილეური ტიპის მოთხრობითისაგანაა ნაწარმოები ნათესაობითი ეშხვიში: ეშხვიში მგქაფ (42) „ერთის მაგიერ“, ეშხვიში მგყ (48) „ერთთან“, „ერთისას“ და სხვ.; 2) ძარვემ ადგეხ ქორ „ორმა დადგა სახლი“; მსაზღვრელის ფუნქციის შესრულებისას—ძარვ: ძარვ მუხვბემ „ორმა (უფრო ზუსტად—„ორ“) ძმამ“; 3) სამემ ადგეხ „სამმა დადგა“; მსაზღვრელის ფუნქციის შესრულებისას—სამ: სამ ლახვბად „სამმა (უფრო ზუსტად—„სამ“) ძმებმა“ და სხვ. იგივე უნდა ითქვას რიცხობითი რიცხვითი სახელების შესახებაც: მერმემ (სვან. პროზ. ტექსტ. I, გვ. 96ა), ლაშხ. მერმემდ „მეორემ“, მესმემ (სვან. პროზ. 96ა), მესმემ (იქვე 41ი) „მესამემ“ და სხვ.

დაახლოებით რიცხვითი სახელის მდგომარეობაშია ზედსართავის შედარებითი და აღმატებითი ხარისხებიც: ხოშამ (ლენტ. ხოშემ), ხოშმენემ „უფროსმა“; ხოშამ მუხვბემ (სვან. პროზ. I, გვ. 407ი; 377:), ხოშამ მუხვბემნემ (იქვე, 265ი—ი) „უფროსმა ძმამ“, ხოშმენემ ხჭკე (იქვე, 264ა) „უფროსმა უთხრა“; ხოხერამ, ხოხერამდ, ხოხერემნემ „უმცროსმა“; ხოხერამ მუხვბემ (იქვე, 377ი) „უმცროსმა ძმამ“, ხოხერამ გეზალდ (იქვე, 407ი) „უმცროსმა შვილმა“, ხოხერემნემ ხჭკე (იქვე, 264ა) „უმცროსმა უთხრა“, ხოხერამდ პასუხლახტიხ (იქვე, 103ა) „უმცროსმა უპასუხა“; მაშენამ „(ყველაზე) უფროსმა“; მაშენამდ ნად ხჭკე (იქვე, 270ი) „(ყველაზე) უფროსმა ქალიშვილმა უთხრა“; მაჭერენამ „(ყველაზე) უმცროსმა“; მაჭერენამდ ნად ხაშგვინი (იქვე, 271ი) „(ყველაზე) უმცროსმა ქალიშვილმა სთხოვა“ და სხვ.

¹ არსენაძე კონდაწი, ლუშნუ ამბჯარ... პეტროგრად 1917.

რიცხვითი და ზედსართავი სახელების მაგალითები მხოლოდ იმისათვის მოვიყვანეთ, რომ ხაზგასმით აღვვინიშნა მ-იანი სუფიქსის გავრცელების არე-მისი გავლენის სფერო და მყარობა¹.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ მხრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები. ადილეური (ჩერქეზული) ტიპის მოთხრობითის განუზიარებელი ბატონობა სვანურ ჩვენებითს სახელებში უაღრესად საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს. აქ სხვა ფორმა, გარდა ადილეურისა, სვანურმა მოთხრობითმა არ იცის. ორში ერთი: ან სვანურს თავისი, სვანური მოთხრობითის ფორმა არ გააჩნდა არა-ოდეს (მაშინაც კი, როდესაც საერთოდ ბრუნება ჩამოყალიბებული იყო ენაში) და ეს ცარიელი ადგილი ამოავსო ადილეურმა სვანურთან ინტიმურ ურთიერთობაში ყოფნის დროს; ან სვანური ჩვენებითი ნაცვალსახელის ადილეური ფორმა წარმოშობით სვანურია, თავიდანვე სვანურის ენობრივ სიმდიდრეს ეკუთვნის, შემოტანილი არაა ვარედან (თუნდაც სხვა ენასთან ინტიმური ურთიერთობის შედეგად), არამედ შექმნილია თვითონ სვანურის წიაღში, სვანური ენობრივი აზროვნების შესაბამისად, შექმნილია, ალბათ, ადილეურის (შეიძლება აგრეთვე სხვა ენათა) ერგატივთან ერთად და არა ადილეური ერგატივის ჩამოყალიბების შემდეგ. პირველი ვარაუდი ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნია: ენის ისტორია უტყუარ საბუთს იძლევა იმისას, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელი უძველესი ნაწილია მეტყველებისა და რომ თვით ბრუნვის კატეგორია ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს. არა გვაქვს არავითარი საბუთი ფიფქროთ. რომ სვანური გამონაკლისს წარმოადგენდეს; რომ ისეთი ძირითადი ელემენტარული ცნებისათვის, როგორიცაა ჩვენება, მითითება, მას ტექნიკური მასალი სხვა ენის მარაგიდან ამოვლოს და, რაც მთავარია, გამოეყენებინოს ის ასეთი არაჩვეულებრივი სიზუსტით. ადილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურს გამოეყენებული აქვს როგორც სადიფერენციაციო ნიშანი (ამით აიხსნება სვანურის ჩვენებითი ნაცვალსახელის კონსერვატიულობა)², რასაც, სხვათა შორის, ნათელყოფს პირთა სახელების განსხვავებული ფორმით ხმარება ამავე ბრუნვაში.

ბ) პირთა სახელები (personalia). წინააღმდეგ ჩვენებითი ნაცვალსახელისა, პირთა სახელების მოთხრობითი ბრუნვა სვანურის ყველა დიალექტში (უკლებლივ) მარტოოდენ ქართველური ფორმითაა წარმოდგენილი. არავითარი

¹ აქაც და ყველგან ჩვენ გვაჩვენებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული მოვლენა ცნობილია სვანურის ყველა კილაში.

² სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ზოგადად ნაცვალსახელისათვის დამახასიათებელი „ანომალიები“ და ე. წ. „სიახლენი“ (innovations) სრულიად ვერ უარყოფენ იმ დებულებას, რომ ნაცვალსახელი „თავისებური“ გრამატიკული კატეგორიაა და რომ მისი ცვალებადობა ზედაპირულია; ნაცვალსახელი (და განსაკუთრებით ჩვენებითი ნაცვალსახელი) ჩვეულებრივად კარგად ინახავს თავის ძირს, თავის ძველ ფორმას, რომელიც საფუძვლად უძველესი ხასიათის ცვლილებებს. სწორი არაა შთაბეჭდილება, ათიქოს ცვლილებათა დანიშნულება ის იყოს, რომ მეტყველების სხვა ნაწილებს ნაცვალსახელი გამოემიჯნოს, როგორც თავისებური, განსაკუთრებული გრამატიკული სახე. წინააღმდეგ, თვით ნაცვალსახელის თავისებურებით (მისი ენასთან უაღრესად ძველი ორგანული კავშირით) უნდა აიხსნას აღნიშნული ცვლილებანი და „ანომალიები“ (შდრ. L. Hjelmslev, Principes de grammaire générale, København 1928, p.p. 325, 326).

გამონაკლისი აქ არა გვაქვს, ისე როგორც გამონაკლისი არა გვაქვს ჩვენებითი ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ადილეური ფორმით ხმარებაში. ორსავე შემთხვევაში ლოგიკური ცნება ურყევი გრამატიკული ფორმითაა გამოვლინებული, რომელიც არ იცვლება არც ფონეტიკურის, არც მორფოლოგიურის და არც სინტაქსური გარემოცვის მიხედვით. ამგვარად, სვანური personalia მოთხრობით ბრუნვაში სხვადასხვა პირობებში მარტოდენ -დ ნიშნითაა გაფორმებული: ვისიბ-დ „ვისიბმა“, ბადრი-დ „ბადრიმ (=ბადრმა)“, როსტომ-დ „როსტომმა“, ქრისდე-დ „ქრისტემ“, სოსრუყე-დ „სოსრუყემა“, რავან-დ „რავანმა“, ცხვითაგ-დ „ცხვითაგმა“, ილარიონ-დ „ილარიონმა“, დოქა-დ „დოქამ“, ალექსანდრე-დ „ალექსანდრემ“, ტარიელ-დ „ტარიელმა“, დალ-დ „დალმა“, ავთანდ-დ „ავთანდილმა“, ჯგერან-დ „წმ. გიორგიმ“, ვოსებ-დ¹ „ვოსებმა“, ფუთა-დ „ფუთამ“, ცივოყ-დ „ციოყმა“, გეგი-დ „გეგიმ“, ბატუ-დ „ბატუმ“, ჩორლან-დ „ჩორლამ“ და მრავალი სხვ.²

საყურადღებოა, რომ არავითარი რყევა არაა ამ მხრივ ნათესაობითშიც, რომელიც სვანურ ენაში მოთხრობითთანაა უშუალოდ დაკავშირებული. აქ ჩვენ გვაქვს: რავან-იშ (სვან. პრ. I, 378¹⁰); ბეჟან-იშ: ბეჟანი ხეხე (იქვე, 239⁹⁻¹⁰) „ბეჟანის ცოლი“, ბეჟანი ლეზობდ (იქვე, 239¹⁰) „ბეჟანის საქმელად“; ზურაბ-იშ: ქნე ესერ ადგე ზურაბი საფლავთე (იქვე, 239¹⁰) „წაილეო [=წაილოცა] ზურაბის საფლავზე“; აფრასინ-აშ: ახფიშედ ბაჩ აფრასინან მურყვამს „ესროლა ქვა აფრასინის ცხეს“; ჩორლ-აშ (- ჩორლანშ) (სვან. პოეზია, I, 299¹⁰); აშ-დარხან-ი შ (იქვე, 160¹⁰); ჯარაშდუყ-ი შ (იქვე, 166¹⁰) და სხვ.

როგორც ჩვენებითი სახელი „ქართველურ მოთხრობითში“ დასმულ მიმატებასთან (აპოზიციასთან), ისე მიმატების ფუნქციით აღჭურვილი პირთა სახელები არავითარ მერყეობას არ განიცდიან „ადილეურ მოთხრობითთან“: ალა ლოხერ აშ მუხებ ემ, დვეთანგ-დ... (სვან. პრ. I, 376¹⁰) „ეს უმცროსმა ძმამ, დავთანგმა...“; ბობემ ბელხანჯარდ (არს. ონ. 68¹⁰) „ბავშვმა ბელხანჯარმა“... ჩვეულებრივია ისეთი შეწყობა, როგორცაა: ამნ ემ-ა, დვითდ „ამან, ა, დვითმა“; ისე როგორც: ამნ ემ რაქე, კიკოდ (სვან. პრ. I, 257¹⁰) „ამან თქვა, კიკომ“.

მოკლედ: პირთა სახელები (personalia), ჩვენებითი ნაცვალსახელების მსგავსად, არც ერთ შემთხვევაში არ ლატობენ აღნიშნულ თავისებურ კლასიფიკაციურ სისტემას. ცხადია, ჩვეულებრივ სესხებასთან არა გვაქვს აქ საქმე. სისტემის მყარობის მიზეზი სვანური ენის წიაღში უნდა ვეძიოთ.

გ) **მრავლობითი რიცხვი.** მრავლობითი რიცხვის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, რაც პირთა სახელების ხმარების შემთხვევაში, სახელდობრ: მრავლობითი რიცხვის მოთხრობითი ბრუნვა სვანურის ყველა კილოში (უკლებლივ) მარტოდენ და სუფიქსითაა წარმოდგენილი. ეს ეხება როგორც ზოგად სახელებს, ისე ნაცვალსახელებსაც. ამგვარად, გვაქვს ერთი მხრივ: შვანარ-დ „შვანებმა“, ლატარ-დ „ლატალებმა“, ლენჯარან-დ „ლენჯარლებმა“, ჩარშან-დ (სვან.

¹ სვან. პრ. I, გვ.გვ. 93⁷, 93¹¹, 53¹², 19, 55¹¹, 56¹¹ და სხვ.

² სვან. პოეზია, I, 193⁹, გვ.გვ. 48¹⁰, 122¹⁰, 236¹¹ და სხვ.

პოეზია, I, 234a) „ჩარშელებმა“, ლეკარ-დ „ვაჟებმა“ (კაცებმა), ჯანარ-დ „ხარებმა“, გოჭარ-დ „გოჭებმა“, ჩარ-დ (- ჩაქარ-დ) „ცხენებმა“ და სხვ., ხოლო მეორე მხრივ: აღმარ-დ „ამათ“, ეჯმარ-დ „იმათ“, მინ-დ „მათ“ (=იმ უკანასკნელებმა), „თვითონ“. მრავლობითში დ-იანი მოთხრობითი საზღვრულისა შენახულია მსაზღვრელის მ-იან ფორმასთანაც: ჩხარამ ეცრაღლ „ცხრა ეცერელმა“ (ზუსტად: „ცხრამ ეცერლებმა“): ჩუ ლაჯრემ ჩხარამ ეცრაღლ (სვან. პოეზია, I, 88a) „დაიჭირა ცხრა ეცერელმა“.

უგამონაკლისობა ახასიათებს აგრეთვე სვანურის კრებითს სახელებსაც: ლახვბა-დ „ძმებმა“ (|| „ძმობამ“), ლთლღრა-დ „რძლებმა“, ლაცლა-დ „ტოლებმა“ (სვან. პოეზია, I, 288a: ლაცლა დ მიშგვა ჟი მისკარცხაზ „ჩემმა ტოლებმა საკაცით წამიღონ“), ლელტუ-დ „საყვარლებმა“ (იქვე, 288a: ლელტუ დ მიშგვა უშდილ-უშდილ ემლეჭალაზ „ჩემმა საყვარლებმა ჩუმ-ჩუმად დამიტრონ“), ლქღუ-დ (იქვე, 178a) „ამპარტაენებმა“ და მრავალი სხვა. გრამატიკულად მრავლობითს არ წარმოადგენს გვარეულობის აღმნიშვნელი ფორმა იშ-ნრა: გვეგიშრა „გვეგიანნი“, ვამიშრა „ვამიანნი“, ჯაჟლშრა „ჯაჟლანნი“ და სხვ.; ამიტომ მოსალოდნელია აქ ადიღეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა: ჰჯრგუნს ხაჯიდხ გვეგიშრა-ემ (სვან. პოეზია, I, 262a, № 80) „შესძახეს გვეგიანებმა“. ამავე მდგომარეობაში უნდა იყოს -იერ (-ნრ) ფორმით წარმოდგენილი მრავლობითობა: ამიტომ, ერთი მხრივ, გეზღნრ-დ (სვან. პრ. I, 67a), გეზღიერ-დ „შვილებმა“, ხოლო მეორე მხრივ, გეზღნრ-ემ (სტუდ. ჭიჭიკო გუჯეჯიანი: „შეიძლება ასეც“).

განსაკუთრებით საგულისხმოა სისტემის თვალსაზრისით ჩვენებითი საცვალსახელების ბედი: მათი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი მხოლოდობითში მარტოდენ -მ-ია, მრავლობითში — მარტოდენ -დ. სუფიქსთა ხმარების ასეთი სიზუსტე და უგამონაკლისობა გაუგებარი იქნებოდა, ერთ-ერთი მათგანი გარედან შემოტანილი რომ ყოფილიყო. ეს გარემოებაც, მაშასადამე, ნიადაგს უპტიკივებს იმ დებულებას, რომ მოთხრობითის ორივე ტიპის სუფიქსი სვანურის ერატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბებისას მორფოლოგიურად, ან, რაც ჩვენს შემთხვევაში იგივეა, ფუნქციურად, ალბათ, მთლიანად სვანურის საკუთრებას წარმოადგენდა.

დ) უგამონაკლისობის სხვა შემთხვევები. მოთხრობითის სუფიქსის ხმარებისას გარკვეულ კანონზომიერებას იცავენ აგრეთვე ფონეტიკურად (და ამასთან ერთად ნაწილობრივ სემანტიკურადაც) განსხვავებული ჯგუფები:

1. ყველა -ა ბოლოხმოვნიან სახელში, რიცხვითისა და ზედსართავი სახელების გამორიცხვით (იხ. ზემოთ), მოთხრობითი ბრუნვა ქართველური ტიპითაა წარმოდგენილი. მაშასადამე, ერთი მხრივ, უსგემ „ექვსმა“, არემ „რვამ“, ჩხარამ „ცხრამ“, ხოჩამ „კარგმა“, ხომემ (|| ხომემ) „უფროსმა“, ხოხრამ „უმცროსმა“ და სხვ.; მეგრამ, მეორე მხრივ, ყველგან: დნა-დ „გოგომ“, თერლა-დ (სვან. პოეზია, I, 320a: თელღრა-დ) „რძალმა“, ვირია-დ „ურიამ“, ბაბა-დ „ბაბამ“, მამა-დ „მამამ“, ძიძა-დ „ძიძამ“, პარტია-დ „პარტიამ“, მილიცია-დ „მილიციამ“ და სხვ.

2. კნინობით-მოფერების სახელებში (-ი ლ, -ი ლ+დ, -ჯ ლ+დ || -უ ლ+დ, -ო ლ და სხვა სუფიქსებთან), და, საერთოდ, -ა ლ- || -ა ლ-, -ა ლ-, -ე ლ-, -ი ლ-, -ო ლ-, -უ ლ- ბოლოკომპლექსიან სიტყვებში: მუხვბ-ი ლ-დ „ძამიამ“, მარ-ი ლ-დ (სვან. პოეზია, I, 286^ა) „კაცუნამ“, თერ-ი ლ-დ (იქვე, 272^ა) „მგელმა“, მიე-ი ლ-დ (იქვე, 234^ა) „მზიამ“, ქყინტ-ი ლ+დ-დ (იქვე, 310^ა) || ქყინტ-გ ლ+დ-დ (იქვე, 310^ა) „ბიჭიკომ“, „ბიჭუნამ“, ჩაჟ-ი ლ+დ-დ (იქვე, 322^ა) „ცხენამ“, შდუგ-უ ლ+დ-დ (სვან. პრ. I, 446^ა) „თაგუნამ“, მუგ-უ ლ+დ-დ (იქვე, 405^ა) „მტრედუნამ“, ციც-უ ლ+დ-დ (იქვე, 410^ა) „ციცუნამ“, ჟინდ-გ ლ+დ-დ (იქვე, 432^ა, 434^ა) „ბატკანმა“, მალ-გ ლ+დ-დ (იქვე, 432^ა, 434^ა) „მელამ“, დალ-გ ლ+დ-დ: დალ-გ ლ+დ-დ ლაცეაშ ყათარ ხაჯიდ (სვან. პოეზია, I, 274^ა) „დალუნამ (=დაღმა) სიცილის ხმა დასცა“ (ზევიდან „ჩაუცინა“), დინ-ო ლ-დ „ქალიშვილმა“, მარ-ო ლ-დ „კაცუნამ“ და სხ. დამატებითი მასალები: გეზალ-დ „შვილმა“, ქათალ-დ „ქათამმა“, ამსვალ-დ „ადამიანმა“, საბრალ-დ „საბრალომ“, მალ-დ „მელიამ“, დურგალ-დ „დურგალმა“, მულტალ-დ „ლატალელმა“, სანთელ-დ „სანთელმა“, ლვინელ-დ „ღვინომ“, მჭემთარინგზელ-დ „მიქელ მთავარანგელოზმა“, ჯღვილ-დ „(დის) ძმამ“, უდილ-დ „(დის) დამ“, ნებოლ-დ „ჩიტმა“, დომდულ-დ „მთვარემ“ და ა. შ.

3. -ი აუსლაუტიან სიტყვებში (დადასტურებულია პ ი რ ვ ე ლ ა დ ყ ო ვ - ლ ი ს ა ისეთი შემთხვევები, როდესაც -ი ფორმანტია): მკელმანბ-ი ლ-დ „მეთვე-ფემ“, მულგუჰერი-ლ „მეწისქვილემ“, მახეში-ლ „მახეშიმ“, ჟუვროსმა“, მუშგვრი-ლ (სახ. მუშგვრი) „სტუმარმა“; აგრეთვე: (ა)ერხი-ლ „ზოგმა“ და მისთ; იგივე მდგომარეობაა ნასესხებ სიტყვებშიც: ეფენდი-ლ (სვან. პრ. I, 368^ა) „ეფენდი“, ჯალჩი-ლ (იქვე, 374^ა) „ჯალჩიმ“, „მოსამსახურემ“ (ჯალჩის სწავარ ფაშლის ხაყლებ „ჯალჩის სავები [კავკასიის მთიელები, კერძოდ, მაღყარლები და ყაზრაჩაველები] შინამსახურს უწოდებენ“ („ჯალჩი სავეურად შინამსახურს ნღმნავს“; იქვე, 371^ა) და სხვ.

მოსალოდნელი იყო, რომ თავისებურებას გამოიჩინდა აქ სიტყვა დი „დე-და“, როგორც ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინი¹. მართლაც, ის მოთხრობითში ორი ფორმითაა წარმოდგენილი: დი-ლ („ჩვეულებრივად“) და დი-ემ („უფრო იშვიათად“, „ასეც შეიძლება“: —ლაშხელი ინფორმატორები); შდრ. მუ-დ || მუ(ც)-ემ „მამამ“; შდრ. ნაცვალსახელი ჩი-ემ „ყველამ“ (იხ. ზემოთ, გვ. 176).

4. საკითხის საბოლოოდ გადაჭრისათვის თავისი ადგილი დაეთმობა ისეთ ვაბატონებულს (ყოველ შემთხვევაში, შესამჩნევად გავრცელებულს) მაგალითებს, როგორცაა: მეთხვარ-დ „მონადირემ“, ნადირ-დ „ნადირმა“, ეზირ-დ „ვაზირმა“, ლვაჭარ-დ „ლვაჭარმა“, მეთერ-დ (სვან. პრ. I, 87^ა) „მეტარმა“, „მარჩი-ელმა“, კესარ-დ „კეისარმა“, მუშკიდ-დ „მჭედელმა“, ირემ-დ „ირემმა“, ქყინტ-დ „ბიჭმა“, ჭაბუკ-დ „ჭაბუკმა“, დჷ-დ „ღეემმა“, აფხნეგ-დ „ამნანაგმა“, ეარგ-დ „ახნაურმა“ და სხვ.

¹ მოთხრობითი თავისებურება ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებს სხვა შემთხვევებშიც ახასიათებს (К. Дондуа, К вопросу об истории формы слова числа в сванских терминах родства: *Материалы по истории Грузии и Кавказа*, 1937, т. I, вып. VII).

რა არის მიზეზი დ-იანი მოთხრობითი ბრუნვის გავრცელებულობისა აღნიშნულსა და ანალოგიურ შემთხვევებში? ფონეტიკური გარემოცვა იწვევს და აკანონებს ამ მორფოლოგიურ სახესხვაობას, თუ, წინააღმდეგ. დადგენილი მორფოლოგიური (resp. სემანტიკური) სისტემით უნდა აიხსნას ამ სიტყვათა მოთხრობითი ბრუნვის სათანადო ბგერითი გაფორმება? როგორადაც უნდა გადაწყდეს საკითხი, ჩვენთვის ამჟამად სულ ერთია: გაბატონებული ან გავრცელებული ფორმების არსებობა უკვე თავისთავად გვიჩვენებს, რომ სვანური მოთხრობითის ორივე ტიპი ენის ორგანულ ნაწილს შეადგენს, რომ ორივე ფორმა თავისი სადიფერენციაციო ნიშნებით სვანურის ერგატიული კონსტრუქციის საკუთრებაა, რომ უერთმანეთოდ ეს ფორმები არ არსებობდნენ და რომ ნეიტრალობა მათ დასჩემდათ (ისიც ნაწილობრივ!) მხოლოდ სათანადო იდეოლოგიური-საფუძვლების დასუსტებასთან დაკავშირებით: დღესაც ურყევეია ჩვენებით ნაცვალსახელთა მოთხრობითი ბრუნვის „ადილეურობა“, დღესაც ურყევეია საკუთარ სახელთა მოთხრობითის „ქართველურობა“, მაგრამ, სამაგიეროდ, გვაქვს ერთსა და იმავე კილოში: მუ-დ და მუ(ვ)-ემ „მამამ“, ჯან-დ და ჯანვ-ემ „ხარმა“, მწრა-დ და მწრემ (|| მარემნემ) „კაცმა“, მუხება-დ და მუხებემ „ძმამ“, ხოშა-დ [ხოშად ხაქვ „უფროსმა უთხრა“ (ლენტეხელის თქმით: „ასეა უფრო ხშირად“)] და ხოშ-ემ [ხოშემ ბაჩ ადაკვარ „უფროსმა ქვა გადაადგო“ (იმავე ლენტეხელის შენიშვნით: „ხშირად“)]... ან კიდევ: ბაჩ-დ (ბაჩდ ოთკვიშ თხვიმ-ქვამ გაუტეხა თავი“) და ბაჩ-ემ [საინტერესო შენიშვნით: „შეიძლება ბაჩემ, მაგრამ არავინ ხმარობს“ (ლენტეხელი ინფორმატორი)] და მრავალი სხვ.

მოვლენის ზოგადი დათარიღებისათვის მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ -მ სუფიქსი ნათესაობითში უფრო კარგადაა შენახული, ვიდრე მოთხრობითში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მ სუფიქსის გაბატონება -ე ბოლოხმოვნიანი ფუძის მქონე სახელთა ნათესაობითს ბრუნვაში ქვემო-სვანურში, იმ კილოებში, სადაც მ-იანი მოთხრობითი, სხვა კილოებთან შედარებით, უფრო სუსტადაა წარმოდგენილი. ლამზურისთვის ჩვეულებრივია ასეთი ვითარება:

ს ა ხ.	ნ ა თ.	მ ო თ ხ რ.
თე („თვალი“)	თემიშ	თე-დ
ბაღე („ფოთოლი“)	ბაღემიშ	ბაღა-დ
მენგრე („მსხვილი“)	მენგრემიშ	მენგრა-დ
მეტრე („მსმელი“)	მეტრემიშ	მეტრა-დ
ლჯწიე („მოწვეული“)	ლჯწიმეშ	ლჯწია-დ
თვეთენე („თეთრი“)	თვეთენემიშ	თვეთენა-დ
მეშხე („შავი“)	მეშხემიშ	მეშხა-დ
მწლე („რამე“)	მწლემიშ	მწლა-დ
მწრე („კაცი“)	მწრემიშ	მწრა-დ

ლენტეხურშიც იშვიათია მერყეობა: თე-ი შ („იშვიათად: თემიშ“), მარე-მიშ („იშვიათად: მარე-ი შ“). ლამზურში -ე ბოლოხმოვნიან ფუძესთან ნათესაობითის სხვა ფორმა არ შემხვედრია (თუ იხმარება, ალბათ, იშვიათად), მო-

თხრობითში კი ხშირად ორივე აფიქსი იხმარება (მნარად და მნარემ „კაცმა“, მუხუზად და მუხუზემ „ძმამ“ და სხვ.). ცხადია, რომ ოდესღაც ქვემოსვანურიც კარგად იცნობდა „ადილუური“ ტიპის აფიქსს და რომ, მაშასადამე, ეს „ადილუური“ აფიქსი ქვემოსვანურისთვისაც ისეთივე ინგრედიენტი ყოფილა კლასიფიკაციური სისტემისა, როგორც სხვა კილოებისათვის. საჭიროა ოღონდ ამ სისტემის დაზუსტება და მისი პირვანდელი სახის აღდგენა. ეს მომავლის საქმეა. ამჟამად ვარკვევით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ არ არის სვანური ენის ისეთი კილო, სადაც მოთხრობითი ბრუნვის მარტოოდენ ერთი მორფოლოგიური სისტემა იყოს წარმოდგენილი — „წმინდა ადილუური“ ან „წმინდა ქართველური“. ერთი მორფოლოგიური სისტემის არსებობას გამორიცხავს თვით ფაქტი კლასიფიკაციური სისტემის (უფრო ზუსტად: კლასიფიკაციურის მაგვარი სისტემის) არსებობისა. სვანურის სხვადასხვა კილოში სხვადასხვა სახითა და პროპორციით განაწილებული „ადილუური“ და „ქართველური“ ფორმებიდან მკვლევარს შეუძლია გამოყოს წმინდა (შეურეველი) ტიპები ან სისტემები, მაგრამ ასეთი გამოყოფა ხელოვნური იქნებოდა. სინამდვილეში მორფოლოგიურად განსხვავებული ორი მოთხრობითი ბრუნვა სვანური ენის სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს.

5. აღნიშნული მასალებიდანაც საკმარს ნათელი ხდება მ-იანი მოთხრობითის მიმართება ადილუურ, ანუ ჩერქეზულ მ ფორმანტთან, სახელდობრ: ადილუური ტიპის მოთხრობითის ფორმანტი ფუნქციურად რამდენადმე მოკავაზნებს ადილუური ენების სათანადო ფორმანტს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აქ ის უნდა იყოს, რომ ადილუური (ჩერქეზული) ენების მსგავსად, სვანურის ნაზალურ ფორმანტს ევალება გამოხატოს არა მარტო სუბიექტური (მოთხრობითი) ბრუნვა, არამედ აგრეთვე ობიექტური (არაპირდაპირი) ბრუნვებიც. მაგრამ, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ სვანურის დ-იანი მოთხრობითიც (სუბიექტური ბრუნვა) გამოხატეულია — ნაწილობრივ — არაპირდაპირი ბრუნვისა (ამაზე ქვემოთ), თვით მ ფორმანტის გამოყენების მხრივ ადილუურსა და სვანურს შორის მსგავსებასთან ერთად საგრძნობი განსხვავებაცაა. ძირითადი, პრინციპული განსხვავება ბრუნების სისტემიდან გამომდინარეობს. ცნობილია, რომ სვანურისაგან (საერთოდ ქართველურისაგან), ისე როგორც „თავის მონათესავე აფხაზურისაგან განსხვავებით“, ჩერქეზული ენების ბრუნება „უაღრესად ორიგინალურია თავისი ხასიათით“. სახელდობრ, ჩერქეზულ ენათა სახელისათვის დამახასიათებელია განსაზღვრულობისა და განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორია. განუსაზღვრელობა გამოხატულია ნულ ნიშნით, განსაზღვრულობა კი ორი სხვადასხვა ნიშნით, სახელდობრ რ და მ სუფიქსებით. „რ-ს ფუნქციას, ქართული სახელობითი ბრუნვის მსგავსად, გამოხატოს ქვემდებარე ვარდაუვალ ზმნასთან და პირდაპირი დამატება — გარდამავალთან. მ-ს ფუნქციაა გამოხატოს როგორც ქვემდებარე, ისე არაპირდაპირი დამატება ვარდამავალ ზმნებთან. ვარდა ამისა, მ აღნიშნავს, თავისებურად, სხვა არაპირდაპირ ბრუნვებსაც და სიტყვათწარმოებაში მონაწილე ბრუნვის ნიშნადაც გამოდის“¹.

¹ ს. ჯანაშია, დასახ. შრ. 262. — „Эргативная (активная) форма, характеризующаяся“

მაშასადამე, ადილეური (ჩერქეზული) მ არა მარტო ერგატივის ფორმანტი, აგრეთვე ობიექტური ბრუნვის ფუნქციებით აღჭურვილი, არამედ ამასთან ერთად (ამასთან განუყოფლად) ის განსაზღვრულობის კატეგორიის წარმომადგენელიცაა. მისი გრამატიკული ბუნება აღიქმება, ერთი მხრივ, რ-სთან დაპირისპირებისას, მეორე მხრივ, რ-სთან ერთად, ის უპირისპირდება განუსაზღვრულობის კატეგორიას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადილეურის მ მხოლოდ იმდენად გამოხატავს ერგატიულობას, რამდენადაც: 1) ფუნქციურად განსხვავდება რ-სიგან და 2) რამდენადაც, რ-ს მსგავსად, ისიც დასაპირისპირებელია განუსაზღვრულობის კატეგორიასთან.

მაგრამ განსხვავება ადილეურსა და სვანურს შორის მ ფორმანტის ხმარების მხრივ კონკრეტულ შემთხვევებშიც იჩენს თავს: 1) სვანურში მ ფორმანტის ხმარება მარტო მხოლოდობითი რიცხვით განისაზღვრება: მრავლობითში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სვანური ენა ქართველური ტიპის მოთხრობითს (დ სუფიქსიან ბრუნვას) იყენებს. როგორი მდგომარეობა გვაქვს ადილეურში? რამდენადაც ადილეურ (ჩერქეზულ) ენათა ბრუნების სისტემის ღერძს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია წარმოადგენს, ჩვენ აპრიორულად შეგვეძლო გვეთქვა, რომ ადილეური ამ მხრივ არსებითად სხვა გზას ამოირჩევდა. მართლაც, ადილეურში ზოგადი სახელის მრავლობითი რიცხვი მხოლოდ განსაზღვრულობის ფორმებითაა გადმოცემული (მრავლობითობის ნიშანი -x ან განსაზღვრულობის აბსოლუტური ფორმა -p, განსაზღვრულობის ერგატიული, ანუ აქტიური ფორმა -m). მაშასადამე, იმისდა მიხედვით, აბსოლუტურია კონსტრუქცია, თუ ერგატიული, ჩვენ გვექნება სათანადოდ ან -p, ან -m ფორმანტი. ასე, მაგალითად, ყაბარდოულში, აბსოლუტურის მრავლობითი რიცხვი იქნება (mn) mn-x-p „(ეს) ცხენები“, ერგატიულისა— (mn) mn-x-p¹. უკანასკნელ შემთხვევაში სვანური შესატყვისი იქნებოდა ჩ ა ვ რ დ (—ლაშხ. ჩ ა რ დ).

აქედან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: ვინც იზიარებს იმ აზრს, რომ მ ფორმანტი ადილეური ენიდანაა შეთვისებული სვანურში, ის იძულებულია შეთვისებული ფორმანტის ძალა შინიშალური ზომით წარმოიდგინოს: ის გვერდს ვერ აუხვევს იმ ფაქტს, რომ ადილეური ფორმანტის ძალა სვანურ მრავლობითს რიცხვში ნულს უდრის. გარდა ამისა, გამოდის, რომ სვანური და ყაბარდოული (საერთოდ ადილეური, ანუ ჩერქეზული) ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პ რ ი ნ ც ი პ ი ს მიხედვით აწარმოებენ ერგატივს მრავლობით რიცხვში. ამგვარად, ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი ბ რ უ ნ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა შ ი თ ა ვ ი ს ი ა დ გ ი ლ ი ა ქ ე ს ვ ა ნ ქ უ თ ე ნ ი ლ ი ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი ე ნ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს ერგატივს. სამაგვიეროდ, ჩერქეზული ბრუნების სისტემას არ დევნის სვანურის იმავე მრავლობითი რიცხვის ერგატივი.

формантом -и, выступает здесь [ივთლისხმება: ყაბარდოულში.—კ. დ.] не только в своей собственной функции, именно активного субъекта при переходном глаголе, но используется в функции дополнения (объекта) прямого и косвенного¹ (Г. Турчанинов და სხვ., Грамматика кабардинского языка, М.-Л. 1940, стр. 54).

¹ Г. Турчанинов და სხვ., დასახ. შრომა, გვ. 53, § 85; გვ. 75, § 124 და სხ.

მ ფორმანტის რაობასთან დაკავშირებით ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მას ინტიმური ურთიერთობა აქვს დ ფორმანტთან: თითოეულ მათგანს განკუთვნილი აქვს გავლენის საკუთარი სფერო. ხმარება მ და დ ფორმანტისა ad libitum—მერმინდელი მოვლენაა. ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბება ორივე ფორმანტის გამოყოფასთან უნდა იყოს დაკავშირებული: მ-სა და დ-ს ურთიერთობა მათს დაპირისპირებაში გამოიხატება ისე, როგორც ჩერქეზულ ენათა „აბსოლუტურისა“ და „ერგატიული ფორმების“ ურთიერთობა—მათს (სხვა ტიპის) დაპირისპირებაში. არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადილური მ ფორმანტი (რომლის არსებობა ადილურში აბსოლუტური ფორმის რ ფორმანტის არსებობითაა გამართლებული) სვანურმა ისეხსა ადილურიდან საკუთარი მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციების შესავსებად და რომ მან მიანიჭა ამ მ ფორმანტს დ ფორმანტისაგან (და არა ადილური ენის რ ფორმანტისაგან) განმასხვავებელი ფუნქციები.

6. დ ფორმანტის გამოყენების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ დამატებით რამდენიმე ფაქტია გასათვალისწინებელი.

ადინიშნული იყო ზოგადად, რომ დ ფორმანტი, სუბიექტური (მოთხრობითი) ბრუნვის გარდა, წარმოდგენილია აგრეთვე ობიექტურს, სახელდობრ, არაპირდაპირი დამატების ბრუნვაშიც (რომელსაც, როგორც მრავალმნიშვნელოვნაინს, შეიძლება ზოგადი სახელი „ვითარებითი“ ვუწოდოთ (ა. შანიძის ტერმინია).

სვანური ვითარებით ა) შეესატყვისება ქართულ ვითარებითს: ბგვი-დ „მაგრ-ა-დ“, აშხუ-დ „ერთ-ა-დ“, ხოჩამ-დ „კარგ-ა-დ“, ხოლმ-დ „ცუდ-ა-დ“ და სხვ.; ბ) შეესატყვისება იმავე ვითარებითს გარდაქცევითის მნიშვნელობით: ნგნ-დ „ენა-დ“ (სვან. პოეზია, I, 224); ნგნ დ გარ შექმდე „მარტო ენად ქცეული“, ბაჩ-დ (ლაშ. ბეჩ-დ) „ქვა-დ“ და მისთ.; გ) შეესატყვისება იმავე ვითარებითს დესტინატივის (დანიშნულებითის) მნიშვნელობით და წარმოდგენილია ორი ფორმით: ა. შარტივით (-დ): თვეფ-დ „თოფისთვის“ (სვან. პოეზია, I, 48); თვეფდ ბიდ ჩი ქა ხოწყვიფა „თოფისთვის ბუდე ყველას გაუხდია“; შდრ. დიალექტ. „თოფიზა“ — თოფ-ის-და); ქორ ი ლირდე-დ „სახლ-კარისთვის“. ზუსტად: „სახლ-სამყოფისათვის“ (სვან. პოეზია, I, 33); ქორ ი ლირდედ ნამ გვიზნანა „სახლ-კარისთვის არ მოგვივლია“; შდრ. დიალექტ. „სახლ-კარჩხა“); გლენბარ-დ „გლენებისთვის“ (იქვე, 46); გიგოს ხოქვა გლენბარდ მიჩა „გიგოს უთქვამს თავის გლენებისათვის“; შდრ. დიალექტ. „გლენებიზა“); აგრეთვე: ჰერ-წემ-დ „გველისთვის“ (იქვე, 244); მუჟველ-დ „მძლოსთვის“ (იქვე, 86) და მრავალი სხვა; ხ. რთული ფორმით, სახელდობრ, ნათესაობითი ბრუნვა პლუს ვითარებითი: მუ-ფშ-დ „მამისათვის“ (იქვე, 68); შდრ. დიალექტ. „მამიზა“ — მამ-ის-და); მურზაშ-დ „მურზასთვის“ (იქვე, 96); ჩრმ-იშ(ე)-დ „ყველასათვის“ (არს. ონჯან. დასახ. შრომა, 55) და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ფორმა: სოზარ-იშ-და „სოზარისთვის“ (სვან. პოეზია, 120); დაჩვირს ჯაჭვიხ სოზარიშდა „დას გაძღვევენ სოზარისთვის“, სადაც სვან. -იშ-და = ქართულ. ის-და → დიალექტ. (-იზდა) — იზა; დ) შეესატყვისება ქართულ ნიშარტულებითს, რომელიც სემანტიკურად, ალბათ, წინ უსწრებს „ვითარ-

რებიოის“ სხვა სახეებს: ლემასგვ-დ „ცეცხლ-ა-დ“ — „ცეცხლისთვის“ (სვან. პოეზია, 96^ა: ყაფსუყს კუმხარ ლემასგვდ ხოხლა „ყაფსუყს ფეხები ცეცხლისთვის მიუშვერია“); გიმ-დ „მიწა-დ“ (არს. ონდან, იქვე, 54^ა—^ა: ეშთან სკარხალს. ლოქ იჩო; ერე გიმდ ლოქ ესტიხე ჩის ნამშავარს „ისეთს სეტყვას ვიხამო (= მოვიყვანო), რომ მიწად დავაბრუნებ (= წავაქცევ) ყველა ნამუშევარსო“; ქორ-დ „სახლ-ა-დ“ (იქვე, 43^ა: ღვრი აშ ქორდ „მიდის ისე სახლად“; იქვე, 44^ა: ქორდ მევედს „სახლად მოსულს“) და სხვ.

დ ფორმანტის ფუნქციის უკანასკნელი სახე იმითაა საყურადღებო, რომ მის პარალელურად სვანურს მოეპოვება — თე სუფიქსიანი სპეციალური მიმართულებითი ბრუნვა, რომელიც ნაწილობრივ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციებსაც ასრულებს: იმ-თე ღვრი „სად მიდიხარ“, ქუთაშ-თე „ქუთაისს“ (მივდივარ), ქორ-თე, აგი-თე „შინ“, „სახლად“; აჩად შერმა დავ-თე (სვან. პრ. I, 110^ა:) „წავიდა მეორე დევთან“; ათხ' აჩად როსტომ ღვრბათვ თე (იქვე, 234^ა) „ახლა როსტომი ღმერთთან წავიდა“; ეჩი ლათხელ თე ესღერი (იქვე, 110^ა—^ა) „მის საქებრად მივდივარ“; ესღრი ლბთხვდარ-თე (სვან. პოეზია, 52^ა) „მიდის სანადიროდ“; ქა იმთ' ოჩე?—ჟაღვ ლატფურა თე (იქვე, 260^ა) „სად წავიდე?—ძაღლის გასატყავებლად“; აჩადხ აშხვინ ჩაჟარ ლყიდ თე (სვან. პრ. I, 252^ა) „წავიდნენ ერთხელ ცხენების საყიდლად“ (უფრო ზუსტად: „ცხენებ-საყიდლად“) და სხვ.

ერთისა და იმავე ფორმანტის გამოყენება მოთხრობითსა და არამოთხრობითს ბრუნვაში უცხოა სხვა ქართველური ენებისათვის. მაგრამ, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ სვანურის ვითარებითი ბრუნვა თითქმის სავსებით ფმთხვევა ქართული ენის ვითარებითს² და, მეორე მხრივ, ის ვარაუდი, რომ სვანურის ვითარებითის — დ გენეზისურადაც (არა მარტო მატერიალურად) მოთხრობითი ბრუნვის დ ფორმანტი, ნებას გვაძლევს სვანურის დ-იან მოთხრობითს ქართველური ტიპის მოთხრობითი ვუწოდოთ. ასეთი სახელწოდება ერთ ნიშანს ემყარება, სახელდობრ, სვანურსა და ქართულში ვითარებითი ბრუნვის ერთისა და იმავე ფორმანტის ([ა]დ-ის) არსებობას. მოთხრობით-ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობა სვანურში პრინციპულად განსხვავდება ამ ბრუნვათა ურთიერთობისაგან სხვა ქართველურ ენებში³. სვანურის მდგომარეობა ან

¹ სხვა მრავალ საკითხთან ერთად, აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს სვანურისა და ძველი ქართულის ურთიერთობანი. ვგულისხმობთ ისეთ მაგალითებს ძველი ქართულიდან, როგორიცაა: „წარვიდა ძიებად“, „წიგნი არა მიწე რად გეც“ და სხვ.

² ქართულთან განსხვავებით, სვანურში ვითარებითი ან მიმართულებითი იხმარება აგრეთვე შედარებითს ხარისხთან—შესადარებელი საგნის აღსანიშნავად: დიარ-დ ხოზა ეში ხეკვეს ძღვდუშ ლესეს (არს. ონდან, დანახ: შრ., 15^ა:) „პურზე უფრო დიდი მინც უნდა იყოს სიდიდით“; ქვეყანაზე იჯაპარ-დ ხოჩა დესა ლგმარდ (სვან. პრ. I, 124^ა) „ქვეყანაზე მათზე უკეთესი არავინ ყოფილა“ და სხვ.

³ დებულება—დ ქართული ნ-ს ეკვივალენტიაო (ა. ჩიქობავა), სწორია, მაგრამ საქართველს დახუსტებას, სახელდობრ—შეზღუდვას. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სვან. დ ნაწილობრივ ასრულებს ქართ. ნ-ს ფუნქციებს. მათ შორის განსხვავებაც სერიოზულია: ნ გამოყენებულია მარტო სუბიექტურ ბრუნვაში (მ-ა-ნ), —დ სუბიექტურშიც და ობიექტურშიც. იგულისხმება, რომ ჩვენთვის აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს უკვე ჩამოყალიბებულ ბრუნვ-

მხრივ განსაკუთრებულია: სვანური აქაც ჩრდილოკავკასიურ (კერძოდ, იმავე ადილეურ, ანუ ჩერქეზულ) ენებთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართულთან და მეგრულ-ქანურთან. მიუხედავად ამისა, სვანურში არსებული მოთხრობითი ბრუნვის დ ფორმანტი თავის წარმოშობითაც სვანურია: ის განუყრელი ნაწილია სვანური ერგატიული კონსტრუქციისა, რომელიც ტიპობრივად ქართული ენის ერგატიულ კონსტრუქციას წარმოადგენს. აქედან ცხადია, რომ დ-იანი მოთხრობითი ისეთივე თანადროული მოვლენაა სვანური ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბებისა, როგორც მ-იანი მოთხრობითი.

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სვანური ბრუნვის ე. წ. „ადილეურ სისტემაში“ (რომლისთვისაც დამახასიათებელია, სხვათა შორის, ბრუნვების გამოხატვა ხმოვნებით, კერძოდ, მიცემითისა - აფიქსით) დ-იანი მოთხრობითიც, ვითარებითის მსგავსად, ემყარება მიცემითს: მ-იანი და „კაცმა“ და „კაცად“¹.

მაშასადამე, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მ-იანი და დ-იანი მოთხრობითი ბრუნვის ვარიანტების ურთიერთობისა ქრონოლოგიური თვალსაზრისით? რომელი ფორმანტი რომელს უსწრებდა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრონოლოგიური პრიორიტეტის საკითხი სვანური ენის ფარგლებში წყდება: მორფოლოგიური თვალსაზრისით, ზოგი ნიშნის მიხედვით (ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვა), შეიძლება მ ფორმანტი მაინცადამაინც წინ უსწრებდა დ ფორმანტს, მაგრამ წინ უსწრებდა (თუ სწორია თვითონ ვარაუდი) სვანური ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბებამდე. ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბება მოთხრობითი ბრუნვის ორივე ტიპის მონაწილეობით უნდა მომხდარიყო.

თავისთავად იგულისხმება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ მ ფორმანტი (მით უფრო მისი მატერიალური ბუნება) წარმოშობითაც უთუოდ სვანური უნდა იყოს: ენათა შერევის პროცესში მ ფორმანტი, შეიძლება, ჩერქეზული ენების მარაგიდან შემოვიდა სვანურში, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა ჩერქეზულ ენებში მ-ს ფუნქციები ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დადგენილი (ამით აიხსნება განსხვავება ჩერქეზულსა და სვანურს შორის მ-ს გამოყენების მხრივ), ისე როგორც დადგენილი არ იყო, ალბათ, საბოლოოდ თვით ერგატიული კონსტრუქცია ჩერქეზულ (ადილეურ) ენებში.

დ-ს ფუნქციებთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ, რომ მ ფორმანტის მრავლობითისა და საკუთარ სახელებში ხმარების მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ადილეურსა და სვანურს შორის: ადილეური „აბსოლუტურშიც“ (-p) და „ერგატიულ ფორმაშიც“ (-m) იყენებს მრავლობით რიცხვს (-xə), სვანურის მ-იანი მოთხრობითი კი მრავლობითში სრულიად არ იხმარება (იხ. ზემოთ). თავისთავად ეს ფაქტიც საგრძნობლად ასუსტებს თეზისს სვანური მ-იანი მოთხრობითის ადილეური (ჩერქეზული) წარმოშობის შესახებ. საკითხის სპე-

ბის სისტემას მთლიანად. ნ ხმნისარტებშიც იხმარება, მაგრამ ეს ფაქტი ბრუნვის სისტემის გარეშე დგას და მისი გამოყენება ქართ. ნ-სა და სვან. ნ-ს ურთიერთობის გამორკვევისას შორის წავიყვანდა.

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ბრუნვის სისტემისათვის და სხვ., გვ. 344—345.

ციალური და ვალრმავებული შესწავლაა საჭირო იმისათვის, რომ ეს მოვლენა დამაჯერებლად აიხსნას. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ თავდაპირველად მ-იანი მოთხრობითი სემანტიკურად (ასე ვთქვათ, იდეოლოგიურად) განსხვავდებოდა დ-იანი მოთხრობითისაგან, განსხვავდებოდა იმდენად, რომ ან სრულიად ვერ ეგუებოდა მრავლობითობის კატეგორიას, ან აღინიშნებოდა მრავლობითობის სპეციალური ნიშნით.

რაც შეეხება საკუთარ სახელებს (personalia-ს), აქ სვანური ახალ ქართულსა და მეგრულ-ჭანურ ენებს უჭერს მხარს: ამათ მსგავსად და ძველი ქართულისაგან განსხვავებით, სვანური ენა საკუთარი სახელებისათვისაც ხმარობს (ყოველთვის, უგამონაკლისოდ) მოთხრობითი ბრუნვის ფლექსიას. ადიღეური (ჩერქეზული) ენები ამ მხრივ ძველ ქართულს მოგვაგონებენ, სადაც, გასაგები მიზეზის გამო, საკუთარი სახელები მოთხრობითში (და სახელობითში) უფლექსიოდ, წმინდა ფუძით არიან წარმოდგენილი¹. კერძოდ, ყაბარდოულში საკუთარი სახელი (სუბიექტისაც და ობიექტისაც) ჩვეულებრივად (აღბათ, თავდაპირველი ნორმის მიხედვით) „გაუფორმებელი ფუძით“ აღინიშნება: *Сафэ, тхышаш пытхышщ ацлшза пэтхышщ, ацлх пытхышщкышщ* „Сара письмо писать начала, хотя скоро не закончит“²; *ноб Мусу сыхузыати* „сегодня Мусу я встретил“³. ნორმის დარღვევით (ისე, როგორც ძველ ქართულში) უნდა აიხსნას შემთხვევები, როდესაც ხანდახან საკუთარ სახელსაც გაუჩნდება განსაზღვრულობის ფორმანტები (-p ან -m): მაგალითად (ჩვენებითი ნაცვალსახელის თანხლებით):

Сә слъэгъуащ Хьамзэт, а Хьамзэтыр мәлижъә „я видел Хамзета, тот Хамзет работает“; Батыр къэкIауашь, мы Батырым шыр къышащ „Батыр пришел, этот Батыр лошадь привел“⁴.

ამგვარად: ა) ამ შემთხვევაშიც ადიღეურის (ჩერქეზულის) განსაზღვრული (ე. ი. „აბსოლუტური“ და „ერგატიული“) ფორმები უბირისპირდებიან განუსაზღვრელ ფორმას; ბ) ადიღეურ (ჩერქეზულ) ენათა ნორმების წინააღმდეგ, სვანურის მოთხრობითი ბრუნვა საკუთარი სახელებისა წარმოდგენილია არა წმინდა ფუძით, არამედ, ზოგადი სახელების მსგავსად; სათანადო ფლექსიით. ამასთან ერთად (როგორც თავის ადგილას იყო აღნიშნული) ბრუნვის ნიშნად საკუთარი სახელებისათვის ყველგან (უკლებლივ) გამოყენებულია ფორმანტი. აქაც ცხა-

¹ საკითხისათვის იხ. Н. Марр. Грамматика древнейшего груз. языка., Ленинград 1923, გვ. 17—19 და passim „განუსაზღვრელი“ და „განსაზღვრული“ ბრუნვის შესახებ („неопределенное“ и „определенное“); N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, Paris 1931, p. 268-9; არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 175 („დეტერმინაციის“ შესახებ); К. Дондуа. К вопросу о родит. запфатическом в древнегрузинском языке: Известия АН СССР, 1930, (ამავე საკითხთან დაკავშირებით) და სხვ.

² Г. Турчанишвлов და სხვ., Грамматика кабардического языка, М.-Л. 1940, стр. 158.

³ იქვე, 159.

⁴ იქვე, გვ. 75.

დია, მაშასადამე, ადილეთური მოთხრობითი ბრუნვის მ ფლექსიის თავისებურება სვანური მოთხრობითის მ ფლექსიასთან შედარებით. მოკლედ: ადილეთური განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობით გრამატიკული კატეგორია სტრუქტურულად დაკავშირებულია ამავე ენის ერგატიულობასთან. ამით აიხსნება მნიშვნელოვანი ფუნქციური განსხვავება ადილეთურისა და სვანურის ერგატიული ბრუნვის ფორმანტებს შორის. ამოღებული მთლიანი სისტემიდან, ადილეთური ერგატივი არა მარტო მატერიალურად, ნაწილობრივ ფუნქციურადაც მოგვეგონება სვანურ ერგატივს: მაგრამ იმისათვის, რომ მართებულად დადგენილ იქნეს ნავარაუდები სესხების ხ ა რ ი ს ხ ი და ხ ა ს ი ა თ ი, საჭიროა მკვლევარმა გაითვალისწინოს პირველად ყოვლისა სწორედ ეგ მთლიანი სისტემა და მხოლოდ მასთან მჭიდრო კავშირში აგრეთვე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების (ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში — ადილეთური მ ფორმანტი) ბუნებაც.

ზემონათქვამის მიხედვით, ვაჭირდებოდა კატეგორიულად მტკიცება იმისა, თითქოს სვანური მოთხრობითის ადილეთური ვარიანტი წარმოშობითაც ადილეთური იყოს, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თითქოს ის ადილეთურ ენათაგან მზამზარეულად შემოსული იყოს სვანურში (ამის შესახებ იხ. ზემოთ): ფუნქციური შეხვედრები, განსაკუთრებით ერთისა და იმავე ფორმატივის გამოყენება იქაც და აქაც პირდაპირშიც და ირიბ ბრუნვაშიც, თავისთავად არაფერს ამბობს ადილეთური ვარიანტის ადილეთური ენიდან სესხების შესახებ; ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენები ცნობილია აგრეთვე სხვა კავკასიურ ენებშიც (მაგალითად, დალისტურში), ნაწილობრივ ამავე რთული ფუნქციის შემსრულებელია თვითონ სვანურში ქართველური ტიპის მოთხრობითი ბრუნვაც (დ ფორმანტიანი). ცხადია, სვანური მ-იანი მოთხრობითის ადილეთურიდან ნასესხებ ბრუნვად გამოცხადების მიზეზი პირველად ყოვლისა ამ ბრუნვის მატერიალური მხარეა. სახელდობრ ის გარემოება, რომ ადილეთური (ჩერქეზული) ენების ერგატივი დღესაც მ აფექსითაა წარმოდგენილი და რომ ამ აფექსს ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანური იცნობს¹.

როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

ენათა განვითარების ისტორიაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა ერთი ენისათვის დამახასიათებელი რომელიმე გრამატიკული მოვლენა „სესხების“ ვხვით გადადის სხვა ენებში. ასეთია, მაგალითად, ლათინური ენიდან გერმანულ ენებში შესული კონსტრუქციები: *accusativus cum infinitivo* და *ablativus absolutus* (O. Jespersen, *Language*, p. 215), ან *habeo dictum*-ის ტიპი პერფექტისა (A. Meillet, *Linguistique historique et linguistique générale*, p. 142) და სხვ.² შეთვისებულია გრამატიკული მოვლენის მხოლოდ შინაარსი,

¹ თავისთავად იგულისხმება, რომ ერგატივის სწორედ მატერიალური (ბგერითი) მხარე იყო უშუალო წყარო მკვლევრის (ს. ჯანაშიას) იმ ნაყოფიერი მუშაობისა, რომლის შედეგად შეუი მოედინა სვანურ-ადილეთური ენობრივი ურთიერთობის პრობლემასთან დაკავშირებულ ხოც საკითხს და რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს სვანური ბრუნვების სისტემის უფრო ჭარბაყვებულ შესწავლასაც.

² მოგვეყავს L. Hjelmslev-ის შრომის მიხედვით (*Principes de grammaire générale*, p.p. 83, 84).

იდეა, ხოლო რაც შეეხება ფორმას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ენობრივ მასალას, ის აქაც და ანალოგიურ შემთხვევაშიც ყოველთვის შემთვისებელი ენის საკუთრებას წარმოადგენს (სულ ერთია, რა ხერხებითაც არ უნდა იყოს გადმოცემული თვით კონსტრუქცია: კალკის საშუალებით [habeo dictum=„ich habe gesagt“, „j'ai dit“ და სხვ.], თუ დამოუკიდებლად).

მ-იანი ერგატივი ადილევრშიც და სვანურშიც ამ ენათა ერგატიული კონსტრუქციის კომპონენტი; მაშასადამე, სვანურისათვის აუცილებელი არ იყო მ სუფიქსის ადილევრი (ჩერქეზული) ენებიდან შემოტანა. მით უფრო, რომ ადილევრსა და სვანურ მ-იან ერგატივებს (იხე, როგორც ქართველურ და ადილევრ ენათა ერგატიულ კონსტრუქციებს მთლიანად), საერთო ნიშნების გარდა, ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნებიც მოეპოვებათ. მეორე მხრივ, არც იმის საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მსგავსება შემთხვევითი ხასიათისა იყოს: სვანური (ზოგადად ქართველური) და არაქართველური კავკასიური ენები ხშირად ერთისა და იმავე ფორმანტით, ან ამ ფორმანტის ფონეტიკური ვარიანტებით გადმოგვცემენ საერთო გრამატიკულ მოვლენებს. ასეთია, მაგალითად, მიცემითი ბრუნვის ფლექსია (-s), მიმართულებითის ფლექსია (-te, -d...), მრ. რიცხვის სუფიქსი (-ar || -ra...) და სხვ. თუ მოვიგონებთ აქვე ტიპოლოგიური ხასიათის შეხვედრათა მთლიან სისტემას (იხ. ზემოთ), რომელიც აერთებს სვანურს (საერთოდ ქართველურ ენებს) რიგ სხვა ტიპის კავკასიურ ენებთან, საფუძველი გვექნება ვივარაუდოთ, რომ ადილევრ-სვანურის მ ფორმანტის მხრივაც ჩვენ ზოგად თბესთან გვაქვს ხაკმე, რომ აქ შემთხვევითობა, ალბათ, გამორიცხებულია, რომ; მაშასადამე, სვანურში ადილევრი ტიპის მოთხრობითი ბრუნვა წარმოშობით იმდენადვე ადილევრი, რამდენადაც სვანური, და რომ. ცხადია, ერგატივის ადილევრი ტიპი გენეზისურად სვანური ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბების თანადროული მოვლენა უნდა იყოს.

როგორც დავანახეთ, სვანური მ-იანი ერგატივის სადაურობის საკითხი მორფოლოგიური სესხების პრობლემასთანაა დაკავშირებული. ლიტერატურაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ნ. მარის ამ საკითხში თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა, ერთი მხრივ, იცავს „სესხების ჩვეულებრივ ფორმულას“, „по которой языками друг у друга заимствуются только слова, а не грамматика“ (Н. Марр, Из поездок в Сванию, стр. 18), ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებს—სვანური ენის ბრუნება ნასესხებიაო, ...представляет собою подбор заимствованных падежей, полностью или почти полностью вытеснивших коренное сванское склонение“ (Н. Марр, Где сохранилось сванское склонение? ИАН, 1911, стр. 1199)¹. ნ. მარის წინააღმდეგობები უნდა იხსნას იმით, რომ ავტორი ამ დროს ენათმეცნიერებაში გაბატონებულ აზრს იზიარებდა, სახელდობრ, ის მხარს უჭერდა „სესხების ჩვეულებრივ ფორმულას“ („обычная формула заимствования“), რომლის მიხედვითაც ვითომ ენები ერთმანეთისაგან სესხულობდნენ მხოლოდ სიტყვებს და არა გრამატიკულ ფორმებს.

¹ ს. ჯანაშია, სვანურ-ადილევრი (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, გვ. 253—254.

მერმინდელ თავის ნაშრომებში, „შეჯვარედინების თეორიის“ ზრდასთან ერთად, ნ. მარმა არსებითად შეიცვალა აზრი „ჩვეულებრივი ფორმულის“ შესახებ. მას არაერთხელ განუცხადებია, რომ ეს ფორმულა არ შეესაბამება სინამდვილეს: „Старая лингвистическая школа учила (ამბობს ნ. მარი ერთ ადგილას), что заимствуются слова, но не формы. Это также отпадает, так как формы также заимствуются, причем, при массовом и длительном общении, строй речи и с ним мышление, следовательно, и морфология так же может передаваться от одного племенного образования к другому, как и словарь“¹.

თავისთავად იგულისხმება, „მასობრივი და ხანგრძლივი ურთიერთობით“ ნ. მარი აქ შერევის ან შეჯვარედინების პროცესს აღნიშნავს. თვით „სესხებაც“, მაშასადამე, ამ შემთხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ასეთი „მასობრივი და ხანგრძლივი“ ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული შეთვისება.

ეგ დებულება — ხელშემწყობ პირობებში გრამატიკულ ფორმათა სესხების შესაძლებლობის შესახებ — ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია. გამოსარკვევია ოღონდ თვით ნასესხები ფორმების ბუნება. როგორც სათანადო ენობრივი ფაქტები მოწმობენ, სესხების ან შეთვისების გზით ენიდან ენაში ჩვეულებრივად სიტყვათსაწარმოებელი აფიქსები ვადაიან. ლექსაის შემდეგ ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი ენობრივი ურთიერთობისას სწორედ სიტყვათსაწარმოებელი აფიქსებია. მათ ახასიათებთ მეტი დამოუკიდებლობა და, თუ შეიძლება ითქვას, მეტი იდეურობა, ვიდრე სიტყვათსაცვლელ აფიქსებს².

უკანასკნელთა სესხება, განსაკუთრებით სესხება ფლექსიისა (თუ ეს მოვლენა ეპიზოდური ხასიათისა არაა), ენათა ურთიერთობის სხვა ხასიათზე მიგვითითებს: „ნასესხები“ სიტყვათსაცვლელი აფიქსები ურთიერთობაში მყოფ ენათა საერთო პროდუქციას წარმოადგენს; თვით პროდუქტი ამ ენებში სხვადასხვაგვარადაა შენახული და გამოყენებული.

ასეთ სიტყვათსაცვლელ აფიქსებს განეკუთვნება სვანურისა და ადილუური ერგატიული ბრუნვის მ აფიქსი, რომელიც საზიარო უნდა იყოს ამ ენათათვის.

როცა ადილუურ-სვანური ფორმანტის საერთო თბეზე ვლაპარაკობთ, ვითვალისწინებთ აგრეთვე ქართულ ჩვენებითს ნაცვალსახელ მა-საც, რომლის მოთხრობითი ბრუნვის მზამზარეული ფორმა მა-ნ გამოყენებულია სხვა სახელთა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად: ძველ ქართულში — მთლიანად (-მან), თანამედროვე ქართულში — შეკვეცილი ფორმით (-მა -- მ). პროფ. ნ. ფ. იაკოვლ ევი მართებულად მოიგონებს ამ ფორმებს ყაბარდოული -მ-(-м)-ს ფუნქციის განხილვისას, ოღონდ სიზუსტე აკლია მის დებულებას, რომლის მიხედვითაც ძველი ქართული -მან და თანამედროვე -მა -- მ ვითომ „თითქმის მთლიანად ემსხვევრდნენ“ (почти полностью совпадают) ყაბარდოული აქტივის -м. დაბოლოებას³.

¹ Н. Марр, Яфет. теория, Баку 1928, стр. 63 (ხაზი ჩვენია.—კ.დ.); შტრ. „Яфет-Эборник“, III, Postface, p.p. 166—167 (პოლემიკა Vendryès-სთან) და სხვა.

² მაგალითები იხ. Сенир, Язык, М.-Л. 1934, стр. 158—159.

³ Проф. Н. Ф. Яковлев, Краткая грамматика кабардино-черкесского языка, вып. I. Синтаксис и морфология, Ворошиловск 1938, стр. 126—127.

ჯერ ერთი, ქარაულსა და ყაბარდოულ (ადიღეურ, ანუ ჩერქეზულ) ფორმანტებს შორის მსგავსებასთან ერთად მნიშვნელოვანი ფუნქციური განსხვავებაცაა. მეორეც, პროფ. ნ. ფ. იაკოვლევის დებულებიდან ნათლად არა ჩანს, როგორ წარმოუდგენია ავტორს ამ ფორმანტთა ურთიერთობა. უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ ქართული მოთხრობითი ბრუნვის ფლექსია არის -ნ და არა -მან, -მა, -მ და რომ, მაშასადამე, ქართული -მან — მა — მ ყაბარდოული -მ-ს მორფოლოგიურ ეკვივალენტად ვერ ვამოდგება. წარმოშობით, ყაბარდოული ერგატივის -მ(ა) ფორმანტი ჩვენებითი ნაცვალსახელი უნდა იყოს (ძირია *мы* ან *мо*): აბსოლუტ. ფორმა *мы-р*, ერგატ. *мы-ны „ეს“*; აბსოლუტ. ფორმა *мо-р*, ერგატ. *мо-ны „იგი“*, „ის“ და სხვ.¹ ამიტომ, სრულიად საფუძვლიანად მიგვაჩნია მოსაზრება ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელისა (მ ა-) და ყაბარდოული (ადიღეური, ანუ ჩერქეზული) ასეთივე ნაცვალსახელის (მგ-) გენეზისური ნათესაობის შესახებ².

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართულისა და სვანურის შინაგან კავშირს ადიღეური ტიპის მოთხრობათი ბრუნვის მატერიალური, ნაწილობრივ ფუნქციური მხარეების გამოყენებაში. ადიღეურთან ურთიერთობის მხრივ სვანური სხვა ქართველური ენებისაგან განმარტოებით არა დგას. ქართული ენის მოთხრობითი (აქტივი, ერგატივი) -მან წარმოშობით მოთხრობით-შივე გაფორმებული დამოუკიდებელი ჩვენებითი ნაცვალსახელია, რომლის ფუძე *მა* (— *მ*) საზიაროა ადიღეურისა, ქართულისა და სვანური ენებისათვის: ადიღეურისა და სვანურისათვის—როგორც ერგატივის ფორმანტი, ხოლო ქართულისათვის—როგორც ერგატივის განუყრელი (თანამედროვე ქართულში—ბრუნვის ფუნქციის შემსრულებელი) ფუძე.

К. Д. ДОНДУА

АДЫГЕЙСКОГО ТИПА ЭРГАТИВ В СВАНСКОМ ЯЗЫКЕ

(К проблеме морфологического заимствования)

Резюме

1. Так называемая „эргативная конструкция“ принадлежит к системно-типологически родственных лингвистических явлений, характерных для кавказских языков. Система типологических сходжений проливает свет на конкретные вопросы характера и степеней связи картвельских языков с тор-

¹ Г. Турчанинов და სხვ., Грамматика кабардинского языка, §§ 123—126 და სხვაგან.

² ს. ჯანაშია, დასაშ. შრომა, გვ. 264.

скими языками Кавказа. В этом отношении внимание исследователя обращают на себя в первую очередь данные сванского языка: сохранив полностью основной лингвистический инвентарь, типичный для картвельских языков, сванский во многих отношениях ярче, чем грузинский и мегрело-чанский, проявляет черты сходства с дагестанской, особенно с абхазско-адыгейской группой кавказских языков.

В свете этих данных особый научный интерес представляет факт существования в сванском двух типов эргативного падежа: адыгейского, с аффиксом *-m*, живым и продуктивным в адыгейской (черкесской) группе языков, использованным и в других падежах, и картвельского, с аффиксом *-d*, наличным также в „обстоятельном“ (направительном, превратительном, дестинативном) падеже грузинского и самого сванского языка.

2. Адыгейский тип эргатива в сванском в специальной литературе рассматривается как случай морфологического заимствования: находясь—в далеком прошлом—в тесном и интенсивном контакте с адыгейскими языками, сванский усвоил из последних ряд морфологических особенностей, в том числе особый тип эргативного падежа (С. Н. Джанашиа). Плодотворная сама по себе, эта мысль о связях сванского с адыгейскими требует уточнения.

3. Автор предлежащей статьи особое внимание уделяет существованию определенной закономерности в дифференцированном употреблении обоих типов эргатива в сванском: адыгейский тип а) налично только в единственном числе и только в нарицательных именах; б) он является единственной формой эргатива в указательных местоимениях (აბბჳ-მ *ampē-m* ‘этот’; при сугубой аффиксации—*ampē-m-d*, ეჯბჳ-მ *eǰpē-m* ‘тот’ и др.); в) он является характерным в именах числительных (აშხუ-მ *ašxwe-m* ‘один’, ლარუ-მ *laru-m* ‘два’, ‘двое’ и др.); в сравнительной и превосходной степенях (ბოშე-მ *bošē-m*, ბოშე-მ-ბ-ე-მ *bošē-m-p-ē-m* ‘старший’, ხოხუ-მ *xoxwē-m* ‘младший’ и т. п.); картвельский тип является: а) единственной формой эргатива во множественном числе (შუანარ-დ *šwanār-d* ‘сваны’, ალუარ-დ *aluār-d* ‘эти’ и т. п.); б) он безраздельно господствует в личных именах во всех диалектах сванского языка (ილარიონ-დ *ilariōn-d* ‘Иларион’, დალ-დ *dāl-d* ‘Даль’, რავაზ-დ *ravāz-d* ‘Раваз’ и др.); в) он занимает центральное положение в нарицательных именах единственного числа.

Такое распределение функций между адыгейским и картвельским типами эргатива, с одной стороны, а с другой—расхождения между сванским и адыгейскими языками в употреблении адыгейского типа свидетельствуют о переживаниях в сванском своеобразной классификационной системы, следовательно, об исконной принадлежности обоих типов эргатива

внутреннему строю сванского языка. Отрицая возможность заимствования живого, продуктивного словоизменяющего аффикса вообще, автор полагает, что адыгейская форма эргатива возникла в период становления сванской эргативной конструкции, во всяком случае, не позднее возникновения картвельского эргатива.

ქეთევან მოწინავე

-გან თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში

-გან თანდებული ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვას დაერთვის. ნათესაობითთან ის აღნიშნავს მოქმედების ჩამდენობას ან მასალას, რომლისაგანაც რამე კეთდება, და მიუგებს კითხვაზე ვისგან ან რისგან¹.

...არამედ ის აკისრავს გეწოდოს შენ თესლად: ებისტ. პავლუსნი², 42 v₁

...რამეთუ არა შჯულისაგან არს, არამედ ალთქუმისაგან კეთს-
ლი: იქვე, 103 r₁

და დააგნეს ორივე იგი ერთითა მით ჯორცითა ღმერთსა ჯუარისაგან:
იქვე, 112 v...

მოქმედებით ბრუნვასთან -გან თანდებული აღნიშნავს მოქმედების საწყის-
ბუნქტს დროსა და სივრცეში და მიუგებს კითხვაზე ხაიდან? თა დროიდან?

ვუკ. ბერიძის აზრით, ადგილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა -გან
თანდებულს, როცა იგი დამოუკიდებელი სიტყვა იყო³.

ამ მხრივ -გან თანდებულს უკავშირდება გან- ზმნისწინი.

ძველი ქართულის ტექსტებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ -გან თანდებ-
ულიან მოქმედებით ბრუნვას ადგილის აღნიშვნა შედარებით გვიან და-
ეკისრა, რადგანაც ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივ იხმარებოდა უთანდებულო
მოქმედებითი, ანუ დაწყებითი (გამოსვლითი) და ზოგჯერ -გან თანდებულისანი
ნათესაობითიც⁴.

გამოსვლითი კითხვაზე ხაიდან?

ყოველი სიტყუაა უშუერი პირით თქუენით ნუ გამოვალნ: ზელნ.
№ 1138, 116 r₂

...რომელსა უპყრა ცელი მათი გამოყვანებად ქუეყანით ეგვპტით:
იქვე, 160 r₂

მაშინ მოვიდა იესუ გალილეათ იორდანედ: მთ 3, 13⁵...

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი 1941, გვ. 57.

² საქ. მუზეუმის წ.-კ. ფონდი, ზელნ. № 1138.

³ ვ. ბერიძე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III
№ 4, გვ. 382.

⁴ შდრ. ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა.
ბრუნ. შედარებით: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, გვ. 340.

⁵ ქართ. ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ზელნაწერის მიხედვით
ა. შანიძის გამოცემა, თბილისი 1945.

-გან თანდებულნი ნათესაობითი კითხვაზე ზაიდან?

და ვ'რ გამოვდა უდაბნო მსაგან: ზანმეტი მწავალთავი, ა. შანიძის გამოცემით, გვ. 148

ორგულო, აღმო-ლა-ილე პირველად დირე იგი თუ უალისაგან შენისა: ადმ. მთ 7, 5. თუ უალისაგან შენისა იკითხება ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებშიც.

ადიშის რედაქციის ამავე თავის მეოთხე მუხლში კი არის: „მაცადე და აღმოვილო წუელი ეგე თუ უალით შენით“... რასაც ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში -გან თანდებულნი ნათესაობითი ეფარდება: „მაცადე, აღმოვილო წუელი თუ უალისაგან შენისა“...

პირველ შემთხვევაში მოსალოდნელი -გან თანდებულნი მოქმედებითის ნაცვლად -გან თანდებულნი ნათესაობითს ვხვდებით, მეორე შემთხვევაში კი ადიშისავე რედაქციით —გამოსვლითს.

ასეთივე მიმართებაა სხვა შემთხვევაშიც.

არა ფუ. რომელი შევალს პირით, შეაგინებს იგი კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეაგინებს კაცსა: ადმ. მთ 15, 11.

ერთი და იმავე ფუნქციით აქ გამოყენებულია ერთ და იმავე სახელთან როგორც მოქმედებითი (პირით), ისე -გან თანდებულნი ნათესაობითი (პირისაგან); ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში კი ორივე შემთხვევაში უთანდებულო მოქმედებითია ნახმარი:

არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა...

და ასე:

იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიაათ, და ბისაგან მარიამისა და მართაჲსა, დისა მისისა (იოვ 11, 1 DE), რაც ადიშით წარმოდგენილია:

და იყო ვინმე სნეულ ლაზარე ბეთანიაათ, და ბით მარიამისით და მართაჲსით, დისა მისისა

გამომჯადა მე ქალაქისა ჩემისაგან: მარტჯლობაჲ თეკლაჲსი, ილაბულაძის გამოცემით, 108₂₉—ამავე ადგილას B ხელნაწერში იკითხება ქალაქით, და სხვა მრავალი.

კითხვა ისმის: რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა -გან თანდებულნი მოქმედებითს? რა უნდა ყოფილიყო მისი პირველადი ფუნქცია? ირკვევა, რომ მისი დანიშნულება იყო მოქმედების საწყისის გამოხატვა დროში. სწორედ ასეთი ფუნქცია ჩანს -გან თანდებულნი მოქმედებისათვის ამოსავალი. ეს მის წარსულს ახასიათებს და შემდეგ განვითარებული მეორეული მოვლენა არ არის. ამას უეჭველს ხდის ძველი ქართულის ძველები, სადაც -გან თანდებული მოქმედებითთან ჩვეულებრივ ამ ფუნქციით იხმარება და ძირითადად გვხვდება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან:

სუფევდა სიკუდილი აღამითგან ვიდრე მოსესამდე: ებიბტ. ბავლმსნი,

მსურის მე მოსლვად თქუნდა მრავლით ქამითგან: იქვე, 53 v₂

ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერიითგან: იქვე, 66 v₂

გამოგზრჩინა ჩუენ მას შინა სოფლის დაბადების წინააღმდეგან: იქვე, 109 v₂

რად იგი არს განგებად საიდუმლოდსა მის დაფარულისაჲ საუკუნით-გან ღმრთისა თანა: იქვე, 113 v₁

...ზიარებისა მაგის თქუენისათჳს სახარებასა მას პირველით დღითგან მოაქამდე... იქვე, 121 r₁

ვჰმადლობ ღმერთსა, რომელსა ვჰმსახურებ მე დასაბამითგან: ვპიხტ. პავლ. (საქ. მუხ. საეკლ. ფონდი, ხელნ. № 407), 176 r₁

...სიყრმითგან საღმრთონი წიგნნი იცნი: იქვე, 179 r₂...

პავლეს ეპისტოლეებში 44-ჯერ არის ნახმარი -გან თანდებულისანი მოქმედებითი და აქედან ორი მაგალითიღაა, რომ არ გამოხატავს მოქმედების საწყისს დროში; ესენია:

...იერუსალჴმითგან და გარემო ვიდრე ივლზრიკემდე მივივლინე: ჰელნ. № 1138, 53 v₁

...რომელმან გამოვირჩია მე მუცლითგან დედისაჲთ: ზელნ. № 407, 107 r₁

როგორც ვხედავთ, ამ ძეგლისათვის -გან თანდებულისანი მოქმედების გამოყენება ადვილის აღსანიშნავად ფაქტია, მაგრამ არაა ჩვეულებრივი და მეორეული ჩანს. ეს ვარაუდი მით უფრო სარწმუნო გახდება, რაც უფრო ღრმად ჩავიხედავთ ქართული ენის წარსულში.

ა. შანიძის გამოცემულ ჰაემეტ ტექსტებში -გან თანდებულისანი მოქმედებითი მხოლოდ ორჯერ (თუ სამჯერ) გვხვდება:

...სამი დღჴ არს, ვინააღმდეგან მელიან მე და არა ჰაქუს, რად ჰამონ: მკ 8, 2.

...რამეთუ იცოდა იესუ პირველითგან, ვინ არიან იგინი: იოვ 6, 64.

ორივე მაგალითი მოქმედების საწყისს გვიჩვენებს დროში და არა სივრცეში. ამას ამტკიცებს სხვა ძეგლთა ჩვენებაც.

იმავე მკვლევრის გამოცემულ „ხანმეტ ლექციონარში“ მხოლოდ ერთი მაგალითია -გან თანდებულისანი მოქმედებითისა და ისიც დროის გამომხატველია:

...მესამჴ დღჴ არს, ვინააღმდეგან ესე ხიჴნა: ლკ 24, 1.

„ხანმეტ მრავალთაჲში“ ამავე ფუნქციის -გან თანდებულისანი მოქმედებითი სამჯერ გვხვდება: ამიერითგან 127₁₁, 140₁₈, 144₁.

ოთხთავის ორსავე ძველ რედაქციაში -გან თანდებულისანი მოქმედებითი ჩვეულებრივ ამ ფუნქციით იხმარება. საილუსტრაციო მაგალითები მოგვყავს ადიშის ოთხთავიდან:

ყოველი ნათესავი აბრაამითგან ვიდრე დავითისა[დმდე] ნათესავი ათოთხმეტ, და დავითისითგან ვიდრე ტყუეობადმდე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ, და ტყუენვითგან ბაბილონისაჲთ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ: მთ 1, 17

...და დამკვდრეთ, რომელი-იგი განმზადებულ არს თქუენთჳს სასუფევე-
ლი დაბადებითგან სოფლისაჲთ: მთ 25, 34

და მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა მიცხრა
ჟამამდე: მთ 27, 45

...რამეთუ სამი დღე არს, ვინაჲთგან ესენი ჩემ თანა დადგომილ-
არიან: მკზ 8, 2

და ჰკითხა მამასა მას მისსა: რაოდენ ჟამ არს, ვინაჲთგან ყოფილ-
არს ესე მაგისა? ხოლო მან ჰრქუა: სიყრმითგან: მკზ 9, 21

...რომლისა თანა იყო სული უძღურებისაჲ ათორმეტ წლითგან: ლკ
13, 11

საუკუნიითგან არავის ასმიეს, თუ აღ-ვინმე-უხილნა თუალნი ბრმისანი,
შობითგან ბრმად შობილისანი: იოვ 9, 32...

ეგევე მაგალითები ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავეებშიც -გან თანდებუ-
ლიანი მოქმედებითთაა წარმოდგენილი.

ადიშის ოთხთავეში -გან თანდებულისანი მოქმედების 64 შემთხვევიდან-
მხოლოდ 4 მაგალითია, როცა ის გამოხატავს მოქმედების საწყისს არა დრო-
ში, არამედ სივრცეში:

რამეთუ არიან საჭურის, რომელნი დედის მუცლითგან იშვნეს ეგ-
რეთ: მთ 19, 12

...და შეკრიბნეს რჩეულნი[ი] თჳსნი ოთხთაგან[ი] ქართა კიდითგან[ი] ცათაჲთ
კიდელ[დმ]დე მათა: მთ 24, 31 = ...და შეკრიბნეს რჩეულნი იგი ოთხთა ქართაგან
კიდითგან ქუეყანისაჲთ კიდემდე ცისად: მკზ 13, 27

და აჰა კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიბო ორგან ზენაჲთგან მიქუენი-
მდე: მთ 27, 51.

ოთხივე შემთხვევა ამავე ფორმითა და ფუნქციითაა ნახმარი DE-ში. მოსა-
ლოდნელი კი იყო აქ ან -გან თანდებულისანი ნათესაობითი გვექონოდა, ან
უთანდებულო მოქმედებითი.

„იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანში“ -გან თანდებულისანი მოქმე-
დებითი ოთხჯერ გვხვდენა. სამ შემთხვევაში დროს გამოხატავს:

თარგმანებანი წმიდათა სახარებათანი, რომელნი წარიკითხვიან წმიდათა
მარხვათა კორცითა აღებითგან ვიდრე ბზობადმდე 6,

და მიერ დღითგან ზრახვიდეს, რაჲთამცა მოკლეს იგი 77₂₇

ამიერიითგან მოველით ჩუენ სიმართლისა გვრგვინსა 88₂₅

ერთ შემთხვევაში ადგილს აღნიშნავს:

...ორთა ამათ თუეთა შაშუვალ მარტსა და აპრილსა აღმოსავალით-
გან მზისაჲთ და ვიდრე დასავალადმდე, ჩრდილოჲთ და ბლუარამდე განაწე-
სეს 2₁₇.

იაკობ ცურტაველის „მარტულობაჲ შუშანიკისი“ -გან თანდებულისანი მოქ-
მედების მხოლოდ დროის გამოსახატავად წარმრგვიდგენს:

...ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერიითგან: ილ. აბულაძის გა-
მოცემით, IX₁₆

და მიერთგან განითქუა ყოველსა ქალაქსა საქმშ მისი: XI₁

და მიერთგან არლარავინ შიავლინა მისა: XIII₉

და მიერ დლითგან, ვინათგან პურობილ ყვეს იგი ციხესა მას-
შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის: XIV₁₆.

„მარტულობა აბო ტფილელისა“ -გან თანდებულნიან მოქმედებითს რვაჯერ
ხმარობს, ამათგან შვიდს დროისა და ერთს ადგილის გამოსახატავად.

ადგილისაა:

...განათლებულ იყო... ვიდი იგი ზმთგან ვიდრე ქუედმდე: კ. კეკელიძის
ამოკრებით, 76₁₇

გიორგი მერჩულის ძეგლში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ -გან თან-
დებულნიან მოქმედებითის ხმარების 41 შემთხვევა; აქედან ვინათგან 15-
ჯერ გვხვდება და მათში შვიდი მოქმედების დაწყებას აღნიშნავს დროში:

...ხოლო იყენეს ოპიზას ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტეს სიყუარუ-
ლისა თვს, ვინათგან პოვნილ იყო წმიდა იგი მცირე ეკლესია წმიდისა
ნათლის-მცემლისა: გვ. 3₂

...ხოლო ვინათგან ახოვნად გამოჩნდის ძალი ბრძოლისა მისისა ყო-
ველთა ზედა საცნაურ იქმნის: 6₃

...ვინათგან აღეშენეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი, მღვლე-
ნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთა გან იკურთხევიან: 4₁, და სხვა.

ვინათგან ზოგჯერ მიზეზის კავშირს აღნიშნავს და ამდენად თავის
პირვანდელ მნიშვნელობას დაცლებულია. ამ ფუნქციით ვინათგან რვა-
ჯერ გვხვდება ხსენებულ ძეგლში:

...რამეთუ არა თავს იღვის ურჩებად ნეტარისა გრიგოლისი, ვინათგან
გან მოძღუარ და უზეშთაჲს იგი იყო: 1₁

...რამეთუ შენ ხარ უარის-მყოფელი ქრისტეანობისა, ვინათგან უნ-
დოდას სასყიდლისა თვს უბრალოდას ბერისა კაცისა სისხლთა გარდასხამ: 4₃,
და სხვა.

ვინათგან ფორმა ძე. ქართულში დროისა და მიზეზის მნიშვნე-
ლობით ჩვეულებრივ იხმარება, მაგრამ ადგილის ფუნქციით იგი განხი-
ლულ ძეგლებში არ შეგვხვდრია; ადგილის გამოსახატავად კი უთანდებულო
მოქმედებითა გამოყენებული:

მაშინ თქვ[ს]: მივიქცე სახიდ ჩემდა, ვინათცა-იგი გამოვედ: ადომ.
მთ 12, 44.

DE-ში ამ შემთხვევაში მოქმედებითის -თ დაკარგულია: ვინათცა.

წინადასწარმეტყუელმან ამბაკომ გიწოდა მთით ჩრდილოდთ მალნართაით,
სძალო წმიდაო, ვინათ გამოვიდა ღმერთი: ძველ-ქართ. ხას. პლევზია, 10₂₁₆.

მოქმედებითი ბრუნვის -თ-ს დაკარგვას ალბათ -ცა ნაწილაკის მეზობლო-
ბამ შეუწყო ხელი:

...ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებად და დედაკაცისა მის წირ-
გზავნად, ვინათცა მოეყვანა იგი: TP, VII, 53₂ და სხვა.

ხშირია შემთხვევა ვინაჲ კავშირის ხმარებისა -ცა ნაწილაკის გარეშეც:
...რამეთუ უდაბნოთა ამათ და მათათა აღვიხილენით თუალნი ჩუენნი,
ვინაჲ მოხუდ შეწვენად ჩუენდა: TP, VII, 0₃₃

...ხოლო მწუხარჷ იყენეს ურვითა და არა უწყოდეს, თუ ვინაჲ აღაშე-
ნონ ტაძარი უფლისათჷს: TP, II, 47₁

...იძიე ადგილი საგონებელი, ვინაჲ გამობრწყინდეს შენ ზედა ახალი
მესნელი ჩუენი იესუ ქრისტჷს: TP, VI, 2₇...

„გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ დანარჩენი 26 მაგალითიდან მხოლოდ
ერთი შემთხვევაა, როცა -გან თანდებულიანი მოქმედებითი ადგილს გვი-
ჩვენებს, და ისიც ოთხთავიდანაა ამოღებული:

...ხოლო რჩეულთა შეკრებაჲ ოთხთა გან ქართა ცისათა კიდით გან
ცისათ, ვიდრე კიდემდე ცისა ესჷ არს: (MT)₁₁ (შდრ. მთ 24, 31, მკზ 13, 27).

„ძველ-ქართ. სასულიერო პოეზიაში“ -გან თანდებულიანი მოქმედებითი
36-ჯერ გვხვდება და ყველა დროს გამოხატავს:

აღიღო უღელი იგი ტკბილი უფლისა იესუჲსი სიყრმიით განვე თე-
დოსი: კლ₁₆

...და ბნელი განუნათლებელი სამარადისოჲ ჰურიათა მიეფინა, ვინაჲთ-
გან ქრისტე აღდგა და მცველნი დასცნა: სწ₂₃ და სხვა.

„იოსებ არიმათიელში“ (TP, II) -გან თანდებულიანი მოქმედებითი ოთხ-
ჯერაა ნახმარი და დროს აღნიშნავს:

...და მიერთგან, წარვიდა მთასა სინასა 9₃

აღძრავს ესე ქალაქსა და აღაშფოთებს მესამით დღითგან 40₃

...და ესე დავრდომილ იყო რვით წლითგან 55₁₀

(...მე მეშინის, ნუ უუუე იღუძებდეს სისხლი იესუჲსი ჩუენ ზედა, ვინაჲთ-
გან გუნებაჲს ბოროტისა ყოფაჲ მათ ზედა: 63₁₁)

„სახისა სიტყუაჲ“ (TP, VI) სამჯერ ხმარობს -გან თანდებულიან მოქმე-
დებითს და სამჯერვე დროს უჩვენებს:

...და ვითარცა ზომად გუამსა გონებისასა მოიწინიზნ, მიერთგან თჷსი-
იციის მშობელი 28₂₈

...ხოლო ვინაჲთგან მოვიდა და მოიწია ჩუენ ზედა მადლი იგი უფ-
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტჷსი... 31₁₄₋₁₆

...არა იყო ამიერთგან ქრისტჷს მამა... 39₃₁.

აქვე გვხვდება უთანდებულო მოქმედებითიც დროის აღსანიშნავად:

...არს მფრინველი რაჲმე ჰინდოჲ: სახელი ჰრქჷან მას ფჷნიქს, მეხუთასით
წლით მოვიდეს ხეთა ლიბანისათა... 13₁₂ (Раз в пятьсот лет приходит она к
деревья Ливана). ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ შესიტყვებას სომხურშიც, რო-
გორც ამის შესახებ პატ. ილ. აბულაძემ მიმითითა. აქ არ დაისმის კი-
თხეა რა ფრთიდან; ამდენად, არც -გან თანდებულიანი მოქმედებითის ხმარება
შეიძლება მის მაგიერ.

ნ. მარის გამოცემულ ძეგლში „ლუაწლნი წმიდათა სამთა მარჩბითი მოწამეთანი სპევსიპსი, ელასიპსი და მელასიპსი“¹ -გან თანდებულისანი მოქმედებითი ოთხჯერაა ნახმარი და ოთხჯერვე დროს აღნიშნავს (მიერი თ-გან 328₁₀, ამიერი თგან 331₄₇; 333₈₆ ორჯერ).

„კიმენში“ -გან თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ხმარების 176 შემთხვევა გვაქვს და აქედან მხოლოდ 3 შემთხვევაში გამოხატავს ის მოქმედების საწყისის სივრცეში:

...და იწყო აღ ფაათ-გან სწავლად მისა: 117₇

და იწყო იესუ სიტყუად წერილისა მის ყოვლისა აღ ფაათ-გან 117₁₄

...და ვითარ იგი მიცემად იყო ტყუეობასა და დაწუასა ასურთა მიერ ბჭით-გან ვიდრე ბქედმდე მისა 243₃₁

განხილული მასალებიდან ჩანს, რომ ადგილის ფუნქციას -გან თანდებულისანი მოქმედებითი თანდათან იძენს. ამდენად იგი მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ამას ამტკიცებს ძველი ქართულის სხვა ძეგლების განხილვაც, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც საკმაოა, რომ დაწყებითისა (გამოსვლითისა) და -გან თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციათა დიფერენციაცია, -გან თანდებულის გამოყენება სემანტიკურად განსხვავებულ ფუძეთა ნათესაობითთან და მოქმედებითთან ძველ ქართულში ხელშესახებ ფაქტურად ვცნოთ.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც -გან თანდებულისანი ნათესაობითი თავისი ძირითადი ფუნქციის გამოხატვით შემოიზღუდა და ადგილის აღნიშვნაზე ხელი აიღო, გამოსვლითის ფუნქცია -გან თანდებულისანმა მოქმედებითა შეიძინა. ამის გამო ენაში უკვე აღარ იგრძნობოდა -გან თანდებულისანი მოქმედებითისა და დაწყებითი (გამოსვლითი) ბრუნვის ფუნქციათა გარჩევას ასეთი საჭიროება, თანდათანობით დაიხრდილა გამოსვლითის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა სალიტერატურო ენაში, და ბოლოს სულ მოიშალა. უპირატესობა -გან თანდებულისანი მოქმედებითს მიეცა, რადგანაც მას მეტი შესაძლებლობა აღმოაჩნდა მოქმედების საწყისის აღსანიშნავად როგორც დროში, ისე სივრცეში.

ამჟამად გამოსვლითი რამდენადმე მხოლოდ მთის კბლოებსა და ნაშთის სახით მთარაჭულსა და ინგლოურს შემორჩა:

შამაერთყა არხოტით მასულ ხალხიც: ბ. გაბუურის; ჯევესურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით, 168₁₃

...იმოდენა ჯარი გამოჰყვა ქუთაისით, რომა ვინ იცის... შ. ძიძიგური, ქართ. ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II, გვ. 75.

ჩანს, ძველი ქართულისებური გამოყენება დაწყებითისა ამ კილოებისათვის უჩვეულო არ არის, მაგრამ ხევესურულმა, ფშაურმა და მთარაჭულმა ძვ. ქართულთან შედარებით გამოსვლითის წარმოებაში თავისებურებაც გამოამჟღავ-

¹ Записки Восточного Отделения Русского Археологического общества, т. XVII, СПб. 1906.

ნეს: თანდებულიან ფორმას მოქმედებითის -ით ფორმანტი მიუმატეს და ამით მოქმედების დაწყების ადგილმყოფობა უფრო ნათლად გამოხატეს:

...ჯაჭვსა ნუ წამყრით ტან ზეით...

თოფსა ნუ ამჯდით მჯარ ზეით: კევეს. 161¹

მასპინძელი წაღლაღეს ერთ კაცს თავის სოფელშიით მაწევრად: იჭვე, 128₂

...ჩემთვის წელ ზეით ჯმლის შახსნას მეფე როგორა კადრობდა: ვაჟაფშაველა, გოგოთურ და აფშინა.

...იმას ამოულეო ყელშიით ეჯაყვარო: მთარაჭ.: ენიმკის მოამბე, II, 90^ა

ახალი სალიტ. ქართულისათვის არა თუ ასეთი წარმოება გამოსვლითისა, არამედ ჩვეულებრივიც უცნობია. გამოსვლითის ადგილი ახალ სალიტ. ქართულში მთლიანად -გან თანდებულიანმა მოქმედებითმა დაიჭირა. მან თავისი პირვანდელი (დროის) ფუნქციაც შეინარჩუნა და დაწყებითის (ადგილის) ფუნქციაც მოიპოვა, ოღონდ ფონეტიკური ფაქტორების შედეგად სახე თვითონაც: იცვალა და თანდებულიც შეცვალა: ამიერითგან → ამიერიდგან → ამიერიდან¹

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატ. საფუძვლები, I, გვ. 72.

თანდებული ქართული*

I

თანდებულები მომდინარეობენ ცალკე, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვათაგან. თავისთავადი სიტყვები ხშირი ხმარებისაგან დროთა ვითარებაში ისე გაცვთნენ, რომ ნაწილაკებად იქცნენ. ნაწილაკები მხოლოდ სხვა სიტყვასთან ურთიერთობისას ასრულებენ გარკვეულ ფუნქციას და მათი ლექსიკური მნიშვნელობაც მაშინ მელავნდება. ზოგიერთ ენაში დღესაც არის დარჩენილი კვალი ამ ოდესღაც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა პირვანდელი ბრუნებისა. ბერძნულში კარგადაა დაცული *ἐν* და *παρ*: წინდებულთა ბრუნების ოდინდელი სახე: *ἐν* (ადგილ. ბრ.: 'ზე, ში'); *παρ*: (ადგილ. ბრ.) *παρά* (მიც. ბრ.), *παρά* (ინსტრ.), *παρά* (ნათეს. ბრ.).

ისტორიულად თანდებული სახელს რომ მიეკედლა, დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა და თავის მხრით გავლენა მოახდინა სახელთა ბრუნების სისტემაზე. პროცესი ისე შორს წავიდა, რომ თანდებულიანმა ბრუნვამ ნაწილობრივ შეაფეროვა და რიგ შემთხვევაში განდევნა კიდევ ზოგიერთი დამოუკიდებელი ბრუნვა. ასეთი ბედი ეწია ბრუნვებს, მაგ., ფრანგულსა და ინგლისურში. რუსულში წინდებულიანმა ბრუნვამ შესცვალა ოდინდელი ადგილობითი ბრუნვა. ქართულში ე. წ. დაწყებითს ბრუნვას მოგვიანებით თანდებულიანი ფორმა შეენაცვლა. ასევე, ლოკატივის მნიშვნელობის მიცემითის ადგილი თანდებულიანმა მიცემითმა დაიჭირა. ამას გარდა, სახელზე თანდებულის დართვამ ქართულში გამოიწვია ისიც, რომ ზოგიერთი ბრუნვის ფორმებს დაეკარგათ ბრუნვის ნიშანი და გარეგნულად ფუძეს დაემსგავსნენ (სახლ+ში, ამხანაგ+თან, მაგიდა+ზე, დღე+მდე).

თანდებულები ქართულში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სხვა ენებში წინდებულები. არსებითი განსხვავება ისაა, რომ წინდებული წინ უძღვის სახელს, თანდებული კი მოსდევს მას. მაგრამ ეს განსხვავებაც უმნიშვნელო აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ განვითარების იმ გზას, რომელიც გაიარეს წინდებულიანმა ენებმა. მაგ., გერმანულში შენიშნულია, რომ რიგი წინდებულები, რომლებიც ჯერ კიდევ ახლო კავშირში იყვნენ ზმნისართებთან, წინ კი არ უძღოდნენ სახელს, არამედ მოსდევდნენ მას. თანამედროვე გერმანულში მრავალ ამ რიგის წინდებულს აქა-იქ შემორჩენილი აქვს ძველი წესი. ასეთებია: *durch*, *über*, როდესაც დროს აღნიშნავენ. მაგ., *drei Tage durch, den Tag über... Nach*

* წაკითხულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 23 ნოემბერს 1942 წ.

შეიძლება სახელის შემდეგ გვევლინებოდეს მაშინ, როცა იგი გამოხატავს 'თანახმად' ('согласно, по'). მაგ., dieser Methode nach, meiner Meinung nach. ასევე იხმარება gemäss. Zu გამოყენებულია სახელის შემდეგ, როცა იგი გადმოსცემს მოძრაობის მიზანს. მაგ., er strebt dem Ziele zu. სახელის შემდეგ 'შეიძლება იყოს აგრეთვე: entgegen, gegenüber, zuwider, zufolge, wegen და სხვ. Halber კი ყოველთვის პოსტპოზიციურად იხმარება¹. ასევე რუსულში ради წინდებული ზოგჯერ სახელს მოსდევს.

ასე იყო ძველ ქართულშიც: ნაწილაკი სახელთან წინდებულადაც გვევლინებოდა და თანდებულადაც.

თანდებული ერთვის არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და სახელზმნას ამა თუ იმ ბრუნვაში. სხვა ენების მსგავსად, ქართულში თანდებული იხმარება ირიბ ბრუნვებთან. მოთხრობითი და წოდებითი თანდებულს ვერ იგუებს. სახელობითთან მხოლოდ ვით თანდებული გვხვდება და ისიც მოგვიანო პერიოდის ქართულში. ძისი საბოლოოდ ჩამოყალიბება ჯერაც არაა დასრულებული.

თანდებული ჩვეულებრივ ერთ რომელიმე ბრუნვას ერთვის, ზოგი კი ორსა და სამსაც შოითხოვს, მაგრამ სხვადასხვა ბრუნვასთან ხმარებული თანდებული ზოგჯერ სხვადასხვა ფუნქციის მქონეა. რუსულში, მაგ., წინდებული в, на ბრალდებითსა და წინდებულიან ბრუნვებს ერთვის, გერმანულში კი an, auf, hinter, neben, in, über, unter, vor, zwischen—ბრალდებითსა და მიცემითს, მაგრამ ამ ბრუნვათა გამოყენებაში ის განსხვავებაა, რომ პირველთან კითხვაზე სად? (где? wo?) საგნის ადგილმყოფობას უჩვენებენ, ბრალდებდთან კი კითხვაზე საითკენ? (куда? wohin?)—მიმართულებას. რუსულში сошел с вершины, ростом с сестру, говорил со мною, с წინდებული პირველ წინადადებაში (ნათესაობითთან) გადმოსცემს მიმართულებას, მეორეში (ბრალდებითთან)—შედარებას, მესამეში კი (მოქმედებითთან) თანაობას. ასევე ქართულში განთანდებული კითხვაზე ვისგან? რისგან? ნათესაობითს ერთვის და გამოხატავს მოქმედების ჩამდენს ან მასალას, რისგანაც რამე კეთდება, ხოლო მოქმედებითთან კითხვაზე საიდან?—გამოსავალ პუნქტს ადგილისას თუ დროისას.

ქართველური ენებიდან მხოლოდ ქართულია მდიდარი თანდებულებით. მეგრულ-ჭანური და სვანური შედარებით ღარიბია. ამასთანავე ჭანურის ოთხი თანდებულიდან კალა, ნი, ქის, კელე უკანასკნელიაა ბგერითი შედგენილობით და მნიშვნელობითაც ქართულ კენ (—„კერძო“)²ს შესატყვისი³. სვანური იმით განსხვავდება მეგრულ-ჭანურისა და თვით ქართულისაგან, რომ, ზოგიერთი კავკასიური ენის მსგავსად, იყენებს ორ თანდებულს ერთად (ლშხ. ლჟჳრ-თე+ჟი=საზურავის-კენ+ზე, კოჯ-თე+ისა=კლდისა-კენ+ში: -თე+ჟი=-კენ+ზე, -თე+ისა=-კენ+ში), თუმცა მსგავს მოვლენას ვხვდებით ხეცსურულშიც³.

¹ Л. Р. Зиндер и Т. В. Сокольская; Научная грамматика немецкого языка, გვ. 79.

² არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 65—66.

³ ვ. თოფურია, ბრუნვის სისტემისათვის ლაკურ ენაში: საქ. მუზეუმის მოამბე, X ხ. გვ. 328.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ენების წინდებულთა ფუნქციას ქართულში ზმნისწინები და თანდებულები ასრულებენ, ქართულს მაინც არ ახასიათებს უკანასკნელთა (თანდებულთა) სიმცირე. სომხურს, რომელსაც ქართულთან შედარებით ზმნისწინები არ გააჩნია და ადგილმყოფობასა და მიმართულებას მხოლოდ წინდებულებით გამოხატავს, თითქოს მეტი წინდებულები უნდა ჰქონოდა, მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არაა. ეს ნაკლი ანაზღაურებულია წინდებულთა მრავალფუნქციანობით. თითოეული წინდებულთაგანი ოთხსა და მეტ ბრუნვას ერთვის და სულ სხვადასხვა მნიშვნელობას გადმოსცემს. მაგ., *აი* მიცემით ბრუნვასთან გამოხატავს ახლო ყოფნას, თანაობას, ხოლო განუსაზღვრელ ბრალდებითან მიმართულებას, მოქმედებით ბრუნვასთან დროს, თანაობასა (ახლო ყოფნასა) და შედარებას, მაგრამ ნათესაობითან—მიზეზს; *ღწკ* წინდებულთა ნათესაობით ბრუნვასთან აღნიშნავს 'ნაცვლად, მაგიერ', მხოლოობითის მიცემითსა და მრავლობითის ბრალდებითან უდრის ქართულ - თან თანდებულს, მხოლოობითის ბრალდებითან არის 'შორის, შუა', მოქმედებითან—'ქვეშ, გარშემო', ხოლო დაწყებითან—'მხარე'. განსაკუთრებით მრავალფუნქციანია *ქ* (*კ*) წინდებულთა. ევროპულ ენათა მსგავსად, ბრალდებითან უჩვენებს მიმართულებას, მიცემითან კი—ადგილს და უდრის ქართულ 'ში, ზე' თანდებულს, ზოგჯერ ამ მიცემითს მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობაც აქვს.

სომხურმა წინდებულების მხრივ ისტორიულად არსებითი ცვლილება განიცადა: წინდებულთა სისტემა ახალ სომხურში თითქმის შეიცვალა თანდებულთაგან. განვითარება ორი მიმართულებით წავიდა:

ა. ბევრი წინდებულთა ხმარებიდან გავიდა და მათი ფუნქცია ბრუნვებს დაეკისრა. მაგ., *აი* წინდებულთა ის ფუნქცია, რომელსაც ნათესაობითან, ზოგჯერ კი ბრალდებითან და დაწყებითან გადმოსცემდა, ახალ სომხურში ე. წ. *բայարական* (დაწყებით) ბრუნვას დაეკისრა (შდრ. *აი նախանձი = ნაխანձի* 'შურით'). *ღწკ* წინდებულთა ბრალდებითან ნაცვლად ახალ სომხურში მოქმედებითი ბრუნვა იხმარება, ამავე წინდებულთა დაწყებითის მაგიერ—მხოლოდ დაწყებითი. *ქ* წინდებულთა ბრალდებითი ბრუნვა მრ. რიცხვში ადგილობრითი ბრუნვით შეიცვალა. (შდრ. *ქ քաղաք = քაղაքներով* 'ქალაქებში'), ხოლო მხოლოდობით რიცხვში—მოქმედებითი ბრუნვით (*ქ ձևն նախարարացն = ნაխარარների ձևով* 'მთავართა ხელით' და სხვა).

ბ. ძველი სომხურის წინდებულები ახალ სომხურში ზმნისართულმა თანდებულებმა შესცვალეს და, ქართულის მსგავსად, სახელს გარკვეულ ბრუნვაში დაერთვიან. მაგ., ნათესაობით ბრუნვასთან ხმარებული *ღწკ* წინდებულთა ნაცვლად ამჟამად იხმარება *փոխարեն* 'ნაცვლად' (შდრ. *ღწკ կարող իւրոյ = իւր կարող փոխարեն* 'ძმის ნაცვლად'). იმავე *ღწკ*-ს შეენაცვლა *հետ* 'თან' და *տակ* 'ქვეშ' თანდებულები (შდრ. *ღწკ նրա = նրա հետ* 'მასთან'). მიცემით ბრუნვასთან გამოყენებული *լստ* წინდებულთა ფუნქციას ამჟამად ასრულებს *պես* 'მსგავსად'.

ცვლილება მოხდა ქართულშიც. თანდებულები, რომლებიც სახელს თავშიც ერთოდენ და ბოლოშიც (შინა, ზედა, თანა), ამჟამად მხოლოდ მოსდევნათ. სახელის შემდგომ განმტკიცდნენ თანდებულთა ფუნქციის მქონე ზმნისართებიც (ქვეშ, ქვევით, ზევით, წინ, გარეთ, გარშემო და სხ.), თუმცა ზოგი მათ-

განი (როგორცაა: მსგავსად, ნაცვლად, გარდა, მახლობლად და სხ.) სახელის წინაც გვხვდება, მაგრამ, როგორც დ. ქარიჭაშვილი შენიშნავდა, მათი ასე ხმარება ეუცხოება ახალ ქართულს¹.

ძველი ადგილი შეინარჩუნა თითქმის ყველა ერთმარცვლიანმა თანდებულ-მა: -გან, -ურთ, -მდის, -თვის, -ებრ, -დამ და სხვ.

შეიცვალა ურთიერთობა ბრუნვებისა თანდებულებთან. გამო თანდებუ-ლი ძვ. ქართულში იხმარებოდა მოქმედებითა, ნათესაობითა და ვითარებით ბრუნვებთან, ამჟამად მხოლოდ ნათესაობით მართავს. ანალოგიურია -კენ (-კერძო) თანდებულის გამოყენება ბრუნვებთან. ზედა, თანა, წინაზე თუ ნათესაობითა და მიცემით ბრუნვას ითხოვდნენ, ახლა ზე, თან მხოლოდ მიცემითს დაერთვის, წინაზე კი—ნათესაობითს.

ისტორიულად ცვლილება მოუვიდა არა მარტო თანდებულს, არამედ სა-ხელის ბრუნვითს ფორმასაც მასთან თანდებულის შერწყმის გამო. ასე, მაგ., შინა, ზედა თანდებულებს მოეკვეცათ -ნა, -და ელემენტები და სახელმა და-კარგა მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს თანდებულთა თავიკიდურ შ და ზ თან-ხმოვანთან მეზობლობის გამო. ბრუნვის ნიშანი შემორჩა მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელს (მასში). -ში თანდებული ზოგ კილოში იქცა ჩი-დ.

თანა თანდებულსაც მოეკვეცა ბოლო ხმოვანი (-ა). მისი დართვისას ბო-ლოთანხმოვიან სახელებს ეკარგებათ მიცემითის ნიშანი -ს.

(კერძო→) კენ თანდებულმა ახალ ქართულში და დიალექტებში იცვალა-სახე: კედ, კე, კა, კი, ყენ, ყე.

ასევე ნაირსახოვანია თვის თანდებული კილოებში: თვინ, თვი, თუნ, და მღე თანდებულიც: მდის, მდისი, მდისინ, მდი, მდინ, მღენ, მღვინ.

ზოგი ფუნქცია დაეკარგა გამო, გარეშე თანდებულს, გაუფართოვდა და-ნიშნულება ში, ზე, გან, თან, თვის თანდებულებს და თანდებულის ფუნქ-ციით ხმარებულ ზმნისართებსაც.

შეიზღუდა ურთ თანდებულის ხმარების სფერო.

ხმარებიდან გამოვიდა თვნიერ, წიაღ, წილ და მათი ფუნქცია იკისრეს სხვა თანდებულებში.

მოგვიანო ქართულში გამოვლინდა ვით, დამ თანდებულები. პირველი გან-მტკიცდა თანამედროვე სალიტერატურო ენაში, მეორე კი ხმარებიდან გავიდა.

II

ქართული ენის ადრინდელ გრამატიკებში თანდებულები ცალმხრივ არის განხილული: ან ყველა არაა წარმოდგენილი, ან კიდევ დაფასებულა მათი მხო-ლოდ ზოგი ფუნქცია. ასე, მაგ., ზ. შანშოვანს² უცდია რამდენადმე დაედ-გინა ზოგიერთი თანდებულის (გან, თჯს, მიმართ, მიერ) მნიშვნელობა (გვ. 68), მაგრამ ეს მნიშვნელობები არაა ზუსტი, თუმცა მომდევნო გრამატიკოსებს ესეც არ ჰქონდათ შენიშნული.

¹ ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, 1930, გვ. 126.

² მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, აღ. ცაგარლის რედ., სანკტ-პეტერბურ-ლი 1881.

ანტონის გრამატიკაში¹, მართალია, თანდებულები განაწილებულია ბრუნვათა მიხედვით, რაც ერთგვარად ნაბიჯია წინ, მაგრამ, სამაგიეროდ, დადგენილი არაა თანდებულთა მნიშვნელობა. ზედა, წინაშე, შორის, ქუეშე, წინა, კერძო და სხ., რომლებიც ძველსა და ე. წ. საშუალ ქართულშიც ხშირად ორ ბრუნვასთან იხმარებოდა, მხოლოდ ნათესაობით ბრუნვასთანაა მოყვანილი. ამავე დროს თანდებულებადაა მიჩნეული «ვითარცა, ვითარ, ვითა, ეგ-სახედვე, ეგრეთვე, ეგ-ფერვე. ეს-გუარვე, რეცა, ესრეთ, ესერა», რამდენადაც ესენი „მინღე არიან შემასმენლობითისა“, და დასახელებულია მაგალითები: „ვითარცა ნათელი, ვითარ ანგელოსი, ვითა მოციქული, ეგ-სახედვე კაცი, ეგრეთვე ქრისტე... ესერა ქალაქი“ (გვ. 97); დაწყებით ბრუნვასთან კი ნაჩვენებია: „კიდე პეტრესგან, შორს ჩემგან... იღუმალ შენგან“ (იქვე).

გ ა ო ზ ი ს გრამატიკაში² შეტანილია მარტო შა, ზა, თჳს, დმი, შორის თანდებულები, რომლებიც „ითხოვენ თჳსდამოკიდებულთა მათ ნაწილთა სიტყვასათა, ანუ მიცემითად, ანუ ნათესავობითად ანუ წრფელობითად“ (გვ. 111), და მცდარადაა შენიშნული, რომ წინ დართულნი თანდებულნი ითხოვენ ნათესაობითსა, უკან დასმულნი კი მიცემითსაო.

გ. ფ ი რ ა ლ ო ვ ი თ³ თანდებულები ორი ჯგუფისაა: განყოფილნი და განუყოფელნი (გვ. 87) და მათთან ერთად განხილულია სხვადასხვა ფუნქციის მქონე სიტყვები და ნაწილაკები. ავტორი არ იცნობს თანდებულთა მიერ სახელის ბრუნვაში მართვას და ამიტომ მისთვის სულ ერთია ჩვეულებრივი ზმნისართი და თანდებულის ფუნქციის ზმნისართი. ეს ჩანს თანდებულის განმარტებიდანაც: „თანდებულნი არიან ლექსნი არა ცვალებადნი, და ცხად-ყოფისათჳს ვითარეზათა თჳსსაყოფელთა ნივთთადმი, ანუ მოქმედებისა მათისადმი დაიდებიან წინად, ანუ განყოფილად სახელისა ანუ ზმნისა: მაგალ. მზესა ქვეშე: ანუ შეერთებულად: მაგალ. მზემეჭურისა (ბალახია:) ქვეშე მივივლტვი...“ (გვ. 87).

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს⁴ თანდებულიანი ნათესაობითი—სიტყვსაგან—დამოუკიდებელი დაწყებითი ბრუნვაა, სიტყვთა—ისამიერ კი—მოქმედებითი (გვ. 10).

პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ს⁵ თავის 1840 წელს გამოცემულ გრამატიკაში მისთვის ცნობილი ყველა თანდებული ერთად აქვს ჩამოთვლილი. ისინი არაა განაწილებული ბრუნვათა მიხედვით და არც დადგენილია მათი მნიშვნელობა (გვ. 78); 1863 წელს გამოცემულ გრამატიკაში კი თანდებულთა მიერ სახელის ბრუნვაში მართვისათვის მიუქცევია ავტორს ყურადღება, მაგრამ სრულიად უმართებულო დასკვნა გაუკეთებია, თითქოს „მიცემითსა უმეტესად მოითხოვენ თანდებულნი, ოდეს სახელი შეეთხზეს საკუთრებითსა კაცთა სახელსა, მაგ. წინაშე ტაძრისა, წინაშე იოანესა ანუ იოანესსა; თჳნიერ პავლესა; თჳნიერ სიტყვსა და სხ.“ (გვ. 109).

¹ ქართული ლრამატიკა, თბილისი 1885.

² ლრამატიკა, კრემენჩუკი 1789.

³ თჳთ მასწავლებელი, სანკტპეტერბურს 1820.

⁴ შემოკლებული ქართული ლრამატიკა, ტფილისი 1830.

⁵ პირველ-დაწყებითხ. კანონნი ქართულისა ლრამატიკისა, თფილისი 1840.

დ. ჩუბინაშვილი¹ თანდებულებს ყოფს ბრუნვასთან ხმარებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით; ესენია: სიტყვის ბოლოს სახელთან შეერთებული თანდებულები და სიტყვის ბოლოს ცალკე მდგომი თანდებულები, სიტყვის თავში მოქცეულ თანდებულებში კი ზმნისართებია გაერთიანებული. მომდევნო: გრამატიკოსებიც (პ. კვიციანიძე, მ. ჯანაშვილი, არ. ქუთათელიაძე, ი. ნიკოლაიშვილი) არსებითად ამავე საზომით განიხილავდნენ თანდებულებს.

დ. ყიფიანის² აზრით, ბრუნვების მიხედვით „მიმყოლი“ თანდებულები სამეგარია: პირველი რიგის თანდებულებია: თი, თ, თურთ და „მისდევნ სახელობითს ბრუნვასა... მეორე რიგის თანდებულნი მიჰყვებიან ბრუნვას უფრო. ნათესავობითსა: გან, გამო, მებრ, ებრ, დმი, თვის, მიმართ, მომართ...“ მესამე რიგისანი კი—მიცემითს: ში, ზე, ვით, გარდა, იქით, აქეთ, მერმე, უწინ, წინათ, ქვეშ, უკან... (გვ. 132-133). ამ ავტორსაც შეცდომით მესამე რიგის ყველა თანდებულის მიმართ საერთო დასკვნა აქვს გამოტანილი, რომ «თუ ერთ-ერთი ამ თანდებულთაგანი პირველს რიგში გადავიდა, მაშინ, სამწიფნობრო კილოს კანონთა-მებრ, მიცემითის მაგიერად ნათესავობითს მოითხოვსო» (გვ. 133).

სხვებისგან განსხვავებით, თ. ჟორდანიას³ და დ. კარიჭაშვილი⁴ უფრო მეტ ცნობებს იძლევიან თანდებულთა შესახებ. თ. ჟორდანიას ზოგიერთი თანდებულის ეტიმოლოგიის ერთგვარი ცდაც აქვს მოცემული (კერძო—კენ, ით-გამო—დამ, მეგობრისა მიმართ—მეგობრისადმი) და, რაც მთავარია, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გამოვლინებულია ბრუნვის მიხედვით ზოგიერთი თანდებულის მნიშვნელობა (მაგ. თან და გან თანდებულისა). აგრეთვე თავისებური წესია დადგენილი თანდებულის ადგილისა, როცა სახელს თანდებულთან ერთად ერთვის ვე, და ნაწილაკი.

სწორ მსჯელობასთან ერთად ავტორს აქვს სრულიად მცდარი დასკვნებიც. ასეთია, მაგალითად: „მიცემითად შეთანხმებული თანდებული უმეტეს ნაწილად აღნიშნავს ახლო ყოფნასა, განსაზღვრულს დროსა, ადგილსა; ხოლო ნათესაობითად შეთანხმებული—შორეულსა ანუ განუსაზღვრელსა ადგილსა, გინა დროსა, მაგ. „ხეს ქვეშ“=თუ წაქცეულს ხეს ქვეშ მდებარებს, ეკარება; „ხის ქვეშ დავიჩრდილეთ“=თუ ხეს არ ვეკარები; „სარტყელ ქვეშ“=იქვე სარტყელს ახლო, „სარტყლ-ის ქვეშ“=განუსაზღვრელად სარტყლის ქვემო ადგილი; თფილისს ახლო=იქვე, თფილისის გვერდზედ; თფილისის ახლო=არ აღნიშნავს ზედ თფილისთან ყოფნასა, არამედ საზოგადოდ ახლოობასა, ახლო-მახლო ადგილებს...“ (გვ. 155-156).

დ. კარიჭაშვილს მნიშვნელობის მიხედვით აქვს დანაწილებული თანდებულები. ისინი აღნიშნავენ: მდებარეობას, მიმართულებას, წარმოებულობას, გამოკლებას და შენაცვლებას. ამავე დროს ახალი და სწორი დაკვირვებაა ავტორისა, როცა წერს: „საუბარში თანდებულებს იშვიათადა ხმარობენ სიტყვებთან, რომელნიც მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში არიან. ზოგიერთი

¹ ქართული ლრამატიკა, სანკტპეტერბურგი-1887.

² ახალი ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურგი 1882.

³ ქართული გრამატიკა, ტფილისი 1889.

⁴ ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი 1930.

თანდებულები სრულებით არ იხმარებიან. ეს ის თანდებულები არიან, რომელნიც შემოკლებულან ან სთხოვლობენ იმისთანა საბრუნავებს, რომელნიც არ მოიპოვებიან მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში, მაგალ., ში, ზგ, მგგ, ურთ¹.

თავისებურია თანდებულების შეფასება ნ. მარის ძველი ქართული ენის გრამატიკაში². თანდებულების ერთი წყება, ნ. მარის აზრით, სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში და მთლიანად შეესატყვისება წინდებულებს რუსულ ენაში. ასეთებია: გან, და, თვს, თანა, ვრ (-*ჰვრ || *ჟვრ). ეს უკანასკნელი შერწყმულია მესამე პირის ნაცვალსახელურ მ ფუძესთან—მიერ (გვ. 32). მეორე რიგის თანდებულები არსებითად კი არ მართავენ სახელს ბრუნვაში, არამედ უკავშირდებიან ადგილობით ბრუნვას და უფრო ზუსტად განსაზღვრავენ დამოკიდებულებას ადგილთან. ასეთებია: ზედა, შინა, მოვჯის, მოჯის, თანა, ვენ, ურთ თანდებულები; ამავე რიგისაა წინაშე, რომელიც დაკავშირებულია მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვასთან³ «смотреть по тексту» (გვ. 32-33).

ნ. მარისა და მ. ბრიერის ფრანგულად გამოცემულ გრამატიკაში³ უკვე უარყოფილია თანდებულების ამგვარი დაყოფა. აქ თანდებულები (მათ შორის თანდებულის ფუნქციის მქონე ზმნისართებიც) დაჯგუფებულია ბრუნვების მიხედვით და აღნიშნულია, რომ ყველა ეს თანდებული სახელს მართავს გარკვეულ ბრუნვაში. ჩამოთვლილია თანდებულები, რომლებიც მოითხოვენ ნათესაობითს, მიცემითს, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებს. ამავე დროს მოცემულია ზოგიერთი თანდებულის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობები. ასევე, თანდებულები ბრუნვების მიხედვით იყო დაყოფილი ნ. მარის აღრინდელ შრომაში Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка (ტაბ. VI).

დაწვრილებით არის განხილული თანდებულები ჰ. ფოგტის ქართული ენის გრამატიკაში⁴. ნაჩვენებია თითოეული თანდებულის მიერ არა მარტო ბრუნვის მართვა, არამედ რიგი ფონეტიკური ცვლილებები, რაც სახელს ან თანდებულს მოსდის. ამასთანავე მოცემულია ზოგიერთი თანდებულის სწორი ეტიმოლოგიაც. გათვალისწინებულია ზმნისართებიც, რომლებიც თანდებულის ფუნქციით იხმარებიან. ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრება: თანდებულისაგან ზმნისართი იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ინარჩუნებს თავის მახვილსა და აქცენტს (გვ. 60). მათ გასამიჯნავად, მართალია, ეს არ კმარა, მაგრამ ეს მხარე უთუოდ არსებითი მნიშვნელობისაა.

ა. შანიძეს სასკოლო გრამატიკაში⁵ ძირითადი თანდებულები დაჯგუფებული აქვს ბრუნვათა მიხედვით (გვ. 34-35), ხოლო ზმნისართის განხილვის შემდეგ—მნიშვნელობათა მიხედვით (გვ. 63). აქვე გამოყოფილია ზმნისართები, რომლებიც თანდებულის ფუნქციით იხმარებიან (გვ. 64).

¹ ქართული ენის გრამატიკა, გვ. 126.

² Грамматика древнейшего грузинского языка, ლენინგრადი 1925.

³ La langue géorgienne, პარიზი 1931.

⁴ Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, ოსლო 1936.

⁵ ქართული ენის გრამატიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სახელმძღვანელო, თბილისი 1939.

1942 წელს გამოცემულ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ერთი სათაურის ქვეშ (მხლებლიანი ბრუნვები) ერთად აქვს შეტანილი ა. შანიძეს თანდებულიანი და ნაწილაკიანი ბრუნვები (გვ. 68-69). ავტორი, გარკვეული თვალსაზრისით, „ლოკალურ ბრუნვებად“ გამოჰყოფს გან, მდგ, ზე და ში თანდებულიან ფორმებს. ასეთებია: გამოსვლითი (დაწყებითი): სახლ-იდან, ამ წლიდან; მიწვევითი: ქალაქ-ამდგ, მაის-ამდგ; სადაობითი: ქალაქ-ში, წყალ-ზე; ამგვარად: იდან (დან), ამდგ (მდგ, ამდის, მდის), ში, ზე—ბრუნვის ფლექსიებად არის მიჩნეული და შვიდი ბრუნვა ათამდე არის გაზრდილი (გვ. 71-72).

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი თანდებულის შესახებ გამოკვლევები დაიწერა: ა. შანიძის „მდე თანდებულის გენეზისისათვის“¹, არნ. ჩიქობავას „გან თანდებულის ხმარებისათვის ნათესაობითთან და მოქმედებითთან“², მისივე: „ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში“³, კ. ქეკელიძის „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში“⁴, თ. შარაძენიძის „ვით“ თანდებული ქართულში“⁵. ამ გამოკვლევებს გზადაგზა შეეხებოდა.

III

თანდებულია ნაწილაკი, რომელიც სახელს მართავს გარკვეულ ბრუნვაში. ასე არ იყო გაგებული თანდებული. ამიტომ ზოგიერთი გრამატიკოსი თანდებულს უწოდებდა ზმნისწინებსაც. ყველა სახის ნაწილაკიც თანდებულად იყო მიჩნეული. მაგ., პ. კვიციანიძე წერდა: „თანდებულნი არიან ორგვარნი: წინამძღოლნი და მიმყოლნი. წინამძღოლებად იწოდებიან ისინი, რომელნიც სიტყვას თავში მოეზავებიან და გვიჩვენებენ მოქმედების მიმართულებას, ანუ კიდევ სახის სისრულეს ა(ღ), გა(ნ), ჩა, შე, აღმა, შემო, მიმო, გადა, უკე და სხ. მიმყოლნი თანდებულნი სიტყვას ბოლოში მოესმიან. ესენი არიან: ში, ზე(ღ), ურო, ვით, გამო, ებრ, თვის, დმი, მდე, კენ, ვე და სხ.“⁶

ასევე გაერთიანებული აქვს თანდებული და ზმნისწინი დ. ყიფიანს⁷. ზმნისწინი თანდებულად არის კვალიფიცირებული დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაშიც⁸. მ. ჯანაშვილის აზრით ზმნისწინები სახელის თავში დასმული თანდებულებია⁹. გ. ფირალოვი ცოტა სხვაგვარად ყოფს ზმნისწინებს და თანდებულებს: „თანდებულნი არიან განყოფილნი და განუყოფელნი“. მისთვის შინა, შორის, თვს, მდგ, ზედა... თანდებულები არიან განყოფილნი, განუყოფელნი კი: ქტშ, ვი, შე, გარდა, გან. მაგ., ქტშ-მდებარე, ვი-მსახურე, შე-

¹ საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, 1942.

² ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, 1934.

³ ენიმკის მოამბე, I, 1937.

⁴ საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 2, 3, 1942.

⁵ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939.

⁶ ქართული სწორმეტყველება, პირველი წიგნი, გვ. 154.

⁷ ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 131.

⁸ ქართული ლრამატიკა, გვ. XXVIII.

⁹ ქართული გრამატიკა, გვ. 128.

ვიყვარე, გან-ვიხილე¹. აქ ზმნისწინს რომ თავი დავანებოთ, პირველი პირისა და ქცევის ნიშანი ვი- თანდებულად არის გამოცხადებული. პლ. იოსელიანი მი, მო, შე, მა, ჩა და მსგავსთ უწოდებს განმავითარებელ მარცვალს, „რომელნიცა მოეზავებიან სიტყვსა ნაწილთა“, და ყველა ამას თანდებულთან ერთად იხილავს².

ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა, რომ ზმნისწინისა და თანდებულის ერთად მოქცევა უბრალო სახელწოდების საქმეაო. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ავტორებს უნდა გაემიჯნათ ზმნისწინისა და თანდებულის მორფოლოგიური და სინტაქსური ფუნქცია, თუნდაც ისე, როგორც ეს ანტონის გრამატიკაშია. ანტონი ზმნისწინებსა და ნაწილაკებს ასეთ მაგალითებში—ადვილებ, მივიღებ, მიმღვჭხრი, შთავალ, დავჰსჯდები, განვჭხდი, თანა-ვჭკმობ, ავღვარებვა, დავიწყებთესყ, ვალხადაძე და სხ. თანდებულებს არ უწოდებს. „ხოლო ესე ვითართა არ შესაძლო თანდებულად თქმად, თუმცა არ იყუნესმცა სახელთა ზედა დართულ, ხოლო თანდებულნი საკუთრად იგინი არიან, რომელნიცა აღაშენებენ ბრუნტასა, ანუ ითხოვენ“³ (დაყოფა ჩვენია.—ა. მ.). ანტონი სრულიად სამართლიანად ზმნისწინებსა და სხვა ნაწილაკებს არ თვლის თანდებულად, რამდენადაც მათთვის არაა დამახასიათებელი მართკა ბრუნვაში.

ზმნისწინებს თანდებულებს უწოდებს თ. ჟორდანიაც, მაგრამ მათ მიიხსივს განასხვავებს ერთმანეთისაგან. „არიან თანდებულნი საზმნებონი, რომელნიც შეუერთდებიან ზმნათა და არა ითხოვენ ბრუნვათა, მაგ. გა, წა, შე... და სხ.“⁴

ზმნისწინი და თანდებული გამიჯნულია და ცალ-ცალკეა განხილული ზ. შანშოვანის, გაიოზის, დ. კარიჭაშვილის, ს. ხუნდაძის, ი. ნიკოლაიშვილის, არ. ქუთათელაძის გრამატიკებში.

რიგი ზმნისწინებისა და თანდებულების აღრევა უთუოდ იმიტომ ხდებოდა, რომ გარეგნულად მსგავსნი გენეტურადაც ერთი და იგივე არიან. ზოგი მათგანი ზმნასთან ზმნისწინის როლს ასრულებს, სახელთან კი—თანდებულისას და ორივე შემთხვევაში ძირითადი ფუნქცია თითქმის ერთი და იგივეა. ასეთია, მაგალითად, გან⁵. შე- ზმნისწინიც ისეთივე წარმოშობისა ჩანს, როგორიც შითანდებული. ამაზე მიუთითებს მათი მსგავსება მნიშვნელობის მხრივაც.

თანდებულები მი, მო, რომლებიც სახელის წინაც იხმარება და შემდეგაც (მიუკუნისამდე, მოაქამომდე, მისდამი, ჩემდამო), ზმნისწინადაც არის გამოყენებული (მი-ვიდა, მო-იტანა). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მი და მო თანდებულთა გადატანა სახელის ბოლოს მაჩვენებელია ახალი ეტაპისა ქართ. სალიტ. ენის ისტორიაში“⁶.

¹ თუთ მასწავლებელი, გვ. 87—88.

² პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, 1840, გვ. 79.

³ ქართული ღრამმატიკა, გვ. 99.

⁴ ქართული გრამმატიკა, გვ. 154.

⁵ ვ. ბერიძე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 382—383.

⁶ ა. შანიძე, მღე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 370.

ისტორიულად ზმნისწინისა და თანდებულის კავშირზე მიუთითებს ის გა-რემოებაც, რომ ზოგიერთ ზმნისართ-თანდებულში ელემენტად შედის ზმნისწი-ნი მი, მო, აღ: მიმართ, მომართ, კარშემო, გამო, წიად.

თუ მოვიგონებთ, რომ მეტი წილი თანდებულებისა დამოუკიდებელი მნი-შვნელობის მქონე სიტყვებიდან—ზმნისართებიდან მომდინარეობს და ზმნისწი-ნებიც ამგვარივე წარმოშობისა არიან, მაშინ სრულიად ბუნებრივი აღმოჩნდება მათი გენეტური კავშირი. ეს კავშირი ამჟამადაც ხელშესახებია რუსულ ენაში. აქ რამდენიმე რთული შედგენილობის წინდებული (для, ради, кроме და სხ.) არ გვევლინება ზმნისწინად, თორემ თითქმის ყველა მარტივი წინდებული ამავე დროს ზმნისწინადაც იხმარება. ასეთებია, მაგ., *в, за, из, на, без* და სხ. ამიტომ იყო, რომ კ. აქსაკოვი აღრევე წერდა: «Предлог, уже обнаруживая в себе силу глагола и управляя именами, стоит на рубеже двух миров сло-ва и из сферы имени переносится в сферу глагола. Принадлежа и той и другой сфере, он действует в духе глагола в первой и в духе имени во второй. Именами он управляет и с глаголами сливается»¹.

მიუხედავად ამისა, არც რუსულში და, მით უმეტეს, არც ქართულში არ შეიძლება გავაიგივეოთ ეს ორი გრამატიკული კატეგორია. ზმნისწინი ზმნასთან იხმარება და, მიმართულების აღნიშვნის გარდა, ასპექტს აწარმოებს, დროს განა-სხვავებს და სხ., თანდებული კი სახელს გარკვეულ ბრუნვაში მართავს და სხვადასხვა ბრუნვასთან სხვადასხვა ფუნქცია აქვს. თანდებული სახელის კატე-გორიაში შედის, ზმნისწინი კი—ზმნის კატეგორიაში.

თანდებულთა შესახებ გრამატიკული ლიტერატურის მოკლედ დახასიათე-ბის შემდეგ გადავალთ თვით თანდებულთა მიმოხილვაზე². აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი თანამიმდევრობა დაეიცვათ: უწინარეს ყოვლისა წარმოვად-გინოთ ამჟამად მარტივი შედგენილობის, ერთმარცვლიანი თანდებულები, შემ-დეგ ორ- და მეტმარცვლიანი თანდებულები, რომლებიც ცალკე იწერებიან, და ბოლოს ზმნისართები, რომლებიც თანდებულის ფუნქციასაც ითავსებენ. ამოსავლად ახალი ქართულია აღებული. თანდებულები თავის მხრივ დაჯგუფე-ბულია ბრუნვათა მიხედვით და, შეიძლებისდაგვარად, გამოვლინებულია თითო-ეული მათგანის მნიშვნელობა. კლასიფიკაციისას ამოსავლად სემანტიკური პრინ-ციპი ვერ გამოდგა, რამდენადაც თანდებულთა მეტ წილს მრავალი ფუნქცია აქვს.

¹ Сочинения филологические, II, გვ. 129.

² შეგნებულად გვერდს ვუსვავთ იმ შეცდომათა აღნუსხვას, რომელთაც უშვებენ გრამა-ტიკოსები თანდებულთა კვლითიკაციისას; მაგ., თანდებულად მიაჩნათ -დმი, -დამი (გაი-ოხს, ჩუბინაშვილსა და სხვ.) მაშინ, როცა იგი ვითარ. ბრუნვის -დ || -და სუფიქსისა-და -მი თანდებულისაგან შედგება (ვ. თოფურია: ენიციის მოამბე, I, გვ. 119); გაუგებარია როცა -მეთქი, -თქო ნაწილაკები თანდებულბში აქვს მოქცეული დ. ყიფიანს.

I. მარტივი ერთმარცვლიანი თანდებულები

1. ზედა — ზე

ძველ ქართულში იხმარება ზედა. იგი ამ სახით ე. წ. საშუალ ქართულშიც ვადმოვიდა და მე-19 საუკუნის მწერალთა ენაში (როგორცია ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის ენა) არქაიზმად გვევლინება. საშ. ქართულშივე მას ეკვეცება — და ელემენტი და — ზე უერთდება სახელს. ზ'ს გავლენით სახელი ჰკარგავს მიცემითი ბრუნვის ნიშანს — ს'ს და შთაბეჭდილებაა, თითქოს უშუალოდ უკავშირდებოდეს იგი სახელის ფუძეს: ხანგლსა ზედა — ხანგლსა ზედ — ხანგლსზე — ხანგლსზე. არა ჩანს, რომ პროცესი ამგვარი ცვლილებისა ერთდროულად ან გარკვეული თანამიმდევრობით მომხდარიყო. მაგ., „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სამივე სახე: ზედა, ზედ, ზე. 1707 წლის დოკუმენტში მოიპოვება რამდენიმე ფორმა, სადაც ზედა შერწყმულია სახელთან და ბრუნვის ნიშანი — ს'ც შემონახულია: მამულსზედა (დოკუმენტები, 182)... მაგრამ ამაზე აღრიხნდელ ძეგლებში დასტურდება ფორმები, რომელთაც ბრუნვის ნიშანი დაკარგული აქვთ და თანდებული შეკვეცილი სახითაც დაერთვის (ზედ, ზე). ეს თანდებული სრული ფორმით დაცულია ხალხურ ლექსებში, მაგ.:

კურდღელმა თქვა: ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემ ზედაო,
გაეიხედე სერ ზედაო, ბატონი ზის ცხენ ზედაო...

საშუალი ქართულის ზოგიერთ ძეგლში არის შემთხვევა, როცა სახელს ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი არა აქვს ზე თანდებულთანაც: ლაზარესზე (თეიმურაზ II, 32)...

თანამედროვე ქართულში მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზე თანდებულის დართვისას მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელშია შენარჩუნებული (მასზე, შდრ. ძმაზე...), ყველა სხვა სახელთან კი ბრუნვის ნიშანი იკარგება.

საშუალ ქართულში თუ, ერთი მხრით, ზედა თანდებული გამარტივდა და ზე'მდის დავიდა, მეორე მხრით, მას ბოლოში დაერთო ნ ელემენტი (← ნა) და მივიღეთ ზედან¹. ამ სახით იგი მე-19 საუკუნემდის მოდის, თუმცა სპორადულად ზოგიერთ კილოში დღესაც იხმარება.

ტარიელ შავსა ზედან ზის (ე. ტ. 1409); ცასა ზედან დამალულ იყენეს (ვისრ. 22); მოხუდით კარსა ზედან (საქ. სიძე. III, 186); დილა-ზედან (თეიმურაზ II, 78), ცეცხლზედან (გრ. ორბელიანი, 41), ბიჭებზედან, შინდებზედან (მესხური)².

ზე || ზედ თანდებული დიალექტებში ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის. მაგ.: ხეესურულში ზ თანხმოვანი რ'ს შემდეგ ძ'დ არის ქცეული: კარძედ მაუდის მლოცავი (ხეეს. პოეზ. 13)... ზემორაქულში ხმოვანფუძიან სახელებ-

¹ -ნ'ს დართვაზე მიუთითებს სვანური ეი || უინ 'ზე' და -ნ'თი გართულებული წინაშენ. მაგ.: ლ'თის წინაშენ მე დავით... ამისი მოწამე ვარ (საქ. სიძე. I, 153₁).

² შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი: ენიშვის მოამბე, X, 33. 244.

თან ზე თანდებული მარტივდება—იკარგება ზ: კალოე (—კალოზე), ტბაე: (—ტბაზე), მთაე (—მთაზე) და მისთ.¹

ზედას პარალელურად უნდა გვექონდეს ზენა, რაც შემონახულია იმერულში ზენ სახით: ფხარზენ, დილაზენ, სტოლზენ².

სევსურულსა, ფშაურსა და მთარაჭულში დაწყებითი ბრუნვის -ით სუფიქსი ხშირად ერთვის ზგ, ში თანდებულთან ფორმას. „ამ შემთხვევაში ადგილისაიდანაც რაიმე გამოდის, მეტი სისწორითაა აღნიშნული“³. მაგ.: ცხენზეით ჩამადიოდა = ცხენზე იჯდა და იქიდან ჩამოდიოდა; ერეკლე ბატონიშვილი ტახტზეით გარმაძვარაო (ხევს. პოეზ. 19); ჳმალსა ნუ შამხნით წელზეით, ჳევსურთად კაის მქნელია (გაბურ. 161)... ასეთი ფორმები არ არის დამახასიათებელი სალიტერატურო ქართულისათვის. ამ მხრივ მთის ზოგიერთი კილო განცალკევებით დგას ქართულისაგან. ასევე „ვეფხისტყაოსანში“ ბრუნვაში ხმარებული თანდებულთან ფორმა „მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყვებარი“ (უნივ. გამოც. 662) სრულიად უჩვეულოა ქართულისათვის. სხვა გამოცემებში ამ ფორმის მაგიერ არის: „...და მაჯისა შემტყობარი“.

ადგილის მიხედვით ძვ. ქართულში ზედა ჩვეულებრივ სახელს მოსდევს, მაგრამ არაიშვიათად სახელის წინაც იხმარება. ე. წ. საშ. ქართულში სახელის წინ სპორადულად გვხვდება, ახალ სალიტერატურო ქართულში კი წინ სრულებით არა ჩანს: საბოლოოდ განმტკიცდა ბოლოში.

ზედა თანდებული ერთვის არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებსა და სახელზმნას. ამას გარდა, ძვ. ქართულში იგი კვლავ ზმნისართის წინაც იხმარება: და მოაქციე ზე დაკერძო მისსა ბუნება და წყალთა (ანტიოქ. 129²⁷⁻³); და ვიხილქ ლანკნასა ზა... კრავი ერთი... და ზაკერძო მისა ტრედი ერსი ფდ ბრწყინვალქ (Опис. 112) (შდრ. შინიკერძო).

ძველ ქართულშივე ზედა ერთვის ნათესაობით ბრუნვაში დასმულს ზედას. და ვიღებთ ზმნისართს ზედაჰ-ზედა: ზედაჰს-ზედა მიუწერდა ებისტოლეთა ერსა მას (კიმ. 131²⁰); მოვალნ მისა ზედაჰს ზა და ეტყუნ მას (ბოლნ. 50¹⁴). საშ. ქართულში კი ზედაჰს-ზედა ზმნისართი იღებს ზედა-ზედა ან ზედი-ზედა სახეს.

ძვ. ქართულში ზედა და ახალში ზედა იხმარება ზმნისართის ფუნქციით. იგი წევრია კომპოზიტისაც: ზედა მიწევნით (ახ. ქართ. ზედმიწევნით), ზედაპირი და სხ.

ზეგით და ქვევით ან ზემოთ და ქვემოთ ზმნისართები ახალი წარმოებინაა, ძვ. ქართულში ამათ მოვალეობას მხოლოდ ზე და ქვე ასრულებდა. ზე აღამალლა ბუნება და აღამენათა (სასულ. რბ 33); აღტყორცა ზე აერთა (ხან-

¹ შ. ძიძიგური, ზემორაჭული დიალექტის თავისებურებანი (წავითხულია მოხსენებად ქართვ. ენათა განყ. სხლომაზე 1944 წლ. ნომბერში).

² Ш. Дзидзигური, К характеристике нижнеимерского говора: Памяти акад. Н. Я. Марра, გვ. 127.

³ ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 195.

მეტი, 391)¹ (შდრ. ქუე: რი ქუე იღვა აღადგინა და რი ზე იყო არა უტე-
ვებს (ბოლნ. 42₁₋₂).

ზე შემორჩენილია ზეცა სახელში, რომლის საპირისპიროა ქუეყანა:
გამოშინდი ყოველთა დაბადებულთა ზეცისა და ქუეყანისათა (სასულ.
ოღ¹⁵⁵).

ძე. ქართულში ზედა თანდებული სახელს მართავდა მიცემითა და ნათე-
ხოობით ბრუნვაში. მაგ.:

მიც. ბრ.: დაერღომილ იღვა ქუეყანასა ზედა (კიმ. 149₁₃)

არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა (ქრესტ. 9₁₂)

დავარდეს პირსა ზა მათსა (ჰაემეტი, 6₁₄)...

ნათ. ბრ.: მოიწია... სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლუ-
ლებადცა (შუშ. 39)

განრისხნა რი სოლომონის ზა (III მეფ. 11,9)

ჯელი ოლისად იყო მსაჯულისა მის ზა (კიმ. 192₅₋₆)...

საშ. ქართულში ამ თანდებულის ნათესაობით ბრუნვასთან ხმარების თი-
თო-ოროლა შემთხვევალა გვაქვს. მაგ.: ასრე და ამა პირისა ზედა (დო-
კუმენტები, 608); წამსვე მოვიდა მის ზედა სული ღვთის მოვლინებისა (თეი-
მურაზ II, 1) და ამდენად არქაიზმად შეიძლება ჩაითვალოს. „ვეფხისტყაოსან-
ში“ არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ ზედა ნათესაობით ბრუნვას ერთოდეს.

თანამედროვე ქართულში ზე თანდებული სახელს მხოლოდ მიცემით ბრუნ-
ვაში მართავს. ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია: კედელ ზე, მაგიდა ზე, ხე-
ზე და სხ.

მიცემით და ნათესაობით ბრუნვასთან ზედა თანდებულის განსხვავებული
ხმარება ძე. ქართულში პირველად აღნიშნა კ. კეკელიძემ და ასე ჩამოაყა-
ლიბა: „უსულო საგანთა აღმნიშვნელი სახელები: აგრეთვე მათი შემცვლელი ნა-
ცვალსახელები (მას, რომელსა) ყოველთვის მიცემითს ბრუნვაშია“; მიცემით
ბრუნვაშია აგრეთვე სულიერი საგნები რა ჯგუფისა და არსებით სახელად გა-
გებული ზედსართავი; ასევე „თუ მხედველობაში მიღებულია არა კონკრეტული
რომელიმე პიროვნება, არამედ ზოგადად, განყენებულად, ეს უკანასკნელიც მი-
ცემითს ბრუნვაშია“. მაგრამ „ადამიანის საკუთარი სახელები და მათი შემცვლე-
ლი ნაცვალსახელები (მის, რომლისა) ყოველთვის ნათესაობითშია. ნათესაობით
ბრუნვაშია აგრეთვე „სულიერი“ საგნები ვინ ჯგუფისა (მამისა, მეფისა, დი-
სა, მონისა, მთავარებისკოპოსისა“². თუ სადმე ეს წესი დარღვეულია, ამის ახს-
ნაც მოცემული აქვს ავტორს³.

¹ დროის გამომხატველი ზეც ვგვე ზე ჩანს.

² „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქარ-
თულში, II: საქ. სსრ მეცნ. აკად. შოამბე, ტ. III, № 3, გვ. 284.

³ იქვე, გვ. 285.

ძე. ქართული ენის გრამატიკებში ბრუნვების მიხედვით ზედა თანდებულის განსხვავე-
ბულ ფუნქციაზე არაფერია ნათქვამი. ცოტელის Grammatik altgeorgischen Bibelüber-
setzung-ის მიხედვით ზედა მხოლოდ მიცემით ბრუნვას ერთვის (გვ. 38); ასევეა ნაჩვენები
ნ. მარცის ძე. სალიტერატურო ქართული: გრამატიკაში.

ძველი ქართულის ანალოგიური მდგომარეობაა სვანურში, სადაც თანდებულები საერთოდ დაერთვის მიცემით ბრუნვას, მაგრამ ადამიანის საკუთარი და ზოგიერთი ზოგადი სახელი ნათესაობითშია მათ მიერ მართული¹. მაგ.:

ლშხ. მი ხვარდ ივანეშმეჟყ (ნათ.)=მე ვიყავი ივანესას, მაგრამ: მი ხვარდ მეზებელმეჟყ (მიც.)=მე ვიყავი მეზობლისას...

ბზ. მი ესღერი ივანეცახან (ნათ.)=მე მივდივარ ივანესთან (ერთად), მაგრამ: მი ესღერი მარაცახან (მიც.)=მე მივდივარ კაცთან (ერთად)...

ლშხ. ლაძრ ემჟად ივანეშხენ (ნათ.)=წერილი მომივიდა ივანესგან; ლაძრ ემჟად მეზებელხენ (მიც.)=წერილი მომივიდა მეზობლისგან და სხვ.

ძველი ქართულის ეს თავისებურება ახსნილი აქვს კ. კეკელიძეს, როგორც გადმონაშთი ქართულში ოდესღაც გარჩეული გრამატიკული კლას-კატეგორიისა. ახსნა მისაღები ჩანს, რამდენადაც ეს უძველესი მოვლენა სხვა შემთხვევებშიც დადასტურებულია (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, კ. დონდუა)² და სწორი ჩანს დებულებაც, რომ „გრამატიკულ კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემის მოშლა სხვადასხვა ქართველურ ენებში ერთდროულად არ უნდა მომხდარიყო: ყველაზე ადრე ეს ქართულსა და ზანურს (ქანურ-მეგრულს) უნდა დასტყობოდა, უფრო გვიან—სვანურს“³.

მნიშვნელობის მხრივ ზედა — ზე თანდებული

ა) გამოხატავს საგნის ადგილმყოფობას ზედაპირზე. მაგ.: დაეცა მკერდსა ზედა ნეტარისასა (კიმ. 164₃₀); შენ გზასა ზედა მახე დაუგე (ვისრ. 49₁₆₋₁₇); მხარზედ ხელი დაჭრა (ილია, III, 17)...

ძველსა და ზოგჯერ საშუალ ქართულში ამ ფუნქციის გამოსახატად უთანდებულო მიცემითიც იხმარება. მაგ., დაიდვა საფლავსა, ვითარცა მკუდარი (სასულ. VII XX₃); მეორესა კუბოსა მწვანესა დაჯდა დედოფალი (ამირანდარეჯ. 85)... (შდრ. შინა თანდებული, გვ. 219).

ბ) გადმოსცემს დროს: სმასა ზედა უმიზეზოდ გაეხე რამე უგემურად (ვ. ტ. 1127); ამ სიტყვასა ზედა მას კაცსა გაეცინა (სიბრძნე სიცრ. 13); მამლის ყივილზე წამოდგებოდა (აკაკი, 358)... საღამოზე, გაზაფხულზე, მაგრამ: ზამთარში.

ძვ. ქართულში ამ ფუნქციას ასრულებს ზე, რომელიც ნათესაობით ბრუნვას დაერთვის: კოსტანტინე დიდისა მეფისა ზე (კიმ. 4₃₈); რნი იწამნეს ანტიქის ქლქსა ანტიოხოს მეფისა ზეც (Опис. 128).

გ) იხმარება ხარისხთან, ოღონდ ეს ახალი ფუნქცია გამოვლინდა ე. წ. საშუალ ქართულში და ამჟამად განმტკიცებულია: შენ უკეკლუცე ხარ ყოველთა კეკლუცსა ზედაო (ვისრ. 54); თქვენზე უფროსი ვარ (თეიმ. II, 146);

¹ ამაზე მიმითითა და სათანადო მასალაც შვარჩია ვ. თლფურიან.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 165—234; К. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, I, 43—66; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 135—262.

³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 261.

ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე (ილია, 401). ძველი ქართული ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმას იყენებდა უთანდებულად.

ღ) ზედას შეენაცვლა თანამედროვე ქართულში მიმათ ან წინააღმდეგ: ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხმალია (ვ. ტ. 1485); წარმოემართა ქართველთა მეფესა ზედა (ქართ. ცხ. 38)...

ე) საშუალსა და ახალ ქართულში ზე თანდებული მოხმარებულია მნიშვნელობის გასაძლიერებლად: განმეორებული ობიექტიდან მეორე სახელი ზე თანდებულიანია: ნუ მომიმატებ ჭირსა ჭირზედა (ვისრ. 252); დაჩემებით სცილდა ყანწს ყანწზე (დ. კლდ. 150)... ზოგჯერ სახელის განმეორებას ენაცვლება ზმნისართი ზედაზედ ან ზედიზედ: ამჟავს ზედიზედ გაცნობებ საქმესა პატრონისასა (შაჰნ. II, 3068); პაპიროსს ზედი-ზედ ეწეოდა (ქიაჩელი).

მნიშვნელობისავე გასაძლიერებლად ზე დართულ სახელს კვლავ ზე ზმნისართი ემატება ხოლმე: სალდათებმა ზედ გვერდზედ ჩამოუარეს (ილია, III, 11)...

ზე თანდებულის ფუნქციები ამით არ ამოიწურება. ზოგჯერ ჭირს მისი კონკრეტული დანიშნულების მოძებნა. მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რომ ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე ამ თანდებულმა საკმაოდ შეიცვალა ლექსიკური მნიშვნელობა. ამის შედეგია, ალბათ, რომ ზე ზოგჯერ სხვა თანდებულის ადგილას იხმარება. მაგ., ის გაუყვანია დაფაზე (აკაკი, 396), შდრ. დაფასთან გაუყვანია; დიდი ნამსახური და გარჯილი ხარ ჩვენზედ (საქსიძე, I, 14) = ჩვენთვის; შენ რასცა ჩემთვის იქმ, მას ღმერთსა ზედა (=ღვთისათვის) იქმ (ვისრ. 166)... არაიშვიათად ერთმანეთს ენაცვლებიან ზედა ში თანდებულები: მეც უნდა წვეიდე საყდარზე (ნინ. I, 7) = საყდარში; შენს მოლოდინზე (=მოლოდინში) დაემალე არაყიანი მინაო (ხეგს. პოეზ. 144)...

ამგვარად, ძველ ქართულში ხმარებული ზედა აღწევს მე-19 საუკუნემდე და რომანტიკოს მწერალთა ენაში არქაიზმად გვევლინება. იგი საშუალ ქართულშივე ზეშდის დადის და ამ სახით საბოლოოდ ბატონდება ახალ სალიტერატურო ენაში. საშ. ქართულში ვლინდება ზედან (-*ზედანა), რომელიც ზოგიერთ კილოში დღესაც იხმარება. იმერულში დასტურდება ზედას პარალელურად მოსალოდნელი ზენას შეკვეცილი სახე ზენ. ყველა ესენი იშლება: ზედა, ზე-ნა, *ზე-და-ნა.

2. შინა — ში

ამ თანდებულმაც არსებითად იგივე გზა გაიარა, რაც ზედას. ძველ ქართულში გაბატონებულია შინა, ზოგიერთ ძველში გვხვდება აგრეთვე შიდა და შიგანა. მაგ., ნუ შთაჰვარდები წყალსა მაგას შიდა (თეკ. 116); შუშანიკ თრევეით შოითრია თიგათა შიგან (შუშ. 27)...

ე. წ. საშუალ ქართულში მრავლდება შინა თანდებულის სახეცვლილი ფორმები, სახელდობრ: შინ, შიგან, შიგა, შიგ, შიდან, შიდა, შიდ, ში, ჩიგა, ჩი. აი თითო-ოროლა მაგალითი: და იყო სვიმონ მეფე ციხესა შინ ტფილისისა (ახ. ქართ. ცხ. 163); კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინ-

დების (ვ. ტ. 1094); სიცოცხლესა შიგა ვერ ავჰდებით ღმრთისა განგებასა (ვისრ. 66); გიბედნიეროს... ჩვენსა ერთგულად სამსახურშიდან (დოკუმენტ. 676); სანთელშიდ (საქ. სიძვ. I, 58); ფარვანაჩიგ ეწეროს (საქ. სიძვ. III, 142, 1626 წ.)...

შიდან, შიდა, შიდ ჩვეულებრივ დოკუმენტებში გვხვდება და ისიც ხშირად იმერეთიდან გამოსულში. რაც შეეხება შიგან, შიგა, შიგ ფორმებს, ესენი მთელს საშ. ქართულს ახასიათებენ და სახელთან შეუხორცებლადაც წარმოგვიდგებიან და შეხორცებულადაც, პირველ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი სახელს შენარჩუნებული აქვს: მინდორსა შიგან (ამირანდარეჯ. 44); ერთგულობასა შიგა (საქ. სიძვ. II, 21)... მეორე შემთხვევაში კი დაკარგულია: აველი ჭანგ შიგან ეჭირა (თეიმ. II, 206); დღე შიგა (ამირანდარეჯ. 61); დღე-შიგ (საქ. სიძვ. II, 61)...

შიდ და ში ზოგჯერ შეერთებულია სახელთან, მაგრამ მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ხ ჯერ კიდევ არ არის დაკარგული: გაცემასშიდ (საქ. სიძვ. I, 47); მთის კაცში (დოკუმენტ. 583)...

ახალ სალიტერატურო ქართულში შემორჩენილია მხოლოდ ში, კილოებში კი დაცულია: შიგა, შიგ, შიდ, შით, ჩი. ამათგან შიგა, შიგ ხეესურულში გვხვდება. მაგ.: ჯელი გკრა საყელოშიგა (ხეეს. პოეზ. 15); ლეკეთშიგ ჯეესურთ ჯარია (იქვე, 102)... შიდ და შით კი დასავლურ კილოებში იხმარება. რაც შეეხება ჩი¹ს, იგი ახასიათებს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებს; მაგ.: უბეჩი, ჭალაჩი, ქალაქჩი (ხეეს.), საათჩი (ქვემოიმერ.), სახჩი (ზემოაჭარული), სანგარჩი, ბოლოჩი (ფერეიდ.). ასევეა: გურულსა, მთიულურსა და ინგილოურში.

-ზე თანდებულიანის მსგავსად (გვ. 214) მთის კილოებში -ში თანდებულიან ბრუნვას ერთვის დაწყებითი ბრუნვის -ით დაბოლოება: თოლ ჩამოდისცაშიგითა (ხეეს. პოეზ. 285); მთაშიგით ამბავ მავიდა (იქვე, 65); ქისტებშიგით ორი ქალი გამაგრჩივა (გაბურ. 172).

მისი ადგილის შესახებ იგივე ითქმის, რაც ზედაზე იყო აღნიშნული: იგი სახელის წინაც იხმარებოდა და შემდეგაც, ამჟამად მხოლოდ მოსდევს. სახელისა და სახელზმნის გარდა ძველ ქართულში იგი ერთოდა უფორმო სიტყვებსაც: მუნ, აქა. მაგ.: ქმნა მუნ შინა სასწაულნი მრავალნი (კიმ. 193_ა); ილოცე მუნ შინა ფარულად (ბოლნ. 18_ა); პოონ აქა შინა მრავალი სარგებელი (Опис. 170).

შინა იხმარება ნათესაობით ბრუნვაში გაქვევებულ ნასახელარ ზმნისართთან მყის. მაგ.: მყისვე შინა თქუა კაცმან მან (კიმ. 194_ა); დაღვა მყისა შინა ფერკთა თ¹სთა ზ¹ა (საბა ასური, 18). ამ ძეგლის გამომცემელი ს. ჯანაშია შენიშნავს, რომ მიცემითის მაგიერ შინა თანდებული ნათესაობით ბრუნვასთან არის შეთანხმებულიო¹. ზოგჯერ შინა თანდებულის დართვისას მყის ზმნისართი მიცემით ბრუნვაში მოექცევა: მოსცა მათ მყისსა შინა (კიმ. 111₇). ასევე შინა ერთვის კერძო¹ს: შინაკერძოთა მათ ადგილთა შევიდეს (ანტიოქ. 115₉).

¹ არილი, გვ. 23.

შინა შედის შინაგან ზმნისართში: შინაგან მოცალე არს მუცელი მაგისი (კიმ. 155₁₅); ერთითა ხოლო შინაგან საცმელთა დგა (იქვე, 200₈₋₉).

შინა წარმოდგენილია მაშინ ზმნისართში (— მას შინა), რომლის ამგვარ წარმოშობას კითხვის ქვეშ აყენებს ნ. მარი და უფრო შესაძლებლად მიიჩნევს გამოყოს ძირი მაშ, ნათესაობითის -ინ (მაშ-ინ) და მიცემითის -ა ფორმანტი (მაშ-ა)¹.

ძველ ქართულში შინა ზმნისართიცაა; მაგ.: ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი (შუშ. 21); ხოლო იგი შინა არა დახუდა (ხანძთ. 0₁₃). ამივე მნიშვნელობით შინა — შინ ახალ ქართულში: შინ მივდივარ...

შინა — ში თანდებული სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში, ოღონდ ახალ ქართულში, გარდა მესამე პირის ნაცვალსახელისა, ბრუნვის -ა ნიშანი ყოველთვის იკარგება.

მნიშვნელობის მხრივ შინა — ში თანდებული

ა) გამოხატავს შიგ მყოფოვას: [შშრომე]ლთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე (ქრესტ. 1₆); ჯდა იგი სახლსა შინა მისსა (ჭამეტი, 15₁₃₋₁₄); წვერ-ულვაშში ქალარა გამორევია (ილია, 476). ასეთივე გაგება აქვს ამ შემთხვევაშიც: ამა საწუთროსა შიგან... ვერას გაიხარებ (ვისრ. 28); კოსტანტინე წარვიდა თათრებშიგან (ახ. ქართ. ცხ. 36); ჭლექში ჩავარდება (ნინ. I, 49).

ბ) გადმოსცემს დროს: მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა (ჭამეტი, 20₇₋₁₀); ვიმარხავ შაბათსა შინა ორ დღე (ბოლნ. 5₃); ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა (ილია, 388)...

გ) საშუალსა და ახალ ქართულშიც ზოგჯერ ში ენაცვლება შორის თანდებულს: აქამდის მუდამ ომი იყო ჩვენში და განჯელებში (საქ. სიძე. III, 223); აღარა დარჩომილა რა ჩემსა და შენში სალაპარაკო (დოკუმენტ. 225)...

დ) ში იხმარება ერთნაირ საგანთა შორის ერთ-ერთის ამორჩევისას: ყვავეილებში შენ ხარ ღარიბი, ფრინველებში შე ვარ, მგონია (თეიმ. I, 11); რად გამოერჩიე ტოლ ქალებში (არდაზ. 14).

მნიშვნელობის გასაძლიერებლად ში თანდებულისა სახელს წინ შიგ ემატება: შიგ შუა წყალში ცხენილამ გადმოვხტი (ილია, 382); შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი (იქვე, 380).

როგორც ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან ჩანს, ძველსა და საშუალ ქართულშიც შინა თანდებულს რიგ შემთხვევაში სხვა არავითარი ფუნქცია არა ჰქონდა, თუ არა ის, რომ უფრო მეტად დაეხუსტებინა შინაარსი, რომელიც მიცემით ბრუნვას თვითონვე მოეპოვებოდა. ლექსიკური მნიშვნელობა შინა თანდებულისა ძვ. ქართულში შეზღუდული იყო, ჩვეულებრივ გამოხატავდა დროსა და ადგილს და ამიტომ ამ ფუნქციის გადმოცემა მიცემით ბრუნვას უთანდებულოდაც შეეძლო. მთელი ქართულის მანძილზე თანდებულისა

¹ Грамматика древнелит. груз. языка, გვ. 116.

მიცემითის ფუნქციას, არაიშვიათად, ვითარებითი ბრუნვაც ასრულებდა; მაგ.: ავაზაკი შევიდა სამოთხედ (ბოლნ. 2₂₇); მარტოა შევიდოდა ტაძრად (Опис. 6), რაც მიუთითებს ამ ორი ბრუნვის ზოგ მსგავს ფუნქციაზე.

ამგვარად, რომ შევაჯამოთ ნათქვამი შინა → ში თანდებულის შესახებ, ასეთი სურათი გადაგვეშლება: ძველ ქართულში გვხვდება შინა, შიდა, შიგან; საშუალ ქართულში ამათ პარალელურად გამოყენებულია: შინ, შიგა, შიგ, შიდან, შიდ, ში, ჩიგა, ჩი. ახალ სალიტერატურო ქართულს მხოლოდ ში შეჰჩა, კილოებში კი დაცულია: შიგა, შიგ, შიდ, შით, ჩი.

ნათელია ამ ფორმათა შედგენილობაც: ში-ნა, ში-და, ში-გა, ში-დან — *ში-დანა, ში-გან — *ში-განა (შდრ. ზე-ნა, ზე-და: გვ. 217).

შ. თანა — თან

ძვ. ქართულის თანა გადმოვიდა საშ. ქართულშიც. ახალ ქართულში თანა შემონახულია -ც და -ვე ნაწილაკის დართვისას.

საშ. ქართულში მთავრდება პროცესი ამ თანდებულის სახელთან შერწყმისა: ხმოვანფუძიანი სახელები ინარჩუნებენ მიცემითი ბრუნვის ნიშანს, თან-ხმოვანფუძიანები კი ჰკარგავენ მას¹.

საშ. ქართულის ძეგლებში დასტურდება გარდამავალი ფორმებიც, როდესაც ბოლოთანხმოვნიან სახელს თანდებულის წინ ბრუნვის ნიშანი შემონახული აქვს: მოაბადსთანა (ჯეოსრ. 50), არაბსთანა (ამირანდარეჯ. 50)... საინტერესოა, რომ მსგავსი მაგალითები დღესაც მრავლად დაიძებნება ხევისურულსა და იმერულში. აქ ჩვეულებრივია: უფროსებათანა (ხევეს. პოეზ. 167), ქალსთან (იქვე, 148), ლეკებსთანაო (იქვე, 109), დებსთან, ქმრებსთან, მამებსთან (იმერული)².

არის პირიქითი მოვლენაც: ხ-ს მეზობლად თან თანდებულის თ იკარგება ხოლმე იმერულსა, გურულსა და აჭარულში: ხემწიფესან, მასან...

ძვ. ქართულში თანა და ახალში თან ასრულებს ზმნისართის ფუნქციასაც. იგი ზმნას ჩვეულებრივ წინ უსწრებს და იშვიათად მოსდევს კიდევ: ანგელოზნი თანა დღეს... (სასულ. რთ 184-185); თანა ჰყვანდა კაცი ნათესავი მისი (კიმ. 25 ა); თან მოიტანა დასხ. წარკდა ზმნას თანა მნიშვნელობას უცვლის: გვერდი აუარა, გვერდი აუქცია; მაგალითად: ...და ვითარცა შეუძლებელსა თანა წარვჰკდეთ (ანტიოქ. 71 ა-ბ)...

განსაკუთრებით ძვ. ქართულში თანა ხშირად ერთვის სახელს ახალი ცნების გამოსახტად: თანაარსი, თანამყოფი, თანაშემოქმედი, თანაშემწე, თანასწორი, თანამდები, თანამორწმუნოებაჲ, თანამოდასე, თანაგანმგებელი, თანამზრახველი...

ზედა თანდებულის მსგავსად, თანა ძვ. ქართულში სახელს მართავდა მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად, მიც.: შე-

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძვლები, I, გვ. 68.

² III. Дзидвигური, К характеристике нижнеимерского говора..., გვ. 126.

ვიყვანო ერთსა სენაკსა რლ არს კარსა თანა (კიმ. 2051—ა); ...და ესე მი-
ილის ერთგვის კვრიაკესა შინა კაპარსა თნა დამწნილსა მარილითა (საბა ას.
511—15) და სხ. ნათ.: ღირს ყოს მამისა თანა (სასულ. ნბ 15); წმიდისა
მის კაცისა თანა ვიყვენით (ანტიოქ. 92ა)... გამორკვეულია, რომ თანა
თანდებულთან „თუ სახელი ცოცხალი, „სულიერი“ საგნის აღმნიშვნელია, ის
ნათესაობითს ბრუნვაშია, ხოლო თუ „უსულოსი“—მიცემითში“¹.

საშ. ქართულში თანა-სთან ნათესაობითი ბრუნვის ხმარების თითო-
ოროლა შემთხვევად გვხვდება, ახ. ქართულში კი თან მხოლოდ მიცემით-
ბრუნვას მოითხოვს (ხესთან, სახლთან).

თანა → თან თანდებულის ფუნქციაა აღნიშნოს:

ა) ადგილი, რომელიმე საგანთან სიახლოვე, ახლოს, პირას, გვერ-
დით ყოფნა: თავად დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა (ჰე-
მეტი, 1913—ა); შთავიდეთ ვენაჯად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა.
(ხანძთ. ოქმ 1-2); დააგდო იგი სუეტსა თნა მის წდისასა (კიმ. 238 ა-ბ)...

ბ) თანაობა, ერთობა, ერთად ყოფნა, ერთად მოქმედება: გა-
მოვიდა იგი ნერსტს თანა (ჰაბო, 6720); სლნი ჯორცთა თანა განბანა.
(კიმ. 1020); წარიტყულნა ზაქარია... და მის თნა სიმრველ ერისად (ბოლნ.
41—ბ); ...შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან ყოფნა და
შენთან დარჩენა (ილია, I110)... ამავე მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს
თანავე: მისთანავე იყო არსენი (ხანძთ. მბ 100); მეცა ვტიროდეთ მისთა-
ნავე (შუშ. 810—11)... ახ. ქართულში თანაობა ზოგჯერ გაძლიერებულია
ერთად ზმნისართის დართვით: ბათაყვამ ზალიკასთან ერთად მთას შეა-
ფარა თავი (ლიტ. საქ. 26 სექტ. 1941 წ.)...

გ. ქართულში ამავე მნიშვნელობისაა თანა მიმართვის ასეთ კონტექსტ-
ში: მშუდობაჲ თქნ თანა (ქრესტ. იოვ 20, 26); მშუდობაჲ გაქუნდეს ჩემ-
თანა (ბოლნ. 262)...

დ) დრო: დასასრულსა თანა გალობისასა სულიცა მის ...ჯორც-
თაგან განვიდა (ანტიოქ. 9620); ჯმასა მას თანა საყვრისასა... წარმოუდგე
მეუფესა (ზარზმ. 15226—28)...

თანამედროვე ქართულში დროს გადმოსცემს, თუ თან თანდებულიან
საწყისს (იშვიათად სახელსაც) ერთად ზმნისართი მოსდევს: მისალმე-
ბასთან ერთად ქალი გულში ჩაიკრა (ყაზბ. 103); ამ სიტყვებთან
ერთად უცნობი კაცი მივიდა ქვასთან (იქვე, 68).

დროს გადმოსცემს აგრეთვე -ვე ნაწილაკიანი თანა, დართული ნათესა-
ობითი ბრუნვის საწყისს: წასვლისთანავე, აშენებისთანავე და სხვ.²

დ) მიმართულება, ვინმესთან ან რამესთან მისვლა, გაგზავ-
ნა...: ხვალე განსლვად არს ჩემი ჯორცთაგან და შისლვად... იესუ ქრის-
ტტს თანა (ჰაბო, 7020—20); მაშინვე ვიროსთანა კაცი გაგზავნა (ვისრ.

¹ კ. კეკელიძე, „წინაშე“, „თანა“ და „ხედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისა-
თვის... საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 3, გვ. 283.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, გვ. 69.

მ); მივედით იამანსა ჭაბუკსა თანა¹ (ამირანდარეჯ. 25) და სხვა. ძველ ქართულში ჩვეულებრივ ამას უდრის ნაგენეტივარი მიმართულებით: მაშინ მოვიდა იჯ იოვანშსა (კიმ. 129); წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქა (ბოლნ. 3617); მოვედ ჩინდა სავსე მადლითა (კიმ. 1039)...

ე) იხმარება შედარებისას: კანჯრის ჯოგსა. ლომთან არა შეეძლების (შაჰნ. II, 4355)...

თან იშვიათად გან თანდებულს ენაცვლება, როცა იგი მოშორებას გადმოსცემს: ჩემი დათიკოსთან (=დათიკოსგან) მოშორებაც ეძნელებოდა (ილია, 314)...

4. თჯს — თვის

ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ ძვ. ქართ. თჯს || თუის (ახ ქართ. თვის) თანდებული და თჯსი || თუისი (თვისი) ნაცვალსახელი მომდინარეობს თუ (← თავი) ძირიდან. იგი ამავე ძირს უკავშირებს თჯნ-ს (ახ. ქართ. თვინ), რომელიც ძვ. ქართულის თჯნ-იერ (თუინ-იერ) ზმნისართში გვაქვს და, როგორც თანდებული, ძველსა და საშუალ ქართულში იხმარებოდა². ამ აზრს იზიარებს ა. შანიძეც. მართლაც თჯს თანდებულის ამგვარი წარმოშობა ექვემოთხანელი ჩანს, ოღონდ იგი უშუალოდ ქართ. თავ-იდან რომ მომდინარეობდეს, ნაკლებ დასაჯერებელია, რადგანაც სათანადო ნორმების მიხედვით თავ სიტყვის რედუქციის შემდეგ უმარცვლო უ-ს მიღება (თუ) ძვ. ქართულისათვის სრულიად უჩვეულოა. ამიტომ უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ...

¹ თანამედროვე ქართულში ნათესაობით ბრუნვასთან თანა მსგავსებას აღნიშნავს: დედის თანა, ამის თანა... ა. შანიძე ფიქრობს, რომ ეს თანა სხვა წარმოშობისაა. იგი წერს: „მსგავსი“ მნიშვნელობით მეგრულში იხმარება „ცალი“, რომელიც ქართულიდან არის გადასული: ჩქიმი-ცალი („ჩემისთანა“)... „ცალ“ის აღსანიშნავად კი „მარცელის“ აღმნიშვნელი სიტყვა არის ხოლმე გამოყენებული ზოგიერთ ენაში (სპარსულში, თურქულში, სომხურში). ეს არის სპარს. დანა (რომელიც თურქულშია შესული და თანა-დ გამოითქმის) და სომხ. ჰატ... „ქართული თანა“ („მეზობლისთანა“ და „ამხანაგისთანა“-ში) არის სპარსული „დნა“ („მარცვალი“) იმ გამოთქმით, რომელიც თურქულშია დადასტურებული და იმ მნიშვნელობით, რომელიც სათანადო სიტყვას სომხურში აქვს მიღებული“. ავტორი არ უარყოფს მეორე შესაძლებლობასაც, რომ ეს თანა წარმოშობით იგივე თანა თანდებული იყოს, რომელიც ძვ. ქართულში ნათესაობით ბრუნვასთან იხმარებოდა: თანა თანდებულის „მნიშვნელობისაგან მსგავსის“ მიღება შეუძლებელი არ არის, მაგრამ ნათელი არაა ასეთი სემანტიკური განვითარების გზები“ (ქართ. გრამატიკის საფუძვლები, I, 115—116).

მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი ძიებისა და შედარებისა, შეიძლება შეინიშნოს, რომ „მსგავსის“ ფუნქციით თანა მხოლოდ ახ. ქართულში გვევლინება. თუმცა ძნელი არ იქნებოდა ამ პერიოდში სპარსული ან თურქული ენის ისეთი რიგის გავლენა გვევარაუდებინა, როგორცაა მორფოლოგიური ელემენტის (თანა-ს) სესხება, მაგრამ თანა თანდებულისათვის „მსგავსის“ მიღება შესაძლებელი ჩანს, რამდენადაც საშ. ქართულში სპორადულად თან გამოყენებულია შედარების დროს და, მეორეც, ძვ. ქართულში ორ ბრუნვასთან ხმარებული თანა შემდგომში მიცემით ბრუნვასთან ინარჩუნებს ძველ ფუნქციას და ნათესაობითთან ივითარებს ახალს.

² Грамматика древне-лат. груз. языка, გვ. 94.

გორც ეს თვით ნ. მარს აქვს აღნიშნული¹, რომ ეს თუ მიგვეჩინა შეკვეცილ სახედ თუთ ძირისა, რომლის შესატყვისისა მეგრ. დუღ-ი 'თავი'. მაშინ გამართლებული იქნებოდა უმარცვლო უ-ს არსებობა თჳს || თუის თანდებულში.

ძვ. ქართულში გვხვდება მხოლოდ თჳს || თუის თანდებული. მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში დადასტურებულია თუინ ფორმაც: სიტყუანი... არა თუ მდიდართათუინ ოდენ თქმულ არს ად გლახაკთაცა (Опис. 72).

თჳს || თუის ფორმით იგი გვხვდება საშ. საუკუნეების ადრინდელ ძეგლებშიც. უმარცვლო უნის გადავარდნის შემდეგ ვიღებთ თვის-ს. მის პარალელურად საშუალ ქართულში იხმარება თუინ, თვინ(ა) და თვინს ფორმაც: ნახვისა თუინ (ვისრ. 208), კაცისა თვინ (საქ. სიძვ. III, 63), თურისათვინს (შაჰნ. II, 424)...

თვის თანდებულს -ს აქვს მოკვეცილი საშ. საუკუნეთა ზოგიერთ ძეგლში: შვილთათვი, თანაზრდილთათვი, სიმაგრისათვი (შაჰნ. II, 3436); მიჯნურთათუი (შაჰნავაზ. 4), ჩვენთვი (გურამ. 32), მეჯინიბისთვი (დოკუმენტ. 82), შვილებისათვი (საქ. სიძვ. II, 141).

ახ. სალიტერატურო ქართულში გაბატონდა თვის, კილოებში კი იხმარება აგრეთვე თვინ, თვი (როგორც ბარის, ისე მთის კილოებში), თუნ (ინგილოურსა და მესხურში), თი (ფერეიდნულში).

თჳს — თვის თანდებული უჩვენებს:

ა) დანიშნულებას, განკუთვნიებას: ვითარცა იგი აბრაჰამისთჳს უფალი იტყვს (ხანძთ. 11ა); გარდამოჳდა ზეციით... მომწყულდართათჳს (სასულ. 172131—133); რომელი თქუენთჳს და მრავალთათჳს განიტეხების (ეამის-წირ. 103ა—ა); ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი (ვ. ტ. 7)... გადაეშალა... კალთები... პაწია სტუმრებისათვის (ილია, III, 65)...

ბ) მოქმედების მიზეზს: ...სადა იგი ხიყენეს მოწაფენი დამალულ შიშისათჳს ჰურიათაჳსა (ქრესტ. იოვ 20, 19); ვისოს გაყრისათვის ჭული უმცრდებოდა (ვისრ. 128); მოგყიდე ჩვენის დიდის გაჭირებისათვინ (საქ. სიძვ. I, 81)... ვაი თუ ბახვა გაება სისხლის სამართლის საქმეში კაცის დაჭრისათვის (გ. წერ. 52)...

დანიშნულებისა და მიზეზის გადმოცემისას ძველსა და განსაკუთრებით. საშ. ქართულში თვის თანდებულს ხშირად სცვლის ნაგენეტივარი ვითარებითი: უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი ღთისა ჩემისათჳს (კიმ. 8ა—ა); მზავარ ხვალისად (ამირანდარეჯ. 64)... ამჟამად ასეთი ფორმები მეტად დამახასიათებელია ხევსურულისა და ფშაურისათვის. ზოგჯერ მას ხმარობს ილ. ჰავჰავაძეც. მაგალითები: ერთხან მეფე ერეკლისად გამაუცხადებავ ომი თათარს (ხევს. 161); ბევრ საჩუქარიც უძღევაჲ ალუდაურისად (იქვე, 174); ხოლო სიმართლის თქმისად არად გინდა ჩვენი გვემაო (ვაჟა, IV, 7); თუ აქვს, რად უჭირს ერთი თავისად, მეორე შვილისად? (ილია, III, 78). ნათესაობითის -ის ნიშანს დართულმა ვითარებითის -და ფორ-

¹ Грамматика древнеинд. груз. языка, გვ. 95.

მანტმა დასავლურ კილოებში ურთიერთგავლენის გამო შემდეგი ფონეტიკური ცვლილება განიცადეს: ის და — იზ და — იზ ა: დ-სთან ს ასიმილაციით ზ-დ იქცა და დ დაიკარგა¹: მარტო თვალჩანადობის გულიზა წაიყვანენ სალდათათ (ნინ. II, 174)... სახლიზა მინდა, წყალიზა წვევიდა²; რაქულში აღრინდელი (გარდამავალი) სახეცაა შენახული: გლეხებიზ და, ჯიხვებიზ და³.

წ. კერძო — კენ

ძვ. ქართულში კერძო გარდა სახელისა ერთოდა ზე და და შინა თანდებულს: მოაქციე ზე და კერძო მისსა ბუნებაჲ წყალთაჲ (ანტიოქ. 129 ა); მადნარსა ამას შინა კერძო შემოვიდოდეთ (იქვე, 115 ა)... იგი მოსდევდა აგრეთვე მიერ და წიალ (მიერ კერძო, წიალ კერძო), ქუემო და უკუანაჲ ზმნისართებს: განვედით ლიტანიასა ქუემოკერძო ლავრასა (კიმ. 165 ა-ბ); დავდეგ უკუანაჲ კერძო მათ ყლთასა (იქვე, 211 ა-ბ); დაღვა ერთკერძო და ჯმაყო (იქვე, 143 ა)...

ძვ. ქართულსა და საშ. ქართულის აღრინდელ ხანაში კერძო სამ ბრუნვასთან გვხვდება: მოქმედებითსა, ვითარებითსა და ნათესაობითთან. მაგ.:

მოქმედებითთან: აღვილი ერთი არს ჰურიასტანი თ კერძო (ქებათა ქება, ლღა); პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოეთ კერძო (შუშ. 28 ა)...

ვითარებითთან: აღვიდა მთად კერძო მოკითხვად... ელისაბედისა (კიმ. 182 ა-ბ); ეგრეთ წარემართა ხანძთად კერძო (ხანძთ. ობზ)...

ნათესაობითთან: რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ (შუშ. 15)... ნათესაობითთან იშვითია და, როგორც ჩანს, მას შედარებით გვიან დაერთო. სახელის სამ ბრუნვაში მართვა ამ თანდებულის ფუნქციის ნაირსახეობით არ აიხსნება: იგი ყველგან აღნიშნავს ადგილს ან მიმართულებას.

ახალ ქართულში კერძო-ს შეენაცვლა კენ თანდებული. იგი სახელებთან მარტო ნათესაობითში იხმარება და მხოლოდ და მხოლოდ მიმართულებას გამოხატავს; მაგალითად: სოფლისაკენ, სახლისაკენ და სხ. — კენ თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან არის შემორჩენილი ზმნისართებში: საითკენ, აქეთკენ, ქვევითკენ, ზევითკენ. ხევსურულში ამ ზმნისართებსაც კენ || კენ-ს სახით ნათესაობითში ერთვის: იქისკე გახპატიებენ (ხევს. პოეზ. 210); საისკე მიმავალია? (იქვე, 27); მაინც იქის-

¹ Н. Марр, Грамматика древнелит. груз. языка, გვ. 010.

² ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 66.

³ ზ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაგული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიშვის მოამბე, II, გვ. 78.

ენ გამწეველა (იქვე, 139)... ჩანს, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვა ერთ-მანეთს ენაცვლებიან.

საშ. ქართულშივე კენ-ის პარალელურად გვხვდება კე-ც: მინდორთაკე (ვ. ტ. 567), ღმრთისაკე (ვისრ. 34), საწოლისაკე (შაჰნავაზ. 171), მისკე (ამირანდარეჯ. 37), იმერეთისაკე (საქ. სიძვ. III, 130)...

სხვადასხვაგვარად შეიცვალა კენ თანდებული კილოებში: კე აქვს შთის კილოებს (ხევსურულს, ფშაურს, მთარაჭულს): მარცხნისკე (ხევს. პოეზ. 16), მიწისკე, ცისკე (ვაჟა, IV, 22)... ზოგჯერ კე შეკვეცილია და დასულია კ თანხმოვნამდის: შინისკ (ხევს. პოეზ. 217), ხევსურეთისაკ (იქვე, 213), კაცისაკ (ინგილოური, 231)... გვხვდება კედ, კა-ც: შინისკედ (ხევს. პოეზ. 277), გავიე წისქვილისაკა (იქვე, 267); ფშაური ისრიკა (=იქითკენ), ასრიკა (=აქეთკენ)...¹

მთარაჭულში კე-ს დართვისას იკარგება ნათესაობითი ბრუნვის -ხ ელემენტი: სახლიკე, სვანებიკე².

რიც კილოებში (ინგილოური, ფერეიდნული, გარეკახური, მთარაჭული, ქვემოიმერული) კენ თანდებული წარმოდგენილია აგრეთვე ყენ || ყენ-ს სახით. ფერეიდნულში -ყენ ერთვის ნათესაობითსა და მიცემითს და მნიშვნელობით შეესატყვისება მოქმედებით ბრუნვასთან ხმარებულ -გ ან თანდებულს კითხვაზე საიდან? ზოგჯერ კი -კენ თანდებულს უდრის. მაგალითად: ისპანისაკე ქალაზი მოგუვიდა (=ისპანიდან); ჩავიყავ, ამოიღე ჯიბესაკე ფული (=ჯიბიდან), მაგრამ: თებსაკე გვევპარნეთყე (=მთებისკენ)³... ქვემოიმერულში ყენ თანდებულის გამოყენებისას ნათესაობითის ხ თანხმოვანი -ყ-სთან ერთად (სყ) წყ კომპლექსად იქცევა: სახლიწყენ, ტყიწყენ⁴.

ძვ. ქართულში კერძო, ეტყობა, თანდებულად ჩამოყალიბების პროცესშია. სახელის ბრუნვაში მართვის მხრით მას ჯერ კიდევ არ გააჩნია ისეთი ძალა, როგორც სხვა თანდებულეზს: სახელი მას ნაკლებ ანგარიშს უწევს ბრუნვაში. იგი თავისუფლად ერთვის უფორმო სიტყვებსაც. საშ. ქართულში იგი ნათესაობითთან უფრო განმტკიცდა და სისტემატურადაც იხმარება. ამავე დროს იგი დამოუკიდებლობასაც კარგავს და საკმაოდ ცვთება.

მასალათა ანალიზის მიხედვით კერძო-ს განვითარების ასეთი საფეხურები ჩანს: ჯერ ეკვეცება ო ხმოვანი: კაცისაკერძ (ამირანდარეჯ. 5), აფხაზთაკერძ (ქართ. ცხ. 224)... შემდეგში თითქოს ძ-ს დაკარგვითა და რ-სა და ნ-ს მონაცვლებით მიღებულ იქნა კენ: ხორასნისაკენ (ვისრ. 25)... უკანასკნელი სახით შემოვიდა იგი ახალ სალიტერატურო ქართულში.

საშ. ქართულის ძეგლებში არა ჩანს, ჯერძ დაიკარგა და შემდეგ რ-ს ნ შეენაცვლა, თუ ორივე პროცესი ერთდროულად მოხდა. იმის დადგენაც კი

¹ ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 196.

² შ. ძიძიგური, ქართ. ენის მთარაჯ. დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიმიკის მოამბე, II, გვ. 77.

³ არნ. ჩიქობავა, -ყენ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: წელიწდეული, გვ. 32-33; მისივე, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, VII, გვ. 214.

⁴ III. Дзидзигური, К характеристике нижнеимерского говора..., გვ. 126-127.

ჭირს, თუ ამ თანდებულმა როდის როგორი ცვლილება განიცადა. მაგალითად, ვეფხისტყაოსანში გვხვდება სამივე სახე: კერძო, კენ, კე.

კერძო-დან კენ-ის მიღება თითქოს ადვილად მტკიცდება: ბოლოში თანხმოვნისა და ხმოვნის მოკვეცა ჩვეულებრივი მოვლენაა (ეს სხვა თანდებულებსაც მოუვიდა), მაგრამ ერთგვარად ჭირს დასაბუთება რ — ნ. ეგების აქ შენაცვლება კი არ გვექონდეს, არამედ კერძო-დან უშუალოდ მიღებულ კე-ზე -5 — -ნა ელემენტის დართვა (შდრ. ზედან, შიგან, წინაშენ). გამოდის, რომ კე უფრო ძველი სახეა, ვიდრე კენ. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსანში კენ იშვიათია, კე კი ათეულს ითვლის.

ნ. მარტი კენ-ს უკავშირებს კედა-რო-ს, რომლის რა ელემენტი მას ჩაჩნურის მრ. რიცხვის ro-ს ფარდად მიაჩნია¹. აქვე კითხვაა დასმული—არის თუ არა ამის შესატყვისი კედელი. კედა-რო-სთან კენ-ის დაკავშირებას თითქოს მხარს უჭერს ხევსურულში კედ(ა) თანდებულის არსებობა: წამავე არხოტის კედა (ხევს. პოეზ. 105); სტუმრებ შინისკედ ვაწიე (იქვე, 277)... მაგრამ, როგორც ზევით აღნიშნეთ, ფაქტიური მასალა კერძო-სგან წარმოშობას უფრო ადასტურებს. ხევსურული კედ || კედა კი უნდა შეიცავდეს -და ელემენტს ისევე, როგორც შიდა, ზედა... და იგი (-და) ფარდი უნდა იყოს -ნა-სი (კე-და || კე-ნა, შდრ. ზე-და || ზე-ნა...).

კერძო თანდებულის კვალი ჩანს ზმნისართში ცალკე (-ცალ-კერძ — ცალკერძო). ცალკერძ საშ. ქართულში აღნიშნავს: ერთ მხარეს, ცალ მხარეს, ცალ მხრივ, ცალ კედაროს. მაგალითად: ჩემკერძ გამოხვალო (ამირანდარეჯ. 66); ხვაივი ცალკერძ დაგროვეს და ბზე ცალკერძ (სიბრძნე სიც. 148). ასეთი მნიშვნელობა კერძო თანდებულს სავსებით შეეფერება.

6. ებრ

ნ. მარტი თავდაპირველად ამ თანდებულს ყოფდა ორ ნაწილად: ებ (=суший) + რ (resp. რე =образ), მებრ ფორმაში კი მ განუსაზღვრელი მე (შდრ. ვინ-მე) ნაწილაკის ნარჩენად მიაჩნდა². შემდგომი უარყო მან ასეთი ახალიზი და ებრ-ს სხვაგვარი ახსნა მისცა: „Суффикс еbr цельное по происхождению иверское этнонимическое слово (ebr--ber или e-b[ur]), со значением, вскрываемым палеонтологически: дитя→род || образ (—:подобно, ‘подобный’)“³.

მ. ბრიერთან ერთად გამოცემულ ქართული ენის გრამატიკაში ნ. მარტი ამ აზრს ავითარებს და აღნიშნავს, რომ ებრ მიღებულია ბერ-ისაგან ბგერათა გადასმის საშუალებითო. აქვე შედარებულია ბერ — ებრ ხალხურ ფერ-თან და ამავე კონტექსტში მოყვანილია: უ-ებრ-ო⁴.

¹ Грамматика древнеит. груз. языка, გვ. 33.

² Тексты и разыскания по армяно-груз. филологии, VI, გვ. 97.

³ О кавказской версии библии в грузинских палимпсестных фрагментах: Тексты и разыскания по кавказской филологии, I, გვ. 52, №8. 2.

⁴ La langue géorgienne, გვ. 628.

-ებრ თანდებულის დაკავშირება ბერ-თან შეუძლებელია, რამდენადაც ბვერათა ისეთი გადასმა, რომ ბერ-ს -ებრ მოეცა, ფაქტიური მასალით არ დასტურდება. ებრ-ის გამოყოფა უ-ებრ-ო, უ-ებარ-ში კი საგნებით გასაზიარებელია.

მ. ანდრონიკაშვილი ებრ-ს ებარ-ისგან მომდინარედ თვლის და ასე შლის: ე+ბრ — ე+ბარ. მისი აზრით, ე ნაშთია ეს ჩვენებითი ნაცვალსახელისა, ბარ კი იგივეა, რაც სიტყვებში: თანაბარი (თანაწორი), ბარიბარი¹.

საბუთიანი ჩანს ებრ-ის სომხ. *իրს*-თან დაკავშირება².

ებრ თანდებული აღნიშნავს მსგავსებას. ზოგჯერ იგი უდრის ვით თანდებულს და სიტყვას მიხედვით. მთელი ქართულის მანძილზე ზოგჯერ მას ენაცვლება მსგავსად.

სახელს მართაქს ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად: განიკურნეს სიტყვასა ებრ... გრიგოლისა (ხანძთ. ნვჰ); შაქრისა ებრ ტკბილითა, ნავლიისა ებრ მწარე პასუხი შეუთვალა. (ვისრ. 28 ა—ა)... ლაპარაკი ლოცვისა ებრ... ესმოდა (ნინ. I, 69).

ზოგიერთ კილოში ებრ იხმარება მიცემითის დაბოლოებიან ნაცვალსახელთან: შენსეფე (-შენსაგებ—შენსაებრ), ჩემსეფე (-ჩემსაგებ—ჩემსაებრ) ³.

ებრ თანდებული ერთვის ფუძესაც. ბოლოხმოვნიანებს შეიძლება ბოლო ხმოვანი მოეკვეცოს: კულად განახლებად არს პირველებრ წელითა საბანისითა (ხანძთ. იღ—); ხრქუა მას ჰებრაელებრ (ქრესტ. 13¹⁰); სხუად სახედ ყრმებრ არა რაჲ ჰქმენ (შუშ. 40)... მის ბედნიერებას ცაებრ გასხივებული ძვირფასი თვალი აკლდა (გ. წერ. 67).

ებრ თანდებულიანი ფორმა ზოგჯერ სახელადაა გამოყენებული და იბრუნება კიდევ: ნუცა ეძიებთ ჯორციელებრსა. რასმე (ბოლნ. 21¹⁰); გულისაგან ნავლიისაებრი სიტყვა ამოყარა (ვისრ. 20¹⁰).

-ებრ რთულდება -ივ სუფიქსით და -ებრივის მქონე სახელი იბრუნება ჩვეულებრივ: ანგლხებრივითა მოქლქობითა (ბარლაამ. 122¹⁰); თოვლებრივ თეთრსა... (ილია, IV¹¹)...

ებრ-ს -ურ სუფიქსიც დაერთვის⁴: სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა (ქიაჩ. 30); ტანზე ნაცვამი ბევთარი ვაჟმა ფქვილებურ გაყარა (ხევს. პოეზ. 4).

საშუალსა და ახალ ქართულში ებრ თანდებული რ თანხმოვნის მოკვეციტითაც იხმარება: ზოგჯერ ზაფრანისაებრ გაყუთილდის (ვისრ. 172¹⁰); რკინის ქახრაკისებრ ავგრა ვეჭირე (ილია, 368)...

¹ ებრ სუფიქსი „ვეფხისტყაოსანში“ (წაკითხულია მოხსენებად სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდომაზე 1941 წელს).

² პრ. აჭარიანის მტკიცებით ებრ სომხურიდან არის შემოსული ქართულში, რადგანაც ებრივ-ში -ივ მომდინარეობს სომხ. *և*-ისაგან, რომელსაც აქვს ინდოევროპული წარმოშობა (*ლახერს არასოასსან რასიარს*). -ივ-ის დაკავშირება სომხ. *և*-თან საეჭვოა.

³ მ. ანდრონიკაშვილი, -ებრ სუფიქსი „ვეფხისტყაოსანში“.

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 114.

ებრ-ის პარალელურად მთელი ქართულის მანძილზე გვხვდება აგრეთვე მებრ: შჯულისამებრ მოსქისა (ხანმეტი, 382); სიტყვსამებრ (კიმ. 77 12), მოქმედებისამებრ (საქ. სიძე. III, 274)... მებრ ძველ ქართულში და ი. ქაეჭავაძესთანაც გამოყოფილია ხოლმე სახელისაგან და დამოუკიდებელი მნიშვნელობით იხმარება.

ი. გრიშაშვილს სამართლიანად აქვს შენიშნული, რომ მებრ ვ.ე-ს ამ შემთხვევაში ილია ხმარობს რუსული и тому подобный-ს მნიშვნელობით. გასაზიარებელი არაა ამავე ავტორის აზრი, თითქოს მებრ ვე სპარსული სიტყვა იყოს¹.

მებრ იგივე ებრ-ია, ოღონდ, როგორც მ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს, მარის მანაცვალსახელის ნაშთი².

7. გან

ადრე ნ. მარო გან-ში (ერთ-გან, სხუა-გან, ყოველ-გან) ძირისეულად გა-ს გამოჰყოფდა და სპარ. *gan*-ს (=ადგილი) უკავშირებდა, ნ (-ან) კი მეორე მიცემითის (D II) დაბოლოებად მიაჩნდა. 1929 წ. სხვა საკითხთან დაკავშირებით ნ. მარი კვლავ დაუბრუნდა ამ ძირის ანალიზს და იგი დაუკავშირა არაბულ *ḡanāb*-ს (=მხარე), ეგვიპტ. გამოთქმით: *ganāb*³.

უკანასკნელ ხანებში სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ იგი ქართველურ ენათა საერთო კუთვნილებაა. გან-ი თავდაპირველად აღნიშნავდა ადგილს. ეს მნიშვნელობა დაცულია გან თანდებულშიც: ყველგან, მისგან, თბილისითგან⁴...

გან თანდებულში გა ძირეული მასალა ჩანს, რომელიც სხვა თანდებულსა და ზმნისართშიც დასტურდება: გა-მო, გა-რე, გა-რე-შე, გა-რდა და სხვ. (შდრ. ი-გ-ი, ე-გ-ე, მა-გ).

გან სხვადასხვა სახეს იღებს კვლოებში. ხევისურულში მოქმედებითან: ზოგჯერ იგი გე-ს ფორმით გვევლინება: ადრი თგე თუშეთს მავალა? (ხევს. პოეზ. 63); ოვშობითგე შაუდეგ (იქვე, 211)... თგ — დგ: გათენები დგე წამოფა (იქვე, 89); დაბადები დგე (იქვე, 81)... ხან გე გართულებულია სანითაც: ადრი დგეს მიჩვეულია (ხევს. პოეზ. 288); სამი წლი დგეს ამ ალუდაურს თავი გაუნებებავ ყარაულობისად (ხევს. 175); სიკვდილი დგეს (იქვე, 160)... მ. ანდრონიკაშვილს დადასტურებული აქვს, რომ ხევისურულში გე ან გეს მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა იგი დროს გადმოსცემს ამავე კილოში გან თანდებულის გ თანხმოვანი გამკვეთრებულია კ-დ და იშვიათად ყ-დ «ბევრგან, სხვაგან, ყველგან» და სხვა ზმნისართებში: ბევრკან ბევრია თითოი (ხევს. 228); ქალი არა სჯობ სხვაკნური (ხევს. პოეზ. 245 *); შარცხენილი ხარ ყველყანა (იქვე, 245 *)... ვისრამიანშიც გვაქვს

¹ ილია და მებრვე: ლიტერატურული საქართველო, 1937, № 14 (36).

² ებრ სუფიქსი «ვედბისტყაოსანში».

³ Арабский термин hanif в палеонтологическом освещении: ИАН, 1929, გვ. 87.

⁴ ე. ბერიძე, სავან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4,

ერთი შემთხვევა კან-ის ხმარებისა: რომელი მისკან კიდე არავისგან გამს წყალობისა მოლოდნა.

გურულში გან თანდებული შეცვლილია გინ ფორმით დაწყებით ბრუნვაში: ვიზდგინ (←ვისითგინ) ეს საქმე მომხთარა; ჩემდგინ ნუფერს ნუელი და სხ.¹; აქართულში გან → ქან: ბაღნების ერთქან გაყვანა ვეოარ გაბედა; შეიყარეს ერთქან²... აშკარაა, ქმიღებულია თ-სთან პროგრესული ასიმილაციით.

ნათესაობით ბრუნვასთან გან თანდებული აღნიშნავს:

ა) განყოფას, მოცილებას, მოშორებას: შეუნიერთა დედისა და ძმისა გან მოგაშორა (ვისრ. 69)... ცხენი... ქოხისა გან საკმაოდ მოშორებით დაეყენებია (ყაზბ. 216)...

ბ) წყაროს, ვისგან ან რისგანაც ზმნით გამოხატული მოქმედება მომდინარეობს. მაგალითად: რწი იგი იშვა მარიამისგან (კიმ. 82); საძგზის... განძებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისგან (ხანძთ. 43ა-ბ); შენი ვარდი ანგელოზისგან დარგულია და ღმრთისაგან დაცული (ვისრ. 189); ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან (ილია, 306)... საერთოდ ვნებითი გვარის ზმნებთან ყოფ. ქვემდებარე -გან თანდებულიან უბრალო დამატებად იქცევა: სლიერი სამოსელი მამისაგან მოიქსოების (ბოლნ. 46ა); ახალ სალიტერატურო ქართულში ამ ფუნქციით ჩვეულებრივ მიერ თანდებულიანი სახელი იხმარება (გვ. 242).

გ) მასალას, რისგანაც რამე კეთდება: შექმენ მიწისაგან ქცი (Опис. 161); საზრდელად მისა იყო პური ქატო მსაგან ქრთილისა (საბა ას. 5ა); ქალაღი ქვისაგან აროდეს შეიქმნების და არცა ღუინო ღიმოსაგან (ვისრ. 272)... [ტარიელს] ბალახისაგან დაწული ქუდი დაეხურა (ქიან. 57)...

დ) მიზეზს: რწი ძრვისაგან დაეცა (Опис. 179)... აწრდილისაგან შენობები ჩაბნელიყო (გ. წერ. 105)... ამ მნიშვნელობით -გან თანდებულის მაგიერ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამო თანდებულიც იხმარება, ზოგჯერ კი მოქმედებითი ბრუნვაც შეენაცვლება.

ე) საშ. ქართულის ზოგიერთ ძეგლში, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანში, არაიშვიათად იხმარება -გან-იანი ნათესაობითი იქ, სადაც ახალ ქართულში უთანდებულო ფორმაა; მაგალითად: აქეს თავისაგან იმედი, ვიყვნეთ გულითა მშვიდითა (ვ. ტ. 1036; შდრ. ახ. ქართული: აქეს თავის იმედი); ავთანდილისგან შენცი იცი ჩემთვის თავისა დადება (იქვე, 1470).

ვ) საშ. ქართულში და სპორადულად მე-19 ს. რომანტიკოსთა ენაში გან თანდებული იხმარება უფროობით ხარისხთან. გან ერთვის შესადარებელ სახელს, ხოლო ზედსართავი ან უფროობითი ფორმითაა წარმოდგენილი, ან აღწერით. მაგალითად: ჰემზისაგან უმაღლესო კელმწიფეო (ვისრ. 132); ქარისაგან უმაღლე იარა (იქვე, 192); ერთგულთათვის მოწყალება გქირს, შაქრისგან უტკბილესი (შაჰნავაზ. 306); სიკვდილისაგან სიცოცხლე

¹ ს. ქდენტო, გურული კილო, გვ. 67.

² ჯ. ნოლაიდელი, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 32--33.

აწ ჩემი უფრო მწარეა (თეიმ. I, 21); ი რ მ ი ს ა გ ა ნ უ მ კ ვ ი რ ც ბ ლ ე ს ი ჯ ი ხ ე ფ...
შესცქერის მყინვარს (ალ. ჭავჭ. 20)...

პარალელურად გვხვდება უთანდებულო ნათესაობითიც: საჭმე მჭირს სი-
კვდილის უარესია (შაჰნ. II, 4312); დედოფლის უღამაზესი, მეფის
ცხენის უმსუქნესი და მეფის შევარდნის უმაღესი არ იქნების (სი-
ბრძნე სიცრ. 55)...

ამ შემთხვევაში საშ. ქართულშივე -გან-ის მონაცვლედ ჩნდება -ზე თან-
დებული და ბატონდება ახალ ქართულში: შ ა ქ ა რ ზ ე უ ტ კ ბ ე ს ი, ც ხ ე ნ ზ ე-
უმსუქნესი და სხვა (გვ. 216).

საშ. ქართულში გან თანდებულისა სახელს თუ მოსდევს ზმნისართი-
კიდე, მაშინ მას მნიშვნელობა აქვს გარდა თანდებულისა (ან მეტი-სა)..
მაგალითად: შენ გუელი ხარ, ცრემლისაგან კიდე არა იცი; შენ
მგელი ხარ, რომელ ვნებისაგან კიდე არას იქმ (ვისრ. 196); ღმრთი-
საგან კიდე ვინ იყო კაცი ამისად მსახველად! (ვ. ტ. 1180)... ამავე მნიშვ-
ნელობისაა ვიდრე უთანდებულო ნათესაობითანაც: მეფობისა ჩემისა კი-
დე რომელიცა მთხოვო, მოგცეო! (სიბრძნე სიცრ. 18).

გან თანდებული ერთვის მოქმედებით ბრუნვასაც. ძველი ქართულიდან
მოყოლებული დღემდის დასტურდება ფონეტიკური ცვლილების სამი საფეხუ-
რა: ით-გან--იდ-გან--იდ-ან (სოფლით-გან--სოფლიდ-გან--სოფლიდან). პირველი-
ფორმა ძვ. ქართულში ჩნდება, მოდის მე-19 ს.-მდის. და ზოგიერთ კილო-
ში დღესაც არის შემორჩენილი, მეორე საშ. ქართულში ვითარდება და ახალ
ქართულშიც იჩენს თავს, მესამე კი დასტურდება მე-18 ს.-ის ძეგლებში¹
და საბოლოოდ ბატონდება ახალ სალიტერატურო ქართულში. მაგალითად:
კახეთიდან (თეიმ. II, 102), ვაჭრობიდან (სიბრძნე სიცრ. 165ა)... იგა-
მე-18 საუკუნის დოკუმენტებშიც ჩანს: ერთის სოფლიდან მეორე სოფელში
ასახლებს (1786 წ.: საქ. სიძვ. I, 157); ერევიანიდან (1790 წ.: საქ. სიძვ-
III, 57); შამშადილიდან (1787 წ.: იქვე, 26)...

მოქმედებით ბრუნვასთან გან თანდებული აღნიშნავს:

ა) ადგილს, მოქმედების დაწყების პუნქტს და მიუგებს კითხვაზე
ხაიდან? მაგალითად: კიდი თგან ცხსაჲთ ვიდრე კიდემდე ცისა ეს¹ არს
(ხანძთ. 3211—12); გუემულ იყო ფერჯითა ბარკლითგან მისით (კიმ. 244 ა);
ჯურელითგან გუელსა გამოიყვანებენ (ვისრ. 59); კცი მოვიდა სტამბო-
ლითგან (საქ. სიძვ. I, 61)...

ძველსა და არაიშვიათად საშ. ქართულში არის შემთხვევები, როცა კით-
ხვაზე ხაიდან მოქმედებითის ნაცვლად გან თანდებულისა ნათესაობითია:
გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახ-
ლისაგან მამისა შენისა (ჰაბო, 641—2); ვრ გამოვდა უდაბნო მსაგან
(ხანმეტი მრავალთ. 24211—12); შუალამე ციხისაგან ჩამოვიდა (ვისრ. 295);
ყმა ცხენისაგან გარდიჭრა... (ვ. ტ. 1335)...

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიკის მოამ-
ბე, I, გვ. 57.

ძვ. ქართულში ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში კითხვაზე საიდან ერთგან უთანდებულ მოქმედებითია: აღმოვიღო წუელი იგი თუ ალით შენით (ხანმეტი, 376), მეორეგან კი გან-იანი ნათესაობითი: აღმოვიღე... თუ აღისაგან შენისა (იქვე, 379). არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინადადებაში ერთგვარი წევრებიდან ერთი უთანდებულ მოქმედებითი ბრუნვითაა წარმოდგენილი, მეორე კი—გან-იანი ნათესაობითით. მაგალითად: მოიწინეს... ძმანი ანტიოქიად იქმით და ქალაქისაგან ლუდისა (კიმ. 311—12)... ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანში კითხვაზე საიდან სპორადულად მიცემითი ბრუნვაც იხმარება: ...ცხენსა გარდახდა ასმათის მოსახვეველად (ვ. ტ. 1358); რა მოაბად ციხესა გაიყვანა ვისი, ცასა ერთი მზე სხუა მოემატა (ვისრ. 132)...

ბ) დროს კითხვაზე რა დროიდან? მაგალითად: იყო სიხარული დილითგან (კიმ. 61 ა); გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორება (ხანძთ. 36 ა); რამინის გული აღრიითგან წყლული იყო (ვისრ. 85)¹...

ცნობილია, რომ ძვ. ქართულში კითხვაზე საიდან ჩვეულებრივ უთანდებულ მოქმედებითი მიუგებდა. მაგალითად: გარდამოვარდა ზეციხ ქყნად (ბოლნ. 27 ა)...

უთანდებულ მოქმედებითი ამავე ფუნქციით საშ. ქართულშიც ხშირია: ყოვლით ქუეყნით... მეცნიერნი მოიყვანნა (ვისრ. 21); ტახტით გარდიჭრა (თეიმ. I, 55); ომით მოსრული ტარიელ საჭერეტად სასურველია (ვ. ტ. 475); მითთ ბარამდი უკლებლად თქუენთვის გუიბოძებია (საქ. სიძვ. III, 140)... იგი შემორჩა მთელ რიგ კილოებს (ხევსურულს; მოხეურს, ფშაურს, ინგილოურს, ფერეიდნულსა და მთარაქულს).

იჩვენება, რომ ძვ. ქართულში უთანდებულ მოქმედებითი მხოლოდ გამოსვლის, მოქმედების დაწყების პუნქტს გამოხატავდა და იგი დროის გადმოსაცემად ჩვეულებრივ არ იხმარებოდა². ისიც იჩვენება, რომ ამ ფუნქციით გან თანდებული აღრე მხოლოდ ნათესაობით ბრუნვასთან უნდა ხმარებულყო, მოქმედებითთან კი მისი გამოყენება შედარებით გვიანდელია. ამას გვაფიქრებინებს: 1. ძველ ქართულში გამოსვლის პუნქტს კითხვაზე საიდან უნაკლოდ გადმოსაცემდა ე. წ. დაწყებითი ბრუნვა (უთანდებულ მოქმედებითი); 2. ხშირად ამ ფუნქციას გან თანდებულიანი ნათესაობითი ასრულებდა; 3. გან თანდებულიანი მოქმედებითი დაწყებითის მნიშვნელობით ძველი ქართულის აღრინდელ ძეგლებში იშვიათია; 4. გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის პირველადი ფუნქცია დროის გამოხატვა იყო, შემდეგში მას აღვილის გადმოცემაც დაეკისრა.

¹ ამავე მნიშვნელობითაა, რომ მე-18 ს. დოკუმენტებსა და ზოგიერთი მწერლის ნაწერებში გვხვდება ძველადგან. მაგალითად: ძველადგანაც სახასი და ჩვენი ყმა ყოფილიყვნით (დოკუმენტ. 557); ძველადგან თქვენი სამკვიდრო იყო (საქ. სიძვ. III, 156); ძველადგან საბელგანთქმული (ბარათაშვ. 35); რაც კი ძველადგან გაუგონია (ნინ. I, 8). ისე კი ჩვეულებრივია ძველიდგან. სხვა შემთხვევა. ვითარებითთან რომ გან თანდებული იყოს ნახმარი, არ შეგვხვდებოდა. ჩანს, -გან აქ დაერთო ძველად ზმნისართს.

² იბ. ქ. ძოწენიძე, გან თანდებულიანი მოქ. ბრ. ფუნქციისათვის ძვ. ქართულში (აქვე).

8. დამ

მოქმედებით ბრუნვას ერთვის დამ თანდებულიც. იგი საშუალო ქართულში ვლინდება და გადმოდის ახალ ქართულში. გრამატიკულ ლიტერატურაში დამ მიჩნეული იყო გან თანდებულის სახეცვლად: ითვან—იღვან—იღან || იღამ (მარი, კარიჭაშვილი, ქუთათელაძე). ამჟამად უდავოდ გარკვეულია მისი გენეზისი არნ. ჩიქობავას მიერ¹. იგი წერს: „თუ -ამ-იანი წარმოება (სოფლიდ-ამ) -ან-იანს (სოფლიდ-ან) დაუეკავშირეთ, ის ამ უკანასკნელისაგან მიღებულად უნდა ჩავთვალოთ (და არა პირუტყუ)... მაგრამ თუ ეს ასეა, სახლიდამ, სოფლიდამ მას შემდეგლა შეიძლებოდა მიგველო, რაც სახლიდან, სოფლიდან-სახეობას მიაღწია მოვლენის განვითარებამ, ე. ი. ისტორიულად სახლიდამ, სოფლიდამ არ შეიძლება უხწრებდეს სახლიდან, სოფლიდან-ტიპს, ის მას უნდა მოსდევდეს. ნამდვილად კი -ამ- ტიპი ვაცილებით უფრო ადრე ჩნდება, ვინემ ის -ან, რომლისაგან მიღებულადაც ეს -ამ მიაჩნიათ“².

-დამ თანდებული მიღებულია დაღმა ზმნისართისაგან. ამ უკანასკნელმა გამარტივების პროცესში გაიარა რამდენიმე საფეხური: დაღმა || დაღმე — დამე (|| დამა) — დამ³. აი ორიოდე მაგალითი: რამინ კოშკი დაღმან... დაინახა (ვისრ. 300); საყრიდაღმენ... წარმოვიღეთ (ქართ. ცხ. 896); კბილი დაღმე... მარგალიტის ფერი გამოჰკრთის (თეიმ. II, 192); ჩამობრუნდა მთი დამ (შაჰნავაზ. 712)...

თ. ჟორდანიანი დამ-ს გამო თანდებულისაგან მიღებულად თვლიდა: წყლ-იდ-ამ = წყლ-ით-გამო⁴. ერთი შეხედვით დამ-ის ამგვარად მიღება ადვილი ჩანს და თავისი ფონეტიკური ცვლილებით მოგვაგონებს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისა და გან თანდებულის ცვლას (ითვან—იღვან—იღან); დაღმა || დაღმე—დამე—დამ პროცესი კი უფრო რთული და მრავალმხრივია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა სწორი, უკანასკნელი უარგვეყო, რამდენადაც მისი ისტორიული განვითარების ყველა საფეხური თვალნათლივი ჩანს. დაღმა || დაღმე — დამე — დამ ფორმები ისტორიულად დასტურდება შეცამეტე საუკუნეიდან მეთვრამეტემდის (ჩარიცხვით)⁵.

9. ურთ

მოქმედებით ბრუნვასთან გამოიყენება ურთ თანდებულიც. გენეტიურად იგი რიცხვით სახელს ერთ-ს უკავშირდება. ამ სახით გვევლინება იგი ძვ. ქართ. ურთიერთას-ში⁶.

ძვ. ქართულის ძეგლებში ურთ ხშირია, რაჲ კითხვით ნაცვალსახელთან, რომელიც კვლავ მოქ. ბრუნვაშია დასმული. მაგალითად: ვითარმედ... სპე-

¹ ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიშკის მოამბე, I, გვ. 55;

² იქვე, გვ. 57.

³ იქვე, გვ. 62—63.

⁴ ქართული გრამატიკა, გვ. 153.

⁵ არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული, გვ. 63.

⁶ H. Mapp, Грам., გვ. 33.

ტაკ არს და რა დათურთით სიშავს არა არს მისთანა (ფიზ. ვა—ი). სომხურ ტექსტშია: *Համակ սպիտակ է և ამჩინეს სხიւթիւն ի նմա ոչ ყոյ* (Она вся белая, и в ней нет вовсе черноты). ნ. მარია დათურთით ფორმას არქაულად თელის და შენიშნავს, რომ „она восходит еще к тому времени, когда ურთი, resp. *veru-, являлось заместителем ერთი“¹.

ზოგიერთ ძველ ძეგლში ურთ თანდებული მცდარი ანალიზის შედეგად თურთ-ად არის გაგებული და გვაქვს მაგალითები: სოფლებით-თურთ, ყოვლით-თურთ, ერთით-თურთ, ძალით-თურთ, წმიდით-თურთ (წარტყ. 72); ვცოდეთ, უფალო, მამით ჩუენით-თურთ (ქილ-ეტრ. 91v—ა)... გრამატიკის ზოგიერთ ავტორსაც თურთ მიაჩნდა თანდებულად (პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი). საეჭვოა, მათი მცდარი დასკვნის წყარო ყოფილიყო ძეგლების ზემოძოყვანილი შემთხვევები. დ. ყიფიანის ვაგებით თურთ პირდაპირ სახელობითს დაერთვის. აშკარაა, დასკვნა არასწორი ანალიზის შედეგია: მოქმედებითი ბრუნვის თ ელემენტი ურთ თანდებულს აქვს მიკუთვნებული².

საშ. ქართულის ზოგიერთ ძეგლში და ვაჟა-ფშაველას ნაწერებშიც აქა-იქ ურთ თანდებული თ მოკვეცილად იხმარება ზოლმე; მაგალითად: ღმერთმან თქვენცა გყვენს ძითურ გებულად (თამარიანი, XII, 76); ყოვლით-ურთ თქუენთინ... გვიბოძებით (საქ. სიძვ. II, 122)... სახლიც წაიღო ქერხოთურ (ვაჟა, IV, 53)...

ურთ თანდებული აღნიშნავს თან, ერთად, -იანად. მაგალითად: გარდამოვარდა ხატი იგი... სუეტითურთ (კიმ. 145—ა); ხ იჯ მოწაფითურთ განემორა მათგან (ჰაენეტი, 374); მე და უსენი შვილით-ურთ აწ ახლად დავიბადენით (გ. ტ. 1120)...

არაიშვიათად უთანდებულო მოქმედებითითაც არის გადმოცემული ეგვემნიშვნელობა. მაგალითად: აღმოვიდა ბაბილოვნით იშშად ცოლით-შვილით მისით (კიმ. 166 ბ); მისი ცოლი და შვილები ქალით და ვაჟით მოგართვით (საქ. სიძვ. I, 76)... ამიტომ გაუმართლებელი გეჩვენება კაცს პ. კვიციანის საყვედური ახალი მწერლების მიმართ, რომ ისინი არ ხმარობენ ურთ თანდებულს: „მოქმედებითს ბრუნვას ჯერდებიან და ერთი რამ უგვეანობა გამოდის, მაგ. „ერთი მანდილოსანი პატარა ქალით ბალში მოდიოდა“, „გლადსტონი თავის მეუღლით ნოთინგემში წავიდა“... თითქო პატარა ქალი, ან გლადსტონის მეუღლე ეტლი იყოს ან ცხენი“³.

ახალ ქართულში ურთ თანდებული მართლაც იშვიათად იხმარება; მის მაგიერ ხშირად გვხვდება ასეთი ფორმები: ცოლშვილიანად, ქალებიანად და სხ. ეტყობა, ასეთი ფორმები ურთ თანდებულს სრულიად განდევნიან ხმარებიდან.

¹ Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VI, გვ. XLIII.

² ვ. თოფურია, ბუნებრივი კომპლექსებისათვის: ენიკის მრამბე, I, გვ. 119.

³ ქართული სწორმეტყველება, გვ. 155.

10. მღე || მღის

ნ. მარის აზრით მღის || ღღე-ში მ მსაზღვრელი ნაწევარია, დი || დე კი თანდებული. ეს უკანასკნელი უკავშირდება ხუნძური ენის მიმართულებითი ბრუნვის დე—დი ნიშანს¹. ა. შანიძემ მართებულად მიიჩნია მღე || მღის თანდებულის ორ ნაწილად გაყოფა: მ+ღე, მაგრამ არ გაიზიარა ნ. მარის აზრი მათი წარმოშობის შესახებ. თვითონ სწორად წარმოგვიდგინა მღე თანდებულის გენეზისი: „მ მიღებული ჩანს მი-სგან, რომელიც სახელებში თანდებულად არის გამოყენებული, ზმნებში კი—ზმნისწინად“... (მი-ვიდა, მი-უკუნი-სამდე), დე კი ნაშთი უნდა იყოს ღღე სიტყვისა, „რომელიც თავდაპირველად ვითარებითის ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: ღღედ... მღე თანდებულის პირვანდელი სახე ყოფილა მი-ღღედ... მღის მიღებულია მი-ღის, ე. ი. მი-ღღის-აგან, ე. ი. ღღე სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან, რომელსაც წინ მი აქვს დართული“².

ძვ. ქართულში გაბატონებულია მღე, არაიშვიათია მღის, სპორადულად მღინ-იც გვაქვს. ზოგიერთ ძეგლში იგი მღ მღ სახითაც იხმარება. მაგალითად: მცენარე თამღ (ქებათა ქება, 911), ჟამღმღ (ფიზ. 33), ნათესავდმღ (ხანძთ. 3)... ამ შემთხვევაში მღ-სა და მღ-ს აღრევის შედეგია, თუმცა ნ. მარტი ფიქრობდა, რომ „иметь может, существовал тогда говор с такою особенностью, и форма послелога мღ (вм. დი resp. დე) соответственно древняя“³.

მღინ გვევლინება მაგალითებში: ეე შოალამემღინ (Опис. 182); მოიღო ნეტარებაჲ თესლითი-თესლამღინ (კიმ. 179ა)...

საშ. ქართულში მღინ უკვე სისტემატურ ხმარებაშია. აქვე გვხვდება მღი ფორმაც: სამხრამღი (ვისრ. 137), ქვეყანამღი (გ. ტ. 1374)... შაჰნამეში ხშირად მღინს გვაქვს. მაგალითად: საღამომღინს ორთავე ერთმანერთსა სცეს (II, გვ. 430ა); ძირით-თავამღინს მარმარილოთა ნაგები არის (424); კოჭთამღინს ჩასწვდებოდა (383); მთამღინს მიმიყვანეს (377)... შღრ. მტერის საქმისათვის და ძმის სიკვდილისათვის ნუ დაიღრეჯ (იქვე, 426)...

ამ შემთხვევებში ს-ს დანიშნულება არა ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მღინ და მღის—ამ ორი პარალელური ფორმის შერწყმის შედეგია: მღინ+ს (შღრ. თვინ და თვის — თვინ+ს); ცხადია, ს გვიანდელი დანართია. ასევე შერწყმის შედეგია საშ. ქართულში ნახმარი მღისინ: სამხრამღისინ (ამირან-დარეჯ. 47), შეყრამღისინ (შაჰნავაზ. 84)... ხოლო -ნ მოკვეცილია მღისი: ცამღისი (შაჰნ. II, 427); დაბლამღისი (შაჰნავაზ. 709)... -ნ(-ა) ელემენტ-დართულია მღენ: უკუნისამღენ (დოკუმენტ. 380)...

თითქმის ყველა ეს სახე შემოვიდა ახალ ქართულში: აქამღისინ (დ. კლდ. I, 152), მანამღისინ (არდაზ. 12); დილიდან საღამომღისინ არ მქონდა მო-

¹ Грам., გვ. 63—64; მისივე, Непечатный источник истории Кавказского мира: ИАН, 1917, გვ. 309.

² მღე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 369—371.

³ ТР, VII, გვ. LI.

სვენებაო (ხალხ.)... შემოდგომა მდინ (ილია, 346)... ხელმწიფე მდი (ილია, III, 36)...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია მდე და მდის.. პრესა (მაგალითად, გაზ. „კომუნისტი“) ცდილობს მდე გააბატონოს, მწერლები კი ერთსაც ხმარობენ და მეორესაც. კილოებში გვხვდება აგრეთვე: მდინ, მდი, მდენ, მდისინ, მდვინ. უკანასკნელში ვ-ს შ. ძიძიგური თვინის ანალოგიით ხსნის¹.

მდე || მდის მართავს ვითარებით ბრუნვას. ჯერ კიდევ ძვ. ქართულში ვითარებითი ბრუნვის სრული ფორმის პარალელურად მდე ხშირად დ მოკვეცილსაც ერთოდა. მაგალითად: აღსასრულ ამდე სოფლისა (ქრესტ. 5), შუა დღემდე (კიმ. 161)... საშ. ქართულის ადრინდელ ძეგლებში იშვიათად გვხვდება მდე თანდებულთან სრული ფორმის ვითარებითი (სიკვილა მდის — ვ. ტ. 610)... გრ. ორბელიანის ცადმდე (გვ. 89) არქაიზმია.

მდე || მდის თანდებულთან ვითარებითი ბრუნვის დ ელემენტის დაკარგვამ გამოიწვია ერთგვარი გაუგებრობა. ზოგიერთ გრამატიკაში აღნიშნულია, რომ მდე თანდებული ნათესაობით ბრუნვას დაერთვისო (დოდაშვილი², ქუთათელაძე³). ჰ. ფოგტის ქართული ენის გრამატიკაში ამდგ შეტანილია იმ თანდებულთა წყებაში, რომელნიც სახელობითა და მიცემით ბრუნვასთან იხმარებიან⁴.

ალ. ცაგარელი შეცდომით წერს, რომ მდე, მდინ თანდებული სახელობითს დაერთვის და ი-ზე დაბოლოებული სახელები ამ ხმოვანს ა-დ გადააქცევსო⁵.

ვითარებითში დ-ს დაკარგვის მიზეზი დასაბუთებული აქვს პ. კვიციანიძეს: „მდე ითხოვს ცვალებითს ბრუნვას: ქალაქადმდე... რათგან ორი დ-დ-ს გამოთქმა ენისთვის საძნელოა, ამისთვის პირველი მათგანი ფონეტიკურით სპობილა და ვამბობთ: ქალაქამდე“⁶...

მდე || მდის თანდებულის ფუნქციაა გამოხატოს „გარკვეულ პუნქტამდე მიწევნა“ ადგილისა, დროისა და რაოდენობის მიხედვით⁷. მაგალითად: მეორედ მოსლვადმდე ქრისტესა (ხანძთ. მპ 11); თმა კოქამდის ჩასდიოდა (თეიმ. II, 192); ჯარი მოკლა ოცამდისინ, რისხუა მათზე მოაწივნა (შაჰნავაზ. 240)...

მდე თანდებულის გამოყენებისას ზოგჯერ სახელს წინ ერთვის ვიდრე ან. კიდევ მი. მო ნაწილაკი: ვიდრე ცეცხლისა შეთხევადმდე ჰლოცვიდეს (სპევს. 335 ა); მისაზღვრადმდე ქალდიაჲსა (ჰაბო, 66 ა); მოაქამომ-

¹ ქართ. ენის მთარაჯ. დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II, 77.

² შემოკლებული ქართული გრამატიკა, გვ. 64.

³ პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, 121.

⁴ Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 56.

⁵ Сведения, I, вып. III, გვ. 74.

⁶ ქართული სწორმეტყველება, გვ. 154.

⁷ ა. შანიძე, მდე თანდებულის გენეზისისათვის, გვ. 362.

დე (ახ. ქართ. ცხ. 7); ხაზინა ჩემი გავრცელდა ვიდრე ოცდაათ თუმანამდის (არდაზ. 24)..

11. ვით

სხვებთან ერთად ჰ. ფოგტმა აღნიშნა, რომ ვით არის ვინ ნაცვალსახელის მოქ. ბრუნვის ფორმა¹.

სხვა თანდებულებთან შედარებით ვით თავისებურია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ირიბი ბრუნვების (მიცემითი, ნათესაობითი) გარდა სახელობით ბრუნვასაც ერთვის, რაც უჩვეულოა ქართული თანდებულისათვის და საერთოდ წინდებულების მქონე სხვა ენებისთვისაც; მეორეცაა, ეს თანდებული ბრუნვაში მართვის მხრივ განასხვავებს ბოლოხმოვნიან და ბოლოთანხმოვნიან სახელებს ერთმანეთისაგან. ალბათ ამით აიხსნება ის ეჭვი, რომელიც ადრევე იყო გამოთქმული გრამატიკულ ლიტერატურაში მისი თანდებულობის შესახებ (ქარიშვილი, იოსელიანი, ჩუბინაშვილი).

მართლაც, საშ. ქართულში ვითა ზმნისართი იყო, იგი კავშირის ფუნქციასაც ასრულებდა, მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა თანდებულის მოვალეობაც შეესრულებინა. იგი სიტყვას ყოველთვის წინ უძღოდა. ახ. ქართულში მას ამოეკვეცა და აღნიშნული სამი ფუნქციიდან უკანასკნელია შემორჩა და ჩვეულებრივ სახელის შემდეგ მოექცა. ზოგიერთ კილოში ვითს ეკვეცება ბოლო თანხმოვანიც: შაშვივი (ხევს. პოეზ. 106), ტურასვი, კდარვი, ჩემსვი (ინგილოური)².

საშ. ქართულის ადრინდელ ძეგლებში ვითა, როგორც თანდებულმა, არა ჩანს. მაგალითად, ვეფხისტყაოსანში იგი მხოლოდ კავშირისა და ზმნისართის ფუნქციას ასრულებს. შაჰნამეში მეტადინდება მისი თანდებულად ქცევის ტენდენცია. აქ მას ადგილი უცვლია, სახელის შემდეგ გადასულა, მაგრამ სახელს ჯერ კიდევ არ შერწყმია. მაგალითად: მიწის პირი სისხლის ზღვა ვითა ღელვიდა (II, გვ. 422); გაგზავნილი, ქარი ვითა, წავიდა (იქვე, 402); მოკაზმეს ქალაქი სამოთხე ვითა (იქვე, 400); სისხლი რუ ვითა ვადინოთ (იქვე, 426) და სხ. მთარაჭულში ფუძემოვნიან სახელებთან ასეთი ფორმები ღელსაც იხმარება: ხე ვით, მზე ვით, გუნდა ვით³.

კავშირად ხმარებისას ვით ყოველთვის წინ უძღვის სახელს. ამიტომ სწორედ ადგილის შენაცვლება უნდა იყოს პირველი ნიშანი მისი გათანდებულეზისა.

ვით თანდებული იმასვე აღნიშნავს, რასაც სიტყვა როგორც: მიუთითებს მსგავსებაზე. იგი სამ ბრუნვასთან იხმარება: ბოლოხმოვნიან სახელებსა და ნაცვალსახელებს მხოლოდ მიცემით ბრუნვაში დაერთვის, ბოლოთანხმოვნიან სახელებს კი—მიცემითსა, ნათესაობითსა და სახელობითში. მაგალითები: ვით მიცემით ბრუნვასთან: დედასავით უყვარდი (ვისრ.); შაქრის ყი-

¹ Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 64.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძველი საქართველო, II, გვ. 232.

³ შ. ძიძიგური, ქართ. ენის მთარაჯ. დიალექტის თავისებურებანი, გვ. 77.

ნულსავით ტკბილად შეგაბეროთ (ილია, 3⁵⁴)... ნათესაობითან: ერთი თუთი ჰყვანდა, ადამიანისსავით ლაპარაკხედ გაწვრთვნილი (თეიმ. II, 159), შვილისსავით გაფხარდეთ (საქ. სიძე. II, 53); ხევის ბერი სავით (ილია, 475), გიჟისსავით (ყაზბ. 102)... ბოლომომვნიანთანაც: დედისსავით (ილია, III, 52)...

გრამატიკის ზოგი ავტორი ცდილობდა შემოეღო ვით თანდებულის ხმარების გარკვეული წესი. ასე, მაგალითად, ს. ხუნდაძის მიხედვით „თუ თანდებული ვით ი-ზე დაბოლოებულ სახელთან არის ნახმარი, მაშინ ხან სახელობითს თხოულობს და ხან მიცემითს; მაგალითათ: ეს ბავში ყურდგელივით ზის, ამ ბავშს ყურდგელსავით სძინავს.—ამ შემთხვევაში ვით იმ ბრუნვას თხოულობს, რომელშიც ქვემდებარეა დასმული, ე. ი. აქ ბრუნვა შემასმენელზეა დამოკიდებული“¹.

ასე მსჯელობდა ი. ნიკოლაიშვილიც².

მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, რომ ვით თანდებულის მიერ ბრუნვის მართვა სრულიადაც არაა დამოკიდებული შემასმენელზე. წინადადებაში თანდებულს შეუძლია ბრუნვა შეიცვალოს: სახელობითის მაგიერ მიცემითს დაერთოს და პირიქით, მაგრამ სინტაქსურად და მნიშვნელობის მხრივაც მდგომარეობა არ შეიცვალოს³.

II. ცალკე მდგომარეობაში

1. გამო

გამო თითქოს იშლება: გა+მო. გა ალბათ იგივეა; რაც: გან ზმნისწინი და თანდებული. გა წარმოდგენილია ზმნისართებში: გა-რე; გა-რე-მო, გა-რე-შე, გა-რ-და (-გა-რე-და), გა-რ-ნა (-გა-რე-ნა). მეორე ნაწილიც მო იგივეა, რაც წინდებულ-თანდებული და ზმნისწინი მო (მო-ვიდა, მო-აქამომდე, ჩემდამო; შდრ. გარშე-მო, გარე-მო, ზეგარდა-მო).

ძველსა და საშუალ ქართულში გამო მოქმედებით და ნათესაობით ბრუნვასთან იხმარებოდა. ბრუნვათა მიხედვით ამ თანდებულის ფუნქციაც განსხვავებული იყო. მოქმედებითთან, კითხვაზე სააღიან ადგილს, გამოსავალ პუნქტს აღნიშნავდა, ნათესაობითთან კი, კითხვაზე რის გამო, რა მიზეზით—მიზეზის გარემოებას გადმოსცემდა.

მაგალითად: მოქმედებითთან: ჯამაჰსყო ზეცით გამო (ჰაემეტი, 369); დაჯდა და ასწავებდა ერსა მას ნავით გამო (იქვე, 383); მუნ ხმა იყო ღრუბლით გამო (თეიმ. II, 31)... ნათესაობითთან: ხაწამის იუდაჲს გამო ამიერ ვიდევნები (ქრესტ. 52ა)...

გამო თანდებულის შედგენილობიდან ჩანს, რომ თავდაპირველი მისი ფუნქცია გამოსავალი პუნქტის გადმოცემა უნდა ყოფილიყო, მიზეზის გარემო-

¹ ქართული გრამატიკა, მეორე გამოცემა, 1907, გვ. 52.

² ქართული ენის გრამატიკა, 1927, გვ. 105.

³ დაწვრილებით თ. შარაძენიძე, ვით თანდებული ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X.

ების ფუნქცია კი უფრო გვიანდელია. შემდეგში პირველი ფუნქციის გადმოცემა გან თანდებულიან მოქმედებითს დაეკისრა (რაც ისედაც ჰქონდა) და ახ. ქართულში გამო-ს დაუმკვიდრდა მეორე—მიზეზის გარემოების აღნიშვნა. მაგალითად: კუჭის სისუსტის გამო ყურძნის ჭამა აკრძალული ჰქონდა (აკაკი, 378); ჩემის ერთგულობის გამო ბევრს შევძულდი (ილია, 349)...

2. შორის, შუა

ძვ. ქართულში ორი სახით იხმარება: შორის, შვენი. ნ. მარი ამ თანდებულს უკავშირებს *შოვარ || შუვალ — *შუვან ფუძეს. ამასთან ერთად ავტორი ასახელებს ახალ ქართულში შენახულ შვან-ა-ს, რომელიც მომდინარეობს შუვან-იდან და რომლის პარალელური ფორმაა შუალ (განსხვავება ბოლოკიდურ თანხმოვნებშია), ხოლო ეს უკანასკნელი იგრძე ფუძეა, რომელიც გვაქვს საშუალ-ო-ში. ჯერ კიდევ ძვ. ქართულში დაიკარგა ბოლოკიდური ნ || ლ და მივიდეთ შუა, აქედან დიალექტური შვა(ში). ავტორი ამ შვა-ს ახალ ქართულის ფორმად წარმოგვიდგენს. ნ. მარის აზრთა მსვლელობა სქემატურად ასეთია: შოვრის — *შოვარ || შუვალ — *შუვან; ამასთან დაკავშირებით: შვან [— *შუვან] || შუალ (—სა-შუალ-ო) — შუა — შვა¹.

ადგილის მიხედვით ახალ ქართულში შორის თანდებული ჩვეულებრივ სახელის შემდგომ იხმარება, ძვ. ქართულში კი იგი უფრო ხშირად სახელის წინ იყო, ხოლო მესამე პირის ნაცვალსახელთან (მხ. რიცხ.) ჩვეულებრივ სახელის შემდეგ ჩანს.

მართვის შხრით ყველს სახელს მიცემით ბრუნვაში მოითხოვდა, III პ: ნაცვალსახელს კი — ნათესაობითში. მაგალითად: დამკვდრებულ არს ღმერთი მის შორის (კომ. 234 აა—აბ); შიში მკვდრ იყო მის შორის (ხანძო. იბ*);... ამგვარსავე შემთხვევებს ვხვდებით საშუალსა და ახალ ქართულშიც.

ახალ ქართულში ბოლოთანხმოვნიანი სახელი ზოგჯერ კარგავს მიცემითის ნიშანს. მაგალითად: ოთახის კედლებ შორის მომწყვედული თინა შიშისაგან გამხდარიყო (ქიაჩ. 27).

შორის თანდებული აღნიშნავს ადგილს: მდინარე უსხლისაჲ დიოდა შორის ქალაქსა (წარტყ. 81); დადგა შორის საჯუმილსა მას (თეგ. 105); არაგინ არს ნათესავსა შენსა შოვრის, რლსა ჰრქვან სახელი ეგე (ჰაემეტი, 381); შეიქმნა დიდი თქმულობა მეფესა, ვაჭირსა და რუქას შორის (სიბრძნე სიცრ. 70 აა)... დადგა დედასა და შვილს შორის მძიმე სიწუმე (გ. წერ. 81)...

მოგვიანო ქართულში ამ ფუნქციით ხშირად შუა || შუვა-ც იხმარება და ზოგჯერ სცვლის კიდევ მას. მაგალითად: ცასა და ქვეყანას შუვა (საქ. სიძე. I, 139 აა); ჩვენს შუვა (გურამ. 202 აა)... ჩამოვარდა შური კახ ბატონსა და... სვიმონს შუა (ქართ. ცხ. 956); სოფელში გაზრდილ და ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა (აკაკი, 350)... 1647 წ. იმერულ დოკუმენტში

¹ Грам., გვ. 33—34.

დასტურდება შვა-ც: ამა ზღურების შვა შენტვის გვიბოძებია (დოკუმენტ. 674).

შუა ჩვეულებრივ ორ სახელს შორის გვევლინება, ერთ სახელთან კი მაშინ შეიძლება იყოს, თუ იგი მრავლობითია¹.

ადგილის აღსანიშნად ძვ. ქართულში შორის-თან ერთად გამოყენებულია აგრეთვე საშუალ || საშუვალ. მაგალითად: ვბოვეთ საშუვალ. ქალაქსა ორას სამეოც (წარტყ. მგჟ); რ' მდინარს ცეცხლისად დის საშუალ მათსა (ბოლნ. 73)...

შუა-ც სახელს მიცემითში დაერთვის, მაგრამ ახ. ქართულში არაიშვიათია მისი ნათესაობით ბრუნვისთან გამოყენების შემთხვევა. მაგალითად: ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული (აკაქი, 288). ორი სახელიდან ზოგჯერ ერთი მიცემითშია და მეორე ნათესაობითში: რომელ არს ძალისა და ჯაბურს შუა (ახ. ქართ. ცხ. 52¹¹⁻¹⁴).

ახ. ქართულში შუა თანდებულთან ბოლოთანხმონიანი სახელი ზოგჯერ კარგავს მიცემითის ს ნიშანს. მაგალითად: წარბებ-შუა (ილია, III, 99); ადგილებ შუა (ყაზბ. 22); ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა (ილია, 306)...

მ. თზნიერ

თზნიერ შოდის ძვ. ქართულიდან მოყოლებული თითქმის მე-19 ს.-მდის ახალ ქართულში მას შეენაცვლა გარდა. მისი შედგენილობა ასეთია: თუინ-იერ. თუინ ეფარდება თუის-ს და იშლება თუ ძირად და ინ ფორმანტად (გვ. 223), იერ კი იგივეა, რაც მ-იერ, მაგ-იერ, იმ-იერ-ში გვაქვს. ნ. ნაირით ერ ← *ჰერ || *ჟერ², რაც სწორი არ უნდა იყოს. ნამდვილად იერ — იჯერ (შდრ. ძლივ: ძლიერ).

თზნიერ ყოველთვის სახელის წინ იხმარებოდა, მართავდა მას ნათესაობითში და აღნიშნავდა იმასვე, რასაც ამჟამად გარდა; გარეშე, უმისოდ (საბა). მაგალითად: ვ'რმცა გამოვიდა მუცლისაგან შვილი თზნიერ მამაკაცისა (კიმ. 179²⁰⁻²¹); რამცა მოუვლინა ნეტარი იოვანე თზნიერ შფოთისა. ანტიოქელთაგან (ქრესტ. 55⁸); არღა-რა იზრახებოდა სხუაენა ქართლსა შინა, თზნიერ ქართლისა (ქართ. ცხ. 32²⁴⁻²⁶)...

ზმნისართადაც გამოყენებულია ზოგ კონტექსტში თზნიერ. მაგალითად: მოსრეს ყოველი ნაღესავი მათი, თზნიერ დაშოეს ორნი შვილნი მათნი (ქართ. ცხ. 58²⁶⁻²⁷)...

საშ. საუკუნეთა დოკუმენტებში თზნიერ-თან გვხვდება კიდე დართული-გან თანდებულნიანი სახელი. მაგალითად: არავინ გვიბძანებია მშლელი და მაცილებელი თვინიერ თანადგომისაგან კიდე (დოკუმენტ. 151); ნუ მოუშლით თვინიარ (sic) შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე (იქვე, 137) (გვ. 230).

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, გვ. 64.

² Грам., გვ. 32.

მნიშვნელობის გასაძლიერებლად თჳნიერ-ისგან მაროულ სახელს ზოგჯერ ემატება მეტი: არავინ იყოს ამისი მცილე და მოდავე თვინიერ ღთის მეტი (საქ. სიძვ. I, 140)...

4. გარდა

გარდა საშ. ქართულში გამოვლინდა. ძველი ქართულის ძეგლებში იგი არ იყო: იქ თჳნიერ იყო გამოყენებული.

გარდა გენეტურად გარე-ს უკავშირდება. ნ. შარის აზრით, გარ (—კარ) ძირმა, რომელიც თანდაპირველად კარებს აღნიშნავდა, მიმართულებითში მოგვცა გაქვავებული ფორმა: გარდა¹. სინამდვილეში კი იგი სხვაგვარი შედგენილობისა ჩანს: გარდა — გა-რე-და (ასევე: გარნა — გა-რე-ნა). ძირეული მასალაა გა (შდრ. გა-რე, გა-მო).

გარდა-ს ადგილი თავისუფალია: სახელის წინაც იხმარება და შემდეგაც. როცა მოსდევს სახელს, უკანასკნელი მიცემით ბრუნვაშიც შეიძლება იყოს და ნათესაობითშიც. მაგალითად, მიც.: ნასყიდობის წიგნს. გარდა ერთი ხმალი გიბოძეთ (დოკუმენტ. 561); მამულს გარდა რაც ნივთი დარჩება, სწამდ გაიყოფა (საქ. სიძვ. III, 139)... მცირეოდენ ნაწილს გარდა, ყველამ იცოდა (ნინ. I, 45)...

ნათ.: საყდრის ყმის გარდა... ნურას კაცს ნუ დაანებებ (დოკუმენტ. 587); სიკვდილს არჩევდა, ვინემ ლევანის გარდა სხვას მისთხოვდებოდა (ქიან. 71)... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს/ვე ჩვენებით ნაცვალსახელთან გარდა ჩვეულებრივ მიცემითთან და ზოგჯერ ნათესაობითთან იხმარება; ის/იგი ნაცვალსახელთან კი—ნათესაობითთან. მაგალითად: ამას გარდა ცხენი მოუკუდა (საქ. სიძვ. III, 88); ამას გარდა რაც წლის ჭირნახული ჰქონდა, მესამედი გამოიღო (გ. წერ. 15)... ამის გარდა ესეც მოტყუებით მომიხდა (საქ. სიძვ. 159)... მაგრამ: იმის გარდა... კიდევ სხვა გამოგვერთოს (საქ. სიძვ. I, 154); მის გარდა ყველა მასწავლებელს ვუყვარდი (აკაკი, 396)...

გარდა თუ წინ არის, სახელს ყოველთვის ნათესაობითში მოითხოვს: ყოველივე კეთილად შეიცვლება, გარდა დედის... სიკვდილისა (გრ. ორბ. I, 10); ეს ბავშური სცენები... სუყველას მოეწონა გარდა მოურავისა (აკაკი, 384)...

თუნდაც თანდებულსა და მის მიერ მართულ სახელს შორის რამდენიმე მსაზღვრელი ჩაერთოს, ნათ. ბრუნვაში მართვა მაინც არ არის დარღვეული. მაგალითად: გარდა დარეჯან ბატონიშვილის უფროსი ვაჟისა, უკანვე დააბრუნეს გზიდან (აკაკი, 358)...

საშ. საუკუნეთა ძეგლებში, უმააგრესად კი დოკუმენტებში, გარდა-თი მართულ ჩვენებით ნაცვალსახელს და კავშირი შეერწყმის და ვიღებთ: ამას-დაგარდა. მაგალითად: ამას დაგარდა... ბრძანებულ ვიქმენით... და აღვასრულეთ სიტყუა (საქ. სიძვ. II, 101²²⁻²⁴); ამას დაგარდა სხვა გამოსაღები არც არა თქვენა გათხოვით (დოკუმენტ. 387)... ამავე ძეგლებში გარ-

¹ Грах., 32, 165.

და თანდებული ნათ. და ნანათესაობითარ ვითარებითშიც გვხვდება. მაგალითად: კიდევ ამას გ ა რ დ ა ი ს შეგიწყალეთ (საქ. სიძვ. II, 277); ამას და გ ა რ დ ა ი ს ა დ... (დოკუმენტ. 124)...

5. წილ

მოდის ძველიდან მოყოლებული მე-19 ს.-დის. მას ვხვდებით ნ. ბარათა-შვილის, გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ზოგიერთ ლექსში, ვითარცა გარდმონაშთს. მაგალითად: სატრფოს ცრემლის წილ... დამეცემიან ციურნი ცვარნი (ბარათაშვ. 29 ა); შენ წამლის წილ მყის მომაპყარ დანა გულს (ა. ჭავჭ. 3); ღვინის წილ—კვასი, მზისა წილ—ყინვა (გრ. ორბ. 34); ტკბილის წილ ხმასა მწარეს ნალვლით საესე ნალვლად ვისმენ (აკაკი, 48)...

თანამედროვე ქართულში ხმარებაში აღარაა, თუ არ ძველ გამოთქმებში: სისხლი სისხლისა წილ; თვალი თვალისა წილ.

წილ თანდებული ყოველთვის სახელის შემდგომ იხმარება და მას მართავს ნათესაობით ბრუნვაში. წილი სახელია. ამიტომ ბუნებრივია, რომ მის მიერ სახელის მართვა ისეთივე ხასიათისა იყოს, როგორც სახელის მიერ სახელის მართვა. იგი სახელის მნიშვნელობით ღღესაც ცოცხალია-ადიშის ოთხთავში ვკითხულობთ: ხოლო ჯუარს-აკუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი წილით, რადთა აღესრულოს თქმული წინაწარმეტყუელისაჲ: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა წილ იგდეს (მთ 27, 35): წილ იგდეს=ახ. ქართულით წილი ყარეს.

წილი საშუალსა და ახალ ქართულში იხმარება კუთვნილი ნაწილის მნიშვნელობით. მაგალითად: თვისი წილი მამული... ძმისწულებისათვის მიეცა (საქ. სიძვ. II, 108:—ა); დედაჩემს თვისი წილი გაუგზავნე (ილია, 320)... წილ-ს შეიცავს ნაწილი და ორივე ერთი და იგივეა ამ წინადადებაში: შენი წილი და ნაწილი გულდან გასაყო რჩებისა (ხევს. პოეზ. 19)...

დოკუმენტებში წილ-ს ზოგჯერ ენაცვლება კერძი. მაგალითად, გიბოდეთ... ბეჟანის კერძი (=წილი) მამული (საქ. სიძვ. II, 67)...

წილ თანდებულის ფუნქციაა გამონატოს მაგივრობა და უდრის მაგიერ, ნაცვლად. მაგალითად: სიყუარულისა ჩემისა წილ მასმენდეს მე (ქრესტ. 437); ახარეთ რაქელს გოდებისა წილ გალობაჲ (სასულ. ძბ); დაჯდა მის წილ ძმ მისი (ჭაბო, 63 ა); ძვლისა წილ სპილენძი ჩაუგდევ (სიბრძნე სიცრ. 95)... ნაწილობრივ საშ. ქართულში, მთლიანად კი ახ. ქართულში წილ-ის ფუნქციას ასრულებს ნაცვლად და მაგიერ.

6. წიალ

შედგენილობით არის წი+ალ: წი იგივე ჩანს, რაც წინ, წინაშე თანდებულებშია, ალ კი ცნობილი პრევერბია. იგი გამოყენებულია ძველსა და საშუალ ქართულში, ახალმა ქართულმა არ იცის. წიალ ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ ძველსა და საშ. ქართულში საესეებით არც კი იყო ჩამოყალიბებული თან-

დებულად. მას უფრო მეტად ზმნისართული მნიშვნელობა ჰქონდა და ამავე დროს იგი არცთუ ხშირად გამოიყენებოდა.

წიალ თანდებული მიცემითსა და ნათესაობითთან გვევლინებოდა. იხმარებოდა ჩვეულებრივ წყალთან (ზღვასთან, მდინარესთან) დაკავშირებით და აღნიშნავდა ადგილს. მაგალითად: მოვიდა წიალ ზღუასა მას (პაემეტი, 374); განვიდა ქვემოთ კერძო წიალ მდინარისა მის (ქართ. ც. 917)... ამიტომაც, ა. შანიძე ვარაუდობს, რომ „ეს წიალ წარმომდგარი ჩანს წყლის აღ-ისაგან“¹.

7. მიერ

ამ თანდებულის მნაცვალსახელური ძირია, იერ კი რთული სუფიქსაა: -იერ (გვ. 239).

სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში და აღნიშნავს ვისგან ან რისგან ხდება მოქმედება, ვისი საშუალებით წარმოებს მოქმედება, მიუთითებს მოქმედების ჩამდენზე. მაგალითად: კანჯარი... მოივლინა ოლისა მიერ (კიმ. 14312); ვარსკულავისა მიერ ეუწყა შობაჲ (სასულ. 171103)...

ამ ფუნქციით განსაკუთრებით საშ. ქართულში ხშირად გან თანდებული იხმარება (გვ. 229).

არაა სწორი, თითქოს ეს თანდებული ძე. ქართულში მოქმედებით ბრუნვასაც ერთოდა (ნ. მარი და მ. ბრიერი)². ამ შემთხვევაში ალბათ მხედველობაშია მიღებული ასეთი მაგალითები: გარდამოვედით მიერ კლშკით (კიმ. 30); გარდამოვიდოდა იგი მიერ ტაძრბთ (ბოლნ. 55ა). ასე რომ იყოს, მაშინ მიერ ვითარებით ბრუნვასთანაც უნდა გვევარაუდებინა. მაგალითად: რათა განუტეოს... მიერ ქუეყანად აფხაზეთისა (ჭაბო, 65ა). ფაქტიურად აქ მიერ ზმნისართია; იგი დამოუკიდებელი მნიშვნელობისაა. ძველ ქართულში მიერ-თან ერთად იხმარებოდა მაგიერ და ორივეს ფარავს სომხ. *անտի, აკიჩ* ზმნისართები.

თ. ჟორდანიასა და არ. ქუთათელაძის მიერ ასევე უმართებულოდ არის გამოცხადებული თანდებულად ამიერ და იმიერ ზმნისართები³.

8. მაგიერ

მა-გიერ ისეთივე შედგენილობისაა, როგორც მ-იერ (მა-გ ნაცვალსახელური ძირია).

თანდებულის ფუნქციით და იმ გაგებით, როგორც მას ამჟამად აქვს, საშ. ქართულში ვლინდება⁴. იგი ნიშნავს ნაცვლად. ძე. ქართულში სწორედ ეს უკანასკნელი იხმარებოდა მაგიერ-ის ადგილას.

¹ ქართ. გზამ, საფუძელ. I, გვ. 255.

² La langue géorgienne, გვ. 343.

³ თ. ჟორდანიას, ქართული გრამმატიკა, გვ. 155; ა. ქუთათელაძე, პირველდაწყებითი ქართული გრამმატიკა, გვ. 121.

⁴ ძე. ქართულში კი თითო-ორჯოა შემთხვევა ამისა: ჰრქუა მეფისა მაგიერ (კიმ.

სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში: ქება. შეასხა რამინს და აგრე მიუწერა ვისის მაგიერ (ვისრ. 204^ა—^ა)... კაცის მაგიერ ტომარა ჩამოჰკიდეს (ილიც, III, 15)...

ჩემ ნაცვალსახელთან მაგიერ-ის შერწყმისას მოსალოდნელი ორი მდანი ზოგჯერ ერთი მჩიება. მაგალითად: მოაწენე ჩემ მაგიერ რამინს (ვისრ. 299); აგრე უთხარ ჩემ მაგიერ (იქვე, 28^ა); შდრ. ჩემს მაგიერ მათ კაცთა უთხარ (სიბრძნე სიცრ. 103).

დოკუმენტებში დასტურდება მაგიარ და მაგიარად (როგორც ეს მთის კილოებშია: იერ — იარ): ხუთი თუმანი ზაალის წილის ყმის მაგიარ გეელო (დოკუმენტ. 593); სხვა საჩუქრის მაგიარად თქვენ გაჩუქეთ ერთი კუბლი (sic) ნაცვალაშვილი მოძღვარა (იქვე, 178)...

მ. მიმართ, მომართ

ამ თანდებულებში მი და მო გამოიყოფა და შერჩენილი აქვს მიმართულების მნიშვნელობა.

ძვ. ქართულიდან მოყოლებული დღემდე დაცულია წესი, რომ პირველი პირის ნაცვალსახელთან (ჩემ, ჩენ) მომართ იხმარება, მეორე და მესამესთან კი — მიმართ, თუმცა ეს წესი ზოგჯერ ირღვევა: პირიქითაც გვხვდება.

მიმართ და მომართ ჩვეულებრივ სახელს მოსდევს ხოლმე, ძვ. ქართულში სპორადულად მის წინაც იხმარება. მაგალითად: მიმართ აპოლონისა (კიმ. 136^ა); მიმართ ღთისა (Опис. 29) და სხ.

ძვ. ქართულში ერთვის ნანათესაობითარ ვითარებითსა და ვითარებითს, თანამედროვე ქართულში კი მხოლოდ ნათესაობითს, ორივე შემთხვევაში აღნიშნავს მიმართულებას. მაგალითად: ილოცა ღთისა მიმართ (კიმ. 34^ა)... აღუტევებდა ჳმასა ცად მიმართ (ანტიოქ. 86^ა); [არისტო] უკან გამობრუნდა გინებითა და ლანძღვით მასპინძლის მიმართ (დ. კლდ. 182)...

III. ზმნისართული თანდებულებანი

ქართულში ერთი წყება ზმნისართებისა თავისუფლად ითავსებს თანდებულის ფუნქციასაც. ესენი სინტაქსურად არ განსხვავდებიან მათგან: თანდებულების მსგავსად უშუალოდ დაერთვიან სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში და ჰკარგავენ დამოუკიდებლობას.

ზმნისართში თანდებულის ფუნქციის შეთავსება სრულიად ბუნებრივია, რადგანაც რიგი თანდებული და ზმნისართი ლექსიკურად ერთია. შემთხვევითი არაა, რომ როგორც ქართულში, ისე სხვა ენებშიც, თანდებულთა ფუნქციით მხოლოდ ადგელისა და დროის ზმნისართებია გამოყენებული, სხვები კი არა, რადგანაც ისინი ლექსიკურად არ შეესატყვისებიან თანდებულს.

თუ კი ზოგიერთი ზმნისართი თანდებულად გამოიყენება, რით უნდა განვასხვაოთ ეს ორი გრამატიკული ერთეული — ზმნისართი და თანდებული ერთმანეთისაგან? სხვა ნიშნებთან ერთად მთავარია ბრუნვაში მართვა. თანდებული სახელს მართავს ბრუნვაში; თუ კი ასეთი ძალა ზმნისართსაც აღმო-

აჩნდება, მაშინ მას შეიძლება ვუწოდოთ ზმნისართული თანდებული. ზმნისართული თანდებულება

1. გარეშე, გარეთ

ძვ. ქართულში ყოველთვის წინ უძღვის სახელს, თანამედროვე ქართულში კი მოსდევს. ორივე შემთხვევაში მოითხოვს მიცემითს.

ძველად მას ორი მნიშვნელობა ჰქონდა: ა) უჩვენებდა ადგილს და უდრიდა გარეთ-ს. მაგალითად: ...რუსა ეწოდა კანობ გარეშე ქალაქსა (კიმ. 108 ა); პოვა ადაძი... გარეშე სამოთხესა მას ვა ცხოვარი გარეშე ბაქსა (Опис. 40). ამ მნიშვნელობით ძველსა და საშ. ქართულში იხმარებოდა აგრეთვე გარე. მაგალითად, ზმნისართად: ვდ გამოვიდეს გარე და ზრახვა ყვეს მისთვს (ქრესტ. 21); თანდებულად: რამეთუ ვაქსენ ველსა გარე დგა (ქართ. ცხ. 189 ა—ბ)...

საშ. ქართულშივე გარეშე-სა და *გარე-ს ენაცვლება გარეთ ზმნისართი და მხოლოდ ეს უკანასკნელი იხმარება თანამედროვე ქართულში. გარეთ გვხვდება სახელის შემდეგ მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვასთან. მაგალითად: ქალაქს გარეთ ქარავეანი ახლოს დადგა (სიბრძნე, სიცრ. 143 ა); გავიქეცი ქალაქს გარეთ (არღიზ. 23)... საყდრის გარეთ ეზოში შეიყარენით (საქ. სიძვ. I, 199); ცხოვრების წრის გარეთ გამდგარვიყავით (ილია, IV, 66)...

ბ) უდრიდა გარდა თანდებულს. წინ იხმარებოდა თუ შემდეგ, სახელს მოითხოვდა ნათესაობით ბრუნვაში, სპორადულად მიცემითშიც. მაგალითად: არა გარეშე საღმრთოჲსა განგებისა იქმნა საქმე ესე (ანტიოქ. 67 ა—ბ); გარეშე შენისა... არავინ ვაკურთხოთ (კიმ. 129 ა).

საშ. საუკუნეთა ძეგლებში, განსაკუთრებით კი დოკუმენტებში, და სპორადულად ყაზბეგის ნაწერებშიც გარეთ იხმარება გარეშე და გარდა თანდებულის ფუნქციით. მაგალითად: ამას გარდაისად, რაც აგრე რიგი საყდრის ყმას გარეთ ანუ აზნაურიშვილი და გლეხი ესახლოს. ისინიც ისრევ მოუშლელად იყუნენ (დოკუმენტ. 38); მამულ გარეთ ყველა დავანებე (საქ. სიძვ. I, 114); იმ ქალის გარეთ მონადირის დედასთანაც მიირბენს (ყაზბ. 74)...

2. გარშემო

ესეც ადგილს აღნიშნავს. -მო მის მნიშვნელობას აზუსტებს. გრმგვლ: გამოხატავს ირგვლივ და ეს უკანასკნელი ზოგჯერ ენაცვლება კიდევც.

გარშემო საშუალსა და ახალ ქართულში იხმარება, ძველ ქართულში კი ამ მნიშვნელობის გადმოცემა ჩვეულებრივ ეკისრებოდა ზმნას, რომელსაც მი-მო ზმნისწინი ერთოდა. საშ. საუკ-ის ძეგლებსა და ი. ჭავჭავაძის ნაწერებშიც გარშემო-ს პარალელურად გარეშემო-ც იხმარება. ორივე ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს. მაგალითად: იქიღამა თეთრ ციხის გარეშემო დავწვით ალაბუტი (ქართ. ცხ. 946); ამ საბძლის გარეშემო ადამიანის კვალი არ სჩანდა (ილია, 308)...

8. ქუეშე — ქვეშ

ძველსა და საშ. ქართულში ქუეშე-ა. ამჟამად ქვეშ სახელს მოსდევს, როგორც ეს იყო ძვ. ქართულშიც, თუმცა იქ ზოგჯერ სახელის წინაც გვევლინებოდა. მნიშვნელობით ადგილს უჩვენებს.

ძველსა და საშუალ ქართულში მიც. ბრუნვასთან იხმარებოდა, სპორადულად მესამე პირის ნაცვალსახელთან ნათესაობით თანაც, ახ. ქართულში კი ორივე ბრუნვასთან თითქმის თანაბრად იხმარება, თუმცა იგრძნობა ტენდენცია ნათესაობითთან გაბატონებისა. მაგალითად: სართულსა ქუეშე არა შესრულიყო იგი (საბა ას. 16 აა—ა); შენსა ფარმანსა ქუეშე იყოს (ვისრ. 61 ა); ცოტა მტერი ორმოს ჰგავს, თევას ქვეშ დამალულსა (სიბრძნე სიცრ. 78ა)... შეძვრენ სუფრას ქვეშ (აკაკი, 354), მაგრამ იფრის ქვეშ იხსდენ (ვაჟა, IV, 34)...

მიცემით ბრუნვაში სახელს ზოგჯერ მოეკვეცება სნიშანი, ასეთ შემთხვევაში თანდებული სახელთანაა შერწყმული. მაგალითად: კაკალქვეშ ჩავსხელით (ილია, 486); ფეხქვეშ ჩაუვარდებო (იქვე, 359).

4. წინაშე

ძველსა და საშუალ ქართულში წინაშე ჩვეულებრივ სახელს წინ უძლოდა, ახალ ქართულში კი სახელს მოსდევს.

მე-18 საუკუნის საბუთებსა და თხზულებაში გვხვდება წინაშენ. მაგალითად: რაც მიზეზი ქონდეს ღმერთ წინაშენ (საქ. სიძვ. III, 10)... ღვთის წინაშენ დავაპირე წამოდგომა, მაგრამ წელი ველარ ავიტანე (ს. მაგალ. 93)...

ძვ. ქართულში წინაშე მართავდა სახელს მიცემითსა და ნათესაობით ში. მაგალითად, მიც.: მღღელმან შესაწირავი განჰმზადა წინაშე ბატოსანსა ჯუარსა (ხანძთ. აჯა—ა)... ნათ.: მარადის ჰნათობ წინაშე ღმერთისა (სასულ. ლაა); წარგადგინნეს წინაშე მამისა მისისა (სპევს. 330 აა)...

ასევეა საშ. ქართულში, ახალში კი იგი სახელს ნათ. ბრუნვაში მართავს. დადგენილია, რომ ძვ. ქართულში „თუ სახელი „სულიერი“ საგნის აღმნიშვნელია, ის უეჭველად ნათესაობითს ბრუნვაშია, ხოლო თუ „უსულოსი“—მიცემითში¹.

6. წინა — წინ

მომდინარეობს ძვ. ქართულიდან და ცოცხალია დღესაც, ძველსა და ახალ ქართულში წინ იხმარება ნათესაობით ბრუნვასთან, ზოგჯერ კი მიცემითთან, საშუალ ქართულში კი უფრო მეტად მიცემითთან.

ძველად იგი ჩვეულებრივ დროს გადმოსცემდა. მაგალითად: ჰქა მას ჰელინე: ვრ შენსა წინა რლი ნათესავი იყო (ქრესტ. 50 ა)... ეს ფუნქ-

¹ კ. კეკელიძე, „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტ. ფუნქციისათვის ძველ ქართულში, გვ. 283.

ცია მას საშუალსა და ახალ ქართულშიც გადმოჰყვა. წინა-ს გვერდით გამოვლინდა წინ, უწინ (ძვ. ქართ. უწინარს), წინათ, წინეთ. მაგალითად: ყოველ დღესასწაულობის წინ... დიდ მოსაკითხებს უგზავნიდა (აკაკი, 369); მხოლოდ ზიარებას წინეთ შერიგებულან (იქვე, 345); თხუთმეტს წელიწადს უწინ... ჯავახეთს გარდასულა (დოკუმენტ. 463).

ამა ჩვენებით ნაცვალსახელთან წინათ განუსახლვრელ დროს გადმოცემს. მაგალითად: ამას წინათ ჩემს მეფესა... ნუგუმსაცემა წიგნი მოუვიდა (საქ. სიძვ. III, 273).

საშუალსა და ახალ ქართულში წინ აღნიშნავს ადგილსაც. მაგალითად: სადაც სახლის წინ ქანდარი იდგეს და ქანდრის წინ აუხი იყოს, მუნ მონახე და პოვებო! (სიბრძნე სიცრ. 169)... ბუხრის წინ ქვაბებს-დასტრიალღებდა (ილია, 331)...

6. უკუნა — უკან

ძველ ქართულში ეკვანა გვაქვს, ხევსურულში ჟვკენ ფორმაც. სახელს მართავს მიცემითში, ახალ ქართულში მიც. და ნათესაობითში.

ძვ. ქართულში ადგილს აღნიშნავს, საშ. და ახალ ქართულში კი ადგილთან ერთად დროსაც გადმოსცემს. მაგალითად: სახლს უკან იყო მიდგმული (გ. წერ. 9)... სახლის უკან კალო-საბძელია (ილია, III, 41)...

7. შემდეგ, შემდგომ

შემდეგ და შემდგომ ახალ ქართულში დროს გადმოსცემს. ორივე ჩვეულებრივ მოსდევს სახელს და მართავს ძას ნათესაობითსა და მიცემითში. მაგალითები:

ნათ.: სადილის შემდეგ ლუარსაბი შექეფიანებული წავიდა (ილია, 425); ლოდინის შემდეგ ერთად შეყრილიყვნენ (ყაზბ. 103)...

მიც.: ლევანს შემდეგ ილაპარაკა ტარიელმა (ქიარ. 54)...

მწერლები და პრესის მუშაკები ბრუნვის მხრით ამ თანდებულს თავისუფლად ეპყრობიან: ნათესაობითთანაც ხმარობენ და მიცემითთანაც, თუმცა ნაცვალსახელებს უფრო მეტად მიცემითში სვამენ.

ზოგიერთი მწერალი შემდეგ-ის ნაცვლად მერე(თ)-ს იყენებს: სასიძო ხომ მოვა ნიშნის მერეთ, იმას რაღას უზამ (ილია, 434); ჩემი თინათინ არაღიჩაგროს ჩემს მერეთ (ქიარ. 72).

8. აქეთ, იქით

თანდებულის თუნქციით პირველად საშ. ქართულში გვხვდება ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვასთან, ზოგჯერ კი ნათესაობითთანაც. ამ მხრივ მერყეობა უფრო თანამედროვე ქართულში შეიმჩნევა. მისი ფუნქციაა აღნიშნოს ადგილი და დრო. მაგალითად: დიდსა წყალს იქით ვიდი ჩემთვის სწორია (ვისრ. 13); კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფენილი (ილია, III, 42)... ადამს აქათ მეხუთე კელმწიფე ყოფილა (ვისრ. 72)... დილას აქეთ არა მიჭამია-რაო (ილია, III, 16)...

ძველთან შედარებით საშუალსა და ახალ ქართულში გაიზარდა ზმნისართების თანდებულად ხმარების სფერო. გამოვლინდა ზოგი ახალი შედგენილობის ზმნისართიც, მაგრამ ჩვენ ამით დავკმაყოფილდით და სანიმუშოდ დაჯახბასიათეთ რამდენიმე ზმნისართული თანდებული და ისიც უმთავრესად სახელთა ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით.

შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში

ქართული და კერძოდ ახალი ქართული სალიტერატურო ენა განსაკუთრებით მდიდარია შორისდებულებით. როგორც ცნობილია, სხვა მეტყველების ნაწილებისაგან შორისდებულები გამოირჩევიან და ქმნიან თავისებურ სისტემას. ამის გამო ზოგიერთი ავტორი შორისდებულის მიჩნევას მეტყველების ნაწილად საცილობლადაც კი თვლის.

ფრანგი ენათმეცნიერი ჟ. ვანდრიესი შორისდებულებს სამართლიანად მიაკუთვნებს „აფექტურ“ მეტყველებას და განასხვავებს მას „ინტელექტუალურისაგან“¹.

შორისდებული ადამიანის რთულ ემოციებსა და სულიერი განწყობილების ექსპრესიას გადმოგვცემს. შორისდებულებს ხმის საკუთარი მოდულაცია და ინტონაცია ახასიათებს. ამიტომ აფექტური ელფერი, ინტონაციური ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს ვაკელებით უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე სხვა მეტყველების ნაწილებს. გარდა ამისა, შორისდებულს ხშირად თან ახლავს ექსტ-მიმიკური მოძრაობებიც. სამაგიეროდ შორისდებული მოკლებულია ნომინატიურ ფუნქციას, მატერიალურ მნიშვნელობასა და გრამატიკულ გაფორმებას. ცალკეული შორისდებული უდრის სიტყვა-წინადადებას: „შორისდებულები წარმოადგენენ სიტყვათა და წინადადებათა ეკვივალენტებს“² — წერს ე. ვინოგრადოვი².

ჩვეულებრივ შორისდებული წინადადების წევრს არ შეადგენს. ის წინადადების წარმოთქმაში გამოიყოფა განსაკუთრებული ინტონაციით, ხოლო წერაში — მძიმით.

შორისდებულთა სემანტიკა მდიდარია და მრავალფეროვანია. ის შეიძლება გამოხატავდეს ალტაცებას, სიხარულს, სიამოვნებას, მოწირობას, კმაყოფილებას, ზიზღს, დაწუნებას, მოულოდნელობას, ტანჯვას, ვნებიანობას, ჩივილს, მუქარას, წყენას, მწუხარებას. ტკივილს, დანაშაულებას, საყვედურს, გაკიცხვას, ნატვრას, გაკვირვებას, გაქირვებას, დაცინვას, ნიშნისვებას, აკრძალვას, წაქეზებას, გამბედაობასა და სხვ.

შორისდებულთა კლასიფიკაციის უმთავრესი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე შორისდებული შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობისა იყოს³.

¹ Ж. Вандриес, Язык, русский язык, Москва 1937, стр. 135.

² В. В. Виноградов, Современный русский язык, II, Москва 1938, стр. 569.

³ А. Шахматов, Синтаксис русского языка, вып. II, 101.

მის მნიშვნელობას კონტექსტი განსაზღვრავს. ასე, მაგ., „უი“ უმთავრესად გამოხატავს მწუხარებას, წყენას, მაგრამ ამავე დროს სხვა კონტექსტში მან შეიძლება გამოხატოს აღფრთოვანება, სიხარული; მაგ.: „უი, ჯა, საწყალი ტორუა“ (ვაჟა); „უი, მეხი კი დაგეცეს მაგ უხეირო თავზე“ (ი. ჭავჭავაძე); მაგრამ „უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულში“ (ი. ჭავჭავაძე)... ასევე საპირისპირო მნიშვნელობის გამომხატველია შორისდებულები: „უჰ“, „ოხ“, „ოჰ“, „ჰმ“ და სხვ. მაგ.: „უჰ, რა შეგეშინდა“ (ნინოშვილი); „უჰ, უჰ, რა მტკივა მუხლები“ (იქვე), მაგრამ „უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები“ (ი. ჭავჭავაძე); „უჰ, უჰ, უჰ! რა ტკბილია! — ტუჩების ცმატუნით და სიამოვნებით ვიძახდით ყველანი“ (შ. არაგვისიძე)... „ოხ, ოხ! მიშველეთ, მომკლა!“ (ჭ. ლომთ.), მაგრამ „ოხ, ჩემო თვალის ჩინო!“ (შ. არაგვისიძე)... „ოჰ, როგორ ცივა და მსუსხავი ქარიც უბერავს“ (შექსპ. „ჰამლეტი“), მაგრამ ~~„ოჰ! გაბატონდით მთვარე!“~~ (ალ. ჭავჭავაძე)... „ჰმ, ჰმ, ჰმ! დაიგმინა ქალბატონმა“ (ნინოშვილი), მაგრამ „ჰმ! ჩაიცინა მოხევემ“ (ი. ჭავჭავაძე) და სხვ.

ემოციური ხასიათის შორისდებულებისაგან უნდა განვასხვავოთ იმპერატიული ხასიათის შორისდებულები; მაგ. „ეი, მსახურნო! დაამზადეთ სანადიმოდ ყოველივე“ (ალ. სუმბათაშვილი; „ლალატი“), შდრ. „ჰეი, დიდი სეირი იქნება“ (იქვე); „ჰეი, ძამიებო, საყვარლებო, ლამაზებო, მშვენიერებო...“ (ჭ. ლომთ.)... „ჰაუ, კუდიანებო, ჰაუ! თქვენი სვით და თქვენი ჭამით...“ (იქვე).

ზოგიერთი ავტორი, მაგ. H. Paul-ი¹, E. Schwentner-ი² ემოციის გამომხატველ შორისდებულთა გვერდით განიხილავენ ე. წ. ონომატოპოეტურ ბგერით კომპლექსებსა და სიტყვებს, რომლებიც ხმის მიბაძვის საფუძველზე არიან წარმოშობილნი. ჩვენ ასეთი ბგერითი კომპლექსები და სიტყვები შეგნებულად არ შევიტანეთ შორისდებულებში და ისინი ცალკე გამოვყავით.

ქართულ შორისდებულთა აგებულება

ფონეტიკურად შორისდებული ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ის ასოებით გადმოიცემა. შორისდებულს წერაში მხოლოდ მიახლოებით გადმოვცემთ: ქართულში შორისდებული, ისე როგორც სხვა ენებში უპეტესად ერთი ან რამდენიმე ხმოვნისაგან შედგება. შესაძლებელია ხმოვანს თან ახლდეს თანხმოვანიც. შორისდებული, როგორც ადამიანის რთულ ემოციათა გამომხატველი, უსათუოდ გულისხმობს ხმოვნურ ელემენტს, რადგანაც ტონის მოძრაობა—მისი აწევა-დაწევის გამოხატვა—მხოლოდ ხმოვნის საშუალებით ხერხდება. ზოგჯერ შორისდებული წერაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უხმოვნოდაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა თანხმოვანთან ერთად ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი (გ) იგულისხმებოდეს, რაც წერაში გამოხატული არაა.

შორისდებული შესაძლებელია შედგებოდეს მხოლოდ ერთი ხმოვნისაგან; მაგ.: „ა, აბდულავ, ა, სამურავ!“ (ვაჟა). ტონის მოძრაობისა და აფექტური

¹ Prinzipien der Sprachgeschichte, 1909, გვ. 179.

² Die primären Interjektionen in den Indogermanischen Sprachen, Heidelberg 1924,

ულფერის გასაძლიერებლად შესაძლებელია შორისდებული პირობითად ორი ან სამი ერთნაირი ხმოვნით იყოს გადმოცემული: „აა, მიგიხვდი, ახლა როგორ იქნებოდა საქმე“ (ნინოშვილი); „აა, თავადო, კუჭს ნუ შეიყვან, თვარა აღრე დაბერდები“ (იქვე)... „ააა, მშიშარავ, მშიშარავ“ (შ. არაგვისპ.); „ააა, მოი-შიშვლე იმ ადგილს, სადაც გაქ დაკოდილი“ (ნინოშვილი). ხშირად ხმოვან ა-ს წინ უძღვის ყელისმიერი სპირანტი ჰ; მაგ.: „ჰა, ყურშა, ჰა! — დაუძახა მოძღვარმა“ (ყაზბეგი); „ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი“ (აკ. წერეთელი)... შესაძლებელია ა-ს მოსდევდეს ჰ; მაგ.: „აჰ!.. ლევან! — წარმოსთქვა იმან“ (ყაზბეგი); „აჰ, გოჯასპირ ხასიაშვილმა ქვრივი კი არ შეირთო“ (კლდიაშვილი). ხმოვან ა-ს შესაძლებელია წინ უძღოდეს ან მოსდევდეს უკანაენისმიერი სპირანტი ხ; მაგ.: „ა ხ, რა კარგია!.. ახ... რა... კარგია!“ (შ. არაგვისპ.)... „ააა ხ! — თავისდა უნებურად წამოიკვნესა!“ (შ. არაგვისპ.)... „აააა ხ! — ფეხზედ წამოვარდნით წამოიძახა საშინელი ხმით ტიტკომ“... (შ. არაგვისპ.). ხშირად ამ შორისდებულს პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ დაერთვის: „ა ხ მე! — კბილების ხრჭილით და თავის გაქნეით წამოიძახა...“ (ყაზბეგი). ზოგჯერ შეძახილის შორისდებული წარმოდგენილია ა და უ ხმოვანთა შეერთებით: „აუ, ბედშავო ჩემო თავო“ (ყაზბეგი); „აუ, რას მეუბნები“ (იქვე)... შესაძლებელია „აუ“-ს ჰ უძღოდეს წინ: „ჰაუ, კულიანებო, ჰაუ! თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ, ჩვენსა ჯვარი დაგვიწერეთ, ჰაუ, კულიანებო, ჰაუ! (კ. ლომთ.). შესაძლებელია ხმოვან ა-ს წინ უძღოდეს კბილბაგისმიერი ვ; მაგ.: „ვა, დარეჯან, მამა გიცხონდათ“ (ვაჟა); „ვა, დალოცვილო, რაღასა ჯავრობ“ (ვაჟა). ზოგჯერ შორისდებული „ვა“ ჰ-ს გაიჩენს ბოლოში: „ვაჰ, დედას ჩემის მტრისასა“ (ვაჟა); „ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგები მტკბარად...“ (ალ. ჭავჭავ.). ხშირად ეს შორისდებული პირის ნაცვალსახელს „მე“-ს დაირთავს: „ვაჰ მე, ჩემო სიცოცხლის მომნიჭებელო“ (ვაჟა); „ვაჰ მე, ვაჰ მე! ჩვენო მამალო! — ტირილის ხმაზედ ამობდნენ ბავშვები“ (ვაჟა). ხმოვნის შეცვლის საყუდელზე ეს შორისდებული „ვოჰჰ მე“ ფორმითაც გვხვდება: „ვოჰჰ მე, ვოჰჰ მე, ჩემო ნიკორა კამეჩო!“ (ვაჟა). დადასტურებულია „ვოჰჰ მე“ ვარიანტიც: „ვოჰჰ მე, ვოჰჰ მე, რო მაგონდება, თავში დამკრავს ქრუანტელი და ფეხებში გამვარდება“ (ვაჟა). არის შემთხვევა, როცა მხოლოდ „ვა“ დაირთავს „მე“-ს: „ვამე, შორს მყოფსა შენსა“ (ალ. ჭავჭავ.). ვ-ს შემცველია „ვაი“; მაგ.: „ვაი, საწყალო! ვაი, საწყალო! — შემოირტყა ივანემ თავში ხელი“ (ნინოშვილი); „ვაი, ვაი, ვაი! აკი ვენაცვალე იმას ი ენა-პირში“ (ვაჟა); „ვაი, მისი ქირიმე, რამხელა გაზრდილა“ (ლალიონი); შდრ. „ჰაი, ჰაი, რომ ენახე, — უპასუხა შიქმა...“ (ყაზბეგი). „ვაი“-ს შესაძლებელია ა ხმოვანიც გაუჩნდეს წინ: „ავაი, ჯაჯალაუ! რას სჩადი?“ (ყაზბეგი); „კოტა ხანს შემდეგ ვილაცა დედაკაცმა კვნესით და ხმის კანკალით წარმოსთქვა: „ავაი!“ (ყაზბეგი).

შორისდებული შესაძლებელია ე ხმოვანზედაც იყოს აგებული: „ე, შეხედე, შე კაცო, თუ ვცდები! თუ სისულელეს გეუბნები! ე, შეხედე, ე, თუ ვცდები... ე, რავა ეტყობა! ახლაც ვერ ხედავ!“ (კლდიაშვილი). ხშირად ეს შორისდებული გაორმაგებული და გასამმაგებელი სახითაა წარმოდგენილი; მაგ.: „ეეე, ღმერთო, იცი კიდევ რას გეხვეწები?“ (ვაჟა); „ბიჭო, ბეჟანო, სადა ხარ, ეე ეე“

(ვაჟა). ხშირად ხმოვან ე-ს წინ უძღვის ჰ: „ჰე!—ნიშნის მოგებთ წარმოსთქვა გიორგიმ“ (ყაზბეგი); „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანი-სა...“ (რუსთაველი); „ჰე, მამულო სასურველო“ (ვრ. ორბელიანი). ასევე შესაძლებელია ჰ მოსდევდეს ე ხმოვანს: „მე კი, ეჰ!—მწარედ ჩაიქნაბ ხელი და მოსლევით დაეშვა ტახტზედ“ (შ. არაგვისპ.); „ეჰ, ძაავ, წაღი შენ შენს გზა-ზე სიმღერით“ (ვრ. ორბელიანი); „ეჰ, ჯანი ვაგარდეს, ათი იყოს“ (ი. ჭავჭავაძე)... „ეეეჰ! რა კაცია და...“ (ვაჟა). შესაძლებელია ეს შორისდებული ე და ი ხმოვანთა შეერთებით იყოს წარმოდგენილი: „ეი, მსახურნოს დამზადეთ სანადიმოდ ყოველივე“ (ალ. სუმბათაშვილი, „ლალატი“); „ეი, უფროსო“ (იქვე). „ეი“-ს შესაძლებელია ჰ უძღოდეს წინ; მაგ.: ჰეი, ჰეი!—ნაღვლიანად წამოიძახა მან“ (კლდიაშვილი); „ჰეი, ძამიებო, საყარლებო, ღამაზებო, მშენიერებო!..“ (ჭ. ლომთ.)... ე-ს შესაძლებელია წინ უძღოდეს კბილბაგისმიერი ვ და მოსდევდეს ჰ; მაგ.: „ეეჰ!—დაიყვირა. ცუდ ნიშანს ვხედავ...“ (აქ. წერეთელი)... ხშირად ე-ს წინ უძღვის ან მოსდევს უკანაენისმიერი სპირანტი ხ: „შენ სტყუი, შენ უნდა დაისაჯო... ხე! ხე! ხე! ამიტომ მიზრძანდი კარკერში“ (ჭ. ლომთ.); „ხე, ხე, ხე!—ხეიხეინებს უფროსი,—ხე, ხე, ხე!“ (იქვე)... „ეეეხ!—ამოკვდა გულის სიღრმიდან და გულჩათუთქულმა თვალები მიხუჭა“ (შ. არაგვისპ.); „ეეეხ! მართლა და რა სულელი გამოვდექი“ (იქვე).

შორისდებულის საუფქვლად შესაძლებელია გამოყენებულ იყოს ი ხმოვანი: „იიიი, რა ძაან ღეინოა“ (შ. არაგვისპ.). მსგავსად ა და ე ხმოვნებისა, შეიძლება ი-ს წინ უძღოდეს ან მოსდევდეს ჰ; მაგ.: „ჰი, ვენაცვალე ღმერთ-სა!—ეტყოდა ხალმე ქარს ელისაზედი. ჰი, ვენაცვალე! ჯერ ჩემზე უკეთესი უნდა შეერთო და მერმე ჩემთვის ნიშანი მოეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსაჰ“ (ი. ჭავჭავაძე); „ჰი, შე ბაიყუზო, იქნება ხელი მოიჭერი“ (ვაჟა); „ჰი, ჰი, ჰი! მიყვარს. მა რა?“ (ჭ. ლომთ.)... „იჰ, იჰ! რა გემრიელია“ (შ. არაგვისპ.); „იჰ, ბედნიერი ქვეყანა ყოფილა გურია, კნიახ!“ (ჭ. ლომთ.). ხოგჯერ ი-ს უკანაენის-მიერი სპირანტი ხ უძღვის წინ; მაგ.: „ხი, ხი, ხი!—ჩაფიხითხიფე, როცა ეს მითხრა“ (შ. არაგვისპ.). შესაძლებელია ჰმ შორისდებულს ჰაეც დაეწოდოს: „ხიჰ! სისულელე!.. ღრეკით უპასუხა შეშლილმა“ (შ. არაგვისპ.). ხშირად ი-ს წინ უძღვის კბილბაგისმიერი ვ და მოსდევს ჰ; მაგ.: „ვიჰ!—უნებლიეთ წამოიძახა, როდესაც უეცრივ თვალი მოჭკრა თავის დამბნედავს...“ (შ. არაგვისპ.); „ვიჰ, ავეტიქ, ნეტავი ჩემს გულში ჩავახედა“ (ალ. ჭავჭავაძე); „ვიჰ, ნეტავი რას ამბობ?“ (იქვე). შესაძლებელია ეს შორისდებული ბოლოვებოდეს სპირანტი შ-ზე; მაგ.: „ვიშ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო ჩემო“ (ჭ. ლომთ.). არის შემთხვევა, როდესაც ი-ს წყვილბაგისმიერი ფ მოსდევს: „იფ! იფ!.. დამიხედეთ, დამიხედეთ მთის მგბატონის შეილს“ (ყაზბეგი); „იფ!.. შენი ტირიმე, შენი, ჩემო ბიძია“ (კლდიაშვილი).

ხშირად შორისდებულად გამოყენებულია ო ხმოვანიც; მაგ.: „ო, ო, ეგ დი-დი საქმეა“ (ი. ჭავჭავაძე)... „ოოო, გაუმარჯოს ჩვენს თამადას! ურაა!—დაიძახეს თითქმის ყველამ ერთად“ (შ. არაგვისპ.). ისე როგორც ა, ე, ი ხმოვანიან შო-რისდებულებთან, ო-საც შესაძლებელია წინ უძღოდეს ან მოსდევდეს ჰ; მაგ.: „ჰო, ჰო, ჰო, ჰო, რა პურ-ღეინოა“ (ნინოშვილი)... „ჰოო, შენი ტირიმე,

ღმერთო!“ (ვაჟა). ეს შორისდებული ზოგჯერ **ო** და **ი** ხმოვანთა შეერთებითაა წარმოდგენილი: „**პოი**, საზარო საშინელო უსჯულოებაე!“ (შექსპ. „ჰამლეტი“); „**პოი**, ბნელო ღამეე, მეჯავრები მე“ (ი. ჭავჭავ.)... **ო-ს** მოსდევს **ჰ**; მაგ.: „**ოჰ**, **ოჰ!** ვაჰმე, მოგვედი, დედას ჩემო, აღარაგინა ხართ ქრისტიანი“ (ვაჟა); **ოჰ**, ნეტავი კი მაშინ თქვენთან მეც ვყოფილიყავ“ (შექსპ. „ჰამლეტი“)... ხმოვან **ო-ს** შესაძლებელია წინ უძღოდეს ან მოსდევდეს უკანანისმიერი სპირანტი **ხ**; მაგ.: „**ხო**, **ხო**, **ხო!** რა კარგი რამაა“... „**ოხ!** ჩემო თვალის ჩინო“ (შ. არაგვისპ.); „**ოხ**, **ოხ**, მიშველეთ, მომკლა, მომკლა!“ (ჭ. ლომთ.)... „ამ ღროს მუცელამ შიმშილიც იგრძნო და ერთი ღრმად ამოიხვნეშა: **ოოხ**, დედაე!“ (ვაჟა).

შორისდებულია უ ხმოვანიც; მაგ.: „კირილე, ბატონო კირილე!.. უ... უ“ (კლიაშვილი)! „უ! უ! უ!—გუგუნებდა ტუსაღთა ბრბო და ტალღებად იწვევდა წინ“ (შ. არაგვისპ.)... „უუ! უუ! უფრო უარესად წაიგმინეს ტუსაღებმა“ (იქვე). ხშირად უ-ს წინ უძღვის ან მოსდევს **ჰ**; მაგ.: „**ჰუ**, **ჰუ**, **ჰუ**—განგებ ჩაახველა თედომ“... (შ. არაგვისპ.)... „**ჰუუ!** ჩემდა უნებურად მიგრად ამოვი-სუნთქე“ (შ. არაგვისპ.)... „**უჰ**, **უჰ!**.. რა ნაირად ყინავს!“ (იქვე); „**უჰ**, **უჰ**: **უჰ!** ეგ ღორის სუკები“ (ი. ჭავჭავ.). არის შემთხვევა, როდესაც უ-ს წყვილბაგისმიერი ფ მოსდევს; მაგ.: „**უ-უფ!** როგორ მოღუშა წარბები, როგორ გაჯავრდა!“ (ჭ. ლომთ.); „**უფ**, რა გრილი ღამეა“ (ნინოშვილი). ზოგჯერ შორისდებული წარმოდგენილია უ და ი ხმოვანთა შეერთებით; მაგ.: უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულში“ (ი. ჭავჭავ.); „უი, უი! დახე იმას, იმ წყეულს...“ (იქვე). ამ შორისდებულს შესაძლებელია პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ დაერთოს; მაგ.: „უი მე, უი მე!—იყვირა დარიკომ და გამწარებული ლოყახედ ხელს ირტყამდა,—უი მე... უი მე... ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა!“ (კლიაშვილი). მთელ რიგ შემთხვევაში უ-ს წინ უძღვის წყვილბაგისმიერი ფ; მაგ.: „**ფუ**, შე ვერანო!—წამოიძახა თედომ და ხველა აუვარდა“ (შ. არაგვისპირელი); „**ფუ**, შეგაჩვენოს ღმერთმა“ (ჭ. ლომთ.). შესაძლებელია ეს შორისდებული „ფუი“ სახით იყოს წარმოდგენილი; მაგ.: „**ფუი**, დალახვრა ღმერთმა“ (ი. ჭავჭავ.); „**ფუი**, **ფუი**,—საჩქაროდ გადააფურთხა და ხელები ვაახავსავა...“ (შ. არაგვისპირ.). არის შემთხვევა, როდესაც ამ შორისდებულს წინ **თ** მიუძღვის; მაგ.: „**თფუი!**—სიბრაზით გადააფურთხა დათუამ და თვალები დახუჭა“ (შ. არაგვისპირელი).

ხმოვანხილული შორისდებულების მიხედვით ერთი მეტად საინტერესო მოვლენა ირკვევა: შორისდებულებში ხმოვანთა წინ ჰაე დატულია მაშინ, როდესაც ქართულში გარდა „ჰაერ“ და „ჰაეა“ სიტყვებისა ჰაე ხმოვნის წინ იკარგება. ვფიქრობთ, რომ შორისდებულებში ჰ-ს გაჩენა ხმოვანთა წინ ხმოვნის ფშვინვიერი შემართვის საფუძველზე უნდა მომხდარიყო და ხმოვნის წინ მისი შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ რთული ემოციური გრძნობის ინტენსიურობას, რომელსაც შორისდებულთა წარმოთქმისას აქვს ადგილი¹. ამის გამო შორისდებულები ჰ-ს აუსლაუტშიც ინარჩუნებენ და ინლაუტშიც; მაგ.: „**ჰაჰა**.

¹ ს. ყ დ ე ნ ტ ი, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. VI, 1945, № 5.

თენდება ის დიდი დღე, ძნელი საამბოდ“ (გრ. ორბელიანი); „აჰა, გული გა-
მიჯნურდა, მიჰხლომია ველთა რბენა“ (რუსთაველი)... „აჰუ, დიაცი ყოფილ-
ხარ“ (ყაზბეგი)... „ეჰე, როგორ გაიგო, კაცო, მკითხავი ხომ არა ხარ?“ (ვაჟა);
„ეჰე, დიდი ძალა აქვს სოფელსა“ (ვაჟა)... „ვინა ხარ, ეჰე, მშვენიერო, მო-
ხველი სითა“ (ვახ. ორბელიანი)... „ოჰო, ოე!—სთქვა კვლავ გოგოლამ გამხი-
არულებულმა“ (ვაჟა); „ოჰო!—გაიკვირვა ბეჟიამ“ (ყაზბეგი)¹.

თუმცა იშვიათია ასეთი მაგალითები, მაგრამ მაინც გვხვდება, როდესაც
შორისდებული ერთი ან ორი თანხმოვნითაა წარმოდგენილი უხმოვნოდ. ასე,
მაგ., თუ გარკვეული სულიერი განწყობილების გამოსახატავად (გმინვა, ჩაცი-
ნება) ჰაერნაკადის დენა ცხვირის გზით ხდება და არა პირიდან, მაშინ წარმო-
ვთქვამთ შორისდებულს: ჰმ, რომელიც შერწყმულ ცხვირისმიერ ფშვინვიერ
ბგერას წარმოადგენს; მაგ.: „ჰმ, ჰმ, ჰმ!—დაიგმინა ქალბატონმა“ (ნინოშვი-
ლი); „ჰმ!—ჩაიცინა ოფიცერმა“ (ი. ჯავჭ.). შორისდებული ზოგჯერ წერაში
ერთი თანხმოვნითაც არის გამოხატული; მაგ.: „როდის ვისესხე, რომ შაგიმოწ-
მებია, ჰ?“ (შ. არაგვისპ.); „უუ!.. ჰ! ჰ!.. უეცრივ წამოიკენესა ბერამ და ქვი-
თინი მორთო“ (შ. არაგვისპ.). ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
ჩვენ თანხმოვანთან ერთად ვგულისხმობთ ე. წ. ნეიტრალურ ხმოვანს (ჟ-ს), რო-
მელიც წერაში არ გადმოიცემა. ასევე ზოგჯერ შორისდებულად გამოყენებულია
მხოლოდ ს; მაგ.: „სსს! ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა დირექტორმა“ (ქოლა
ლომთათიძე); „სსს!.. ჩუმათ! ტყუილია ირჯები, ვერსად წახვალ!“ (ლალიონი).
ეს შორისდებული შესაძლებელია ტ-სა და ს-ს შეერთებითაც იყოს წარმოდგე-
ნილი: „ტს! არ გაბედო მეორეჯერ ჩემთან ეგენი!—წაულაპარაკა მასწავლებელ-
მა მოწათეს“ (ქ. ლომთ.).

გარდა ზემოგანხილული ბგერითი კომპლექსებისა შორისდებულად გამო-
ყენებულია სიტყვები:

აბა; აბა-ბა-ბა; მაგ.: „აბა, მღევარი, აბა, მღევარი!—ჰყვირაან“ (ვაჟა)...
„აბა-ბა-ბა, რა ძალდი ყოფილა ეგ დალოცვილი“ (ვაჟა); „აბა-ბა-ბა! რა-
მოდენა ხალხი წავიდა“ (ვაჟა). გვხვდება „აბა“-ს ვარიანტიც აბა: „აჰა, შე
გლახავ, შენ მაგას როგორ მიბედავ...“ (ვაჟა). „აბა“ ზოგჯერ გაძლიერებულია
„ჰა“ შორისდებულის დართვით: „აბა ჰა, დათიკო, შენ ხომ ამისთანობა ძა-
ლიან გებერხება“ (ნინოშვილი); „აბა ჰა, გაეწიოთ“ (იქვე). ზოგჯერ „აბა“-ს
პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ ერთვის; მაგ.: „აბამე. აბამე, რანაირი
ლონიერია“ (შ. არაგვისპ.); „აბამე, ონისე!—წამოიძახა ერთმა და ყველამ
თოფები ჩამოუშვეს“ (ყაზბეგი).

ვაშა: „გამარჯვება მძღველ ჯარსო! ვაშა! ვაშა! იმათ ღვაწლსა...“
(აკ. წერეთელი); „მე ვმღერი პროლეტარიატის საერთაშორისო ჰიმნს! ვაშა!
ვაშა! დაჰკარით ტაში, დაჰკარით ტაში, ამხანაგებო! (ქ. ლომთ.).

¹ არის შემთხვევა, როდესაც მწერალი შორისდებულს არასწორად აგებს; მაგ.: „უჰუ, უჰუ, უჰუ, ეძახიან, ეძებენ ერთი მეორეს...“ მართალია, უ ხმოვანი ძახილის შორისდებულია, მაგრამ ვინაიდან ორ ერთნაირ ხმოვანს ჰ ჰყოფს, იგი ძახილის შორისდებულად ვერ გამოდგე-
ბა.

ურა (რუს.): „ურა, ურა!—დაიდრიალა ხალხმა და იმათაც შესტყორცნეს მაღლა ჩაბალახები“ (ჭ. ლომთ.); „ურა!—დაიყვირა ლუარსაბმა...“ (ი. ჭავჭავ.).

ჭერი: ეს სიტყვა დღეს შორისდებულია, მაგრამ წარმოშობით კი ზმნაა და ნიშნავს იმასვე, რასაც რუს. марш (—ფრანგ. marche). ზმ მნიშვნელობით ეს სიტყვა დადასტურებული აქვს ინგილოურში მ. ჯანაშვილს („ჭერა—იარე!). როგორც ირკვევა, ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ქართულ სალიტერატურო ენაშიც; შდრ. „აბა, ბიჭო, ტანთ ჩაიცივი და სკოლისკენ ჰერი, ჰერი“; „მელას დრო დარჩა, შეხტა, ერთბაშად ხელი სტაცა ქალს, შეიგდო კულხე და ჰერი, ბიჭო! გასწია და რა გასწია“ (ვაჟა).

ერიჰა: „ერიჰა, მოჰყევი შენებურად რახუნს!“ (ნინოშვილი); „ერიჰა, მგონია, შენ კიდევ შეგყვარებია,—გაეხუმრა დედა თავის ქალს“ (იქვე)... „ერიჰა“ შედგენილი შორისდებული უნდა იყოს: ერიჰა. პირველი ნახევარი იგივე „ჰერი“ ჩანს, ხოლო შ დაკარგულა. თავიკიდურ შ-ს დაკარგვა შეიძლება „ჰა“-ს დართვით იყოს გამოწვეული (* ჰერიჰა → ერიჰა).

ყოჩაღ: „ყოჩაღ, ყოჩაღ!—დაიძახეს დევებმა და ისეთი მხიარულება შეექმნათ, რომ სულ მაღლა-მაღლა ხტოდნენ“ (ვაჟა); „ყოჩაღ, კოდალა! ბარაქალა...“ (ვაჟა).

დილილმე: „დილილმე, დილილმე, ხვალ ჩურჩხელებსა ვჭამო, გოზინაყსაც ვჭამო“ (შ. არაგვი). „დილილმე“ შედგენილი შორისდებულია: დილილ+მე. რას უნდა ნიშნავდეს პირველი ნახევარი, ჩვენთვის უცნობია.

აფსუს (სპარ.): „აფსუს, აფსუს! წისქვილო! თედეს ამაგო!“ (ვაჟა); „აფსუს, ბადრისა და უსუპის ჯიშო, როგორ წამხდარხართ და გაფუჭებულ ხართ“ (ვაჟა).

ოლოლო: „ოლოლო შენ, ვერ გამოიცან“ (ი. ჭავჭავ.).

ბიჭო! ბიჭოს!: „ჭერი, ბიჭო! გასწია და რა გასწია“ (ვაჟა); „ბიჭოს! მოსულა?“ (ხალხური).

ჭოვ (აქარ. შეკვეცილი ბიჭო): „ჭოვ და—მე ქალი შინდა, ქალს მე უნდებვარ, შენ ვინ ხარ, შენ თითონ ჩიმომეთხოვე მეთქი“ (ჭ. ლომთ.).

ქა (—ქალო): „ქა, ეგ ბიჭი ისე არ უცქერის მა ქალსა, თითქოს შექმანდოდესო“ (ვაჟა); „უი, ქა, საწყალი ტორუა“ (ვაჟა).

ბარაქალა (არაბ.): „ბარაქალა, ჩემო დათო!“ (ი. ჭავჭავ.); „ბარაქალა, ბარაქალა, შენი ერთგულება მეც არ მავიწყდება“ (ყაზბეგი).

ბეჩა (—ბედშავი): „ბეჩა! დედაკაცი ყოფილა!“ (ყაზბეგი); „ბეჩა! რადა მკლავ?!“ (შ. არაგვისპ.); „ბეჩაუ! ერთაი, ერთაი მაინც მაკოცე...“ (ყაზბეგი).

ოჯო (—ვაჟო): „ოჯო, ცარიელი ფულიც აფერი არაა, თუ კაცი თითონ არ ვარგა“ (ლალიონი); „რა საქმეა ახლა იმისთანაი, ოჯო? აი ადგილი ამა-სობაში ქე ჩაგვლია ხელში“ (იქვე); „მისწერე, ოჯო, ვიშონი თუ არა, მაინც ასე სჯობს“ (იქვე).

დახე (— დახედე): „დახე, დახე, თქვენი ჭირიმე! ეს რა მოიგონა...“ (ი. ჭავჭავ.); „დახე, სადა ყოფილხარ“ (ალ. სუმბათაშვილი, „ლალატი“).

ჭიტა: „შეშინებული ბავშვები საშინელი წივილით გარბოდნენ იქით-აქეთ და იმალებოდნენ, მაგრამ მარინე პოულობდა მათ, დალუნავდა თავს, გაუჭკვრეტ-

და, თითქო კატა ჩიტს ეპარვისო, „ჭიტა“—დაიძახებდა და გაიქცეოდა დამალულ ბავშვისაკენ, რადგან მარინე თავისი „ჭიტას“ ძახილით შორიდანვე ატყობინებდა ბავშვს მოვდივარო, ბავშვი ასწრობდა გაქცევას და სხვა ადგილზე დამალვას“ (ნინოშვილი).

სუ (—სულე): ამ სიტყვას ჩვენი ყურადღება მიაქცია პროფ. ვ. ბერიძემ¹. ეს უკანასკნელი ფორმა ჩვეულებრივ გავრცელებული სიტყვაა ქართლსა და კახეთში და იყენებენ მას ბავშვის გასახუმებლად. „სულე“ „ვეფხისტყაოსანშიც გვხვდება:

„ეტყოდა: „სულე, რამც გიყავ, კაცი ვარ, ადამიანი“ (ტ. 257)².

საბას დადასტურებული აქვს: „სულელეა—ცხენთ დასამზიდებელი სტუენა“ და „დასულეა—დაჩუმება“. დღეს ეს შორისდებულად ქცეული სიტყვა ჩვეულებრივ „სუ“ ფორმით იხმარება; მაგ.: „სუ, სუ, ნაჩაღნიკმა არ გაიგონოს“ (ნინოშვილი); „სუ, ჩუჰად მეთქი!“ (ვაჟა). ამ შორისდებულს ს შემდგომ ბოლოში გასჩენია: „სუსსს!.. ჩუმაღვე უპასუხა ელისაბედმა“ (ყაზბეგი).

ჩუპრი-ჩუპრი: „ჩუპრი-ჩუპრი, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი ღარეჯანსა! ურა! აი გიდი, ქუდი ჭერში“ (ი. ჭავჭავ.).

იმე (იმერ. ციმე): „შე კაცო, შენთან რომ მოვიდე და უცხო კაცი მომყვეს, ჩემი კეთილი საწყენად დაგიჩხება?... ა, მითხარი. თუ ძმა ხარ?... კარში გამომავდებ?—იმე!“ (კლდიაშვილი); „იმე, რაღა ვთქვა... რითი გადავიხადო მაგიერი“ (იქვე).

ბევრი ქართული შორისდებული ბგერითი კომპლექსისა და ხშირად სემანტიკის მხრივაც მსგავსია ევროპულ ენებში ღმარებული შორისდებულებისა. ამაში რომ დავრწმუნდეთ, დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

გერმ. ach, პოლ. ach, პოლონ. ach, ჩეხ. ach, რუს. ax³; შდრ. „ახ, რა კარგია!.. ახ... რა... კარგია!“ (შ. არაგვისპ.).

მსგავსად ქართულისა, გერმანულსა და ზოგ სხვა ევროპულ ენაში a და o ხმოვნიან შორისდებულებს ფშვინვიერი შემართვის საფუძველზე უფითარდებათ h; მაგ.:

გერმ. ha! ha! ინგ. ha, halloo, პოლანდ. ha, ha, პოლონ. ha, ბერძ. ἄ; შდრ. რუს. xa; შდრ. „ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი“ (აკ. წერეთელი).

გერმ. hai, ძვ. ინდ. hai, ძვ. ფრანგ. hai, რუმ. hai; შდრ. „ჰაი, ჰაი, რომ ენახე, უპასუხა ბიჭმა“ (ყაზბეგი).

გერ. hei, ლათ. hei, რუმ. hei, ინგ. hey, ჩეხ. hey; შდრ. „ჰეი, ჰეი—ნაღვლიანად წამოიძახა მან“ (კლდიაშვილი).

გერმ. ho, ესპ. ho, ho, ინგ. ho, ჩეხ. ho, ho, რუმ. ho, ახ. ფრანგ. ho; შდრ. „ჰოო, შენი ჰირიმე, ღმერთო“ (ვაჟა).

გერმ. hi, hi, hi; ესპ. hi, hi, რუმ. hi; შდრ. „ჰი, ჰი, ჰი! მიყვარს, მარაჰ?“ (ჭ. ლომთათიძე).

¹ ვ. ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო: ტფ. სახ. უნ. შრომები, ტ. III, 1935, გვ. 156.

² შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის გამოცემით.

³ E. Schwenner, Die primären Interjektionen in den Indogermanischen Sprachen Heidelberg 1924, გვ. 17.

გერმ. *hu, hu*; შდრ. „ჰუჰ... ჩემდა უნებურად მაგრად ამოვისუნთქე“ (შ. არაგვისპ.).

გერმ. *aha, heh, aha*; შდრ. „აჰა! გული გამიჯნურდა; მიჭხდომია ველთა რბენა“ (რუსთაველი).

რუს. *ух: „Ух, жарко!“* (Некрасов); შდრ. „უჰ, უჰ... რანაირად ყი-ნავს“ (შ. არაგვისპ.).

რუს. *чу: «Чу, два похоронных удара!»* (Некрасов); «*Чу, пень! знако-мые звуки!*» (იქვე); შდრ. „ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი“.

გერმ. *uff, uph*, ფრანგ. *ouf*; ბერძ. *ჰჰ*, რუმ. *uf*; შდრ. „უფ, რა გრილი ღამეა“ (ნინოშვილი).

ბერძ. *ფჰ*, ლათ. *fue, fū*, გერმ. *pfui*, ესპ. *fu*, რუს. *тьфу*; შდრ. „თფუი! — სიბრაზით გადააფუტხა დათუამ და თვალები დახუჭა“ (შ. არაგვისპ.).

გერმ. *hm*, შვედ. *hm, hum*; ძვ. ინდ. *hūm*; რუს. *ჩჰ*; შდრ. „ჰმ! აგი უმისოდ ვიცოდი შე“ (ნინოშვილი).

გერმ.: *weh: «Weh! Weh! Weh! sie kommen Bitter Tod»¹; Weh! Weh! Du hast sie zerstört... შდრ. „ვეჰ! — დაიყვინძვრა, ცუდ ნიშანს ვხედავ“* (ივ. წერეთელი) და სხვ.

ამ შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ყოველ ენას სპეციფიკურ შორისდებულებთან ერთად მოეპოვება ისეთებიც, რომელნიც მსგავსნი არიან სხვა ენაში არსებული შორისდებულებისა. იბადება კითხვა: ამ შემთხვევაში ხომ არა გვაქვს საქმე სესხებასთან ან გავლენასთან? ვფიქრობთ, რომ არა. ამ სხვადასხვა სისტემის ენებში (ვგულისხმობთ ქართულსა და ინდოევროპულ ენებს) ბგერითი კომპლექსის მხრივ და ზოგჯერ სემანტიკურადაც მსგავსი შორისდებულები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ჩანს, სხვადასხვა ენას რთულ ემოციურ გრძნობათა გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალა გამოუყენებია. ეს გარემოება ნაწილობრივ უნდა აიხსნას იმ ფსიქიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით, რომელნიც შორისდებულთა საფუძველს შეადგენენ და მას სხვა მეტყველების ნაწილთაგან განასხვავებენ. მდიდარი ინტონაციურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს სხვადასხვა ენაში ერთნაირ ხმოვანთა ან ერთნაირ თანხმოვანთა და ხმოვანთა შეერთებით გამოუხატავს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ შორისდებულის სესხებას ადგილი არ ჰქონდეს. ასე, მაგ., შეიძლება დავასახელოთ რუსულიდან ქართულში შემოსული: უ რ ა ა! ბ რ ა ვ ო! ს ო მ ხ უ რ ი დ ა ნ — ა ფ ს უ ს! თ უ რ ა ქ ლ ი დ ა ნ: ი ა ლ ა პ ო! და სხვ. ევროპულ ენებს და კერძოდ რუსულს ანგლისურიდან უსესხებია შორისდებულად ქცეული სიტყვები: *стои! ажи!* თათრულიდან რუსულში ნასესხებია: *ажи* და სხვ.

¹ Goethe, Faust, Teil I, II, 1938.

შორისდებული წინადადებაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შორისდებული დამოუკიდებელი სიტყვა-წინადადებაა. ამიტომ ისინი ყოველთვის გამოიყოფიან წინადადებისაგან წარმოშობაში განსაკუთრებული ინტონაციით, ხოლო წერაში—მძიმით.

ბევრ შემთხვევაში შორისდებული მომდინარეობს მეტყველების სხვა ნაწილებისაგან, ასე, მაგ.: „დახე, დახე, თქვენი ქირიმე, ეს რა მოიგონა“ (ი. ჭავჭავაძე). ამ წინადადებაში „დახე“ შორისდებულია და მომდინარეობს იგი ზმნისაგან „დახედე“; ან კიდევ: „ჩუ, გამოხტა ავერ მწყერი“: „ჩუ“ წარმოდგა ფორმისაგან: ჩუმად. ზემოხსენებული ფორმა ქიტა უთუოდ მიღებულია ქვრატ-საგან; ზმნური წარმოშობისაა შორისდებული: ჰერი, სუ (— სულე) და სხვ. წოდებითი ფორმის სახელებისგან მომდინარეობენ შორისდებულები: ქა, რომელიც სიტყვა „ქალო“—ს შეკვეცილი ფორმაა, ბეჩა (— ბედშავი), როჯია (— ვაეო), ჭივ (— ბიჭო: აჭარ.), ბიჭო, ბიჭოს! და სხვ.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში შორისდებულს დღეს წინადადების წევრად (ქვემდებარედ ან დამატებად) გვევლინება¹; მაგ.: „ურაა!—დაიყვირა ლუარსაბმა და, რადგან გულადმა იწვა, თავისებურად ტახტზედ ერთი ფეხიც აიშვირა მალა და მანამ „ურა“ არ გაათავა, ფეხი არ ჩამოულია“ (ი. ჭავჭავაძე). ამ მაგალითში პირველი „ურა“ შორისდებულია, მაგრამ მეორე „ურა“ შორისდებული კი არ არის, არამედ შორისდებულის სახელწოდებაა და წინადადებაში ის დამატების როლს ასრულებს. „გაუთლელს ჩეჩენს, როგორც ჩვენა გვეგონია, პირი მოურიდებია, ზიზლით გადაუფურთხებია და თვალების ცისკენ მიქცევით წამოუძახნია: იალაჰ! მაგრამ ეს „იალაჰ!“ უნდა გაგვეგონათ, რა ხმით წარმოუთქვამს იმას“ (ყაზბეგი). ამ მაგალითში პირველი „იალაჰ!“ შორისდებულია, მეორე—შორისდებულის სახელწოდებაა, დამატებაა. „ფშატაძე რომ ბრაზობდა და მისძახოდა „ჰაი-ჰუის“ ტყესა და ველსა...“ (ვაჟა). აქ „ჰაი-ჰუის“ შორისდებულის სახელწოდებაა, დამატებაა. „ჰაი-ჰაა, ჰაი-ჰაა“—ს ძაბილით ერთმანეთს აღარ ვაცლიდით“ (შ. არაგვისკ.)— „ჰაი-ჰაა“ ამ წინადადებაში დამატებაა. „მჯილის გულში ჩაკვრით დაიძახეს „ვაჰი“ და საჩქაროდ გავიდნენ“ (ყაზბეგი). „ვაჰი“ დამატებაა სახელობით ბრუნვაში დასმული. „ვაის გავეყარე, უის შევეყარეო“—„ვაის“, „უის“ დამატებებია მიცემითში დასმული. „ლუარსაბს იამა და რომ უკან არ ჩამორჩეს ალერსში, თითონაც უჩქმიტა და ზედ ტბილის ხმით და ღიმილით „ჰი“ დაატანა“ (ი. ჭავჭავაძე). „ჰი“ ამ წინადადებაში დამატებაა. „როდესაც მიუახლოვდნენ, „ვაი“—ზე „უი“ მეტი დაერთოთ“ (აკ. წერეთელი). აქ „უი“ ქვემდებარება, ხოლო „ვაი“ დამატებაა. „გაჩნდა „ჰაი-ჰუი“, აფრინეს კაცი მეფესთან“ (ვაჟა). „ჰაი-ჰუი“ ამ წინადადებაში ქვემდებარება; ხოლო „ჩვენ ჯერ გავჯავრდით, „ჰაი-ჰუის“ ვიძახდით, მაგრამ ბოლოს ესდუმდით“ (ვაჟა)— „ჰაი-ჰუი“ დამატებაა. „მაგრამ უბრალო „ვი“—საქმეს ვერ შევლოდა“ (ყაზბეგი)—

¹ А. И. Германович, Междометие как часть речи: „Русский язык в школе“, 1941, № 2, გვ. 30; შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, თბილისი 1942, გვ. 76.

„ვიში“ აქ ქვემდებარეა. „ვაი შენს მოსეს“ (ი. ჭავჭავაძე). აქ „ვაი“ ქვემდებარეა და სხვ.

ზემოთ მოხსენებულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ქართულში შორისდებული შესაძლებელია ავებული იყოს. ა ე ო ო ა რ უ ხმოვანზე ან კიდევ დიფთონგებზე: აი, ეი, ოი, უი. ხმოვანებს შესაძლებელია წინ უძლოდეს ან მოსდევდეს სპირანტები: ყელისმიერი ჰ ან უკანაენისმიერი ხ, ან კიდევ: კბილბაგისმიერი ვ და წყვილბაგისმიერი ფ. ზოგჯერ ტონის მოძრაობისა და აფექტის გასაძლიერებლად ხმოვნის გაორმაგებასა და გასამმაგებას აქვს ადგილი.

2. არის მაგალითები, თუმცა მცირე, როდესაც შორისდებული გადმოცემულია უხმოვნოდ ერთი ან ორი თანხმოვნით (მაგ., ჰ! ჰმ!). ასეთ შემთხვევაში წარმოთქმაში საგულისხმებელია ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი.

3. ჰაე ქართულში ხმოვანთა წინ ჩვეულებრივ იკარგება (გარდა „ჰაერ“ „ჰაეა“ სიტყვებისა), მაგრამ იგი შორისდებულებში ხმოვანთა წინ თუ შემდეგ და ხმოვანთა შორის შენარჩუნებულია.

4. ქართული შორისდებულები ბევრ შემთხვევაში მომდინარეობენ სხვა მეტყველების ნაწილთაგან; მაგ.: „დახე“, „ჭიტა“, ჰერი“, „სუ“, „ქა“, „ბიჭო“, „ოჯო“, „ბეჩა“ და სხვ.

5. ბევრი ქართული შორისდებული ბგერითი კომპლექსისა და სემანტიკის მხრივაც მსგავსია ინდოევროპულ ენებში ხმარებული შორისდებულებისა. ისინი ამ სხვადასხვა სისტემის ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ.

6. აღსანიშნავია, რომ შორისდებული წინადადებაში, როგორც სახელწოდება, გვევლინება ქვემდებარედ და დამატებად.

С. М. ЖГЕНТИ

МЕЖДОМЕТИЕ В НОВОГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Автор на основе анализа семантики и фонетического состава грузинских междометий устанавливает их разные категории.

1. Грузинские междометия состоят из одного гласного: аа! ეა! იი! ოო! უუ! или из дифтонгов: აი! აი! ეი! ეი! ოი! ოი! უი! უი! или гласного в сочетании с согласными: ჰა! ha! აპ! ah! ხა! xa! აბ! ax! ვა! va! ვაპ! vah! ჰე! he! ეპ! eh! ვეპ! vèh! ხე! xè! ებ! èx! ჰი! hi! ბი! xi! ვიპ! vih! ვიშ! viš! იფ! ip! ჰო! ho! ოპ! oh! ხო! xo! ოხ! ox! ჰუ! hu! უპ! uh! უფ! up! Часто для усиления движения тона и экспрессии происходит удвоение или утроение гласного междометия.

2. Междометия в грузинском письме иногда передаются без гласного одним или двумя согласными, напр., ჰh, ჰჰhm. В таких случаях в произношении иногда слышится т. н. нейтральный гласный (ჲ ო).

3. В новогрузинском ჰh перед гласными обычно исчезает, но в междометиях ჰh перед и между гласными сохраняется.

4. Часть междометий образовалась путем перехода из других частей речи, напр., დახე! daxe! (← დახედე daxede) «смотри!» ჰერი! heri! «марш!» სუ! su! (← სულე sule) «тише!» (в значении „молчи!“), ქა ka (← ქალი kalo) «женщина!» ბიჭოს! bičos! «мальчик!» ოჯო ožo (← ვაჟო važo) «парень!» и т. д.

5. Многие междометия грузинского языка в своем звуковом составе, и по значению сходны с междометиями индоевропейских языков (немецк., англ., голланд., греч., лат., франц., польск., чешск.).

6. В предложении грамматически оформленное междометие выступает в роли подлежащего или дополнения.

თინათინ ქაჭხიავილი

ზოგნი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელოვანებისათვის ქველ ქართულში *

ნაწილაკებს, კავშირებსა და ზმნისართებს შორის მტკიცე ზღვარის დადება ყოველთვის არ ხერხდება ისეთ ენებშიც კი, რომლებიც დიდი ხანია მეცნიერული კვლევის ობიექტები არიან. ეს მით უფრო ძნელია ჩვენს ენებში, სადაც რიგი საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი არც კი გამხდარა. ქართული ნაწილაკებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ზოგიერთის შესახებ მოიპოვება ცნობები. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ქართული ნაწილაკების წარმოშობა, მნიშვნელობა და დანიშნულება. მათი რაობის გამოსარკვევად საუკეთესო საშუალებაა უძველესი ქართული საარგმნილი ძეგლების შედარება ორიგინალებთან, სახელდობრ, ბერძნულ, სომხურ და სხვა წყაროებთან. ეს წერილი შედგება ქართული ოთხთავის მიხედვით ჩატარებული მუშაობისა ზოგიერთ ნაწილაკსა, კავშირსა და ზმნისართებზე¹. სურათი ასეთია:

თუ

გრამატიკოსებს თუ კავშირად მიაჩნიათ. ანტონი მას უკეთუობით კავშირს უწოდებს², მ. ჯანაშვილი და ს. ხუნდაძე პირობით კავშირს³,

* წაკითხულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 27 ნოემბერს 1943 წელს.

¹ ქართული მასალა ამოკრებილია ადიშის ოთხთავიდან და ვ. ბენეშევიჩის გამოცემული მათესა და მარკოზის თავებიდან. პირველი ძეგლი აღნიშნულია C-თვ, მეორე B-თი; ბერძნული მასალა ამოღებულია Bernhard Weiss-ის გამოცემული ტექსტიდან: Die vier Evangelien, Leipzig 1905, ხოლო სომხური — ძველი და ახალი აღთქმის ვენეციის 1805 წლის გამოცემიდან.

ქართული მაგალითები შედარებულია ხანმეტ და ჰემეტ ტექსტებთან (ივ. ჯავახიშვილი და ა. შანიძის გამოცემათა მიხედვით) და V (Vulgata)სთან (1912 წლის გამოცემა); სომხური ნაწილი შემოწმებულია 1899 წელს მოსკოვს გამოცემული 887 წ. ხელნაწერი ოთხთავის მიხედვით (შემოკლებით ხელნაწერი), ხოლო ბერძნულისთვის გამოყენებულია კორინდეთის ოთხთავიდან მარკოზი (Материалы по археол. Кавказа, вып. XI) და ტიშენდორფის გამოცემა 1869 წლისა Novum testamentum graece (შემოკლებით: კორინდ., Tisch.).

² ქართული ლრამატიკა, თბილისი 1885, გვ. 111.

³ მ. გ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი 1906, გვ. 131; ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი 1907, გვ. 122.

დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი თ უ-ს განწვალებით ან კითხვით კავშირად თვლის და რუსულად თარგმნის *ли, или; ежели, если; же*¹. საბათი (ქართული ლექსიკონი) „თუ საეჭვ სიტყუაა“. მისი ხმარების შესახებ კი პლ. იოსელიანი ამბობს: „თუ ოდესმე იხმარება: ა. განწვალებითად ნაცულად ანუ, გინა, მაგალითად, თეთრი თუ შავი; ბ. კითხვითად: მაგალითად, ჰსჭირდეს ვისმე თუ თქმსნა ილოცვედინ, მოლხინე თუ ვინმე არს, გალობდინ... გ. თუობითად ნაცულად უკეთუ, თუ სადამე... დ. ოდესმე დაესხმის ნაცუალსახელთა: თუ ვინ, თუ რომელი, ე. ოდესმე ზმნის-ზედათა: თუ ვითარ, თუ რაოდენ, ვ. იხმარების ნაცულად მარცვლისა ძი“².

თუ ნაწილაკის შესატყვისად ბერძნულ ტექსტში ჩვეულებრივ გვხვდება: *εἰ* ან *ἐάν*, სომხურში *ի* და *ხի*. მაგალითად:

მთ 5,30 C და თუ მარჯვენე ჯელი შენი გაცთუნებდეს შენ

(შდრ. B, V და უკუეთუ მარჯვენე ჯელი შენი გაცთუნებდეს შენ)

και εἰ ἢ δέξῃς σὺς χεῖρ σαυτῶν δέξῃς

և ხի ი აქ ჰხინ ქო გაქმარებოცანს ექსე

(შდრ. *ხი ხ აქ ჰხინ ქო გაქმარებოცანს ექსე*; ხელნაწ.).

(ასევეა ლკ 4,9; იოვ 10,37; 11,21; 18,23; 14,6).

ლკ 17,4 და თუ შვდგზის დღესა შინა შეგცოდოს შნდა

και εἰ ἂν ἐπῴσῃς ἑμὲ ἢ ἐπῴσῃς ἑμὲ

և ხი ი ხი ἑპ ἑპ ἑპ ἑპ ἑპ ἑპ

(ასევეა მთ 5,47; 7,10; ლკ 17,3; მხოლოდ ბერძნულის მიმართ იოვ 8,16; 13,8).

ჩანს, მნიშვნელობითა და დანიშნულებით თუ და *εἰ*, *ἐάν*, *ი*, *ხი* სავსებით ფარავენ ერთმანეთს. თუ-ს მაგივრობა ქართულში შეიძლება გასწიოს უკუეთუ-მ.

უკუე

ს ა ბ ა განმარტავს: „უკუე ლასავით“. დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი თავის ლექსიკონში ხსნის: „უკუე კავშ. განა, *неужели, разве?*“ ხოლო გრამატიკაში მას უწოდებს შემაერთებელ კავშირს³, ანტონი მეტნობით კავშირს ეძახის. იგი წერს „რომელიმე (sc. კავშირნი) ითქმინ მეტნობითად, რამეთუ არა რადვესა დაჰნიშუნენ სიტყუათა შინა, რომელთაცა აკავშირებენ, ვარნა არცა დაისხმიან განრჩეულადრე სავმარებად, არამედ მეტნობითად, ანუ ჩუქულებისათვის, ანუ კეთილ-მწერლ-მეტყულებისათვის, და ანუ თუ ადვლ დაწყებისათვის სიტყუათა შემდგომთა. მაგალითებრ: უკუე, ...მცა, რე... და სხუანი“⁴. მეტნობით კავშირს უწოდებს უკუე-ს ს. დოდაშვილიც⁵. მ. ჯ ა ნ ა

¹ Д. Чубинов, Грузино-русский словарь, С.-Пб. 1887.

² პლ. იოსელიანი, პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ლრამატიკისა, 1863, 83. 113—114.

³ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლრამატიკა, 1887, გვ. XXVIII.

⁴ დასახ. შრომა, გვ. 112.

⁵ ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული ლრამატიკა, 1830, გვ. 54, 66.

შვილს¹ იგი მიაჩნია დამტკიცებით ზმნისზედად, ხოლო პ. კვიციარიძეს წართქმით ზმნისზედად². ნ. მარის აზრით, უკუე ნაოესაობითი ბრუნვაა უკუნ სიტყვისა 'задняя часть' და ნაცვალა *უკუნე ფორმისა, ნიშნავს 'сзади, потом; уже, же'³. ნ. მარისა და მ. ბრიერის ფრანგული განმარტებით: უკუე puis, déjà (შემდეგ, უკვე)⁴.

ა. შანიძე, ს. ჯანაშვია და არნ. ჩიქობავა უკვე, უკანს-ეტიმოლოგიურად უკავშირებენ კვალ სიტყვას. ა. შანიძის თქმით, უკუნა-ში უ- ისეთივე წარმოშობისაა, როგორც უდიდეს-ში, და იგი მიღებულია *პ-უ-კუ-ანა ფორმიდან, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: მის კვალზე⁵.

უკუე-ს ბერძნული შესატყვისია *ὄν*, სომხური *խակ* და *սაკ*. მაგ.:

მთ 27,22 C აწ უკუე რაჲ ვყოივ
(მღრ. V რა უკუე უყო იესოს)

რ: ὄν πειράω Ἰησοῦ

խակ *აქ* *არირიყ* *გმჩიის* (ხელნაწ. *აქ*)

მთ 3,8 C ყავთ უკუე აწ ნაყოფი ღირსი სინანულისაჲ
πειράετε ὄν καρπὸν ἄξιον ἤς μετανοίας;

მთ 7,20 C აწ უკუე ნაყოფისა მათისაგან იცნნეთ ივინი
(მღრ. V ნაყოფთა სამე მათთაგან იცნნეთ ივინი)

საკ *აქ* *აყოფე* *ნიყ* *ბანჩქიქ* *ყნიის*

(ასევეა მთ 12,12; იოვ 1,22; მხოლოდ ბერძნულში: მთ 3,8; 4,12; 6,31; 10,31; ლკ 8,18; 22,70).

ამგვარად, ქართული უკუე, ბერძნული *ὄν* და სომხური *խაკ* და *საკ* ერთმანეთს შეესატყვისებიან, მაგრამ ამ უცხო ენათა ნაწილაკების ეკვივალენტად ქართულში სხვა ნაწილაკებიც მოიპოვება (ამის შესახებ ქვემოთ).

უკუეთუ

საბახსნის: „უკეთუ თუმცასავით“, ხოლო დ. ჩუბინაშვილი: „უკეთუ კავშ. სათუო თუ, ვინიცობაა, если, ежели“. გრამატიკოსებიდან ზოგი მას უწოდებს კავშირსა და ზოგი ზმნისართს. მაგალითად, ანტონი თვლის უკეთუობით და საგანწუალო კავშირად⁶, დ. ჩუბინაშვილი თუო-

¹ Op. cit., გვ. 125.

² პ. კვიციარიძე, ქართული სწორმეტყველება, 1888, გვ. 152.

³ Н. Я. Марр, Древнегрузинский словарь к 1—2 главам евангелия Марка, 1913.

⁴ N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, Paris 1931, გვ. 212.

⁵ ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 340; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი 1942, გვ. 22. დაწვრილებით: კ. დონდუა. К генезису форм сравнительно-превосходной степени в картвельских языках: Язык и мышление, IX, 35—36.

⁶ დასახ. შრომა, გვ. 111.

Fall, so, unter den Umständen ('იმ შემთხვევაში, ასე, გარკვეულ პირობებში'), შემდეგ კონიუნქტივებისა და დაქვემდებარებული წინადადების გავლენით მიიღო მნიშვნელობა: *ob, wenn, ფრანგული si* ('*ли, если, когда, თუ, როდესაც, ოდეს'*).

ქ ა ვ || რ ე თავისთავად შედგენილი ნაწილაკია (*ei + ავ - ქავ; რ + ავ - რე*). მისი მნიშვნელობაა *если бы, если даже* ('*თუ, თუ კი*'), ავ კი პირობითი ნაწილაკია ისე, როგორც ლათინური და გუთური *an. ავ* ნიშნავს *allenfalls, eventuell, unter Umständen, во всяком случае, разве только, пожалуй* ('*ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია, საჭიროებისდა მიხედვით, გარკვეულ პირობებში*').

ამგვარად, *თუ ei* და *თუ ქავ* ნიშნავს 'მართლაც თუ, თუ კი ნამდვილად, იმ შემთხვევაში თუ, იმ პირობით თუ, თუ კი'.

სომხური *խակ* ნაწილაკის მნიშვნელობაა¹: -ც, ხოლო, უკვე, -ვე, აწ-ეტიმოლოგიურად იგი უკავშირდება -*es-* ძირს ('ყოფნა'-ს), ბერძნულ სიტყვებს *ἔσθι* და *ἐσθῆς* ('წრფელი', 'ჭეშმარიტი') და მომდინარეობს პრეფის **istwo-*დან.

აყა-ს ეტიმოლოგია უცნობია. მისი შესაბამისია ქართული *აბა*. მნიშვნელობა აქვს: 'შემდეგ, ამრიგად, მაშინ, დაბოლოს'.

მაშასადამე, *խაკ ხქქ* და *აყა ქქ* არის: ხოლო თუ, და თუ, თუ კი, ამრიგად თუ, თუ კი ... მაშინ. ეტყობა, ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი უკუეთუ ნაწილაკიც და ამდენად წინადადება: 'უკუეთუ... თივად ღწ ესრეთ შეამკო' (ლკ 12,28) ახალი ქართულით გადმოიცემა: 'თუ კი ბალახი ღმერთმა ამგვარად შეამკო', ან 'თუ მ ა რ თ ლ ა ბალახი ღმერთმა ასე შეამკო'.

ლა ნაწილაკი

ს ა ბ ა ს ლექსიკონში ვკითხულობთ: 'ესე ლაბ არს ბოლოდ ართრონი საეჭუთა ზედა გუარიაწმყოფელი სიტყუათა. რამეთუ ოდეს საეკენი ვიკითხნეთ, დაურთავთ ღასა და ვიტყვით წამსველეთათჳს: წაგა-ლა? ანუ წარსულთათჳს: მოგა-ლა?.. ესრეთ ყოველთა საეჭუთა დასასრულად და ბოლოდ'.

ღ. ჩუბინა შვილის განმარტებით: 'მარცვალი ესე შეერთდების სხვათა ლექსთა და განავითარებს მათ: 1. ზმნათა საეკვოსა კითხვასა ვითარ: არს-ლა—*разве есть?*.. 2. მრავალთა ზმნისზედათა და კავშირთა: არლარა—*ни ни, нულარა—более не; ვიდრელა—нежели; ...დალათუ—так как*'.

პლ. იოსელიანს ღა მიაჩნია კავშირად², მ. ჯანაშვილიც მას შეერთებით კავშირად თვლის³, თ. ქორდანი თანდებულად, რომელიც ჰყოფს სიტყვას 'განსახლერულად, მაგრამ თანაც აჩვენებს ნაკლულოვანებასა'⁴; 'ძველს ენაში... იგი იხმარება დასამცირებლად', 'ნაკლულევანი თანდებუ-

¹ ყველა სომხური ნაწილაკის ეტიმოლოგია გადმოგვცა პატიცემულმა ი. აბუღაძემ
 3. აკარიანის წიგნიდან: *Հայերէն արմատական բառարան*, ერევანი 1926—35.

² დასახ. შრომა, გვ. 74.

³ დასახ. შრომა, გვ. 131.

⁴ ქართული გრამმატიკა, 1889, გვ. 119.

ლია¹; ზ. შანშოვანი და დართულ უარყოფითებს საყამიერო ზმართულებს უწოდებს (არლა, არლარა)², დ. ქარიჭაშვილი³, ვ. თოფურიძე, H. Vogt-ი, ა. შანიძე და-ს ნაწილაკად თვლიან, ნ. მარსა და მ. ბრიერს იგი ენკლიტიკურ ნაწილაკად მიაჩნიათ⁴.

ვ. თოფურიძეს აზრით „ლა ნაწილაკს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც 'მხოლოდ', 'მარტო'⁵; Hans Vogt-ი განარჩევს -მე და ლაც(ა) ნაწილაკების მნიშვნელობას: -მე დართული სიტყვა შეიცავს განუსაზღვრელობის სრულ აზრს, ლაც(ა) დართული კი გადმოგვცემს ნაწილობრივს განუსაზღვრელობას⁶; იგი უდრის ფრანგულ neques-ს ('მხოლოდ')⁷.

-ლა ა. შანიძეს შინაარსის მიხედვით გამოარჩევით ნაწილაკებში აქვს მოქცეული ისევე, როგორც 'მხოლოდ' და 'მარტო'⁸. ნ. მარი და მ. ბრიერი -ლა-ს ფრანგულ მნიშვნელობად თვლიან: encore, seulement, même⁹ ('კვლავ, ხელახლა; მხოლოდ; იგივე, ისეთივე; უკვე').

-ლა ნაწილაკს, რომელიც ემატება როგორც სახელებსა და ზმნებს, ისე ნაწილაკებსაც, ბერძნულში შეესატყვისება ἔτι და ...πα, სომხურში *և* და *ևս*. მაგალითად:

იოვ 12,35 C მცირედ ჟამ ღა ნათელი თქნთა არს (V მცირედ ჟამ...)

ἔτι μᾶλλον χροῖον τὸ φῶς ἐν ἡμῖν ἔσται

ქიძე მჩსა ხლს ძამანსაჲ ლიჲ რნჲ ჰხჲ

იოვ 11,8 C აწ ღა გეძიებდეს შნ ჰურიანი

აქძა ხლს ჯნღრქსნ ეძეჲ ზრხაქნ

მკზ 13,7 C ხ' აღსასრული არღა იყოს

B, V ა'დ არღა არს აღსასრული

კორიღ., Tisch. ἄλλ' οὐκ ἔστιν αὐτῶν

რსიჲ ჯხლ ჳ კათარაძ

(ასევეა ლკ 14,22; 18,22; 22,71; იოვ 14,19).

-ცა ნაწილაკი

საბას სიტყვით: „ესე ცანი ბოლოს ართრონი არს განწყოტელობისა, რაძეთუ განარჩევს პირველსა მეორისაგან, ვინათგან ვიტყვი: უფალსაც და

¹ ქართული გრამმატიკა, 1889, გვ. 150.

² დასახ. შრომა, გვ. 71.

³ ქართული ენის გრამმატიკა, 1930, გვ. 129.

⁴ Op. cit., 365.

⁵ ქართული ენა, განაკვეთი III და IV, 1933, გვ. 30.

⁶ Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo 1936, გვ. 84—85.

⁷ იქვე, გვ. 95.

⁸ ქართული ენის გრამმატიკა (სასკოლო), 1941, გვ. 60—62.

⁹ Op. cit., გვ. 368.

„მონასაც...“ დ. ჩუბინაშვილით: „ც, ცა კავშირი შეერთებითი, რომელიცა ნიადაგ ბოლოს დაერთვის ლექსთა“.

ცა-ს კავშირად თვლის არ. ქუთათელაძე¹; შეერთებით კავშირად პლ. იოსელიანი² და მ. ჯანაშვილი³ და შერიცხულობის მაჩვენებელ კავშირად თ. ჟორდანიას (გვ. 119); დ. კარიჭაშვილს, ვ. თოფურიას, H. Vogt-სა და ა. შანიძეს იგი ნაწილაკად მიაჩნიათ. ა. შანიძე მას გაძლიერებით ნაწილაკს უწოდებს⁴, ხოლო H. Vogt-ი განიხილავს მას კითხვით ნაცვალსახელებთან ერთად, რომელთაც -ცა მიმართებით ნაცვალსახელებად აქცევს⁵. ნ. მარო და მ. ბრიერი -ცა-ს მნიშვნელობად იძლევიან ფრანგულში et, aussi, également-ს (და, აგრეთვე, ამასთანავე ერთად)⁶.

-ცა ნაწილაკის ბერძნული ბადალია *καί* და *καε*, თუმცა გვხვდება *περ, δε* და *οὐ-იც*, სომხური *և*. მაგალითად:

ლკ 20,32 C, V მოკუდა. დედაკაციცა იგი

καὶ ἡ γυνή ἀπέθανεν

მჩიად ხლ ნა, (ხელნაწ.) მსიად ხლ კჩინ

(ასევე: მთ 2,8; 5,40; 5,46; 5,47; 6,12; 6,14; 12,2; 15,16; იოვ 2,2; 3,23; 17,26).

ლკ 12,40 C და თქნცა იყვენით გამზადებულ

καὶ ἔμενε ὁ σὺ γίνεσθε ἕτοιμοι

(ასევეა მხოლოდ ბერძნულში: ლკ 14,33).

შკზ 15,6 B, V მიუტევის მათ ერთი პურობილი, რიცა გამოითხოვიან მათ

[C-ში არაა ეს მუხლი ტექსტის დაზიანების გამო]

ἀπέλασεν ἀποτῆ; ἔνα δέσμιον ὄνπερ ἦσιν

ქართულში მარტივი უარყოფითი ნაწილაკების გვერდით ხშირად იხმარება შედგენილი უარყოფითი ნაწილაკებიც, როგორცაა: არღა, არცა, არღარა, არცაღა, ნუცა, ნულარა, ვერღა, ვერღარა. ბერძნული და სომხური ტექსტების შესატყვის ადგილებში ამასავით შედგენილი უარყოფითი ნაწილაკებია, მაშინ როდესაც მარტივი უარყოფითი ნაწილაკები მარტივებსავე შესატყვისებიან⁷.

¹ პირველდაწყებითი ქართული გრამმატიკა, 1907, გვ. 124.

² დასახ. შრომა, გვ. 114.

³ Op. cit., გვ. 131.

⁴ დასახ. შრომა, გვ. 60.

⁵ Op. cit., გვ. 79.

⁶ დასახ. შრომა, გვ. 368.

⁷ არა უარყოფითი ნაწილაკის ბადალია ბერძნულში *οὐ* და სომხურში *ու*. მაგალითად: შკზ 2,18 C, B მოწაფენი შენნი არა იმარხვენ

οὐ δὲ σὶ μαθηταὶ οὐ νεσῶσισιν

ხლ ღი აჯასქროფი ი ჯ აჰანნი...

ნუ-ს ფარდება ბერძნული *μη* და სომხური *մի*. მაგალითად:

ნუცა = *μητε, μηδέ, ხ. მ. რ.* მაგალითად:

მთ 5,34—36 *С* ნუ ჰფუცავთ ყოლად ნუცა ცასა, ...ნუცა ქუეყანასა, ...ნუცა იმ¹ლმსა, ...ნუცა თავსა შენსა

μη δόσαυ ἔλας μητε ἐν τῷ ὄβραυνῷ, ...μητε ἐν τῇ γῆ ...μητε εἰς Ἱεροσόλυμα ...μητε ἐν τῇ κρηάτῃ σου

ამნხნცხნ მი ხრეზილ მი კერცხნ... ხ. მ. რ. კერცხრ... ხ. მ. რ. კერილაღამ... ხ. მ. რ. რ. ღილქ ღ

(ასევეა: მკზ 8,26; ლკ 3,14; იოვ 14,27).

ნულარა = *μηχέτι, მ. რ.* მაგალითად:

მკზ 9,25 *С* ნულარი შეხვალ მაგისა (*V* ნულარა შეხვალ მაგისა)

μηχέτι εἰσέλθη; εἰ; ἀπτόν

მ. რ. მათანხეხა რ ღა

(ასევეა მთ 21,19).

ვერლარა = *μηχέτι, ὀχέτι, იჯხლ, იჯ.* მაგალითად:

მკზ I,45 *С* ვერლარა კელიწითის მან შესლვად (*V* ვერლარა კელიწითე-მას შესლვად).

კორილ., Tisch. *ἀπτε μηχέτι: ἀπτόν ὀνασθαι... εἰσελθεῖν*

მჩხჯ იჯხლსა ღარიღ ქჩხელ... მათანხელ

(ასევეა მკზ 2,2).

ნუ უკუე

ნუ უკუე¹ ს შედგებილობა ხათელია: ნუ უარყოფითი ხაწილაკი+უკუე...საბა ასეთ ახსნას იძლევა: „ნუ უკუე ესე იგი არს ვითარცა საეჭვო რაამე, ეგების და მისთანანი“, ხოლო ჩუბინაშვილით: „ნუ უკუე იგივე განმეორებითი *неужели, разве*“ა. ს. დოდაშვილს იგი საჭირო ზმნისზედად მი-აჩნია (გვ. 53), ზ. შანშოვანს—საამჯნო ზმართულად (გვ. 70), ანტონსკითხვთ და საეჭვ ზმნისზედად და ამავე დროს მიზეზობით და საიჭო კავშირად², დ. ჩუბინაშვილს საგონებელ ზმნისზედად და განზრახვით კავშირად³, პლ. იოსელიანი (გვ. 73), დიმ. ყიფიანი⁴ და არ. ქუთათელიაძე⁵ პირდაპირ კავშირად თვლიან. ნ. მარი და მ. ბრიერი მას ფრანგულად თარგმნიან გამოთქმებით: *est ce donc que? de peur que par hasard*⁵.

ნუ უკუე-ს შეესატყვისება ბერძნული *μη* ὀν, ὀნ *μη* და *μηποτε*, ხოლო სომხურში *მჩქ* და უფრო კი *ღილქ*. მაგალითად:

¹ დასახ. შრომა, გვ. გვ. 104, 106, 110, 112.

² დასახ. შრომა, გვ. 28.

³ ახალი ქართული გრამმატიკა, 1882, გვ. 135.

⁴ დასახ. შრომა, გვ. 124.

⁵ *Op. cit.*, გვ. 215, 221.

ლკ 3,15 C ნუ უკუე იგი არს ქ-მ
 μη ποτε αυτος ειη ο Χριστος
 მქმტ სა ხეტ ზრქათიან

ლკ 11,35 C ნუ უკუე ნათელი შენ შს ბნელ იყოს
 οςν μη τδ φως εν σοι σχότος εστιν
 ყილეტ ლკჟ ირ ქ. ჟხტ ჯ სალარ ხეტ

ლკ 12,7 C ნუ უკუე გემინი
 μη οςν φειξενωθε (ვარიანტი)
 მქ. ხრქნჯჟ

(ასევე: მთ 5,25; 25,9; ლკ 14,8; 12,58).

დალათუ

დალათუ შედგენილი ნაწილაკია. საბას ახსნით: „დალათუ დალა-
 ცათუ; დალაცათუ თუმცასავით. დალა ართრონია (+კიდესავით. დალა-
 ძინა კიდევ დაიძინა. დალაითრო კიდევ დაითრო...)“, ხოლო დ. ჩუბი-
 ნაშვილით: „დალა, დალათუ, დალაცათუ, დალათუმცა მიშვე-
 ბითი კავშირებია: ΧΟΤΙΑ, ΧΟΤΙΑ ΝΗ“. გრამატიკაში კი იგივე დ. ჩუბინაშვილი
 დალათუ-ს თუობით კავშირს უწოდებს (გვ. 28). ანტონისათვის იგი საუ-
 სრულო კავშირია (გვ. 109), ს. დოდაშვილისათვის (გვ. 54) ნებართვით,
 ხოლო პლ. იოსელიანისათვის (გვ. 73) და არ. ქუთათელაძისა-
 თვის (გვ. 124) უბრალოდ კავშირი.

დალათუ-ს უდრის ბერძნულში *και ετι* და *και* და სომხურში *ხქ* და *ხლ ხქტ*. მაგალითად:

ლკ 11,8 C დალათუ ვერ ძალუც აღდგამად და მიცემად (V დალაცა-
 თუ არა ეძლოს მას...)

*ετι και ος δωσει αυτη δυνατας
 ქტ იჯ კაროღხალ თაკეტ ნამა*

ლკ 12,38 C დალათუ მეორესა საკუმილავსა... (V ...სახმილავსა) მოვიდეს
και ετι εν τη δευτερα... φυλακην ελθη

ხლ ხქტ ქერკირიჟ ყაჩილ ხქხეტ

(ასევე: მთ 28,14; ლკ 18,4).

ამგვარად, ზემოთ განხილული ქართული ნაწილაკებიდან (-ლა, -ცა) ლა-ს
 შესატყვისია ბერძნულში *ετι*, ...*παι*, სომხურში *ხლ*, *ხლს*, ხოლო ცა-სი: *ხალ*, *თე*,
ბე, *პერ* და *ხლ*.

ετι ნიშნავს *noch dazu*, *encore*, *de plus* ('კვლავ, კიდევ') და წარმოდ-
 გება წინარე ინდოევროპული **eti*-საგან, ნაცვალსახელური *o* ძირისაგან. მისი
 პარალელია ლათინური *et*.

-*παι* კი პრეენის ნაცვალსახელის **quo*, *qui*-ს *instrumentalis*-ია. მისი თავ-
 დაპირველი მნიშვნელობა იყო *über einen Zeitraum hin* ('გარკვეული ხნის შემ-
 დგ'). იგი დამოუკიდებლად არ გვხვდება, იხმარება ნაწილაკების შემადგენელ

ელემენტად და აძლევს მათ დროულ გაგებას (მაგალითად, $\text{ὄπω} = \text{noch nicht}$ „ჯერ არ“).

$\text{περ} \parallel \text{περὶ}$ ბერძნულივე თანდებული და ზმნისწინია, მისი პარალელია ლათინური per და ნიშნავს $\text{vollständig, durchaus, sehr; complètement, extrêmement, très}$ (‘სავსებით, მთლად, ძალიან’).

δὲ საკუთრივ ბერძნული წარმოშობის ნაწილაკია. ეტიმოლოგია უცნობია, შინაარსით უღრის $\text{aber, sondern; but}$ (ქართულში იგი, როგორც დამოუკიდებელი კავშირი, გადმოცემულია ხოლო-თი). დაერთვის ხოლმე ნაწილაკებს, კერძოდ უარყოფითებს, და მათთან ერთად ქმნის მთლიან სიტყვებს.

τε პრეენის * quo, qui ნაცვალსახელისაგან წარმომდგარი ნაწილაკია. წინარე ინდოევროპულშივე იხმარებოდა ორი პარალელური სახელის მაკავშირებლად. მნიშვნელობით უღრის auch, auch immer (‘აგრეთვე’). გარდა ამ მნიშვნელობისა, მას ევალეებოდა სხვა ნაწილაკებისათვის განუსაზღვრელი შინაარსის მიცემა და აგრეთვე კითხვითობის გამოხატვა.

καί წარმოდგება ნაცვალსახელური ძირისაგან. მას მოეპოვება პარალელური ფორმები ძველ სლავურში (ѣ —ნიშნავს ‘и даже’).

καί-ს მნიშვნელობაა: $\text{und, auch, oder; aussi, et}$ (‘და, ცა, აგრეთვე’). თავდაპირველად τε იყო copula , შემდეგ თანდათანობით καί-მ გამოდევნა იგი ხშირი ხმარებიდან.

რაც შეეხება სომხურ և-ს , იგი მომდინარეობს პრეენის $\text{ἐπι} \parallel \text{οπι} \parallel \text{πι-დან}$. მისი ეკვივალენტია ბერძნული ἐπί (იმავე ძირიდანაა πλ და παι). և ნიშნავს ‘და, ცა, აგრეთვე’.

ևս-ևს+ս . მისი მნიშვნელობაა и, еще, да, также

ჟიღვტ კავშირებითი კილოა **ჟიღ** ‘ყოფნის’ აღმნიშვნელი ზმნისა. იგი უღრის: $\text{может быть, авось, либо, станется, дабы не, чтобы не}$.

ამგვარად, ირკვევა, რომ -**ღა** ნაწილაკი ზმნისთან იძლევა დროის გაგებებს და გამოთქმები: არსლა (ლკ 14,22) ნიშნავს ‘კვლავ არის’, იტყოდა და ლკ 22,60) ‘ჯერ კიდევ ლაპარაკობდა’... ერთი და (ლკ 18,22) = ‘კიდევ ერთი’, და ამასთანავე ‘მხოლოდ ერთი’ (აქ გამორჩევეითობაც არის).

მაშასადამე,

დალათუ = καί : $\text{ἐάν, ἐί καί, ከիქტ, ከლ ከქტ}$ ‘და თუ, და თუ კვლავ, და თუ კიდევ’.

ნუ უკუე = μη $\text{ὄν, ὄν μη, μήποτε, μήποτε, ჟიღვტ}$ ‘მართლაც ნუ, ნამდვილად ნუ, ნუთუ მართლა’ (სომხურის მიხედვით: იქნებ, ეგების, ნუთუ).

არლა, არლარა = $\text{ρῆμα, ὀχῆσι, ὀχῆσι}$ ‘კვლავ არ, მეტი არ’.

არცა = ὄბῆ, ὄბῆ, ከლ ὀ, ὀ ‘და არ, აგრეთვე არ, კიდევ სხვა არ’.

არცალა = ὄბῆ, ὄბῆ, ὀ ‘კიდევ მეტი არ, მხოლოდ მეტი არ’.

ნუცა = μηδῆ, μητε, ከლ მი ‘და ნუ, აგრეთვე ნუ, კიდევ სხვა ნუ’.

ნულარა = μηχῆσι, მი ‘კვლავ (მეტი) ნუ, კიდევ ნუ’.

ველარა = *μυρῆς, οὐχῆς, ἰχθῆς, ἰχθ, ἰχ* 'კვლავ (მეტი) ვერ, კიდევ ვერ, კვლავ ვერ'.

-ვე ნაწილაკი

საბას სიტყვით: „ვე ესე ართრონი არს ბოლოსი...“; დ. ჩუბინაშვილით კი „ვე (ლათინ., სომხ.) კავშირი შეერთებითი: ცა, ჯე, კვალადვე *опять же*“... ქართველი გრამატიკოსების ნაწილი მას კავშირად თელის (პლ. იოსელიანი, არ. ქუთათელაძე, მ. ჯანაშვილი)¹, ნაწილი — თანდებულად (პ. კვიციანიძე)². დ. კარიჭაშვილს, ა. შანიძესა და ვ. თოფურჩიას³ -ვე ნაწილაკად აქვთ გამოცხადებული. ა. შანიძის თქმით: „ვე იგივეობითი ნაწილაკია და დაერთვის ყოველგვარ სახელს“⁴. ნ. მარი და მ. ბრიერი -ვე ნაწილაკის ორ მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ⁵: ერთია *encore* ('კიდევ, კვლავ') და ფრანგულად იგი გადმოიციემა „*même*“, „*le même*“-ით ('იგივე'), ხოლო მეორე მნიშვნელობით -ვე ნაწილაკი გვხვდება ზოგიერთი ზედსართავი სახელის შემდეგ, როგორცაა, მაგალითად, 'ყოველი' (ფრანგულად *tout*), და 'ყოველივე' უკვე ნიშნავს ფრანგულად *totalité* ('მთლიანობა', 'ერთიანობა', 'მთელი', 'ჯამი', 'ყველაფერი'). 'ყოველივე'ს ავტორები აღარებენ ბერძნულ *ἅπασ*.

-ვე ნაწილაკი ძველ ქართულში დაერთვის არა მხოლოდ ყოველგვარ სახელს, არამედ საერთოდ ყოველგვარ სიტყვას: სახელს (არსებითს, ზედსართავს, რიცხვითს, ნაცვალსახელს), ზმნას (ამას ან დაერთვის, ან ჩაერთვის), ზმნისართებს, ნაწილაკებს.

ვე ნაწილაკს ბერძნული ეკვივალენტი არ დაეძებნა, სომხურში კი მისი ფარდია: *իւ* || *է* და *իսկ*. მაგალითად:

ლკ 10,7 C მასვე სახლსა შინა იყვნით

և ի նմ ին տան ազանիչիք

ლკ 20,33 C რ' შვდთავე ესუა იგბ ცოლად

V ... შვდთავე მათ

դի ხიქანანք ին կական գնա կին

ლოვ 1,30 C რ' იყო წინავე ჩემსა

դի առաջ իսկ էր զան դիս

ლოვ 11,30 ა'დ იყო მუნვე ადგილსა მას

այլ էր ანդէն ի տեղույն

(ასევე: მთ 15,14; ლკ. 8,40; 8,37; 17,15; 23,12; 2,39; 2,45; 24,39; 6,38;

¹ გვ. გვ. 74, 124, 131.

² დასახ. შრომა, გვ. 154.

³ გვ. გვ. 129, 60, 24.

⁴ *Op. cit.*, 62.

⁵ დასახ. შრომა, გვ. 367.

23,40; 11,19; 12,49; 17,14; 1,7; 5,7; 5,38; იოვ 13,13; 15,3; 4,23; 3,18; 9,34; 19,23; 9,30; 20,4).

გარდა *ქნ* || *ქნ* და *ქს* ნაწილაკებისა, სომხურში ქართული -ვე-ს ფარდად გვხვდება ხოლმე *ქს* ნაცვალსახელდართული ფორმაც, განსაკუთრებით 'ყოველივე'-ს გადმოცემის დროს. მაგალითად:

ლკ 10,22 CV ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ

ამქსაქნ ქს თოლს *ქნ* *ქ* *ხიქ* *ქამქ*

(ასევე: ლკ 18,28; 16,16; იოვ 1,3; 16,15; 19,28; 5,40; 4,29).

-*ქნ* და -*ქნ* ფუნქციით ერთი და იგივე ოდენობაა. ა. მეიე მათ იდენტურობის ნაწილაკებს უწოდებს. მათგან პირველადია *ქნ*, ხოლო *ქნ* შიღებულია ფონეტიკური პროცესის შედეგად (სიტყვები, უკეთ ზმნისართები, *ანქნ*, *არქნ* და *ანქნ*, რომელთა შედგენილობაშიც გვხვდება *ქნ* ნაწილაკი, თვითონვე შეიცავენ ფუძეში *ქ*-ხმოვანს, თუმცა ასეთი ფორმები დადასტურებული არაა, და *ქნ* ნაწილაკის დართვისას მივიღეთ *ქნ*: **ანქნ*+*ქნ* → *ანქნ*).

ამგვარად, -ვე ნაწილაკი ერთ შემთხვევაში გადმოსცემს იდენტურობას, იგივეობას. მაგალითად:

ლკ 23,12 მიუძღუნა მუნვე პილატეს. მუნვე ნიშნავს 'იქვე, იმავე ადგილზე'.

ქს ნაწილაკი გამოხატავს როგორც 'ხოლო', 'არამედ'ს, ისე 'მართლაც, სინამდვილეში, ქეშმარიტად'. მაგალითად:

იოვ 7,5 რ ძმათა მისთაცა არავე ჰრწმენა მისი. ნიშნავს: „მის ძმებს მართლ. არ სჯეროდათ მისი“.

ამგვარად, -ვე- ნაწილაკს აქვს მეორე მნიშვნელობა: 'მართლა, ნამდვილად'.

-ვე-ს აღმოაჩნდა მესამე ფუნქციაც, სახელდობრ, იგი განუსაზღვრელობას ანიჭებს იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვის. მაგალითად, ყოველივე-ში (სომხ. *ამქსაქნ ქს*) -ვე არაა იგივე, რაც სიტყვებში: მუნვე, აწვე, წინავე, არავე, არამედ სხვა: ყოველივე=ყოველი რა, ყველაფერი რაც, ყოველი რამე, ყველაფერი. მაგალითად:

იოვ 1,3 C ყოველივე მის მიერ იქმნა

იოვ 5,20 CV ყლსავე უჩუენებს მას

ლკ 10,22 CV ყლივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ

(ასევე: იოვ 16,15; 19,28 და სხვა).

აღსანიშნავია, რომ 'ყოველივე' ეხება ყოველთვის არა ადამიანის—რა კატეგორიის სახელებს (სომხურშიც ხომ მის ბადლად *ამქსაქნ ქს* ირის).

-რე ნაწილაკი

საბახსნის: „რე ესე არს ართრონი სიტყუათა მშვენიერყოფელი“...
დ. ჩუბინაშვილიც თითქმის ასე საზღვრავს: „რე მარცვალი ესე იხმა-

რების მხოლოდ ლექსთა დამაშვენებელად. მაგალითად, წინა, წინარე; უმეტესად, უმეტესადრე; ზემორე მოხსენებული; დიდითარე⁴. ანტონს -რე მარცვალისიტყვათა სამკაულად მიაჩნია და ისეთ მარცვლად, რომელიც დაერთვის მეტყველების ყოველ ნაწილს (გვ. 113).

პლ. იოსელიანი მას კავშირად თვლის (გვ. 74), ნ. მარკი განმარტავს: -რე *отраз, некоторым образом*¹. ს. ყაუხჩიშვილი იხილავს -რე ნაწილაკის საკითხს იოანე პეტრიწის ენასთან დაკავშირებით და მიღის იმ დასკვნამდის, რომ -რე ნაწილაკი იხმარება ზედსართავებთან და ზმნიზედებთან შედარებითი ხარისხის აღმნიშვნელად (უცხორე 'უფრო უცხო', შორს-რე 'უშორესი' და სხვა)². მასვე დადგენილი აქვს ქართული ზოგი სხვა ნაწილაკის ბერძნული შესატყვისობები (არლა, არცა, დაღათუ, თუ, უკუეთუ და სხვა)³.

ოთხთავში -რე ნაწილაკი გვევლინება: ეგ და ეს ჩვენებით ნაცვალსახელებთან (ეგრე, იგრეთ, ეგრევე, ეგრეცა, ეგრეთვე, ესრე, ესრეთ, ესრევე), ვი-კითხვით ნაცვალსახელთან (ზმნისხედაში—ვიდრე, ვიდრემდე, ვიდრემე), გა-ძირთან (გარე, გარეშე, გარემო).

-რე ნაწილაკის სომხური შესატყვისობაა -*պէս* ნაწილაკი 'ფორმა, სახე, ფერი'.

-რე დართულ სიტყვას ბერძნულში შეესაბამება: აჯ, ა დაბოლოებიანე-ზმნიზედა.

ა, აჯ წარმოშობით *ablativus*-ისა და *instrumentalis*-ის ნიშანია ი-ფუძიანი-სიტყვებისათვის, სხვა ფუძეებში კი იგი ანალოგიითაა მიღებული. მაგალითად:

ლკ 10,32 C და ეგრევე ლევიტელი მასვე ადგილსა ზოვიდა

V ეგრეთვე...

ბმისაჯ მხ *αα*: *Λευίτης γυνάμενος αατχ τὸν τῆπον*

ზიკნაქა ხლ ეხსთაფი მჩ ხხხაქ ცნე ზიკნ თსიქ

(ასევე: მკ 15,31; ლკ 3,11; 5,10; 16,25; 22,36; 17,28).

ლკ 20,31 C ეგრევე შჯღთა მათ

(V ეგრეთვე ვიდრე მეშჯღდმდე)

ა^აა^აა^ააჯ მხ *αα*: *ὁ πατήρ αα ὁ πατήρ*

ზიკნაქა ხლ ხიქნხექნ

(ასევე: მკ 12,21; ლკ 22,20).

ლკ 17,24 C ეგრეცა ძე კაცისაჲ...

(V ესრეთ იყოს ძე კაცისა)

ὁ πατήρ αα *ἔσται αα ὁ πατήρ αα*

ზიკნაქა ხლ ირქჩ მარქქ

(ასევე: ლკ 12,21; 14,33; 17,10).

¹ TP, IV, რმვ.

² იოანე პეტრიწის შრომები, I, თბილისი 1940, გვ. LX—LXII.

³ იქვე, ქართულ-ბერძნული ლექსიკონი.

-ა ნაწილაკი

დ. ჩუბინაშვილი წერს: „ა კითხვითი მარცვალ ხომ? *ли?*“ ა. შანიძის განმარტებით, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ იყო ნახმარი, ძველი ქართული კითხვის გამოსახატად საკითხავ სიტყვას დაურთავდა -ა ნაწილაკს¹. ნ. მარი და მ. ბრიერ ოც კითხვით ნაწილაკად თვლიან ა-ს².

ოთხთავში -ა კითხვითი ნაწილაკი ჩვეულებრივ ერთვის ხოლმე ზმნას, იშვიათად სახელსაც, მას შესაფერისი ბერძნული და სომხური ნაწილაკები არ ეძებნება.

ლკ 12,41 C ჩნდა მომართ ...იტყვა ანუ ყლთა შიმართ
 πρὸς ἕμᾱς ...λέγεις ἢ καὶ πρὸς πάντας;
 აი ძნე ასავეხერ ...*ქმე* აი ძმნსსხანს

ლკ 13,16 C არა ჯერ იყო განვლად
 ὅτι ἔδει λυθῆναι;
 იე ჯერ არძან არძაკსე

იოვ 21,15 C გიყუარ მე
 V გიყუარ მე ა
 ἀγαπᾷς με;
 აჩრწა ყჩა

-მე ნაწილაკი

დ. ჩუბინაშვილი ამ ნაწილაკს ასე ხსნის თავის ლექსიკონში: „-მე დაერთვის ბოლოს სხვათაცა ნაცვალ-სახელთა და ზმნისზედათა: ვინმე, რამე, ვიეთნიმე, ოდესმე, სადამე, некто, нечто, что-либо, некоторый, некогда, когда-то. -მე კვლად შეერთდების კითხვითსა მარცვალსა ა? მეა; გიყვარ მეა? любишь ли ты меня?“ ანტონს -მე, მი. მცა, რე მარცვლები სიტყვების (სახელების, ზმნებისა და სხვა მეტყველების ნაწილების) სამკაულად და განსავითარებლად მი.ჩნია (გვ. 113), პლ. იოსელიანი (გვ. 74) და თ. ჟორდანიანი (გვ. 118) -მე-ს კავშირად თვლიან. დანარჩენი გრამატიკოსები და მკვლევრები მას ნაწილაკს უწოდებენ.

ნ. შანიძის აზრით, -მე განუსაზღვრელობითი ნაწილაკი პარალელურია აფხაზური -ვა-სი, რომელიც ემატება პასიური საგნის აღმნიშვნელ რიცხვით სახელს³.

მე — მელ — (მენ) მელ არის განუსაზღვრელობითი ნაწილაკი და ჩნდება ნაცვალსახელებისა და კავშირების შემადგენლობაში მეორე ადგილზე (არა-მელ, ვითარ-მელ, რო-მელ, რაა-მე და სხვა); მ-მე კი ვლინდება სახელებთან და კავ-

¹ ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 033—034.

² დასაბ. შრომა, გვ. 366.

³ Н. Марр, О числительных: краткий Языковедные проблемы по числительным, т. I, Липр. 1927.

შირებთან -ცა ენკლიტიკის წინ (მიწა-მ-ცა, თუ-მ-ცა, ნუ-მ-ცა) და ნიშნავს: не-которым образом, сколько-нибудь, в каком бы то ни было отношении¹. -მე დადებითი კითხვითი ნაწილაკის პარალელურია აფხაზური მა, სვანური მრ, მეგრული მუ². „-მეა-ში ორი კითხვითი ნაწილაკია ერთად წარმოდგენილი (-მე ли, -а ли)³“.

ნ. პარი და ნ. ბრიერი -მე ნაწილაკის ორ მნიშვნელობას არჩევენ: ერთი მნიშვნელობაა განუსაზღვრელობის მინიჭება ზედსართავეებისა და ნაცვალსახელებისათვის და ამ შემთხვევაში იგი შეესატყვისება ლათინურ alii ნაწილაკს, ხოლო მეორეა—კითხვითობის გადმოცემა (ამ შემთხვევაში იგი შეიძლება დაერთოს თვით კითხვით სიტყვასაც)⁴.

ა. შანიძის თქმით: „-მე განუსაზღვრელობითი ნაწილაკი ერთვის კითხვით ნაცვალსახელებს და ზმნისხედებს და აქცევს მათ განუსაზღვრელად“ (გვ. 60). ამავე აზრს ადგანან ვ. თოფურია (გვ. 27) და H. Vogt-ი, ოლონდ H. Vogt-ი -ლა(ცა) ნაწილაკისგან განსხვავებით -მე-ს მნიშვნელობად განუსაზღვრელობის გადმოცემას მიიჩნევს. ხშირად სწორედ ამ მნიშვნელობის გამო -მე დართული სიტყვა იხმარება კითხვით, უარყოფით ან კიდევ დაქვემდებარებულ წინადადებაში კავშირებით კილოსთან, მაშინ როდესაც -ლა(ცა) დართული ფორმები გვხვდება მტკიცებით წინადადებებში⁵.

ამგვარად, -მე ნაწილაკს ორი მნიშვნელობაა გარჩეული: განუსაზღვრელობითი და კითხვითი. ერთ შემთხვევაში ის ერთვის კითხვით სიტყვებს და უკარგვს მათ კითხვითობას, მეორე შემთხვევაში ის ჩნდება წინადადებაში (როგორც სახელებთან, ისე უფორმო სიტყვებთანაც) და აქცევს მას კითხვითად.

ოათხთავეში -მე ნაწილაკი შემდეგ სიტყვებთან გვხვდება: ვი- ფუძესთან (ვინმე, ვისმე, ვისამე, ვისიმე, ვისისამე, ვისთვსმე, ვისგანმე, ვისნიმე, ვიეთმე, ვიეთლაქე), რა- ფუძესთან (რამე, რასმე, რასამე, რაჟსამე, რაჟთამე), რომელ- ფუძესთან (რამე, რწმე, რწლსამე, რწლნიმე, რწლთამე); ზმნი ხედებთან: სადამე, რაოდენმე, ოდესმე, ვემე, ვითარმე, ვითარმედ, მერმე, სამე; უარყოფასთან: არამე, არამედ. ერთეული შემთხვევებია -მე-ს ხმარებისა: ვერ-მე-მცა (იოვ 11,37), ეგების- მე-რაჟ (1,46), იყოს -მე-ვინ (C, ხანქეტი, მთ 7,9), პოოს-მე-რაჟ (ლკ 18,8), შემძლებელ არიან-მე (C მკზ 2,19), ჯელ-მე-ეწიფებისა (B მთ 9,15).

ვინმე (სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში) ბერძნულში გადმოცემულია მუდამ ნაცვალსახელებით, რც - რსივ ან რს: - რსრც, სომხურში *ნ || იქ, იქ, იმ* (სხვადასხვა ბრუნვაში) ან *იჩ*⁶. მაგალითად:

¹ H. Marr, Древнегрузинский словарь..., გვ. 14.

² H. Marr, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, გვ. 26.

³ H. Marr, Тексты и разсказы..., VII, გვ. LXVI. აქვე დამოწმებულია იმავე ტექსტიდან მაგალითი 13,7: „სადათმე მოველოდი აღმოსავალითმე, ანუ დასავლით, ჩრდილოთმე ანუ საბოით“.

⁴ Op. cit., გვ. 367—68.

⁵ Op. cit., გვ. 81, 84—85.

⁶ ვინ ნაცვალსახელიც გადმოცემულია იმავე ბერძნული რც და სომხური *ნ || იქ, იმ* ნაცვალსახელებით. მაგალითად:

მკზ 3,33 ვინ არს დედა ჩემი ანუ ძმა ჩემი

რც ჰსთი ი ქიჩიქი მთს აჯი ინ ძმელჟი: მთს
იქ ჯ ქამ ქაქი კამ ხეჟარქ

მთ 19,25 C ვინმე უკვე შეუძლოს ცხოვრებად

B ვის[მე] გელეწიფების ცხოვრებად

რის ἄρα ἄναται: ἁμαρτία

ის ἢ ἁμαρτία ἁμαρτία

ლკ 18,3 C, V და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა

ჯერა ἄρα რის ἢ ἁμαρτία ἁμαρτία

ის ἁμαρτία ἢ ἁμαρτία ἁμαρτία

ვინმე ყველა გრამატიკოსს ნაცვალსახელად. მიაჩნია, პლ. იოსელიანი, თ. ჟორდანიანი, არ. ქუთათელიძე, მ. ჯანაშვილი, ა. შანიძე და ვ. თოფჩურია მას განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს უწოდებენ, დიმ. ყიფიანი მოაზრებითს (გვ. 56), ხოლო პ. კვიციანიძე—უმე-შაობითს (გვ. 105).

ბერძნული ენა არჩევს ორგვარ რის-ს. ერთია რის-ს: რის-ს კითხვითი ნაცვალ-სახელი: wer? welcher? (кто? который? 'ვინ? რომელი?') და მეორე ენკლიტიკა რის-ს: რის-ს, რაც ნიშნავს: einer, ein gewisser, jemand (определенный, известный, кто-либо, некто 'ვინმე, ვიღაც, გარკვეული პირი, ცნობილი პირი'. გერმანულში იგი ხშირად გადმოიცემა განუსაზღვრელი არტიკლით).

ორივე რის-ს ერთი წარმოშობისაა: მომდინარეობს პრეენის *quis ფორმიდან. მისი შესატყვისია ლათინური quis (ვინ?). Boisacq-ი მას სომხურ გ-საც უკავშირებს (ჩსჯ სიტყვისას), თუმცა ა. მეიე ამას არ იზიარებს.

სომხური ἢ არის პირის კითხვით-განუსაზღვრელი ნაცვალსახელი და მომდინარეობს პრეენის kwo ან qwo ნაცვალსახელური ძირიდან; საიდანაც წარმოდგა ლათინური quis, ბერძნული πῶς, πῶς, πῶς, გერმანული was, welch-, welcher, რუსული кто, каждый, сколько, куда, где.

ἢ-ს მიღებულია ἢ-ს გაორკეცებით. პირველად ἢ-ს იხმარებოდა ხმოვნით დაწყებული სიტყვების წინ ჰარმონიულობისათვის, შემდეგ კი მათი გარჩევა მოიშალა და ორივე იხმარება თანაბრად.

ἢ-ს შედგება ἢ+ს ნაწილაკისაგან. იგი ნიშნავს некто, некоторый, один.

ἢ-ს 'некто, некоторый, другой, ვინმე' შედგება ἢ ნაცვალსახელისაგან და ἢ-ს სუფიქსისაგან (დაპირისპირებით ἢ-ს ფუძესთან, რაც ნიშნავს 'რაიმე'. მაშ, ქართულ -მე-ს შესატყვისია სომხური ἢ-ს).

ἢ-ს უდრის 'ერთს'. ამავე დროს იგი განუსაზღვრელობითი არტიკლია და ზედსართავი, მომდინარეობს smio ფორმიდან, რომლის ძირია sein და ნიშნავს როგორც 'ერთს', ისე 'მთელს' (იმავე ძირიდანაა ბერძნული εἷς, ἄλλο, ἄλλο, ლათინური similis, simplex).

ამგვარად, ვინმე ქართულში ორგვარი მნიშვნელობითაა ნახმარი: ერთი მნიშვნელობით იგია 'ერთი, ვიღაც, некоторый, некто, другой', მეორე მნიშვნელობით კი—'ვინ' კითხვითი ნაცვალსახელი: кто? который? wer? welcher?'

რადმე (სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში) ვადმოსცემს ჩვეულებრივად ბერძნულ *αι-*ს და სომხურ *ինჯ, იჲ-*ს¹. მაგალითად:

ლკ 11,36 C არარაჲ აქუნდეს ადგილი რადმე ბნელისაჲ

μη ἔχοι τι μέρος σκοτεινόν

ხლ ჯჳიღჯ მასან ინჯ სჳაჲარქინ

ლკ 23,19 C აღძრვისათჳს რადმე ქალაქსა შინა

ὅτι σάτυν τινά γενομένην ἐν τῇ πόλει

ქჳასან სიიქიქსჳანს ირქჲ ხიქიქქ ი ჳაღაღქინ

სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი ახსნაა მოცემული: *აქ* შესატყვისია *აქ* ნაწილაკისა საშუალო სქესისათვის; ამდენად ისიც ორნაირია: კითხვითი ('რა? რომელი?') და განუსაზღვრელობითი.

სომხური *ინჯ* შედგება *ი* ნაცვალსახელური ნაწილისაგან (რაც მოდის პრეფიქსის **qui-*დან და, მაშასადამე, მისი თავდაპირველი საჩე იქნებოდა *-hi-*) და *-ინჯ* ნაწილაკისაგან (რომელიც წარმოდგენილია *აქ-ინჯ*-შიც). *ინჯ*-იც ორგვარია: *некий, некоторый* და *какой? что?*

იჲ შეიცავს იმავე *ი-* ნაცვალსახელსა და *ჲ* ნაწილაკს (დაცულს *იჲ*-შიც).

რომელიმე-ს (განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში) შეესაბამება ბერძნული *ὅς, τίνος, ἧλιος, πάλος, ἕτερος*; სომხური *იორ, იამნ, ი, აქ, ჳჳა*². მაგალითად:

ლკ 8,5 C რლიმე დავარდა გზასა ზედა

ὁ μὲν ἔπεσεν παρὰ τῆς ὁδοῦ

ჳრ იორ ანჳალ აი დანაჳყარჳა

მკზ 4,4 რიმე დავარდა გზასა თანა

კორიდ., Tisch. ὁ μὲν ἔπεσεν παρὰ τῆς ὁδοῦ

იამნ ანჳალ აი დანაჳყარჳა (|| ჳრ იორ ანჳალსა აი დანაჳყარჳანს: ხელნაწ.)

ლკ 8,7 C რლიმე დავარდა შს ეკალთა

καὶ ἕτερον ἔπεσεν ἐν μέσῳ τῶν ἀκανθῶν

ხლ აქლნ ანჳალ ი მქჳ ქიჯი

ლკ 17,12 C ვრ შევიდოდა დაბასა რლსამე

καὶ εἰσερχόμενος ἀβτῆν εἶς τινὰ ἄμαρην

ხლ მქინჯიხი მთანჳრქ ი კხიქ იორქამნ

თოვ 11,37 C რნიმე მათგანნი იტყოდეს

τίνος δὲ εἶς ἀβτῆν εἰπον

ჳჳაჳრქ ი ნიგანჳს ასჳქინ

¹ რად ნაცვალსახელიც არის ბერძნულად *τις* და სომხურად **ი-* (*ინჯ*). მაგალითად:

ლკ 6,9

რად ჯერ არს შაბათსა

τις ἔξῃστῃ τῶν ἑβδομάδων

ჳქინჯ არქანს ი ჳაღაქიქ...

² რომელი კითხვითია და ბერძნულსა და სომხურში ვადმოცემულია იმავე ნაცვალსახელებით, რითაც რომელიმე.

მკვ 8,28 C, B რ'ლთამე ერთი წინაწარმეტყველთაგანი (V სხუათა)
 ἄλλοι δὲ ἦν εἰς τὸν περιφθεῖν

և ալღ զմի որ ի մարդարէից անաի

იოვ 7,40 C რ'ლთამე ერისა მისგანთა (V მრავალთა ერისა მისგანთა)

πολλοὶ οὖν ἔχουσιν ἄλλοι

«*ა*»*ს**რ* ի ժողովրդենէն

85, 7, 8 პრეენის *io:, *ia, *iod ნაცვალსახელიდან მომდინარედ ითვლება. მისი მნიშვნელობაა *welcher? er, lequell, qui* ('რომელი').

ἄλλος ნიშნავს: *ein anderer; another, any other, some other, the other, the rest* ('სხვა, ვინმე სხვა, ერთი სხვა, დანარჩენი'). იგი მომდინარეობს პრეენის *alios ნაცვალსახელიდან. მისი შესატყვისია ლათინური *alius* და სომხური *აլღ*.

πολύς, πολλή, πολλοί უდრის *nombreaux; viel, zahlreich, gross, lang, gewaltig, mächtig* ('ბევრი, მრავალრიცხოვანი, დიდი, გრძელი, ძლიერი, შემძლე'), მაგრამ თქმა: «*πολύς ἦν ἐν τῇ φιλοσοφίᾳ*» = «*er lebt ganz in Philosophie*» 'რომელიმე'-ს ამ ნიუანსს უნდა იქერდეს. *πολύς* — პრეენის *polu-

ἕτερος || ბეოტიური ἄτερος აღნიშნავს *l'un des deux; einer von zweien, einer von beiden, einer-anderer* ('ერთი ორთაგან, ერთი-მეორე'). ბეოტიური ფორმის წინაპარია პრეენის (*sintero* (*sin* 'ერთის' აღმნიშვნელი ძირია), *ἕτερος* კი *εἰς*-ის გავლენითაა მიღებული: იყო *ἕτερος* და გადავიდა *ἕτερος*).

რაც შეეხება სომხურ *ორ*-ს, იგი შედგება *o* — კითხვით-ინდიფერენტული ნაცვალსახელისა და *r* ნაწილაკისაგან (რომელიც დატულია *ორ*-შიც). *ორ* ნიშნავს *кто, который, что* ('ვინ, რომელი, რა').

აլღ 'инои, другии, разный, различный', როგორც ითქვა, უდრის ბერძნულ *ἄλλος*-ს.

կէս 'ნახევარი', 'ნაწილი', 'ნაწილობრივ' ეტიმოლოგიურად უცნობია. მ. მ. რ. ი. მას უკავშირებს ქართულ *კერძო*-ს და მიაჩნია აღრინდელ სომხურ **կერძა*-იდან წარმოშობილად (**կერძა* — **კერძა* — **კერძა* და აქედან *კէს*).

ჩანს, ქართული *რომელი* უდრის *er, welcher, кто, который, что*-ს, ხოლო *რომელიმე* 'er, welcher, ein anderer, einer von zweien' ('სხვა, ერთი ორთაგან').

ვითარმე, ანტონის თქმით, კითხვითი ზმნისზედაა (გვ. 104). იგი შედგება კითხვითი ზმნისზედისა და -მე ნაწილაკისაგან¹. მისი ბერძნული შესატყ-

¹ ვითარ-ს დ. ჩუბინაშვილი თარგმნის: *как, каким образом*. ბერძნულში მას შეეფარდება *ἄς, πῶς, ὅτε, ὅσες*; სომხურში *իրիւ, որէս, զհարդ, մինչդիւ* (ნ. ლკ 1,34; 2,42; 6,4; 9,14; 2,28; 10,26; 12,11; 22,41).

ვითარცა — ვითარ+ცა დ. ჩუბინაშვილი თ. ზმნიზედაა და ნიშნავს 'როგორც, რამეთუ', ნ. მ. რ. ი. მას თარგმნით კი *как только* (*Древнегрузинский словарь, 7*). ანტონი მას განმარტებით კავშირს უწოდებს (გვ. 132), პლ. იოსელიანი შემსგავსებით ზმნისზედას (გვ. 68). ვითარცა-ს შეესაბამება ბერძნული *ἄς, ὅσες, ὅσες, ἄς-მῶς, ὅτε, ἕπερ*, სომხური *ორէს, ირիւ* (ლკ 2,21; 2,22; 7,1; 10,8; 17,24; 19,5; 19,25; 19,32). ამგვარად, ვითარ ნიშნავს: როგორ, რომ, როდესაც, თითქოს. ვითარცა — როგორც, როგორც კი, როდესაც, თითქოს.

ვისია πῶς, სომხური *ძրպէս, զիմրդ*. მაგალითად:

მთ 23,33 C, V ვითარმე განერნეთ სასჯელსა

πῶς φήγῃτε ἀπὸ τῆς κρισεως

զիմրդ փախնուցուք ի դատաստանէ

მთ 10,19 C ვითარმე ანუ რასამე იტყოდით

πῶς ἦτε λαλήθητε

թէ ძრպէս կամ զի՞նչ խօսիցիք

ვითარმედ გრამატიკოსთა სიტყვით კავშირია. ს. დოდაშვილი (გვ. 54) და დ. ჩუბინაშვილი (ლექსიკონი) მას მიზეზობრივ კავშირს უწოდებენ; საბათი „ვითარმედ = როგორმე“.

იგი ბერძნულში ძირითადად ზე-თ ვადმოიცემა, სომხურში კი *թէ (եթէ)*-თი, მაგრამ გვხვდება *է, კა, ა*, *ა*თე და *թիրეს* და *ძირეჲს*. მაგალითად:

მკზ 14,58 C V ვდ ჩუენ გუესმა მაგისგან

კორიდ., Tisch. *ՃԷ: իմէ՛ք զիսնսպայն անտն լէչոնտօք*

թէ მსք. რსაք ի դამანէ (ხელნაწ. *թէ* არაა)

მკზ 4,32 C ვდ შესაძლებელ არნ... დადგრომად

(შდრ. B ვდს შესაძლებელ არს... დადგრომად)

კორიდ., Tisch. *ა*თე *ն*ააა*თ*ა... *κατασχευσεν*

ძირეჲს რსაჲსაჲს ქრისქ

მკზ 12,6 C ვდ შეიკდიმონ ძისა ჩემისაგან

კორიდ., Tisch. *ՃԷ: ն*ერა*პ*ի*ս*ონ*տ*ա *տ*ն *ս*ն *ն* *մ*ոս

թիրესა ამანესენ...

(ასევე: ლკ 1,22; 2,23; 4,41; 5,36; 8,4; 8,16; 13,2; 13,4; 19,7).

ბერძნული ნაწილაკი *ა*ჯ (რომლის მნიშვნელობაა: wie, so, da, als, dass, damit; как, каким образом, так, когда, в то время как, что, тем, этим) მიზნულია პრეენის ნაცვალსახელური ძირის *to, *to-ს instrumentalis-ად (ვითარ-იც შეიცავს ვი- ფუძის მოქმედებით ბრუნვას). მისი პარალელურია ლათინური *sed*.

πῶς ასევე ნაცვალსახელური ძირიდან მომდინარედა გამოცხადებული. იგი წარმოდგება პრეენის *qao-სგან და უდრის ფრანგულ *comment*-ს ('როგორ, რანაირად').

ა*ს*ელ ('wie, wenn, als wenn, als ob, wie, gleich wie 'როგორც, თითქოს'), ცხადია, იშლება ორ ნაწილად: *ა*ჯ და *ელ*.

ბ*ე* ('wann როდის, როდესაც') – ბ+*ე*. ბ მომდინარეობს *so ნაცვალსახელური ძირისაგან, *ე* კი იგივე *ე*-ა და გვხვდება ბერძნულსავე *κατὰ, μετὰ*-ში და ლათინურ *ita*-ში (განსხვავებით იმ -*ე* ნაწილაკისაგან, რომელიც უდრის ქართულ -*ც*-ს).

ბ*ი* (წინაბერძნული *ioδ) – ბ+*ი*. *ი* განუსაზღვრელი ნაცვალსახელია, შესატყვისი ლათინური *quis, quid*-ისა.

წ ელემენტის შესახებ არსებობს ორი აზრი: ერთის მიხედვით იგია საშუალო სქესი ზე ნაცვალსახელისა, მეორის მიხედვით კი ის მოდის პრეენის *σFძისაგან, რომლის პარალელური ფორმები მოიპოვება გუთურში: swa და swē (უდრის გერმანულ so და wie-ს 'ასე, როგორც'). ის დამოუკიდებლად არ იხმარება, წარმოდგენილია ხოლმე სხვა ნაცვალსახელებთან ერთად.

აჲსე შეიცავს აჲ და რე ნაწილაკებს (რე=ც-ს) და ნიშნავს: wie, so, wie, gleich wie, so dass ('როგორც, ისე რომ').

სომხური **իրრელ-իրრ+ელ. ირრ** ან **ირრ-**ში გამოიყოფა **რარ**, რჩება **რ || ს**, რაც ნიშნავს „რა“-ს. **რარე** არსებითი სახელია: 'ქცევა, ზასიათი, სახე, ბუნება, ვითარება'. **ირრ** უდრის ქართულ ებ რ-ს.

ირაქსა - ირ+აქს და ორივე ნაწილი ნაცნობია: **ირ** 'ნაცვალსახელია, აქსა კი ფალაურიდან შემოსული სიტყვაა: 'ფორმა, სახე, ფერი'; 'დახატვა, შემკობა', იგი უკავშირდება პრეენის peik ფუძეს, ბერძნულ **πεικναι**, რუსულ **писать**, **пестрый** და სხვ.

ერარე იშლება **ერ+არე**: **ერ** წინდებულა, **რ** ნაცვალსახელური ძირი 'რა', **არე** 'სახე, ფორმა, წესი, რიგი' (შდრ. ქართული მ-ართ-ალი). **ერარე** ითარგმნება **как? каким образом? для чего? по какому поводу?** 'როგორ? რისთვის? რარიგად? რის გამო? რატომ?'

ერჩელსა = ერ+ჩელსა: **ერ** ნაცნობი ნაწილაკია. **ერ** მოდის პრეენის smē || smi ძირიდან. მას შეესატყვისება ბერძნული დადასტურებითი ნაწილაკი **μα**, ჰომეროსის **μέν**, იონიურ-ატიკური **μη**. მაშასადამე, **ერჩელსა** არის 'до, пока -მდე, სანამ'.

ერრელსა იგივე **ერრელსა** 'ეგების, იქნებ, შესაძლოა'. იგი დადასტურებითი ნაწილაკი და შედგება **ერ** ძირისა და **ელსა** ნაწილაკისაგან. ძირი პრეენის *pter-იდან მომდინარეობს (იგივე ბერძნული **πτεριμα**: 'ფერენ'). მისი პირვანდელი მნიშვნელობა იყო: 'ფრთე', 'ნაკრტენი', შემდეგ 'ფოთოლი', 'გვერი', 'მხარე'. სომხურში ერთი მნიშვნელობა დაცულია (შდრ. **ქიჩილსა** 'ფრინველი').

ამგვარად, ვითარმე ნიშნავს: 'როგორ? რანაირად? რაგვარად? ვითარ?' ხოლო ვითარმედ: 'რომ, იმის გამო რომ, იმიტომ რომ, ისე როგორც, თუ, და', საბათი 'როგორმე'.

ვიდრემე

დ. ჩუბინაშვილით: „ვიდრე, ვიდრემე ზზ. სადა, **куда**“. ანტონი მას მიზნობით და მეტნობით კავშირად თვლის (გვ. 110, 112), ს. დოდაშვილი მეტნობით კავშირად (გვ. 54), ხოლო ზ. შანშოვანი საუკამიერო ზმართულად (გვ. 71).

ვიდრემე-ს ფარდია ბერძნულში აჲსე და **πεν**, სომხურში **ერჩელსა** და **ქ**. მაგალითად:

ლკ 12,1 **ც ვემე** დასაფრუნიდესცა ურთიერთას

აჲსე **καταπασειν ἀλλήλους**

ერჩელსა **კირჩელ** **ერჩელსა**

იოვ 7,35 C ვემე ეგულების მისლვად.

π ο σ μ έ λ λ ε ι ο ν τ ο ς π ο ρ ε σ ε α μ α ι

ჩაკ კი ხრქაყეტ და (ხელნაწ. კი)

ვიდრემე, ცხადია, შედგება ვიდრე+მე ნაწილაკისგან¹.

π ο σ მომდინარეობს ძირიდან *qao ('ვინ? რა?') და აღნიშნავს .wo? რღე? საღ?

ჩანს, ვიდრემე არის: 1. საღ? სანამდის? 2. რღე რომ, როგორც.

რაოდენმე

რაოდენმე (ისევე, როგორც რაოდენ) ბერძნ. π ά ρ ο ς და სომხ. ირჯაჟის მაგიერია. მაგალითად:

მთ 6,23 C, B უკუეთუ ნათელი... ბნელ არს ხ' ბნელი იგი რაოდენმე

ε λ ο ν γ τ ο φ θ ς ... τ ο ξ υ σ ο ι σ α χ ο ς ε σ τ ι ν , τ ο σ α χ ο ς π ά ρ ο σ υ

ხქტ კიკჟ... ქაღარტ ქაღარტ ირჯაჟ ხს

π ά ρ ο ς მომდინარეობს პრეენის *quoti-დან (თავდაპირველი ძირია *qao): π ά ρ ο ς — *π ο σ ο wie gross? wie viel? combien? 'რამოდენა? რამდენი? როგორ ბევრი?'

ირჯაჟი — ირ+ჯაჟი. ჯაჟი ზომის, რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვაა და ამდენად ირჯაჟი არის 'რაოდენ, რამდენი' (сколъко, сколъ).

ამგვარად, რაოდენმე უღრის 'რამოდენა, რამდენი, როგორ ბევრი'.

საღამე

ს ა ბ ა ამბობს: „საღამე საღაზედ მეტი. საღა ადგილსა ცხად ჰყოფს“. ა ნ ტ ო ნ ი ს ა ღ ა მ ე -ს საიჟო ზმნისზედად და ზედმოღებით კავშირად აცხადებს (გვ. 106, 111), ხოლო პლ. ი ო ს ე ლ ო ა ნ ი მას „ჰრთულ“ ზმნისზედებში იხსენიებს (გვ. 69).

¹ ვ ი დ რ ე -ს შესახებ ნ. მ ა რ ი წერს: „ვიდრე куда, пока. *ვი-დ- მიმართულებითი ბრ. ვი- სახელისათვის, -რე მიმართულებითი ბრ. სუფიქსი ვი-ნ ნაცვალსახელში. ამგვარად, აჟ არის მიმართულებითი ბრუნვის ორი ფორმანტი (Древнерусский словарь, გვ. 19). ბერძ. ξ α ς , ἦ და ξ ε , სომხ. მჩუჯ, მჩუჯს, ღან, მჩუჯხო (ნ. მკვ 6,45; მთ 12,46; 18,9; ლკ 1,80; 9,42).

ბერძნ. ξ α ς მოდის α F ო ; წინარე ფორმიდან და ნიშნავს so lang, als, bis; пока, когда? 'მამინ, -მდე'.

ἦ — *ჟ F ე და გამოხატავს: oder, oder auch; soit ainsi—soit ainsi 'ან, ან კიდევ, ან ან'.

მჩუჯლი = მჩ + უჯ + ჟლი. ჟლი არის პრეენის ძღრ. ნ. მ ა რ ი მას უკავშირებს ქართულ 'ჯე რ'-ს. მჩუჯლი ნიშნავს: пока, когда.

ღან უღრის რუს. чем, გერმ. als. მისი პირვანდელი მნიშვნელობაა: 'ზომა', 'რაოდენ' და შეესატყვისება ლათინურ quam, quantus. ყველა ეს ფორმა მოდის პრეენის ნაცვალსახელიდან qwan, qwan.

ამგვარად, ვ ი დ რ ე ნიშნავს: სანამ; სანამდის; als, чем.

ს ა დ ა მ ე -მე ნაწილაკდართული ს ა დ ა¹ სიტყვაა და გადმოსცემს πον-
სა და **πλρ**-ს. მაგალითად:

იოვ 7,11 C, V ს ა დ ა მ ე არს იგი

π ο ν χ ο σ τ ῖ ν ἔ κ ε ι ν ο ς

π λ ρ *ჩეხ ნა*

π λ ρ უკავშირდება **π** ნაცვალსახელურ ძირს (ვინ-ის მნიშვნელობის მქო-
ნეს; შდრ. ძვ. ქართული ვინაჲ) და გამოხატავს როგორც где? в каком ме-
сте? აგრეთვე где, в каком месте.

ამდენად, ს ა დ ა მ ე ნიშნავს 'სად?'

ოდესმე

იგი ა ნ ტ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს მიზეზობრივი კავშირია (გვ. 110), ხოლო ზუ-
რ ა ბ შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს საქამიერო ზმართული (გვ. 71).

-მე, ცხადია, ნაწილაკია, დართული ხშირად ხმარებულ სიტყვას ო დ ე ს².
ო დ ე ს მ ე ბერძნულადაა πότε, სომხურად *ხერხმან*. მაგალითად:
იოვ 9,13 C რ'ლი იგი ო დ ე ს მ ე ბრმა იყო

τ ὸ ν π ο τ ε τ υ φ λ ὸ ν

π ὸ τ ε *ორ ხერხმან ღიკრნ ხრ*

π ὸ τ ε — *quo და ითარგმნება wann? zu welcher Zeit? 'როდის? რაჟამს?'

ხერხმან wann? 'რომელ დროს? რა ჟამს? ზოგჯერ, რამდენად, როდესაც')

შეიცავს *ხერ* ძირს (იგივეა, რაც *ჩერ-ხლ*-ში), რომელიც, როგორც არსებითი
სახელი, აღნიშნავს 'დროს, ჟამს'. *მან* ნაწილაკია, ა. მეიეს აზრით, indefi-
nita-სთვის გამოყენებული ისევე, როგორც *ჟ* ნაწილაკი.

ამგვარად, ო დ ე ს მ ე ნიშნავს: 'როდისღაც, როდისმე, ერთხელ, რა დრო-
საც, რომელიღაცა დროს'.

არამე

ა რ ა მ ე შედგება ა რ ა უარყოფითი ნაწილაკისაგან (თუმცა ზოგი გრა-
მატიკოსი მას ზმნისართსაც უწოდებს)³ და -მე ნაწილაკისაგან. ნ. მ ა რ ი და
მ. ბ რ ი ე რ ი მას ფრანგულად თარგმნიან გამოთქმით: „est-ce que ne ... pas“⁴
იგი ჩვეულებრივად იბ-სა და *იჟ*-ს გადმოსცემს, ზოგჯერ იბმბπote-საც.

¹ სადა-ს შესაბამისია *შპოს* და *πλρ* (ნ. იოვ 17,24). *შპოს* შეიცავს ორ ელემენტს: ბ
(ნაცვალსახელურ ძირს) და *πστ*-ს. იგი ნიშნავს: irgendwo, doch, wohl, gewiss, vermutlich,
где-нибудь, пожалуй, конечно, 'მართალია, დასაშვებია, შესაძლებელია, ალბათ'. ამგვარად,
ს ა დ ა არის где-нибудь, где-либо, ახ. ქართულით: 'სადმე, სადღაც'.

² ო დ ე ს ბერძნ. *შტე*-ა და სომხ. *იერძამ*. *შტე*-ს მნიშვნელობაა wann, когда 'როდის,
როდესაც'. *იერძამ* იწოდება: *ქ+იერ+ძამ* და უდრის სიტყვასიტყვით ქართულ 'რა ჟამს'
მაშასადამე, ო დ ე ს ნიშნავს 'როდის? რა ჟამს? როდესაც, რა ჟამსაც'.

³ ს. დოდაშვილი (გვ. 53), პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (გვ. 68), დიმ. ყ ი ფ ი ა ნ ი
(გვ. 127), პ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე (გვ. 152), მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (გვ. 125), დ. კ ა რ ი ჭ ა -
შ ვ ი ლ ი (გვ. 129).

⁴ Op. cit., გვ. 215.

ლკ 14,31 **ც არამე** პირველად დაჯდეს და განირაცხოს
 ობ̄χ̄ῑ *καθίσας πῶτον βυσλῆσεται*
ხ. იჯ ნათხი ნაჩა ჩიორჩიქი

მთ 21,16 **ც არამე** აღმოგიკითხავს
 (მდრ. V, B არა ს ა დ ა აღმოგიკითხავსა)
 ობ̄δ̄ε̄π̄ο̄τ̄ε̄ *ἀνέγνατε*.
ჯიფტ რუქხრეჩილი ძერ

ობ̄დ̄ე̄π̄ο̄τ̄ე̄ (auch nicht jemals, niemals, nie 'არც როდის, არასოდეს')
 იშლება ობ̄+დ̄ε̄+π̄ο̄τ̄ე̄.

ამგვარად, არამე-ს შეესატყვისება იგივე უცხო ნაწილაკები, რაც მარ-
 ტივ უარყოფითს ნაწილაკს არა-ს. მაშასადამე, მნიშვნელობაც იგივე უნდა
 ჰქონდეს.

არამედ

არამედ-ს გრამატიკოსები კავშირად თვლიან: ანტონი გარმიმდე-
 ობით კავშირს უწოდებს (გვ. 108), ს. დოდაშვილი — წინააღმდეგობითს
 (გვ. 54). საბა იუწყება: „არამედ მაგრამსავით არის და მაგრამ კი არ
 არის“. „ნუ უთმე არა ნუ უკუე არს, არამედ მსგავსი რამე მისი, ვითარცა
 არამედ და მსგავსი მისი“.

მას ეფარდება ჩვეულებრივ *ἄλλᾶ*, სომხური *այլ* და *բայց*; გარდა ამისა:
εἰ μὴ, ობ და *μενοσνγე* და სომხ. *ჩչ აყაღქნ*. მაგალითად:

მკზ 1,44 **ც** ად მიგუჟლე და უჩუენე... თავი
ἄλλᾶ σπαραγε, σεαυτὸν δεῖξον
აილ ხრქ ვიყ ვერყ

(ასევეა: ლკ 7,7; 7,25; 7,26; 11,33; 17,7).

მკზ 4,21 **ც** ად რა სასანთლისა ზა დაიდვას
 B, V ანუ არა სასანთლესა ზედა დადვიან
 ობ̄χ̄ *ὅτι ἐπὶ τῆς λυχνίαν τειμή*
ჩჩ აყაღქნ ჩიქირაყ აკითანაკი ვნჩიქ

ლკ 11,29 **ც, V** და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული იონა წი-
 ნაწარმეტყუელისად
καὶ τημεῖον ὅς δειχθήσεται αὐτῷ, εἰ μὴ το Ἴονᾶ τημεῖον
ხ. ზჯან ქერქნიჟ აჯ თაგი აიწა რაყე ზჯანზ მიქნანო

ἄλλᾶ პროკლიტიკად ქცეული საშუალო სქესის ფორმაა *ἄλλος* ნაცვალ-
 სახელისა. იგი ნიშნავს: *sondern, allein, jedoch; но* 'მაგრამ, მხოლოდ, მაინც'.

εἰ μὴ არის 'თუ არა, თუ ნუ', ხოლო *μενοσνγე* *nun, also; конечно,*
без сомнения, да 'ისე რომ, რასაკვირველია, უეჭველია'. უკანასკნელი იშლე-
 ბა: *μέν+ოსν+γე*. აქედან *μέν*=ძველ მა-ს (*allerdings, doch, конечно, во вся-*
ком случае), *γέ* დაერთვის სიტყვებს მნიშვნელობის გასაძლიერებლად. იგი პა-
 რალელურია გუთური *mik*-ისა ('*mich, moi მე*').

რამ, ხოლო, კი, ხოლო *აჟ საყაჟქნ*-ისა 'განა არა'.

საყაჟქნ-ს ჰრ. აჭარიანი შლის *საყაჟ* ფუძედ და *ქნ* ნაწილაკად (ნ. *არქნ*, *ანქნ*). ფუძის ეტიმოლოგია უცნობია. ა. მეიე კი გამოჰყოფს *ქნ* ძირს (უკავშირებს ბერძნულ *τε*-ს, ლათინურ *que*-სა და პრეენის **que*-ს) და *საყა* და *ქნ* ნაწილაკებს.

ჩანს, არამედ-შიც იგივე უარყოფითი ნაწილაკია არა (მწ, იხ; სომხური *ჲ*).

რამეთუ

რამეთუ-ს გრამატიკოსები მიზეზობრავ კავშირად მიიჩნევენ (ანტონი: გვ. 110, ს. დოდაშვილი: გვ. 54). დ. ჩუბინაშვილი ხსნის: რამეთუ კავშ. მიზეზობითი ვითარმედ, потому что, ინი.

ნ. მარო წერს: „რამეთუ, вульт. რამეთუ, что. რა основа вопр. и относ. местоимения... რამე что-либо в соединении с союзом თუ—რამე თუ что“¹.

რამეთუ გადმოსცემს ბერძნულ *ὅτι* და *ἄρα*-ს, სომხურ *դի* და *քանդի*-ს. მაგალითად:

ლკ 7,47 C, V რ შეიყუარა ფრიად

ბ რ: ἵκετο πρὸς αὐτὸν

დი კიქ სჩრსაყ

(ასევე: ლკ 1,61; 1,68; 1,37; 6,25; 9,38; 11,38; 19,3; 19,21).

ლკ 5,9 C რ განკურვებამან შეიპყრა იგი (ჰემ. V ...განკურვებამან...)

მამვიჯ ყბრ პერიჯეჲ აბტბ

ქანდი ან ყაახსაყ დნა

(ასევე ლკ 1,18; 1,30; 1,15; 7,5; 18,16; 19,5).

ყბრ (ja, ja gewiss, freilich, nämlich, denn 'დაიხ, რა თქმა უნდა, მართლაც, სახელდობრ, იმიტომ რომ, რადგანაც') შედგება *ყე*+*ბრ* ნაწილაკებისაგან. *ყე*, როგორც ითქვა, მნიშვნელობის გამაძლიერებელია, *ბრ*, *ბრ* აღნიშნავს: nun, da, sofort, sogleich, сразу, сейчас, тотчас.

დი (ინი, потому что, дабы, чтобы რადგან, იმიტომ რომ, რათა) შედის *ქანდი*-ში: *ქან*+*დი* (*დი* კიდევ იშლება). *ქანდი* არის ინი, потому что, поелику 'რადგან, იმიტომ რომ'.

ამგვარად, რამეთუ ნიშნავს: 'რადგანაც, იმიტომ რომ, რომ'.

მერმე

-მე ნაწილაკს შეიცავს ზმნისართი მერმე-ც (შდრ. მერე).

ანტონი მერმე-ს აღსავლობით ზმნისზედას უწოდებს (გვ. 105), დ. ჩუბინაშვილი დროებით ზმნისზედას (გვ. 27). საბას ახსნით: „მერმე აწის შემდგომად (მას უკან, შემდგომად)“.

¹ Древнегрузинский словарь... გვ. 18.

მ ერ მ ე შესაბამისია ბერძნული *πάλι*, *oñ*, *Ξπ*, *εἰτα* ნაწილაკებისა, ხოლო სომხურის *აպა*, *ჟარძხალ* და *აჩლსანჟამ*-ისა. მაგალითად:

მკვ 2,1 C მოვიდა მ ერ მ ე კათარნომდ

B შევიდა ი'ზ მ ერ მ ე კაპერნაუმდ

კორიდ., Tisch. *και εἰσελθὼν πάλι εἰς Καφαρναούμ*

և մտեալ զարձեալ ի Կափառնաում

მკვ 4,17 C მ ერ მ ე რქს შეემთხუის ქირი

εἶτα γενομένης ἑλιψῆος

აჟა ἰ ჩასანსკ უხვილქხან

მკვ 3,20 C შევკრბა მ ერ მ ე ერი იგი

και συνέρχεται πάλι δχλος

և դայ միւսանჟამ ընդ նոսա ძորიլიւրդն

πάλι - არის acc. **παλι*-, მოდის პრეგენის **quel* ძირიდან. მისი მნიშვნელობა: *zurück*, *rückwärts*, *entgegengesetzt*, *wieder*, *wiederum*, *noch einmal*, 'უკან, ხელახლა, კიდევ ერთხელ, საწინააღმდეგო'.

εἶτα კი = *dann*, *darauf* 'მაშინ, შემდეგ, მას შემდეგ'. *εἰ+τε*-ს *τε* იჭრევა, რაც გვაქვს *δτε*-ში (და *μετα* და *κατα*-ში).

ჟარძხალ ნამყო ღროს მიმღობაა *ჟაონალ* ზმნისა. მისი პირვანდელი მნიშვნელობა იქნებოდა 'მობრუნებული, მოქცეული'. ძირია *ჟარძ* და მოდის პრეგენის *dhrg'h*-იდან. იგი ნიშნავს: *опять*, *снова*, *но*, *однако*, *впрочем*, *сверх того*.

აჩლსანჟამ დაიშლება: *აჩ+ლს+ანჟამ* (*აჩ* 'ერთი', *ანჟამ* ფლაურიდან ნასესხები სიტყვაა 'ღრო, მომენტი, სეზონი წლისა') და აქვს მნიშვნელობა: 'ერთი სხვაჯერ, მეორეჯერ, სხვა ღროს, კვლავ'.

ამრიგად, მ ერ მ ე (მ ერ ე-ც) ნიშნავს: 'კვლავ, განმეორებით; შემდეგ, სხვა ღროს, კიდევ ერთხელ, უკან'.

სამე

სამე -მე ნაწილაკიანი სა- ძირი უნდა იყოს. მისი მნიშვნელობა მთლად ნათელი არაა. დ. ჩუბინაშვილი ხსნის: „სამე ზხ. განა, მასასადამე, *разве, а потому*“... ანტონს იგი მიაჩნია საიჭო ზმნისზედად და ზედმოღობით კავშირად (გვ. 106, 111), პლ. იოსელიანიც კავშირად თვლის: „სამე იხმარება ნაცუღად უკუშ. მაგალითად, ღმერთნი სამე ხართ და შუღნი მალღისანი“ (გვ. 73, 114). ნ. მარი და მ. ბრიერი მის ფრანგულ შესატყვისობად იძლევიან: *certes* 'რასაკვირველია, იგულისხმება' (გვ. 215).

სამე გაღმოსცემს ბერძნულ *ἀρα*, *πάντα* და სომხურ *აპა*, *აპაღუნ*-ს. მაგალითად:

ლკ 4,23 C მრქუათ სამე იგავი ესე (V მარქუთ სამე იგავი ესე)

πάντα εἶπετέ μοι τῆς παραβολῆς ταύτης

აპაღუნ ააჩენღ აო ჩა ჟაოაკა ჟაკა

ლკ 11,47 C იწამებით სამე და თანა სათნო იყოფით

ἄρα ἄρα τὰς ἐξουσίας
αὐτῶν ἡσυχίας ἡσυχίας ἡσυχίας

ზოგჯერ სამე-ს შესატყვისი ბერძნულ და სომხურ ტექსტებში აღარც მოინახება. მაგალითად:

ლკ 22,22 C ძმ სამე კაცისად წარვალს

ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου... πορεύεται
ἐκ ἰερὺς ἰερῶν ἰερῶν

πᾶντα ἡμῶν ἡμῶν πᾶν ძირიდან. იგი ნიშნავს: gänzlich, durchaus, al-
lerdings 'მთლად, სავსებით, აუცილებლივ, რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში.
მართლა'. მას დადასტურებითი მნიშვნელობაც აქვს.

ამგვარად, სამე უნდა ნიშნავდეს: 'დიდაც, მართლაც, ნამდვილად,
მთლად, სავსებით, ყოველ შემთხვევაში, სინამდვილეში'.

საერთო დაკვირვებიდან გამოდის, რომ -მე ნაწილაკის შესატყვისი ბერძ-
ნული და სომხური ნაწილაკი არ მოიპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში
ბერძნულ ἄρα და იუ-ს და სომხურ *ჩას* და *არე*-ს, რომლებიც ზოგჯერ გვევ-
ლინებიან იმ წინადადებებში, სადაც ქართულად -მე გვაქვს. მაგალითად:

მკზ 4,41 C, V ვინმე არს ესე

ὁ υἱὸς ἄρα ἰσχυρῶς

კორიდ.:

ὁ υἱὸς ἄρα ἰσχυρῶς

მკზ 12,9 C

რაამე უკუე უყოს ὁ
არე ἰσχυρῶς ἰσχυρῶς ἰσχυρῶς

იოვ 9,16 C

და ვ'რმე შემძლებელ არს კაცი ცოდვილი
ჩას ἰσχυρῶς ἰσχυρῶς ἰσχυρῶς

მთ 26,54 C

და ვ'რმე აღესრულოს წიგნები იგი

B

და ვ'რმე აღესრულნენ წერილნი იგი
πᾶς ὁ υἱὸς ἰσχυρῶς ἰσχυρῶς ἰσχυρῶς

მაგრამ ჰგევე ნაწილაკები გამოდიან ხოლმე. ჯერ ერთი, სხვა ქართულ ნაწი-
ლაკთა შესატყვისად (მაგალითად; იუ=უკუე, ἄρα=სამე, *ჩას*=ხოლო, -ვე, *არე*
=აწ) და, მეორეც, ისინი გვხვდებიან ისეთ წინადადებებში, სადაც ქართული
არავითარი ნაწილაკი არაა (და მათ შორის -მე-ც). მაგალითად:

მთ 13,18 ნამე: ὁ υἱὸς ἀποστόλων τῶν ἀποστόλων τῶν ἀποστόλων

ἐκ ἰερῶν ἰερῶν ἰερῶν ἰσχυρῶς ἰσχυρῶς ἰσχυρῶς

V ხოლო თქუნ ისმინეთ იგავი ესე მთესვარისა

C თქუნ აწ ისმინეთ იგავი იგი მთესვარისა

გარკვეულ შემთხვევებში ნათლად ჩანს, რომ -მე ნაწილაკი სიტყვას (ჩვე-
ულებრივ ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს) ანიჭებს განუსაზღვრელ მნიშვნე-
ლობას. მაგალითად:

ადიშისა და ტბეთის ოთხთავების შედარება გვიჩვენებს, რომ პირველი ამ ოთხთავის კითხვის გამომხატველ -მე ნაწილას შედარებით სისტემატურად ხმარობს, მეორე კი გაურბის.

მთ 10,19 C ვითარმე ანუ რასამე იტყოდით

B ვითარ ანუ რასა ვიტყოდით

მთ 22,43 C ვითარმე უკუე დავით სულითა უფლით ხადის

B, V ვითარ უკუე დავით სულითა წმიდითა ჰხადის.

მკზ 8,36 C რადმე სარგებელ არს

B რად სარგებელ არს

მთ 21,16 C არამე აღმოგიკითხავს.

B, V არასადა აღმოგიკითხავსა

მთ 21,31 C რნმე ორთავან მან ყო ნებაჲ მამისაჲ

B, V ვინ ორთა ამათავანმან ყო ნებაჲ მამისა ზუსისაჲ

(ასევე: მთ 11,16; 16,26; 22,12; მკზ 1,27; 12,9).

არის შემთხვევები, როდესაც ორივე ოთხთავში ერთნაირადაა -მე ნაწილაკი, მაგრამ ტბეთის ოთხთავი დამატებით -ა ნაწილას ხმარობს. მაგალითად:

მთ 12,11 C არამე უპყრას და აღადგინოს იგი

B, V არამე უპყრასა და აღმოიქუას იგი

მთ 18,12 C არამე დაუტეოს ოთხმეოცდაცხრამეტნი იგი

B, V არამე დაუტევენესა ოთხმეოცდაცხრამეტნი იგი

ზოგჯერ ადიშის ოთხთავი -მე ნაწილაკის ადგილას ტბეთის ოთხთავში -ა ნაწილაკი არის. მაგალითად:

მკზ 2,25 C არამე სადა აღმოგიკითხავს

B არასადა აღმოიკითხეთა (V არასადა აღმოგიკითხავსა).

ადიშის ოთხთავში, ტბეთის ოთხთავთან შედარებით, -მე კითხვითი ნაწილაკის სიჭარბე ალბათ აიხსნება პირველი ძეგლის ადრინდელიობით მეორესთან შეფარდებით.

თინათინ შარაქენიძე

უარყოფითი ნაწილაკები სვანურში*

სვანური ენა მეტად მდიდარია უარყოფითი ნაწილაკებით და მათგან ნაწარმოები უარყოფითი ნაცვალსახელებით, ზმნისართებითა და კავშირებით. ყველანი დღემდე შეუსწავლელი არიან. ჩვენი მიზანია სვანურში არსებულ უარყოფით ნაწილაკთა, ნაცვალსახელთა, ზმნისართთა და კავშირთა აღნუსხვა, მათი მნიშვნელობის დადგენა და, შეძლებისდაგვარად, უარყოფით ნაწილაკთა ხმარების წესებისა და შედგენილობის გარკვევა.

შრომა სამ ნაწილად იყოფა. ესენია: 1. უარყოფითი ნაწილაკები, 2. უარყოფითი ნაცვალსახელები, 3. უარყოფითი ზმნისართები და კავშირები.

უარყოფით ნაწილაკთა და მათგან წარმოებულ სიტყვათა გაგრცელების არე და მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია სვანურ კილოთა მიხედვით. მაგრამ ვიდრე მათ განხილვაზე გადავიდოდეთ, საქიროდ მიგვაჩნია რამდენიმე შენიშვნა წარუშუძღვაროთ შრომას.

1. გამოყენებულია სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული მასალები, როგორც დაბეჭდილი, ისე დაუბეჭდავი¹. დაუბეჭდავი ტექსტებიდან ნაწილი ენის ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში ინახება, ნაწილი კი ეკუთვნის ვ. თოფურაძეს.

მასალები კილოთა მიხედვით თანაბარი რაოდენობისა არ არის. ყველაზე მეტია ბალსზემოური. განსაკუთრებით იგრძნობა ბეჩოურ-ეცერული ტექსტების სიმცირე. თუმცა ბალსქვემოური კილოს ლახამულური კილოკავი საკმაოდაა წარმოდგენილი, მაგრამ ლახამულური მნიშვნელოვნად განსხვავდება ბეჩოურ-ეცერულისაგან. აღნიშნული ვითარება არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ჩვენ შევადგინეთ სხვადასხვა კილოში ხმარებულ უარყოფით ნაწილაკთა ცხრილები. მაგრამ ამ ცხრილებს არ უნდა მივანიჭოთ საბოლოო მნიშვნელობა. როდესაც ვამბობთ, ესა თუ ის ნაწილაკი რომელიმე კილოში არ იხმარებოდა, ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ ჩვენს განკარგულებაში მყოფ მასალებში ის არ შეგვხვედრია. მაგრამ შეუძლებელი არ არის, რომ ეს შემთხვევითი იყოს, — ტექსტების სიმცირით გამოწვეული, და მომავალში ამ კილოშიც დადასტურდეს იგი.

2. სხვადასხვა მიზეზის გამო (ნაწილაკთა სიმრავლე, ტექსტთა არათანაბარი რაოდენობა კილოების მიხედვით...) მოსალოდნელია, რომ შემჩნეული ვერ

* წაითხზულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1942 წლის 2 ივლისს.

¹ ტექსტების თარგმნისას ვსარგებლობდით მ. გუჯეჯიანის, ლაშხელ ა. ონიანის, ლახამულელ ა. დავითიანისა და ლენტეხელ სპ. ტვილდიანის კონსულტაციებით. ყველა მათ უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

იქნეს თითოეული ნაწილაკის მნიშვნელობის ყველა ნიუანსი, ის სპეციფიკური იერი, რომელიც ამა თუ იმ ნაწილაკს შეიძლება ახლდეს რომელიმე კილოში.

3. უარყოფით ნაწილაკებთან ერთად ზოგჯერ უარყოფითი ნაცვალსახელები, ზმნისართები ან კავშირები გვაქვს გაკვრით განხილული. ეს აიხსნება იმით, რომ ზოგი უარყოფითი ნაწილაკი იმავე დროს უარყოფით ნაცვალსახელს, ზმნისართს ან კავშირს წარმოადგენს (მ₅მ_ა, დ_წმ_{ის}, დ_ემ_ეგ, დ_ე...); ზოგი ნაწილაკი კი ამჟამად აღარ იხმარება, მაგრამ შემონახულია მისგან ნაწარმოებ კავშირში (დ_ეთ_ამ, ლენტეხურში — დ_ომ_ად, ლაშხურში — დ_ორ_ი).

4. ძირითადად ვემყარებით ბალსზემოური კილოს მონაცემებს. ამის მიზეზია არა მარტო მასალების სიუხვე, არამედ, უმთავრესად, ბალსზემოურისათვის დამახასიათებელი გრძელი ხმოვნები და უმლაუტი. ხმოვანთა სიგრძეს კი ნაწილაკთა შედგენილობის გარკვევისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

გრძელხმოვნიანი ნაწილაკები ბალსზემოურშივე ზოგჯერ მოკლე ხმოვნი-თაც ვადმოიცემა, მაგრამ ეს მეორეული მოვლენაა და ამიტომ ამ საკითხის შესახებ სპეციალურად არაფერია აქ ნათქვამი.

5. ამა თუ იმ ნაწილაკის სხვადასხვა კილოში გამოყენების განხილვისას ზოგჯერ შევნიშნავთ, რომ იგი (ნაწილაკი) სვანურ პოეზიაში გვხვდება. პოეზია, რა თქმა უნდა, არ უპირისპირდება კილოებს. მაგრამ ფაქტია, რომ ერთ კილოზე შექმნილი ლექსები სხვაგანაც ვრცელდება. ამიტომ შესაძლებელია, რომ რომელიმე კილოზე ჩაწერილ სიმღერაში ისეთი ნაწილაკი შეგვხვდეს, რომელიც საერთოდ ამ დიალექტში არ იხმარება: იგი სხვა კილოდან შემოსულ ლექსს ვადმოჰყვებოდა. რადგანაც არ არის დადგენილი თითოეული ლექსის წარმოშობის ადგილი, ამიტომ ზოგჯერ ცალკე გამოვყოფთ სვანურ პოეზიას.

6. უკანასკნელი შენიშვნა თარგმანებს ეხება. სხვათა სიტყვის ნაწილაკები ესაერ, როქვ (=ო) ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმებს ვერ იგუებენ, მესამე პირს მოითხოვენ. ქართულად ასეთი მაგალითები იმ პირის ფორმით ითარგმნება, რომელიც ამ შეძობევაში ივარაუდება. ასე რომ, სვანურ ტექსტში შეიძლება მესამე პირი გვქონდეს, მაგრამ ქართულად პირველ ან მეორე პირში დასმული ზმნით იყოს თარგმნილი.

I. უარყოფითი ნაწილაკები

მ₅=არ.

მხოლოდ ლაშხურში იხმარება. მ₅-ს ნაცვლად სხვა კილოებში გამოყენებულია მ₅მ_ა || მ₅მ.

ფეხალ მ₅ ლახვოდენა (ნ₀₁₃) 'შეილი არ მისცემია'; ლუწუწქანავე ანტახეი, მძღირ თელდ, მარა ეში მ₅ ლახსურდა ჩაქს (52₁) 'გაწუწული ამობრუნდა, სველი მთლად, მაგრამ მაინც არ შეაჯდა ცხენს!...

მ₅მ_ა, მ₅მ=არ, არა; არაფერი (ბზ.ლშხ. მ₅მ_ა, ბეჩეცერ.ლნტ. მ₅მ_ა).

ყველა კილოში იხმარება, მაგრამ მისი გავრცელება კილოებში სხვადასხვაგვარია. ბალსზემოურში მ₅მ_ა გაბატონებულ ნაწილაკს წარმოადგენს: ყველა სხვა

ნაწილაკზე უფრო ხშირად გვხვდება. ფართოდაა იგი გავრცელებული ლაშხურ-შიც. რაც შეეხება ორ დანარჩენ კილოს, ბალსქვემოურიდან მხოლოდ ეცერულ-ბეჩოური ხმარობს მას, ლახამულურში სრულიად არ გვხვდება, ლენტეხურში კი სულ რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა. სპ. ტვილდიანის თქმით, მამა ლენტეხურში არა გვაქვს, მას ლაშხური კილოს გავლენით ხმარობს ზოგიო.

ა) ლემესგ მამა ხულენხ (ბზ. 101₃₀) 'ცეცხლი არ ჰქონდათ';

მამა ადგენე გზავრ მეჩი ალ მუხებად (ლშხ. 53₁₈) 'არ დააყენა მგზავ-რი მოხუცი ამ ძმამ';

ეჯღაი მამა როქ ხეჭდი დავრა (ეცერ.) 'მანინც არ ამცდებოა სი-კვდილი'...

ბ) გეზალ ჩვათირ მიჩა ი ჩიჟე—მამა (ბზ. 162₁₆) 'შვილი იცნო მისი და-სიძე—არაა; მერხლზრ მამ ჯეჟფია?—მამა (პოეზია 258₃₃) 'კინკრები არ გკბენს?—არა'; დიარალე ჩუ რრდინ, მარა ფიშირ მამა (ლშხ. 36₃) 'პურებიც იქნება, მაგრამ ბევრი არა'...

გ) მესამე მნიშვნელობით ('არაფერი') მამა იშვიათად იხმარება. საყუ-რადღებოა, რომ სპ. ტვილდიანს იგი სწორედ ამ მნიშვნელობით ესმის: 'მამა ჩვენებურად მამა ('არაფერი') იქნებაო.

ეჯკალი ეოქვრბ ქორ ოთგა, (ერე) ლისგდის მამა ხოჩა (ბზ. 207₃₉) 'ისე-თი ოქროს სახლი აუგია, რომ შეხედვას არაფერი სჯობს';

მანი ჯაჩა, ბეჟან?—მამა, ლალუთაშე ისგვა ფათვზრს ხეწლან (C6. XVIII, 121₆) 'რა გაცინებს, ბეჟან?—არაფერი, თითქოს შენი თმები დავინახე';

გუშკვე მენწირ ჩუ მამა არდა (ლნტ.) 'ჩვენი მომრევი არაფერი იყო';
—ჰო, ნალეჟურ, ეზერ გაბულდ ჯაყენა! მამა ჯიჭირ (ეცერ.) 'ჰე, ვაჟო, კარგი ურქო თხა გყოლია! არაფერი გიჭირს'...

ზემოსვანურში აზრობლივად დაკავშირებული ორი სიტყვა, რომელთაგანაც პირველი ხმოვნით ბოლოვდება და მეორე ხმოვნით იწყება, თუ ერთმანეთის მეზობლადაა, ხშირად შეირწყმის. ამ წესის მიხედვით: მამა-ს თუ მოსდევს ხმოვნით დაწყებული სიტყვა, უარყოფითი ნაწილაკის ბოლო ხმოვანი (ა) უერთ-დება მომდევნო ხმოვანს და ბალსქვემოურში გრძელდება კიდევ. მაგალითები:

ბეჟან მამ' არი აგის (ბზ. 236₄) 'ბეჟანი არ არის შინ'; ანნემ მამ' ესჭურნე ხალრდწ ნაგვრგალვ (ბზ. 306₆) 'ამან არ გაიგონა ხალოს ნალაპარაკევი'...

ასეთივე შერწყმა ხდება ხმოვნით დასრულებულ სხვა ნაწილაკებთანაც.

მამ, მამ=არ (ბზ. ლაშხ. მამ, ლნტ. მამ).

ისეა გავრცელებული, როგორც მამა, ოღონდ ეცერულ-ბეჩოურ ტექსტებ-ში მამ არ შეგვხვედრია.

გპჩ მამ ხალენახ (ბზ. 49₁₁) 'დანა არ ჰქონიათ';

სასაშარ იშგენ შენარს მამ ხაჯეშხ ხასიათნ (ლშხ. 5₁) 'სასაშლები სხვა სვანებს არ ჰგვანან ხასიათით';

ალე მამ მიჩა ტარ ლოქ ლი (ლნტ.) 'ეს ჩემი ბრალი არ არისო'...

მან (ლაშხურში), მანმა და მანმ ერთმანეთის პარალელურად იხმარება. არ ჩანს არავითარი კანონზომიერება ამ ნაწილაკთა გამოყენებაში. თითოეულ მათგანი გვხვდება როგორც ერთ, ისე მეტმარცვლიან, როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაწყებულ სიტყვებთან.

შდრ. ლაშხურში: ლეზობ მან ლი (ლექსიკ. 3₁₀) 'საქმელი არ არის'... დაცოდ მანმა ლი ეჯი (40₃₃) 'ცოდო არ არის ისიც'...

ანდა: მეხლ მან ხაყლუნის ეჯი, აღდ ერ ხაყლუნის (13₂₃) 'მეხის არ ეშინიათ ისე, ალის რომ ეშინიათ' და: ეჩაშვდ ლოქ მანმ ხაყლუნი მიჩ (70₁₁) 'მისი არ მეშინია მეო'...

ბალსზემოურში: ალ კუბეც მანმ აფაშ ამლა (218₉) 'ეს ვაჭარი არ შეწუხდა ამის გამო' და მანმა აფაშ მიჩა გეზლ ლიდსენილა (215₁₁) 'არ შეწუხდა მისი შვილის დაკვლის გამო'...

ერთადერთი განსხვავება ამ ნაწილაკებს შორის ის არის, რომ მანმა აღნიშნავს „არ“, „არა“ ნაწილაკსა და „არაფერ“ ნაცვალსახელს, მან და მანმ კი უდრის მხოლოდ „არ“ უარყოფით ნაწილაკს.

მანდე, მადე, მანდე = არა, არ (ბზ. ლშხ. მანდე, ბეჩ. ეცერ. მადე, ლნტ. მანდე).

ყველა კილოში ფართოდაა გავრცელებული, მხოლოდ ლახამულურში არ იხმარება. ლენტეხურში იგი გაბატონებულ ნაწილაკს წარმოადგენს. აქ ებოლოხმოვანი იწვევს ა-ს უმლაუტს: გვაქვს მანდე.

ა) მანმა ხობა: მიჩა მუე სოფელ ლი, ა მადე (ბზ. 437₃) 'არ იცის: მისი მამის სოფელია, თუ არა';

მოჯამაგრა ჯაწუბ მა?—იმნარ მანდე! (ლნტ.) 'მოჯამაგირეები გქირდება?—რატომ არა';

—მანდე, მანდე, დედე საბრალ, ნანბუმ ოდე ლმთილათე (პოეზ. 174₁₁) 'არა, არა, საბრალო დედავ, ნებით წავედი ქმრეულთან'...

ბ) მადე მიჩიბ (პოეზ. 294₃₃) 'არ მცალია';

მი ლიმშავ მადე მანდე (ეცერ.) 'მე მუშაობა არ შემიძლია';

ცოდ მანდე რია ამქალი ჭაბუკი ლიდგარი? (ბზ. 186₁) 'ცოდო არ იქნება ასეთი ჭაბუკის სიკვდილი?'...

ქვემოსვანურში ეს ნაწილაკი „არა“-ს მნიშვნელობით გვხვდება. ბალსზემოურშიც იგი უფრო ხშირად სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება. „არ“-ს კი მანდ / მანდ აღნიშნავს, რომელიც ამიტომ ხევადად უფრო არის გავრცელებული, ვიდრე მანდე / მანდე.

ეცერულ ტექსტებში დადასტურებულია ორი შემთხვევა, სადაც მადე ნიშნავს 'ან, ანდა'. ესენია: დედ ლუნ, მადე ლოლქ 'ან ხბო, ან(და) ცხვარი'; ვოშთხვ, მადე ვოხუშდ ლუზა 'ოთხი ან ხუთი წლისა'...

ასეთი მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, იხმარება ი დართული უარყოფითი ნაწილაკები (იხ. უარყოფითი ზმნისართები და კავშირები), ი კი უდრის '-ც, და'; მაშასადამე, მადე ი იქნება „არა და“, აქედან მეორე მნიშვნელობით „ან და“, „ან“. -ის დაურთველად რომ უარყოფითი ნაწილაკი „ან“-ს აღნიშნავდეს, ამის მეტად არ გვხვდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეცერ. მადე-ში

ი დასუსტებული. და დაკარგულია და ამდენად იგი წარმომდგარია მადეი¹ სა-
ხეობისგან.

მად, მად, მად=არ (ბზ.ლშხ: მად, ბზ.ბეჩ.ეცერ. მად, ლტ. მად).

ეცერულში მადე გვხვდება თანხმონით დაწყებული სიტყვების წინ,
მად კი—ხმონით დაწყებულებთან.

ხარში მად აბიღხ განთე 'ნახარშიც არ გადააქციეს' (შღრ. ზემოთ მო-
ყვანილ მაგალითებს).

როგორც ჩანს, მადე-ს ბოლოხმონიანი შეერწყმის მომდევნო სიტყვის
თავკიდურ ხმონანს. რადგანაც ბალსქვემოურში გრძელი ხმოვნები არ არის, ეს
შერწყმა კვალს ვერ ტოვებს. ასეთ შემთხვევებში ეცერულში მადე უნდა ვი-
ვარაუდოთ და არა მად.

ლენტეხურში უმლაუტიანი ა გვექნება: მად (შღრ. მადე).

ამჟინ მად ლია? (ბზ. 66₁₇) 'ასე არ არის?'

ამენ ხობრა ბალახ მად არი (ლშხ:ლექსიკ. 23₁₄) 'ამაზე უფრო პატარა
ბალახი არ არის'.

ხოშა მუხბად მად ათანებე (ლტ.) 'უფროსმა ძმამ არ დაანება'...

მადმა=არ (ბეჩ.ეცერ. მადმა, ლტ. მადმა).

გავრცელებულია ბალსქვემოურის ბეჩოურ და ეცერულ კილოკავებში, ლა-
ზამულურში არ გვხვდება. მადმა ხშირადაა ლენტეხურშიც, მაგრამ აქ ის,
ჩვეულებრივ, უარყოფით ნაცვალსახელს წარმოადგენს (იხ. უარყოფითი ნაცვალ-
სახელები), აქა-იქ კი „არ“ ნაწილაკსაც აღნიშნავს. ლაშხურში იგი სრულიად
არ იხმარება, ბალსხემოურშიც თითქმის არ არის: სულ ოთხიოდე მაგალითი
შეგვხვდა. მის შესახებ მ. გუჯეჯიანი² განაცხადა: მადმა ბალსქვემოუ-
რია, ჩვენებურად (ე. ი. ბალსხემოურად). მადმა იქნებაო. ეს ნაწილაკი გვხვდე-
ბა პოეზიაში.

ნა ისგუ მადენიშ ხენსგა მადმა ნარ სჭირო (ეცერ.) 'ჩვენ შენი ქონე-
ბის ნახევარი არ გვაქვს საჭირო (არ გვჭირდება)';

ალი სი მადმა ჯესგოში (პოეზ. 40₁₀) 'ეს შენ არ გშვენის';

შვანეს ლვინალ მადმა წვანდა (C6. XVIII, 92₁₁) 'სვანეთში ლვინო არ
ჩანდა';

სკა მომსახვირ მადმა ჯაკუხო? (ლტ.) 'თქვენ მოსამსახურე არ გინდათ?'

მადშ || მან=ვერ, ვერა.

მხოლოდ ლენტეხურშია გამოყენებული.

ა) აღვე მა ლოქ ხაკუჩ ეჯკალი, ჟი ლოქ ერ მადშ ახოჯერკას? 'აბა, რა
გინდა ისეთი, რომ ვერ მოგიხერხო?' 'ამეჩედ მიხეილ ი მადშ ათოკარა ყორ-
ვალ 'წასულა მიხეილი და ვერ გაუღია კარები'...

ბ) გეხალუთრად ახოჯიდ მან მესყე ი მიჩა გეხალდ მადშ 'გერმა მოუტა-
ნა კველაფერი გაკეთებული და მისმა შვილმა ვერა'...

დე = არც, არ, არა.

ყველა კილოშია გავრცელებული. მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობაა „არც“... გარდა ამისა, მხოლოდ ბალსქვემოურში აღნიშნავს „არ“ და „არა“ ნაწილაკებასაც.

ა) კენსარ დე იზბი ი დე ითრე (ბზ. 337₂₉) ‘კეისარი არც ქამს და არც სვამს’;

შხამ მწ ხარ ი დე ლეზობ ლი (ლაშხ. ლექსიკ. 21₂) ‘შხამი არა აქვს და არც საჭმელია’;

ალ ბოფშარდ დე ეშხუ ჩვემინხ ი დე მერმე (ბერჩ.) ‘ამ ბაფშებმა არც ერთი ქნეს და არც მეორე’;

დე ლოქ ლერექვ ხულვე, დე ლეზვებ (ლნტ.) ‘არც ტანსაცმელი მაქვს, არც საჭმელიო’...

ბ) ამეი ესერ ე დე ლესეს, დომდულ აშედ ესერ დემის იმზოენი ი იკლპოტოენი (ლახამ.) ‘ასე რომ არ იყოსო, მთვარე ერთად არ განახლდებოდა და დასრულდებოდაო’; ჩიგვაშე ლშმაღსგვენელი, ლშმილ ლზიდ ყორქა ქა ე დე ადკანა ეჰე (იქვე) ‘ყველაფერს აიტანდა, ქმრის ოჯახი სულ კარში თუ არ გააგდებდა’...

გ) მეთხვარიშ აფხნეგ ადდაგრივ ჰა დე, ეჯღნი მდგვარიცლ ნათის ლგმკიდენელი (იქვე) ‘მონადირის ამხანაგი მოკლავდა თუ არა, მაინც მკვლელის ოდენ წილს იღებდა თურმე’...

(დამატებითი ფუნქცია დე ნაწილაკისა ლახამულურში იხ. დო-სთან)

ლშხ. დეთაჲ, ლნტ. დეთაჲ = არც¹.

მხოლოდ ლაშხურსა და ლენტეხურში გვხვდება. ლენტეხურში უფრო გავრცელებულია, ვიდრე ლაშხურში. ლენტეხურში ი წინამავალ ა-ს აუმლაუტებს, თვით ი ხან სრული სახითაა წარმოდგენილი, ხან კი უმარცვლო ი-დ იქცევა: დეთაი || დეთაჲ. ლაშხურში ი ყოველთვის დასუსტებულია და ამის გამო აგაგრძელებულია: დეთაჲ (← დეთაი).

ზითუნახავ ესრენ ქა დანს ხემდლ ი დეთაჲ ჩუ ლუცენე ეს ხოწვა ესრენ ეჯი (ლშხ. 75₁₂) ‘მზეთუნახავი თურმე არავის სცემს ხმას და არც გაცი-ნებული უნახავს თურმე იგი ვინმეს’;

კახურისკა მწდეი დეთაი იშკენ სოფელისკა ირდოლ ექკალი მუშა მარე (ლნტ.) ‘კახურაში კი არა და არც სხვა სოფელში იქნებოდა ისეთი მუშა კაცი’...

დემა, დემა = არა, არ (ბზ. დემა, ლნტ. დემა).

ლაშხურსა და ბალსქვემოურში არ გვხვდება.

ა) ათხ² ესერ ხაჰვიხ მუ? — ეჯაჰარდ ხაჰვხ, ერე — ათხე ესერ დემა (ბზ. 290₁₆) ‘ახლა მომცემთო? — მათ უთხრეს, რომ — ახლა არა ი’;

¹ დეთაჲ კავშირია. მასში გამოიყოფა ა — ი (=ც). საკუთრივ უარყოფითი ნაწილაკი იქნებოდა დეთა, რომელიც ცალკე ამ სახით არ შეგვხვდებოდა. ამიტომ განვიხილავთ დეთაჲ-ს უარყოფით ნაწილაკებთან.

—დემა, დემა, ხოჩა სნმაქ! (პოეზ. 190₂₉) 'არა, არა, კარგო ქალო!'
ეჯის ქა ხასაჩქვანე, ეჩქა ქა ლოქ ფიშტვე, ე დომან დ ემა (ლენტ.) 'იმას
თუ მაჩუქებ, მაშინ გაგიშვებ, თუ არადა არაო'...

ბ) ეჯა ჰერს ქა დემა ხატხა (ბზ. 106₃₁) 'ის ხმას არ აბრუნებს (სცემს)';
სი იმეზ ხარი, დემა იგნი (პოეზ. 162₃₇) 'შენ სადაც ხარ, არ ჩერდება'...

ძირითადი მნიშვნელობა ამ ნაწილაკისა არის „არა“. ლენტეხურში იგი,
ერთი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ამ მნიშვნელობით გვხვდება.

სკა ლოქ ათემითქვი, ჩუ ლოქ დემა ადყალი კაცხ ეში 'შეჩვევაო, [თუ]
პირველად არ შეშინდებაო'...

ბალსქემოურთან დემა აღნიშნავს „არ“ ნაწილაკს იფარულში, სხვაგან
კი ის „არა“-ს მნიშვნელობით იხმარება მხოლოდ. სვანურ პოეზიაშიც მეტად
იშვიათად გვხვდება „არ“-ის მნიშვნელობით.

დემ, დემ = არ, არა (ბზ. ლშხ. დემ, ბქვ. ლტ. დემ).

ყველა კილოში ფართოდაა გავრცელებული.

ა) მი პირობს 'დემ კვიშე (ბზ 279₃) 'მე პირობას არ გავტეხ';
ლიცხემს დემ ხამზე (ლაშხ. ლექსიკ. 4₃₇) 'ზრდას არ ანებებს';
ეჯ ირემი ლედეს ქალე დემ ლოქ იზბი (ლენტ.) 'იმ ირმის ხორცს ეს
არ ქამსო';

გეხალ დემ ხეთნი (ბეჩ.) 'შვილი არ უჩნდება'...

ბ) დემ „არა“-ს მხოლოდ ბალსქემოურში აღნიშნავს.

ბეფშ ჯი ხეგნი ლატახას, განს იკარქე ი ხაშდბა, ხემარჯვ:ჰა დემ ეჯლაბი
(ლახამ.) 'ბავშვი თვით შეუდგება თლას, დანას შოულობს და მუშაობს, ეხერ-
ხება თუ არა მაინც'...

ასეთი მნიშვნელობა ბოლოხმოვანმოკვეცილი ნაწილაკებისათვის უჩვეულოა.

დემის, დემის = არ, არა, არათერს (ბზ. დემის, ბქვ. ლტ. დემის);

ლაშხურის გარდა ყველა კილოში იხმარება.

ა) ეჩქას დეშარ დემის ფიშედხ ლჯარს (ბზ. 213₃₆) 'მაშინ დევები არ
გაუშვებენ ცოცხალს';

მი ისკვაცხენ დემის ხვიგენი (ლენტ.) 'მე შენთან არ დავდგები';

ეჯი ფაყვს დემის იკადე, ჩუ დემის იგვანა (ლახამ.) 'ის ქუდს არ
იხდიდა, არ დაიტირებდა'...

ბ) დემის იშვიათად აღნიშნავს „არა“-ს. მაგალითები ცოტალა გვხვდება
ზემოხსენებულში.

ენე ესერ ანვად!—აჯალ ლახტენლ.—ქ'ესერ დემის (ბზ. 137₁₉) 'ამლ-
დიო!—კვლავ შესძახა.—ხევით არაო.

სალმაცხერობთე ხოშა ზურალ გარ ესხრი, ღვაჟმარა მემარჯვიდ აშე ი მარვ
ინვრინეხ, მოდეი დემის ი ანდავას იმარჯვინეხ (ლახამ.) 'სალმაცხერობაზე
მხოლოდ უფროსი ქალები მიდიან, მამაკაცს დამხმარედ ერთსა და ორს იახ-
ლებენ, თუ არადა—არა და მწყემსებს გამოიყენებენ'...

გ) ბალსზემოურსა და ლენტეხურში გვაქვს შემთხვევები, სადაც დემის „არაფერს“ უარყოფით ნაცვალსახელს წარმოადგენს. სანიმუშოდ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

ეჩქა ეჯღაზრ დემის გვაჩობ (ბზ. 118₁₀) ‘მაშინ ისინი არაფერს გვიზამენ’...

დემამ, დეჰამ = არ, არაფერს.

მხოლოდ ლაშხურშია გამოყენებული. იგი „არ“ ნაწილაკს იშვიათად აღნიშნავს (სულ 3 მაგალითია), მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობაა — „არაფერს“.

ა) ვერხი ავის ათხნე დემამ ვარენიხ ზაპისს (ლშხ. 48₁) ‘ზოგ ადგილას ახლაც არ წერენ ხელშეკრულებას’; ათხნე ძღვდ ლხინს დემამ იჩობ (იქვე. 20₂) ‘ახლა დიდ ლხინს არ მართავენ’...

ბ) ზემუჟ ქა ხეჭვიდილხ ლეწვილე დინას, მარა ეჯჯუმს დემამ ეშყეში იქვე, 33₁) ‘ცოტათი ეკითხებიან გასათხოვარ გოგოს, მაგრამ იმდენს არ აფერს მაინცადამაინც’...

დემეგ = არ, არა.

ამ მნიშვნელობით დემეგ მხოლოდ ბალსქვემოურში ვხვდებთ, სხვა კილოებში იგი უარყოფით ზმნისართს წარმოადგენს და ნიშნავს „არსად“. ლახამულურში დემეგ ყველა სხვა ნაწილაკზე უფრო მეტადაა გავრცელებული.

ა) პამიდორ ამე ნალაშეუნდვე მერმა ზავ ლელაში დემეგ ლი (ლახამ.) ‘პამიდორი ერთი დათესვის შემდეგ მეორე წელს დასათესი არ არის’;

არაღ დემეგ ესერ ხულვე (ეცერ.) ‘იარალი არ მაქვსო’...

ბ) თხვიმ ნაკვიშ ზურალ ამკალიბეი ნაღვეპრის ირივ ჰა დემეგ, ხომა ლაღალ თხუმთე ჳიდა ი ჯი იბრალოვ (ლახამ.) ‘თავგატეხილი ქალი ამგვარ [შემთხვევაში] დანაშაულს იქნებოდა თუ არა, მეტწილად [თავის] თავზე იღებდა და თვითონ იბრალებდა’...

დესა, დესა = არ, არა (ბზ; ლშხ. დესა, ლნტ. დესა).

ბალსქვემოურში იშვიათადაა. ლახამულურ ტექსტებში სულ არ შეგვხვდებიან. ერთი მაგალითი ამოვწერეთ ეცერულში, სხვა კილოებში ხშირად იხმარება.

ა) ეჯ ნამსახურს დესა ჯითფე (პოეზ. 300₃₈) ‘იმ ნამსახურს არ დაგიკარგავ’;

ჯიმ ლოქ დესა ხაღვენახ მინს (ლშხ. 67₂₄) ‘მარილი არ გვქონდა ჩვენო’;

ჩაქ ჩუ ლოქ დესა ხაყა (ლნტ.) ‘ცხენი არა მყავსო’...

ბ) დამდე, მიშგუ დავარ ჯიწვ’ ნესა? — დესა (ბზ. 156₁₈) ‘დათვო, ჩემი თხები თუ გინახავსო? — არა’;

ალ ბალახს თხუმისა გარ ხარ ბალაღარ ი იშენავ დესა (ლშხ. ლექსიკ. 30₃₀) ‘ამ ბალახს მხოლოდ თავში აქვს ფოთლები და სხვაგან არა’;

ეჩქად ლემარდელი ხალხ ი ეჩქას დესა (ლნტ.) ‘მანამდე ყოფილა ხალხი და მაშინ არა’...

დერ (ბქვ.ლნტ.)=არ, არა (ხომ).

ბალსზემოურსა და ლაშხურში არა გვაქვს. ბალსქვემოურში ეს ნაწილაკი ან „არ“ ნაწილაკს აღნიშნავს, ან „არა“-ს.

ა) მუბვირ ვადეთე მ' ესერ დერ უდშიდი (ლახამ.) 'ბნელ მუცელში რა არ ჩაიყრება'; ქამავ დემ ვედნიხ თემიურ ქამლიზალიშ ლიგერვიდ, სურუ ხოჩა ლინთვ ე დერ ირი (ლახამ.) 'გარეთ არ გამოდიან უგაჭირვებოდ გაზაფხულის გიორგობამდე; ძალიან კარგი ზამთარი თუ არ იქნება'...

ბ) ზურალ ე დერ, ფათრეკ ხოხვრა ირი (იქვე) 'ქალი რომ არა, ფათერაკი (ჩხუბი) ნაკლები იქნებოდა'...

ლენტეხურში დერ-ს მნიშვნელობა უცვლია, დადასტურებით ნაწილაკად („ხომ“) ქცეულა.

ლვერდ ლოქ მა ათოყერა, მიჩაშ ლოქ დერ ათოცვირა? 'ლორს რა უყავო, ხომ შენ დაგიტოვეო?'; ჟიქანჩუ ალ მზითუნახხვდ ლახატულე; ამეი ლოქ დერ ხაყლენა ჯე (იქვე) 'ზემოდან ამ მზეთუნახხვმა ჩამოსძახა: ხომ ასე გეუბნებოდი მეო' (= 'ასე არ გეუბნებოდი მეო')...

დერ-ის მნიშვნელობის ევოლუცია ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ის, ალბათ, ხშირად იხმარებოდა ისეთ წინადადებებში, რომლებშიც უარყოფა კი არ იყო გამოხატული, არამედ გაკვირვება-დადასტურება (შდრ. ქართ. „კი არ“, დიალექტური „ქე არ“), აქედან მან მიიღო დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქცია.

ღვე ლვერ მიჩაშვდ ლოქ დერ ლახოვოდა? (ლნტ.) თავდაპირველად იქნებოდა: 'მერე ლორი შენ არ (ქე არ) მოგეციო?' შემდეგ მივიღეთ: 'მერე ლორი ხომ შენ მოგეციო'.

ლენტეხურში დერა-ც შეგვხვდა: ყებ საბრალა, აჯალ დერა მი მილძენებ! 'ვჰ საბრალო, კიდევ ხომ მე მალიზიანებენ!'

ღეშ=ვერ, ვერა,

ყველგან გვხვდება ჩვეულებრივ.

ა) შენთე ლიჯედს დეშ აბდვდახ (ბზ. 3₂₈) 'სვანეთისკენ მოსვლას ვერ ბედავდნენ';

სასაშხუმ სიმინდ თელ ლაშხისა დეშ კედნი (ლშხ. 3₉) 'სასაშისოდენი სიმინდი მთელ ლაშხეთში ვერ მოდის';

მინ დეშ ლოქ ათოლორავიხ ხალხს (ლნტ.) 'ისინი ვერ მოატყუებენ ხალხსო';

დეშ ახბაჟე (ეცერ.) 'ვერ გაუგო'...

ბ) მიჩა კაშში ტან ჩვათირ ი თხვიმ დეშ (ბზ. 101₃₄) 'მისი ქმრის ტანი იცნო და თავი ვერა';

ხემედივ ჰა დეშ, ეჯღნი მერმა დახვემ უჯიდად დემეგ ლეშმარგოვნელი (ლახამ.) 'შეეძლო თუ ვერა, მაინც მეორე ცოლის მოუყვანლად არ "ნავარგება" (ვარგოდა თურმე)';

ჰატ იწვენი მარე, ატ დეშ (ლნტ.) 'ჰატ დაინახავს კაცი, ატ ვერა'...

დეშმა = ვერ, ვერაფერი.

პირველი მნიშვნელობით ლაშხურში იხმარება მხოლოდ, მეორე მნიშვნელობით კი სხვაგანაც გვხვდება.

ლესპარ ხოშა უდილ ზითუნახავ ი დეშმა ახგილ გულჩონჩხ, ლესპარ მერმე უდილ ზითუნახავ ი დეშმა ახგილ ეჯნემი, ლესპარ მესმე, მარა ეჯნემი დეშმა ახგილ ჩუ. ლესპარ ათხე სერ გარდატყუა, დეშმა ჩომინ (77_ა) "შეახტა უფროსი და მზეთუნახავი და ვერ მოაგლიჯა გულ-ღვიძლი, შეახტა მეორე და მზეთუნახავი და ვერ მოაგლიჯა იმანაც, შეახტა მესამე, მაგრამ იმანაც ვერ ჩამოაგლიჯა. შეახტა ახლა გარდატყუა, ვერაფერი ქნა..."

დეშმამ = ვერ. ესეც მხოლოდ ლაშხურშია გავრცელებული.

ჯეა ლოქ დეცს ხოგდური, ოდო ჯეა ლოქ დეშმამ ადეს ამე ქა (80_{1_ა}) "მე ცისტვის მიკილია ხელი, თორემ შენ ვერ გამიყვანდი აქაო..."

დეშსა = ვერ.

მხოლოდ ლაშხურში გვხვდება და იქაც იშვიათად.

ოსცვე ტოტ ი ფათე დეშსა ათკვარნე (61₁) "გადაუსვა ხელი და თმა ვერ გაადგებინა"; ჯვინელ ჩიქა ხენდროლ ა მრდე დინას ეჯ მიჩა ლეჭმურნოლ ჭამდ, ქა დეშსა მოშ ყულა ვარს (33₁) "ძველად უნდოდა თუ არა გოგოს ის მისი საქმრო ქმრად, ვერ იტყოდა უარს..."

ზოგჯერ ა. ონიანი დეშსა-ს "ვერ"-ის პარალელურად "ვერსად" ზმნისართით თარგმნის: ჯეა ლოქ სერ ივალადელ დეშსა ხეთხნი მიჩ (ლშხ. 63₆) "მე ვერასოდეს ვერ (|| ვერსად) შეგხვდები შენო"; ათქემენა ეჯ კვანესულა ბარდს ი დეშსა ლოქ ათლაკენა (67_{1_ა}) "გაჰყოლია იმ კვანის ბარდს და ვერსად (ვერ) წაწყდომია..."

დეშსა-ს უარყოფითი ზმნისართით თარგმნა ქართულის გავლენით ხომ-არ არის გამოწვეული?

ნე = ნუ.

ამჟამად მხოლოდ ლახამულურშია. ლენტეხურში მის ოდინდელ არსებობაზე უნდა მიუთითებდეს უარყოფითი ნაცვალსახელი. ნარ — ნე-არ.

მეეარ ლიხი ესერ ნე ხანდეს, დეშ ესერ ხემინდვ (ლახამ.) "ტყუილა წასვლა არ შემექმნეს, ვერ გენდობიო¹"; მოღვ ადკუჭური, ეი ესერ ნე ანქუ-ტურას (იქვე) "აბა, გასინჯე, არ დაიწყვიტოს..."

ნემ = ნუ.

მხოლოდ ლახამულურში გვხვდება.

ქაჯარს ნემ ესერ ოღვ² ხარგანდი 'ქაჯებს ნუ ელაპარაკებო'; ქუნ კლ-თხიდ ნემ ოღვ იკედხ 'სულს [ხმა]მალლა ნუ ითქვამო'...

¹ ქართული ნუ-ს შესატყვის უარყოფით ნაწილაკებს ხშირად "არ"-ით ვთარგმნით, რადგანაც ეს ნაწილაკები სვანურში კავშირებით კილოს მოითხოვენ, კავშირებითთან კი ქართულში მხოლოდ "არ" იხმარება.

² ოღვ (ე) || ოვ (ე) ქართული "მკა" ნაწილაკის შესატყვისია. სხვა კილოებში იგი უ'ს ხმოვნის შემდეგ ვ-ს სახითაა წარმოდგენილი.

ნემეგ = ნუ.

ესეც მხოლოდ ლახამულურს აქვს.

ბაქ ესერ ოღე ნემეგ ლახემხ ლელდიდ 'ტყუილი არ მოგვეცეთ გასარჩევადო'; ხოლა ღვარ ი ჩვალ ნემეგ ანვლე 'ცული ღვარი და მეწყერი არ მოიყვანო'...

განხილულია უარყოფითი ნაწილაკთა სამი მწკრივი. პირველი—მნ მარცვლით იწყებოდა, მეორე—დე-თი და მესამე—ნე-თი. თითოეულ ამ მწკრივს აქვს მეორე სახეობა, რომელშიც ხმოვანი არის ო. ესენია: მნ, დო, ნო. ამათაც ჩვეულებრივ იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც პირველი სახეობისას; სახელდობრ:

მნ = არ.

მხოლოდ ლაშხურშია.

ეჩთან ხეკვეს ლესეს ალ თხუმ მორავ, ერე ზემჩემობ მნ ჩომნას (47₇) 'ამისთანა უნდა იყოს ეს თავი მედიატორე, რომ შენ-ჩემობა არ ქნას'...

მნმა = არ, არა.

ბალსქვემოურსა და ლენტეხურში არ გვხვდება.

ა) ეჩხავ ლიზი მაკუ მი (ქ), იმთვანთე შუკვ მნმა რა (ბზ. 113₁₇) 'იქით წასვლა მინდა მე (აი), საითაც გზა არ იქნება'...

ბ) ჩიქე ესერ ჩუ მამ ხოხახ, ვეზირ ესერ ლი მნრე მ მნმა (იქვე, 293₃₁) 'ჯერ არ ვიცითო, ვეზირი არის კაცი თუ არაო'...

ხონ ოთქუციხ მორვალდ-რ ხონ მნმა, ეჯი მამა სერდე-მერდე ლი (ლზხ. 48₁₉) 'გინდ გადაუწყვიტონ მედიატორეებმა და გინდ არა, ეს სულ ერთია'...

მნმ = არ.

არც ეს იხმარება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში. ლაშხურშიც არ გვხვდება: აქ მას მნმა ენაცვლება. ბალსქვემოურშიც მნმა უფრო ხშირადია, ვიდრე მნმ.

ეზარდ ხედეზნხ, ერ მნმ ვლდვშან (ბზ. 139₃₇) 'ძალიან გაუკვირდათ, რომ არ დაშავდა';

მომ ვნმევრას ჭაშვემ გუშგევა! (პოეზ. 52₃₃) 'არ გაიგოს ჩვენმა ქმარმა'...

მნდე, მოდე = არ, არა (ბზ. ლზხ. მნდე, ლზმ. მოდე).

ლენტეხურში არ შეგვხვედრია. ძალიან არის იგი გავრცელებული ლახამულურში. აღსანიშნავია, რომ ბეჩოურ-ეცერულში იხმარება მადე, რომელიც ლახამულურში არ დაგვიდასტურებია. აქ კი პირუკუა: ლახამულურს მოდე აქვს, ბეჩოურ-ეცერულს კი იგი არ გააჩნია. ასეთივე მდგომარეობაა მადმა-მოდე-ს მიმართაც (იხ. ქვემოთ).

ა) მინუ ლქათ ლიხ, ეჩარე ლაწანთე მრდე აჩეხ (ბზ. 96₃₄) 'წყუელი ვიყოთ, მათ სანახავად თუ არ წავიდეთ';

სოფლიშ წეს მოდე ოხეომნახ (ლახამ.) 'სოფლის წესი არ შეუშლევინებიათ'; ლაშდღვი ლანდელ თეფ მოდე ოთკვარვნახ სოფლარს (იქვე) 'დამარხვის დღეს თოფი არ გაუსროლინებიათ სოფლელებს'...

ბ) ხელვინა მრდე ლღგარა პატრონ მეზგას, ეჩა სერდე ღნს ხარ (ლშხ³⁴¹) 'ექნება თუ არა მკვდრის პატრონ მოსახლეს, მისი დარდი არავის აქვს': მამგვეშ უნმეგრან ალ მარალემ, იმე დო უდკიჰანხ ი იმე მრდე (ბზ. 156₉) 'არაფერი არ იქნა გაგებული ამ კაცებისა, სად დაიკარგნენ და სად არა'...

ბალსზემოურსა და ლაშხურში მრდე უფრო ხშირად მეორე („არა“-ს) მნიშვნელობით იხმარება. ზოგჯერ ბოლო ე შესაძლებელია ხმოვნით დაწყებული მომდევნო სიტყვას შეერწყას:

პილო, ამ ესერ ლახვრენა, ლიკველურ მოდ 'ესერ ოლგენ (ლახამ.) 'პილო, ასე შეგებვეწო, „ლიკველის“ უმღერლად არ დადექიო';

— მოდ 'ესერ, — ესვცადა როქ ჯგვრავს (იქვე) 'არაო, მიუგია წმინდა გიორგის'...

მრდ = არ.

გვხვდება ბალსზემოურსა და ლაშხურში. ლენტეხურმა და ბალსქვემოურმა (კერძოდ, ლახამულურმა) იგი არ იცის. 'არ' ნაწილაკის მნიშვნელობით მრდ უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე მრდე.

ჩუ ლგ სტოლ ი, შა ეჩეი მრდ არი, ეჯა მამგვეშ ლი (ბზ. 331₁₅) 'დგას მაგიდა და რაც იმაზე არ არის, ის არაფერია';

ჩვადკარე სადგომ, ხედრ ხეკეს მრდ ოთკარენ (ლშხ. 72₃₄) 'გაალო სადგომი, რომელიც არ უნდა გაეღო'...

მოდმა = არ.

ამ მნიშვნელობით მხოლოდ ლახამულურმა იცის. მას შეესატყვისება ბეჩოურ-ეცერული მადმა; სხვა კილოებში მოდმა ნიშნავს 'არაფერს'.

ანდავას შუკვდ ახდენა უსურმანიშ ლაშვარ, ეჯხ, ერე შელდ მოდმა ხათრონახ (ლახამ.) 'მწყემსებთან გზად გამოუვლია მუსულმანთა ლაშქარს, იმდენს, რომ რიცხვი არ სცოდნიათ'; მუბგვად ლემესგ მოდმა ადამვეხ (იქვე) 'მეხიდეებმა ცეცხლი არ დაანთეს'...

ხმოვნით დაწყებულ მომდევნო სიტყვას შესაძლებელია ბოლო ა შეერწყას: მოდმ' ესერ ხოსგდია, ლღგვარ ესერ ჩუ ხოხხ (იქვე) 'არ უყურებ, მკვდარი გვიდევსო'; მოდმ' ესერ ხაყელუნი 'არ მეშინიაო'...

დო

ყველა კილოში იხმარება და თავისებური გამოყენება აქვს. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ ნაწილაკის მნიშვნელობები.

ა) **დო = არ.**

მწკუ ოხთვენ, ეჩქას სგა იმლა დო აღე? (ბზ. 442₃₃) 'პირველად [რომ] გამოგვზავნე, მაშინ რატომ არ შემოხვედი?'

ეჯმინს ლოქ ხაყახ ემტიერბი ლკილისა მზითუნახავ ი, ეჯი ლოქ დო ანჯღდის დეხედ, ეჩქად მიჩა შეელა ნომა ლოქუ უმეწედ (ლნტ.) 'მათ ჰყავთ თორმეტკლიტულში მზეთუნახავი და, [სანამ] იმას არ მოიყვან ცოლად, მანამ შენი შევლა არ მოსულიყოსო'...

ხშირად იხმარება დროის დამოკიდებულ წინადადებებში: ვოდ... დო = სანამ... არ.

ხვჭამ გირიმურგვალდ ჩხარა ლკილს, ვოდ დო ადკარე (ბზ. 203₂) 'ჩამოჰყვა ირგვლივ ცხრაკლიტულს, სანამ არ გაალო'

ილხნენიხ, ვოდ მევარ დო ედშდემიხ ბაპ ი დერ მაგ (ლზხ. 10₁) 'ილხენენ, სანამ ძალიან არ დათვრებიან მღვდელი და ერი ყველა'...

ასეთ შემთხვევაში ლახამულურში დე ნაწილაკიც იხმარება:

ჰაჯს დემ ხაკადენ, ვოდდე დე ქა ვიდახ ლარგავალთე 'თავს არ ანებებდენ, სანამ არ გამოიყვანდნენ შესარიგებლად'...

ბ) დო = არც.

ასეთი მნიშვნელობით ბალსქვემოურსა და ლენტეხურში არ შეგვხვდრია...

ლჰკირთესგა სგავ ადკვარხ, ეჯჷნ ერე დო იშე უნმეგრენს, დო ჯიჯვ (ბზ. 151₁₆) 'საკირეში ჩაადეთ ისე, რომ არც რბილი იქნეს გაგებული, არც ძვალი';

ეჯკალიბ ქორა ლიგემ ჯამედა ლოქ მოშ, ერე დო გიმს ხეთილეს ი დო დეცს (ლზხ. 59₂₉) 'ისეთი სახლის აგება შეგიძლიათ, რომ არც მიწას ეხებოდეს და არც ცასო'...

გ) დო-ს ხშირად აღარა აქვს უარყოფითი მნიშვნელობა. ასეთი შემთხვევები ქართულად ხან უარყოფით მნიშვნელობას მოკლებული უარყოფით ნაწილაკიანი წინადადებით ითარგმნება, ხან კი სვანური უარყოფითი ნაწილაკი სრულიად არ გადმოიცემა.

აჯალ მამ დო ლსსვ, ეშხუ ვერს აჯალდ ქონჯვიდ (ბზ. 37₂₂) 'კვლავ როგორც იყო (როგორც არ იყო), ერთი ვერსი კიდევ წამოვიღეთ;

აშვდ ლეჩემ ლახა მშ ლი, აშვდ ესხრის ღვაქარ, ვოშა დო სჰკირო ლიხ (ლახამ.) 'ერთად გასაკეთებელი რამე რომ არის, ერთად მიდიან კაცები, რამდენიც საჭირო არიან'...

პარალელურად ლახამულურში დე ნაწილაკიც იხმარება:

მშ დე უნჯდენივ, შიშდ ქა იჰვდივ 'რაც (არ) მოვიდოდა, უცებ გაიყიდებოდა'...

ფიკვიდ ნეყირ ვოხუშდ თვიმენდ ლასვ ლეფჰს, თხუმემ კეშა—აშირ მანათდ, თხუმ ჩუბავ ტანემ ზისხ—ვოხუშდ თვიმენდ თვითჷი, ვოშა დე უდგის ხერივ ლჰქარ (იქვე) 'მშრალად (უსისხლოდ) დარტყმა ხუთ თუმნად იყო შეფასებული, თავის გატეხა—ას მანეთად, თავის ქვემოთ ტანის სისხლი—ხუთ თუმნად თითოეული, რამდენ ადგილსაც (არ) ექნებოდა დაჭრილი'...

დ) ხშირად დო-ს წინადადებაში შეაქვს წაქეზებისა თუ თხოვნა-რჩევის ნიუანსი. ქართულად ასეთ შემთხვევებში დო ან სრულიად არ ითარგმნება, ან „დაე“, „მო(დი)“ ნაწილაკებით გადმოიცემა, ზოგჯერ „ხომ არ“-ითაც გადმოგვაქვს.

ეშხუ ამბვე ქორს მი უმსად, ვეშვდ ტეხხნი, ეი დო მიღწლვე! (ბზ. 203₇) 'ერთი ამბავი მე შინ დამრჩა, უკან დაკბრუნდები; მოდი დამიცადე (ხომ არ დამიცდი!)'; ეჩქას ხჰქვე დწვდ:—ლიბურგიელ (როქვე) დო ხარხ (იქვე, 435₂₉) 'მაშინ უთხრა დემა:—მოდი, ვიჭიდავოთო';

ბაზურ ათვჯრენა, ჩუ ესერ დო ხაგვავიხ, მადლი ესერ ხერი (ლახამ.)
 ‘ბათირი შეხვეწენია: ლამის გასათევედ ხომ არ დამაყენებთო, მადლი გექნე-
 ბათო’;

— დო ლოქ ადესკ მიჩა ლპრისტე გიორგის ქალაქხო ი ხეყენი ლოქ მი-
 ჩაცხენ (ლნტ.) ‘ხომ არ წაიყვანო შენს ნათლულ გიორგის ქალაქში და
 გეყოლება შენთანო’..

— თხერილ, ჩინჩელიდს მი დო მაჰვდი! (პოეზ. 274₆) ‘მგელო, ჩვილი მე
 მომეცი!’...

**დრე(ე), დოღვე/დოვ (ბზ. დრე, ბზ.ლშხ. დრე, ბქვ. დოღვე || დოღვ, ბქვ.
 ლნტ. დოვ).**

ეს ნაწილაკი ყველა კილოშია გავრცელებული. დოღვე || დოღვ მხო-
 ლოდ ბალსქემოურში იხმარება, აქვე გვხვდება დოვ-იც. იგი გამოხატავს შიშს,
 რომ ესა თუ ის ამბავი არ მოხდეს. ქართულად „ვაძთუ“ ნაწილაკით გადმო-
 აქვთ, უფრო ზუსტი იქნებოდა. „არ“ ნაწილაკით გვეთარგმნა და ზმნა კავშირე-
 ბით კილოში დაგვესვა.

საბლუ ბუზულარ, დრევე ჯაიდუნდახ ი ლახნმდ აღწ, თვი! (ბზ. 181₆)
 ‘საბრალო ფუტკრებო, ვაძთუ (|| კი არ) გშიოდეთ და შექამეთ აი ეს, რაფლი!’
 დრევე ესერ ეჯა იქუნაველ (იქვე, 21₁₄) ‘ვაძთუ ის სულს ლაფავს || იგი სულს არ
 ლაფავდეს!’

მედ დავრა, მედ ამშა ლითხელი—ესლადე მიჩა გუისა, მარა დრუ ლოქ
 ლღდგარ ესა ლესეს ი ამშა ლედ ხნდა (ლშხ. 69₆) ‘ან სიკვდილი, ან ამის პოვ-
 ნა—გაიფიქრა თავის გულში, მაგრამ ვაძთუ მკვდარი იყოსო (|| მკვდარი არ
 იყოსო) და ამის დარდი ჰქონდა’;

მედურ ხოჩამდ ხაზნანინენა, დოვ ლოქ ესა მიჩა ჰაშდ სნგაილეზე ი ეჩ-
 ქას ჩუ ლოქ ადგარი (ლნტ.) ‘მთლად კარგად უვლიდა, ვაძთუ ჩემმა ქმარმა
 გაიგოსო და მაშინ მომკლავსო’;

მ’ ესერ ადღენივხ, ხაშბქენახ, დოღვე მოლ’ ესერ ოღჩემნელასუნ სოფელ-
 ლისგა (ლახამ.) ‘რა იქნენო, უკვირდათ, ვაძთუ რამე მომხდარიყოს სოფელშიო
 (რამე არ მომხდარიყოს სოფელშიო)’...

დრმა, დომა = არ.

იშვიათად იხმარება ბალსქემოურში (და პოეზიაში), სხვა კილოებში არ
 გვხვდება.

იმლ’ ესერ ჩუ დრმა იზბი ი იმნარ ესერ შუღე ჩუქენთე? (ბზ. 95₃₄) ‘რა-
 ტომ არ ჰამ და რად ყრი ძირსო?’ ეჩჩუ დომა ლარდედ, აჩქად უმარცხლუ
 ლარიდ (იქვე, 72₂₁) ‘[სანამ] იქ არ ვიყოთ, მანამ უმარცხოდ ვიყოთ’...

რომ ეს ნაწილაკი ლენტეხურშიც უნდა გვექონოდა, ამას ამტკიცებს კავში-
 რი დომჰა — დომა-ი.

დრმ = არ

ბალსქემოურსა და ლაშხურში იხმარება.

მი როქე ეჩქა ხენროლ ისგუ მოლღატ-ქ, ლახე ისგვა ბარგს ხოჩამდ. დრმ
 ლაჯშხინნას! (ბზ. 283₁₉) ‘მე მაშინ ვიქნებოდი შენი მოლაღატე, აი, რომ შენს
 ბარგს კარგად არ შევიხახავდი’.

ჯოდ-ნაჯვდა მინდორისა ეშხეს ქა დ ო მ ივეე, ეყეი ლოქ მნ ხაძმედა ლა-
თხვდართე ლნზი (ლშხ. 55₃₂) 'შორს მინდორში ერთს [თუ] არ დაიძინებს, ისე
არ შეუძლია სანადიროდ წასვლა'...

დომმა = არ.

ერთადერთი მაგალითია ლახამულურში:

ეჯგვარ ესერ ოღვ პრი, ჯი ძელყან დომმა ლესეს 'ისემც ხარ, შენ
ელყანი არ იყოო'.

დომის = არ, არაფერს.

ბალსზემოურშია და იქაც იშვიათად.

ადო ეჩქა ლახ დ ო მის ხწქეინედ, ეჩქა ჩუ ჯადგარის (ბზ. 220₂₃) 'თო-
რემ მაშინ თუ არ ეტყვიო, მაშინ მოგკლავენ'...

გეხვდება ჩოლურში ჩაწერილ ლექსშიც:

ისგვითან ღალ მი დარ მყა, ესი დ ო მის ამამწარნე. (პოეზ. 344₁₆) 'შე-
ნისთანა მე არავენ მყავს, თუ შენ არ გამამწარებ'

დ ო მის გამოხატავს აგრეთვე 'არაფერს' — უარყოფით ნაცვალსახელს,
მაგრამ ამაზე ცალკე.

დოსა, დოსა = არ, არა (ბზ. ლშხ. დოსა, ლნტ. დოსა, ბალსქვემოურში არ
შეგვხვდრია).

ა) კანდოლ ესერ დორთ სგწნიეღ ლაშხეინ, ეჯქ' ერე ქაჯ ქა დ ო ს ა ხეწეს
(ბზ. 277₃₀) 'ნაჯახი ნაბდის შიგნით შეინახე, ისე რომ ქაჯმა არ დაინახოს';

ალ ლაშხურ ლოქ ერ დ ო ს ა იშვში ჩუ ივა ლადედ, ეჩა ნაზუმსერ გუშ-
გვე ლაშგ-ლაყელა ლოქ ნომა ათშუშა, ბატო ლოქ ღერთალ (ლშხ. 5₂₆) 'ეს
ცხენისწყალი რომ არ შრება არასოდეს, მის მსგავსად ჩვენი საწველ-საკვეთი
არ დააშრო, ბატონო, ღმერთებოო';

კარაბევილ ლაშქვედდა, ერ დ ო ს ა ლოქ ბელტიკლაპიან პრს ხოთრახ (ლნტ.)
'კარაბევილი შეეკითხა, რომ ბელტიკლაპიას ვინმე [ხომ] არ იცნობსო'...

ბ) ამკალიბ ბოფშარ ჰესა ახთენენს, ეჩქ' ესერ მუგვსუ ათბარდეს ლპირ მი-
ჩნშთე, ამკალიბ ჰე დ ო ს ა, ეჩქა—ქვერს. (ბზ. 143₃₀) 'ასეთი ბავშვები თუ დაება-
დოს, მაშინ მტრედს გამოატანეთ წერილი ჩემთან, ასეთი თუ არა, მაშინ—
ყვავსო'...

დორ = არ.

ერთი მაგალითი შეგვხვდა ეცერულში.

დემეგ მიხალ, იმთე დ ო რ აჩად 'არ ვიცი, საით (არ) წავიდა'; შდრ. იქ-
ვე: მნ მიხა, იმთე დ ო აჩად 'რა ვიცი, საით (არ) წავიდა'.

ეს ნაწილაკი უნდა გვეკონოდა ლენტეხურსა და ლაშხურშიც, რადგანაც ამ
კილოებში იხმარება კავშირი დორი || დორი — დორ-ი. საერთოდ, დერ-ის
გვერდით დ ო რ -იც არის მოსალოდნელი.

დოშ=ვერ, ვერა.

იხმარება ბალსემოურსა, ლაშხურსა და ლენტეხურში.

ა) სერ ჟ'ანხარნან დინა, ლახ ლემესგ დოშ ანაშვე (ბზ. 379₂₉) 'გაჯავრ-
და გოგო, ცეცხლი რომ ვერ დაანთო';

გერვანდ ალ წესს დოშ იხო, ეჯის თერალ ეხზიგა ეჯ ზაისა (ლშხ. 18₁₇)
'ვინც ამ წესს ვერ იზამს, მას თვალეზი ეტკინება იმ წელს'...

ლენტეხურში დოშ სულ ორჯერ შეგვხვდა. აქ იგი „არ“ ნაწილაკს აღ-
ნიშნავს თითქოს. ლენტეხელ სპ. ტეკილ დიანს საკმაოდ უჭირს მისი თარგმნა.

ათხე ქაუ ლენ ანაწვენებს აღვე ტოტარ, დოშ ლოქ თვით ფხულე ქა-
ხაკლიდახ 'ახლა გვაჩვენეთ, აბა, ხელები, [თუ] არ გაკლდეთ თითო თითოთ';
ქაუ ლენ ანაწვენებს აღვე, დოშ ლოქ ქა ხაკლიდებ თვით შტიმე დუღულ 'გვა-
ჩვენეთ, აბა, [თუ] არ გაკლდეთ თითო ყურის ბიბილოო'...

ბ) ჰე მოშ ჩუ ითხელი ამთნ ქოშს ამზუმ(ი)-ამზუმ ვადაისგა, ეჩქა სოვ-
დაგარ ლეყმე (ლესვ), ჰე დოში ნაღვეურ ი დწვარ მწგ ლეყმე (ბზ. 205₆) 'თუ
იპოვის ამისთანა ქოშს ამა და ამ ვადაში, მაშინ სოვდაგარი დასახრობი იყოს,
თუ ვერა და ბიჭი და დევები ყველა დასახრობი [იყონ]'...

ნო=ნუ, ნურც.

ლაშხურში არ გვხვდება. ლახამულურში ნო-ს ნაცვლად ნე იხმარება.

ა) იბნეს ლიჯედს თამაშდ: „ქვინს ესერ ჟი ნო ვხტემს!“ (ბზ. 9₂) 'იწ-
ყებენ სვლას ნელა: „სული არ შეწუხდესო“;

გულ ნო აგეს (ეცერ.) 'არ მიხვდეს'

ცოდა მიჩა ნოვ ხაშდნხა (პოეზ. 282₃₅) 'მისი ცოდვა ნუმც დაღვეია'...

ბ) ალ' ესერ ქა ნოსანვ ადწღე ნო ლაყერას ი ნო ლწგნას (ბზ. 351₂₇)
'ამას ნუ გაიხდი ნურც საწოლში, ნურც დგომისას';

მუხაროშვ აჯალუ ანჯიდხ ალ ხალხ ი ნუწრუ აცვირხ ქორისა, ნო ხოშა ი
ნო ხორვა (ლნტ.) 'ხვალისთვის კვლავ მოიყვანეთ ეს ხალხი და ნურავის და-
ტოვებთ საბლში, ნურც უფროსს და ნურც უმცროსს'...

ნომა, ნომა=ნუ.

ყველა კილოშია გავრცელებული.

ა) აჭ, მადლილუ ხერი, ნომანვე რაჭვე (ბზ. 426₃₅) 'აჭ, მადლიმც გექნება,
ნუ იტყვი';

ნომა ოგვა ნად თუმითქესა (ლშხ. 94₁₀) 'არ შეგვიყვანო ჩვენ განსაც-
დელში';

ეჩაშდ ნომა ლოქ ათაყამინდეს (ლნტ.) 'იმისი ნუ შეგეშინდებაო';

ნომ' ამბურკვლანად (ლახამ.) 'ნუ შემბორკავთ'...

ბ) ნომა ცალკეც იხმარება, ზმნასთან დაუკავშირებლად.

—ნომა, ჯინემულ ახფიშვდ (ეცერ.) '—ნუ, შენ ესროლეო'.

ნომა მეტად იშვიათად „ნურაფერ“-საც აღნიშნავს.

ვოდ ეჯაშოს დო ლქწედ, ეჩქად ნომანვე ლოგვზიგა (ბზ. 400₃₅) 'სანამ ისი-
ნი არ ვნახოთ, მანამ ნურაფერი გვეტკინოს'; შდრ.: ვოდ ერის თანშე დო

ლეწედ, ერქად ნოსამავე ლოგზიგა (იქვე, 374₉) 'სანამ ის თვალით არ ვნახოთ, მანამ ნურაფერი გვეტყინოს'...

ნომ, **ნომ**=ნუ.

ესეც ყველა კილოში იხმარება.

ა) ერ სერდე სი ნომ ჯარ (ბზ. 123₂₈) 'მისი დარდი შენ ნუ გაქვს';
 ამა სგაი ნომ ფეშენიდ (პოეზ. 286₆) 'ამაზე თქვენ ნუ დარდობთ';
 ერქა სგათგურენა ავხვ, ერე ჩუ ლოქ ნომუ მადგარი (ლშხ. 60₁₀) 'მაშინ შეხვეწნია ცოლი, რომ ნუ მომკლავო'...

ბ) ზმნასთან დაუკავშირებლად:

მერმა ანგვლებდ რაქვე:—ამჟი ნომოლ (ეცერ.) 'მეორე ანგვლოზმა თქვა:—ასე ნუო'...

ნომმა=ნუ, ნურაფერი.

ლაშხურის გარდა ყველა კილოში გვხვდება, ოღონდ ლენტეხურში იგი უარყოფით ნაცვალსახელს წარმოადგენს (=ნურაფერი). პოეზიაშიც იხმარება „ნუ“-ს მნიშვნელობით.

ბაბა, ბაბა, ნომმა ხიგვი (პოეზ. 194₆) 'მამავ, მამავ, ნუ სტირი';

ჰა, ერ ლედ ნომმა ჯარ (ბზ. 308₆) 'ჰა, მისი დარდი ნუ გაქვს';

სერუნლო ამკალიაშ ლიხემ ნომმა ლჰკვეჰ (ბერ.) 'ამის მეტად ასეთის ქმნას ნუ შეეცდები'...

ნუმა=ნუ.

ბალსხემოურსა და ლენტეხურში იხმარება. პოეზიაშიც გვხვდება.

ამლ' ნსერ ნუმავე ლი ლუწხვავე (ბზ. 291₂₉) 'ამისთვის ნუ ხარ შეწუხებულიო';

ლარდა-ლანგნა ნუმ' ანშდგნა (პოეზ. 304₂₁) 'სამყოფ-სადგომს ნუ დაგვიღევ';

ავხვ ნუმა ლოქ ანჯდის (ლნტ.) 'ცოლი არ მოიყვანოო'...

ნუმ=ნუ.

მხოლოდ ლენტეხურშია.

ცოდევარს ნუმ ლოქ იჩო 'ცოდევებს ნუ იზამო'; ნუმ ლოქ აშხი 'ნუ სწვაო'...

ნგმა=ნუ.

ლაშხურში არ იხმარება, არც ლენტეხურში შეგვხვედრია.

ეჩეჩუ ნუმ' ანტურე (ბზ. 229₇) 'იქ ნუ დამტოვებ'; ხანდურდ ჩუ ნგმა ამაღრა (1-88₃₆) 'მთლად არ მომკლა';

ნგმა ანფეშე (ბერ.) 'არ შეწუხდე'...

ნგმ=ნუ.

ბალსქვემოურსა და ლენტეხურს ახასიათებს.

ნგმ მადგარი (ლნტ.) 'ნუ მკლავ';

უჩხა ჰანდურ ნგმ ოხჩიშე (ეცერ.) 'წვემას ნაწვეთი არ მოუსწოო'...

ნომის, ნომის = ნუ.

ბალსწემოურსა და ლენტეხურშია გავრცელებული.

ეჯლა ნომის ფეშნი (ბზ. 327_გ) 'ამისთვის ნუ სწუხდები';
დექრდა ლენ ნომის ლრიდ (პოეზ. 126_ა) 'ორივე ნუ წახვალთ';
ამალა ნომისუ იმჯავრეელ (ლნტ.) 'ამისთვის ნუ იჯავრებ'...

ნომეგ = ნუ.

მხოლოდ ბალსქვემოურში იხმარება.

ამხავ ლახს სი ნომეგ ლახვეჭე (ბეჩ.) 'აქეთ სვლას შენ არ შეეცადო';
ეი ნომეგულ აჩად (ეცერ.) 'ნუ ახვალო'...

ნოსა, ნოსა = ნუ (ბზ. ლშხ. ნოსა, ლნტ. ნოსა).

ბალსქვემოურში არ გვხვდება.

ეჯა სგამ ნოსა ოთჯრვად (ბზ. 127_ა) 'ის თქვენ არ დაუჯეროთ';
მადერა ლოქ ნოსავ აკვილ (ლშხ. 53₁₅) 'ფიცს ნუ გატეხთ';
ამანლო ნოსა ლოქ ხეყერს ამეი (ლნტ.) 'ამის შემდეგ არ დაგემართოს ასეო'...

სპეციალურად უნდა შევხებით უარყოფით ნაწილაკთა ადგილის საკითხს. უარყოფითი ნაწილაკები ჩვეულებრივ წინ უძღვიან ზმნას; მაგრამ არის შემთხვევები (განსაკუთრებით ლენტეხურში), როდესაც უარყოფით ნაწილაკსა და ზმნას შორის სხვა სიტყვებია მოქცეული.

გვიანდს მად ერ ათოზიახ, ჯან ჩვალდაგარ (ლნტ.) 'გვიან რომ არ დაუკლავთ, ხარი მომკვდარა'; ალმინს დესა ლოქ ეშხუ ჭყინტი დენა ხოწვახუ ამელეჟა მეზი? (იქვე) 'თქვენ ერთი ბიჭი და გოგო ხომ არ გინახავთ ამის ზემოთ მიმავალიო?'

დოსა ესერ დიპარს ხანნეხ-ი? (ბზ. 289₂₄) 'პურს არ მაქმევთო?'

დოშ ლოქ თვით ფხულე ქა ხაკლიდახ (ლნტ.) 'თითო თითი არ გაკლდეთო'...

შესაძლებელია უარყოფითი ნაწილაკი მოსდევდეს კიდევ ზმნას:

ამცვიდ ნოსა (ბზ. 93₁₀) 'ნუ გამიჯავრდები';

ხულვა ლოქ დესა (ლშხ. 53₃₂) 'არა მაქვსო';

მინ ბრიყვალ, მაულ ჩის ლოქ ჩუ იზვბიხ დესა (ლნტ.) 'თქვე ბრიყვე-ბო, მელა ყველას არ შეგჭამთო!'

როგორც ვხედავთ, კილოების მიხედვით უარყოფით ნაწილაკთა გავრცელება სხვადასხვაგვარია. ზოგი ნაწილაკი მხოლოდ ერთ კილოში გვხვდება, ზოგი კიდევ ორი ან სამი კილოს კუთვნილებას წარმოადგენს, უმრავლესობა კი ოთხივე დიალექტში დასტურდება. გარდა ამისა, კილოები ამატო იმ ნაწილაკს ანიჭებენ უპირატესობას; ასე, მაგ., ბალსწემოურში პირველ ადგილზე მამა დგას, შემდეგ მოდის დესა და მადე; ლაშხურშიც მამა და მამა არის გაბატონებული; ლენტეხურში მადე ჭარბობს ყველას, მას მოსდევს დემა და დესა, საკმაოდ დადერ-იც. ბალსქვემოურიდან ლახამულურში ყველაზე უფრო გავრცელებულია მოდე, შემდეგ—დემეგ და დემ; უფრო იშვიათად გვხვდება დემის და დერ. ბეჩოურ-ეცერულში თუ რომელი ნაწილაკია ხშირად ხმარებული, ტექსტების სიმცირის გამო, ამის გადაჭრით თქმა ჭირს.

აქვე ვურთავთ ცხრილებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რომელ კილოში რომელი უარყოფითი ნაწილაკები იხმარება. ბოლო ცხრილში შეჯამებულია სვანურ ენაში გამოყენებული უარყოფითი ნაწილაკები. ცხრილებში შეტანილია ისეთი უარყოფითი კავშირებიც, რომლებშიც დატულია ესა თუ ის უარყოფითი ნაწილაკი. კვადრატული ფრჩხილებით გამოყოფილია -ი || ა. (=და, ც), რომელიც კავშირად აქცევს უარყოფით ნაწილაკს.

უარყოფითი ნაწილაკები ბალსწემოურში

დე	დო			ნო
დესა	დოსა			ნოსა
დეშ, დეშა ¹	დოშ, დოშა	მამ, მამა	მამა	ნოშ, ნოშა, ნუშა, ნეშა
				ნომმა
დეშის	დოშის	მანდ, მანდე	მოდ, მოდე	ნომის
		მადმა		
დეშ	დოშ			
	დოვე, დოვე			

უარყოფითი ნაწილაკები ლაშხურში

დე	დო	მან	მო	
დესა	დოსა			ნოსა
დეშ	დოშ	მამ, მამა	მამა	ნომ, ნომა
დეშამ				
		მანდ, მანდე	მოდ, მოდე	
დეთა[ა]	დორ[ი]			
დეშ	დოშ			
დეშსა				
დეშმა				
დეშმამ				

დოვე

უარყოფითი ნაწილაკები ბალსქვემოურში

დე	დო			ნე	ნო
დესა					
დეშ		მამა		ნეშ	ნომმა, ნეშა
	დომმა				ნომმა
დეშის	დორ				
დერ		მანდე	მოდე		
		მანდმა	მოდმა		
დეშეგ				ნეშეგ	ნომეგ
დეშ	დოლვე/დოვე,				
	დოლვ/დოვ				

¹ ზოგის წარმოთქმაში შეიძლება გრძელი ხმოვანი არ იხმოდეს.

უარყოფითი ნაწილაკები ლენტესურში

დე	დო		ნო
დესა	დოსა		ნოსა
დემ, დემა	დომან[ა]	მამ, მამა ¹	ნომ, ნომა, ნუმ, ნუმა, ნემ
დემის			ნომის
დერ	დორ[ი]	მანდ, მანდე მანდმა	
დეთან[ი]			
დეშ	დოშ	მანდშ—მანჩ	
	დოვ		

უარყოფითი ნაწილაკები სვანურში

დე	დო	მან	მან	ნე	ნო
დესა	დოსა				ნოსა
დემ(ა)	დომ(ა)	მანმ(ა)	მანმ(ა)	ნემ	ნომ(ა), ნუმ(ა), ნემ(ა)
დემის	დომმა				ნომმა
დემამ	დომის				ნომის
დერ	დორ	მანდ(ე) მანდმა	მანდ(ე) მანდმა		
დეთან[ა]/დეთან				ნემეგ	ნომეგ
დეშ	დოშ	მანდშ მანჩ			
დეშსა					
დეშმა					
დეშმამ					
	დოდვ(ე), დოვ(ე), დოვ(ე)				

II. უარყოფით ნაწილაკთა უმდგენილობა

უარყოფით ნაწილაკებს თუ დაუფიქრებდით, შეგამჩნევთ, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს ერთმარცვლიანი ნაწილაკები: **დე, დო, მან, მან, ნე, ნო**, ხოლო, მეორე მხრივ, ორ- და მეტმარცვლიანები, რომლებშიც პირველ მარცვლად კვლავ **დე, დო, მან, მან, ნე, ნო** გვევლინება. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ **დე, დო, მან** და სხვა მარტივი უარყოფითი ნაწილაკებია, **დემ, დესა, მან-დე** და სხვა—რთული. ისიც აშკარაა, რომ რთულ ნაწილაკთა პირველ შემადგენელ ნაწილს ერთ-ერთი ზემოჩამოთვლილი მარტივი ნაწილაკი შეადგენს. გასარკვევია, რა არის მეორე წევრები?

¹ სპ. ტვილდიანის შენიშვნით, ეს ნაწილაკი ლენტესურში არ არის ტექსტებში კომპლექსურად შეგვხვდა.

რთული უარყოფითი ნაწილაკები რამდენიმე ჯგუფს ქმნიან:

I. პირველ ჯგუფში შედიან: **დმა, დმა, მამა, მამა, (ნემა), ნმა.**

ყველა მათ აქვთ მეორე სახეობაც, სადაც ბოლო ხმოვანი მოკვეცილია: **დმა, დმა, მამ, ნმა, ნემა, ნმა.** როგორც ითქვა, ესა თუ ის ნაწილაკი ზოგ კილოში ხმოვანმოკვეცილი სახით უფროა გავრცელებული, ზოგში კიდეც, პირუტყუ, ბოლოხმოვნიანი ვარიანტი ჭარბობს. ნემა-ის ბოლოხმოვნიანი სახეობა ლახამულურში არც კი შეგვხვდებოდა (ამიტომაც ჩასმული ნემა ფრჩხილებში), მაგრამ მთელი სისტემა ანალოგიური ნაწილაკებისა გვაპარაუდებინებს, რომ ნემა — ნემა (ისევე, როგორც ნმა — ნმა და ა. შ.).

შეიძლებოდა ეს მოვლენა გაგვეიგივეებინა საერთოდ სვანურ ენაში სიტყვის ბოლო ხმოვანთა მოკვეცასთან. (სახელებში, ზმნებში რომაც), მაგრამ განსხვავება მაინც არის: ნაწილაკებთან დაცულია როგორც ხმოვნიანი, ისე უხმოვნო ფორმა; ხმოვნის დაკარგვა კი წინადადებაშია მომხდარი უარყოფითი ნაწილაკისა და ზმნის ერთად ხმარების შედეგად. ამას ამტკიცებს შემდეგი: როდესაც იგივე ნაწილაკები დამოუკიდებლად არის ნახმარი, მათ „არა“-ს (რუს. нет) მნიშვნელობა აქვთ და ბოლო ა არ ეკვეცებათ.

პირველ ჯგუფში შემავალ ყველა უარყოფით ნაწილაკს მეორე მარცვლად მ ა მოუდის. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს მ ა-ც უარყოფის აღმნიშვნელია და ამდენად ორმაგ უარყოფით ნაწილაკებთან გვაქვს საქმეო: მამა=არარ, დმა=არარ და ა. შ. ამ ვარაუდს განამტკიცებდა მეორე უარყოფითი ნაწილაკი მამდე, რომლის ორივე შემადგენელი ნაწილი უარყოფის აღმნიშვნელი ჩანს ერთი შეხედვით (მამ-დე). მაგრამ განმეორება აქ არ უნდა გვქონდეს შემდეგ მოსაზრებათა გამო:

1. **მამ, დე** უარყოფით ნაწილაკებს მეორე სახეობა აქვთ — ხმოვნიანი: **მამ, დე.** ერთი ეხრივ, მამ, დე და, მეორე მხრივ, მამ, დე (და ამათვის შედგენილი ნაწილაკები) სხვადასხვა შემთხვევაში იხმარებიან (გვ. 318). ამიტომ, მამა, დმა-ში რომ ორმაგი უარყოფითი ნაწილაკები გვქონდეს, მამ და დე-სთან უნდა ყოფილიყო მამამ, დემამ და არა მამა, დემა.

2. **მამ, მამ** უარყოფითი ნაწილაკების ხმოვნები გრძელია, დმა, მამა-სა და სხვებში შემავალი მ ა კი გრძელი არაა; ამასთანავე მამ-ს წინ ხმოვანი ივარაუდება (გვ. 310), მაშინ როდესაც უარყოფითი ნაწილაკი ხმოვნით არ იწყება.

3. ეგებე მამ შედის ჰმა (თუ) ნაწილაკში, რომელიც უარყოფითობას არ გამოხატავს.

4. მარტივი უარყოფითი ნაწილაკები **მამ, მამ, დე, დე** მხოლოდ ქართულ „არა“-ს (რუს. не) შეესატყვისებიან, **მამა, მამა, დმა** და სხვებს მეორე მნიშვნელობაც აქვთ — „არა“ (რუს. нет). ახალი ნიუანსი მეორე მამ-ს შეაქვს და სწორედ ეს იძლევა მისი პირვანდელი მნიშვნელობის გარკვევის საშუალებას: მამ ნაცვალსახელია ისევე, როგორც ქართულ არა-ში — არა: არა — არ + რა.

ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ ზოგჯერ **მამა=არარა**, მაშინ, როდესაც მამ-ს ასეთი მნიშვნელობა არა აქვს. ასევე **ნამა** იშვიათად ნურასაც აღნიშნავს. ამ შემთხვევაში **მამა-სა** და **ნამა-ს** პირვანდელი მნიშვნელობაა დაცული.

რაკი მა ნაცვალსახელს წარმოადგენს, გასაგებია, რომ ის ჰემა ნაწილაკ—შიც გვხვდება. ჰემა ამჟამად იმასვე აღნიშნავს, რასაც ჰე 'თუ', მაგრამ უფრო ადრე მისი მნიშვნელობა იქნებოდა „თუ+რა“ („თუ ის“). მა ნაცვალსახელი დროთა ვითარებაში მნიშვნელობისგან დაცლილა და ნაწილაკად ქცეული ერთნაირად დართვია როგორც ჰე-ს, ისე მს, დე-სა და სხვებს და ამიტომაც, რომ ჰემა=ჰე, მამა=მს და ა. შ.

ამგვარად მამა, დემა და სხვა ნაწილაკთა აგებულება ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც ქართული „არ-რა“ არის: უარყოფითი ნაწილაკი+ნაცვალსახელი. გასარკვევია: რა ნაცვალსახელია ეს მა?

პირველ რიგში მოგვაგონდება სვანურში ფართოდ გავრცელებული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მა (=რამე)¹. მაშინ მამა იქნებოდა „არ-რამე“. მაგრამ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელ მა-ს ვერ ჩავთვლით მამა-ს მეორე წევრად და აი რატომ:

ეს მა ამჟამადაც ცოცხალია. იგი დაერთვის რთულ უარყოფით ნაწილაკებს და მისი მნიშვნელობა სრულიად გარკვეულია: დესამა=არარა (არათფერი), ნოსამა=ნურარა (ნურათფერი). რომ მამა-ს და დესამა-ს მა გაგვეიგივეებინა, გაურკვეველი დარჩებოდა, რატომ ხდება, რომ ერთ შემთხვევაში მას თავისი მნიშვნელობა დაუკარგავს (მამა), ხოლო მეორეში—არა (დესამა).

შედგენილი ნაწილაკების (მამა, დემა, ნომა...) მეორე კომპონენტად უნდა გვქონდეს მესამე პირის მითითებითი ნაცვალსახელი, რომელსაც მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა არა აქვს, მაგრამ იხმარება დანარჩენ ბრუნვებში და შედგენილ ნაცვალსახელებში: ამის, ამნემ, მიჯნემ, მიჩ²...

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ მა-ს წინ ხმოვანი ჰქონოდა. მართლაც ასეა: დე, დო, ნო ნაწილაკებს მოკლე ხმოვნები აქვთ, დემა, დომა, ნომა-ში კი ხმოვანი გრძელია. ნე და ნემ მხოლოდ ლახამულურში იხმარება, ისეთ კილოკაეში, სადაც გრძელი ხმოვნები საერთოდ არაა. მაგრამ ბალსხემოურ-ლაშხურის სხვა ნაწილაკებთან (დემა, დომა) შეპირისპირება გვაფიქრებინებს, რომ აქაც (ნემ) იგივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, რთულ ნაწილაკებში ხმოვნის სიგრძე პოზიციურია და გამოწვეულია: მა-ს დართვით; მა-ს კი მხოლოდ მაშინ შეეძლო წინამავალი ხმოვნის გაგრძელება, თუ თვითონ ხმოვნით იქნებოდა დაწყებული (ორი ხმოვნის შერწყმა ერთ გრძელ ხმოვნად სვანურისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა).

ცნობილი წესია, რომ მბითებით ნაცვალსახელურ თანხმოვანს ერთი და იგივე ხმოვანი დაერთვის როგორც წინ, ისე—შემდგომ; მაგ.: ქართ. ე-გ-ე,

¹ ქართულის ანალოგიით შეიძლება გვევარაუდებინა კითხვითი ნაცვალსახელი, მაგრამ ეს უკანასკნელი უმლაუტიანია: მამა|| მან (=რა), უარყოფითი ნაწილაკების ბოლო ა კი უმლაუტაა.

² წარმოშობით მითითებითი ნაცვალსახელი (ამა), განუსაზღვრელობითი (მა) და კითხვითი ნაცვალსახელი (მამა) ერთი და იგივე უნდა იყოს, მაგრამ რთულ უარყოფით ნაწილაკებში ამოსავლად მიგვაჩნია მითითებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა. ამ მოსაზრებას მოყვანილი საბუთების გარდა მხარს უჭერს სხვა უარყოფითი ნაწილაკებიც, რომელთა მეორე წევრად, როგორც ქვევით ვნახავთ, მითითებითი ნაცვალსახელები გვევლინება.

ა-მ-ა, ი-ს-ი; სვან. ა-ლ-ა. ამის მიხედვით, ჩვენს ნაწილაკებში უნდა გვექონოდა ამა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ხშირია შერეული ფორმებიც. მაგ.: ქართ. ი-მ-ა, სვან. ე-ჯ-ა. ამიტომ დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, თუ რა ხმოვანი უძღოდა წინ მა-ს. ა იქნებოდა ის თუ ე, წინა ხმოვანთან შერწყმით ერთსა და იმავე შედეგს მოგვცემდა. ამიტომ შეცდომის თავიდან ასაცილებლად ამ ხმოვანს ლათინური ასოთი აღენიშნავთ *v* (*vocalis*). ამგვარად:

მამა — მს-შმა, დემა — დე-შმა, ნემა — ნე-შმა
მამა — მმ-შმა, დამა — დო-შმა, ნამა — ნო-შმა

II. რომ ამ ნაწილაკებში მართლაც ნაცვალსახელი მონაწილეობს, ამის დამამტკიცებელი სხვა საბუთებიც მოიპოვება:

სვანურის სამ კილოში იხმარება; დემის/დეშის, დამის (ბზ.), ნამის/ნომის (ბზ.ლნტ.), ლაშხურში კი ეს ნაწილაკები არ გვხვდება; სამაგიეროდ გვაქვს დეშამ. მნიშვნელობა ყველას ერთი და იგივე აქვს: „არ“, „არ არას“ (არაფერს). ამ ნაწილაკთა მეორე მნიშვნელობა უფრო ადრინდელია. ყველა დასმულია მიცემით ბრუნვაში. მართლაც, ბალსზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში მითითებითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს: ამის, იმის, ხოლო ლაშხურში -მამ (განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მა ლაშხურში მიცემით ბრუნვაში ამჟამადაც ამ სახით იხმარებოდა მამ = რამეს) და ეს ფორმებია დაცული უარყოფით ნაწილაკებში: დემის, დეშამ, რაც ნიშნავს „არა იმას“, „არა რას“. შემდეგ ნაცვალსახელს მნიშვნელობა აქაც დაჩრდილულა ნაწილობრივ და ამიტომ გვევ ეფორმები, აგრეთვე დამის, უარყოფითი ნაწილაკების როლშიც გვევლინება, ნამის კი ჩვენს ტექსტებში მხოლოდ მეორე მნიშვნელობით გვხვდება; ლენტეხელი სპ. ტვილ დი ანის თქმით, იგი „ნურაფერს“-აც აღნიშნავს.

ამგვარად: დემის — დე-შმის, დამის — დო-შმის, ნამის — ნო-შმის,
 ლშხ. დეშამ — დე-შამამ

III. დესა, დნსა, ნნსა

ამ ნაწილაკებში მეორე წევრს უსა წარმოადგენს. ხმოვანს გვაგვარაუდებინებს გრძელი ე და ო დესა, დნსა, ნნსა-ში. მნიშვნელობით ესენი არ განსხვავდებიან დეშამ, დამამ, ნამამ-საგან.

ცხადია, უსა იმავე პოზიციისაში გვევლინება, როგორშიც შმა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც ნაცვალსახელთან გვაქვს საქმე: ამ ვარაუდს ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

უსა გვხვდება ჰესა ნაწილაკში: ჰე-სა = თუ (შდრ. ჰემეა). ჰესა-ს უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს: იგი უდრის ჰე-ს თუ. უსა უარყოფას არ აწარმოებს არც დესა-ში. ამდენად უსა-ს გამოვლენა გასაგებია, როგორც დესა-ში, ისე ჰესა-ში, თუ ის ნაცვალსახელი იქნება.

ამასვე ამოწმებს ერთი მაგალითი ლაშხურში, სადაც დესამ გვხვდება და ნიშნავს „არაფერს“: მორვალ ქა უცხრად დესამ ცურებს (48,) 'მედიატორები გაურკვევლად არაფერს ტოვებენ'.

აქ **სხა** მიცემით ბრუნვაშია დასმული და მისი მნიშვნელობაც დაცულია. ბოლოს, ჩვენს მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ ქართველურ ენებში შენახულია ნაცვალსახელური ძირი **ს** (ქართ. ე ს ე, ი ს ი...). მართალია, ამჟამად იგი მხოლოდ ქართულს აქვს შემონახული, მაგრამ არც სხვა ქართველური ენებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო, რამდენადაც ზმნების მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ს** ამ ნაცვალსახელისაგან მომდინარედ მიიჩნიათ.

ამგვარად: **დესა** ← **დე-სხა**, **დოსა** ← **დო-სხა**, **ნოსა** ← **ნო-სხა**.

IV. დერ, დორ.

აშკარაა, აქაც გამოიყოფა **დე** და **დო**. **დერ**, **დორ** ისეთ კილოებში გვხვდება (ბქვ.ლნტ.), რომლებსაც გრძელი ხმოვნები არა აქვთ. მაგრამ უდავოა, რომ ლაშხური **დორი** 'არადა' ი ('და, ც') ნაწილაკდართულ **დორ**-ს წარმოადგენს და, მაშასადამე, ხმოვანი ამ ნაწილაკებშიც გრძელი უნდა ყოფილიყო. ამდენად **რ**-ს წინ ხმოვანი უნდა ვივარაუდოთ: **ურ**.

შმა და **სხა** ნაცვალსახელთა გამოყოფამ ჩვენი ყურადღება გარკვეული მიმართულებით წარმართა.

მათ მიხედვით **დერ**, **დორ**-ში **ურ** ნაცვალსახელს უნდა წარმოადგენდეს. ძაგრამ ეს მოსაზრება მხოლოდ სხვა ნაწილაკებთან ანალოგიას არ ემყარება. ნაცვალსახელი, რომელსაც ჩვენ აქ გამოყოფთ, დღესაც ცოცხალია სვანურში. ესაა **ჯარ** (ზსვ.ლნტ.) || **ჯარ** 'ვინ' (ლშხ.), რომელიც ცალკეც იხმარება და უარყოფით ნაცვალსახელშიც გვხვდება **ჯარ** (= არავინ) ← **დე-ჯარ**. მაგრამ **ჯ** **ჯარ**-ში შეორეულია, იგი **ქ**-ს აბლაუტს წარმოადგენს. ამ ნაცვალსახელის უფრო ადრინდელი სახე **ჯერ** იყო. **დერ**-ში სწორედ ეს (**ჯ**)**ერ** მონაწილეობს. ამიტომ ზუნებრივია, თუ მისი წერწყმა **დე**, **დო**-სთან **დერ**, **დორ**-ს მოგვეკედა, რაც ბალსქვემოურ-ლენტეხურში **დერ**, **დორ**-ის სახითაა წარმოდგენილი.

ამგვარად, **დერ** (= არ) და **დარ** (= არავინ), **დორ** (= არ) და **დორ** (= არავინ) ერთი და იმავე შედგენილობის არიან, ოღონდ სხვადასხვა ფოქას ეკუთვნიან. **დერ**, **დორ** უფრო ადრინდელია, რადგანაც 1. მათში ნაცვალსახელს თავისთავადი მნიშვნელობა დაუკარგავს და იგი შერწყმა უარყოფით ნაწილაკს და 2. რაც მთავარია, ფონეტიკურადაც **დერ**-ში ამ ნაცვალსახელის უფრო პირვანდელი სახეობა (**ერ**) დასტურდება, ვიდრე **დარ**-ში.

ამგვარად: **დერ** ← **დე-(ჯ)ერ**, **დორ** ← **დო-(ჯ)ერ** (ლნტ. **დერა** ← **დე-(ჯ)ერ-ა**, სადაც **ა** კითხვითი ნაწილაკია).

V. ცალკე დგას ქვემოსვანური **დეთა**, რომელიც ამჟამად არ იხმარება, დაცულია მხოლოდ კავშირში **დე თ ა** (ლაშხ.) || **დეთა**/**ე** (ლნტ.).

დეთა-ს დაშლა ადვილია. ცნობილი **დე**-ს გამოყოფის შემდეგ დაგვრჩება **თა**. ეს უკანასკნელი შეიძლება ნაცვალსახელი იყოს. მართალია, ასეთი ძირი სვანურში ამჟამად არ არსებობს, მაგრამ გვაქვს მეგრულ-ჭანურში. მეგრულ-ჭანურის ფენი სვანურში საკმაოდ ძლიერია. შეუძლებელი არ არის, რომ **თ(ა)** ნაცვალსახელიც ყოფილიყო ნასესხები.

ამგვარად: **დეთა** ← **დე-თა** (← **დე-უთა**).

VI. მადე, მადე || მად, მად.

მადე, მადე-ში ცნობილია პირველი წევრი: **მად, მად**, რჩება **დე**. **დე**-ს საკითხი ორგვარად შეიძლება დაისვას: იგია ან უარყოფითი ნაწილაკი, ან ნაცვალსახელი. მართლაც, **დე** უარყოფითი ნაწილაკი არსებობს სვანურში, მაგრამ მეორე მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს, ჯერ ერთი, საერთო წესი, რომლის მიხედვითაც შედგენილი ნაწილაკების მეორე წევრს ნაცვალსახელი წარმოადგენს; მეორეც, **მადე, მადე** ნიშნავს არა-ს, რაც ნაცვალსახელის არსებობას გულისხმობს (ცალკე **დე**-ს, **მად**-ს კი ასეთი მნიშვნელობა არა აქვს) და, ბოლოს, მესამე, მეგრულ-სვანურში დადასტურებულია ნაცვალსახელური ძირი **თ**, რომელიც **დ**-საგან მომდინარედ არას მიჩნეული, ხოლო სვანურში ამ ძირის ოდინდელ არსებობას ამტკიცებს მოთხრობით ბრუნვაში **დ** ფორმანტის გამოყენება¹.

უძლოდა თუ არა **დე**-ს წინ ხმოვანი, ამ საკითხის გადასაჭრელად **მადე** და **მადე** არაფერს გვაძლევენ, რადგანაც **მად**-სა და **მად**-ს გრძელი ხმოვნები თავისთავად აქვთ.

ამგვარად: **მადე**—**მად**-(*შ*)**დე**, **მადე**—**მად**-(*შ*)**დე**.

VII. ბალსქვემოური **დემეგ**, **ნემეგ**, **ნომეგ**-ის დაშლა სიძნელეს არ წარადგენს: მათი მეორე წევრია **იმეგ**. **იმეგ** || **იმეგ** ზმნისართია 'სად'. ეს ნაწილაკები ბევრად უფრო გვძნდელი ფორმაციისაა, ვიდრე ზემომოყვანილნი. ნაწილაკებად ისინი მხოლოდ ბალსქვემოურში ქცეულან, სხვა კილოებში კი ზმნისართებს წარმოადგენენ: **ბზ**. **დემეგ** || **დემეგ** = არსად, ბალსქვემოურში კი ამ მნიშვნელობით **დემეგ** **იმეგ** იხმარება. ასეთი ტავტოლოგიის მიზეზია **დემეგ**-ში **იმეგ**-ის შერწყმა **დე**-სთან.

ამგვარად: **დემეგ**—**დე-იმეგ**, **ნემეგ**—**ნე-იმეგ**, **ნომეგ**—**ნო-იმეგ**.

VIII. ასევე გვიანაა ნაწილაკებად ქცეული ბალსქვემოური: **მადმა**, **მოდმა**, **დომმა**, ზემოსვანური **ნომმა** და ლაშხური **დეშმა**, **დეშმამ**. ყველანი სამწევროვანია. განსახილველია მათი უკანასკნელი კომპონენტი, პირველს ორს ვიცნობთ (**დეშ**-ის შესახებ კი ქვემოთ).

ბოლო **მა** განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს წარმოადგენს. იგი ამჟამადაც აწარმოებს უარყოფით ნაცვალსახელებს სვანურში (**დესამა**, **ნოსამა** და სხვ.), ოღონდ მხოლოდ დასახელებულ ნაწილაკებთან დაუკარგავს მას დამოუკიდებლობა.

ნაწილაკთა მნიშვნელობის ევოლუციის გასათვალისწინებლად საგულისხმოა ლენტეხურის მონაცემები. ამ კილოშიაც იხმარება **მადმა** „არა“-ს მნიშვნელობით, მაგრამ იშვიათად, ჩვეულებრივ მას ეფარდება ქართ. არაფერი. მანაცვალსახელს თავისთავადობა მეტწილად შენარჩუნებული აქვს. პროცესი, რომელიც **მადმა**-ს ბალსქვემოურში გაუვლია, ლენტეხურში მხოლოდ ახლა იწყება. ამავე კილოში **ნომმა** არის „ნურაფერი“.

¹ არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: უნივერსიტეტის შრომები, X, გვ. 171, 174.

ლაშხურ დეშამ-ში მა მიცემით ბრუნვაშია დასმული.

ამგვარად: მადმა—მა-დ(ე)-მა, მოდმა—მო-დ(ე)-მა, დომმა—დო-შმ(ა)-მა, ნომმა—ნო-შმ(ა)-მა, დეშმა—დე-შ-მა, დეშმამ—დე-შ-მა-მ.

IX. ამგვარივე შედგენილობისა ჩანს ლაშხური დეშსა, ოღონდ ხნოვანებით მას ვერ გავუთანაბრებთ ზემომოყვანილ ნაწილაკებს. სა ნაცვალსახელი სვანურში აღრევე გაშქრალა. ამიტომ დეშსა ბევრად უფრო აღრინდელი ფორმაციისა უნდა იყოს, ვიდრე მადმა და სხვები.

ამგვარად: დეშსა—დე-შ-სა.

X. დეშ, დოშ, მანდშ, მანჩ.

მანდშ¹ და მანჩ ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ლენტეხურში. მეორე ფორმა პირველისაგან არის მიღებული თანხმოვანთა ჯერ ასიმილაციისა და შემდეგ შერწყმის შედეგად: მანდშ—მანთშ—მანჩ (შდრ. ქართ. ბედშავი—ბეთშავი—ბეჩავი). ამგვარად, საწი ნაწილაკია განსახილველი: დეშ, დოშ და მანდშ.

ეს ნაწილაკები მნიშვნელობით განსხვავდებიან ყველა ზემომოყვანილთაგან: გადმოგვცემენ შეუძლებლობას („ვერ“).

დე, დო და მანდ-ის მნიშვნელობა ცნობილია: ისინი „არ“-ს გამოხატავენ; მაშასადამე, დეშ, დოშ და მანდშ-ში ახალი ნიუანსი შეაქვს შ-ს. სწორედ ეს აწარმოებს პოტენციალისის კატეგორიას.

ეგვე შ გვხვდება სვანურში მეტად გავრცელებულ მოშ ნაწილაკში, რომელიც მხოლოდ შესაძლებლობას გამოხატავს (ქართულად ხშირად არც ითარგმნება). იგი იხმარება როგორც დადებით, ისე უარყოფით წინადადებებში. როგორც შესაძლებლობის აღმნიშვნელი ნაწილაკი, ხშირია პირობით წინადადებებში. მაგ.:

ეჩას ე მოშ ჩუ ხადგარი, ეჩქა ისგვათან დარ პრი (ბზ. 231₁₄) ‘იმას თუ მოკლავ (იმის მოკვლას თუ შეძლებ), მაშინ შენისთანა არავინ არის;’

ეჩას ჰე ქა მოშ ლანჰვედნე... ჰანშილდს სგითე აჯფიშვდედ (პოეზ. 190₃₂) ‘იმას თუ როგორმე მოგვცემთ, ქმარს შინ გამოგიშვებთ;’

ალ მეჩი მარე ითაშლ, ერე მოშ იმეი მალერა მოშ ათკვიშენას (ლშხ. 51₂₉) ‘ეს მოხუცი კაცი ცდილობს, რომ როგორმე ფიცი გაატეხინოს...’

კატეგორიულ უარყოფით ნაწილაკებს, ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს ხსენებული მოშ პოტენციალისის მნიშვნელობას ანიჭებს:

დე სგვებდ მოშ დურიდ, დე ვეშვდ ტრხნიდ (ბზ. 36₁₅) ‘ვერც წინ მივდივართ, ვერც უკან ვბრუნდებით;’

როზანს ლათხელის ველი ცხეკ დემეგ ოთცვირა, მარე ყურჩ დემეგ მოშ ოხეთხა (ლახამ.) ‘როზანს ძებნაში ველი და ტყე არ დაუტოვებია, მაგრამ ყურშა ვერ უპოვია;’

ეჯას დარ მოშ ხაწრე (ბზ. 126₁₀) ‘იმას ვერავინ [ვერ] ერევა;’

ეჩენქა დესამა მოშ ოთახს თათრულს (ბზ. 3₁) ‘იმის გარდა ვერაფერი [ვერ] წაუღიათ თათრებს...’

¹ ერთი შემთხვევა შეგვხვდა, სადაც ეს ნაწილაკი სრული სახითაა წარმოდგენილი: მანდშ. აჩოხ მანდშ ვერჩენიდ ‘იქით ვერ წაგყვებით’.

მაცთუნებელია შ-ს ნაცვალსახელოურ ძირად მიჩნევა: ის =ხ-ს შესატყვისი მეგრულ-ჭანური ვარიანტი აღმოჩნდებოდა და სვანურშიც ზმნიზედით დადასტურდებოდა (აშ=ასე, ეშ=ისე), მაგრამ ამ მოსაზრებაზე მაინც უარი უნდა ვთქვათ, რადგან: 1. შ-ს ფუნქცია სრულიად გარკვეულია: იგი პოტენციის სისწრაფეს და 2. არ ჩანს, რომ შ განმოენებული იყო; ნაცვალსახელოური ძირები კი ხმოვნებით გვევლინებიან.

ამგვარად: დეშ—დე-შ, დოშ—დო-შ, მანშ—მა-დ(ე)-შ.

XI. უკანასკნელად, ბქვ. დოღვ(ე) || დოვე || დოვ, ბზ. დრვ(ე), ლშხ. დრვ, ლნტ: დოვ. ყველანი ერთი შედგენლობისაა; სახელდობრ: დო-ს დართული აქვს „მცა“ს გამომხატველი ნაწილაკი, რომლის თავდაპირველი სახე დოვე უნდა ყოფილიყო. შემდეგ მას რიგი მოდიფიკაციები განუცდია. დოვე-საგან მივიღეთ: დოვ, დვე—დვ და ბოლოს უ, რომელიც ხმოვნის შემდეგ წყვილბავის-მიერ თანხმოვნად იქცევა და ჟ-თი იწერება. დოვე-ს ევოლუციის სხვადასხვა საფეხურია დაცული სვანურის კილოებში. აღსანიშნავია, რომ ბალსზემოურში ეს ნაწილაკი უ-დ წარმოგვიდგა, მაგრამ დრვე-ში მას ე ხმოვანიც კი აქვს შენარჩუნებული.

ამგვარად: ბქვ. დოღვ(ე)—დო-დღვ(ე), დოვ(ე)—დო-ო(ღ)ვ(ე); ბზ. ლშხ. ლნტ. დრ/ოვ(ე) -დო-ო(ღ)ვ(ე).

დასკვნა: საკუთრივ უარყოფით ნაწილაკებს წარმოადგენენ: მან—მან, დე—დო, ნე—ნო. თითოეულ წყვილს თანხმოვნითი ელემენტი ერთი და იგივე აქვს, ხმოვნითი—განსხვავებული. წყვილის თითოეულ წევრს ერთვის ერთი და იგივე ნაცვალსახელები და აქაც პარალელურ ფორმებს ვიღებთ: მანმა—მანმა, დესა—დესა, ნემ—ნომ და ა. შ.

განსხვავება პარალელურ ნაწილაკებს შორის მხოლოდ ხმოვნებში შეინიშნა. პირველ რივს აქვს ე ან ა ხმოვნები, მეორეს — ო.

თუ ხმოვნებს საკუთარი ფუნქცია მოეპოვება, როგორც ეს ირკვევა, მაშინ მარტივი უარყოფითი ნაწილაკებიც დაიშლება: დე—დე, ნე—ნე, დო—დო, ნო—ნო.

რაც შეეხება მან-სა და მან-ს, აქ ხმოვნები გრძელია. ჩანს, საკუთრივ უარყოფით ნაწილაკსაც ახლდა თავისი ხმოვანი, სახელდობრ, როელი, ძნელი გასარკვევია, რადგანაც ა, ო სხვადასხვა ხმოვნის შერწყმის შედეგი შეიძლება იყოს. თუ დე-სა და ნე-ს ანალოგიით ვივარაუდებთ, რომ მეორე ხმოვანი ე იქნებოდა, მაშინ უარყოფით ნაწილაკს უნდა ხლებოდა ა, რომელმაც ერთ შემთხვევაში მომდევნო ე დაიმსგავსა და მოგვცა მან (←მა-ე), ხოლო მეორეში—თვით დაემსგავსა მომდევნო ო-ს და მივიღეთ მან (←მა-ო).

ამგვარად, უარყოფის აღმნიშვნელად გამოდის: დ, ნა და ნ.

საინტერესოა, რომ ეგვე თანხმოვნები ან მათი ვარიანტები გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც. კიდევ მეტა: არაკავკასიურ ენებშიც (ინდოევროპულ, სემიტურ, თურქულ ენებში). რით აიხსნება ეს დამთხვევა, ამის გადაჭრა მომავლის საქმეა. ჩვენ აქ სვანურიტლა დაკმაყოფილდებით.

III. უარყოფით ნაწილაკთა ფუნქციონისათვის

სევანური ენის მრავალრიცხოვანი უარყოფითი ნაწილაკები ერთსა და იმავე პრინციპზე აგებული აღმოჩნდა. მათი ყალიბია: უარყოფითი ნაწილაკი + ნაცვალსახელი. ამის მიხედვით ამ ნაწილაკთა მნიშვნელობაში თავდაპირველად განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ რადგანაც ისინი დიდრაოდენობით დაგროვდნენ, შესაძლებელი იყო, თითოეული მათგანი განსაზღვრულ პირობებში გამოეყენებინათ და ამდენად სხვადასხვა ნაწილაკს სხვადასხვა მნიშვნელობითი ნიუანსი მიეღო.

ასეთი სემასიური გადახრა ამა თუ იმ ნაწილაკისა ზოგ კილოში მართლაც მოიხდარა. მაგ., დერ-ს ლენტეხურში უარყოფითი მნიშვნელობა სულ დაუკარგავს და დადასტურებით ნაწილაკად ქცეულა (გვ. 297); ხშირად არა აქვს უარყოფითი მნიშვნელობა მთელ სევანურში დო-ს და ლახამულურში დე-საც (გვ. 301); ჩვენ ხელთ არსებული მცირერიცხოვანი მაგალითების მიხედვით ლენტეხურში დოშ „არ“-ს უფრო უნდა აღნიშნავდეს, ვიდრე „ვერ“-ს („არ“-ის მნიშვნელობით ეს ნაწილაკი აქა-იქ სხვაგანაც გვხვდება); დე, დო, ნუ, ნო „არც“-სა და „ნურც“-ს რომ გამოხატავენ, ესეც მეორეული მოვლენა უნდა იყოს.

ზოგ ნაწილაკს გარკვეულ შემთხვევებში უპირატესობა ენიჭება. მაგ.: ბალს-ხემოურში, ჩვეულებრივად, კითხვით წინადადებებში მანდ იხმარება და საყურადღებოა, რომ ასეთ შემთხვევებში კითხვით ნაწილაკად ა გვევლინება. შემთხვევითია ეს თუ არა?

— ე, მანდ ჯიხაა, ქვერწილს, ალას ლიმნარლ ხაკუ (ბზ. 319₃₁) ‘ე, არ იცი, ქორწილს, ამას მომზადება უნდა?’

— ეჯაარ ისგუ ლაჯმილა მანდ იროლხა? (იქვე, 378₃₀) ‘ისინი შენი ძმები არ იქნებოდნენ?’

ცოდ ესერ მანდ ლია ამოშთან ლამაზ კალხმან დაგრა? (იქვე, 199₂₃) ‘ცოდვა არ არის ამისთანა ლამაზი თევზის სიკვდილიო?’

მოდე ხშირად გვხვდება წყევლის ან ფიცის დროს:

მინუ ლეკათ ლიხ, ეჩარე ლაწანთე მოდე აჩებ (ბზ. 96₁₄) ‘წყეული ვიყო, მათ სანახავად თუ არ წავიდეთ’;

მნე ლეკათ ხვი, სვა მოდ ათეკემ (იქვე, 391₃₇) ‘მე წყეული ვიყო, [თუ] არ შევკვე’...

ლახამულურში დერ მეტწილად პირობით წინადადებებში იხმარება:

ლინთვლისგა ბიქე განხენ ე დერ ხაჯლა ქესა, ლუმიჩ ჩუქა ფიკვი-ლესი-როსე ლასე ‘ზამთარში ქარი განიდან თუ არ შემოარტყამდა ნამქერს, ნაძეს ქვეშ სულ მთლად მშრალი იყო’...

დროის დამოკიდებულ წინადადებებში, როდესაც ვოდ (სანამ) კავშირია გამოყენებული, ყველაზე ხშირად დო ნაწილაკი იხმარება, განსაკუთრებით ზღაპრების ბოლოს.

ამორვეხ ეჩე ვრბა ხანს, ვოდ ჩუ დო აღმორვიხ ჩნს (ლშხ. 48₁₀) ‘არიგებენ იქ დიდ ხანს, სანამ არ შეარიგებენ ყველას’;

ვოდ ნაჲ ალა თანშე დო პლსგიდნად ი შდემშე დო პლჰურნად, ეჩქადუ-
ლაროდ (ბზ. 381₃₄) 'სანამ ეს თვალით არ ენახოთ და ყურით არ გავეგონოთ,
მანამ ვიყოთ'.

ერთი და იმავე მნიშვნელობის ნაწილაკები სამ ჯგუფს ადგენენ:

1. „არ“-ს აღნიშნავენ: მა, მამა, მადე, მადმა, მრ, მრმა, მრდე,
მოდმა, დემა, დემის, დემაჲ, დესა, დრმა, დრმის, დრსა.

ნაწილობრივ განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება: დე, დო და დერ
(ლენტეხურში).

2. „ნუ“-ს აღნიშნავენ: ნე, ნემ, ნემეგ, ნრმა, ნრმის, ნრსა, ნო-
მეგ.

გამოიყოფა: ნო = აგრეთვე „ნურც“-ს.

3. „ვერ“-ს აღნიშნავენ: დეშ, დეშმა, დეშამ, დეშსა, დოშ,
მადშ || მაჲ.

შესაძლებელია ერთისა და იმავე ჯგუფის ნაწილაკთა შორის არსებობდეს
რაიმე სტილისტური სხვაობა, მაგრამ ამის გარკვევა ჯერჯერობით ვერ მო-
ხერხდა.

სპეციალურად უნდა შევეხოთ ორივე რიგის უარყოფით ნაწილაკებს, სა-
დაც სხვადასხვა ხმოვანი მონაწილეობს. ირკვევა, რომ სხვადასხვახმოვნიანი ნა-
წილაკები სხვადასხვაგვარ წინადადებებში იხმარება. ამასთანავე, ასეთი კანონ-
ზომიერება ნაწილაკთა ხმარებისა შეინიშნება მხოლოდ სვანური ენის ორ დია-
ლექტში: ბალსზემოურსა და ლაშხურში.

ორივე კილოში მკვეთრად არის გარჩეული ერთმანეთისაგან ა, ე ხმოვნი-
ანი და ო ხმოვნიანი ნაწილაკების ხმარების შეზღუდვები. მიუხედავად ასეთი
გარკვეულობისა, მაინც ძნელი ხდება მათი გამოყენების წესთა ფორმულირე-
ბა. საქმე ისაა, რომ სვანური ენის სინტაქსი სრულიად შეუსწავლელია და სწო-
რედ სინტაქსური თვალსაზრისით თავისებური ჩანს ეს ენა. ასე მაგალითად,
ქართული ან რუსული ენის ქვეწყობილ წინადადებებს სვანურში ხშირად შეე-
სატყვისება უკავშირო წინადადებები. გასარკვევია: სვანური უკავშირო წინა-
დადებები მართლაც ქვეწყობილია და მათი მაქვემდებარებელი კავშირები ჩა-
ვარდნილია, თუ ისინი იმ სატყუარს შეესატყვისებთან, როდესაც ხდება თანწყო-
ბილიდან ქვეწყობილი წინადადების განვითარება. უკავშირო წინადადებათა
სიმყარე და მაქვემდებარებელ კავშირთა სუსტი განვითარება სწორედ ამ უკა-
ნასკნელ მოსახრებას უფრო უჭერს მხარს. თუ ეს აზრი გამართლდა, მაშინ გა-
მოვა, რომ ეს წინადადებები არ არიან ქვეწყობილნი.

აღმოჩნდა, რომ ამა თუ იმ რიგის ნაწილაკთა გამოყენება დაკავშირებუ-
ლია წინადადებათა სტრუქტურასთან, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ დავა-
ჯგუფოთ წინადადებები ამ ნაწილაკთა თვალსაზრისით.

განსახილველია შემდეგი წყვილები:

მა—მრ; მამა—მრმა; მადე—მრდე; დემა—დრმა; დემის—დრმის; დესა—
დრსა; დეშ—დოშ.

სამი ნიშნის მიხედვით შეიძლება დავუპირისპიროთ ერთმანეთს მათი გა-
მოყენება:

I. 5, ე ხმოვნიანი ნაწილაკები იხმარება: მარტივსა, შერწყმულსა, რთულ თანწყობილსა და რთული ქვეწყობილის მთავარ წინადადებებში:

ეჯი ლოქ მ5 მაკუჩ კაშდ (ლშხ. 33₇) 'ის არ მინდა ქმრადო';

აშხვ მეჩი მწრა გეზალ მ5მ ხარდენა (ბზ. 124₁), 'ერთ მოხუც კაცს შვილი არ ჰყოლია';

უშხენარ სერ ეახასა დემ ხაყლებ (ლშხ. 45₃) 'ერთმანეთს აწ სახელს არ ეუბნებიან';

ალა დესა მასმა (იქვე, 265₁₃) 'ეს არ მსმენია';

მავ დემ აჩად აშხვეი შუკეს მაყალშე ჟაპიშ (იქვე, 34₅) 'ყველა ვერ წავიდა ერთად გზაზე ზევის შიშით'...

მერხელს ხაჯემ თელდ, მარა ჯეფაჲ მ5 ლი (ლშხ. ლექსიკ. 20₃₁) 'ქინ-კარს ჰგავს მთლად, მაგრამ კბენია არ არის';

—მიჩა ხეხე ესერ ხონჯრი, მარე ესერ ლუშგვირ ლი ი ჟესერ მ5დ ამ-ჯედ (ბზ. 313₂₇) 'ჩემი ცოლი მახლავსო, მაგრამ მორცხვი არისო და არ ამომყვია';

ანჯად ღვაჭრი გეზალ ი ნენცკლ მაღ ანკიდ მაყალშ (იქვე, 446₁₃) 'მოვიდა ვაჭრის შვილი და ხევის არ აიღო შიშით'...

—ო, ეშ მი(ი) მ5მა მწწუნნი, მარე ნაუზი მ5მა მწრა (ბზ. 85₃₃) 'ო, ისე ჰქვც არ წამესვლება, მაგრამ წაუსვლელობა არ მარგია';

აჩად დომდიშ ი დესა ანჯად (ლშხ. 59₃₃) 'გავიდა ორშაბათი და არ მოვიდა'...

ეჩქა ლოქ მ5 ხაკდენა ლიტრტე, შომმა ლოქ ხობროლ ლემარ, ათხე ლოქ იმნარ ხაკუ ლიტრტე (ლშხ. 55₂₈) 'მაშინ არ გდომებია ხელში აყვანა, როდესაც პატარა იყავი, ახლა რად გინდა ხელში აყვანაო';

ლეჟა ლაშხს ეჯხუმს დემ ალაშხი სიმინდს, იმზუმსრა სასაშარ ალაშხი (იქვე, 3₉) 'ზემო ლაშხეთში იმდენს არ თესავენ სიმინდს, რამდენსაც სასაშლები თესავენ';

ლახტველდა მალს:—ამრთნად ე მოშ ჩუ მჭრელე, დემის ჯიზბი (ბზ. 361₁₁) 'შეეკითხა მელას:—ამგვარად თუ ამაჭრელე, არ შეგქვამ';

ლულაჲჲი ლისგვრე ეჩქა დესა აჯკვად, შომმვა კოტროლ ხანს, ი ათხე იმნარ ჯაკუ? (იქვე, 208₂₉) 'მუხლზე ჯდომა მაშინ არ მოგინდა, როდესაც პატარა იყავი, და ახლა რად გინდა?';

ო ხმოვნიანი ნაწილაკები იხმარება რთული ქვეწყობილის დამოკიდებულ წინადადებებში:

ეჩთან ხეკვეს ლესეს ალ თხუმ მორავ, ერე ზემჩემობ მწ ჩომნას (ლშხ. 47₇) 'ისეთი უნდა იყოს ეს თავი მოურავი, რომ შენ-ჩემობა არ ქნას';

ეზარდ ხებუანხ, ერ მწმ ადღანეშან (ბზ. 139₃₇) 'ძალიან უკვირდათ, რომ არ დაშავდა';

კუბუ ესერ ოხვტაბებ ეჯკალიბ, ერე ლიცი ლახ მწმა ლესე (იქვე, 281₁₄) 'კუბო გამითალეთ ისეთი, რომ წყლის სავალი არ იყოსო';

ჩუ ლგ სტოლ ი, მამ ეჩეი მ ო დ პრი, ეჯა მამგვეშ ლი (იქვე, 381₁₅)
 “დგას მაგიდა და, რაც იმაზე არ არის, ის არაფერი [არ] არის”;

ეჩეჩუ დ ო მ ა ლარდდ, აჩქად უმარცხდუ ლარიდ (იქვე, 72₂₁) ‘იქ [სანამ]
 არ ვიყოთ, მანამ უმარცხოდ ვიყოთ’;

მამ მიზეზ ლი, ფუსდ კენარ, ერე ლო ხეესს დ ო მ ხიკედ (იქვე, 338₁) ‘რა
 მიზეზია, ბატონო კეისარო, რომ მერე ხეესს არ იღებ?’

ათხე ესერ ჯაი ლახე ტკიცდ ხქენინე ი ჩუ დ ო მ ის ოთჯკრვის, ეჩქა
 ესერ თერალს ქა ხოხბერეს მიჩ (იქვე, 166₂₁) ‘ახლა სიმართლეს თუ გეტყვით
 და არ დამიჯერებთ, მაშინ თვალებს დამთხრითო’;

ხოშა მუხებად ჩვადღვენე ჯგჯრავეშ, ერე ძულვაქა დ ო ს ა ლახსგურდეს
 ჩაქს (ლშხ. 51₂₃) ‘უფროსმა ძმამ დაათიცა წმინდა გიორგი, რომ ზღვაზე არ
 შეჯდეს ცხენზე’;

ეჯა მაკუ მიი, იმთვამთე შუკვ დ ო ს ა ლი (ბზ. 114₂₈) ‘ის მინდა მეც,
 საითაც გზა არ არის’;

ალახ დ ო შ ათსერე დავემ ნაცარქექაძას, ლახტულე დავს (ლშხ. 80₁₅)
 ‘რომ ვერ მოერია დევი ნაცარქექიას, შესძახა დევი’;

სერ ქანხირნან დინა, ლახ ლეშესგ დ ო შ ანაშვე (ბზ. 379₂₉) ‘აწ გაჯავრ-
 და ქალი, ცეცხლი რომ ვერ დაანთო’...

ასეა შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მაგრამ იშვიათად ნ, ვ
 ხმოვნიანი ნაწილაკები გვხვდებო და მოკიდებულ წინადადებებშიც. მაგალითები
 იმდენად მცირეა, რომ ისინი გამოწკიცებად (ალრევის შედეგად) შეიძლება
 და მიგვეჩნია, რომ აქაც კანონზომიერება არ შეიმჩნეოდეს. ეს ნაწილაკები იხ-
 მარება მხოლოდ გარკვეული სახის დამოკიდებულ წინადადებებთან, სახელ-
 დობრ: ქვემდებარულთან, დამატებითთან, განსაზღვრებითთან და ვითარების
 გარემოებითთან. ყველა ასეთ წინადადებაში კავშირად გამოდის ერე (რომა).

ქწსერ ხოქვა ლათ, ერე თვეთენა კოჯარხან მამა პრის (ბზ. 268₆) ‘ხომ
 კითხარი გუშინ. რომ თეთრი კლდეებისაკენ არ არიან’;

ამხანქა ეჯამგ ხალხ ქანვად, ერე შვიმ მამა ხარ (იქვე, 328₁₁) ‘აქედან
 იმდენი ხალხი გამოვიდა, რომ საზღვარი არა აქვს’;

ეჯკალიბ ხარჯ ხანნეხ, ერე ივალადლ ამითან დ ო ს ა ხომანხ (იქვე, 283₁₇)
 ‘ისეთი ხარჯი აქამეს, რომ არასოდეს ამისთანა არ უქამიათ’;

ათხე აჯუშუმ ვდსასტკე ტარიელდ, ერე ქიშხს დემ ხეგანლ, დეხეს დემ
 ხონჯრი (იქვე, 62₇) ‘ახლა იმდენად იწყინა ტარიელმა, რომ ფეხზე არ დგება,
 ცოლსაც არ მიჰყვება’;

პთვანდენ ეჯჟი ჯრდია მინდვორთე, (ერე) თეს დ ო მ ის ხოჰი (იქვე, 206₇)
 ‘მისულა უნებურად ისე შორს მინდორში, რომ თვალს არ უწევს’;

ალმარ ეჯენი ვდმეჩანხ ჩუ, ერე გეზალ დ ო ს ა პთენანხ (იქვე, 182₂₆)
 ‘ესენი ისე მოხუცდნენ, რომ შვილი არ დაებადათ’.

ამგვარად, ზემომოყვანილი ტიპის დამოკიდებულ წინადადებებში თუმცა
 ხმოვნიანი ნაწილაკებია გაბატონებული, მაგრამ ნ, ვ ხმოვნიანებიც შეიძლე-
 ბა შეგვხვდეს. სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებში ეს უკანასკნელები არ

გვევლინება. განსაკუთრებით მყარია ო ხმოვნიანი ნაწილაკების ხმარება. დამოკიდებულ წინადადებებში, სადაც კავშირად აქვთ ლახ(ე) (რომ, თუ) ან ჰე || ე (თუ) აგრეთვე უკავშირო პირობით წინადადებებში:

ღვინელ ე მო ზეგნი მესვალას, ეჩქა რანგს ხეთხელიხ. (ლშხ. 19₁₇) 'ღვინო თუ არ ექნება (ედგება) ვინმეს, მაშინ რანგს ეძებენ';

ღერქულ სედნიხ აგის მერდალა, ნაქეთაშს ე დომ ანვლეს ღვაქარ (იქვე, 24₆) 'უტანისამოსოდ რჩებიან შინ მყოფები, ნაქუთაისევეს თუ არ მოიტანენ ვაჟები';

კეთილს ე დომ ოხვიდე მასძელ, ეჯი ლი მასძელი შუჯურ, ოდო კეთილ ჩუ ორდი ი ალმარ ე დომ ათხვინეს სახ-კათს, ეჯი სერ მინე კინჩხი ქვეცა ორი (იქვე, 39₆) 'ქონებას თუ ვერ მოუტანს ჩასპინძელი, ის არის მასპინძლის სირცხვილი, თორემ ქონება [თუ] იქნება და ესენი თუ ვერ შეახვედრებენ ავკარგს, ის მათი კისრის მოჭრა იქნება';

ლახ მოდ ლმდსინე იზა ნაქე სემშდარდ, ქაფიშელს მერმა ლადელ ლა-ლდბლთე (ბზ. 307₆) 'რომ არ შეისმინა ვინმეს ნათქვამი სემშდარმა, გაუშვეს მეორე დღეს სამწყესადად';

აღო ეჩქა ლახ დომის ხაქვინედ, ეჩქა ჩუ ჯადგაროხ (იქვე, 220₃₂) 'თორემ თუ მაშინ არ ეტყვიოთ, მაშინ მოგკლავენ';

სემი ნავზი ლახე ქაჩეს ი მ' ავითე დოსა ონტეს, ეჩქა წზრნი მეშხად ჩვადლაფურ გვიშვედ ვოთახ (იქვე, 145₃₇) 'სამი კვირა რომ გავიდეს და მე შინ არ მოგბრუნდე, მაშინ წითელი შავად შეღებე ჩვენი ოთახი';

ეჯა ხეხე მომა მერა, ეჩქა მიშვა თხუმ ჩუ ხვადგარი (ბზ. 125₃) 'ის [თუ] ცოლად არ მეყოლება, მაშინ თავს მოვიკლავ';

ჯავ ლეკათ ლი, მჯხარ ჯა მოდ აჩეს! (იქვე, 433₃₅) 'მე წყული ვიყო, ხვალ მე [თუ] არ წავიდე!'

აღო, აჯნურ დემ ხვიგნიდ, ნამ ლთხვარათე დომ ოდრიდ (იქვე, 76₃₃) 'აბა, უმისოდ ვერ დავდგებით, ჩვენ სანადიროდ [თუ] არ წავედით';

ჯ' ესერ კორაკიშვილ მამა ორი, მიჩ ჩუ დომ ესბოლი (იქვე, 175₃₅) 'მე კორაკიშვილი არ ვიქნები, [თუ] ვერ დავხვდები'...

აქვე საეციალურად შერჩეულია მაგალითები, სადაც ხემომოყვანილი წესის მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს ერთსა და იმავე ტექსტში ან ერთსა და იმავე წინადადებაში ხმარებული ა, ე ხმოვნიანი და ო ხმოვნიანი ნაწილაკები:

თემი ე მო ლი, ეჯკი დემ ხვაშხიდ მწორას (ლშხ. 2₃₃) 'გაჭირება, თუ არ არის, ისე არ ვწვავთ წიწვიან ხეს';

ჩაე ერ მოდ ენვერენს, აკვედმეჯ ხაბემხ ამის ი დემ ლოქ ენვერი (ლშხ. ლექსიკ. 38₃₆) 'ცხენმა რომ არ მოაგლოს კვიცი, კუდთან აბამენ ამას და არ მოაგდებსო';

ჩუ უღუნად დემ ხავიქხ-ი ჩუ ლახ დომ ედღვენე, სერ ეშ მამ მაკახ ლი-ეჩა ნამორავ? (ლშხ. 47₃₃) 'დაუფიცებლად არ სჯერდებიან და თუ არ დაუფიცებს, ისე რა სასარგებლოა მისა ნამედლიატორევი!'

ვოდ ჩუ დო ედმეჩი ფუსნად, ეჩქად ეჩა ლიძენის დეჷ იჩოხ, დე ქა ლევ-
დიდ შიდ ქორხენქა, მიჩავჷ ე დრჷმ ედდაგრი, აშ ხეყენი (იქვე, 9₂₀) 'სანამ არ
დაბერდება „ფუსნა“, მანამ მის დაკვლას არ შერებინ, არც გაყიდვა შეიძლე-
ბა სახლიდან, თავისით თუ არ მოკვდება, ასე ეკოლებათ';

მაშენამ მუხებემ მად ჳდხინ. ლახ მრდ ჳდხინ, ეჩქა ჳნგლოზარდ ი ჳგვრზდ
ხჷქებ (ბზ. 290₃₃) 'უფროსმა ძმამ არ შეუშვა. რომ არ შეუშვა, მაშინ ანგე-
ლოზებმა და წმინდა გიორგიმ უთხრეს';

მეჟალს დეჷ იფსენახ. ლახ დომ იფსენახ, მეჟალეჷ ხოშემ ხჷქე მელხარს...
(იქვე, 22₁₈) 'მუჟალს არ იხდიდნენ ბატონად. რომ არ იხდიდნენ ბატონად,
მუჟალის უფროსმა უთხრა მულახლებს'...

—ჯ' ესერ დეჷ ითრე მიჩა ზისხს! —დაღე ესერ ჰე დრჷმ ითრე მიჩა ზისხს
მიჩა ჰეჷჷ გაეჷე ესერ ხულეჷ მიჩა კინჩხს (იქვე, 394₂₂) '—მე არ დავლევ შენს-
სისხლსო! —აბა, თუ არ დალევ ჩემს სისხლს, ჩემი მაჯის ძალა ჰქონდეს შენს
კისერსო';

ხეყედახ სემი თოდ მურყვამისა ი დეჷ ედგიჷხ... ალახ დოშ ედგიჷხ მურ-
ყვამისა, ქანფიშედლ (ლშხ. 60₂₆) 'ჰყავდათ სამი თვე კოშქში და ვერ დააკავეს...
რომ ვერ დააკავეს კოშქში, გაუშვეს'...

II. 5, ე ხმოვნიათი ნაწილაკები იხმარება თხრობით წინადადებებში, სადაც
ფაქტებია გადმოცემული (მაგალითები იხ. ზემოთ); ო ხმოვნიათი ნაწილაკები კი
გამოყენებულია არათხრობით წინადადებებში; ესენია:

ა) ისეთი წინადადებები, რომლებშიც სურვილი, შესაძლებლობა ან ვარა-
უღოა გადმოცემული. ასეთ ნიუანსებს იძლევა სიტყვები: იგებს (ეგების), მუ-
გვდაა (თითქოს), ლაღე თაშე (თითქოს), ნოთაჷ (იქნებ), ნატლაჷ
(ნეტაჷ), დრჷ (ვადეთუ); მაგ.:

იგებს ესერ ალა მარე მრმა ლი (ბზ. 293₃₂) 'ეგების ეს კაცი არ არისო';
მამ' აფჷშ მალ, მუგვდაა დრჷსა ჳნმეჷრე (იქვე, 363₃₃) 'არაფრად ჩააგ-
დო მელამ, ვითომ არ გაიგო';

ლაღე თაშე ძაგვარ დრჷს' ჳმცეღრჷნ (პოეზ. 234₄₆) 'თითქოს ჯაგარი არ
დამეტოვებინა';

ნატლაჷ ექვრდა შოდ ამჩედ ხასედ (C6. XXXI, 32₄) 'ნეტაჷ ორივე არ
წასულიყავით';

მიჩ ესერ ხოხალ, მარე დრჷჷ ესერ მრდ ჩვემინ (ბზ. 55₁₀) 'მე ვიციო,
მაგრამ ვადეთუ არ ქნაო'...

ბ) ისეთი კითხვითი წინადადებები, რომლებშიც კითხვითი სიტყვებია
ნახმარი.

—ხოჩამ დუქანს იმლა დრჷმ იგემ? (ბზ. 262₃₄) 'კარგ. დუქანს რად არ
იგებ?'

ალას ამეი ხაყერ, მი ჰადურდ იმ დომ მარო (იქვე, 67₁₂) 'ამას ასე უყო,
მე მთლად რას არ მიზამს';

—იმლა დრჷმის ხეთხვარ მი? (იქვე, 73₁₅) 'რად არ ვნადირობ მე?'

—სწდილ იმლა მწდ უნიჯდ? (იქვე, 334₃₃) 'სადილი რად არ მოგვიტანე?'

— იმლა ესერ მწმა უმჩედღლი? (იქვე, 209₂₉) 'რატომ არ წასულხარ?...'

გ) კითხვა-მიგების დროს ისეთი წინადადებები, რომლებშიც მოპასუხე იმეორებს შეკითხვას უარყოფითი წინადადებით; ამასთანავე, წინადადებას უარყოფითი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ დადასტურებით-გაკვირვებითი. ასეთ წინადადებებშიც კითხვითი სიტყვები იხმარება.

—სი მან ჯამდღად?—ჰე, მი მან მწდ მემდღდი? (ბზ. 366₃₆)—'შენ რა შეგიძლია?—ჰე, მე რა არ შემეძლება?'

—მიშვი დადილ, მან ჯაწხ?—ხამა მწდ მაწხ, ზეთუნახანე ათვიგქ ეხვდ (იქვე, 82₁₉) '—ჩემო კარგო, რა გიჭირს?—როგორ არ მიჭირს, მზეთუნახავი დავიკავე ცოლად';

—სგა ღწვარ, იმწარ ხიშწლდ?—ხამა იმლა დომ ხვიშწლდდ? ლიცვწლ-ლითწლ აგწგდ. დეშ ხვითწლდ (იქვე, 68₁₃) 'თქვე დევებო, რად ჩხუბობთ?—როგორ არ [უნდა] ვიჩხუბოთ? (სიტყვასიტყვით: როგორ რად არ ვჩხუბობდეთ?) ჩხუბი და გაყოფა შემოგვერია. ვერ ვიყოფით...'

III. 5, ე ხმოვნიანი უარყოფითი ნაწილაკები იხმარება მხოლოდ თხრობით კილოსთან, ო ხმოვნიანი კი თხრობითთანაც და კავშირებითთანაც. თუ მარტივ, შერწყმულ, რთულ თანწყობილ ან რთული ქვეწყობილის მთავარ წინადადებებში კავშირებითი კილოა საჭირო, იქ ო ხმოვნიანი ნაწილაკები მოგვევლინება.

მომ უმეკრას ჰაშეგე გუშგეგე (პოეზ. 52₃₄) 'არ გაიგოს ჩვენმა ქმარმა; ეშხუ ნიბაშწლ ესერ ათსედა, ეჯა ჟი მწდე უნვოჭრას (ბზ. 99₁₀) 'ერთი შვილიშვილი დამრჩა და ის არ დაობლდესო';

ბელხანჯარ დოსა ლოქ ოგხენდეს. ამეჩუ (ლშხ. 70₁₄) 'ბელხანჯარი არ დაგვხვდეს აქო';

ჩუ ესერ ადგარს ალა, მიჩა ხოშა გეზალ, ადო ჟი ესერ დოსა ახბაჟის (ბზ. 136₈) 'მოვკლათ ესო, შენი უფროსი შვილი, თორემ არ გაიგოსო';

ალო ესერ, ლინდლავუ ლწსე, ჯ' ესერ ამეი ჯვედიშ ლი, ადღრნე ესერ ეჩხანე ი ჩუ ესერ დოშ უდქადენას ალო! (იქვე, 292₁₄) 'აბაო, დავნიძლავდეთო, მე ასე შორებელი ვარო, წავალ. იქ და თუ ვერ შევაცდინო აბაო...'

ბოლოსათვის მოვიტოვეთ დე, დო ნაწილაკები. ორივეს, როგორც ჩანს, უცვლია თავდაპირველი მნიშვნელობა. განსაკუთრებით ეს ეხება დო-ს, რომელსაც ხშირად არც კი აქვს უარყოფითი მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევებში არ ხერხდება დე-სა და დო-ს დაპირისპირება, მაგრამ, როდესაც დო=არც, მაშინ ეს ორი ნაწილაკი ისეთსავე განსხვავებას იძლევა, როგორსაც 5, ე და ო ხმოვნიანი ნაწილაკები. მაგ.:

დე:

დე ზურალ არდა ეჯ მურყვამისგა (ბზ. 179₂₁) 'არც ქალი იყო იმ კოშქში';
კესარს დე ეხვ ეთღწენან ი დე ჩაჟ ეთაშთქან (ლშხ. 68₁₂) 'კეისარს არც ცოლი დაუორსულდა და არც ცხენი დაუმაკდა';

დე ისგა ხეპრლი ი დეა ქა ხეყელენი (ბზ. 444₁₉) 'არც ეწევა და არც შორდება'...

დო:

ეჯკალიბ ქორა ლიგემ ჯამედა ლოქ მოშ, ერე დო გიმს ხეთილეს ი დო დეცს (ლშხ. 59₂₉) 'ისეთი სახლის აგება შეგიძლიაო, რომ არც მიწას ეხეზოდეს და არც ცას';

დო მინდ, დო მინე ნათი-მუნათიდ, დო გეზალდ ი გეზლა გეზალდ მიწეშ ალ გვეშ უშხვარ დოსა ოხურშონახ ივალადედ (ლშხ. 49₃) 'არც მათ, არც მათმა ნათესავ-მონათესავემ, არც შვილმა და შვილიშვილმა მათმა ეს საქმე ერთმანეთს არ უხსენონ არასოდეს';

ჩუ ლშგენლო კალთაჲს ესლაფრის სეგდას ი ეჯეი ადგესხ სგა ქორთე, დო შერ ლოქ ხეწეს ნაშგს. დო ქორაშ ი დო ნაქამ (იქვე, 7₁₆) 'მოწველის შემდეგ კალთას დააფარებენ ტაგანას და ისე მიაქვთ შინისაკენ, არავინ შეხედოს ნაწველს არც შინაურმა და არც გარეშემო'...

შდრ.: ნავდუნს ვოდ სგობნავ დო ლახოდნეს, ერქად დე ნასმართალს ზეშხიხ-რ დე ჩუ იღენიხ საყდარისა (იქვე, 47₂₀) 'მისაცემს სანამ წინასწარ არ შისცემენ, მანამდე არც გააჩენს ამხელენ და არც დაიფიცებენ საყდარში'.

და: ვოდ ლოქ ეშთან ქორს დო ოთგემ, ერე დო ლოქ გიმს ხეთილეს ი დო დეცს ხეზაჯენს, ერქად ლოქ დეშ იგნი მიჩაცახან (იქვე, 59₁₉) 'სანამ იმისთანა სახლს არ ააგებ, რომ არც მიწას ეხებოდეს და არც ცას ებჯინებოდეს, მანამ ვერ დავდგები შენთანო'.

როდესაც დო = „არ“, ის დამოკიდებულ წინადადებებში ან კავშირებით კილოსთან იხმარება:

—ღერთემუ (ესერ) ხაქდის, ერე მიჩა ზისხ დო ლაიშ მიჩნემ (ბზ. 395₃) 'ღმერთმა მაშოროს, რომ შენი სისხლი არ დავლიო მეო'¹;

ერის მიშუე ქესა ჰე დო იჩოდა, ერჩქა დესამა მოშ იჩოდა (იქვე, 276₁₃) 'იმას ჩემი ქისა თუ არ იზამდა, იმის გარდა ვერაფერი იზამდა';

ილხენიხ, ვოდ მეწარ დო ედშდემიხ ბაჰ ი ვერ მაგ (ლშხ. 10₁) 'ილხენენ, სანამ ძალიან არ დათვრებიან მღვდელი და ერი ყველა'.

აქამდე განზრახ არაფერი გვითქვამს ნ თანხმობიანი უარყოფითი ნაწილაკების შესახებ. ეს იმიტომ, რომ ბალსზემოურსა და ლაშხურში, რომლებშიც გარჩეულია უარყოფით ნაწილაკთა ორი რიგის გამოყენება, ნ თანხმობიანი ნაწილაკები არ ქმნიან წყვილებს. არის ო-ს რიგი (ნო, ნომა, ნოსა და ა. შ.), მაგრამ არ არის ნე-ს რიგი.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ნ თანხმობიანი ნაწილაკებს სხვაგვარი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ყველა დანარჩენს. ისინი ქართულ „ნუ“-ს შეესატყვი-

¹ შდრ. იქვე:—აჰ, ღერთემუ ესერ ხაქდის, ჯ'ესერ დემ ითრე მიჩა ზისხს (ბზ. 394₂). —აჰ, ღმერთმა მაშოროს, მე არ დავლევ შენს სისხლსო!

სებიან და აკრძალვითს ბრძანებითში იხმარებიან. ამიტომ ნე-ს რიგს ვერ შეე-
ნაცვლება ვერც დე-სა და ვერც მნ-ს რიგი.

ამითვე უნდა აიხსნებოდეს, რომ ნო-თი შედგენილი ნაწილაკები ყოველ-
გვარ წინადადებაში გვხვდება. მაგრამ მათ ხმარებას მნიშვნელოვანი თავისებუ-
ლება ახასიათებს: ისინი კავშირებით კილოს მოითხოვენ ზმნისაგან.

ეჩეჟი ნ ო მ' ესგურდნედ (ბზ. 162₃) 'იმაზე არ შესხდეთ';

—ღერბეთ როქვ, ნო მ, ა ათღწემა ძლა! (იქვე, 36₂₀) 'ღმერთო, ნუ დაა-
შავებ ამასო';

მწლდ ესტვილ: „ი, ნემ' აჩე, ნემ' აჩე!“ (იქვე, 36₀) 'მელამ შესძახა: „არ
წახვიდე, არ წახვიდე!“

მიშგვა ლავეჟი ლოქ ემხუ სადგომ ნ ო ს, ა ლოქ ათკარა (ლშხ. 72₃₀)
'ჩემს ძილში ერთი სადგომი არ გაალოო'...

ზემოთ ვნახეთ, რომ კავშირებით კილოსთან ო ხმოვნანი ნაწილაკები იხ-
მარებოდა, მაგრამ ო ხმოვანი არ მოითხოვდა უეჭველად კავშირებით კილოს.
ამიტომ ნო-თი შედგენილ ნაწილაკებთანაც ზმნის დასმას კავშირებით კილოში
ვერ ავხსნით ო ხმოვნის სინტაქსური ძალით. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ
ეს ნაწილაკები აკრძალვით ბრძანებას გადმოგვცემენ და რაკი აკრძალვითი
ბრძანებითისათვის სვანურ ზმნას საკუთარი ფორმა არ გააჩნია, გამოყენებულია
კავშირებითი კილო. ამ მხრივ სვანურ „ნო“-თი შედგენილ ნაწილაკებს ქართუ-
ლი „არ“ შეესატყვისება. ეს უკანასკნელიც აკრძალვით ბრძანებითთან კავშირე-
ბით კილოში მართავს ზმნას, მაშინ როდესაც „ნუ“ თხრობით კილოს მოითხოვს.

ჩვენს მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ ბალსქვემოურში, სადაც არ არის
გარჩეული ორი რიგის ნაწილაკთა ხმარება, ნო-თი შედგენილი ნაწილაკები
კავშირებით კილოს მოითხოვენ. კავშირებითი კილო იხმარება ნე-ს რიგის ნა-
წილაკებთანაც ლახამულურში.

მიშგვან ხოშა ღერმეთ ნ ო მ, ა ლესეს. (ბერ.) 'ჩემზე დიდი ღმერთო არ
იყოს';

ვარ ნო მ ა ნექე (ეცერ.) 'უარი არ გვითხრა';

ქესერ ნე ხეწეხ (ლახამ.) 'არ შეგხედონო';

ლასვილიჟი ნწნსოლ ნემეგ ესერ ოხრეკეხ (იქვე) 'მოქნევისას წაღდი
არ მოგედოთო'...

ზოგჯერ ზმნა თხრობით კილოშია დასმული, მაგრამ თან ახლავს „მცა“
ნაწილაკი, რომელიც თხრობით კილოს კავშირებითის მნიშვნელობას ანიჭებს.

—ამექ' ესერ ნ ო ვ ანწად, ად' ოსერ კინჩხს ხწქცე (ბზ. 271₇) 'აქ ნუ მოხ-
ვალ, თორემ კისერს მოგპროი';

ეჩნ სერდ' ესერ მიჩ ნ ო მ, ა ვ ხარ (იქვე, 409₂) 'იმის დარდი შენ ნუ
გექნებაო';

ეჩქ სგანტვრენა ძეხვ, ერე ჩუ ლოქ ნ ო მ, ა შე მადგარი (ლშხ. 60₁₀) 'შამინ
შეხვეწნია ცოლი, რომ ნუ მკლავო';

ხეტა ი კელა ნომოღ ათქანდ (ლახამ.) 'ამოწყეტა და ამოგდება ნუ აგცლებათო';

აშხე ოთხნი ყორ ესერ ნოსჰე ადკარე (ბზ. 179₃) 'ერთი ოთახის კარი ნუმცა გააღეო'...

ყველა კილოში (ლენტეხურის გამოკლებით) არის შემთხვევები, როდესაც ნომა, ნუმა, ნგმა, ნომის ნაწილაკები თხრობითი კილოს ზმნასთან იხმარებიან. სხვებთან ასეთი გამონაკლისები სპორადულად თუ შეგვხვდება.

ნომ ჯაყლუნი (ლზხ. 83₃₀) 'ნუ გეშინია';

ეჩი სერდე სი ნომა ჯარ (ბზ. 120₃₃) 'იმისი დარდი შენ ნუ გაქვს';

ნომა ხიგენი (ეცერ.) 'ნუ სტირი';

— ფუსგლა მიშგუ, ნომა შმცვიდ (პოეზ. 296₇) 'უფალო ჩემო, ნუ გამიწყრები';

ეჯლა ნომის ფეშნი (ბზ. 327₃) 'იმისთვის ნუ სწუხხარ'...

რადგანაც 1. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ამავე ნაწილაკებთან კავშირებითი კილო იხმარება, 2. კავშირებითი კილოა ნ-ს შემცველ ყველა სხვა ნაწილაკთან და 3. არაა განსხვავება იმ წინადადებებს შორის, რომლებიც ერთ შემთხვევაში კავშირებით კილოს იყენებენ, ხოლო მეორეში თხრობითს¹, ვასკენით, რომ ზემომოყვანილ მაგალითებშიც კავშირებითი კილო უნდა გვექონდეს. უფრო სწორად, აქ არის უ (შცა) ნაწილაკდართული ფორმები: ნომუ, ნომავ, ნუმავ, ნგმუ... სიტყვის ბოლოს მოქცეული უ/ვ ფონეტიკურ ნიჲდაზე იკარგება ან იჩქმალდება, რადგანაც სიტყვაში სამი წყვილბაგისმიერი ბგერა (ო, მ, უ) იყრის თავს.

ამით აიხსნება, რომ თხრობითი კილო მათი შედგენილ ნაწილაკებთან გვხვდება. ვასაგები ხდება ისიც, რომ ასეთი გამონაკლისები არ იცის ლახამულურმა, რადგანაც იქ „მცა“ ნაწილაკი ოღვე(ე)-ს სახით არის წარმოდგენილი.

ამგვარად, ნო კავშირებით კილოს მოიტხოვს. შეიძლება სწორედ ამით იყოს გამოწვეული, რომ ბალსზემოურსა და ლაშხურს, რომლებიც მკვეთრად გაარჩევენ ნაწილაკთა წყვილეულებს, ნგ-ს რიგი არ შემოუნახავს (ნე კავშირებითთან არ შეიძლებოდა).

ამგვარად, ა, ე ხმოვნინანები იხმარება მარტივსა, შერწყმულსა, რთულ თანწყობილსა და რთული ქვეწყობილის მთავარ თხრობით წინადადებებში, როდესაც ისინი არ შეიცავენ კავშირებითი კილოს ზმნას, და იშვიათად აგრეთვე ერთ კავშირიან ქვემდებარულ, განსაზღვრებით, დამატებით ან ვითარებით დამოკიდებულ წინადადებებში.

ო ხმოვნინანები გვხვდება დამოკიდებულ წინადადებებში; აგრეთვე მარტივსა, შერწყმულსა, რთულ თანწყობილსა და მთავარ წინადადებებში, როდესაც ისინი თხრობითი არ არიან ან კავშირებითი კილოს ზმნას შეიცავენ.

¹ შდრ.: ნომ შმდგარა (ბზ. 308₃₃) 'არ მომკლა' და: ნომ მადგარიდ (იქვე, 82₃₇) 'ნუ მომკლავთ'.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ორი რიგის ნაწილაკთა გამოყენების სფეროები ხვდება ერთმანეთს, არის ერთ კავშირიანი დამოკიდებული წინადადებები. აქაც, როგორც ითქვა, გაბატონებულია **ა** ხმოვნიანები. სხვა შემთხვევებში მათი ხმარება არ ირევა ერთმანეთში. არასოდეს არა გვაქვს, მაგალითად, **ა, ე** ხმოვნიანები კავშირებით კილოსთან. თითო-ოროლა გამონაკლისი შეიძლება შეგვხვდეს არათხრობით წინადადებებში: მოსალოდნელი **ა** ხმოვნიანების ნაცვლად იყოს **ა, ე** ხმოვნიანები.

ერთი ტენდენცია მაინც შეინიშნება: გამონაკლისი თუ სადმე გვაქვს, იგი **ა, ე** ხმოვნიან ნაწილაკთა გამოყენების სფეროს გაფართოების შედეგია. და ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინადადებათა ის ტიპები, რომლებშიც **ა, ე** ხმოვნიანი ნაწილაკები იხმარება, რაოდენობით ბევრად ჭარბობს **ა** ხმოვნიან ნაწილაკთა შემცველ წინადადებებს.

საკუთრადღებოა ერთი გარემოებაც: ძირითადი ფუნქცია **ა** ხმოვნიანი ნაწილაკებისა მათი დამოკიდებულ წინადადებებში გამოყენება უნდა იყოს. ამის შედეგია ალბათ ის, რომ სვანის ფსიქიკაში **ა** ხმოვნიანი ნაწილაკები თავისთავად, დამოკიდებული წინადადებისაგან გამოყოფილ ოდენობებს არ წარმოადგენენ. თარგმნაში დახელოვნებულ სვანებსაც კი უჭირთ ცალკე აღებული **ა** ხმოვნიანი ნაწილაკებისათვის ქართული შესატყვისების დაძებნა. მათ არავითარი დაფიქრება არ სჭირდებათ დემა, დესა, დეშ-ის თარგმნისას მაშინ, როდესაც ისინი ყოყმანობენ დომა, დოსა ან დოშ-ის გარკვევისას. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობის ნათელსაყოფად იშველიებენ წინადადებებს და, რაც მთავარია, სწორედ დამოკიდებული წინადადებების მაგალითები მოჰყავთ. ასე მაგალითად, დოსა შეიძლება გვითარგმნონ, როგორც „თუ არ“ ან „რომ არ“.

ა ხმოვნიანი ნაწილაკების დამოკიდებულ წინადადებებთან შესისხლხორცების კიდევ ერთი ნიმუში შეიძლება მოვიყვანოთ: ივანე ნიქარაძის მიერ შეკრებილ უშგულურ ზღაპრებს (Cნ. X) დართული აქვს ლექსიკონი, რომელშიც უარყოფით ნაწილაკთა განმარტებისას ნიმუშებიცაა მოყვანილი. საინტერესო ისაა, რომ **ა, ე** ხმოვნიანი უარყოფითი ნაწილაკების საილუსტრაციოდ მარტივი წინადადებები მოჰყავს ავტორს, **ა** ხმოვნიანი ნაწილაკებისათვის კი ქვეწყობილი წინადადებები.

ჰე დომ ხეგემ ქორს, ლო თეთრს დეშ ხაი (Cნ. X. 205) 'თუ არ ააგებ სახლს, ფულს ვერ აიღებ';

ჰე მომა (მოლ) ლაჯომის აჯნემ, ლო მი მაშგვემნ (იქვე, 222) 'თუ არ მოგცეს მან, მერე მე მთხოვე'.

ბალსქვემოურსა და ლენტეხურში ორი რიგის უარყოფით ნაწილაკთა ხმარება არ არის გარჩეული. ამის შედეგია, რომ ამ კილოებში წყვილეთულები არ იხმარება.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სვანური ენის სხვადასხვა კილოში ამ ვითარების ისტორიული თანამიმდევრობა? ნაწილაკთა წყვილეთულებმა ბალსქვემოურ-

ლენტეხურში დაკარგეს სხვადასხვაგვარი სინტაქსური ფუნქცია, თუ არასოდეს ჰქონიათ მათ იგი?

სპეციალური კვლევის გარეშე შეუძლებელია გადაჭრა ამ საკითხისა. პირველ რიგში დგას უარყოფით ნაწილაკთა ხმოვნების (ა, ე, ო) გენეზისის საკითხი, რასაც მხოლოდ სვანური ენის მონაცემებით ვერ გადავწყვეტთ.

Т. С. ШАРАДЗЕНИДЗЕ

ОТРИЦАТЕЛЬНЫЕ ЧАСТИЦЫ В СВАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Из картвельских языков сванский наиболее богат отрицательными частицами. Их насчитывается до сорока. По значению эти частицы разделяются на три группы и соответствуют грузинскому არ ar, ნუ nu, ვერ ver. В диалектах встречаются как одинаковые, так и различающиеся частицы.

2. По своему строению отрицательные частицы разделяются на две группы: простые и сложные.

Простыми являются: დე de, დო do, მა ma, მო mo, ნე ne, ნო no.

В сложных отрицательных частицах первым членом является простая отрицательная частица, а вторым—местоимение. Таким образом, сложные частицы—это ставшие частицами отрицательные местоимения, в состав которых входят следующие местоимения: $v\bar{a}$ ¹ vna, $v\bar{s}a$ vsa, ერ er, თა ta, დე de.

Некоторые частицы составлены из трех членов, последний из которых представляет собою неопределенное местоимение მა ma.

В დეშ deš, დოშ doš, მაღშ || მაჩ (←მათშ—მაღშ) mađš || mač შჩ обозначает категорию потенциальности: элемент შჩ участвует также в неотрицательной частице მოშ moš.

3. Отрицательные частицы с одинаковыми согласными разделяются на две группы: 1) с гласными ა̄, ე (მა ma, დე de, ნე ne) и 2) с гласным ო (მო mo, დო do, ნო no).

Частицы с гласными ა̄, ე употребляются в простых, слитных, сложносочиненных и главных повествовательных предложениях, если эти предложения не включают глагола в сослагательном наклонении.

Частицы с гласным ო встречаются в придаточных предложениях, а также в простых, сложносочиненных и главных предложениях, если они не являются повествовательными, или же если они включают глагол в сослагательном наклонении.

¹ v (vocalis) обозначает восстановленный гласный местоимения.

Следовательно, отрицательные частицы распадаются на: ϱ - ϱ d-e, ϱ - ϱ d-o, б- ϱ п-e, б- ϱ п-o, ϑ + ϱ ма+e, ϑ + ϱ ма+o, где ϱ d, б п и ϑ ма обозначают отрицание, а гласные ϱ e и ϱ o выполняют синтаксическую функцию.

4. Те же согласные обозначают отрицание как в других кавказских, так и неродственных им языках (индо-европейских, семито-хамитических, урало-алтайских). Надо предполагать, что тут мы имеем дело не с заимствованием, а возникновением сходных языковых фактов в одних и тех же условиях.

ანბონე კიხიკია

ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის
საზღვრულთან

სინტაქსური კავშირი საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის ძველ ქართულში გამოხატულია სამგვარად: შეთანხმებით, მართვითა და მართვა-შეთანხმებით. კავშირი ატრიბუტული მსაზღვრელებისა საზღვრულთან გამოხატულია შეთანხმებით ბრუნვასა და რიცხვში; ნათესაობითში დასმული მსაზღვრელისა, როცა იგი წინ უსწრებს საზღვრულს, მართვით ბრუნვაში; ხოლო როცა მოსდევს საზღვრულს—მართვით ბრუნვაში და შეთანხმებით ბრუნვასა და რიცხვში. მაგალითად:

შეთანხმება ატრიბუტული მსაზღვრელისა საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში:

მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
წრფ. ვმა დიდ	
სახ. ვმა-ა დიდ-ი	ვმა-ნ-ი დიდ-ნ-ი
მოთხ. ვმა-მან დიდ-მან	} ვმა-თ-ა დიდ-თ-ა
მიც. ვმა-სა დიდ-სა	
ნათ. ვმ-ისა დიდ-ისა	
მოქმ. ვმ-ითა დიდ-ითა	—
ვით. ვმა-დ დიდ-ად	—
წოდ. ვმა-ო დიდ-ო	ვმა-ნ-ო დიდ-ნ-ო

შეთანხმება ბრუნვის გარდა შეინიშნება ზოგჯერ რიცხვში -ებ სუფიქსიან მრავლობითთანაც: „შთადვა მათ შინა თუ ალ ე ბ ი პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ი“ (საბრძნძე ბალ. 1931); „იხილა პირები იგი და ქ რ მ ლ ე ბ ი ქ დ ი ლ ე ბ ი“ (ჯემ. 10526) და სხვა.

მართვა ა, თუ ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი წინაა საზღვრულისა. მართული მსაზღვრელი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და რიცხვში; მაგალითად:

წრფ. სახლ ისა უფალ	
სახ. სახლ ისა უფალ-ი	სახლ ისა უფალ-ნ-ი
მოთხ. სახლ ისა უფალ-მან	} სახლ ისა უფალ-თ-ა
მიც. სახლ ისა უფალ-სა	
ნათ. სახლ ისა უფლ-ისა	
მოქმ. სახლ ისა უფლ-ითა	—
ვით. სახლ ისა უფლ-ად	—
წოდ. სახლ ისა უფალ-ო	სახლ ისა უფალ-ნ-ო

მ ა რ თ ვ ა-შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ა, თუ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგაა. ასეთ ფორმას ნ. მ ა რ ი უწოდებდა მიმართებიან ნათესაობითს (родительный с отношением)¹. ამ შემთხვევაში ნათესაობითის ფორმა მთლიანად ფუძედაა გაგებული და ხელმეორედ იბრუნება, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი; მაგალითად:

მხოლოდებითი რანგვი

წრფ.	გზა	სიმართლისა
სახ.	გზა-ჲ	სიმართლისა-ჲ
მოთხ.	გზა-მან	სიმართლისა-მან
მიც.	გზა-სა	სიმართლისა-სა
ნათ.	გზ-ისა	სიმართლისა-ჲსა სიმართლისა
მოქმ.	გზ-ითა	სიმართლისა-ჲთა
ვით.	გზა-დ	სიმართლისა (სიმართლისა-დ იშვიათად);
წოდ.	გზა-ო	სიმართლისა-ო

მრავლობითი რანგვი

წრფ.	—
სახ.	გზა-ნი სიმართლისა-ნი
მოთხ.	} გზა-თ-ა სიმართლისა-თ-ა
მიც.	
ნათ.	
მოქმ.	—
ვით.	—
წოდ.	გზა-ნი-ო სიმართლისა-ნი-ო ¹

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში ნაგენეტივარი მსაზღვრელი მართულია ნათესაობითში და საზღვრულს ეთანხმება თითქმის ყველა ბრუნვაში და ნარ-თანთან მრავლობით რიცხვში. ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებიც სრულადაა წარმოდგენილი. თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ჩ ა ნ ს ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ს ა და ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ე ბ შ ი.

ჩვენი მიზანია გაეარკვიოთ ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობა (უთანდებულო და თანდებულიან) საზღვრულთან ნათესაობით ბრუნვაში.

ნაგენეტივარი მსაზღვრელი შეთანხმებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან და ორმაგი ნიშნით უნდა იყოს წარმოდგენილი. ეს ასეც არის არცთუ იშვიათად. მაგალითად: „აწ^ე ეგერა მოაქცია ღმერთმან შენ ზედა ყოველი იგი ს ი ს ხ ლ ი ს ა ხ ლ ის ა ჲ მის ს ა უ ლ ის ის ა ჲ“ (II მგფ. 16a)²; „ყოველივე მოილო და წინაშე ძ ი ს ა მის კელმწიფისა ჲსა დაღვა“ (ტიმ. ანტ. 107a) და სხვა.

ასევეა თანდებულიან საზღვრულთანაც; მაგალითად:

¹ Грамматика древнелитературного грузинского языка, 64, 66—67.

² ამოღებულია ს. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ის შრომიდან „საკუთარი სახელის ბრუნება ოშკურიხელნაწერის მეფეთა წიგნებში“: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXV, გვ. 187.

-გან თანდებულიან საზღვრულს ნაგენეტივარი
მსაზღვრელი ეთანხმება ბრუნვაში:

სარწმუნოებაჲ ქრისტესი / სარწმუნოებისაგან ქრისტესისა: „რომლითა არა
დაბრკოლდეს სარწმუნოებისაგან ქრისტესისა“
(ჰაბო, 71e)

პირი ღმრთისაჲ / პირისაგან ღმრთისაჲსა: „რლი გამოვალს პირისაგან
ღმრთისაჲსა“ (ადიში, მთ 4,4)

ტაბლაჲ მდიდრისაჲ / ტაბლისაგან მდიდრისაჲსა: „რლი გარდამოვარდის
ტაბლისაგან მის მდიდრისაჲსა“ (იქვე, ლკ 16,21;
შდრ. ჯრ. „ტაბლისაგან მის მდიდრისა“)

კარი სამარისაჲ / კარისა მისგან სამარისაჲსა: „გარდავგორვოს ჩნ ლოდი
იგი კარისა მისგან სამარისაჲსა“ (იქვე, მკზ 16,3);
შდრ. „კარისა მისგან საფლავისა“ (ხანმეტი ლქქც.
331a)...

-თვს თანდებულიან საზღვრულთან:

სასუფეველი ღთისა / სასუფეველისათვს ღთისაჲსა: „რნ დაუტეოს... სა-
სუფეველისათვს ღთისაჲსა“ (ადიში, ლკ 18,29)

აგარაკი მეკეცისაჲ / აგარაკისათვს მეკეცისაჲსა: „და მისცეს იგი აგარა-
კისათვს მეკეცისაჲსა“ (იქვე, მთ 27,10)

ცხენი მეფისაჲ / ცხენისათვს მეფისაჲსა: „და შექმნენ სამშუალნი... ცხე-
ნისათვს მეფისაჲსა“ (ქრესტ. 541) და სხვ.

-ემბრ თანდებულიან საზღვრულთან:

შჯული მოსესი / შჯულისა მისებრ მოსესისა: „და რჳს აღესრულნეს დღენი
განწმედისა მათისანი შჯულისა მისებრ მოსე-
სისა“ (ჯრ. ლკ 2,22); შდრ. „აღხესრულნეს... შჯული-
სამებრ (sic) მოსესისა“ (ხანმეტი ტექსტეჲი), „მსგა-
ვსად შჯულისა მის მოსესისა (ადიში) და სხვა.

მაგრამ ამავე ტექსტებში ჩვეულებრივია შეთანხმების დარღვევა
როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიან ნათესაობითში დასმულ საზღვრულ-
სა და მსაზღვრელს შორის. მაგალითად, უთანდებულოა საზღვრული და ნაგე-
ნეტივარი მსაზღვრელი არაა შეთანხმებული მასთან ბრუნვაში.

ბუნებაჲ მდინარისაჲ / ბუნებისა მდინარისა (და არა მდინარისაჲსა):
„განყოფაჲ არს ჟამისა ამის ჩუენისაჲ და ბუნებისა
მდინარისაჲ“ (მრავალთავი, 308a),

ძქ კაცისაჲ / ძისა კაცისა: „და მაშინ გამოჩნდეს ნიში ძისა კაცისაჲ
ცათა შინა“ (ხანმ. ლექც.; DEC მთ 24,30); „ესრჳთ იყოს
მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ (იქვე, 24,29)

ძქ დავითისი / ძისა დავითის: „ამან სანატრელმან მახარობელმან დაღად-
ყო შეუნიერთა გმითა და თქუა წიგნი შობისა იესუ

ქრისტესი ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი
 (წაწტყ. 218-19)
 მონაჲ ღმრთისაჲ / მონისა ღმრთისა: „ვღ დაუკვრდა სიზარჲ იგი მო-
 ნისა ღმრთისაჲ“ (კიმ. 628)
 ქუეყანაჲ სომხითისაჲ / ქუეყანისა სომხითისა: „იხილეს ჳირი იგი და გლ-
 ხაკებაჲ ქუეყანისა სომხითისაჲ“ (ლიტ. ჟრთ. 268)
 მეფჲ ჩრდილოჲსაჲ / მეფისა მის ჩრდილოჲსა: „ხოლო ლნ მოამჴუდა პირი
 მეფისა მის ჩრდილოჲსაჲ“ (ჰაბა, 6518) და სხვა.

გარეგნულად ნათესაობითის მსგავსია ვითარებითი, მაგრამ აქ სხვა მდგო-
 მარეობაა. ვითარებით ბრუნვაში შეუთანხმებლობასთან კი არა გვაქვს საქმე,
 არამედ ფონეტიკურ ცვლილებასთან — დ- სუფიქსის დაკარგვასთან (მაგალი-
 თად: ტაძრად უფლისა—ტაძრად უფლისდა ან ტაძრად უფლისად:
 „მოვიდა სწითა წითა ტაძრად უფლისა“: ლკ 2,27 და სხვა)¹, ან ვითა-
 რებითი ბრუნვის ნიშნად -ა-ს (და არა -და-ს) გამოყენებასთან². ამ უკანასკ-
 ნელზე მიუთითებენ საკუთარი სახელები, რომელთა ნანათესაობითარ ფორმაში
 -ა არის და იგი ემფატიკური -ა არ შეიძლება იყოს² (მაგალითად: „და აღდგა
 იონათან... და მივიდა დავითისა: I მეფ. 23,17 და სხვა). ამიტომაც „შე-
 წირა მსხუერპლად უფლისა“ (წაწტყ. მ28) ფორმაში ზმნასთან დამატების
 ნათესაობით ბრუნვაში დასმა კი არ ივარაუდება, არამედ ფორმაცვლილი ნანა-
 თესაობითარი ვითარებითი (შეწირა უფლისა—შეწირა უფლისდა); შდრ.
 ა. შანიძე, S₂ და O₂ ქართულ ზმნებში, გვ. 40, შნშ.).

ჩანს, თვალსაჩინო განსხვავებაა: ნაგენეტივარი მსაზღ-
 ვრელი ხშირად არ ეთანხმება საზღვრულს ნათესაობითში,
 ვითარებითში კი შეთანხმება იგულს ხმება.

რა მდგომარეობა თანდებულის დართვის შემთხვევაში?

თანდებული დაერთვის საზღვრულს ან საზღვრულის განმსაზღვრელ ნაც-
 ვალსახელს და მართავს მას, ნაგენეტივარი მსაზღვრელი კი მხოლოდით რიცხ-
 ვში არ შეეთანხმება ბრუნვაში; მაგალითად:

-გან თანდებული ანია საზღვრული და მასთან
 ნაგენეტივარი მსაზღვრელი არაა შეთანხმებულნი:
 მონებაჲ მტერისაჲ / მონებისაგან მტერისა (და არა მონებისაგან მტერი-
 საგანსა): „და მით იჴსნეს დაბადებულნი თჳსნი მონები-
 საგან მტერისა“ (კიმ. 18011)
 სიმდიდრჲ ეგე სოფლისაჲ / სიმდიდრისაგან ამის სოფლისა: „რლი გარე
 მიიქცევის სიმდიდრისაგან ამის სოფლისა“
 (კიმ. 5733)
 კარი იგი პალატისაჲ / კარისა მისგან პალატისა: „განვიდა წჳე იგი კა-
 რისა მისგან პალატისა“ (ხაბა ახ. 183)

¹ ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში: ენიმკის მო-
 ამბე, I, გვ. 181.
² არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ის-
 ტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I, 9-31.

- ქალაქი ანტიოქიისად / ქალაქისაგან ანტიოქიისა: „და განქარდა. ქალაქისაგან ანტიოქიისა“ (იქვე, 19²⁸)
- გზად სიმართლისად / გზისაგან სიმართლისა: „მრავალნი შეაცუენნეს და გარდადრიკენს გზისაგან სიმართლისა“ (ჰაბო, 58¹¹)
- შიში სიკუდილისად / შიშისაგან სიკუდილისა: „არსად დავემლო მე შიშისაგან სიკუდილისა“ (იქვე, 67²⁴)
- პირი მწეცისად / პირისაგან მწეცისა: „გამოულო იგი პირისაგან მწეცისა“ (ბოლნ. 29¹¹)
- საშოად ქალწულისად / საშოასაგან ქალწულისა: „რ ვა გამოვიდა იგი პირველად საშოასაგან ქალწულისა“ (იქვე, 80²⁶)
- კარი იგი საფლავისად / კარისა მისგან საფლავისა: „ვინ გარდაგვგორგოს ჩნ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა“ (ზანმ: ლექციონარი, 331³; DEC მკვ 16,3)
- ნაყოფი ვენაჯისად / ნაყოფისაგან ვენაჯისა: „ამიერითგან არლარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჯისა“ (DEC ლკ 22,18)
- ტაბლად იგი მდიდრისად / ტაბლისაგან მის მდიდრისა: „და გული იტყოდა განძლებად ტაბლისაგან მის მდიდრისა“ (ჯრ. ლკ 16,21)
- თუალი ძმისა შენისად / თუალისაგან ძმისა შენისა: „და მაშინ ხიხილო აღმოლებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“ (ზანმეტი ტექსტები, 376¹¹; 379⁹; შდრ. DEC მთ 7,5)
- სახლი მამისა შენისად / სახლისაგან მამისა შენისა: „გამოვედ... სახლისაგან მამისა შენისა“ (ჰაბო, 64²) და სხვა.
- თვხ თანდებულთან საზღვრულთან:
- განშორებად მოძღურისად / განშორებისათვხ მოძღურისა: „მწუხარე იყო იგი განშორებისათვხ მოძღურისა“ (კიმ. 34⁹)
- სათნობებად მეფისად / სათნობებისათვხ მეფისა: „ად სათნობებისათვხ მეფისა და პატრიარქისა“ (კიმ. 92³⁰)
- ხარკი იგი ქალაქისად / ხარკისა მისთვხ ქალაქისა: „ლონგინოზ პრეტუა: ხარკისა მისთვხ ქალაქისა ვევედრე“ (კიმ. 189¹²)
- შწნებად ეკლესიისად / შწნებისათვხ ეკლესიისა: „და მისცემდეს შწნებისათვხ ეკლესიისა“ (TP, II, 57²⁷)
- ვნებად უფლისად / ვნებისათვხ უფლისა: „მოიწია დღისა მისთვხ... ვნებისათვხ უფლისა“ (ბოლნ. 16²)
- ძმ კაცისად / ძისა კაცისა: „და განჯადონ სახელი... ძისათვხ კაცისა“ (ადიმი, ლკ 6,22); „რნ თქას სიტყუად ძისათვხ კაცისა, მიეტეოს მას“ (იქვე, 12,10)
- მოღებად გორცისად / მოღებისათვხ გორცისა: „ნუმცა განრისხნების სახიერი ღი ჩნ ზა უდებებით მოღებისათვხ გორცისა“ (ზანმეტი მრავალთავი: „უნ. მოამბე“, VII, 126¹¹)
- წარტყუნვად ჯუარისად / წარტყუნვისათვხ ჯუარისა: „ესე თქუა... წარტყუნვისათვხ ქს ჯუარისა“ (წარტყ. ა)

სიკუდილი კაცისაჲ / სიკუდილისათჳს კაცისა: „ესე მითხრა კაცმან ვინმე მოყუარემან სიკუდილისა უკეთურისა მის კაცისა“ (იქვე, 14) და სხვა.

-ებზ თანდებულიან საზღვრულთან:

სიტყუად მოციქულისაჲ / სიტყვსაებზ მოციქულისა: „და შენ მოგცეს შრომათა შენთა წილ სასუფეველი ცათაჲ სიტყვსაებზ მოციქულისა“ (ხანძთ. 15); „და ესე მცდომნი არიან ურთიერთას სიტყვსაებზ მოციქულისა“ (იქვე, 12); „აწ დაუმტკიცოთ მომეაღთა ჟამთა... სიტყვსაებზ უფლისა“ (იქვე, 12); „ვწა წერილ არს: „ძმად ძმისა შემწე ვითარცა ზღუდჳ დაუტეველი სიტყვსაებზ იაკობ მოციქულისა“ (იქვე, 12);

სარწმუნოებდა მეფისაჲ / სარწმუნოებისაებზ მეფისა: „მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებზ მეფისა აღაშენა მონასტერი“ (იქვე, 12);

ნებაჲ ღმრთისაჲ / ნებისაებზ ღმრთისა: „რწა მაზრახოს ნებისაებზ ღმრთისა“ (გიმ. 24); „ექმნენით ამათ მზარდულ კეთილ ნებისაებზ ღმრთისა“ (ხანძთ. 12) და სხ.¹

მიმართ თანდებულიან საზღვრულთან

სახელი ძისა ღმრთისაჲ / სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა: „რწა არა ჰრწმენა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა“ (ჯრ. იოვ 3, 18) და სხვა.

მაგრამ საჭიროა მომდევნო მსაზღვრელი მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში იყოს დასმული და ჰქონდეს -თ-ა დაბოლოება, რომ იგი როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიან საზღვრულს შეეთანხმოს ნათესაობით ბრუნვასა და რიცხვშიც.

მაგალითები:

„გან თანდებულიანია საზღვრული და მას ეთანხმება ნაგენეტივარი მსაზღვრელი ნათესაობითში:

კრებული მოწაფეთაჲ / კრებულისაგან მოწაფეთაჲსა: „და განვარდა კრებულისაგან მოწაფეთაჲსა“ (გიმ. 243);

სახლი მდიდართაჲ / სახლისაგან მდიდართაჲსა: „სახლისაგან მდიდართაჲსა გამოსრული...“ (საბა ახ. 9);

შიში სარკინოზთაჲ / შიშისაგან სარკინოზთაჲსა: „რწა კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა“ (ჰაბლ, 65);

¹ იხ. Fr. Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung, Roma 1930, გვ. 28, 285. 3.

- სიმღერად ყრმათად / სიმღერისაგან ყრმათაჲსა: „რ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა“ (ზანძთ. გ)
- ცომი იგი ფარისეველთად / ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა: „ეკრძალე-ბოდეთ ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა“ (ადიმი, მთ 16,6; 16,11); „ეკრძალენით თავთა თქნთა ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა“ (იქვე, ლკ 12,1)
- ჯელმწიფებად სარკინოზთად / ჯელმწიფებისაგან სარკინოზთაჲსა: „გარნა მეშინის მე ჯელმწიფებისაგან სარკინოზთაჲსა“ (ანტ. რავ. 87:7)
- ქუეყანად იგი ქალდაველთად / ქყნისა მის ქალდაველთაჲსა: „ისწრაფა ქყნისა მისგან ქალდაველთაჲსა“ (TP, III, 102) და სხვა.

-თჳს თანდებულ იან მსაზღვრელთან:

- სასუფეველი ცათად / სასუფეველისათჳს ცათაჲსა: „მორწმუნე არიედ სახა-ხარებასა ხარებად სასუფეველისათჳს ცათაჲსა“ (TP, II, 46:4)
- შიში ჰურიათად / შიშისათჳს ჰურიათაჲსა: „ხიყენეს მოწაფენი დამალულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა“ (ზანძეტი ლკვე. 339)
- ნათესავი კაცთად / ნათესავისათჳს კაცთაჲსა: „და ვა კრავი ნათესავი-სათჳს კაცთაჲსა მოვედ დაკლვად“ (იქვე, 130:8)
- ტადარი იგი ჰურიათად / ტადრისა მისთჳს ჰურიათაჲსა: „არა ვტირ ტადრისა მისთჳს ჰურიათაჲსა“ (წარტყ. გჲ) და სხვა.

-გებ თანდებულ იან მსაზღვრელთან:

- განწმედად იგი ჰურიათად / განწმედისა მისებრ ჰურიათაჲსა: „იყენეს მუნ... ექუსნი მსგავსად განწმედისა მისებრ ჰურიათა-ჲსა“ (ჯრ. იოვ 2,1)
- შობად კაცთად / შობისაებრ კაცთაჲსა: „არს შობილი შენგან შობისა-ებრ კაცთაჲსა“ (კიმ. 180:8)
- თხოვად მედრებელთად / თხოვისაებრ მედრებელთაჲსა: „განიკურნებო-დეს თხოვისაებრ სარწმუნოებით მედრებელთა-ჲსა“ (ზანძთ. 13:8) და სხვა.

რა მდგომარეობაა, როცა ორივე, მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მრავ-ლობითშია?

ასეთ შემთხვევაში ბრუნვაში შეთანხმება ჩვეულებრივია, მაგრამ გარკვეუ-ლი წესია რიცხვში შეთანხმებისათვის. თუ ნანათესაობითარი მსაზღვრელი მხო-ლოდობითის ფორმითაა წარმოდგენილი, საზღვრულს მრავლობითში აუცილებ-ლად შეუთანხმდება და დაირთვს -თ-ა-ს, მაგრამ თუ იგივე მსაზღვრელი მრავ-

ლობითშია (-თ-ა ნიშნით), რიცხვში შეთანხმება ირღვევა და მოსალოდნელია -თ-ა სუფიქსის ნაცვლად მხოლოდობითის -ისა ბოლოსართი ჩნდება¹.

მაგალითები:

-გან თანდებულიან საზღვრულთან:

ნაყოფი ურჩებისად / ნაყოფთაგან ურჩებისათა: „და მადლარ იყო იგი ნაყოფთაგან ურჩებისათა“ (ვიმ. 21²⁰)

საკრველი იგი რკინისად / საკრველთა მათგან რკინისათა: „და განჰჴსნეს იგი... საკრველთა მათგან რკინისათა“ (ჴაბოლ, 73²⁹)

სასწაული მოწამისად / სასწაულთა მათ მოწამისათა: „სასწაულთა მათგან მოწამისათა გულისხმა ყავ“ (ანტ. რავ. 102²⁸) და სხვა.

-თვს თანდებულიან საზღვრულთან:

სათნოებად იოვანჴსი / სათნოებათათვს იოვანჴსთა: „და აქუნდა მას მეცნიერებად სათნოებათათვს იოვანჴსთა“ (ქრესტ. 55⁴)

ცოდვად სოფლისად / ცოდვათათვს სოფლისათა: „ცოდვათათვს ყოვლისა სოფლისათა“ (შოლნ. 42²⁸) და სხვა.

მაგრამ გვაქვს:

საყდარი მწყემსთად / საყდართა მწყემსთაჲსა: „და მეცა აღმადგინა საყდართა მათგან მწყემსთაჲსა“ (წარტყ. ლ³³)

ჯელი ეგვბტელთად / ჴელთაგან ეგვბტელთაჲსა: „და გარდამოვჴედ განრიწებად მათა ჴელთაგან ეგვბტელთაჲსა“ (ქრესტ. 70²⁷) და სხვა¹.

ისმება კითხვა: რა არის მიზეზი შეთანხმების დარღვევისა ნათესაობითში დასმულ ნაგენეტივარი მსაზღვრელისა საზღვრულთან?

ვინაიდან დარღვევა მხოლოდ ნათესაობითში შეინიშნება, ამის მიზეზად უნდა ვივარაუდოთ მოსალოდნელი ორი ერთნაირი ფორმანტის შეხვედრა. ნათესაობითარ მსაზღვრელს ნათესაობითში დასმისას მეორე ნიშანიც უნდა გაეჩინა, მაგრამ, რადგანაც ერთი ასეთი დაბოლოება ჰქონდა, მეორე აღარ დაირთო და დაკმაყოფილდა ნათესაობითის ერთი ნიშნით².

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

ა) ნაგენეტივარი მსაზღვრელი როცა მოსდევს საზღვრულს, უთანდებულოს თუ თანდებულიანს, ხშირად არ ეთანხმება მას ნათესაობით ბრუნვაში (ნიში ძისა კაცისაჲ... აგარაკისაგან მეკეციისა...). შეუთანხმებლობა აიხსნება ბრუნვის ორი ერთნაირი ნიშნის თავიდან აცილებით.

ბ) ბრუნვაში შეთანხმებას სისტემატურად მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ნაგენეტივარი მსაზღვრელი მრავლობითშია. -თ-ა სუფიქსით წარმოებული.

¹ ეს მოვლენა კ. დონდუას ახსნილი აქვს ქართული ენის აგლუტინაციური ბუნებით (Об агглютинативном характере грузинского склонения: ДАН, 1931, № 4, გვ. 64—68).

² ამით ხომ არ აიხსნება მრავლობითში დასმული -თ-ა სუფიქსიანი ნათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში და არა რიცხვში (მაგ., ჴელთაგან ეგვბტელთაჲსა და არა: ჴელთაგან ეგვბტელთათა), იფიქრებდა კაცი, რომ ნათ. ბრ. -ისა დაბოლოება არ ერთოდეს.

**დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ
ჯარტულ დიალექტში***

მიუხედავად ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვანი წინსვლისა, მთელი რიგი მოვლენები მაინც არ არის ჯერჯერობით საკმაოდ გამოვლენილი ცალკეულ დიალექტებში. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩება მახვილისა და ხმოვნის სიგრძის საკითხები.

მახვილი ქართულსა და მის დიალექტებში სხვადასხვა წარმოშობისა და ბუნებისა უნდა გვხვდებოდეს. გარდა ცალკეული სიტყვისა, მახვილის მატარებელი გარკვეული ფრაზაც უნდა იყოს.

ბუნებრივად ეჯაქვება საკითხები მახვილისა და ხმოვნის სიგრძისა ერთმანეთს, თუმცა ეს ორი მოვლენა მაინც მოითხოვს ურთიერთისაგან გამიჯვნას..

ჩვენ აქ გვიანტერესებს სინტაქსურ მოვლენასთან დაკავშირებული ხმოვნის „სიგრძის“ დადგენა გურულსა და აჭარულში. ორივე ეს დიალექტი მახვილისა და ხმოვნის სიგრძის მიხედვით უთუოდ ყურადღების ღირსია. გავხაზავდით მაინც აჭარულს, რომელშიც მეტად ძლიერად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი მახვილი; უკანასკნელის არსებობა გარკვეულ ცვლილებებს იწვევს სიტყვის ხმოვნურს შედგენილობაში (მაგ. წჭუღა — წვეიდა), დიფთონგთა წარმოშობაში (მაგ. გჭაღვეით, წჭუღა — წვედა — წვეიდა). ასევე ჩვეულებრივია აჭარულში სიგრძე ხმოვნისა, შიღებული გარკვეულ ცვლილებათა შედეგად.

აქ ყურადღებას მივაქცევთ ამ რთული სინამდვილის მხოლოდ ერთ მხარეს (ამ შემთხვევაში, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენი შეუიარაღებელი ყურის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ვეყრდნობით).

გურულ დიალექტში და აჭარულშიც გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნება სიტყვის ბოლო ხმოვნის აშკარა გაგრძელება¹. ამას სისტემატურად ადგილი აქვს დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელ მარცვალში (მთავარი წინადადება მეორე ადგილზეა), ან შედარებით უფრო იშვიათად ჩამოთვლის შემთხვევაში ანდა მიშინ, როცა მოსალოდნელია მომდევნო განმარ-

* წაკითხულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1941 წ. 30 დეკემბერს.

¹ მასალად გამოყენებული გვაქვს გურიისა და აჭარაში ჩვენ მიერ შეკრებილი ტექსტები და ცალკე გამონათქვამები.

ტება; ამ მხრივ იგი დამახასიათებელია „თქვა“ ზმნისათვის, როცა ამ უკანასკნელს მოჰყვება ის, რაც თქვეს; გვხვდება აგრეთვე თხოვნითი წინადადების ბოლოს და სხვ.

სმოვნის გაგონება დაძვინდებულ წინადადებაში

გურული დიალექტის მასალა

... „გარეთ უმ გამევიდნ, ღუუძახა და ღუუძახა, რაც ძალა და ღონე ქონდა, არ წახვიდეო, მარა იმან, ანაგებათ რუმაა, ყური არ გააპარტყუნა“;

... „აქიდან ახლ წავაყებაა, უმტრო იქით რომ გადიწარ, კილომ ისეა“;

... „ძალი რომ დეინახავს ახლა ყურდგწლს, ამან (ძალმა) აღარ უნდა მივიდეს მაშინ ზეთ“;

... „ყვავილი რომ დიემართებოდა კაცს, სიახლოვეს რავე გეიარდენ აქილამა და ქეციმერე (ადგილის სახელია.—ქ. ლ.) ამდენზე“;

... „თქვენ რომ ხელც არ მიშლიდწ, ყოლიფერს მუახერხეფ“;

... „იქიდან რომ დაბრუნდებწ, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“;

... „რაფერც უთხრწ, ისე რომ ყოფილიყო, რა უქირდ“;

... „უმ გადიარს აქიღწ, მერე მიეცემა დიდი გული“...

აქარული დიალექტის მასალა

... „იქით ომ გეხვწლ, აღმა ომ შეხედავ და ყანა ომ აწ, ისიც ჩვენია“ (სოფ. ქალათი);

... „რომ შეიწობა შწთ (ჩიბუხში), იმას დარჩება ნაცარი“ (ხულოს რ., სოფ. ხიხაძირი);

... „ლერწამს დავთესდითო და მისი დრო რომ მქწდო დაწ, გავწმენდითო და მოეწსოვდითო“ (ხულოს რ., სოფ. ჭვანა);

... „ყაქი რომ არ ამოხვოვა და დარჩებწ, გამოვხარჩავთ ყაქათ“ (სოფ. ჭვანა);

... „რომ ამოვავლწფ (ქუმას), შეცივდება პაწას და მეორეთ რომ ამოვავლწფ, გახოშორდება“ (სოფ. ჭვანა);

... „ასე რომ ბალე დააწვენწწ, ფხრებზე, მუცელზე და კლიკებზე მოკოჭავენ“ (სოფ. ხიხაძირი);

... „ის ტყე რომ ჩანს შავწ, იმის ძირში არის (სოფელი)“ (სოფ. ხიხაძირი);

... „ახლა ომ ქვაბში ძალს მოხდწ...“ (ქედის რ., სოფ. ნამონასტრევი);

... „მაწონ ომ კოდანაში ჩაასხწმ, ცივი თუა, შინჯავ და ცხელ წყალ დაასხამ“ (სოფ. ნამონასტრევი);

... „ციციერი ზეციდან ომ ხანდახან ღწჷქეებს და ჩამუარდებწ, იმას ქვია“ (იქვე);

... „ჩვენში ომ გოგო გეეთხუებწ, ასე წწდლებს თორებს“ (იქვე);

- ... „სიფართო, რაცხამეთი ლერწამი იქნებნ, იმფერი გამოვა“ (იქვე);
- ... „ახლა უმ აქ ქალი იყრ, იმას აქ ჭახრაკი“ (იქვე);
- ... „სასტორი როგორც კოპერატივებში ანს, ისეთსაც გავაკეთებთ“ (იქვე);
- ... „ახლა გელინი ომ მუჲ, მის სახლისას ყველას მუუტანს აბრეშუმის წინდას“ (იქვე);
- ... „იქით ომ დიდი სახლინ, იქშია იგი გოგო“ (იქვე);
- ... „წინდი ჩხირს შორის ომ უმატფ, იმას გურუზი ქვია“ (იქვე);
- ... „ხელზე ომ გაქ (ინა) და გძინავს, დაგწვის ხელი, მგძროფ და გადააგდეფ“ (იქვე);
- ... „ჩვენ ბადეს ერთი კაცი ეყოფა, იი გარგანი რომან, წყალში დატრიალფეს, ერთი კაცი ეყოფა“ (ქედის რ., სოფ. ქალათი);
- ... „ახლა რომ გავრიგდნთ, ერთმა შვილმა იქ დაჯდა ბათომში, ჩვენ აქანე ვართ“ (იქვე);
- ... „პირველათ რომ შენობას დგწყყფ და ქვას დადფ, იმას ჩვენ ვეტყვით ბინას“ (იქვე);
- ... „პარკს თუ ჩააბარეფ, აბრეშუმს, მთავრობა მოგცემს ხასს“ (ქედის რ., სოფ. ზენდიდი);
- ... „მე რომ სახლებს ვაშენებ, იმისთვინ მინდა“ (ხულოს რ., სოფ. ხიხაძირი);
- ... „ის რომ სხვა სოფელში ჩავარდნილიყრ, იმფო გლახა იქნებოდა“ (სოფ. ნამონასტრევი);
- ... „თუ შეხთა ხეი, ოთხ-ხუთ ფუთს დაწვავს დღეში (ნახშირს); თუ ქარბქრნს, ვეფერს ვერ დაწვავს მაშინ“ (ქობულეთის რ., სოფ. ზემო ხინო);
- ... „აგე რომ ჩქოლაა, იგი ომ ხე გახთებნ, მოჭრიან და მოხვეწენ გობს“ (ქედის რ., სოფ. ქალათი);
- ... „თქვენ რომ იკითხევედნთ, ამა ქვია“ (იქვე);
- ... „იქ რომ ფეხით გერწს, მოკტებოდით“ (ქობულეთის რ.)...

გურულსა და აჭარულში ხმოვნის გაგრძელებას ადგილი აქვს, როგორც ზემოთ ითქვა, სხვა შემთხვევებშიც; მაგ.:

- ... ერთ ფირფიტას ომ მოვქსოვთ, მეე სხვა ფიფიტას შევდწფთ, მეე კიდო შევდეფთ და, რაც ფიფიტა გვაქვს, ყველას შევდეფთ“ (აჭარა);
- ... „ავდგები, გათენებამდი ასე ერთი საათი იქნება, გამუაცხობ ჭნდ(ს), ვჭამთ და წავალთ“ (აჭარა);
- ... „ხეს მოვჭრი, ნაძვს, გამოვხვე ხიზრით, გაკეთებთა ტომრული. ტომრულს გავაპოფ, მივცემ პასალს, დავაპოფ. შუაზფ. მეე დაწვიტეფ ტომრულს ცულით“ (აჭარა);
- ... „მართლაც ფუტკარს კისერი მუურჩა, მარნ იმ ტალახში თურმე ნიგუზის კაკალი ყოფილიყო, ფუტკრის კისერზე გალხვა“ (გურია);
- ... „ჩაჯდენ, წვეიდენ და ძლიეს მიასრენ ისე, რომე სასტუმალი გაშლოდა, ისე მივიდენ. გათალეს ვაშლი, აჭამენ და ქე შორჩნ, ზოდა ახლა მუუგ-

და იგენს ჩხუბი... ერთი აზრობს, რომ არ დამენახა, ქე მოკტებოდა, მიორემ — რომ არ... ქე მოკტებოდა, მესამემ — რომ არ მექმია ვაშლი, ქე მოკტებოდა“ (გურია);

... „აქიდან ქე გადიარ, რომ წახვიდმ“ (გურია);

... „მედუქნემ უთხრა: ა, ძმაო, შენ მეპურე ხარ, გამოცხოზა იცი, ა ფურნე გახურებული და ა ვობი“ (გურია);

... „ა, ცავ, მოი აგურ!“ (გურია);

... „ა, ნენა, შემხვიე აი თითი ელანძმ“ (გურია) და სხვ.

აქ გაცილებით მეტია სპორადულობა სიგრძისა.

ამ რიგის შემთხვევების ვერც სრულად აღწერას ვიძლევიტ აქ; სათანადო მასალების უქონლობის გამო, და თავსაც ვარიდებთ მათ წარმოშობაზე მსჯელობას. ზოგი მათგანი შეიძლება გენეტურად დაუკავშირდეს ზემოგანხილული დამოკიდებული წინადადების სიგრძეს.

აქ ცალკე გამოყოფთ ხმოვნის გაგრძელებას დამოკიდებულ წინადადებაში, რომელშიც ეს მოვლენა ორივე დიალექტისათვის სისტემატური ხასიათის მქონეა.

დამოკიდებულ წინადადებაში ბოლო მარცვლის გაგრძელება შედეგი უნდა იყოს გარკვეული ფუნქციის მქონე მომდევნო ხმოვნის (resp. სიტყვის) დაკარგვისა.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ის შემთხვევები, რომელთაც ინგილოური დიალექტის მასალებში გვაწვდის მოსე ჯანაშვილი.

მოსე ჯანაშვილი მთავრად გამოქვეყნებულ ინგილოურ ტექსტებში სრული თანხედენილობა გვაქვს წინადადების აგების თვალსაზრისით გურულ-აჭარულთან. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ, თუ გურულსა და აჭარულში დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელი ხმოვანი გრძელდება, ინგილოურში დამოკიდებული წინადადების უკანასკნელ სიტყვას დაერთვის ა ხმოვანი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პირთან გვაქვს ზმნაში საქმე, ან რომელ ხმოვანზე სრულდება სიტყვა. მ. ჯანაშვილის მასალაში ეს ა ხმოვანი ამ ადგილას ისევე მიუცილებელია, როგორც გურულ-აჭარულში გაგრძელება ბოლო ხმოვნისა.

მაგ.:

... „პაშტა ხანს ნადირები ვემწიფე (ლომი) უგონო ეგდო, რუმ მახედა და მობრუნდა, წამაღწივა, კატას შეპხედა, ამადოგრა“ („ძვ. საქართვ.“, ტ. II, გვ. 186);

... „კერტლებთან ჰუმ მოსულანა, ყოუს დაუჩხავლნი“ (იქვე, გვ. 183);

... „დერია (=ზღუ) პირზე რუმ მისულანა, კეკრუხ დაჰკითხები ვემწიფეს“ (გვ. 188);

... „ვემწიფე შეპხენები: წინანდელ ადგილზე წამილ, ქალს მოგცემაგ“, რუმ მოსულიაყა, ვემწიფეს ჰუთქომ“ (გვ. 188);

... „რუმ ჳდიდაა (ქალმებ), მამას ტოლახით ერთ წითელ ვაშლ გოდ-მოჰვარდნი“ (გვ. 192);

... „ვაშლ ჰუმ ჩომოცუვდაა, ქალებ ხალიჩაზე გადახტენ, ორძოში ჩაცუენდენ“ (გვ. 192);

... „რუმ ომოვ დენა, დუნიაა დაათორიალეს“ (გვ. 192);

... „დილაზე ჰუმ გამაღლუზაა, ნახა“ (გვ. 192);

... „ქარგა რუმ აღულდაა, ადგა“ (გვ. 193);

... „გელი სახლით რუმ გომოვდაა, ნახა, რუმ რაც დუნიაზე რამე არის, ამაი ენაა იცის“ (გვ. 198);

... „შინ რუმ მოვდაა, დედაკაცს არაფერ არ ჰუთხრა“ (გვ. 198);

... „კაა მანზილ რუმ გააარესა, კურიკამ დახუზუნა“ (გვ. 198);

... „თუ არ შეტყუია, მაშინავ დაებრუნდებ“ (გვ. 199);

... „თუ არ შეტყუია, გეგყრებ, შენთან აღარ დაედგებ“ (გვ. 189);

... „ეეს რუმ თქოა, კაც მაშინავ მოკლო“ (გვ. 199);

... „ერ წელს რუმ ზმაა იცავსა, ახლა მომავალ წელს დაა ჰყურობს.“ (გვ. 199);

... „წოდებ რუმ შეუწოვა, პატარხალიც გამოჩენულ“ (გვ. 200);

... პატარხალს რუმ დაჰხინებია¹, ამდგარ, პატა იქითყენ წასულ, დამალულ“ (გვ. 201);

... „იმი ფუტკარ რუმ გამაღშლებოდაა, თავი გრილოთ აბლენებდა-ეზუტურეს“ (გვ. 204);

... „ე რუმ ემგე ბარაქათ-ეყოა, ქომოთიან მეზებელს თავ-პირ ჩომო-ჰტიროდა“ (გვ. 204);

... ამას სიცივემ რუმ მოუჭირაა, ახტა, დახტა, მოაგონდა თბილ სახლ-კარ“ (გვ. 205);

... „ხუალ რუმ გათენდებისა, სახლს ომუნებ“ (გვ. 205);

... „თორღაა დამზლეველ კაც რუმ არ გომოჩნდაა, ბატონ დადა (sic!), შეწუხდა, გაჰყავრდა“ (გვ. 207);

... „ირემს რუმ ბალახებში თოლ მოჰკრაა, სიჩქარით სახლში შებრუნდა“ (გვ. 208);

... „თორღაა რუმ გომოვდაა, ცოლიც გამოჰყო“ (გვ. 208);

... „რუმ კარგა დაამშევიანა, მე წავალ თათართან“ (გვ. 210);

... „მაღლა მთებში ნახშირ რუმ მიწოვა (=მიწვაეს-ა. —ქ. ლ.), ბევრეელ ზღუებზე გამიხედნი, შემომჩნევი“... (გვ. 209)...

ექვი არაა, რომ ამ ფრაზების აგებულებაში მ. ჯანაშვილის მასალა-სა და გურულ-აქარულ სიტანადო მასალას შორის სრული თანხედენილობაა.

მაგრამ გრ. იმნაიშვილმა გადმოგვცა, რომ ასეთი წარმოება დამოკიდებული წინადადებისა სრულიად უცხოა დღეს ინგილოურისათვისო. მას ამგვარ ფორმათა ძიება მიზნად დაუსახავს, საინგილოს ყველა სოფელი შემო-უვლია, ვერც გაბმულ ტექსტში, ვერც ცალკე ფრაზებში და ვერც დაკითხვის

¹ დაჰხინებია ფორმაში ბოლო ა ჩვენ ისევე გამოყავით, როგორც სხვა შემთხვე-ვებში. შეიძლება კაცს ის აქ თურმეობითის დაბოლოებად მიიჩნია, მაგრამ ამ ტექსტების მი-ხედვით თურმეობითში -ა-ს საკიროება არ არის (შდრ. აქვე: ჰუპონი, გაჰლუხები, ჰუნახი და სხვა).

გზით ვერ დაუდასტურებია ისინი. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არავითარი უფლება არა გვაქვს დღეს ასეთი წარმოება ინგილოური დიალექტის თავისებურებად ჩავთვალოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მის არსებობაში ეჭვის შეტანას ყოველგვარ საფუძველს აცლის ის შემთხვევები, რომელთაც ჩვენ უკვე გავეცანით გურულ-აჭარული დიალექტის მასალაზე. იგი თუნდაც ისტორიულად ინგილოურის დამახასიათებელი არ იყოს და მოსე ჯანაშვილის მიერ იყოს შეტანილი ტექსტებში, რაც არაა საფიქრებელი, მაშინაც ეს ფაქტი საყურადღებოა. მისი სამეტყველო ფსიქოლოგიისათვის ისევე კანონზომიერი ყოფილა - ხმოვნის დართვა, როგორც გურულის ან აჭარელისათვის. ხმოვნის გაგრძელება.

რა წარმომავლობისაც უნდა იყოს ეს ფაქტი, იგი, ჩვენი რწმენით, მაინც ძალაში რჩება და ენათმეცნიერისათვის მას სათანადო ღირებულება ექნება.

რაც შეეხება ამ მოვლენის შეფასებას, გურულსა და აჭარულთან შედარებით ერთი საფეხური თუფრო ადრინდელ მდგომარეობას უნდა წარმოადგენდეს მ. ჯანაშვილის მასალა.

გურულსა და აჭარულში უნდა გვეკონდეს დაკარგული ეს -ა და მის ნიადაგზე უნდა გრძელდებოდეს ბოლო ხმოვანი.

-ა კი თავის მხრივ უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც ცალკე სიტყვის ნაშთს. შეიძლება ასეთად კაცს მიეჩნია ან მეშველი ზმნა „არის“ („არს“), ან დამადასტურებელ-ჩაკითხვითი ნაწილაკი „არა“ ე. წ. განსაზღვრულობის ფუნქციით და, მაშასადამე, ფორმები „რომ მივიდა“ და „რუმ მივიდა“ წარმომდინარე იქნებოდნენ, ან „რომ მოვიდა არის“-ისაგან, ან კიდევ „რომ მოვიდა არა!“-საგან¹. ასეთი დადასტურებითი მნიშვნელობა ზემოთ განხილულ დამოკიდებულ წინადადებებს ზედმიწევნით უდგება.

მართლაც, გურულ დიალექტში იმავე დამოკიდებულ წინადადებას რომ დადასტურებითი ნაწილაკი წინ დაუერთოს მთქმელმა და დადასტურებით წინადადებად აქციოს იგი, მაშინ ბოლო ხმოვანს ექნება მკვეთრად გამოხატული აღმავალი მახვილი და სავალდებულო არ იქნება გაგრძელება². იგივე ფრაზები მიიღებენ ასეთ სახეს:

... „გარეთ ქარ გამევიდა, დუუძახა და დუუძახა, რაც ძალა დაღონე ქონდა“;

... „უმფრო იქით ქარ გადიარ, კიდომ ისეა“;

... „ძალლი ქარ დეინახავს ახლა ყურდგელს, ამან აღარ უნდა ძივიდეს მაშინ ზეთ“;

... „ყვავილი ქარ დეიმართებოდა კაპცს³, სიახლოვეს რაგა გეიარდენ აქიღამა და ქეციმრე (ადგილის სახელი) ამდენზე“;

¹ დადასტურებითი ნაწილაკისა და კოპულის ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევები, გარკვეული ფუნქციით, ჩვეულებრივია ყაბარდოულსა და აფხაზურში.

² საერთოდ საყურადღებოა თავისებურ მახვილთა არსებობა ხსენებულ წინადადებებში.

³ რაც შეეხება ამ შემთხვევას, აქ მართლაც მახვილი კი არ არის, არამედ თითქმის „სიგრძე“. უფრო მეტი: ჩვენ იძულებული ვიყავით ის ორი ხმოვნით გადმოგვეცა. მაგრამ ამ ე. წ. „სიგრძის“ გათანაბრება ზემოხსენებულ სიგრძესთან არ შეიძლება. ზევით ჩვენ ნამდვილი

... „იქიდან ქ'არ დაბრუნდებ, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“ და ასე შემდეგ.

უდავოა, რომ დადასტურებითი ნაწილაკი, ერთი მხრივ, და დამოკიდებულ წინადადებაში ხმოვნის სიგრძე, მეორე მხრივ, ურთიერთზე დამოკიდებული მოვლენებია.

უფრო საყურადღებოა ამ მხრივ ის, რომ იმავე გურულ დიალექტში დასაშვებია დამოკიდებული წინადადება ბოლოს დართული დამადასტურებელი ნაწილაკითურთ, ასე მაგ., „იქიდან რომ დაბრუნდება არა!“, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“. აქ გაგრძელება ხმოვნისა აღარ გვაქვს.

ამგვარად, გურულ-აჭარულში დამოკიდებულ წინადადებაში ბოლო ხმოვნის გაგრძელება სინტაქსური ხასიათის მოვლენაა. გრძელი ხმოვანი მივიღეთ მომდევნო ნაწილაკის -ა ხმოვნის დაკარგვის ნიადაგზე. ეს უკანასკნელი (-ა) კი მომდინარეობდა განსაზღვრულობის ფუნქციის მქონე ნაწილაკისაგან.

ანალოგიური ვითარება უნდა დასტურდებოდეს იმერულშიც. სამწუხაროდ, სანდოდ ჩაწერილი იმერული დიალექტის ტექსტები ჩვენ ხელთ არ იყო. ამ შემთხვევაში აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ მასალას, რაც შეგვინიშნავს იმერლის ზეპირმეტყველებაზე დაკვირვებისას. ქვემოიმერლის მეტყველებაში სისტემატურად მონაწილეობს ქე დადასტურებითი ნაწილაკი დამოკიდებულ წინადადებაში შემდეგი სახით: „ქე რო დევეცი, მერე ასე მაქ ე ფეხი“, „ქე რო წევიდა, აღარ დაბრუნებულა“ და სხვ.

სიგრძე გვქონდა, ხმოვნის გაგრძელება შეიძლებოდა, აქ კი ხწორედ იმიტომ, რომ გაგრძელება არ ხერხდება ხმოვნისა, ვიღებთ ორ ხმოვანს. ამ შემთხვევაში ორი ხმოვნის წარმოქმნის წინაპირობაა, ჯერ ერთი, ერთმარცვლიანი სიტყვები, ხოლო, მეორე მხრით, თვით ამ მახვილის ბუნება. ერთმარცვლიან სიტყვებს თავისი მახვილი არ სჭირდებათ, ხოლო, თუ თავიანთი მდგომარეობის მიხედვით ფრაზაში მათ მოხვდება მახვილი (რაც თავისთავად ძალიან საყურადღებოა), ასეთი აღმავალი მახვილი გარკვეულ ვოკალურ ფონსაც საჭიროებს სიტყვაში. ამის გამოა, რომ სწორედ ერთმარცვლიან სიტყვაში იგივე მახვილი, რომელიც მრავალმარცვლიანში არავითარ ცვლილებებს არ იწვევდა, აჩენს თითქოს ახალ მარცვალს; გაგრძელებას აქ ადგილი არა აქვს.

ასეთივე მახვილი გვაქვს გურულში კითხვითს წინადადებაშიც; მაგ., გააკეთე? (პარალელურად შეიძლება გაგრძელებაც), ერთმარცვლიანში კი აქაც იგივე მდგომარეობაა: ამბობენ, მაგ., „ჩადევი შირთ?“ და სხვ.

ასევე უნდა აიხსნას სათანადო შემთხვევები ქართლური დიალექტისა—„ვრო“, რომელსაც ზოგი უწოდებს ხმოვნის სიგრძეს („უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 12). აქ არავითარ ხმოვნის სიგრძეს ადგილი არა აქვს. სათანადო ცვლილებები გამოწვეულია მახვილის მიერ ერთმარცვლიან სიტყვებში. იმიტომ ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითები „მინდნო“ და სხვ.—როგორც მსგავსივე ცვლილებების ნიმუში, თეორიულად მოულოდნელი იყო, ხოლო ფაქტიურად მის არსებობაში ეჭვი შეიტანა ივ. გიგინეიშვილმა. რომელსაც იმავე რაიონებში შეუკრებია დიდძალი მასალა და რომელსაც ერთი შემთხვევაც არ მოეპოვება იმისა, რომ ორ და მეტმარცვლიან სიტყვას ახასიათებდეს ასეთი „გაგრძელება-გაორკვეება“ ხმოვნისა.

საყურადღებოა ამ მხრივ „აქვს“ ზმნა. სალიტერატურო ქართულზე მოლაპარაკესაც კი უპირის ხოლმე აქ ერთი ხმოვნის გამოთქმა. ამბობენ „იმას ააქვს“ ან „იმასა აქვს“ და სხვ.

ასეთ შემთხვევაში ქე დადასტურებითი ნაწილაკის გამოყენება აგრეთვე იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რასაც ხმოვნის სიგრძე გურულ-აჭარულში და -ა-ს დართვა ინგილოურში (შეიძლება სხვა დიალექტებშიც შეინიშნებოდეს რაიმე კვალი ამ მოვლენის არსებობისა).

ხსენებული დამოკიდებული წინადადებები ყველა ამ დიალექტში განსაზღვრული ხასიათის მატარებელია, ე. ი. მათში იგულისხმება იმ ვითარებაზე მითითება, რაც თანამოსაუბრისათვის უკვე ცნობილია. აქ მთელი წინადადება განსაზღვრული ფორმით წარმოდგენილი. დამოკიდებული წინადადების არსიც ამაშია. „გარეთ რომ გამოვიდა“... ასეთი გამოთქმა შეუძლებელი იქნებოდა, თუ წინასწარ არ გვეცოდინებოდა, რომ „ვინმე გარეთ გამოვიდა“. დამოკიდებულ წინადადებაში ამ ცნობილი ფაქტის აღნიშვნასთან გვაქვს საქმე, ამდენადვე იგი განსაზღვრული ბუნებისაა. პრინციპულად ეს მოვლენა იმისავე მეორეული გამოძახილი უნდა იყოს, რასაც ადგილი თვით სალიტერატურო ქართულში (როგორც ახალში, ისე ძველში) უნდა ჰქონდეს. აღსანიშნავია, რომ დამოკიდებული წინადადების კავშირები სწორედ ასეთი ბუნებისა უნდა იყვნენ ქართულში. მათში თავს იჩენს ც ელემენტი (შდრ. რომელი მოვიდა?—რომელიც მოვიდა... ვინც, რაც, სადაც და სხვ.). ეს ც სხვა არაფერი უნდა იყოს, თუ არ იმავე განსაზღვრებითი ფუნქციის მქონე ნაწილაკი. საგულისხმოა, რომ ძვ. ქართულში ამ ადგილას იყო „რომელ იგი“. იგი ნაცვალსახელი აქ სწორედ ჩვენებითობის ფუნქციით განსაზღვრულობაზე მიუთითებდა.

მსგავსივე მდგომარეობა გვაქვს განსაზღვრებითი ნაწილაკის მქონე ენებში. ცნობილია, მაგალითად, რომ გერმანულში «*Определенный артикль (der, das, die, множеств. число die) происходит из так называемого анафорического местоимения, т. е. из местоимения, ссылающегося на упомянутый ранее член предложения и генетически связанного с местоимением указательным*»¹.

ქართულ დიალექტებშიც, მაშასადამე, მაშინ ხდება დადასტურებითი აუ სხვა განსაზღვრებითი ნაწილაკის დართვა, როცა ხაზი ესმის თანამოსაუბრისათვის ცნობილს, უკვე დასახელებულ (განსაზღვრულ) ფაქტს. საშუალება კი ამ მიზნისათვის გამორიცხული არაა იყოს მრავალგვარი: ჩვენებითი ნაწილაკიდან დაწყებული და კოპულით თუ დადასტურებითი ნაწილაკით გათავებული².

¹ Л. Р. Зиндер и Т. В. Стрѣва-Сокольская, Современный немецкий язык, 1941, § 218, გვ. 103-104.

² საყურადღებო დაპირისპირებას იძლევა განხილულ მოვლენასთან დაკავშირებით აფხაზური ენა თავის ზმნის ინფინიტურ-ფინიტური წარმოებებითა და მიმართებით-კითხვითი ფორმებით, მაგრამ ეს დაპირისპირება შეიძლება სპეციალური განხილვის საგნად იქცეს.

К. ЛОМТАТИДZE

ОБ ОДНОЙ ОСОБЕННОСТИ ПРИДАТОЧНОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ
В НЕКОТОРЫХ ДИАЛЕКТАХ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В придаточных предложениях в гурийском и аджарском диалектах грузинского языка наблюдается удлинение последнего гласного конечного слова, когда за придаточным следует главное предложение. Напр.: ...აქით ომ დიდი სახლია, იქნა იგი გოგო... ...ikit om didi saxliā, ikšia igi gogo (аджарск.)—«...там, в той стороне, что дом (есть), в нем (живет) та девушка» и т. п.

Удлинение гласного в таких случаях, повидимому, есть результат утраты какой-то частицы или целого слова. Интересны в этом отношении данные ингилойского диалекта. В записях М. Джанашвили в аналогичных случаях к конечному слову придаточного предложения систематически прибавляется гласный → -а. Напр.: ...დილაზე ჰუმ გამაღრუხა, ნახა... ...dilaze hum gatauyūzaa, naħa...—«...утром что (когда) проснулся, увидел»... (Сборник „ძველი საქართველო“, т. II, стр. 192); ...ეეს რუმ თქოა, კაც მამიხავ მოკდო... ...ees tum tkoa, kač mašinav moqdo... «это что (когда) сказал, человек тотчас же умер» (ib., стр. 199) и т. д.

Таким образом, построение фраз как в гурийско-аджарском, так и в ингилойском одинаково; удлинение гласного в гурийско-аджарском и гласный → -а в ингилойском имеют синтаксическую функцию.

При этом → -а, повидимому, представляет остаток какого-то отдельного слова (может быть „არის“ „aris“ «есть» или же „არა?“ «აა?» «нет-ли?»—в утвердительно-вопросительном значении), имевшего функцию определительного элемента.

Подобную же функцию имеет в имерском диалекте утвердительная частица ჰე ნე, фигурирующая в придаточных предложениях. Напр.: „ჰე რო დევეცი, მერე მტკივა ე ფეხი“ ნე ო devesi, mere mtkiva e pexi «что (как) я упал, после (этого) болит эта нога»...

Таким образом, рассмотренные явления—удлинение гласного в гурийско-аджарском, гласный → -а в ингилойском и ჰე ნე в имерском диалектах груз. языка—выявляют одну и ту же функцию: придаточному предложению придают определенность. Такого же характера, очевидно, частица ოც -ც и местоимение იგი igi в союзных словах რომელიც ომელიც ომელ ოგი ომელ igi («тот который») в литературном грузинском языке.

ფაქოლ ბერიძე

ზღუდე სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ შეზღუდულის მნიშვნელობის ევოლუციისათვის

ზოგჯერ სიტყვა, განსაზღვრულ პირობებში მოქცევისას, იცვლის თავის მნიშვნელობას, ხან მცირეოდენი ელფერის დაკვრით, ხან კი—დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ თავისი ძირითადი მნიშვნელობისა, თავისი ეტიმოლოგიური აგებულებისა.

თუ განსაზღვრული მნიშვნელობის სიტყვამ დაკარგა თავისი პირვანდელი შინაარსი და ახალი ფუნქცია იტვირთა, ცხადია, ამ მნიშვნელობით დაკანონდება იგი ენაში.

ამიტომ უფლება არა გვაქვს ჩვენი დღევანდელი გაგება კლასიკურ ნორმებს მოვახვიოთ თავზე, კლასიკოსისა და მისი ნაწარმოების გაზომვა და შეფასება დღევანდელი ნორმებით ვაწარმოოთ.

ერთი მაგალითით ნათელვყოთ ზემონათქვამი.

ყველასათვის ცნობილია კუმო სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობა: იგი მკვდართა ჩასასვენებელი და დასაკრძალავი ყუთია; ძველად კი მხოლოდ ტახტრევანს აღნიშნავდა, ჩასაჯდომელსა და სასეირნოს სწორედ ისე, როგორც ეს, ვთქვათ, ვეფხისტყაოსანშია:

იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე არონინებდეს;
მინადირობდეს, ნადირსა მუნ სისხლსა მიადინებდეს;
სადაცა დახედის ქვეყანა, მჭვრეტელთა მოაზნინებდეს;
და მოეგებვიან, სძღვნობდიან, აქებდეს, არ აგინებდეს (საიუბ. 1484).

მკვლევართ კუმო სიტყვის მნიშვნელობის ევოლუცია სათანადოდ აქვთ წარმოდგენილი და განმარტებული.

მაგრამ კიდევაც რომ შემცდარიყვნენ მკვლევარნი ამ მხრივ, მაინც ნახე—ვარი უბედურება იქნებოდა, რადგანაც ამ შემთხვევაში დაზარალდებოდა მართოდენ ნაწარმოების მხატვრული სახე: ერთის, ნამდვილის, მაგიერ გვექნებოდა მეორე—ყალბი და უგემური სახე, მხოლოდ!

სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც სიტყვის ყალბ გაგებაზე აიგება წინასწარ შემუშავებული, მცდარი კონცეფცია. აქ შედეგი უქველად საშიშია და მაშინ საჭიროა ჩარევა.

ამგვარ მდგომარეობაშია ზღუდე სიტყვა და მისგან ნაწარმოები შეზღუდული.

აბღულმესიანის ერთ ადგილას ვკითხულობთ:

მე მონაშენი, მე, მონა შენი,
ვგონებ, ყოველნი შენთვის შექმნულად.
ნეტარ ხარ ყოვლად წმიდად და ცხოვლად
ძალად და გულად, თვით არ დაგულად:
ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ,
დიმიტრის მიერ ძალ შეზღუდულად.

რას ნიშნავს შეზღუდული?

შეზღუდულის დღევანდელი გაგება ცნობილია: იგი ნიშნავს შევიწროებულს, შემცირებულს, დაკლებულს, ограниченный. მაგრამ ეს გაგება სულ ოთხი-ხუთი ათეული წლისაა, თითქმის ჩვენი დროისა. ჩუბინაშვილმა, მაგ., სიტყვის დღევანდელი გაგება არ იცის, მით უმეტეს—საბამ.

გამოგვადგება თუ არა ჩვენ, სიტყვის დღევანდელი გაგებით რომ მივუდგეთ XII ს. ნაწარმოებს, როდესაც ამ სიტყვას სრულიად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და თვით ნაწარმოებიც XII ს. ენობრივი ნარმებით იწერებოდა? დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგს, მაშასადამე, მცდარ შედეგს მივიღებთ.

რას ნიშნავდა ძველად შეზღუდული? აქ ორი ეტაპი უნდა გაიარჩიოს, უფრო მოგვიანო ეპოქისათვის შეზღუდული აღნიშნავდა გამაგრებულს, განმტკიცებულს. ირგვლივ კედლის გაკეთებით, ხოლო უძველეს ხანაში გამოხატავდა მხოლოდ გამაგრებულს, განმტკიცებულს: ირგვლივობის განმსაზღვრელობა მას არ ახლდა.

სწორედ ირგვლივობის მომენტის შექენამ იყო, სიტყვას რომ დღევანდელი მნიშვნელობა მისცა და, თავის დროზე სიმბარისა და სიმტკაცის მაუწყებელი, უკანასკნელ—ძალის შემცირების, დაკნინების მაჩვენებლად გადააქცია! როგორ?

შეზღუდულ სიტყვას საფუძვლად უძვეს ზღუდე. ზღუდე სიტყვის თავდაპირველი სახე კი მ-ზღვ-უდ-ე-ა, რაც სავსებით უდრის სიტყვას მ-ზღვ-არ-ი.

ამეამად არ ვეხებით -უდ- ფორმანტის ეტიმოლოგიას; იგი მორფოლოგიური ეკვივალენტია მზღვარ სიტყვის -არ სუფიქსისა ისე, როგორც ერთმანეთის შესატყვისებია -ოდ და -არ ფორმანტები ხი-ოდ-ია¹ და მ-ხი-არ-ულ სიტყვებში.

შემდეგში მ-ზღვ-უდე-ს საწარმოებელი თავსართი მ ჩამოშორდა, სწორედ იმგვარად, როგორც მ-ზღვარ-ს; უ-ს წინ ვ დაიკარგა და საბოლოოდ მივიღეთ ზღუდე.

რა არის ზღუდე?

თავდაპირველად ზღუდე იყო მხოლოდ კედელი, ზღვარის დამდები სიმბარე. სწორედ ამ აზრითა და მნიშვნელობითაა იგი ნახმარი ძველი ტერატურულ ძეგლებში.

¹ განმარტებისათვის იხ. ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმთა. СПб. 1912: ზიოდი.

დაბადებიდან დავიწყეთ.

„და შევიდეს ძენი ისრაელისანი შორის ზღუასა ჯმელად და წყალი იყო ზღუდე მარჯუენით მათდა და ზღუდე მარცხენით (ამოცხლვ, 14, 22).

*ს მათს ირქტს ხარაკსიქ ს მქჳ ბიქონს ღნჳ ნამარჳ ს ხელს ჳიქონს
ყარქსაჳ ღნჳ აქმქ ჳიგას ს ღნჳ არხქქ ჳიგას.*

И пошли сыны Израилевы среди моря как по суше: воды же были им стеной по правую и по левую сторону.

ამგვარად: ზღუდე || *ყარქსაჳ* || стена. ზღუდე რომ კედელია, ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ იმავე ქართულ ბიბლიაში ხშირად ზღუდე იხმარება კედლის პარალელურად, კედლის სინონიმად, მაშინ როდესაც სლავურში ყველგან მარტოდენ სენა არის ნახმარი.

მაგ., მეფეთა წიგნში იქ, სადაც დავითისა და საულის შეტაკებაზეა ლაპარაკი, ერთ ადგილას, როდესაც საულის განზრახვა მუდგანდება, ნათქვამია: „და აღიღო საულ შუბი და თქუა: დავსცე დავითის ზღუდისა მიმართ“, რასაც სლავურად უდრის «и бросил Саул копьё, подумав: пригвожду Давида к стене» (1 მეფ. 18, 11); ხოლო მეორე ადგილას, როდესაც საულს უნდა თავისი განზრახვა უკვე სისრულეში მოიყვანოს, ვკითხულობთ: „ეძიებდა საულ შუბითა განგუმერად დავითისა... და სცა საულ შუბი კედელსა...“, რასაც სლავურში ეფარდება: «и хотел Саул пригвоздить Давида к стене... и копьё вонзилось в стену» (მეფ. 19, 10).

მაშასადამე, სლავურში ყველგან არის სენა, ქართულში კი—შენაცვლებით: ზღუდე || კედელი, სომხურში ყველგან—*ყარქსაჳ*.

მრავალთაგან კიდევ ერთი მაგალითი.

„განიპნეს წყალნი, შეეინდეს და დადგეს, ვითარცა ზღუდენი წყალნი ზღუისანი, შეეინდეს და აღზღუდნეს ღელვანი იგი შუა ზღუასა“ (გამოცხლვ. 15, 8).

ყარქესანს ხირსს ყარქსაჳ ჳიქრჳ, ყარქესანს აქტჳ ს მქჳ ბიქონს.

От дуновения твоего распустились воды, влага стала как стена, опустели пучины в сердце моря.

ქართული შეეინდეს სომხურად გადმოცემულია *ყარქესანს*, მაგრამ ქართულს უკმარად მიუჩნევია წყლის სიმკვრივე მარტო ერთი სიტყვით გადმოცემა და სიმტკიცისათვის კიდევ მეორე სიტყვას უმატებს, ნაწარმოებს ზღუდე სიტყვისგან: შეეინდეს და აღზღუდნეს ღელვანი, ე. ი. გაიყინენ და გამაგრდნენ ღელვანით.

ამგვარად, ზღუდე თავდაპირველად იყო კედელი, სამაგრე.

ამგვარივე მნიშვნელობით იხმარება იგი ძველ კლასიკურ მწერლობაში. ასეა ლოცვა თქუეს საჭურველად, მარხვა ზღუდედ (სანძმ. 175 ა).

ამიერითგან იყავნ წმიდაჲ ჯუარო შენ საფარველ ჩემდა და შეწევნაჲ ღირსათა ლოცვათა შენთაჲ ზღუდე ჩემდა“ (სანძმთ. 324).

მეფეთა ისრაჲლისათა ჟამად ჟამად წინადაწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა და შესაწევნელად მორწმუნეთა და სამხილებელად ურწმუნოთა (იქვე, იბ 33-35).

ღმერთმან შეგამკო სიბრძნითა, ჰასაკითა და სულითა წმიდითა ქსნისა ზღუდედ ჩუენდა (იქვე, კლ 18-20).

ზენონ არს ზღუდე მტკიცე კლარჯეთისა. დიდებულთა უდაბნოთაჲ (იქვე, ომ 14).

რომელი ზღუდე და მფარველ ჩემდა არს (კომ. 219³⁷)...

აქ ზღუდე ყველგან კედელი და სიმაგრეა.

როდის შეიძლება ზღუდე იყოს ირგვლივობის განმსაზღვრელი? მხოლოდ მაშინ, თუ მას თან ახლავს მეორე სიტყვა ირგვლივობის მაუწყებელი.

„და დაჰბერეს ნესტუთა მათ მღდელთა და, რაჟამს ესმა ერსა მას ჳმა იგი ნესტჳსაჲ, ღალადყო ყოველმან ერმან ერთბამად ღალადებითა დიდითა და ძლიერითა და დაეცა ქალაქისა ზღუდე გარემო“ (იხუ ნავე, 6,19).

და მართლაც, ზღუდე რომ თავისთავად ირგვლივობის განმსაზღვრელს ყოფილიყო, მაშინ იგი დამოუკიდებლად იქნებოდა ნახზარი და მას აღარ დასჭირდებოდა დამხმარე სიტყვა, მაგ., ზღუდე მოაელო, გარემო ზღუდე და მისთანანი.

კიდევ რა საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ზღუდეს მიენიჭოს ირგვლივობის მნიშვნელობა? საამისოდ სახელი ზღუდე უნდა იქცეს ზმნად და წინ წარემძღვაროს პრევერბები *მო, შე, შემო*. რა იქნება მაშინ მო ზღუდეა, შე ზღუდეა, შემო ზღუდეა? მხოლოდ დამხმარე სიტყვა, განმტკიცება ყოველის მხრივ.

მაგალითებით „შეზღუდოთ“ (გავამაგროთ!) ზემონათქვამი.

შუშანიკთან მოვიდა ვარსქენის მიერ გამოგზავნილი კაცი და ტირილით ეტყოდა:

„ესე ვითარი სახლი მშუდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა! ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვითა იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისაჲ მის. ხოლო წმიდამან მან ცნო ზაკუვითი იგი ზრახვაჲ და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“ (წ-ბაჲ შუშანიკისი, ს. გორგაძის გამოცემა, გვ. 4).

ცხადია, „მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“ შეუძლებელია ნიშნავდეს მოკლებას, შევიწროებას, განსაზღვრას: უაზრობა იქნებოდა. **ესაა მხოლოდ და მხოლოდ გამაგრება, ძალის შემატება.**

გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში მოვიკითხოთ.

[წმიდათა მამათა ჰქონდა] „მტკიცე მოთმინებაჲ სიმდაბლით და სიმშუდით, მარხვაჲ ლოცვითა შე ზღუდე ილი“ (იზ 6). აქ შე ზღუდე ილი, რასაკვირველია, არა ძალის მოკლებას, არა დაკნინებას გამოხატავს, არამედ მხოლოდ განმტკიცებას, გამაგრებას.

შემდეგ: „ხოლო ამის მადლისათჳს (მიმართავს ავტორი გრიგოლს) ძალი არს შენდა ძალი ღმრთისაჲ, რამეთუ წმიდათა ანგელოზთა მსგავსებაჲ გაქუს

სიწმიდს, რომელ არს სამძალი ძლევისაჲ, შეზღუდვილი სამარადისოჲსა ლოცვითა და მარხვითა“ (იქვე, ნ^ა12-14). შეუძლებელია შეზღუდვილი სამძალი ძლევისაჲ იყოს დაკლებული, შემცირებული ძალა! იგი მხოლოდ და მხოლოდ განმტკიცებული და გამაგრებული ძალაა!

მიქაელ მოდრეკილის საგალობელში შემდეგს კვითხულობთ:

რომელმან დააფუძნე უფსკრულთა ზედა
მტკიცედ სიჯრცეჲ ქუეყანისაჲ...
დღეს იორდანისა წყალთა
სათნო იჩინე განზანაჲ, უცოდველო:
რომელმან შეჰზღუდენ საზღვარნი ზღუათანი
და დაამტკიცენ ძალითა (სახულ. პოეზია, 407):

აქ კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ შეზღუდვა იგივე გამაგრება-განმტკიცებაა: რომელმან შეჰზღუდენ საზღვარნი ზღუათანი და დაამტკიცენ ძალითა.

ამგვარად: 1. ზღუდე არის კედელი, სიმაგრე; 2. შეზღუდული—გამაგრებული, განმტკიცებული.

დავუბრუნდეთ შავთელის აბდულმესიანის სიდავო ადგილს.

ნესტორად მძღეობ, არა თუ ლეობ,
დიმიტრის მიერ ძალ შეზღუდულად.

შალვა ნუცუბიძემ ეს სტროფი ქალის, თამარის შექებად მიიღო და ასე თარგმნა:

Нестора митра, но не Димитра,
Или же Лео знак беспечности.

მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონვე შეეჭვდა თავის მოსაზრებაში და კომენტარში ამბობს: Строфа не поддается толкованию... Если она имеет отношение к истории Грузии, то может возникнуть предположение, что эта строфа ближе к герою поэмы Шавтели I-го к Давиду Строителю (134). თარგმანი არ უდგება დედანს: თარგმანი გაუგებარია, დედანი კი სავსებით გასაგებია.

მთარგმნელს რომ ანგარიში გაეწია სიტყვის, ამ შემთხვევაში „შეზღუდულის“ პირველადი მნიშვნელობისათვის, იგი სტროფში უთუოდ მამაკაცის ქებას ამოიკითხავდა, მამაკაცისას, რომელიც დიმიტრის მიერ ძალა შეზღუდულია, ე. ი. ძალაგამაგრებულია, ძალაგანმტკიცებულია.

ამ განმარტების სისწორეს, სხვათა შორის, ამავე დროის მეორე ძეგლის, თამარიანის, ერთი ადგილიც ადასტურებს, სადაც შეზღუდული ნევატიური სახითაა წარმოდგენილი.

გამოჩნდა ზვაგი, მძღედ ჰქონდა თავი,
იბრღვენდა მხეცებრ განძვინებულად.
მდედრნი და ცუნდი, ძალ შეუზღუდნი.
კაცნი რამე ჰყვეს დატყვევებულად.

აქ ძალზე უზღუდელი, თუ სიტყვის დღევანდელ გაგებას მივიღებთ, იქნება ძალაშეუფროებელი, ე. ი. с неограниченной силой, ნამდვილად კი ძალზე უზღუდელი ნიშნავს ძალაგანუმტკიცებელს, ე. ი. ძალაგამოლეულს, ძალაწართმეულს, ულონოს¹, და მთელი სტროფიც შემდეგნაირად გააზრიანდება:

დღეღალი ხალხნი და ცუდნი,
ძალაგამოლეულნი კაცნი
რამე ჰყვეს დატყვევებულადო.

მაშასადამე, ძალზე უზღუდელი უცილობლად ძალაგანუმტკიცებელია, მაშასადამე, ძალზე უზღუდული ძალაგანუმტკიცებულნი, ძალაგამაგრებულნი იქნება.

მაგრამ ვინაა ეს ძალის შემზღუდველი, ძალის გამამაგრებელი და ვინაა ძალზე უზღუდული, ძალაგამაგრებელი?

სტროფში პირდაპირ ნათქვამია მეფის მიმართ:

ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ,
დიმიტრის მიერ ძალზე უზღუდულად.

ე. ი. ნესტორივით მძლეობ და არა მარტო ლეობ (ლომობ) დიმიტრის მიერ ძალაგანუმტკიცებულად. პოეტმა მეფე შეადარა ნესტორს, რომელიც განსაკუთრებული გონებითა და არაჩვეულებრივი მამაცობით იყო განთქმული.

ხოტბაში მოხსენებული მეფეც ნესტორივით მძლე და გონიერი ა.

ერთადერთი დიმიტრი, ხოტბის დაწერის დროს თუ არ მცხოვრებდა, ყოველ შემთხვევაში, მისი წერისას მოსაგონებელი, დიმიტრი პირველია, დავით აღმაშენებლის შვილი. სხვა დიმიტრი ამ ხანებში ისტორიამ არ იცის.

ცნობილია, რომ დიმიტრი მამას მართლაც ეხმარებოდა, შველოდა მას ლაშქრობაში, ამაგრებდა მას «ძალითა ძლიერითა».

მემატიანე გვაუწყებს: „ოდეს ჯერ არ იყო ძეფე, დიდმან დავით შარჯანს გაგზავნა შვილი დემეტრე და ქმნა ომნი და ბრძოლანი, რომელ ყოველნი მხედველნი მისნი განაკუთრენა და აღილო ციხე ქუელაძორი, აღივსო ალაფითა და ტყუითა ურიცხუითა, გააქცივნა სუქმანეთნი. ოდეს სუქმ[ან]ეთნი გააქცივნა დემეტრე, ქრონიკონი იყო სამას ორმეოცდაათი. თავნი ყოველისა სპარსეთობისა დაჯოცნა და ამოსწყუდიანა და ალაგნა საჭურჭლენი და ლაშქარნი მისნი“ (ქართლის ცბა ანა დედოფლისეული, სიმონ ყაუხჩიშვილის გ-მა, გვ. 237-8). არის თუ არა ეს მეფის „ძალის შემზღუდვა“, მეფის ძალის გამაგრება? უეჭველად! ვინ არის ეს დემეტრე, რომელიც მეხოტბის სიტყვით ძალას უმაგრებდა მეფეს?

ცხადზე უცხადესია, რომ მეხოტბის დიმიტრი მემატიანის დემეტრე I-ია, დავით აღმაშენებლის შვილი.

მაშასადამე, ვინ ჰყავს სახეში, რომელი მეფე მეხოტბეს, როდესაც ლაპარაკობს—დიმიტრის მიერ ძალზე უზღუდული ხარო?

მხოლოდ და მხოლოდ დავით აღმაშენებელი.

¹ Н. Марр, Охотисны, გვ. რმბ: ზღუდე.

გავამაგროთ ეს დებულება კიდევ ერთი საბუთით.

მემატიანემ, როგორც აღვნიშნეთ, მებრძოლი მეფე ჰომეროსის ნესტორს შეადარა.

ზოგ ვისმე ჰგონია, რომ ჰომეროსის ნესტორი უფრო ბრძენი იყო და ამიტომ მისი შედარება დავითთან სწორი არ იქნებაო. მართალია, ნესტორი დიდი ბრძენი იყო, ყოველგვარ მძიმე სამხედრო საკითხში განსაკუთრებულ ბრძნულ აზრებს გამოთქვამდა ხოლმე, მაგრამ ამავე დროს იგი იყო არაჩვეულებრივად მამაციც, მძლეთა მებრძოლთა მძლეველი. ის იყო, ამბობს მისი ცხოვრების აღმწერი, ბერძენთა ჯარების სული და გული როგორც თათბირში. ისე ბრძოლებშიო.

დავით აღმაშენებელიც სწორედ ასეთია.

[დავითმა] „იციის ქცეულებანი ჟამთანი, აქსნანჩ იგივთანი და გარდასულთა შეამსგავსნის მომავალნი. არათუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული, ძნელი და ნანდულივე დიდი განსაგებელი, იპყრა ესრეთ მალლად, ვითარ ვერვინ სხუამან“. შემდეგ მემატიანე ჩამოთვლის მეფის განსაგებელ საქმეთ, როგორცაა: „კიდეთა პყრობანი, ნაპირთა მჭირვანი. განხეთქილობათა კრძალვანი“, სამეფოსა წყნარობისა ღონენი, ლაშქრობასა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მვედართა განწყისებანი, საერონი შიშნი, საველოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძლეუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებულთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყუისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი. და რაოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყუითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა, რომელსა შინა ვერვის ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდელთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თუისითა ქმნნა“ (იქვე, 225).

მაშასადამე, დავით აღმაშენებელი ბრძენიც ყოფილა უდიდესი.

ამიტომ: „...სიტკობებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურჩიელნი კიდით ქუეყანისათ შემოკრებოდეს წინაშე მისა. ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა. იგივე შეუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანგელოზთა ანაგებითა, და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახუილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მკმუნვარჯობითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მეთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მართივ სახითა... მაღალ უმაღლესთათუის და მდაბალ მდაბალთათუის, და მტერთაგანცა თუით საწადელ და საყუარელ“ (იქვე, 233). და ყველა ეს თვისება მან შემოიკრიბა თავისთვის.

დიდი დაკვირვება არაა საჭირო ზემომოყვანილ დახასიათებაში ჩვენ დავინახოთ მეხოტბის მიერ შემდგომ გადათქმული პოეტური ადგილი:

შენ, გონიერო, გულისხმიერო,
თვით მეცნიერო, მეფევ ძლიერო,
მიუტდომელო, მიუწდომელო,

მიუთხრობელო, წრფელსახიერო,
 განათლებულო, განახლებულო,
 გაბრწყინებულო მზეო ციერო,
 გალადებულო, გალომებულო,
 კვლავ გოლიათო გულმობიერო!

მაშასადამე, ის მოსახრება, რომლის თანახმადაც აბდულმესიანში თამარ-
 თან ერთად დავით აღმაშენებელია შექმბული, ამ სტროფის უტყუარი გაგე-
 ბით, ყოველ მიზეზს გარეშე „ძალაშეზღუდულია“, ძალაგამაგრებულია.

დავასკვნათ:

1. ზღუდე თავდაპირველად იყო ყედელი, სიმაგრე.
2. შეზღუდულიც მაშინ გამაგრებულს, განმტკიცებულს აღნიშნავდა.
3. შემდეგში შეზღუდული შემცირებულის, შევიწროებულის გამომხა-

ტველად იქცა.

მაშასადამე, სიტყვის მნიშვნელობათა ევოლუციის სწორი გათვალისწინე-
 ბა აუცილებელია ლიტერატურული ფაქტის დასადგენად¹.

¹ ამასთან დაკავშირებით, ალ. ბარამიძეს თავის შრომაში (ნარკვევები ქართული
 ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი 1945) სწორად ესმის „შეზღუდულის“ აბდულმესიანის
 დროინდელი მნიშვნელობა და დასკვნაც ზოტბაში შექმბული პიროვნების შესახებ სათანადო უნ-
 და გამოეტანა, მაგრამ იგი ისეა დაინტერესებული როგორმე აიშოროს დავით აღმაშენებელი,
 რომ, საერთოდ კარგაწარკვევებს ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ამ ნაწილში უთუოდ
 ზელოვნურობა ეტყობა, მაგრამ ამაზე შეგდეგ.

მეგრული სუფიქსის კვალი ქართულში *

(ეტიმოლოგიური შენიშვნა)

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მონაცემებით გამორკვეულია, რომ ქართული -არ სუფიქსის შესატყვისია მეგრულში -ენჯ ბოლოსართი; -არ და -ენჯ არა მარტო მორფოლოგიურად ფარავენ ერთმანეთს, არამედ ფონეტიკურადაც ეკვივალენტებია ერთურთისა. -ენჯ გამოვლენილია აწმყოს მიმღობის ისეთ სიტყვებში, როგორცაა მა-ხვ-ენჯ-ი (მჯღომი), მა-რ-ენჯ-ი (მყოფი), მა-რ-ტ-ენჯ-ი (გამქცევი, მლტოლვი), მა-გ-არ-ენჯ-ა (მტირალა) და მისთ. -ენჯ-ის ვარიანტებად მოიპოვება -ინჯ, -ანჯ, -ონჯ. ამ უკანასკნელისათვის დასახელებულია მაგალითები: ზოთ-ონჯ-ი (ზამთ-არ-ი), ქომ-ონჯ-ი (ქმ-არ-ი), ორცხ-ონჯ-ი (სავარცხელი) ¹.

-ენჯ || -ინჯ || -ანჯ || -ონჯ სუფიქსში ნ ფონეტიკურად განვითარებულია, თანახმად მეგრულის წესისა ². მაშასადამე, ბოლოსართია -ენჯ || -იჯ || -აჯ || -ოჯ. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ -ონჯ || -ოჯ-იანი ფორმები იშვიათია მეგრულში. საერთო დასკვნა ასეთია: ეს ფორმანტი „დღეს უქმი სუფიქსია: ხმარებიდან განდევნა მისმა მორფოლოგიურმა მონაცვლე -ალ-მა. მას ფონეტიკურად და მორფოლოგიურად შეესატყვისება ქართული -არ ბოლოსართი, რომელთანაც ვინაობის საწარმოებელ -არ-ს კავშირი არა აქვს. უკანასკნელი ქართულში შემოსულია მეგრულიდან და მის ეკვივალენტად ქართულში გვევლინება -ელ ფორმანტი“ ³.

კითხვა ისმის: ხომ არა გვაქვს ქართულში მეგრულისებრი სტრუქტურის სიტყვები?

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ მხრივ მათხოჯ- სიტყვამ.

მათხოჯ-ი ქართულში იხმარება ა) ტოპონიმიკურ ტერმინად (სოფელია წულუკიდის რაიონში), ბ) ‘ცუდის’, ‘უმსგავსოს’, ‘მახინჯის’, ე. ი. გაკილვის მნიშვნელობით ზემოიძერულსა, რაჭულსა და ქართლურ დიალექტებში, გ) ‘მათხოვრის’, ‘მთხოვარას’ მნიშვნელობით რაჭულში (რელიქტურად).

ამოსავალია რაჭულში დაცული სემანტიკა: მათხოჯი=მათხოვარს. აი სათანადო კონტექსტები: „ნეფემ გედეიცვა მათხოჯურად და თხოულობს აწე... ბიქმა თვალი მოხკრა მათხოჯს, შეეცოდვა და მანათი გოდუგლო“ (ჩემი მასალებიდან). არის ზმნური ფორმაც: იმათხოჯა...

* მოხსენებულია „საენათმეცნიერო საუბრების“ სხდომაზე 1945 წ.
 ¹ ე. თოფური, -ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიმკის მთაბზე, I, 1937.
 ² იქვე, გვ. 143; И. Кипшидзе, Грамматика мингральского (иверского) языка, 1914, § 3 f.
 ³ ე. თოფური, დასაბელ. შრომა, გვ. 144.

მათხოჯ-მა (მათხოვარი) შემდეგში 'ცულის', 'უმსგავსოს', 'მახინჯის' მნიშვნელობა მიიღო. ამ უკანასკნელ მნიშვნელობას ატარებს უმთავრესად მათხოჯა ფორმა, დაცული ზოგიერთ კილოში.

'მათხოვართან' დაკავშირება 'ცულის' ცნებისა ცნობილია ქართულ ენაში: აღმოსავლეთ საქართველოში მათხოვარს ჩვეულებრივ გლახა-ს უწოდებენ; მათხოვარი (მთხოვარა) და გლახა სინონიმებია (გავიხსენოთ თუნდაც ილიას „გლახის ნაამბობი“). ამისდაკვალად: მათხოჯ-ს, რომელიც თავდაპირველად 'მათხოვარს' აღნიშნავდა (და აღნიშნავს დღესაც—რელიქტურად—ზემოთაქვულში), შემდეგში გადატანით 'გლახას', 'ცულის' შინაარსი შეეძინა.

ეს—სემანტიკის მხრივ.

საანალიზო სიტყვის სტრუქტურა ასეთია: მათხო(ოვ)-ოჯ-ი. მისი ზუსტი ეკვივალენტია მათხოვარი:

მა-თხო-არ-ი

მა-თხო(ოვ)-ოჯ-ი

ესენი პარალელური ფორმებია და ერთმანეთს ფარავენ სემანტიკურადაც და მორფოლოგიურადაც. ჩანს, -არ სუფიქსს ფუნქციურად ეფარდება -ოჯ. მაშასადამე, მათხოჯ-ი. ზანური სტრუქტურის სიტყვაა.

მეგრულში ამჟამად ნ-იანი ფორმანტია ჩვეულებრივი: -ონჯ (-ენჯ etc.). ეს ნ განვითარებულია ჩვენს სიტყვაშიც, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა ტოპონიმიკურ ტერმინადაა გამოყენებული: ადგილობრივი გამოთქმით სოფელს მათხოჯ-ი (|| მანთხოჯ-ი) ეწოდება, ხოლო მათხოჯ-ი ოფიციალური სახელწოდებაა სოფლისა და იშვიათი ფორმა ადგილობრივს სიტყვანმარებაში. ნაზალიზაციის დათარიღებისათვის შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ მე-17 საუკუნის საბუთებში გვხვდება უნარო ფორმა (მათხოჯი) და ნარიანი (მანთხოჯი), მაგრამ მათხოჯი არაა ნახმარი. ასე, მაგალ., არსებობს სოფ. მათხოჯის დავთარი მე-17 საუკუნისა¹. მათხოჯი გვაქვს აგრეთვე ერთ 1712 წლის საბუთში². იმავე ხანის დოკუმენტებში მათხოჯის გვერდით მოიხსენიება მანთხოჯი. შენახულია მანთხოჯის ნუსხები 1622 წლისა³ და 1700 წლებისა⁴, მანთხოჯის ანაწერი მე-17 საუკუნისა⁵... მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ნაზალიზაცია ყოფილიყო მაშინაც -ოჯ სუფიქსში (მათხოჯ-ი) და საბუთების ენას არ აერეკლა იგი.

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII ს. ს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 437.

² სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს 'აეკლესიო საბუთები, I, 1921, გვ. 105.

³ აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გამოც. ს. კაკაბაძისა, 1921, გვ. 105.

⁴ საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 39—40; ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები. XV—XVIII სს; ენიშკის მოამბე. V—VI, 1940, გვ. 314—315.

⁵ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, I, გვ. 54; ლ. მუსხელიშვილი, ibid.

რაც შეეხება მათხოჯა-ს, უნდა აღინიშნოს, რომ -ა-ნიანი ფორმა იცის მხოლოდ ზემოიმერულ-ქართლურმა (მათხოჯ-ის გვერდით), სადაც ადიექტიურადაა გამოყენებული იგი, და ამდენად შესაფერისია მისთვის -ა-ს დართვა თვისების გამოსახატავად. სოფლის სახელად -ა-ნიანი ფორმა არა გვაქვს¹.

მათხოჯ სიტყვას 'მახინჯის', 'უმსგავსოს', 'ულამაზოს' მნიშვნელობით უპოვია ლიტერატურული გამოხატულება. რაჟდენ გვეტაძის მოთხრობაში ('ჩიაკოკონა') გვხვდება ასეთი ადგილი: „რა გაცინებს, მათხოჯო!“ ავტორი სქოლიოში განმარტავს სიტყვას: „მათხოჯი—აქ: მახინჯი“². ლევ. მეტრეველის ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: „დედიკო, დედიკუნა! შენი გაუგონარი მათხოჯი გოგო ძალიან კარგათა ვარ ამ შენგან ათვალისწინებულ ქალაქში“³.

რადგანაც საანალიზო სიტყვა მეგრული სტრუქტურისა ჩანს, სავარაუდოა, იგი შემოსულია მეგრულიდან ქართულში. თვით მეგრულს ეს ფორმა არ დაუცავს, და ეს გასაგებიცაა, რამდენადაც -ონჯ ფორმანტი გადაშენებულია მეგრულში; მხოლოდ ანალიზი გამოავლენს მას. მის ნაცვლად -ალ სუფიქსი იჩენს თავს ამავე სიტყვაში: მათხუალ-ი. ეტყობა, მათხოჯ-ის შემოჭრა და დამკვიდრება ქართულში ძველი მოვლენაა. არქაიზმზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე შემდეგი ფაქტი: -ოჯ სუფიქსი დართული აქვს ძირს (მა-თხ-ოჯ-ი), სადაც -ოვ სუფიქსი (თხ-ოვ) არა ჩანს. ალბათ -ოჯ [მაშინდელია, როდესაც -ოვ ჯერ კიდევ არ იყო შეხორცებული ძირს (-ოვ ისტორიულად სუფიქსია)⁴, თუმცა გამოსარიცხი არ არის ვარაუდი, რომლის თანახმად -ოჯ-ის დართვი -ოვ ბოლოსართი გარკვეული ფონეტიკური პეტურბაციის შემდეგ გაუჩინარებულიყო: მა-თხოვ-ოჯ → მა-თხო-ოჯ → მა-თხ-ოჯ.

ამ სიტყვის ეტიმოლოგიისა და მეგრულიდან სესხების გარდა, საინტერესოა ქართულში მისი გავრცელების გზების გათვალისწინებაც. პირვანდელი მნიშვნელობით ('მათხოვარი') იგი შეუნარჩუნებია დასავლური კილოების კვებაზე ეარქაულ ერთეულს—რაჭულს (ისიც რელიქტურად); ზემოიმერულის გზით უნდა შესულიყო ქართლურშიც, მაგრამ აღმოსავლურ კილოებში მისი გავრცელების არე არაა ფართო: მთიანმა ქართლმა (ქსნის ხეობა...) ეგ-სიტყვა არ იცის; მკვიდრია ბარის ქართლურში.

¹ პოეტ იოსებ დავითაშვილის 1881 წ. დაწერილ ერთ ლექს ქვემოთ უხის: ს. მათხოჯა („ლექსები“, სახელგამი, გვ. 102). უნდა ვიფიქროთ, ი. დავითაშვილი (რომელიც 1881 წ. ცხოვრობდა სოფ. მათხოჯში 6 თვის განმავლობაში, და არა „შემთხვევით გაუვლია“ იქ, როგორც ამას ფიქრობდა გამომცემელი: გვ. 99) წერს მათხოჯა-ს იმიტომ, რომ მის ენობრივ ცნობიერებაში მკვიდრი იქნებოდა ა-ნიანი ფორმა, რამდენადაც აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ეს სიტყვა გავგონებოდა პოეტს (თუმცა 'მახინჯის' მნიშვნელობით), სწორედ მათხოჯა (|| მათხოჯი) იხმარება, და ეს გადაიტანა სოფლის სახელადაც.

² რაჟდენ გვეტაძე, მოთხრობები, 1940, გვ. 102.

³ ლევ. მეტრეველი, ჯაგანი, 1936, გვ. 251.

⁴ ვ. თოფურიძე, ფუძედრეკად ზნათა სუფიქსაციისათვის: ტფილ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 228; ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის შრომები, I, თბილისი 1940, გვ. LIII—LVI.

სოფელს კი მათხოჯი მაშინ დაერქმეოდა, როცა იქ მეგრული მოსახლეობა იყო. დროთა ვითარებაში იმ ადგილებში იმერლობამ მოიკიდა ფეხი და სახელწოდება სოფლისა ძველი დარჩა. თუ რატომ დაერქვა ასეთი სახელი გეოგრაფიულ პუნქტს, ეს გარკვეული არაა¹.

ამგვარად, -ოჯ ფორმანტი დასტურდება კიდევ ერთ სიტყვაში—მათხოჯ-ში, რომელიც შემონახულია ქართულ მეტყველებაში, როგორც რელიქტური ფორმა. იგი საინტერესოა როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკური განვითარების მხრივ. ყურადღებას იქცევს ქართულში მისი გავრცელების გზებიც. მეგრულიდან შემოსული სიტყვა დასავლური დიალექტებიდან გზას იკაფავს აღმოსავლურ კილოებში. ეს ფორმა საგულისხმოა თვით ზანურის ისტორიისთვისაც, რამდენადაც სიტყვა მეგრულში არ შემონახულა.

¹ შავი ზღვის პირად გაშენებული ერთ-ერთი სოფლის სახელია მახინჯაური. თუ დამტკიცდა, რომ იგი ნაწარმოებია მახინჯ-სიტყვისაგან, ამას ერთგვარად მნიშვნელობა ექნება მათხოჯ-სიტყვის ისტორიისათვის: მეგრულში მახინჯ-ი (იმავე -ენჯ-ის შემცველი) 'მპარავს' ნიშნავს და ადიექტიური წარმოშობისაა. შემდეგ მას ქართულში მიუღია უარყოფითი—გადატანითი მნიშვნელობა ('მახინჯი'). ანალოგიურია მათხოჯ-სიტყვის ბედიც მეგრული ადიექტიური ფორმა, შემდეგ გასუბსტანტივებული (სოფლის სახელწოდება), ქართულში იძენს უარყოფითს, გაკილვის შინაარსს ('მახინჯი', 'უმგავსო', 'ულამაზო'). ჩანს, მათხოჯ და მახინჯაურ სიტყვათა გამოყენება ტოპონიმიკურ ტერმინად და მათი სემანტიკური განვითარებაც ერთმანეთის მსგავსია.

ვლადიმერ ვანკვიძე

მოკვლოვანი შესვდრეკისათვის უდური ენისა ქართულ- ქართველურ ენებთან *

უდური ენა გამოავლენს შეხვედრებს ქართულ-ქართველურ ენებთან როგორც სტრუქტურული ხასიათისას, ისე, რამდენადაც ეს ამჟამად შეიძლება ვივარაუდოთ, გენეტიური ხასიათისასაც.

შედარებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა, ცხადია, გენეტიური შეხვედრები, მაგრამ საყურადღებოა საერთო ელემენტების გამოვლენა ავებულების მიხედვითაც, რამდენადაც აქ გვეძლევა მითითება ერთგვარ ენობრივ აზროვნებაზე დასახელებულ ენებში.

შესადარებელი მოვლენები განხილულია სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით. ცხადია, აქ არაა გათვალისწინებული ყველა შესაძლებელი შეხვედრა, რამდენადაც ამ ენათა ისტორია, — განსაკუთრებით უდურისა, ჯერჯერობით სრულად არ არის შესწავლილი. აქ განხილულია ისეთი ფაქტები, რომელნიც კვლევის თანამედროვე საფეხურზე გამოვლინდებიან.

* * *

I. სტრუქტურული ხასიათის შეხვედრები უდურისა ქართულ-ქართველურ ენებთან შეიძლება შემდეგ მოვლენებში დავინახოთ:

A. ხ ა ხ ე ლ ე ბ შ ი

1. უდურ ენაში ქართველურ ენათა მსგავსად არის ერთი ბრუნება, სახელდობრ, თითოეულ ბრუნვას აქვს ერთი ფორმანტი; იგივე ფორმანტი მეორდება მრავლობით რიცხვშიც. უდური ენის მკვლევრებს სხვაგვარად წარმოუდგინათ საქმის ვითარება: ისინი ვარაუდობდნენ რამდენიმე ნიშანს ცალკეული ბრუნვისათვის, ხოლო მრავლობითში სულ სხვაგვარ ბრუნებას¹. ნამდვილად კი ნიშანთა ნაირსახეობა აიხსნება ფონეტიკური პროცესებით, რის საფუძველზე

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესიაზე 20 ოქტომბერს 1941 წელს.

¹ ა. შიფნერი, Versuch über die Sprache der Uden, §§ 46—50; ა. დირი, Грамматика удинского языка, გვ. 13—21.

შესაძლებელია ძირითადი ნიშნების გამოყოფა. გამონაკლის წარმოდგენს ნათესაობითი ბრუნვა, რომელშიც დასტურდება რამდენიმე ნიშანი—მორფოლოგიურად დამოუკიდებელი გენეზისისა. მაგრამ გაირკვა, რომ აქაც შეიძლება საერთო საწყისი მოიხსნას¹. ამისდა მიხედვით უდურში გამოიყოფა ბრუნვათა შემდეგი ძირითადი ნიშნები:

სახ. ნული

მოთხ. -ენ || -ინ

ნათ. I -ი || -ინ (-ნ-ინ); II. -აჲ (-ნ-აჲ), -ეჲ (-ნ-ეჲ); III. -უნ (-ნ-უნ)

მიც. I -ა (|| -ე, -ნ-ა, -ნ-ე, -უ, -ნ-უ, -ო)

მიც. II -ახ (-ეხ, -ნ-ახ, -ნ-ეხ, -უხ, -ნ-უხ, -ოხ)

დანარჩენი ბრუნვებიც მთლიანად იმეორებენ საერთო ვითარებას.

ანალოგიური მოვლენა გვაქვს ქართულსა და საერთოდ ქართველურს ენებში, რაც საყოველთაოდ ცნობილია².

2. ქართველურ ენათა მსგავსად მრავლობითი რიცხვი უდურში იწარმოება აგლუტინაციური პრინციპის მიხედვით: მრავლობითს აქვს საკუთარი ფორმანტები: -ურ, -უხ, -ურ-უხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ, რომელნიც დაერთვიან მხოლობითის სახელობითის ფუძეს, შემდეგ კი ემატება მხოლობითში დადასტურებული ბრუნვის ნიშნები; მაგალითად:

	მსოლ. რ.	მრავლ. რ.
სახ.	ლარ შვილი	ლარ-მუხ
მოთხ.	ლარ-ენ	ლარმულონ (- ლარ-მუხ-ენ)
ნათ.	ლარ-ი	ლარმულოჲ (- ლარ-მუხ-აჲ)
მიც. I	ლარ-ა	ლარმულო (- ლარ-მუხ-ა)
მიც. II	ლარ-ახ	ლარმულოხ (- ლარ-მუხ-ახ)

ბრუნების პროცესში გასათვალისწინებელია რამდენიმე ფონეტიკური მოვლენა; სახელდობრ, აქ მოქმედებს სამი ფონეტიკური კანონი: ა. ხმოვანთა რედუქციისა, ბ. თანხმოვანთა გამჟღავნებისა და გ. ხმოვანთა ასიმილაციისა³. აღსანიშნავია, რომ უდურის მკვლევრებს ბრუნების პროცესი მრავლობითში სხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი. მაგალითად, ვ. შიფერი წერდა: „Im Plural haben alle obliquen Casus den Charakter **ლო** gemeinsam und an diesen treten die einzelnen Endungen; nackt tritt er in Datif auf“...⁴

ამგვარადვე ესმოდა საქმის ვითარება ა. დირს⁵. ნამდვილად კი უდურშიც ბრუნების პროცესი ერთგვარია მხოლობითსა და მრავლობითში.

¹ ჩვენი: სახელთა ბრუნებისათვის უდურ ენაში: ენიშვის მოამბე, ტ. I; ნათესაობითის შესახებ—ჩვენი: ნათესაობითი ბრუნვის ნიშანთა გენეზისისათვის უდურ ენაში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 5, გვ. 567 შმდ.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 47 შემდ.: არნ. ნიქობაძე ა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 43 შმდ.

³ ჩვენი: სახელთა ბრუნებისათვის... ენიშვის მოამბე, ტ. I, გვ. 132—135.

⁴ ა. შიფერი, Versuch, § 63.

⁵ Грамматика, გვ. 22.

3. უღურში დადასტურებულია მოთხრობითი ბრუნვა, რომელსაც, შართალია, ფორმანტი საერთო აქვს მოქმედებით ბრუნვასთან, მაგრამ გვიჩვენებს ქართველური ენების მოთხრობითის ანალოგიურ ფუნქციებს: ისიც გამოხატავს რეალურ სუბიექტს გარდამავალ ზმნასთან.

მაგალითად:

ფაშქალ-ენ (Erg.) ფინე ბილიჯინახ—მეფემ უთხრა ბრძენს

რუსტამენ (Erg.) ეხნე შეტუხ—რუსტამი ეუბნება მას...

ქართულთან შედარებით უღურში ამ ბრუნვას გააჩნია ის თავისებურება, რომ იგი თანაბრად იხმარება ყველა დრო-კილოსთან, ქართულში კი მხოლოდ II სერიის დრო-კილოებთან. სამაგიეროდ ქანური მხარს უჭერს უღურს ამ მხრივ¹.

4. საყურადღებოა მიცემითი ბრუნვის ფუნქცია უღურში. ქართულში მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტი. უღურშიც დასტურდება მსგავსი მოვლენა: მიცემითშია პირდაპირი და ირიბი ობიექტი.

მაგალითად:

ვაა დაყანები. კაწკაყუნ ბუთუნ ააღულო (მიც. I) ვიჭლემა
(მთ 2, 16)—და გაგზავნა, დახოცონ ყველა ყმაწვილი ბეთლემს

ვაა ეხნე შოტუ (მიც. I) (მთ 4,6)—და ეუბნება მას...

მსგავსივე ფუნქციით უღურში იხმარება მეორე ბრუნვაც, რომელიც უღურის მკვლევართა მიერ მიჩნეული იყო აკუზატივად და რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ მიცემით II-ს. ამ ბრუნვის ნიშანია -ახ. იგი საყოველთაოდ ავრცელებულია ვართაშნულში, ნიჯურში კი მისი ხმარება შეზღუდულია.

5. მაგალითად:

რუსტამენ მეტა ბეხ (მიც. II) ჩუქსანე (R 11:)—რუსტამი მის თავს
გლეჯს

ზუვახ (მიც. II) თაზდესა თანგა (Грам. 63:)—მე შენ გაძლევ ფულს...

ნიჯურში ეს ბრუნვა ნაშთის სახით გვხვდება ზმნის უღვლილებაშიც მიცემით-სუბიექტიანი ზმნის პირის ნიშანთა ეკვივალენტად. სახელდობრ, „ყოფნა“ || „ქონება“ ზმნის უღვლილებაში²:

ზახპუ (—ზახ-ბუ) — „მაქვს“

ვახპუ (←ვახ-ბუ) — „გაქვს“ და ა. შ.

ვართაშნულისა და ნიჯურის მონაცემები გვაფარაუდებინებს, რომ წარმოშობით ეს ბრუნვა აგრეთვე მიცემითი უნდა იყოს და ინდოევროპულ ენათა აკუზატივისგან პრინციპულად განსხვავდება. ამდენად აკუზატივი გენეტუ-

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 103, 104.

² ჩვენი: მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურში: ენიშკის მოაზრებ, ტ. XII, გვ. 66 შმდ.

რად უცხოა უღური ენისათვის და იგი გვიჩვენებს კავკასიურ, კერძოდ ქართველურ, ენათათვის დამახასიათებელ ვითარებას¹.

5. ჩვენებითი ნაცვალსახელი უღურში გვაძლევს მითითებას იმგვარადვე, როგორც ეს ქართველურ ენებშია. მითითება მოცემულია ცალკე პირებთან მიმართებით: მე || მ ე ნ ო — ესე, ქ ა || ქ ა ნ ო — ეგე, ტ ე || შ ე ნ ო — იგი. ამასთან ჩვენებითი ნაცვალსახელი უღურშიც ავსებს პირთა ნაცვალსახელის დანაკლისს III პირში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უღურში ჩვენებითი ნაცვალსახელი გვიჩვენებს ორ სახეს — ს რ უ ლ ს ა და შ ე ე კ ვ ე ც ი ლ ს. სრული სახის ფუძე მხოლოდობითი რიცხვის სახელობითში გართულებულია -ნე დ ე-ტ ე რ მ ი ნ ა ნ ტ ი თ, რომელიც თავისი მხრით უნდა წარმოადგენდეს III პ. ნაცვალსახელურ ფუძეს: * მე-ნ ე-ო, * შ ე-ნ ე-ო, * ქ ა-ნ ე-ო. ეს -ნე დადასტურებულია ზმნის უღვლილებით. სრული სახე წარმოდგენილია მაშინ, როცა ეს ნაცვალსახელი დამოუკიდებლად იხმარება (ამ შემთხვევაში იბრუნება კიდევაც), ხოლო შეკვეცილი, როდესაც იგი მსაზღვრელის როლში გვევლინება (ბრუნებისას უცვლელი რჩება).

მაგალითად:

სახ.	მენო მონო — ეს	შე აღამარ ეს კაცი
მოთხ.	მე-ტ-ინ	შე აღამარ-ენ
ნათ.	მე-ტ-ა.ე	შე აღამარ-ი და სხვ.

მსგავსი მოვლენა გვაქვს მეგრულში, სადაც ასეთ დეტერმინანტად გამოიყენება -ნა და ამ ნაცვალსახელთა გამოყენებაც ანალოგიურია.

მაგრამ ანალოგია შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს: სადეტერმინაციო ელემენტი -ნ || -ნა გამოიყოფა ქართულშიც პიოთა ნაცვალსახელებში და ა.ა.ა. კანურში (ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში) ჩვენებით ნაცვალსახელში². სავარაუდოა, რომ უღურ პირთა ნაცვალსახელებშიც დადასტურდეს მსგავსი დეტერმინანტი, თუმცა ამჟამად იგი გაცვეთილია და აღარ ჩანს ნათლად³.

B. ზ მ ნ ა შ ი

სტრუქტურული შეხვედრები მჟღავნდება ზმნის კატეგორიათა მიხედვითაც; სახელობრ:

6. უღურში ზმნა იცვლება პირის მიხედვით და გამოავლენს სათანადო პირის მაჩვენებლებსაც. მაგრამ საყურადღებოა, რომ პირის აღნიშვნის თვალსაზრისით უღურში გვაქვს ზმნათა ორი ჯგუფი: I ჯგუფში შედის ის ზმნები, რო-

¹ ჩვენი: აკუზატივის გენეზისისათვის უღურ ენაში: ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 73, 74.

³ ამ დეტერმინანტთა შესახებ ჩვენი: მხ. რ. 3 პ. ნაცვალსახელოვანი -ნე || -ტუ უღურში ენიმკის მოამბე, ტ. X, 1941.

მელთა სუბიექტი სახელობითში ან მოთხოვნილობითში ა; უღვლი-
ლებისას ისინი ფორმდებიან სათანადო პირის ნიშნებით¹:

ამათ უპირისპირდება მეორე ჯგუფი: აქ შემოდის ისეთი ზმნები, რომელ-
თა სუბიექტი დაისმის მიცემითში და პირის ნიშნებიც შესატყვისა-
დაა წარმოდგენილი; მაგალითად:

ზა	ა-ზა-კსა	მე ვხედავ (მიჩანს). და. ა. შ.
ვა	ა-ვა-კსა	
შოტუ	ა-ტუ-კსა	
და	ა-და-კსა	
ვაა	ა-ვაა-კსა	
შოტლა	ა-ჟო-კსა...	

ამ ჯგუფს განეკუთვნება თხუთმეტიოდე ზმნა. შინაარსეულად ისინი უმ-
თავრესად გამოხატავენ გრძობებს, სურვილს და სხვა².

ეს ზმნები შესაძლებელია შევეუპირისპიროთ ქართულ-ქართველურ ენათა-
ინვერსიულ ზმნებს, რომლებთანაც რეალური სუბიექტი აგრეთვე მიცე-
მით ბრუნვაშია და ზმნაში წარმოდგენილია ინვერსიულად—ობიექტის პირის
ნიშნებით. პრინციპულ განსხვავებას ჰქმნის ოლონდ ის, რომ უღურში ეს ზმნე-
ბი მხოლოდ ერთპირიანებია. მაგრამ უღურში გამოყოფა დადასტურე-
ბული ორგვარი სუბიექტისა და ამის შესაბამისად ზმნის გაფორმე-
ბა სათანადო პირის ნიშნებით მნიშვნელოვანი მონაცემია: ხომ არ შეიძლება ამ
ფაქტში დავინახოთ განვითარების გარკვეული ტენდენცია (თუნდაც შეწყვეტი-
ლი გარკვეულ მომენტში) ორპირიანობის ჩასახვისა და ამის მიხედვით სუბიექ-
ტური და ობიექტური პირების ჩამოყალიბებისა (სათანადო პირის ნიშანთა დი-
ფერენციაციისა)³.

7. ყურადღებას იქცევს ფუძის წარმოება უღურში დრო-კილოთა მიხედ-
ვით: აქაც ისეთივე პრინციპია, როგორც ქართულ-ქართველურ ენებში, ოლონდ
უღურში ვითარება გაცილებით მარტივია. უღურში გამოიყოფა ფუძის მიხედ-
ვით დრო-კილოთა სამი სერია. I სერიაში ფუძე წარმოდგენილია სრული სა-
ხით: საწყისი ფორმის -უნ აფიქსის მოკვეციტ და ცალკე საწარმოებელი -ეს
ბოლოსართის დაცვით. ამ სერიაში ორი დროა: აწმყო (-ა სუფიქსით) და ნამ-
ყო უწყვეტელი (აჲ-ა-ი სუფიქსით).

II სერიაში ფუძე გვევლინება უმარტივესი სახით, არ ჩანს I სერიის -ეს
ელემენტი. აქ შედის 10-მდე დრო-კილოს ფორმა; მათ შორის აორისტი I (-ი
სუფიქსით), აორისტი II (-ე სუფიქსით), რამდენიმე კავშირებითი და სხვა.

¹ ჩვენი: К вопросу о взаимоотношении диалектов удинского языка: საქ. სსრ მეცნ-
აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, გვ. 208—10.

² ჩვენი: მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღურში: ენიკის მოამბე, ტ. XII.

³ ზმნის ინვერსიის შესახებ ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფ., გვ. 189 შემდ.; ა. ჩიქო-
ბავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 93—4.

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებულია სხვა საკითხებიც, რომელთა განხილვა აქ
უადგილო იქნებოდა.

III სერიაში ფუძედ გამოყენებულია აწმყო-მყოფადის მიმღეობა, რომელსაც, ვვარაუდობთ, უნდა ერთოდეს მეშველი ზმნა; -ეს ელემენტი აქაც არ მოიპოვება. ამ სერიაშიც მხოლოდ ორი ფორმაა: მყოფადი II და პირობით-ნატურითი II¹.

ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ქარ-ხ-ეს-უნ (ცხოვრება).

I სერია აწმყო: ქარ-ზუ-ხ-ს-ა (ქარ-ზუ-ხ-ეს-ა) (ცხოვრობ)

II სერია აორისტი I: ქარ-ზუ-ხ-ი (ფიცხოვრე)

III სერია მყოფადი II: ქარ-ხ-ალ-ზუ (- *ქარხ-ალ-+ზუ-ბუ). (ფიცხოვრებ

ყურადღებას იპყრობს I და II სერიის დაპირისპირება; სახელდობრ, -ეს ელემენტი თითქოს იმგვარსავე ფუნქციას ასრულებს, როგორსაც ქართველურ ენებში თ ე მ ი ს ნიშნები, ოღონდ გასათვალისწინებელია განსხვავებაც, რადგანაც ქართველურ ენებში შეუდარებელივ რთული ვითარებაა, უდურში კი მეტად მარტივი: ვლინდება მხოლოდ ერთი ფორმანტი².

საკითხი დაზუსტდება, როდესაც გაირკვევა ამ -ეს სუფიქსის გენეზისი და ანალოგიური მოვლენები სხვა კავკასიურ ენებში.

8. უდურში დადასტურებულია კავშირებითის გადმოცემა ნაწილაკით, რაც ზედმიწევნით ემთხვევა წარმოების პრინციპის მიხედვით ძველ ქართულში კავშირებითის გამოხატვას -მცა ნაწილაკით. როგორც ცნობილია, -მცა ნაწილაკი ძველ ქართულში დაერთოდა თხრობითი კილოს ფორმას და მას აქცევდა კავშირებითად³. მაგალითად:

რაათამცა მოკლეს იგი—რაათა მოკლან იგი.

უდურშიც ასეა: გამოყენებულია ნაწილაკი -ყა, რომელსაც მიერთვის პირის ნიშანი და მხოლიანად დაერთვის აორისტი I-ის ფორმას⁴. მაგალითად:

მხოლ. რ. 1 ქარ-ყა-ზ-ხ-ი (ფიცხოვრე-მცა) და ა. შ.

2 ქარ-ყა-ნ-ხ-ი

3 ქარ-ყა-ნ-ხ-ი

მრავლ. რ. 1 ქარ-ყა-დან-ხ-ი

2 ქარ-ყა-ნან-ხ-ი

3 ქარ-ყა-ყუნ-ხ-ი

ბართა, თამ-ყა-ნ-ბაქი ბიხლონ ფიო ფეხამბარი შუზინ (მთ 2, 15) დაე, აღსრულდეს ღვთის ნათქვამი მოციქულის ენით

აჲ, ვი კაჯუხ-ყა-ნ-მაწი ბაქი—დაე, შენი წვერი გათეთრდეს (დალოცვა)

¹ ჩვენი: დრო-კილოთა წარმოების პრინციპებისათვის უდურ ენაში: საქ. სსრ მეცნ. აკად. შოამბე, ტ. IV, 2, გვ. 174 შმდ.

² მნიშვნელოვანია ის, რომ ქართველური ენებიც სხვადასხვა ვითარებას გვჩვენებენ. (იხ. არნ. ჩიქობავა, კან. გრამ. ანალიზი, გვ. 131).

³ ა. შანიძე, „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში: პრომეთე, № 1, გვ. 79; მისივე ძეგ. ქართ. ენა..., გვ. 310.

⁴ ჩვენი: ნაწილაკივანი კავშირებითი უდურ ენაში: საქ. სსრ მეცნ. აკად. შოამბე, ტ. III № 3, გვ. 853 შმდ.

9. რამდენადმე ქართულის ანალოგიურია ბრძანებითის წარმოება უღურ ენაში. აქაც ბრძანებითს საკუთარი ფორმა არა აქვს; იგი სესხულობს ფორმას კავშირებითი I-ისაგან (მისი საწარმოებელი -ა სუფიქსით) და ჩამოაშორებს პირის ნიშანს. მაგალითად:

გავშირებითი I	ბრძანებითი
ქარ-ხ-ა-ზუ 'ვიცხოვრო';	
ქარ-ხ-ა-ნუ 'იცხოვრო' და ა. შ.	ქარ-ხ-ა! 'იცხოვრე!'
ქარ-ხ-ა-ნე	
ქარ-ხ-ა-ან	
ქარ-ხ-ა-ნან	ქარ-ხ-ა-ნან. 'იცხოვრეთ!'
ქარ-ხ-ა-ყუნ	

ბრძანებითის მრ. 2 პირში, მართალია, რჩება -ნან, მაგრამ ის უნდა წარმოადგენდეს აქ არა პირის ნიშანს, არამედ ოდენ რიცხვის აღმნიშვნელს (როგორც ეს ქართულშია).

10. უღურში გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნა იმგვარადვე, როგორც ქართველურ ენებში; ეს გარჩევა ხერხდება სინტაქსური საშუალებებით, მორფოლოგიურად კი თუმცა არის გარკვეული ნიშნები, მაგრამ შეიმჩნევა მერყეობა. გარდამავალი ზმნა სუბიექტს მოითხოვს მოთხოვნიტ ბრუნვაში (ერგატივში), გარდაუვალი კი ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი, ანგვარი კონსტრუქცია თანაბრად დასტურდება ყველა დრო-კილოსთან. მაგალითად:

შონო (ხან.) თანესა 'ის მიდის'

შონო (ხან.) თანეცი 'ის წავიდა'

კოკოწენ (მფთხ.) ლენახ სა ვოვლა-ნე-ლახსა 'ქათამი ყოველდღე ერთ კვერცხს დებს'

შეტინ (მფთხ.) ბინეხე ლარ მან შობა ძე.

უღური ამ მხრივ იმეორებს ქანურის ვითარებას¹. რაც შეეხება მიცემით-სუბიექტიან ზმნებს, უღურში შეინიშნება ტენდენცია, რომ ისინი სინტაქსურად გაუთანაბრდნენ გარდამავალ ზმნებს.

ასეთია ზოგადად უღურის შეხვედრები ქართულთან აგებულების მიხედვით და ისიც მხოლოდ ძირითად მოვლენებში.

II. უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის მონაცემები უღური ენისა, რომელთაც პარალელი მოეპოვება ქართულ-ქართველურ ენებში არა მარტო სტრუქტურულად, არამედ ფონეტიკური თვალსაზრისითაც, რაც გვაგვარაუდებინებს გენეტიურ ურთიერთობას ამ ენებისას (ცხადია, ზოგადი კავკასიური ვითარების).

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 105—106.

გათვალისწინებით). ამ ხასიათის შეხვედრები დასტურდება როგორც სახელის, ისე ზმნის მორფოლოგიაში. სახელდობრ, გვაქვს:

A. ს ა ხ ე ლ შ ი

1. ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ნიშანია უღურში -ინ. მაგალითად:

საწ. კოკლა ყვერცხი	კოჯ. სახლი
ნათ. კოკლ-ინ	კოჯ.-ინ ¹

გამოთქმულია მოსაზრება სწორედ -ინ ფორმანტის არსებობის შესახებ ქართველურ ენებშიც: „ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ს ს უ ფ ი ქ ს ი ყ ო ფ ი ლ ა ა დ-რ ი ნ დ ე ლ ს ს ვ ა ნ უ რ შ ი -ინ, და მოცემითისა -ნ“². რამდენადაც სხვა კავკასიურ ენებშიც გამოვლინდება მსგავსი ფორმანტი (-ინ, -ნ), უღურის შეხვედრა ქართულთან ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობის მქონეა.

2. მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად უღურში დასტურდება რამდენიმე ფორმანტი: -ურ, -უხ, -ურ-უხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ.

მაგალითად:

კოჯ.-ურ		კოჯ.-ურ-უხ	სახლები
ღარ-მუხ			ძენი
ადამარ-უხ			კაცები...

ამ ფორმანტებში ძირითადია -ურ და -უხ³, რომელნიც ხან ცალკე იხმარებიან, ხან კი ერთად. ორივე ფორმანტი პოულობს პარალელს სევანურ ენაში, სადაც -ურ-ის შესაბამისი ჩანს სახელებში -არ, ხოლო -უხ-ისა ზმნის ფორმებში -ხ. -ურ-ის შესატყვისი ფორმანტები ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე დაღისტნის ენებში, ხოლო -უხ-ისა—აფხაზურ-ადიღეურ ენებში⁴.

3. როგორც აღბნიშნა, უღურ ჩვენებით ნაცვალსახელებში (პირთა ნაცვალსახელებშიც) გამოიყოფა დეტერმინანტი -ნე, რომელიც გენეტურად უნდა იყოს პირის ნაცვალსახელი⁵.

ანალოგიური ფონეტიკური მონაცემები მსგავსი ფუნქციით გამოყოფილია ქართველურ ენებში; სახელდობრ, არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „დიალექტებში შენახული მ ე ნ ა ს რ უ ლ ი ა ნ ა ლ ო გ ო ნ ი ა შ ე ნ ა -ს ი და მრავლობითი ჩ ვ ე ნ ა და თ ქ ვ ე ნ ა -ს თ ა ნ ერთად საბუთს იძლევა, ყველგან გამოიყოს სადეტერმინანციო -ნა ელემენტი“... მეგრულშიც „... მსაზღვრელად ხმარებისას

¹ ჩვენი: ნათესაობითი ბრუნვის ნიშანთა გენეზისისათვის უღურ ენაში: საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 5, გვ. 567.

² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნ და ჰ ფ ე ნ ბ ის ა თ ვ ის ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ე ბ შ ი: საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, გვ. 190.

³ რაც შეეხება -მ ე ლ ე მ ე ნ ტ ს, მისი რაობა ცალკე რკვევას მოითხოვს.

⁴ ა. დ ი რ ი, Einführ., გვ. 40—41 შემდ.

⁵ ჩვენი: მხოლ. რ. ნაცვალსახ.-ნე || -თუ უღურ ენაში: ენიმკის მოამბე, ტ. X, გვ. 262 შმდ

ჩვენებითს სახელს -ნა ეკვეცება... -ნა ნაწილაკი ასეთივე (თუ იგივე) სადეტერმინაციო ელემენტი ჩანს, რაც მ. ე. ნ. ა, შე. ე. ნ. ა, ჩ. ვ. ე. ნ. ა, თ. ქ. ვ. ე. ნ. ა-ში გამოვყავით¹.

ამგვარი დამთხვევა -ნე და -ნა ფორმანტებისა საყურადღებოა, ოღონდ გამოსარკვევია ხმოვნითი ელემენტების (უღ. ე, ქართვ. ა) ურთიერთობა.

4. ამავე ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვებში უღურში დასტურდება მეორე დეტერმინანტი -ტ-, რომელიც ვლინდება ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის და რომელიც აგრეთვე პირვანდელ პირის ნაცვალსახელურ ფუძეს უნდა წარმოადგენდეს. იგი გვხვდება ზედსართავსა და რიცხვით სახელებშიც და ზმნის უღვლილებში, როგორც 3 პირის ნიშანი².

მაგალითად:

სახ.	შენო- შონო იგი	მაწი-ო თეთრი,
მოთხ.	შე-ტ-ინ	მაწი-ტ-ინ
ნათ.	შე-ტ-აჲ	მაწი-ტ-აჲ
მიც.	I შე-ტ-უ	მაწი-ტ-უ
მიც.	II შე-ტ-უხ	მაწი-ტ-უხ...

-ტ- უნდა მომდინარეობდეს მეღერი -დ-საგან, როგორც ამას გვაგარაუდებინებს დალისტნის ენათა მონაცემები. მაგალითად:

ტაბას. დუ-მუ იგი—დუ-ყრე ისინი (ა. დირი, Einfähr., გვ. 270)

ლეზგიური: Erg. აჲ მან (გვ. 289), საერთოდ ერგატივის დი.

ბულუხ. ად იგი: III—IV კლ.

ქართველურ ენებში არის ამის შემხვედრი ფაქტები. პირველ რიგში გვაგონდება არნ. ჩიქობავას დასკვნა მეგრულისა და ჭანურის შესახებ: „მეგრულში მონაწილეობს ნაცვალსახელური ძირი -თ-, ქართული -ს- და -გ-ს ბადალი ფუნქციურად (შდრ. ა-თ-ე, ე-ს-ე, ე-გ-... ე-თ-ი, ი-ს-ი, ი-გ-ი)“ და შემდგომ: „მხოლოდობითში ეს თ-იანი სახელები ჭანურმა დაკარგა: მათი ადგილი დაიჭირი ჰა-ჲა, ა-ჲა, ჰე-ჲა, ე-ჲა-მ. მაგრამ მრავლობითში ჯერ კიდევ ცოცხლობს მხოლოდობითში დაკარგული -თ“. დასასრულ: „თ ელემენტი კი ჯერჯერობით განმარტოებით დგას ქართველური ენების სინამდვილეში. მას მეგრულსა და ჭანურში აქვს ადგილი (იხ. ქვემოთ) და უცხო გარემოდან შეთვისებულის შთაბეჭდილებას ტოვებს“³.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ძირი გამოყოფილია ქართულ ზმნისართებში: მა-დ-ა, სა-დ-ა...⁴

¹ არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალ., გვ. 72, 74.

² ჩვენი: მხოლ. რ. 3 პ. ნაცვალსახ. -ნე || -ტ-უ უღურ ენაში, გვ. 266.

³ არნ. ჩიქობავა, ჭან. გრამ. ანალ., გვ. 82, 74.

⁴ არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, გვ. 174.

სვანურშიც იგივე -დ დადასტურებულია ერგატივის ნიშნად¹:

ა. კითხვით წინადადებაში უღურში გვხვდება ნაწილაკი -ა, რომელიც ჩვეულებრივ დაერთვის კითხვით სიტყვას და გამოხატავს კითხვას. მაგალითად:

ში-ა ქა ბოხო ბისი ხანჯალ? ვისია ეს გრძელი ძველი ხანჯალი?

ეტოხო-ა პურე? რისგან მოკვდა?

ზახ უფა: ეტინ-ნ-ქარხესა-ა? მე მითხარ: რით სცხოვრობ?

-ა ნაწილაკი ისეთივეა, რაც ძველ ქართულსა და კილოებში დადასტურებული -ა კითხვითი ნაწილაკი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქართულში იგი მაშინ იხმარება მხოლოდ, როცა წინადადებაში კითხვითი სიტყვა არაა².

ბ. წ მ ნ ა შ ი

სახელის მსგავსად უღურ ზმნაშიც მოინახება ისეთი ელემენტები, რომელთა ანალოგიური მოვლენები ქართულ-ქართველურშიც გვხვდება.

1. მრავლობითი რიცხვის. III პირში უღურში გამოყენებულია ფორმანტი -ყუნ || -ყო. ამათგან -ყუნ აღნიშნავს მოთხრობით-სახელობითში დასმული სუბიექტის მრავლობითობას, -ყო კი მიცემითისას. მაგალითად:

ჩობანლონ აკესხოლონ კალყუნენხა იჩულო ტოლოლო, თაყუნდესა. შუმ, მუჭანაყ — მწყემსები დანახვისთანავე უძახიან თავისთან, აძლევენ პურს, რძეს...

სრვდაქარლობ შოტლობ თე აყო-ქსა, აყოყუნესა — ფაქრები იმათ რომ ხედავენ, ჰკვირდებიან...

თუ რა არის ძირეული ამ ფორმანტში, ჯერ კიდევ სარკვევია; წინასწარი ვარაუდით გამოიყოფა ყუ. იგი გარკვეულ კავშირში უნდა იყოს ქართული ენის კილოებში დადასტურებულ -ყე ნაწილაკთან, რომელიც აღნიშნავს უპირველეს ყოვლისა მიცემითით გადმოცემული ო ბ ი ე ქ ტ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ა ს³. ქართულ ფორმანტს რამდენადმე უკავშირებენ სვანურ-აფხაზურ-ჩერქეზულ მრავლობითის ფორმანტებს (სახელში და ზმნაში). ამათ რიგში დგება უღურის -ყუნ || -ყო-ც⁴.

2. უღურში დადასტურებულია აორისტის ორთ ფორმა, რომელნიც ამჟამად ფუნქციით ერთგვარობას იჩენენ, ფორმანტებით კი განსხვავდებიან. აორისტი I-ის ნიშანია -ი სუფიქსი, ხოლო აორისტი მეორისა — ე. -ი სუფიქსივე გამოყენებულია ფორმანტებში ნამყო უწყვეტლისა, ნამყო წინარეწარსულისა და ნამყო ს კავშირებითების საწარმოებლად.

¹ არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 172, § 4. საყურადღებოა დასკვნა: „მოთხრობითის ნიშანი წარმოშობით ნაცვალსახელობითი ძირი უნდა იყოს; ეს თანაბრად ეხება როგორც ქართულის -ნ-ს, ისე ჭანურისა და მეგრულის -ქ-ს და სვანურ -დ-ს“: იქვე, გვ. 173, § 7.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ძვ. ქართ. ენა., გვ. 310.

³ არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში...: წელიწდეული, I—II, გვ. 32 შმდ.

⁴ ჩვენი: მრავლ. რ. მესამე პირის აფიქსები -ყუნ || -ყო უღურ ენაში: ენიშის მოამბე, ტ. XII, გვ. 75 შმდ.

მაგალითად: მანდესუნ 'დარჩენა'

- | | |
|-----------------|------------------------|
| a. 1 მან-ზუ-დ-ი | b. მან-ზუ-დ-ე 'დავრჩი' |
| 2 მან-ნუ-დ-ი | მან-ნუ-დ-ე |
| 3 მან-ნე-დ-ი | მან-ნე-დ-ე... |

უღუბრი -ი ფორმანტის შესატყვისს უნდა წარმოადგენდეს ქარა. -ი, მეგრ -ი და ჰან. -ი, საკითხი ისმის უღ. -ე-სა და ქართ.-მეგრ. -ე-ს ურთიერთობის შესახებ. საყურადღებოა, რომ -ი სუფიქსი პეგრ სხვა კავკასიურ ენაში დასტურდება სხვადასხვა სახის ნამყოს საწარმოებლად¹.

მ. კავშირებით I-ს უღუბრში აწარმოებს -ა სუფიქსი; კავშირებით I კი საფ უძვლად უძევს კავშირებით II-საც (იწარმოებიან II სერიის ფუძით)².

მაგალითად:

- | | |
|---------------------------|----------------------|
| Con. I მან-დ-ა-ზ 'დავრჩე' | Con. II მან-დ-ა-ზუ-ჲ |
| მან-დ-ა-ნუ | მან-დ-ა-ნუ-ჲ |
| მან-დ-ა-ნე... | მან-დ-ა-ნე-ჲ |

-ა აწარმოებს კავშირებითს ქართულ-ქართველურ ენებშიც; სახელდობრ, ქართ. კავშ. II, ჰან. კავშ. I-სა და II, მეგრ. კავშ. II³.

4. აწყო-მყოფადის მიმღობას უღუბრში ახასიათებს -ალ სუფიქსი (გამოქყენებულია II სერიის ფუძე).

მაგალითად:

- | | |
|----------------------|----------------|
| მანდ-ალ მანდ-ალ-ო | 'დასარჩენი' |
| ქარხ-ალ ქარხ-ალ-ო | 'საცხოვრებელი' |

ქართულში მიმღობის წარმოება მრავალგვარია: „არსად ისე არ არის ერთმანეთში არეული სხვა-და-სხვა ყბოქისა და სხვა-და-სხვა კილოს ფორმები, როგორც მიმღობაში“—წერს ა. შანიძე⁴. გავრცელებული წარმოების გვერდით გვხვდება იშვიათი წარმოებაც, სადაც დადასტურებულია -ალ სუფიქსი. მაგალითად:

სა-მე-ალ-ი, სა-მსჭე-ალ-ი, და-მ-ბ-ალ-ი...

ისტორიულად ქართულ სახელთა წარმოებაში ფართოდ დასტურდება ეს -ალ, ნაწილობრივ მიმღობის ფუნქციითაც⁵.

აღნიშნული სუფიქსი ხვდება უღუბრის -ალ სუფიქსს.

6. ნაშთის სახით უღუბრში მოიპოვება კაუზატივის (resp. გარდამავლობის) საწარმოებელი -ეგ || -ვ ფიქსი. მაგალითად:

- | | |
|----------------------|-----------------------|
| ზერ-ესუნ 'ირთვება' | ბათ-კესუნ 'იღუპება' |
| ზერ-ეგ-კესუნ 'რთავს' | ბათ-ეგ-კესუნ 'ღუპავს' |

¹ G. Dumézil, Introduction... გვ. 92 შმდ.

² უღუბრში -ა ბოლოსართი აწარმოებს აწყო-ს-ა-ც, თუ იგი დავრთვის I სერიის ფუძეს.

³ არნ. ჩიქობავა, ჰან. გრამ. ანალ., გვ. 139, 142.

⁴ ქართ. გრამატიკა, ტფილისი 1930, გვ. 186.

⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 20 შმდ.

ამის შესატყვისია ქართ. -ევ || -ივ თემის ნიშანი, რომელიც გარდამავლობისა და კაუზატიურობის საწარმოებელია¹. მხედველობაში გვაქვს: აკმ-ევ-ს, აც-მ-ევ-ს... და აკვლ-ევ-ინ-ებს... ფორმები.

თავის მხრივ ამ -ევ || -ივ ფორმანტთან კავშირში უნდა იყოს აგრეთვე ძე. ქართ. -ივ მოქმედებითის ნიშანი: ძლ-ივ-ს, ფრგ-ივ, ღმრთ-ივ...²

6. უღური ზმნის საწყის ფორმაში, რომელიც მკვლევართა მიერ მიჩნეულია ინფინიტივად, გამოიყოფა სუფიქსი -უნ³; მაგალითად: მანდ-ეს-უნ 'დარჩენა', ქარხ-ეს-უნ 'ცხოვრება'...

აღნიშნული ფორმა გვიჩვენებს ქართ. მასდარის თვისებებს: წარმოადგენს სახელს და იძლევა ბრუნვის ფორმებს, ამდენად შესაძლებელია ფორმანტ -უნ-ს შეფუპირისპირობა ქართ. სიტყვაწარმოებაში დადასტურებული -უნ ბოლოსართი. იგი გავრცელებულია ისეთ სიტყვებში, როგორიცაა:

კაკ-უნ-ი, ბრავ-უნ-ი, ხახ-უნ-ი, ხათქ-უნ-ი, თქლაფ-უნ-ი და ა. შ.

ამ სუფიქსის შესახებ ა. შანიძე შენიშნავს: „-უნ და -ან. ეს მაწარმოებლები განკერძოებით დგანან (ხაზი ჩვენია.—გ. ფ.) იმ მხრივ, რომ ისინი ზმნათა ფუძეებიდან აწარმოებენ სახელებს, თანაც ისე, რომ ფუძისეული ე (გრეხილი ზმნების ჯგუფიდან) ანად გადაიქცევა: ბერტყე-ა : ბარტყ-უნ-ი, რეკ-ა : რაკ-უნ-ი, ტყე-ა : ტყა-უნ-ი, ტკეც-ა : ტკაც-ან-ი, ლეწ-ა : ლაწ-ან-ი...“⁴ საყურადღებოა უღური -უნ-ის დამთხვევა ქართულის ამგვარსავე ელემენტთან.

* * *

ამგვარია ზოგიერთი მორფოლოგიური შეხვედრა უღური ენისა ქართულ-ქართველურ ენებთან იმ ძირითად მოვლენებში, რომლებიც შემჩნეულია. ცხადია, უღურის გარკვეულ უღურულ შესწავლა ამ თვალსაზრისით არა ერთსა და ორ ანალოგიურ მოვლენას გამოამჟღავნებს.

ამასთანავე შედარება უმთავრესად მიმდინარეობდა ორი ენის ხაზით. ჩვენ საშუალება არა გვქონდა ეს მონაცემები განგვეხილა კავკასიურ ენათა საერთო ფონზე. ეს კი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ შედარება სრულყოფილი იყოს. ასეთი მუშაობა მომავლის საქმეა.

¹ არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ თემის ნიშნები საერთოდ წარმოადგენენ „მოქმედებითი გვარის საწარმოებელ აფიქსებს“: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ენიშკის მოამბე, ტ. XII, გვ. 233.

² ჩვენი: კაუზატივის -ევ || -ვ უღურში: საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 5, 6.

³ ჩვენი: «ინფინიტივის» საკითხისათვის უღურ ენაში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 4.

⁴ ა. შანიძე, ქართ. გრამ., გვ. 60. აღსანიშნავია, რომ ტკაც-ან-ი, ლაწ-ან-ი-ს და სხვ. პარალელურად შეიძლება იხმარებოდეს ლაწ-უნ-ი, ტკაც-უნ-ი და სხვ.

ბერძნულ-ქართული სემასიური კარალელები *

1. ზომ-საბელი, ზომ-საზომი *χοινοιοι χοινοιοι*

ჩვენს ნარკვევში „ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები“ ნაჩვენებია, რომ ადიშის ხელნაწერში ორ ადგილას ნახმარია სიტყვა ზომი „საბელის“ მნიშვნელობით:

„უადვილეს არს ზომ-საბელისა განსლვად ჭურელსა ნემსისასა...“
(მკზ 10, 25)

„უადვილესა ზომთ საბლისაჲ ჭურელსა ნემსისასა განსლვად...“
(მთ 19, 24)¹

იგივე სიტყვა ზომ „ნავის მისაბმელი საბელის“ მნიშვნელობით ნახმარი აქეთ სომეხ მწერლებს (სებეოსს, ლევონდსა და ასოლიკს) და ჰრ. აქარიანის თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში სომხურ *ჟომ*-ს უკავშირებს ბერძნულ *ჯანჯა-ს*². ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ბერძნულ-სომხურ ფონეტიკურ შესატყვისობათა საფუძველზე, რომლებიც დადგენილად ითვლება ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკაში, ვაძნელდებოდა ჰრ. აქარიანის მიერ მოცემულს შესატყვისობის გამართლება, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სემანტიკურად *ჯანჯა* და *ჟომ* არც თუ იმდენად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ჰრ. აქარიანი, რასაკვირველია, ეტიმოლოგიურ კავშირს კი არ გულისხმობს ამ ორ სიტყვას შორის³; მას *ჟომ* ბერძნულიდან ნასესხებად მიაჩნია. ა. თუმბი⁴ საექვოდ თელის *ჟომ*-ის მომდინარეობას უშუალოდ *ჯანჯა*-დან; ის წერს: Unklar ist mir kironos... *ჯანჯა*; und *zom* (7.—8. Jahrh.) *ჯანჯა*; die Behandlung des Diphthongs entspricht weder griechischen noch armenischen Lautverhältnissen, და ფიქრობს, რომ შესაძლებელია *ჟომ* სომხურში შესულთ იყოს რომელიმე სხვა ენის მეშვეობით⁵.

ამეამად ვერაფერს ვიტყვით სომხურ *ჟომ*-ის წარმომავლობაზე, ხოლო რაც შეეხება ადიშის ხელნაწერში ნახმარ ზომ-ს („საბელის“ მნიშვნელობით),

* წაკითხულია მოხსენებად ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში 5 ივლისს 1945 წელს.

¹ ენიშკის მთაბზე, ტ. XIV (1944), გვ. 106.

² სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. II, გვ. 977.

³ ინდოევროპულ სიტყვათა შედარებისას *ჯანჯა*-ს მონათესავე *ჯაცი*-ის შესატყვისაჲ ჩვეულებრივ ასახელებენ სიტყვას *ჟაბ* („უღელი“), სადაც *ღ* აუხსნელი რჩება (Ém. Boisacq, Dict. étym. de la langue grecque, 1916, გვ. 311; A. Walde, Lat. etym. Wörterbuch, 1910, გვ. 397).

⁴ Die griechischen Lehnwörter im Armenischen: BZ, IX (1900), 402.

⁵ «man möchte daher vermuten, dass die Entlehnung ebenso wie bei *zoig*=syrisch *zauğa*=gr. *ჯანჯა* (Hübischmann, p. 302) durch eine andere Sprache vermittelt sei».

იგი, როგორც ეს დასტურდება ჩვენი უკანასკნელი დაკვირვებებით, ქართულში მკვიდრი სიტყვა უნდა იყოს, და „ზომ-საბელი“ სემანტიკურად დაკავშირებულია „ზომ-საზომთან“: საბელი=თოკი, იხმარებოდა რისამე გასაზომად და ერთი ცნების („საბელის“) აღმნიშვნელი სიტყვა გამოყენებულ იქმნა მეორე ცნების („საზომის“) გამოსახატავადაც.

იგივე გზა გაუვლია ამ სიტყვას ბერძნულ ენაშიც. ოთხთავის „ზომ-საბელი“ ბერძნულში გამოხატულია სიტყვით *σχοινιον* (და აგრეთვე *σχοινος*). ასე ოთხთავის ძველ კომენტარებში. რომლებიც ჩვენ მოვრცევანეთ¹, *ἀμνηλος* („საბელი“) ახსნილია როგორც *τὸ παχὺ σχοινιον* („მსხვილი საბელი“). იმავე ფუძისაგან არის ნაწარმოები *σχοινισμα*, *σχοινισμός*, რომელიც ნიშნავს „გაზომვას“, „საზომს“ და „ზომას“².

ამ მნიშვნელობით არის, მაგალითად, ეს სიტყვა ნახმარი მეორე სჯულ. 32, 9:

Καὶ ἐγενήθη μερὶς Κυρίου λαοῦ ἀπὸς Ἰακώβ, σχοινισμα κληρονομίας ἀπὸς Ἰσραήλ

ეს ციტატი ორ ადგილას არის მოყვანილი დიონისე არეოპაგელის ტექსტისათვის დაწერილ მაქსიმე აღმსარებლის სქოლიოებში და ეფრემ მცირის თარგმანში ასეა გადმოცემული:

Ἐγενήθη μερὶς Κυρίου σχοινισμα Ἰακώβ (Migne, PG IV, 85 A)

იყო ნაწილად უფლისა იაკობისა, ზომად სამკვდრებელისა. (ხელნაწ. A 110, გვ. 259)

καὶ ἐγενήθη μερὶς Κυρίου λαοῦ ἀπὸς Ἰακώβ, σχοινισμα κληρονομίας ἀπὸς Ἰσραήλ (Migne, PG IV, 88 A-B)

და იყო ნაწილ უფლისა ერთმისი იაკობი, საზომ სამკვდრებელისა მისისა ისრაელი (ხელნაწ. A 110, გვ. 261).

საყურადღებოა, რომ *σχοινισμα*-ს ხმარება ძალიან შეზღუდულია. იგი ვხვდებთ მხოლოდ Deut. 32, 9 და ციტატებში (Clement. Ep. 29, 2; მაქსიმე აღმსარებლის სქოლიო იხ. ზემოთ) და აქ იგი უდრის „საზღვარს“ (Bauer, Wörterb.: «das mit der Messschnur [*σχοινος*, *σχοινιον*] zugemessene Stück Land *σχ. κληρονομίας* ἀπὸς, sein Besitzanteil»).

ამგვარად, ძველ ქართულში ზომი „საბელსაც“³ ნიშნავს და „საზომსაც“ მსგავსად ბერძნულისა, სადაც გვაქვს *σχοινιον* და *σχοινισμα*.

¹ ენიქის მთაბბე, XIV, გვ. 106.

² Pape-ს ლექსიკონში ვკითხულობთ: *σχοινισμα*, die Ausmessung eines Landes, die Grenzbestimmung; *σχοινισμός*, das Ausmessen des Landes mit dem *σχοινος*.

³ ზომი „საბელ“-ის მნიშვნელობით აღიშის ხელნაწერის გარდა დადასტურებულია იპატოტეს ერთ-ერთი თხზულების („ანტიქრისტუსის“) ქართულ თარგმანშიც: „და ზომნი მითგანბნულ სიყუარული ქვისი, რომელი იგი დაამტკიცებს ეკლესიას“ (შატბერდის კრებულ. 384¹, 17—19; H. Mapp, TP, III, XLVI).

ბერძნულ ტექსტში ამას უდრის *σχοινια*, ხოლო სლავურში *сѣжа*, რაც *сѣрви*-ს, ე. ი. *сѣрѣжа*-ს ნიშნავს (Mapp, l. c.).

2. შესულებული, შესულებს, შესულიბნა...

შესულებული. კოლაელ ყრმათა ცხოვრებაში ნათქვამია:

«შეკრებიან ყრმანი ქრისტიანეთანი და წარმართთანი მღერად, ვითარცა წარს| ჩუეულებად ყრმათაჲ, და იმღერდიან დღჳ ყოველ. და ეამსა მწუხრისასა ჰრეკის ხუცესმან და წარვიდიან ყრმანი ქრისტიანეთანი ეკლესიად ლოცვად. ვითარცა არს წესი ქრისტიანეთაჲ. ხოლო ყრმანი წარმართთანი, რიცხუთ ცხრანი, მიუდვიან უკუნა, რამეთუ შესულებულ იყვნეს ყრმათა მათ ქრისტიანეთადა. და უყუარდა მათ რჩული ქრისტიანობისაჲ» (Н. Мара, TP, V, 56).

ბუნებრივია შესულებულ გამოთქმის გაგება როგორც „სული“-დან ნაწარმოებისა, ე. ი. წარმართი ყრმები „სულიერად დამეგობრებული იყვნენ ქრისტიან ყრმებთანო“, და ნ. შარსაძე სწორედ ასე აქვს თარგმნილი:

„так как они были душевно привязаны к детям христиан“.

რომ კოლაელ ყრმათა წაქების გარდა სხვა მასალა არა გვქონოდა, ჩვენში არც გამოაწვევდა ეჭვებს „შესულებული“ ასეთი გაგება. სხვა ტექსტებით მოპოვებული მასალა კი ამას არ ამართლებს.

„დავით და ტირიჭანის მარტულობა“, როგორც ეს სრულის ექვმიუტანლობით ჩანს ილ. აბულაძის გამოკვლევიდან¹, იმავე წრიდან გამოსული და იმავე წრისათვის განკუთვნილი თხზულება, როგორისაც „კოლაელ ყრმათა წიგნება“. სიტყვა „შესულებული“ იქაც გვხვდება.

«და მუნქუესვე ხოლო ამჟედრდა მთავარი იგი დივრისაჲ და აღჳდა ერთოთურთ თჳსით მთასა მას ზედა ფრიად მალალსა, რაჲთამცა იხილა ერი იგი და გულისჳმა ყოძცა მიზეზი იგი შფოთისაჲ მის, და ვითარცა იხილა ერი იგი შესულებული და ერისთავი მათი მწუხარედ, და აჰა ესერა მიიწია ბავთი იგი ამბოხისაჲ მის, რომელი-იგი იქმნა შვილთა მისთა ზედა ნეტარისა თავინესთაჲ“.

რას ნიშნავს აქ „შესულებული“? საქმის ვითარება ასეთია. ბასიანის ერისთავი ვარდანი გარდაიცვალა; მას დარჩა ქვრივი თავინე და ორი ობოლი: დავითი და ტირიჭანი. თავინეს ძმამ თევდოსიმ ხელთ იგდო სამკვიდრებელი და დევნა დაუწყო დისწულებს (იგი წარმართი იყო, ხოლო დისწულები ქრისტიანები; თანაც სამკვიდროს შეცილებისა ეშინოდა). მან გაქცეული დისწულები, რომელნიც მწყემსებად იყვნენ გახიზნულნი, მოსპო: დავითი თვითონ მოკლა, ხოლო გაქცეული ტირიჭანი მღევართ მოაკვლევინა. მკვლელები რომ დაბრუნდნენ თევდოსისთან, ნახეს იგი მწუხარე, რამაც ისინი ძალიან შეაშფოთა: „დარჩეს განცუბრებულნი და სიმრავლჳცა იგი ერისაჲ შემფოთნეს და იწყეს ურვად და დასულებად საკრველებისა მისგან, რომელი იხილეს; შეძრწუნდეს და ვერ უძღეს სიტყუად და ვერცა სივლტოლად, რამეთუ მოედო წინამძღუარი იგი მათი“ (ib. 181).

ამ ადგილს მაშინვე მიიზრბნა იმ სოფლის (დივრის) მთავარმა და „იხილა ერი იგი შესულებული და ერისთავი მათი (ე. ი. თევდოსი) მწუხარედ“.

¹ ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბილისი 1944, გვ. 063 შმდ.

² იქვე, გვ. 181.

აქ, რასაკვირველია, არც „დასულეება“ და არც „შესულეებუღი“ არავითარ კავშირში არაა „სულიერ მეგობრობასთან“. აზრი, ვფიქრობ, ნათელია. თევდოსის კაცებმა მოირბინეს თავიანთ მთავართან საუწყებლად, რომ მათ შეასრულეს დავალება და მოკლეს ტირიქანი. ისინი ფიქრობდნენ, რომ მისგან ჯილდოს თუ არა, ქებას მაინც დაიმსახურებდნენ. ამის მაგიერ, მათ ნახეს თევდოსი დამწუხრებული და ამიტომ «იწყეს ურვად და დასულეებად საკვრეელისა მისგან», ე. ი. ისინი დამწუხრდნენ და შემფოთდნენ, სულიერად აირივნენ; და როდესაც მერე დივრის მთავარი მივიდა იქ, «იხილა ერი იგი შესულეებუღი და ერისთავი მათი მწუხარედ», ე. ი. ნახა, რომ ხალხი შემფოთებული, სულიერად არეული იყო.

საბაას ლექსიკონში ვკითხულობთ: «დასულეება დაჩუშება». შემფოთებას, სულიერ არევას, რასაკვირველია, მოსდევს დუმილი. ხალხმა რომ დაინახა დამწუხრებული მთავარი, გაუკვირდა, ვერ გაერკვია, თუ რა მომხდარიყო, შემფოთებით უცქეროდა და დუმიდა. ამდენად, საბაა ნაწილობრივ მართალი უნდა იყოს, მაგრამ „დასულეება—შესულეების“ ძირითადი მნიშვნელობა „აღრევა, არევა“ უნდა იყოს. და შეგვეძლოს გვეფიქრა, რომ კოლაელ ძმათა შესახებ ნათქვამი—„რამეთუ შესულეებულ იყვნეს ყრმათა მათ ქრისტეანეთადა“ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ წარმართი ბავშვები ქრისტიან ბავშვებთან შერეული იყვნენ, ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ მათთან.

ამგვარად, „შესულეებუღი“ ყოფილა „სულიერად არეული, შერეული“; „დამძიმებუღი“; „სულიერად დამძიმებუღი“.

გასაღებს იმისას, რომ აქ „დამძიმების“ მნიშვნელობაა საფუძვლად მიღებული, გვაძლევს ზოგიერთი მასალა, ბერძნული და ქართული ტექსტების შედარებით მოპოვებული.

შესულეებს. დიონისე არეობაგელის სქოლიოთა ტექსტში (ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნში) ვკითხულობთ: «ვითარმედ შესულეებს მიწოვანი საყოფელი გონებასა მრავალმზრუნველსა», ბერძნულში უდრის: *ἡ ἀποστολικὴ ἰδέα τῆς ὑψίστης ἀποστολικῆς ἰδέας, ἡ ἀποστολικὴ ἰδέα τῆς ὑψίστης ἀποστολικῆς ἰδέας*, რაც ნიშნავს: «ეს მიწიერი სამყოფელი დამძიმებს მრავალმზრუნველ გონებას», ე. ი. სხეული სულისა და გონებისათვის მძიმე ტვირთს წარმოადგენსო.

თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში (დავით და ტირიქანში, კოლაელ ძმებში) კიდევ საკამათო შეიძლება იყოს, თუ რა მნიშვნელობისაა „შესულეებუღი“, ეფრემის ტექსტი ნათელია. აზრი გამოთქმისა დიონისეს სქოლიოსტან ისაა, რომ ხორცი სულს დამძიმებს, გონებას აწუხებს მიწიერი ჩარჩო, სხეულიო. აზრიც და ბერძნული შესატყვისობაც ამასვე ადასტურებს: *ἡ ἀποστολικὴ ἰδέα τῆς ὑψίστης ἀποστολικῆς ἰδέας*—დამძიმებს, აწუხებს“.

თუ გამოსავალ წერტილად ამას გავხდით, შეიძლება უკეთ გავგეგოთ. დავით და ტირიქანის მარტვილობის ტექსტში: «იწყეს ურვად და დასულეებად», ე. ი. ეს გარემოება იმათ ძალიან დაუძიმდაო. სტალისტიკურადაც შეწყობილია «ურვად და დასულეებად»: ერთიმეორის სინონიმებად არის ნახმარი „ურვა“ და „დასულეება“. საბა განმარტავს: «ურვა მწუხარება დამამძიმებელია». და ქვევითაც იმავე მარტვილობის ტექსტში იხილა ერი იგი შესულეებუღი.

ლებული და ერისთავი მათი მწუნარე და აგრეთვე სტილისტიკურად შეწყობილია: „შესულელებული“ და „მწუხარე“—ერთიმეორის სინონიმებია.

რომ ამ სიტყვას საფუძვლად „დამძინება“ უძევს, ჩანს მასდარული ფორმიდანაც. არსებობს ფორმა „შესულეება“, რომელიც „მძიმე მდგომარეობას“ აღნიშნავს.

შესულეება ეპითანე კვიპრელის „თუალთაჲში“ გვხვდება ორ ადგილას:

1) ძვირფასი ქვის „ლვგვრიონის“ თავში:

«და ესეცა თქვან, ვითარმედ დიდანი რქის შობდიან და მიიახლიან თუალი ესე, თმენა სციან და ადვილ შობაჲ აგი, და შესულეებანი ჩუეულებათანი განაქარენის» (R. Blake-ის გამოც. 18²⁷⁻³⁰).

ჩვენი გაგებით აქ შემდეგი სწერია: „შობიარე ქალები ლვგვრიონის თვალს შიიკარებენ და ამის წყალობით ტკივილებს ადვილად ითმენენ, შობიარობის უკანასკნელი წუთები უმსუბუქდებათ, მძიმე მდგომარეობას, რომელიც ჩვეულებრივია ამ დროს, ეს თვალი მათ უქარავებს“. შესულეება აქ „მძიმე მდგომარეობას“ ნიშნავს. R. Blake-ის თარგმანი არაა სწორი: it gives patience and easy travail and dispels phantasmagoria as well.

2) ტბაზიონის თვლის თავში:

«ხოლო მწიგნობართა მათ და ფარისეველთა და მღვდელთ-მოძღუართა მათ დიდად მოშურნებითა მით და ამპარტავანებითა და შესულეებითა თუალი იგი პატიოსანი და ონი ყოველთა დაბადებულთაჲ მისცეს გელთა ერისკაცთასა და გელთა პონტიელისა პილატსთა» (R. Blake-ის გამოც., გვ. 24²¹⁻²⁷).

აქ იესო ქრისტე შედარებულია ტბაზიონის ძვირფას თვალს. იგი პილატეს ჩაუგდეს ხელში ფარისეველებმა და მღვდელთმოძღვრებმა თავისი მოშურნეობით, ამპარტავანებით და „შესულეებით“. უკანასკნელი გამოთქმა („შესულეება“) უნდა გავიგოთ როგორც „სულიერი თუ გონებრივი დამძინება, არეულობა“, „უგუნურება“, „სისულელე“¹.

რომ „შესულეება“ სულიერ-გონებრივი წონასწორობის დაკარგვას ნიშნავს, ჩანს იქიდან, რომ წარმოებულია მიმღეობა „უგუნურის“, „სულელის“ მნიშვნელობით.

„ფილექტიმონის წამებაში“ გვაქვს ასეთი ადგილები:

1) ფილექტიმონი და გორდიანე მეფე საუბრობენ; მეფე უმტკიცებს—ჩვენი ღმერთი აპოლონი შემქმნელია ცისა და ქვეყნისა, მაცხოვარი და შემწეა ყოველთაო. ფილექტიმონი იმის დასამტკიცებლად, რომ აპოლონი არარაობაა, საბელს მოაბამს აპოლონის ქანდაკებას, მოზიდავს და დაამზობს; აპოლონი დაიმსხვრევა. გორდიანეც ირწმუნებს აპოლონის არარაობას, და

«უპყრა გელი მეფემან მან წდასა ფილექტიმონს და მივიდოდეს ერთად. და ვა მიიწია მეფე იგი ტაძართა მათ თჳსთა, ხოლო უბრძანა მოწოდებაჲ ანატოლსნი ცოლისა თჳსისაჲ და სებასტიანოსისი ძისა თჳსისაჲ... და ყოველთა მფლობელთა, რომელნი იყვნეს გელმწიფებასა ქუეშე მისსა. აღალო პირი თჳსი გორდიანე მეფემან და იწყო ლაღადებად მათა მიმართ, რამეთუ მოცემულ იყო

¹ აქაც არ არის სწორი R. Blake-ის თარგმანი: in their great jealousy and pride and hardness of heart (=„გულჭვაობით“).

მისა სიტყუად უფლისა მიერ: „ისმინეთ შესულებულნი და ორგულნი და გულის-ხმა ყავთ ყოფილი იგი: რამეთუ რომელსა იგი ესევდით, ვითარმედ ცხოველი ღმერთი არს აპოლონი, ვითარცა არარად წარწყმდა“... (კიმ. 135 19).

2) გორდიანემ, მისმა ცოლმა და ქალიშვილმა აღიარეს ქრისტიე, ხოლო ვაჟმა სებასტიანემ არ აღიარა, თვით დაჯდა მეფედ და სდევნა და სტანჯა ფილეტიმონი, დედ-მამა და და. ამის საპასუხოდ ქალაქს მოველინა კანჯარი (საზღაპრო ვირი, გარეული ვირი) და მიმართა მოქალაქეებს რისხვითა და საყვედურებით: «შეხსულებულნი ძენო კაცთანო... ნუ ემსგავსებით გესლობროტსა მაგას გუელსა...» (იქვე, 143 14).

3) მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აღიარა ქრისტიე. ამიტომ დროებით შესწყვიტა სებასტიანემ თავისი დედ-მამის ტანჯვა. მაგრამ ცხრა დღის შემდეგ განახლა. დაიბარა მამა და წინადადება მისცა—აღიარე აპოლონიო. მამამ მიუგო: წავიდეთ აპოლონის ტაძარში, იქ გავსინჯოთ, მართლა ღმერთია ის, თუ არაო. იქ გორდიანე შეკითხვებით მიმართავს აპოლონს, მაგრამ ეს არაფერს უპასუხებს. გორდიანეს ცოლი ამბობს: «შესულებულ არს და მით ვერ უძლავს სიტყუად»ო. ამის შემდეგ გორდიანეც მიმართავს აპოლონის ქანდაკებას: «გუჩუენე მეუფებად შენი რომელ მოგიგებებს შესულებულო, აპოლონ» (კიმ. 144 24, 27).

ფილეტიმონის წამების სომხური ტექსტიც მოიპოვება. როგორც ილ. აბულაძეს გამორკვეული აქვს, ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში „შესულებულს“ უდრის ქ*ի*მ*არ* („სულელი“)¹. ჩვენი კონტექსტებით, მართლაც, ყველგან ეს აღნიშნავს „გონებრივად და სულიერად არეულს, გზას გადაამცდარს“.

ამგვარად, ზემომოყვანილი კონტექსტებიდან ჩანს, რომ „შესულებულნი“ ეწოდება „გონებაარეულს, სწორ, გონიერ გზას გადამცდარს“.

პირდაპირ „სულელის“ მნიშვნელობით შესულებული გვხვდება ოთხთავში მთ 5, 22, ისიც მხოლოდ აღნიშნის ნუსხაში; ამ სიტყვით გადმოცემულია არამეული „რაკა“, რაც, მართლაც, „სულელს“ ნიშნავს.

ადიშისა

ჯრუჭ-პარხლისა

რომელმან ჰრქუას ძმასა თვისა: შეხსულებულ, თანა-მდებ იყოს იგი კრებულისა.

რომელმან ჰრქუას ძმასა თვისა: რაკა, რომელ არს საძაგელ, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად.

ბე ნ 'ან ეწყუ თჳ ჳმელჳფ ანთენ, 'Ρακζ, ჳνοχოζ ჳათα. თჳ თხვებრიყ.

სომხურ ოთხთავშიც ისევეა, როგორც ადიშურში, ე. ი. არ არის 'Ρακζ, მოცემულია მისი მხოლოდ თარგმანი „შესულებულ“—ქ*ი*მ*არ*.

ამგვარად, ცხადია, რომ ზმნა „შესულებს“ და „შესულებული“ ერთისა და იმავე სიტყვისაგან მომდინარეობს და აღნიშნავს „ამძიმებს“ და „დამძიმებულნი“ („აღრევა შეაქვს“ და „აღრეული“, უფრო—სულიერად აღრეული).

¹ 135 19 იქ ქ*ი*მ*არ*ჳ შესულებულნი

144 23 ქ*ი*მ*არ*ხ*არ*ჳ ჳ შესულებულ არს

144 27 ქ*ი*მ*არ*ხ*არ*ჳ ოსიოიჳ შესულებულნი აპოლონ.

შესულიბნა. არ შეიძლება აქვე არ მოგვაგონდეს ძველ ქართულში ხმარებული „შესულიბნა“. საბასთან ვკითხულობთ: «შესულიბნა არივა» და აქვე საბა მიუთითებს 10, 10 ისო (იგულისხმება ისუ ნავეს წიგნი). ამჟამად ჩვენ ხელთ არ არის ბიბლიის ის ვარიანტი, რომელიც საბას უნდა ჰქონოდა. ბიბლიის არსებულ გამოცემაში კი სწერია:

«და განაკრთნა იგინი უფალმან პირისაგან ძეთა ისრაელისათა და შემუსრნა იგი უფალმან შემუსრვითა დიდითა გაბაონს შინა» (ისუ ნავესი 10, 10). აქ „განაკრთნა“ არის იმ სიტყვის ადგილას, რომელიც საბას მოჰყავს („შესულიბნა“). მნიშვნელობა ცხადია: „შეაშფოთა“, „სულიერად არია“. ბერძნულს ბიბლიაში მას უდრის $\xi\zeta\sigma\tau\eta\sigma\epsilon\upsilon$ (Καὶ ἐξέστωσεν ἀπὸ τοῦ πρῶτου αἰῶνος Ἰσραήλ), რაც სწორედ „არივას“ ნიშნავს¹. რუსულ ბიბლიაშიც იმასვე ვკითხულობთ: „Господь привел их в смятение при виде Израилейтя“.

რომ „შესულიბნა“ „არივას“ გამოხატავს, ჩანს ფილექტიმონის წამებინანაც. გორდიანე მეფემ რომ ირწმუნა ქრისტე და ხალხს მიმართა სატყვეთ, მოაგონა მას, რომ ქსანთიმოს მეფემ თავისი მკვდარი შვილის აღონიას სახე გამოაქანდაკებინა და ამით იწყო კერპთმსახურება: «რამეთუ ყოველივე შესულიბნა და აცთუნნა». სტილისტიკურადაც შეწყობილი გამოთქმაა ნახმარი: „შესულიბნა და აცთუნნა“-ო, ე. ი. შეცდომაში შეიყვანა, არივ-დარია მათი გობაო. სომხურში ამას უდრის: *յի դամհնեսան լկտիցուցեսալ մიլրեցուցանէր* (კიმ. 135³⁴). ილ. აბულაძის მიერ მოწოდებული ცნობით *կտსყուցესაլ* (კაუზატცივი ნასახელარი ზმნისა) აღნიშნავს „უგუნური გახადა ისინი“ (სახელი *կտს* = ურცხვინო).

შესულიბნა გვაქვს ოთხთავში: ჯვითარმედ დაუბრმნა თუალნი მათნი და შეუსულიბნა გულნი მათნი, რადთა არა ხედვიდნენ თუალითა და [თარა] გულისგმა-ყონ გულითა და მოიქცენ და განეკურნე იგინი» (ადიშის ნუსხა, ა. შანიძის გამოც., 349: იოანე 12, 40).

მნიშვნელობა ცხადია: «თვალის მხედველობაც დაუბრმავა და გულის ზრახვაც დაუმძიმა» (лишил сознания)².

„შესულიბნა“ ობიექტის მრავლობითთან არის ნახმარი ორსავე შემთხვევაში; მასასადამე, აორისტი ყოფილა „შესულიბა“. თუ გავიხსენებთ. რომ აწმყოს სერიაში გვქონდა შესულებს, მივიღებთ კანონზომიერ წარმოებებს ტუქედრეკადი ზმნისას:

შეკრებს—შეკრიბა (შეკრიბნა)

შესულეებს—შესულიბა (შესულიბნა).

¹ Pape, Wört.: „ $\xi\zeta\sigma\tau\eta\mu$: herausstellen, herausbringen, bes. aus dem gewöhnlichen Zustande in einen andern versetzen“.

² ჯრუჭ-პარხლის ნუსხაში გვაქვს «დაუბრმეს თუალნი მათნი, დაუსულბეს გულნი მათნი, რადთა ვერ იხილონ თუალითა და არცა გულისგმა-ყონ გულითა და მოიქცენ და მე განეკურნენ იგინი» (იქვე, გვ. 549), ბერძნულში ამას უდრის $\mu\epsilon\pi\acute{\alpha}\rho\alpha\sigma\epsilon\upsilon\ \alpha\upsilon\tau\omega\nu\ \tau\eta\upsilon\ \chi\alpha\rho\mu\acute{\epsilon}\tau\eta\upsilon$, რაც ზულის გაქვავებას ნიშნავს (ციტატი: ესაია 6, 10).

შესულებს. იგივე ზმნა გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, ჯუანშერის თხზულებაში. ვახტანგ გორგასალი, რომელიც საბერძნეთში მიდის სალაშქროდ. გზად სომხეთშია. აქ იგი სიტყვით მამართავს არშაკუნიანთ პიტიახშებს, მოაგონებს მათ—ნათესავნი ვართ ნებროთასაჲ. ნებროთმა, ყველაზე უწინარეს არსებულმა მეფემ, დაიმორჩილა ყოველნი ნათესავნი. ნოესნი, ააშენა ქალაქი სულ ოქროსა და ვერცხლისაგან; ერთი ისეთი დიდი შენობის აგება დაიწყო, რომ უნდოდა მალლა აედწია და ესილა „მყოფნი ცისანი“. მაგრამ ხუროებმა მალლა ჰაერში ველარ გაუძლეს მზის მცხუნვარებას, „რამეთუ დადნებოდა ოქრო და ვეცხლი“—და აი, ზეციდან მოისმა «საზრახავი შეიღთა გუნდთა ზეცისათა, რომლისაგან შესლბეს ადამიანნი».

ქართლის ცხოვრების ნუსხები აქ შემდეგ ვარიანტებს იძლევიან:

«რომლისაგან შესულებს ადამიანი» Min

«რომლისაგან შესულებს ადამიანნი» TRb

«რომლისაგან შესლბეს ადამიანნი» APd

Min-ის ვარიანტი უარსაყოფია. ზემოთ დავინახეთ, რომ „შესულებს“ არის Praesens activi გარდაშავალი ზმნისა, და ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს გამოთქმა «რომლისაგან შესულებს ადამიანი», სინტაქსურად შესაძლებელი იქნებოდა «რომელსა შესულებს ადამიანი» (ე. ი. რომელსაც ამჟამებს ადამიანი, რომელსაც ამჟამობს ადამიანი). სწორია მეორე და მესამე ვარიანტი, უკეთ რომ ვთქვათ მეორე: «რომლისაგან შესლბეს ადამიანნი», ე. ი. მოისმა ზეცის შვიდი გუნდის ხმა, რომლისაგანაც შეშფოთდნენ (აირივ-დაირივენ) ადამიანები.

ამ შემთხვევაში გვაქვს Aoristus passivi;

შესლბეს¹ (როგორც „შეკრბეს“).

უ-ს ისეთივე გზა გაუვლია, როგორც სუ- ფუძეში (სუ-მა), სადაც უ-მ მარცვალი დაკარგა და „უ“ მოგვცა და შემდეგ მთლად გაქრა (შესუ: სუმა → სმა).

შევსლბი (—შევსტლბი). საბას მოჰყავს აგრეთვე ფორმა «შევსლბი ავირივე, გინა დავზნდი (87, 16 ფსალ.)».

გლახაკ ვარი მე, და შრომასა ჩემ- Πραχάκ εμ: ἐγώ, και ἐν χόποις ἐμ.
სა სიყრმით ჩემითგან, ხოლო ავმადლ- νεότερος μου. ἠψαθεις δὲ ἐταπεινώθη
დი რა დავმდაბლდი და შევსტლბი και ἐξήπαιρέθη.
(1884 წ. გამოც. ფსალმ. 87, 16).

შევსტლბი-ს უდრის ἐξήπαιρέθη („დავმძიმდი“, „მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი“, „გაჭირვებაში ჩავვარდი“).

შესულებიან. დისასრულ, გვაქვს აგრეთვე დადასტურებული ფორმა შესულებიან. „ფიზიოლოგში“ იკითხება:

«და მენავენი რნი ადგილთა მათ ნავითა თანა წარვლენან, ვითარცა ისმინ ნოვაგი იგი სახიობისაჲ, ეგოდენ ესმინებინ და სთნავნ, ვიდრემდის შე-

¹ ანალოგიურია ჯრუჟ-პარხლის ნუსხის ფორმა დაუსლბეს (იხ. ზემოთ გვ. 377, შენიშვნა).

სულბიან და განსკთიან და შთაცვიან ზღუასა და წარწყმდიან» (თავი XVI, 13—14: Μαρρ, TP, VI).

დასულება. „შესულება“-ს გვერდით გვხვდება „დასულება“ და მისგან წარმოებული ზმნური ფორმები:

1) «დასულბა ისაკ დაკრვებითა დიდითა» (იპოლიტეს თხზ. „კურთხევათა მათთვის იაკობისთა“: შატბ. კრ., I, 293¹ 18-19; Μαρρ, Ипполит, стр. L: სულბვა „потерять сознание“; Переходно „лишить сознания“).

2) «და ხედვედ მას და დასულბიან» (ლუკა 2, 48, აღიშნით; «და იხილეს იგი და განუკრდა»), ჯრ.-პარხ.: = ἐξελήχθησθε).

3) «და წარიყვანა პეტრე და იაკობ და იოვანე მის თანა და იწყო დასულებად და ურვად» (მკზ 14, 33 ჯრუჭ-პარხლითა და ოპიზა-ტბეთით; აღიშნისაში სწერია: «და იწყო გულის სიტყუად და ურვად»).

ბერძნულში ამას უდრის: «...αὐτὸν ἔκτανε καὶ αὐτὸν ἔκτανε καὶ ἀβήσασεν» (ე. ი. შეშფოთებდა).

როგორც ვხედავთ, შესულება და დასულება ერთიმეორის მაგიერ იხმარება. ასევე „შესულებულნი“ და „დასულებულნი“.

1) «რამეთუ ვერ გულისწმა-ყვეს პურთა მათ ზედა, რამეთუ გულნი მათნი შესულებულ იყვნეს» (მკზ 6, 52 აღიშნური; ჯრუჭ-პარხლისაში და ოპიზა-ტბეთისაში სწერია „დასულებულ“: ა. შანიძე, გვ. 134).

ბერძნულში ამას უდრის: ἦν ἀψῶν ἢ ἀρῶν παπαρῶμας.

2) «რაასათჳს განპიზრახაეთ, რამეთუ პური არა გუაქუს, მცირედ მორწმუნენო? არღა ვიცნობიეს, არცა გულისწმა გიყოფიეს? შესულებულ ვეღ-ღარინ გულნი თქუენნი» (მკზ 8, 17 აღიშნური; ჯრუჭ-პარხლისაში და ოპიზა-ტბეთისაში სხვანაირადაა: «რამეთუ დაბრმოზალნი გულნი გქინან»: შანიძე, გვ. 140). ბერძნულში ამას უდრის: παπαρῶμας ἔχεται τῆν ἀρῶν ἄμας (იხ. აგრეთვე მკზ 10, 24 «დასულებულ იყვნეს» აღიშ., რაც ნიშნავს „გაკვირვებულ იყვნენ“).

ამგვარად გვხვდება შემდეგი ფორმები:

Activum: შესულებს

შესულიბნა (ἐξέστησεν, ἐπάρησεν)

შეუსულიბნა (აღიშ. იოანე 12, 40)

Passivum: შეესლბი (ἐξηπορήθη)

შესლბიან

შესულბეს

დაუსულბეს (ჯრ.-პარხ. იოანე 12, 40)

დასულბა (იპოლიტე)

დასულბიან

შესულებული (πέπαρῶμος, ῥαχά)

დასულებული

დასულება

მასდარული ფორმები, რომლებიც ნავარაუდევია აქეთ ნ. მარს („ხულ-
ბვა“) და დ. ჩუბინაშვილს („დახლობა“), უნდა უარყოფილ იქნეს.

3. შესასუმელი

ოთხთავის იოანეს მე-13 თავში მოთხრობილია შემდეგი: ზატიკის დღესას-
წაულის წინ, დიდ ზუთშაბათს, იესომ გამართა ფეხის ბანა. ეს იყო უკანასკნე-
ლი გამოსათხოვარი საღამო; იესო გრძნობდა «რამეთუ მოწვევულ არს ჟამი
მისი». ამ საღამოს იესომ უთხრა მოწაფეებს: ერთი თქვენთაგანი გაჰყიდის მეო.
ერთი მოწათის შეკითხვაზე თუ ვინ არის ეს გამცემი, იესომ უპასუხა:

«იგი არს, რომელსა მე დავაწო შესასუმელი და მივსცე. და დააწო შე-
სასუმელი და მისცა იუდას სკარიოტელსა. და შემდგომად შესასუმელისა მის
მაშინ შევიდა ეშმაკი და ჰრქუა მას იესუ: აწ რაჲ გეგულებს საქმედ, იქმოდე
ადრე... და ვითარცა მიიღო შესასუმელი იგი, განვიდა გარე» (იოვ 13, 26-30).

აზრი ასეთია: იესომ უთხრა მოწაფეს —ვისაც მე მივცემ (წვენიში) ჩაწობილ
„შესასუმელს“, ის არის გამცემიო. და მართლაც, მან ჩააწო „შესასუმელი“ და
მისცა იუდას.

რა არის შესასუმელი? რა ჩააწო წვენიში იესომ? „შესასუმელი“ მხოლოდ
ადიშის ხელნაწერშია, დანარჩენებში სწერია „პუტი“: იესომ პური ჩააწო წვენი-
ში და იუდას გაუწოდა.

ერთი შეხედვით „შესასუმელი“ ადამიანს აფიქრებინებს, რომ აქ „სასმე-
ლი“ (—სასუმელი) იგულისხმება, თითქოს ჭამასთან კონტექსტში ნახმარი „შე-
სასუმელი“ სხვას არაფერს არ შეიძლება ნიშნავდეს, თუ არა „სასმელს“. მაგ-
რამ იოანეს 13, 26-30-ის მთელი შინაარსი ამას ეწინააღმდეგება. „დაწება“ სა-
სმელისა არ შეიძლება, პირიქით, რაიმე სასმელში (ღვინოში, წვენიში) შეიძლე-
ბა სხვა რამ, მკვრივი, დააწო. მეორე მხრით, აქ მთარგმნელის ან გადაამწერის
უნებლიე შეცდომა ძნელია ადამიანმა იგულისხმოს; ეს სიტყვა ოთხ ადგილას
არის ნახმარი და ყველგან მას ოთხთავის სხვა რედაქციებში შეესატყვისება „პუ-
რი“ და ბერძნულს ოთხთავში $\psi \alpha \chi \iota \sigma$.

$\Psi \alpha \chi \iota \sigma$ გვხვდება ბერძნულში ბერძნული ენის ისტორიის მთელ მანძილ-
ზე. ძველს ბერძნულში იგი ნიშნავს „პურის ნაჭერს, ნატებს“. ახალ ბერძნულ-
ში ისაა ერთადერთი სიტყვა „პურისათვის“; $\chi \rho \iota \varsigma$ „პური“ (სიტყვა ჩვეულე-
ბრივი ძველ ბერძნულში და ახალი აღთქმის ბერძნულშიც) ახალმა ბერძნულ-
მა არ იცის.

ის გარემოება, რომ ოთხთავის სხვა ქართულ რედაქციებში აქ გვაქვს „პუ-
რი“, გვაფიქრებინებს, რომ ვარიანტი „შესასუმელი“ უფრო ძველი რედაქციის
კუთვნილია, ხოლო „პური“ ისეთს, შედარებით გვიან, ეპოქაშია გაჩენილი, რო-
დესაც $\psi \alpha \chi \iota \sigma$ -ს უკვე „პურის“ მნიშვნელობა ჰქონდა და არა მხოლოდ „პურის
ნატებისა“.

ლათინურ ოთხთავში ვითარება ასეთია:

- 1) Itala-ში სწერია buccellam „პურის ნატები“;
- 2) Vulgata-ში მის ადგილას არის panem „პური“.

3) ხოლო არსებობს ამათი კონტამინაციაც: პირველს ორ, ადგილას სწე-
რია: panem („იესომ ჩააწო panem“), ხოლო ორ დანარჩენ ადგილას—buccellam
„იუდამ მიიღო buccellam“).

Wulfila-ს თარგმანში გვაქვს უკვე hlaiif („პური“).

მაშასადამე, II საუკუნის Itala-ში იოანე 13, 26 გაგებულა როგორც „ნა-
ტეხი“, ხოლო 383 წლის ვულფილას ტექსტში, ისევე როგორც Vulgata-ში,—
როგორც „პური“.

ბერძნულ ოთხთავში არის *ψαμίον* („პურის ნაჭერი“) და არა *ἄρτος* („პუ-
რი“). ამიტომ ვფიქრობთ, რომ „შესასუმელი“ არის *ψαμίον*, ე. ი. „პურის ნა-
ტეხი“, „ნაჭერი“ და, მაშასადამე, მისი სემანტიკური ძიება „სასმელში“ კი არ
უნდა ხდებოდეს, არამედ სხვა სიტყვაში.

Ψαμίον ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას *ψιχίον* („ნამცეცი“).
ერთი ძირიდან მომდინარეობს:

ψιζ, ψιχζ „ნამცეცი“, აგრეთვე ψιχῆ

ψια „ვანამცეცებ“, „ნაჭრებად ვჭრი“.

ამგვარად, *ψα-μίον*-ს და მის მონათესავე სიტყვებს აქვს მნიშვნელობა
„პურის ნაჭერისა, ნატეხისა“, „პურის ნამცეცისა“ და მისთანათა.

მოიპოვება საკმაო მასალა იმისათვის, რომ ითქვას: *ψαμίον*-მა უკვე საშუა-
ლო ბერძნულში მიიღო „პურის“ მნიშვნელობა. ასე, ოქსირინქოს პაპირუსებში
უკვე მე-3—4 საუკუნეებში გვხვდება Plur. *ψαμία* „პურის“ მნიშვნელობით:

1) P. Oxyrh. XI, № 1489 (3 საუკ.), 2) P. Oxyrh. № 1591 (4 საუკ.),

3) P. Oxyrh. X, № 1345 (2-3 საუკ.)¹.

თუ საქმის ვითარება ასეთია, რომ *ψαμίον* IV საუკუნემდე „ნატეხს“ ნიშ-
ნავს, ხოლო IV საუკუნის შემდეგ.—„პურს“ და ქართულ ოთხთავში, ერთი მხრით,
გვაქვს „პური“ (proto-vulgata და vulgata), ხოლო, მეორე მხრით, „შესასუმელი“
და ამავე დროს „შესასუმელი“ სასმელთან არაეითარ სემანტიკურ კავშირში არ
შეიძლება იყოს, უნდა დავასკვნათ, რომ „პური“ არის შედეგი *ψαμίონ*-ის ახა-
ლი გაგებისა (როგორც „პურისა“), ხოლო „შესასუმელი“ *ψαμίონ*-ის ძველი გა-
გებისა (როგორც „ნატეხისა“, პურის ნაჭერისა), და, მაშასადამე, „შესასუმე-
ლი“ უნდა ნიშნავდეს არა „სასმელს“, არამედ „პურის ნატეხს“.

შესაძლებელია თუ არა ქართულის ნიადაგზე გავიგოთ „შესასუმელი“ რო-
გორც „პურის ნატეხი“?

ჩვენ გვაგონდება ოთხთავის სხვა ადგილებში ანალოგიური ცნების გად-
მოსაცემად ხმარებული სიტყვები:

1) «რამეთუ ძალღნიცა ჰამედ ნაბიჭსა (DE ნაბიჭვეისაგან), გარდმონაც-
ვნებსა ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა» (მთ 15, 27 = *ἀπὸ τῶν ψιχίων*).

2) «რამეთუ ძალღნიცა ტაბლისა ქუეშე ჰამედ ნაბიჭსა (DE ბიჭისაგან)
ყრმათასა» (მკზ 7, 28 = *ἀπὸ τῶν ψιχίων*).

3) «და სწადინ განძლომად ნაბიჭვეისა მისგან (ლკ 16, 21 = *ἀπὸ τῶν πίτου-
ρῶν*), მაგრამ textus receptus-ში არის *ἀπὸ τῶν ψιχίων*).

¹ იხ. Kretschmer-ის რეცენზია: *Glotta*, XI (1921), 229.

როგორც ვხედავთ, ყველა ამ ადგილას ლაპარაკია „ნამცეცებზე“, „ნახორ-ბალზე“; ყველგან ბერძნულში სწერია ψυχίον, ხოლო ქართულში უდრის „ნა-ბიჭვეი“, „ბიჭი“ (სხვა ანალოგიურ შემთხვევაში ქართულში გვაქვს აგრეთვე „ნამუსრევი“, „ნამუსრი“, მაგალითად, იგავნი სოლ. 17, 1; 28, 21; აგრეთვე: სახარებაშიც).

«უუმჯობეს ნამუსრევი პურისა სიტკბოებით მშვდობასა შინა, ვიდრეღა მახლი აღსავსე კეთილითა მრავლითა» (იგავნი სოლ. 17, 1) (huccellam, ψαμας).
«ხოლო უკეთუ და პური ჩემი ვჭამე მარტოდ, და არა ობოლსა ვეც თუ მათგან» (იობი 31, 17).

(huccellam, ψαμας)

«რომელსა არა ჰრცხუშნის პირისაგან მართალთა, არა კეთილ, ესევეი თარნი ნამუსრევისათვს პურისა მისცემს კაცსა» (იგავნი 28, 21)

(pro huccella panis, ψαμας ἄρτου)

[«რომელმან დასხნა მყინვარნი მისნი ნებეულად, წინაშე ყინულსა მისსა ვინმე დაუდგეს» (147, 6)

(sicut buccellas, ἄται ψαμας)]

«და ჭამეს ყოველთა და განძღეს, და აღიღეს ნეშტი ნამუსრევისაჲ ათორ-მეტი გოდორი სავსე» (მთ 14, 20 = περὶ τῶν τῶν ἄρτων)

«და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი და თევზთაჲ მათ-ცა» (მკზ ნ, 43 = ἄρτων ἄρτων).

ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: აქ ნამუსრევის შეფარდება ἄρτων და huccella, ე. ი. იგივე სიტყვები, რომლებსაც სხვა ძეგლებში შეფარდება „შესასუმელი“, ერთი მხრით, და „ნაბიჭვეი“ ან „ბიჭი“, მეორე მხრით, ყველგან აქ ლაპარაკია მთელი პურის ან საჭმლის ნამცეცებზე, ნაფხნევეზე, ასე ვთქვათ ნაშვილებზე. და იქნებ შემთხვევითი არ იყოს აქ ხმარება სიტყვისა „ნაბიჭვეი“ (სიტყვისაგან „ბიჭი“, ე. ი. შვილი; ერთხელ კიდევაც თვით „ბიჭი“ არის ნახმარი).

თუ აზრი „ნაბიჭვეისა“ და შვილს ნათესაობაზე სწორია¹, მაშინ შესაძლებელი გახდება „ნაბიჭვეის“ აზრით ხმარება სიტყვისა „შესასუმელი“ ადიშის ოთხთავში (იოანე 13, 26-30).

საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: «სასუმლოზა შვლობილობასავით» (ლექსიკ. გვ. 300) და იქვე მოჰყავს სათანადო განმარტება.

იმასვე იმეორებს საბა სხვაგანაც: «ასასუმლო სასუმლობასთან ნახე. ა შვილობილ BC» (გვ. 20), «ვასასუმლო სასუმლობასთან ნახე. ვა შვილობილ B» (გვ. 117).

სამწუხაროდ, საბას არ მოეპოვება აქ ციტაცია (ქართულ ძეგლებში უთუოდ იქნება სათანადო მასალა). მაგრამ დღევანდელი ქართულის კილოებში შემონახულია რამდენიმე ისეთი გამოთქმა, რომელიც მოწმობს, რომ „სუმა“—შობა-ს ნიშნავს (გარდა იმისა, რომ გვაქვს „ესუა შვილი“).

¹ ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ. 1937, გვ. 184—186, 212—214.

იმერულ თქმაში „დამსმელი“ ნიშნავს „მშობელს“, ხოლო „დასმული“ „ნაშობს“, „შვილს“¹.

ამგვარად, დამაჯერებლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „სუმა“ („სმა“) შობას ნიშნავს და აქედან გვაქვს:

- | | |
|--|----------------|
| 1. დამსმელი — „მშობელი“ | } იმერული კილო |
| 2. დასმული — „შობილი“, „ნაშობი“ ² , „შვილი“ | |
| 3. სასუმლობა — „შვილობილობა“ | } საბა |
| ვასასუმლე — „ვაშვილობილე“ | |
| ასასუმლა — „აშვილობილა“ | |

თუ ეს ასეა, მაშინ ერთგვარად გასაგები ხდება აღიშის ოთხთავის გამო-ნათქვამი „შესასუმელი“, რომელიც ოთხთავის სხვა ადგილების პარალელუ-რი გამოთქმების გვერდით დგას: „ნაბიჭვეა“, „ბიჭი“, ე. ი. რალაც მთლიანისაგან „საშობი“, „ჩამოსატეხი“, „ჩამონამტერევი“, „ნაჭერი“, „ნატეხი“.

ამგვარად, გადაიშალა შემდეგ სურათი:

ბერძნული	ლათინური	ქართული	წყარო
φωμδς	buccella	ნამუსრევი პურისა	იგავნი სოლ. 17,1
φωμδς ἄρτου	buccella panis	ნამუსრევი პურისა	იგავნი სოლ. 28,21
φωμδς	buccella	პური	იობი. 31, 17
ἄλῃσματα	reliquiae fragmento- rum	ნამუსრევი	მათე 14, 20
ἄλῃσματα	reliquiae fragmento- rum	ნაჭუსრევი	მარკ. 6, 43
φύξιον	mica («κροшка»)	ნაბიჭი ნაბიჭვევი	მათე 15, 27
φύξιον	de micis (puerorum)	ნაბიჭი ნაბიჭვევი (ნაბიჭსა ყრმათასა)	მარკ. 7, 28
φύξιον	mica	ნაბიჭვევი	ლუკა 16, 21
φωμδς	buccella panis	შესასუმელი პური	იოანე 13, 26-30

¹ ლანძღვაში იხმარება: „ვაი შენს დამსმელს; ვაი შენს მტრიკვნელს“. ვ. ბერიძის ლექსიკონშიც გვაქვს (სიტყვის-კონა, გვ. 42): „მ-ტრიკვნელი (დამცირებით) დამსმელი, მზა-ზელი“.

² „დასმული“. რომ „ნაშობს“ ნიშნავს, ეს ჩანს სხვა ძველი ქართული გამოთქმები-დანაც: ეფრემის თარგმანშიც („არეოპაგეტიკა“) ვკითხულობთ: „ღმრთისა მიერ დასხმულ არიას ჩუენდა ხილულად“. რომ აქ დასხმული „ნაშობს“ ნიშნავს (ე. ი. „ღვთის მიერ არიან გაჩენილნი ჩუენდა სახილველად“), ამას მოწმობს ბერძნული ტექსტი: πρὸς διορισμὸν αὐτῶν ἐκείνων ἡμῶν ἐναργῆ παρὰ Θεοῦ ἐγένετο. ნახმარია გამოთქმა ἐγένετο ზმნისაგან γί(γ)νεσθαι. „შობა“

მზია ანდრონიკაშვილი

ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

ქართულ ენაში ირანული წარმოშობის სიტყვები საკმაო რაოდენობით მოიპოვება. სიძველის მხრივაც მათ, სხვა ნასესხებ სიტყვებთან შედარებით, ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავთ. ბევრი მათგანი ისე შეითვისა და შეისისხლხორცა ქართულმა ენამ, რომ მათი უცხოურობა თითქმის აღარ შეიგრძნობა (განსაკუთრებით ეს ითქმის უძველეს ნასესხებთა შესახებ).

ძნელია უცხოურად მიიჩნიოს კაცმა ისეთი თითქმის „ნამდვილი“ ქართული სიტყვები, როგორცაა: მართალი, ბრძენი, ბორცვი, ცრუ, წმიდა და სხვა. არც მათი ირანული პროტოტიპების მოძებნაა ადვილი საქმე. ამ სიტყვებმა სახე იცვალეს როგორც ქართულში (ქართული ფონეტიკის სპეციფიკის გამო), ისე ირანულში ენის ევოლუციის შედეგად.

ირანულ სიტყვებს ქართულში ძნელად საცნობს ხდის აგრეთვე მორფოლოგიური ელემენტები, რომლებიც სუფიქსებისა და პრეფიქსების სახით ერთიან ნასესხებ ძირებს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, შენიღბული სახით წარმოვიდგენენ მათ (მ-ასპინძ-ელი, მ-ართ-ალ-ი, სა-ოსტიგნ-ე და სხვა).

ქართული ენათმეცნიერების განვითარებამ, განსაკუთრებით სიტყვის ანალიზის ახალმა წესებმა (კლას-კატეგორიის ნიშანთა და ფუძის დეტერმინანტთა გამოყოფამ) და სხვა ქართველურ და კავკასიურ ენათა მონაცემებთან შედარებითმა შესწავლამ გააადვილა გამოვლენილ ძირთა წარმომავლობის გარკვევა-მეტწილად ასეთი სიტყვები მოძმე ენებში ან სულ არაა, ან არადა იქ მათ კანონზომიერი შესატყვისები არ გააჩნიათ.

ირანულიდან ნასესხები ზოგჯერ ისეთი სიძველისაა, რომ შესაძლოა სესხება მომხდარიყო მაშინ, როდესაც ქართველური ენები ჯერ კიდევ დიფერენცირებული არ იყვნენ.

მეორე მხრით, ამ სიტყვების ირანულად მიჩნევის შესაძლებლობას ჰბადებს ის გარემოება, რომ ქართველურ ენებში ისინი განმარტოებით დგანან და მათი ეტიმოლოგია მხოლოდ ირანულ ნიადაგზე ხერხდება. მეტწილად ეს ინდოირანულსა და საზოგადოდ ინდოევროპულ ენებში ძალიან გავრცელებული სიტყვებია.

სანიშნუწოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ეტიმოლოგიას.

1. აზნაური 'წარჩინებული, კეთილშობილი, თავისუფალი'

მსგავსად მისივე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქარაღისანი მოვიდეს: შუშ. 46.

25. სიტყვა.

ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული: ზანძთ. იბ₃₁

და მისა ზმ აღაშენეს აზნაურთა წ^ე იგი ეკლესიად მცხეთას: მოქც. ქართ. 720₁₅...

სიტყვის ძირია აზნა (შდრ. უ-აზნ-ო), რომელიც სომხური *აჟნ*-ის იდენტურია ფონეტიკურად. სხვა ქართველურ ენებში ამ ძირს შესატყვისი არ მოეპოვება.

ამოსავალ ფორმად მიიჩნევა ირან. *ā-znā*, სადაც თავკიდური *ā* პრევერბს წარმოადგენს (შე-, გა-, წა-), სკრ. *ā+jnā*. ძირია *znā* 'ცოდნის' მნიშვნელობით. იგი ჩრდილო ირანულში უნდა გვექონოდა სკრ. *jñā*-ს შესატყვისად (ცნობილია, რომ სანსკრიტულ *j* ბგერას ავესტურში *z* შეესაბამება).

ძველ სპარსულში ეს ძირი (*x*)*znā*-ს სახითაა წარმოდგენილი¹: *zn*-ს წინ, რომელიც *zn*-დან მომდინარეობს, განვითარებულია *x* ბგერა (შდრ. ფალ. *āznāk* 'ცნობილი' — ძვ. სპ. *ā(x)znāka*-დან, ახ. სპ. *آشنا آشا āšnā, āšnāyi* 'შეცოდნე, ცნობილი, ნაცნობი, მოკეთე'²).

ამავე ძირისაა რუსული *знать*, ბერძნული *γινωσκω*, ლათინური (*g*)*nōscō* და სხვა.

ირანული ფუძე *ā-znā*, ნასესხები ქართულსა და სომხურში და გაფორმებული ამ ენათა ადიექტიური სუფიქსებით, იქცა ქართულში აზნა-ურ, სომხურში *აჟნ-ի* სახით.

āznā ნიშნავს 'ცნობილს, განთქმულს', მაშასადამე, აზნაურ სიტყვის პირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო 'ცნობილი, ჩინებული, წარჩინებული, დიდებული; ხოლო უ-აზნ-ო-ის 'უცნობი, უჩინო, შეურაცხი' (შდრ. იმავე *znā* ძირიდან ნაწირმოები რუსული *знатный, знать*).

ქართული აზნაურ-ის სომხ. *აჟნ*-თან კავშირზე და მის ირანულ წარმოშობაზე წინათაც მიუთითებდნენ (მ. ბროსე, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე და სხვ.). ამ სიტყვის დღემდე ცნობილ ეტიმოლოგიებს შორის (აზნ-ძირს უკავშირებდნენ ბერძნ. *ζῆσις*-ს, ფალ. *azg*-ს, ხეთ. *sin*-ს და სხვა³) ყველაზე საგულისხმოა *azn*-ის დაკავშირება ირან. *zana*-სთან 'გვარი, ტომი, მოდგმა', რასაც ი. ჯავახიშვილი მიიჩნევდა დასაშვებად, მაგრამ მას სამართლიანად აფიქრებდა თავკიდური *ა*-ს საკითხი, რომელიც აღნიშნული ეტიმოლოგიის მიხედვით აუხსნელი რჩება⁴.

ასეთი დაკავშირებისათვის საფუძველს ქმნიდა ალბათ სომხ. *აჟნ*-ის მნიშვნელობაც 'გვარი, ტომი, მოდგმა'. მაგრამ მსგავსი შინაარსი არ არის გამოცხადებული ჩვენი ეტიმოლოგიით, რასაც მოწმობს სკრ. *jñāti* 'ნათესავი' *jñā* ძირიდან და ახ. სპარსული *آشا āšnā* 'მოკეთე, ნათესავი', საიდანაც შეიძლებოდა განვითარებულიყო ცნება გვარისა: ნათესავი—გვარი—ტომი—მოდგმა... აზ-

¹ A. Meillet et E. Benveniste, Grammaire du vieux-perse, Paris 1931, p. 69.

² Horn, Grundriss der neupersischen Etymologie, Strassburg 1893, S. 8.

³ ჯ. Անաբևան, Հայերէն արմատական բառարան, Երևան 1926, I, 83. 34.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბილისი 1928, 83. 191.

ანაურის გამოყენება „თავისუფალის“ მნიშვნელობით მეორეული უნდა იყოს ისე, როგორც ფალ. *āzāt* (ახ. სპ. *āzād*) და აქედან სომხ. *ազատ*, და ერთსა და იმავე დროს 'კეთილშობილსა' და 'თავისუფალს' აღნიშნავს, მაგრამ მისი პირველი მნიშვნელობა 'კეთილშობილია' (ავესტაში *āzāta* მხოლოდ ამ მნიშვნელობით იხმარება)¹.

ტერმინები აზნაურება, განაზნაურება მხოლოდ ბიბლიაში იხმარება 'თავისუფლების' მნიშვნელობით და შეიძლება სომხურის გაკლენით აიხსნას: ეგების სომხ. *ազատություն*-ის თარგმანი იყოს.

2. ეშმაკი 'ავი სული, ბოროტი გენია, სატანა'.

...ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა: მუშ. 26;

...ხოლო ქრისტემან უბრძანა ქუეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი: მგზტ. 89₁₇...

ქართულში ეს სიტყვა ორი სახითაა წარმოდგენილი: ძველ ტექსტებში ეშმაკი, ხოლო შედარებით მოგვიანდნ ენაში ეშმა. უკანასკნელი გვხვდება საშუალო ქართულსა (ვისრამიანი) და დიალექტებში (ხევსურული).

ავესტაში იხმარება *azəšaia* 'ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე'. მას აქვს აგრეთვე *daēua-*ს მნიშვნელობა ('დევი, ავი სული, დემონი'). სიტყვის ძირად მიჩნეულია *azē* 'მღელვარება, სწრაფი მოძრაობა' (ინდოევრ. **eisa-*დან: ძვ. ინდ. *iśate*, *iśyati*, ბერძნ. *ἰσάωμαι* 'ძლიერი სურვილი, ენება, მღელვარება', ლათ. *ira*)².

ფალაურშია *hēšin*, *hišin* 'რისხვა, ცოფი, ბრაზი'; ახ. სპ. *خشم* 'ცოფიანი, მრისხანე'.

ეშმაკ სიტყვა ძალიან ძველი ნასესხები ჩანს. იგი შემოსული უნდა იყოს ან ძველი ირანულიდან, ან, ყოველ შემთხვევაში, არშაკული დიალექტიდან, თუმცა სომხურში ეს სიტყვა არა გვაქვს და ფალაურიდანაც ასეთი ფორმა არ არის ცნობილი. ყველაზე უფრო იგი მნიშვნელობითაც და ფორმითაც ავესტურს უდგება, რადგანაც „დემონის“ მნიშვნელობით მხოლოდ ავესტასა და ქართულში იხმარება, სომხურში კი, სპარსულის მსგავსად, 'ავი სულისათვის'. ყოველთვის *ეშ* გვაქვს.

3. ბორცვ 'მალღობი, გორაკი'.

განარისხეს ბგი ბორცუებსა ზედა მათსა და კერპებითა მათითა აშუ-რებდეს მას: ფხ. 77, 51

ქმნეს ტალავარი მახლობელად ბორცუსა მას: ზარზმ. 154₁₈.

და დაადგის ბორცუსა ზა კლდისასა: მღკვ. ქართ. 789₆...

ამ სიტყვასაც ირანულ წარმოშობისად მივიჩნევთ. ის გარემოება, რომ იგი სხვა კავკასიურ, კერძოდ ჩაჩურის ჯგუფის ენებში გვხვდება (ზღრ. ინგუშ. ბოარზ, ჩაჩნ. ბარც || ბარზ 'გორაკი, ბორცვი', წოვ. ბორც)³, დაბრკოლებას არა ქმნის და მხოლოდ საერთო წყაროდან მომდინარეობაზე მიუთითებს.

¹ H. Hübschmann, Armenische Grammatik, I, Leipzig 1895-97, S. 91.

² H. Reichelt, Avestisches Elementarbuch, Heidelberg 1909, S. 414.

³ H. Nyberg, Hilfsbuch des Pehlevi, II, Uppsala 1931, S. 107.

⁴ თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩურისა ქართველურ ენებთან: ენიმკის მთამბე, V-VI, 1940, გვ. 578.

ამოსავალ ფორმად ირან. burz უნდა ვიგულისხმოთ (შდრ. ავესტ. *baraz, baraz* 'სიმაღლე, მაღალი', სკრ. *brhant*, სომხ. *barjr* 'მაღალი', ფალ. *burz, burzak, burzišn, burzitan*, ახ. სპ. *burz* 'სიმაღლე', *Eljburz* ('*harabaraza*'-დან)¹.

ირან. *burz*—ქართ. ბორც, ბურც (შდრ. აბურცეება). ირან. *z-*ს ც-დ ვადმო-სგლის შემთხვევები ქართულში სხვაც არის (ირან. *zur*—ქართ. ცრუ, *patirōzak*—პატრუცავი. და სხვა).

4. ძირი ართ- გვევლინება მ-ართ-ის ფორმით ზმნისართებში: მიმართ, მომართ, დამართ და სხვა; ზმნის ფუძედ: აღ-მართ-ა, წარ-მართ-ა, მი-მართ-ა და სხვა; სახელებში: მ-ართ-ალი და წარ-მართ-ი...

თავსა თვსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ: შუშ. 4₂₂

და წარმოჰმართა სადიასპანოდთა ცხენითა მონაჲ თვისი: იქვე, 5₃

და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილეთა

წმიდათა მოწამეთა: ხანით. 11₅₁

...ესე ოც და რვანი მეფენი ქართლს შინა წარმართნი: მოქც. ქართ.

710₁₂...

მ-ართ, მ-ართ-ალ სიტყვებში ძირია -ართ, მ- და -ალ კი ქართული საწარმოებლები². *art* საერთო ინდოევროპული ძირია **arta*: სკრ. *ṛta* 'სიმაართლე, სიწმინდე'; *anṛta* 'სიცრუე'³.

ძველ სპარსულში ეს სიტყვა მხოლოდ საკუთარ სახელებში ჩანს *Artavardiya* 'ქველმოქმედი', *Artaxšassa* 'სამართლიანად მმართველი', *Artafarna* 'qui a la gloire de la vertu religieuse'⁴, ავესტაში მისი შესატყვისია *aša* (*it-š* ავესტაში) 'სიმაართლე, ქეშმარიტება'⁵, სომხ. *արդար* 'მართალი', ოს. *ard* 'ფიცი'⁶.

თითქმის ყველა ამ ენაში ნაწარმოებია ადიექტივები ქართული მ-ართ-ალის მსგავსად: სკრ. *ṛtāvan* 'მართალი, წმიდანი', ავესტ. *ašavān* 'მართლმორწმუნე, აშაველი, აშას მიმდევარი' (შდრ. მანიქური ფორმა 𐭌𐭎𐭓𐭕 'სამართლიანი, ქეშმარიტი'. ითქმის მანიქველთა და მათი მოძღვრის შესახებ)⁷. სომხ. *արդար* 'მართალი, კანონიერი, სამართლიანი'.

ბ. მარი ქართულ მართალ-ს სომხური *արդար*-იდან მიღებულად თვლიდა დისიმილაციის გზით⁸, მაგრამ მართ- ფუძის ქართულში დამოუკიდებლად არსებობა ამ მოსაზრების უსაფუძვლობას ამტკიცებს, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ილია აბულაძე⁹. თვით მართ-ს იგიც სომხური:

¹ Horn, Grundriss u. p. Et., S. 46.

² არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., გვ. 27—28, 166.

³ В. Ф. Миллер и Ф. И. Кнауэр, Руководство к изучению санскрита, С.-Петербург, 1891.

⁴ A. Meillet, op. cit., გვ. 170.

⁵ Reichelt, op. cit., გვ. 424.

⁶ В. Ф. Миллер, Осетинско-русско-немецкий словарь, Ленинград 1929, I, გვ. 45.

⁷ C. Salemann, Manichäische Studien, S. 116. 1908.

⁸ Армянский термин *ark-ay*: ИАН, 1920, გვ. 106—107.

⁹ ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბილისი. 1944, გვ. 099—0100.

დან შემოსულად თვლის; მაგრამ ამ ძირის ინდოევროპულობა მისი სომხური-დან უეჭველი სესხების საბუთად არ გამოდგება, რადგანაც ქართულ ენას ამ ოჯახის სხვა წარმომადგენლებთანაც ჰქონდა ძველად ურთიერთობა.

5. ნაძვ.

და მოჰკუთვნა ნაძუი იგი და ნაძუისა მისგან შეამზადნა ლეიღნი
სუეტნი ეკლესიისანი: ლ. მრჯ. 69,¹⁶
რ მახლობელ არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოსულსა: მღქც.
ქართ. 766¹⁷

ნაძვის აღმნიშვნელი სიტყვა ჯერ კიდევ აქამენიდთა ძველ სპარსულ წარწერებში გვხვდება. დარიოსის წარწერაში სუზის სასახლის აგების შესახებ იკითხება: *𐎱𐎠𐎼𐎿 𐎧𐎺𐎠 𐎧𐎡𐎴*. უკანასკნელ სიტყვას უკავშირებენ ახალ სპარსულ *nōz*-ს 'ნაძვი' (მთლიანად გამოთქმა ნიშნავს „ხე ნაძვისა“). კონტექსტის მიხედვით საუბარი მხოლოდ ლიბანის ნაძვზე შეიძლება იყოს¹.

ახალ სპარსულში ნაძვის აღსანიშნავად, ერთი მხრივ, გვაქვს ფორმები *نوز* *nōz*, *نوز* *nōz*, *نوز* *nōz*, მეორე მხრივ, *نوز* *nāz*, *نوز* *nāz*, *نوز* *nāz*².

ქართული ნაძუ გულისხმობს სპარსული *nāz* ფორმის³, ხოლო ამ ცნების გამომხატველი სომხური სიტყვა *նաձ* ფალაურ **nōz*-ს ეყრდნობა⁴. განსხვავება ისეთი რივისაა, როგორც ქართ. ტაძარსა და სომხ. *սահար* სიტყვებს შორის (ირან. *z* — ძ, *z* — სომხ. *z*). როგორც ჩანს, სომხური და ქართული ფორმები ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობენ. შეადარეთ აგრეთვე მეგრული *ნუზუ*, რომელიც ქართული ფორმის კანონზომიერ შესატყვისს არ წარმოადგენს და უშუალოდ სპარსულიდან უნდა მოდიოდეს. იგი ახლოსაა სპარსულ *nōz* სახეობასთან⁵.

6. ფართო 'განიერი, სწორი, ვრცელი'.

ჭირსა ჩემსა ვხადე უფალსა, ისმინა ჩემი და გამომიყვანა მე ფართოდ:
ფს. 117, 11.

და არა იპოვა ადგილი ველოვანი და ფართოებით შემწყნარებელი
მათი: ზარზმ. 153

ხოლო ვახტანგ განათართა. კიდი მოგუეთისა: ჯუანშ. 121¹⁴...

ფართო სომხურში *հարկ*-ის სახით არის წარმოდგენილი (f — h სომხურისათვის დამახასიათებელი).

¹ В. И. Абаев, 1. Древне-персидские элементы в осетинском языке; 2. Надпись Дария I о сооружении дворца в Сузе: Иранские языки, I, Москва — Ленинград 1945, 33-9 და 131.

² Н. Ягелло, Полный персидско-арабско-русский словарь, Ташкент 1909.

³ ნ. მარს ნაძვი მეგრ. ნოჭ-ის შესატყვისად მიაჩნია: О языке и истории абхазов, 1938, 33-74.

⁴ ჯ. Ահարեան, ՀԱԲ, III, 167.

⁵ ცნობა მეგრული ფორმის შესახებ მოგვაწოდა მაკარ ხუბუამ.

ეს სიტყვა გვხვდება ავესტაში: *paṛəθu-ainika* 'ფართო ფრონტონი', *paṛəθu-ḥraka* 'შორს გაგრძელებული', სანსკრიტში: *prth-śh* 'განიერი', *prthi-vi* 'მიწა' ('ფართო' სიტყვისიტყვით), ბერძნ. *πλάτης* და გაგრძელებული ძირია ინდო-ევროპულ ენებში¹.

ფართო ქართულში ჩრდილო ირანული დიალექტებიდან უნდა იყოს შეთვისებული².

7. ბრძან—ბრძენი.

ა. ბრძან: მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისი ასული მეფისაჲ: შუშ. 7₂₉ და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა: *ჰამო*, 66...

ბ. ბრძენ: კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყუთ: შუშ. 14₇

მაშინ დაუტევე მე პირველი იგი კაცთა კელოვნებით შეთხზული შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაჲ: *ჰამო*, 19₂₄...

ბრძან- ფუძე, ჩვენი ფიქრით, მოდის ირანული *fra-zān*-იდან 'შეცნობა, გაგება', კაუზატიური მნიშვნელობით: 'ცნობება, გაგებინება, ბრძანება' (შდრ. სკრ. *pra-jān, ā-jnā* 'შეცნობა, გაგება', კაუზატივში ბრძანებას ნიშნავს)..

fra-zān → ფრძან → ფრძან → ბრძან სიტყვა შეთვისებული უნდა იყოს არა სპარსული ჯგუფის ენებიდან (სადაც სიტყვა ბრძანება თუმცა ანალოგიურად მაგრამ სხვა ძირიდან ნაწარმოები -- *fra-mā*, ფალ. *framān, framūtan* 'ბრძანება', ახ. სპ. *framūdan*³, საიდანაც სომხურში გვაქვს *բրաման*, ქართ. ფარმანი, ფირმანი), არამედ რომელიღაც ძველი ან საშუალო ირანული დიალექტიდან, სადაც, სანსკრიტის მსგავსად, ბრძანება *zān* 'ცოდნა' ძირიდან იყო ნაწარმოები.

რაც შეეხება ბრძენს, მისი პროტოტიპი სპარსულში რეალურად არსებობს. ეს არის ფალ. *frazānak* 'ბრძენი, მეცნიერი', *frazānakih* 'სიბრძნე, ცოდნა, მეცნიერება'

ბრძან-ება და ბრძენ-ის ერთმანეთთან დაკავშირებისათვის სემანტიკური დაბრკოლება არ არსებობს. ასეთი კავშირი ამ ორ სიტყვას შორის სხვა ენებშიც შეინიშნება; მაგალითად, არაბულში *حکم* 'ბრძანება, განკარგულება, ოქმი' და *حکیم* 'ბრძენი, ფილოსოფოსი, აქიმი' ერთი და იგივე *حک* ზმნიდან არის ნაწარმოები.

¹ A. Мейс, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва-Ленинград 1938, გვ. 181; აგრეთვე Reichelt, op. cit., გვ. 459.

² ძველი ირანული ბგერა *r* მხოლოდ ჩრდილო ირანული ჯგუფის ენებში იძლევა *ar*-ს, სპარსულში კი *ir*-ს ან უფრო ხშირად *ur*-ს (შდრ. სკრ. *vrka* 'მგელი', ახ. სპ. *gurg, vazrka—buzurg* 'დიდი' და სხვა).

³ H. Nyberg, op. cit., გვ. 72.

⁴ H. Nyberg, Hfsb., II, S. 74.

8. მარხვა 'დაცვა, ფარვა, შენახვა, დაფვლა, მოთმინება'...

და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტარილით: შუ. 26

მსწრაფლ წარიღეთ გუამი ჩემი და მუნ დაჰმარხეთ, სადა ნათელ ვიღე: გვ. 94₁

და ეგრეთვე ვამცნებ შემდგომითი შემდგომად შვილთა ჩემთა, რადთა დამარხონ წმიდად ესე მოძღურება: ხანძთ. მ. 230

მარხ-ვა ეყრდნობა სპარსულ *parx ფორმას, რომელიც მიღებულია pah-იდან მეტათეზისის გზით (შდრ. სპ. carx-ფალ. čahra, surx -suxr- ავესტ. suxra)¹. ფალ. pah-, რომელიც, ჰიუბშმანის აზრით, pax-ფორმის პარალელურად უნდა გვექნოდა, მომდინარეობს ავესტ. pāxra-დან (inf.), ძირია pā(y) 'დაცვა, ფარვა'.

სომხურში ეს სიტყვა պահ-ის სახითაა დაცული და ფალ. pah-იდან მომდინარედ ითვლება: pah - pār - pāra², ქართულისათვის კი გვექნებოდა მარხ- *parx || pah- - pāra (p-სა და მ-ს მონაცვლეობისათვის შდრ. ქართ. მართ-ჰ-მართებ-ს-ში და სომხ. պարս 'ვალი').

9. ცრუ 'მატყუარა, ყალბი'.

ძენო კაცთანო, ვიდრემდის გულფიცხელ ხართ, რად გიყუარს ამო-
ებად და ეძიებთ სიცრუევსა: ფხ. 4, 3
ხოლო ცრუმოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და
ეტყვედ რომელნიმე რეცა სიტყუთა ლიქნისადათ: ჰაბა, 70...

ძირია ცურ, რომელიც, საფიქრებელია, იგივე სიტყვაა, რაც ფალ. zūr 'სიცრუე, სიყალბე' (z--ც: იხ. ბორცვი). ძვ. სპ. zūra 'ტყუილი, სიცრუე'³, მანიქ. 𐭆𐭏𐭕 (𐭏𐭕) 'ტყუილი, სიცრუე'⁴, ახ. სპ. 𐭆𐭏 zūr 'სიცრუე'⁵ და სომხური ნასესხები ყուր 'ამაო, ფუჭი, ცუდი'⁶.

ამგვარად, «ახნაური, ეშმაკი, ბორცვი, მართალი, ნაძვი, ფართო, ბრძანება—ბრძენი, მარხვა, ცრუ» ირანული ენებიდან შემოსული ჩანან სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით.

¹ მეტათეზისი xr, hr → rx, rh დამახასიათებელია სპარსულისათვის (Grundriss der iranischen Philologie, II, 33-53).

² H. Hübschmann, op. cit., I, S. 217.

³ A. Meillet, op. cit., 52.

⁴ Salemann, op. cit., 80.

⁵ Haim, I, 33. 1029.

⁶ Hübschmann, op. cit., 151.

კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის
თუჩუალ ენებში

ყვანე ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ კაპიტალურ შრომაში—„საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“¹—ქართული სასოფლო-სამეურნეო იარაღების, უმთავრესად კი სახენელი იარაღების წარმოშობისა და მათი თანდათანობითი გაუმჯობესების საკითხთა კვლევისას ფრიად მნიშვნელოვან დასკვნებამდე მივიდა. სასოფლო-სამეურნეო იარაღების მეცნიერულ-ისტორიული შედარებისა და მათი სახელების საფუძვლიანი ფილოლოგიური შესწავლის შედეგად განსვენებულმა მეცნიერმა გამოარკვია, რომ „ძველ საქართველოს მიწის მოქმედების მალალხარისხოვანი კულტურა“ ჰქონდა და მეზობელი ერები—სომხები, აზერბაიჯანელები, ანატოლიელი თურქები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და სხვ.—ქართველებსგან ითვისებდნენ როგორც გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ისე თვით მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ტექნიკასაც².

აქტორმა ამ თვალთახედვით გააანალიზა სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქართულ-თურქულ-სომხური ტერმინები და, სხვათა შორის, სახენელთა შესახებ თავისი შეხედულება შემდეგ დებულებებში ჩამოაყალიბა: 1. „ამიერ-კავკასიის მოსაზღვრე ოსმალთაგან აქითგანვე (ე. ი. საქართველოდან.—ხ. ჯ.) უნდა ჰქონდეთ გუთანი შეთვისებული“³; 2. „ლოდიკური აუცილებლობით უნდა დავასკვნათ, რომ გუთანის შეთვისება სომხებს მხოლოდ ქართველებისაგან შეეძლოთ“⁴; 3. მეორე სახის სახენელი იარაღი—ჯილა „მისი სახელითურთ ოსმალეთითგან ჯავახეთში ვადმოსახლებულ სომხებს მესხეთში მცხოვრებ ქართველთაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული“⁵; შემდეგ დასძენს, რომ 4. „სახენელი იარაღისა და მისი ნაწილების ისევე, როგორც ხენის შესახები ტერმინოლოგიითგან სომხურში 9-10 სიტყვაა ქართულითგან ნასესხები, ან ნათარგმნი. ეს შეთვისებული ტერმინები უმთავრესად გაუმჯობესებულ სახენელებსა და

¹ საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი 1930.

² იქვე, გვ. 248, 249, 250, 251, 260.

³ იქვე, გვ. 248.

⁴ იქვე, გვ. 249.

⁵ იქვე, გვ. 245.

მათ ნაწილებს ეხებიან“ და, მაშასადამე, „გაუმჯობესებული სახენელი-სომეხებს ქართველებისგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.“¹

აქედან ცხადი ხდება, რომ საქართველო წარსულში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რაციონალიზების დარგში წამყვან როლს ასრულებდა არა მარტო ამიერ და ჩრდილო კავკასიაში, არამედ, როგორც ქვევით დავინახავთ, იგი ამ სფეროში თავისი შედარებით მაღალი კულტურით ზეგავლენას ახდენდა აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ მოსახლეობაზედაც.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ივ. ჯავახიშვილის მიერვე დადგენილი ფაქტი. მაშინ, როდესაც შუა აზიისა და სხვა თურქულ ტომებში, ისევე როგორც დასავლეთ ანატოლიაში, „გუთან“ სიტყვის ეკვივალენტად „სათან—საბან“ (صان—صان)² გვევლინება, აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებში, ანუ, როგორც თვით მკვლევარი უწოდებს, „ოსმალეთის აღმოსავლეთის თემებში“³, ან თურქეთის „აღმოსავლეთ ვილაიეთების“⁴ მოსახლეობაში „გუთან“ (گوتان) სიტყვა არის გავრცელებული.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება მოვიგონოთ „სიმინდის“ აღმნიშვნელი ქართველური ტომის—ლაზების სახელისაგან თურქულად ნაწარმოები „ლაზუთ“ სიტყვის გავრცელებულობა სწორედ აღმოსავლეთ ანატოლიის ტომებში, რაზედაც ლაპარაკი გვქონდა ჩვენს მცირე გამოკვლევაში⁵. რიგი მოშველებული მასალების საფუძველზე გაირკვა, რომ „ანატოლიის ამ მხარეში (იგულისხმება აღმოსავლეთი ანატოლიის ვილაიეთები) სიმინდის კულტურისა და, შეიძლება, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების გავრცელებასა და გაუმჯობესებაში ლაზებს დიდი აქტიურობა უნდა გამოეჩინოთ“⁶. ეს ჩვენი შეხედულება უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება „გუთან“ სიტყვისა და თვით გუთნის „ოსმალეთის აღმოსავლეთის თემებში“ გავრცელებულობის შესახებ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრების შემდეგ, რაც ჩვენი წერილის დაწერის დროს გათვალისწინებული არა გვქონია.

წამოყენებულ დებულებას, რომ მიწის დამუშავებაში ქართველებს უპირატესობა ჰქონდათ მეზობელ ერებთან და მათ შორის თურქულ ტომებთან შედარებით, ამაგრებს სხვა ფაქტებიც.

მხედველობაში გვაქვს კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინი, რომელიც თურქულ ტომებში იხმარება და ეკვივალენტულად ნასესხებია ქართველებისგან როგორც თვით სიტყვა, ისე მის მიერ გამოხატული შრომის სახეობაც.

ეს ტერმინია „მოდგამი“, რომელიც ჯერჯერობით თვით ქართულშიც არ არის საფუძვლიანად შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მას არა ერთხელ მიჰქცევია მკვლევართა ყურადღება.

¹ საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პიოველი, თბილისი 1930, გვ. 251.

² В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, гв. 414.

³ საქართველოს ეკონ. ისტ., I, გვ. 247.

⁴ იქვე, გვ. 243.

⁵ „ლაზუთ“ სიტყვის წარმოშობისათვის: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, თბილისი 1944, გვ. 227, 228.

⁶ იქვე, გვ. 231.

ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი თავის ლექსიკონში „მოღვამ“-ს ასე განმარტავს: „მეკომე, ჯილდის მოზიარე“¹. „მეკომე“ კი მისივე განსაზღვრებით „ქართ მოღვამი, ჯილდის მოზიარე“-ა. დავძენთ, რომ „მოღვამი“ ს ა ბ ა ს ესმის მ ხ ო ლ ო დ როგორც მღვის საერთო დამუშავების მონაწილე.

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იმოწმებს რა ს ა ბ ა ს, ამბობს, რომ „მოღვამი“ უძველესი დროითგანვე ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში მიღებული ტერმინი იყო... სახენელით ხენის დროს მონაწილეს“ აღნიშნავდა². „მოღვამის“ სხვა მნიშვნელობაზე ამ ნაშრომში არაფერი ანათქვამი.

გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, რომელიც ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ მოყვანილ ცნობებს არ იხსენიებს, საკმაოდ ვრცლად ეხება „მოღვამ“ სიტყვას და უკვე ცნობილ მნიშვნელობათა გარდა ი. ტ ფ ი ლ ე ლ ი ს „მოურავიანის“ მიხედვით ადგენს ამ სიტყვის სხვა ვაგებას; სახელდობრ, „ნათესავ-მ ო დ გ ა მ-გვარტომ-მან ეს ვიწყე წერებად“ სტროფში ნახმარი „მოღვამ“ სიტყვა გ. ლ ე ო ნ ი ძ ი თ ნიშნავს, რომ ი. ტ ფ ი ლ ე ლ ი „გიორგი სააკაძის ოჯახის მონაწილეა, სწორედ მოღვამით, მიმდგამობით და არა პირდაპირი ხაზით—შვილიშვილობით“³. ჩანს, „მოღვამი“ არა მარტო მიწის მუშაობაში „მოღვამობას“, მოზიარეს, მონაწილეს აღნიშნავს, არამედ ნათესაური ხაზით ოჯახის მოზიარობასაც.

უფრო საყურადღებოა „მოღვამ“ სიტყვის უფრო ძველი მნიშვნელობა, რომელიც გ. ლ ე ო ნ ი ძ ე ს მოჰყავს XI საუკუნის ძეგლიდან („ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“), სადაც იკითხება: „ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიუწეროთ ოთხთავე პატრიაქთა საყდრის მ ო დ გ ა მ თ ა ჩუშნთა“⁴. ასევე საყდართან დაკავშირებით გვაქვს მოცემული „მოღვამი“ ქვემოთ მოყვანილ ამონაწერში, რომელიც თავაზიანად გადმოგვცა ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ. ამ ამონაწერში ვკითხულობთ: „უძლეველი დეოკლიტიანე კეისარი საყუბრელსა ძმასა და საყდრის მ ო დ გ ა მ ს ა ჩემსა თრდატს გიკითხავ“⁵. ორივე ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ „მოღვამს“ ჰქონდა მნიშვნელობა აგრეთვე, ასე ვთქვათ, საყდრის მოზიარობისა და იგი ერთი ეკლესიის თანაწევრთა გამომხატველი ტერმინი ყოფილა. „მოღვამის“ ეს ძველი ვაგება დაუცავს მეგრულში ხმარებულ „მეღვამე“ სიტყვას, რომელიც გარდა ყანის მოღვამობისა (ყვანაშ მეღვამე ყანის მოღვამი) აღნიშნავდა ერთი ეკლესიის მოღვამობასაც. მაგალითად, „ლესაინდარეფი დო ნაჯახარეფი თარანგიოზიში მ ე დ გ ა მ ე ფ ი რენა“ ნიშნავს ლესაინდარეფი და ნაჯახარეფი მთავარანგელოზის (ეკლესიის) მოღვამები არიან.

¹ ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და პროფ. ა. შ ა ნ ა ძ ი ს რედაქციით, თბილისი 1928, გვ. 218.

² საქართველოს ეკონ. ისტორია, I, გვ. 251.

³ იოსებ ტ ფ ი ლ ე ლ ი, დიდმოურავიანი, გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი 1939, გვ. XXI.

⁴ იქვე, იხ. აგრეთვე: ალონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით თბილისი 1901, გვ. 314—315.

⁵ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი A № 511, გვ. 350 v. I₁₈.

უფრო ფართო და უფრო ზოგადი შინაარსითაა წარმოდგენილი „მოდგამის“ მნიშვნელობა ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ ძველ ტექსტებში¹, სადაც იგი სამჯერ გვხვდება. „წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მესუკავეთაჲ“-ში ნათქვამია: „იხილეთ, ძმანო ჩემნო და ერისკაცობისა მოდგამნო...“². IX—X საუკუნის ამ ძეგლში დასტურდება, რომ „მოდგამი“ გამოხატავდა სამხედრო სამსახურში თანამონაწილეობასაც. აქ ნახსენები „ერისკაცობა“ იმ დროში „ჯარისკაცობას“ ნიშნავდა, ხოლო „ერისკაცობის მოდგამი“ უდრის „ჯარისკაცობის მოდგამს“, ე. ი. სამხედრო საქმეში თანამშრომელს, თანამსახურს (შდრ. ამ სიტყვის სომხური ეკვივალენტი *գնասույսկից*, რაც სიტყვასიტყვით „თანაშეჭურვილს“ ნიშნავს (ილია აბულაძე). ასევე სოციალურ პირობათა ერთობლიობის აღმნიშვნელია იმავე ნაშრომში მოყვანილი (მაგრამ სხვა ძეგლებიდან ამოკრეფილი) გამოთქმები: „მკვდრობის მოდგამი“³ და „მსახურების მოდგამი“⁴. პირველი „თანამემკვიდრეს“, „მემკვიდრეობის მონაწილეს“ უდრის, მეორე კი „თანამსახურს“.

„მოდგამის“ ქართლსა და ქიზიყში შემონახული მნიშვნელობა არ განსხვავდება საერთოდ ცნობილ მნიშვნელობათაგან და იგი „გუთნეულში“ შეამზანაგებულს“ ნიშნავს⁵.

„მოდგამ“ სიტყვის მეზობელ ერებში გავრცელებულობის ერთი შემთხვევა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა თავის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“, სადაც ის წერდა, რომ „მოდგამი“ შეთვისებული აქვთ არა მარტო ჯავახეთის სომხებს, არამედ საკუთრივ სომხეთის შირაკის თემის მოსახლეობასაც⁶. აქვე ავტორმა კატეგორიულად უარჰყო ჰ. მალხასიანის უსაფუძვლო მოსაზრება „მოდგამ“ სიტყვის სომხური წარმოშობილობის შესახებ. ჰ. მალხასიანი გულუბრყვილოდ მიიჩნევდა „მოდგამ“ სიტყვას *Wom* „მოტ“ (= ახლო) და *გამ* „გამ“ (= მოვდივარ) სომხური ელემენტებისაგან მიღებულ კომპოზიტად მაშინ, როდესაც «ასეთი „ახლო მოვდივარ“ წარმოებისაგან არსებითი სახელი ვერ გაჩნდებოდა და მოდგამ-საც ამ ორ სიტყვასთან, ცხადია, საერთო არაფერი აქვს»⁷.

„მოდგამი“, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გავრცელებულია თურქულ ენებშიც. უეჭველია, იგი ისევე იყო გავრცელებული სამცხე-საათაბაგოში, როგორც მთელ საქართველოში. როდესაც სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობამ „დამქირნეობისათვის ოსმალთა“ თურქული ენა შეითვისა, თურქულში სათანადო ცნებისა და სიტყვის უქონლობის გამო, სამცხე-საათაბაგოს ქართველი მოსახლეობის თურქულენოვანმა ნაწილმა „მოდგამ“ სიტყვა ქართველობის დროიდან შეინარ-

¹ ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნეებში. გამოკვლევა და ტექსტები. თბილისი 1944.

² იქვე, გვ. 316.

³ იქვე, გვ. 227.

⁴ იქვე, გვ. 229.

⁵ ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი 1943, გვ. 115.

⁶ წ. I, გვ. 250.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 250—251.

ჩუნა და იგი თურქული მეტყველების კუთვნილებად აქცია. სამცხე-საათაბაგოს თურქული მეტყველების შესასწავლად შეგროვილი ჩვენი მასალებიდან აქ მოვიყვანთ მხოლოდ ორ ადგილს, სადაც „მოდგამი“ გვხვდება: ბის ყომშიდა მოგ დ ა მ ოლღუხ, თალამეზი ყურთარღუხ—ჩვენ მეზობელს გა უ მო დ გა მ დ ი თ [და] ჩვენი ყანა დავამთავრეთ; ქიმისი მო გ დ ა მ ოლურ, ქიმისი ოლმას—ზოგი მოდგამი ვახდება, ზოგი არა. „მოგდამ“-ში ყურადღებას იქცევს მეტათეზისი „დგ“ თანხმოვანთა გადასმა, რაც თურქული ფონეტიკის თავისებურებით უნდა აიხსნას.

უფრო საინტერესოა „მოდგამ“ სიტყვის გავრცელებულობის მეორე არე. ესაა ბოლნისის რაიონი, ამ რაიონის მოსახლეობა მიწის დამუშავების ზემოხსენებული წესის ატსანიშნავად ხმარობს modjam სიტყვას. უეჭველია, რომ modjam სახეცვლილი ფორმაა „მოდგამ“ სიტყვისა. საქმე ისაა, რომ თურქული ფონეტიკის თავისებურების თანახმად ზედიზედ ორი ხშული, ჩვენს შემთხვევაში კი dg თანხმოვნები, ფუძეში არა გვხვდება. „მოდგამ“ სიტყვის სესხებისას თავმოყრილ უჩვეულო თანხმოვანთა გასაყარად უნდა გაჩენილიყო ვიწრო ხმოვანი i და მიგველო modigam (შდრ., მაგალითისათვის, არაბული vakit-ის თურქული ფორმა vakit (დრო)). გარდა ამისა, ნასესხებ სიტყვათა ველარი გ თანხმოვანი თურქულში პალატალდება¹, როგორც, მაგალითად, სპარ. gah ადგილი თურქულში უდრის g'ah-ს, ruzgar დრო, განგება, ქარი თურქულში იქცა ruzg'ar-ად და სხვ. ამ გზით მიღებულ modig'am სიტყვას შემდეგში სხვა ფონეტიკური ცვლილებაც უნდა განეცადა; სახელდობრ, თურქულისა და აზერბაიჯანულის საერთო წესის მიხედვით ორ ხმოვანს შუა მოქცეული გაპალატალებული გ თანხმოვანი j ბგერაში გადადის (შდრ. თურქული და აზერბაიჯანული deg'irmen — dejirmen წისქვილი, deg'iz—dejiz ცვლა და სხვ.). ამ ფონეტიკური წესის ძილაში შესვლის შემდეგ ჩვენ კანონზომიერად უნდა მიგველო modijam, რომელშიც ჩართული i უკვე საჭირო აღარ იყო, იგი გამოვარდა და საბოლოოდ დამკვიდრდა modjam ფორმა.

სწორედ modjam სახით გვაქვს ეს სიტყვა ფიქსირებული აგრეთვე თურქულის ე. წ. თარაქამულ მეტყველებაში, რომლის ნიმუშების ჩაწერას ვაწარმოებდით 1933 წელს ნ. ბერძენიშვილთან ერთად ჯავახეთში მოგზაურობის დროს.

რა თქმა უნდა, „მოდგამ“-ის გავრცელებულობა მარტო ბოლნისელ თურქთა მოსახლეობითა და ჯავახეთის თარაქამებით არ ამოიწურება. ის გავრცელებულია აგრეთვე წალკის თურქულენოვან ბერძენებში, როგორც ეს დაგვიდასტურა სოფ. ჯინისის მკვიდრმა თურქულენოვანმა ვლად. ნიკიფოროვმა 1943 წელს. ეს სიტყვა სხვა თურქულ ტომებში და სამცხე-საათაბაგოდან გასულ აღმოსავლეთ ანატოლიის მოსახლეობაშიც უნდა იყოს ხმარებული. ამ თვალსაზრისით კვლევა-ძიების ჩატარება უთუოდ გამოარკვევს, რომ საქართვე-

¹ შდრ. «... les gutturales k et g du persan sont toujours palatalisées en turc...» (J. Deny, Grammaire de la langue turque, პარიზი 1910, გვ. 85).

ლოს სასოფლო-სამეურნეო კულტურის გავლენის სფერო უფრო ფართოა, ვიდრე ეს ჩვენ ვიცით, და ამ მიმართულებით წარმართული მუშაობა, ცხადია, არა ერთსა და ორ ფაქტს გამოავლენს¹.

¹ ფრიად დამახასიათებელია აგრეთვე ერთი გარემოება, რომელიც ჩვენ წელს შევხიზნეთ ბორჩალოს რაიონში. ბორჩალოს თურქული მოსახლეობის მეტყველებაში ცნობილი ქართული „თოხი“ იხმარება toxa-ს სახით. „თოხნა“ ზმნაც იმავე toxa სიტყვისაგან არის ნაწარმოები აღწერილობითად: toxa vurmak 'თოხის დარტყმა', ან toxa dõjmak 'თოხის დაკვრა'. ჩანს, ძველ ქართულში დადასტურებული „თოვი“, „თოხი“ (სახელდობრ, გ. მთაწმიდელის თხზულებაში: იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართ. ეკონ. ისტორია, I, გვ. 210—211) თურქული მოდგმის ტომებს ქართულიდან უნდა ჰქონდეთ მიღებული მის მიერ გამოხატულ მიწის დასამუშავებელ იარაღთან ერთად. ისიც ირკვევა, რომ სიტყვა „თოხი“ გავრცელებულია არა მარტო საქართველოს ფარგლებში მობინადრე თურქული წარმოშობის ტომებში, არამედ აზერბაიჯანელებშიც. 1941 წელს ბაქოში დაბეჭდილ რუსულ-აზერბაიჯანულ ლექსიკონში (Русско-азербайджанский словарь под редакцией Г. Гусейнова, ტ. II, ბაქო, გვ. 540) Мотыга განმარტებულია სიტყვებით toxa, karku; motyžit ხმნა კი toxa-საგან ნაწარმოები ზმნით toxalamaq, ან აღწერილობითად karku ila ixlamaq „karku“-თ მუშაობა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აზერბაიჯანულში „თოხნა“ ზმნისათვის სპეციალური ეროვნული ტერმინი არ არსებობს და გამოყენებულია ქართულიდან შესული „თოხი“ და მისგან ნაწარმოები თოხ ა-ლამაგ.

თხილა (იპოვება)
ქოხილ კოხილ
გოს-ქოხილ
კოხილ.

ქოხილ - ხოხილ
იპოვება

ქოხილ - თხილ - თხილ =
ქოხილ =

ქოხილ
"კოხილ ქოხილ"
კოხილთა
იპოვება
კოხილ-ქოხილ-
(ი.)

თხილ || სილ სილ
"კოხილთა
კოხილთა კოხილთა-
ხოხილ"
(საქ., 478)

მაპარ ხუზაშა

ძველი სომხური ტერმინის *ՅՐԻՄ* შორომ-ის
განმარტვინათვის

ნიკო მარს არა ერთხელ მოუცია ჰიპოთეზურად გაუგებარ ტერმინთა ახსნა-განმარტება, რაც შემდგომ წარმოებული კვლევა-ძიების მეოხებით დადასტურებულა. ერთ-ერთი ასეთი მონაცემია შორომ (შორომა), რომელიც გამოყენებულია ძველ სომხურ ტექსტში შედგენილი სიტყვის *շարոմաძეს* (=შორომაძეს)-ის პირველ ნაწილად. ნიკო მარსი წერს: სომეხ ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის, ან უფრო სწორად, როგორც ეს გამოარკვია. ა. მანანდიანი, უტიელის «ალბანელთა ისტორიის» ტექსტი დღემდის არ არის დამუშავებული ფილოლოგიურად, დღემდის არ არის ანალიზებული ტექსტუალური კრიტიკის თვალსაზრისით. ფილოლოგიური დამოწმება არ არსებობს იმის შესახებ, თუ მისი რომელი ნაწილებია პირვანდელი, VII საუკუნისა, და რომელია გვიანდელი, X საუკ. მონაცემი. შესაბამაღვე ხაზართა სუფრის აღწერის ტექსტიც დღემდის არ შეიძლება ზაითვალოს საბოლოოდ დადგენილად. გამოცემა ორია და ორივე გამოვიდა ერთსა და იმავე წელს (1860 წ.), ერთი—მოსკოვს ემინის რედაქციით, მეორე—პარიზს შაჰნაზარიანის რედაქციით¹. ნიკო მარსის მიზანია განმარტოს ხსენებული სომხური ტექსტის ერთ-ერთ აბჯაცში მოცემული ორი ტერმინი: *սարոյ* ხალომ და *շարոմ* შორომ. სათანადო ადგილი ასე იკითხება:

*„... զի նմին և գրանդուս եղևրեղէնս և շարոմաძես լիպտիղէնս միծա-
միծա. սրով զանդանսկն լախէին...“*

ბ. მარსის თარგმანით: «вместе с тем и громадные сосуды для хлеба-
ния роговые и тыквообразные деревянные которыми они лакали взвар“.

შორმაძეს-ის ყოველმხრივი შეზღავლის შედეგად ნიკო მარსი მიდის შემდეგ დასკვნებამდის:

1. მოსე კალანკატუელის «ალბანელთა ისტორიაში» ხაზართა სუფრის აღწერისას დაცულია ტერმინი *შორომაძეს*, რომლის პირველი ნაწილი *შორომ* ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებაში ნიშნავდა «ხაპს», ვადატანით კი «თასს», ღვინის სასმისს, ხოლო მეორე ნაწილის—სომხური სიტყვის ძვეს-ის—დართ-
ვით გამოხატავდა «კვახისებრი ფორმის ჭურჭელს». იგი შეიძლებოდა ყოფილ-
იყო გაკეთებული სხვადასხვა მასალისაგან, კერძოდ—ხისაგან.

2. ტერმინი *შორომ* შესულია ალბანიის მკვიდრ მოსახლეობაში მეგრულ-
ქანური მეტყველებიდან. უკანასკნელში ის უნდა ყოფილიყო ხმარებული და
მას უნდა ჰქონოდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობა.

¹ Н. Я. Марр, По поводу русского слова «салю» в древнеармянском описании хазарской транзны VII века: Избранные работы, т. V, 83. 70—73.

3. არც ერთ სხვა კავკასიურ ენაში და არც მეგრულსა და ჭანურში ეს ტერმინი შორომ დადასტურებული არ არის.

4. მსგავსივე გაბგერების სიტყვა შაურამ (შაურამ, შაურამ), რომელიც და-
ცულია ახალ სპარსულში (ამ მნიშვნელობით: მთა, ბორცვი, შელანი; კომში) და-
რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო გარკვეული ფორმის ჭურჭ-
ლის აღსანიშნავად, ეტიმოლოგიურად ვერ აიხსნება ირანულ ენათა საფუძ-
ველზე და ამდენად საანალიზო ძეგლში სპარსულიდან შესულ მონაცემად შისი
ვარაუდი მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

რა შეიძლება ითქვას ამ დებულებათა შესახებ? ტერმინი შორომ, ნიკო-
მარის მიერ მეგრულ-ჭანური მეტყველების მონაცემად ჰიპოთეზურად დაშე-
ბული, დღემდის დადასტურებული არ ყოფილა. მაგრამ სწორი ჩანს მითითება
მეგრულ-ჭანურ მეტყველებაზე, რომელშიც შემონახულია ამავე ფუძის შემ-
ცველი ტერმინი ჩორომა, მნიშვნელობით: თასი, საღვინე ჭურჭელი, საკმარ-
მოზრდილი და დიდი ჭურჭელი სასმელისათვის (საერთოდ). იგი შეიძლება გა-
კეთებული იყოს სხვადასხვა მასალისაგან (თიხისაგან, ხისაგან და სხვ.).

ცენტრალურ სამეგრელოში არ არის იშვიათი ამ ტერმინის ხმარება გა-
დატანითი მნიშვნელობით, როდესაც ლაპარაკია არა მცირე მოცულობის სას-
მისზე (როგორცაა: ყანწი, თასი, კოდი), ან სხვა რომელიმე ჭურჭელზე (ქილა,
დერგი, ჭური და სხვა). მაგალითად, გახურებულ ღვინის სმაში ჩვეულებრივია
გამოყენება დიდ-დიდი სასმისებისა, რომელთა მიწოდებისას თანამესუფრე შე-
ნიშნავს: „ეჯგურა ჩორომა ოშუმალით მუ ფჩანს ღვინს?“ ასეთი ჩორომა (ვგ-
ებერთელა) სასმისით რა მასშვებს ღვინოს? ან: „ე ჩორომათ მა ვავორექ ღვი-
ნიშ მაშუმალი, მის ოკონ, თიქ შვას!“ ამ ჩორომა-თი მე არა ვარ ღვინის მსმე-
ლი, ვისაც უნდა, იმან დალიოს! ასევე, დიდი ზომის საწყაოს მიმართაც იხმა-
რება ტერმინი ჩორომა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: სომხური საანალიზო ტექსტის შორომ და მეგრული ჩორომა ხომ არ წარმოადგენენ ლინგვისტურად ერთდ
და იმავე მონაცემის ვარიანტებს? ამ კითხვას შეიძლება დადებითი პასუხი
გაეცეს, რამდენადაც, სემასიოლოგიურ იდენტობასთან ერთად, სომხურ ტექსტ-
ში დაცული შორომ და მეგრულში დადასტურებული ჩორომა ერთი და იგივე
ენობრივადაც და, მაშასადამე, სწორია ნ. მარის ვარაუდი ამ ტერმინის მეგ-
რულ-ჭანურიდან მომდინარეობის შესახებ. სწორია აგრეთვე მითითება სპეცია-
ლისტებისა—ნ. მარისა და ფ. როზენბერგისა—იმის შესახებ, რომ შაუ-
რამ არ არის ირანულ ენათა მონაცემი. ის შესული ჩანს კავკასიური ენებიდან
სპარსულში, რომლის დიალექტებშიც მას, ახალი ნიუანსების შექმნასთან ერ-
თად, შენარჩუნებული უნდა ჰქონოდა ძირითადი მნიშვნელობაც—საღვინე ჭურ-
ჭელი, ქვევრი, ჭური. ამას უცილობლივ ადასტურებს სპარსული ანდაზა, რო-
მელიც, მის ქართულ ვარიანტთან ერთად—„ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე
ამოგაძახებს“—მოჰყავს ნ. მარს ზემოდანსახელებულ გამოკვლევაში.

Г. ТУРЧАНИНОВ

Φτειροφάγοι ПИСАТЕЛЕЙ КЛАССИЧЕСКОЙ ДРЕВНОСТИ

Первое упоминание о фтейрофагах—вшедах принадлежит Геродоту¹. Оно относится ко времени не позже V в. до н. эры. За Геродотом о них сообщает Страбон, затем Плиний. Последним, кто слышал о них, был Арриан, автор известного Перипла. В 134 г. н. эры, посетив Колхиду, он пишет, что „такая молва о них держится и до настоящего времени“.

Вопрос о точном местоположении фтейрофагов потребует дополнительных разысканий. Из тех кратких сведений о них, которые встречаются у поименованных авторов, можно заключать, что это была одна из горских народностей Колхиды, территориально близкая с одной стороны к сванам, с другой—к абхазам.

Страбон пишет:

I. „У самого (Меотийского) озера живут меоты. У моря (Понта) лежит азиатская часть Боспорского царства и Синдика, а за нею живут ахеи, зиги, иннохи, керкеты и макропегоны. Выше их лежат теснины вшеедов. За иннохами находится Колхида, лежащая под Кавказскими и Московскими горами...“

II. „... Но историки Митридатových деяний, которым следует придавать более значения, первыми называют ахеян, за ними зигов, затем иннохов, далее керкетов, мосхов, колхов, живущих над ними вшеедов, соанов (сванов) и другие мелкие народцы у Кавказа“.

III. „К числу народов, собирающихся в Диоскуриаду, принадлежат и вшееды, получившие такое имя от своей нечистоплотности и грязи. Недалеко (от них—Г. Т.) живут и соаны (сваны), несколько не лучшие их в отношении чистоплотности“.

„... Они (сваны) господствуют над окрестными народами, занимая вершины Кавказа, возвышающиеся над Диоскуриадой“².

¹ В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, СПб. 1893.

² В. В. Латышев, и. с., стр. 130, 135, 138.

Плиний, описывающий народы понтийского побережья Кавказа в направлении от Армении к Меотике, указывает:

„В устье его (Фазиса) безыменные острова... затем другая река Харриент, народ салтии (Saltiae), у древних называвшийся вшеедями, и другой народ — санны; через область сванов с Кавказа течет река Хоб. Далее... племя абсилов, крепость Севастополь“¹.

Арриан, столкнувшийся, как очевидно, со многими припонтийскими народами Кавказа, слышал о фтейрофагах лишь молву². Ссылаясь на Геродота, он указывает их территорию в 150 стадиях к северо-западу от Пипунты³.

Как абсорбировались народы и какие миграционные процессы происходили здесь за время от Геродота до Арриана, т. е. за 7 веков, мы почти не знаем. Этническая принадлежность многочисленных и часто многоименных народов Кавказской Понтики во многих случаях неясна. Неудивительно поэтому, что фантазия и молва оказывались часто сильнее реальной действительности.

Оригинальное название „вшеедов“ у писателей классической древности не вызывало сомнений. В кругу таких, как макрокефалы, макропогоны, гениохи⁴, — это имя казалось обычным, и только Страбон попытался объяснить его нечистоплотностью, сославшись, для примера, на близ лежащих к фтейрофагам сванов.

Однако едва ли все названия подобного типа являлись плодом жизненной фантазии греков. На понтийском побережье Кавказа греки столкнулись с обилием народов, с обилием их названий и самоназваний. Источник информации, вследствие многоязычия, был сложен. Грек оказывался в кругу действия самых различных форм словотворчества: звуковых подмен, калькирований, контаминаций, мифологических и бытовых этимологий. Широко развитая омонимия корнеслова местных кавказских языков (например: абхазского, черкесских), еще более усложняла положение, так как многое воспринималось через переводчиков.

Страбон достаточно верно рисует всю сложность обстановки взаимопонимания, когда пишет, что в Диоскурию „сходятся семьдесят народностей... (которые) говорят на разных языках“⁵.

Греки-колонисты и путешественники чаще всего знакомились с географией и этнонимикой народов Кавказа именно в таких людных местах.

¹ Plinius, N. N., VI, 11: Латышев, Известия... II, 179.

² В. В. Латышев, I, с. I, 223.

³ На расстоянии около 25 км. Стадия равна 600 греч. футам.

⁴ Попытку выяснить этноним „гениохи“ см. в статье: И. Орбели, Город близнецов *Διοσκουριάς* и племя возниц *ἡμιόχοι*: *Журн. Мин. Нар. Просв.*, 1911 г., май.

⁵ В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, СПб. 1893, стр. 136.

Достаточно указать хотя бы на то, что они заимствовали из абхазского языка названия: ζυγοι 'зихи' (корень совр. абх. à-zhwa 'адыге', 'черкесы') и σοανοι 'соаны' (ср. совр. абх. š'wana 'Свания'), чтобы представить себе, что местом, породившим имя „фтейрофаги“, должен был быть какой-то узел многоплеменных столкновений.

Вероятнее всего им была Диоскурия. По свидетельству Страбона „к числу народов, собирающихся в Диоскуриаду, принадлежат и вшееды“¹.

Название „вшеед“, которое греки возвели в этноним, носит на себе явный след пренебрежительной, саркастической клички.

Мы предполагаем, что это презрительное название представляет плод народной этимологии, созданной в абхазской языковой среде.

Допускаем, что черкесы в ту отдаленную эпоху не имели еще своего ныне известного самоназвания „адыге“. Как некоторые народы на ступени родо-племенного общественного устройства, они называли себя просто словом „люди“².

Восприняв из языка адыге или ближайших их соседей это возможное самоназвание в форме неопределенно-общего нижнечеркесского слова сага „человек“, „люди“, абхазы (абазги) этимологизировали его применительно к своему языку.

Слову „человек“, „люди“ гесп. „адыг“, „адыге“ был придан пренебрежительный, саркастический оттенок: *а-сага > а-сага-ва (а-сага-ᵛə) 'вшееды' (вшеед)³.

Следует вспомнить, что Диоскурия, где могло возникнуть это название, была местом оживленной торговли.

Здесь сталкивались жизненные интересы самых различных племен. Здесь более ярко, чем в каком-либо ином месте, определялось и подчеркивалось племенное содружество и антагонизм; находили свое выражение восхищение и похвала, зависть и едкая насмешка.

¹ В. В. Л а т а н ш е в, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, СПб. 1893, стр. 138.

² Впервые на эту возможность указал Ш. Н о г м а в „Истории адыгейского народа“, изд. А. Берже в 1861 г., затем Л. Лопатинский, связавший название „дзихи“ со словом цыхуз 'люди': СМОМПК, XII, Тифлис 1891 г. В современной этнонимике подобное явление нередко. Срав.: манси (люди)—вогулы, ненцы (люди)—самоеды, юты (люди)—эскимосы и т. п.

³ Исторически аналогичным примером может служить русск. (древ.) „самоеды“, образованное из лопар. „самееднас“—„Лопарская земля (страна)“, поскольку самоеды находились когда-то на территории, смежной с лопарями.

Ныне этого слова в абхазском языке не существует, но как осведомил меня обязательный С. Н. Джанашиа, его форма представляется вполне естественной.

Нужно думать, что в живой речи этимология „вшеед“ не была широко распространена. Вытесненная другими названиями и самоназваниями, она скоро исчезла. Вслед за ней исчезла и историческая легенда, виновником появления которой в классических источниках был Геродот.